N4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ჟურნალი

აპრილი, 2014 ფასი 3 ლარი

1429
2014 N4

პროზა

ლუკა ბაქანიძე
თამარი ფხაკაძე
გურამ მეგრელიშვილი
ნათია მანია

პოეზია

მარიამ ხუცურაული
ნუციკო დეკანოზიშვილი
ნათია ცხაკაია

თარგმანი

ფრანსუაზ საგანი
ჩარლზ ბუკოვსკი
ანდრეი ბელი
მაგსად ნური
ჯეზმი ერსოზი
ილზე აიხინგერი
ანა ახმატოვა

ISSN 1987-5053

ამბავი ვარდის ფოთლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი ამერიკელი მწერალი, ბესტსელერების ავტორი

ჯონ გრიშემი



ცნობილია, რომ მისი წიგნები, გამოსვლიდან ერთ კვირაში სრულად გაყიდულია. მწერლის რომანები პოპულარულია ჰოლივუდშიც „ფირმა“ ჯონ გრიშემის რიგით მეორე რომანია. იგი 1991 წელს დაიწერა და გამოცემისთანავე ბესტსელერად იქცა. ჰოლივუდმა ნაწარმოების ეკრანიზაციის უფლება ავტორისგან 600 ათას დოლარად შეიძინა. ფილმი სიდნი პოლაკმა გადაიღო. მიტჩი მაკდირის როლი ტომ კრუზმა შეასრულა...

ფასი 13.99 ლარი

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები ადგილზე მიტანით ფასნამატის გარეშე
ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

№4(115) აპრილი 2014

ლიტერატურული კონკურსი 4

რედაქტორის გვერდი 5

პროზა, პოეზია

ლუკა ბაქანიძე
მესამე ნაპირი 6

მარიამ ხუცურაული
ლექსები 33

თამრი ფხაკაძე
მოთხრობები 38

ნუციკო დეკანოზიშვილი
ლექსები 53

გურამ მეგრელიშვილი
მოთხრობა 56

ნათია ცხაკაია
ლექსები 59

ნათია მანია
მოთხრობები 61

კონკურსი „მოკლედ ითქმის“ 65

თარგმანი

ფრანსუაზ საგანი
დაკარგული პროფილი 68
(თარგმნა ლია დარაშვილმა)

ჩარლზ ბუკოვსკი
მაკულატურა 90
(თარგმნა ზაალ ჩხეიძემ)

ანდრეი ბელი
პეტერბურგი 112
(თარგმნა ნინო ქუთათელაძემ)

მაგსად ნური
რომანიდან „ქალაქის მერი“ 140
(თარგმნა გივი ალხაზიშვილმა)

ანა ახმატოვა
ლექსები 145
(თარგმნა ეკა ჯიქიამ)

ჯეზმი ერსოზი
მოთხრობები 146
(თარგმნა ლანა მანველმა)

ილზე აიხინგერი
სარკის ამბავი 152
(თარგმნა მარიამ გოგოლაშვილმა)

მარიო ვარგას ლიოსა
ინტერვიუ ჟურნალ „BOCAS“-თან 156
(თარგმნა ლინდა ციცილაშვილმა)

„პალიტრა L“ წარმოგიდგენთ 164

„ინტელექტი“ წარმოგიდგენთ 165

მონატრება

ბასილ მელიქიშვილი 166

ლიტერატურული სკანვორდი 174

„კვირის პალიტრის“
ლიტერატურული დამატება

პროექტის ავტორი
თამარ მამაცაშვილი
მთავარი რედაქტორი
ზაალ ჩხეიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე
მანანა ჯანელიძე
მოწვეული რედაქტორი
ბესო ხვედელიძე
მხატვარ-დიზაინერი
ანა უთურგაიძე
გარეკანის დიზაინერი
ნანუკა ჭყონია
სტილისტი
ქეთი ნიკოლეიშვილი
კორექტორები
ცირა ჯიშკარიანი
ლალი ჭინჭარაული
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი
ნინო ასკილაშვილი

ჟურნალი გამოდის
თვეში ერთხელ

რედაქციაში შემოსული მასალები
ავტორებს არ დაუბრუნდებათ

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 238-74-44; გამოწერა: 298-74-44;
E-mail: lpalitra@yahoo.co.uk

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში

„მედია პალიტრის“ ცხელი ხაზი
238-33-84

ლიტერატურული კონკურსი „მოკლედ ითქმის“

პირველად ქართული ლიტერატურის ისტორიაში!

განურჩევლად იმისა, პროფესიონალი მწერალი ბრძანდებით თუ, უბრალოდ, წერის მოყვარული, „ლიტერატურული პალიტრა“ გაძლევთ შანსს, მონაწილეობა მიიღოთ ცოცხალ ლიტერატურულ პროცესში და აცხადებს მცირე პროზის კონკურსს „მოკლედ ითქმის“.

კონკურსის პირობები

ჟურნალი წლის ბოლომდე ყოველთვიურად შემოგთავაზებთ ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან აღებულ თითო ფრაზას, რომლითაც უნდა დაიწყოს საკონკურსოდ წარდგენილი ნაწარმოები.

ტექსტს უნდა ჰქონდეს სიუჟეტი.

მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას.

საკონკურსო ნაწარმოებები გამოგვიგზავნეთ ყოველი თვის 20 რიცხვამდე, სურვილისამებრ, ხელნაწერის სახით ან ელექტრონული ფორმატით:

- ფოსტით, მისამართზე: თბილისი, იოსებიძის 49, „პალიტრა მედია“, ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ (ლიტ. კონკურსი „მოკლედ ითქმის“);
- „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების მეშვეობით;
- კონკურსის ელექტრონულ მისამართზე: konkursi@palitra.ge

პირადი ინფორმაციის (სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი ან ელფოსტის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი) მითითება აუცილებელია.

ჟიურის მიერ არჩეული ნაწარმოებები დაიბეჭდება „ლიტერატურული პალიტრის“ ყოველ ნომერში, ხოლო 12 საუკეთესოს წლის ბოლოს გადაეცემა სპეციალური პრიზები.

იქეცი ქართული ლიტერატურის ნაწილად!

აპრილის ფრაზა:

ვცდილობდი, ამ გაურკვევლობას გავქცეოდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა, მკითხველო

ბევრს დავობენ დღეს მავანნი და მავანნი, როგორ უნდა გამოიყოფოდეს ე.წ. „მაღალი ლიტერატურა“ „დაბალისაგან“, ვითომ რა ნიშნით, რა სახელით. მრავალნი წუხან იმის გამო, რომ ზღვარი, ოდესღაც მეტად მკაფიოდ არსებული, ამ ჩვენს გარეკლამებულ ყოველდღიურობაში წაიშალა. მით უფრო წაშალა იგი ელექტრონულმა სამყარომ და გამოუცდელი მკითხველი შეატოვა სრულიად უსაზღვრო სივრცეებს ლიტერატურისას. ვითომ რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი, არა?! მაგრამ ამბობენ, აი, ლიტერატურის ისტორიკოსები ამბობენ, რომ ეს ხშირად სრულიად უმადური პროფესია კრიტიკოსისა როგორღაც ტოპოგრაფის მუშაობას ჰგავს. როგორც რომ ტოპოგრაფი ადგენს რუკას და დაიტანს ზედ ყველა მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელო სახელს, შეადგენს მასშტაბს და ასე შემდეგ, ამგვარადვეა ლიტერატურის ისტორიკოსიც; ის ახარისხებს, თავის ადგილს მიუჩენს ნაფიქრს და ნაწვალებს სხვისას, თან ერთისას კი არა, მრავალთასაც ზოგჯერ, ზოგჯერ კი არა და თითქმის ყოველთვისაც. მართალია ისიც, – დავად არა ღირს, ვფიქრობ, – რომ დროთა განმავლობაში იცვლება ხოლმე ეს ლიტერატურული რუკები. მრავალნი ქრებიან, მრავალნი ახლებიც ჩნდებიან, უფრო იშვიათად ოდესღაც გამქრალნიც ბრუნდებიან. ოღონდ ლიტერატურული რუკა ტოპოგრაფიულზე მეტად პრეტენზიულია და ისიც არი, რო პრინციპები სჭირდება თავისი, რის მიხედვით, რისთვის და რატომ უპირატესობის მინიჭებით უნდა შედგეს იგი. ამ ყველაფერს კი საერთო კრიტერიუმები სჭირდება, მარტო „კარგია-ცუდია“ არ ჰყოფნის, ჩვენში ჯერ ვერ არი აქტუალური ეს საკითხი, მაგრამ, აი, იქით, ევროპისაკენ, გაცხარებით დავობენ კლასიფიკაციის ახლებურ სისტემებსა და მიდგომებზე, თუმცა ამაზე – სხვა დროს. ჰოდა, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რას მოვაყოლე ახლა ამოდენა ამბავი, იმასაც გეტყვი ბარემ. ინგლისურენოვან წიგნის მაღაზიაში რომ შეხვიდეთ, გნებავთ ასე „ხორციელად არსებულსა“ და გნებავთ ვირტუალურში, აუცილებლად მოგხვდებათ თვალში ორი განყოფილება, ორივე – ყოველთვის მკაცრად გამოყოფილი, თუმცა შინაარსით ლამის მსგავსი, მსგავსი კი არა, ტყუპისცალი ერთიმეორისა. პირველს ამაყად უწოდებენ ინგლისელები ცლასსიცს, ხოლო იმ „სხვას“ მხიარულად უწოდებენ ფიცტიონ. ვითომ რომ ეს ფიცტიონ უფრო გასართობი ნაწერია, თავის შესაქცევი და ცლასსიცს კიდევ, რასაც სახელი გეუბნებოდეთ, სწორედ იმგვარი. ერთ საქართველოში სტუმრად მყოფ პროფესორს ვკითხე ამას წინათ, რა პრინციპით აწყობთ და ახარისხებთ-მეთქი ამ ორ მოსაზღვრე რუბრიკაში ავტორებს. იმის მონაყოლი მოკლედ რომ მოვჭრათ, დაახლოებით ასე გამოვა: სადაც ფიქრია მეტი და დარდი ამ ფიქრის გამო, ის „კლასიკაა“, ხოლო სადაც ქმედება და თავგადასვლებს მოდევნებული ახალი ყიჟინა – ის სხვაო. იქნებ დამაკმაყოფილებელი პასუხი არც იყოს, მაგრამ ერთი კია, რომ როცა შენ ამ წერილს კითხულობ, მკითხველო, დიდი ქართველი მწერლის გურამ დოჩანაშვილის იუბილე უკვე ჩავლილი იქნება, აბა, რა გითხრა, როგორ დააფასებენ კიდევ ერთხელ, ან სულაც გაიხსენებენ თუ არა... 75 წლისა შესრულდა ბატონი გურამი, სამი მეოთხედი საუკუნის ხნისა. ჩვენ ჩვენდათავად მიგვილოცნია მისთვის ეს თარიღი. დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და კვლავაც დიდი შემოქმედებითი გამარჯვებები გვისურვებია. ჰოდა, ზემო ამბავი იმიტომაც მოვყევი, იმ ჩემი ოქსფორდელი პროფესორის სიტყვებით თუ განვსჯით, ბატონი გურამი ჭეშმარიტი „კლასიკოსი“ გამოდის, ფიქრისა და მერე კიდევ ამ ფიქრზე შემოჩენილი დარდის მწერალი.

სიტყვა გამიგრძელდა და მოკლედვე გეტყვი სხვა ამბებს, ჩემო მკითხველო, ამ სააპრილოს. ერთბაშად სამ რომანს ვამთავრებთ წლეულს დაწყებულს – ბელისაც, ბუკოვსკისაც, საგანსაც. ქართული რომანიც დავიწყეთ ერთი, ახალგაზრდა ავტორის, ლუკა ბაქანიძისა, მე კი ჩემდათავად მოკრძალებულად მირჩევია, ყურადღებით ჩახედოთ ამ ტექსტს, ამ მწერალს, ვინძლო კარგად დაიმახსოვროთ მისი ხელწერა, მომავალში აუცილებლად ხშირად გადაეყრებით.

P.S. ჰო, იმას ვამბობდი, ბუკოვსკი მოვათავეთ-მეთქი და თუ ხელი არაფერმა შეგვისალა, მალე-ვე, უახლოეს მომავალში, ჩვენი და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის ერთობლივი ძალისხმევით აუცილებლად წიგნადაც გამოვა.

რაც შეეხება ახალ რუბრიკებს, ამ ჩვენი აპრილის ნომრიდან გთავაზობთ ინტერვიუების ციკლს მეოცე საუკუნის დიდ, გამოჩენილ ავტორებთან, პირველი სტუმარი კი ამ მხრივ ჩვენი ნომრისა მარიო ვარგას ლიოსა გახლავთ, გენიალური სამხრეთამერიკელი. რაც შეეხება ჩვენს ძველ რუბრიკებს, უკვე ნაჩვევი ფორმატით ისინი მაისიდან კვლავაც დაგვიბრუნდებიან, გამრავალფეროვნებული მეტად და, იმედი მაქვს, დახვეწილიც უფრო.

29347

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ნაპირი

(რომანი)

ტოპეს ხსოვნას



ლუკა ბაქანიძე

1

ზუსტად ასე მიყვარს გაღვიძება: თვალს რომ გაახელ და ერთხანს აზრზე არა ხარ, სად იმყოფები... სწორედ ამისთვის, ასეთი გაღვიძებისთვის ვცხოვრობ ისე, როგორც ვცხოვრობ და მარტო მე კი არა – ჩვენ ყველა, ჩემიანები.

გაიღვიძებ ეგრე და როგორც არ უნდა იყო, გინდ თავი გისკდებოდეს პახმელიისგან თუ რავი, რა ჯანდაბისგან, ან სიცივისგან იყინებოდე, ან ცეცხლი გეკიდოს ფეხზე, მოკლედ, რაც არ უნდა ცუდად იყო, მაინც კარგად ხარ, იმიტომ რომ იცი: შენ რომ გიყვარს, სწორედ ისეთი დღე გქონდა გუშინ და ახლაც ყველაფერს გააკეთებ, ყველაფერს გამოსწოვ დღევანდელ დღეს; მიხვალ, სადაც მიგესვლება და არ მიგესვლება, რისი დალევა, ჭამა თუ მოწევაც შეიძლება ან მავნებელია, ყველაფერს დალევ, შეაკეთებ და წააწყდები ათას ნაგავს და კარგ, მართლა მაგარ ტიპებს; ზოგთან ჩაურტყამ, ზოგთან მოწევ, ვისთანაც დაკვრა გიყვარს, იმასთან დაუკრავ, ვისთანაც ლაპარაკი გიყვარს, იმასთან ილაპარაკებ, ვისი გაჟიმვაც ხელგეწიფება, იმას გაჟიმავ და ასე – აქ, ამ სიბრტყეზე, ჩემს განზომილებაში, სადაც გადაეყრები არასრულფასოვნების კომპლექსის ყველაზე მაგარ და საინტერესო, სასაცილო და ხანდახან სახიფათო გამოვლინებებს ისტერიის უმაღლესი და თავისუფლების უდაბლესი ხარისხით და, პრინციპში, ყველგან ასეა, მარტო აქ კი არა.

მთავარი, ცენტრი დამავიწყდა, ჩვენი ტაძარი: ერთი მიყრუებული როკკლუბი, სადაც ბინადრობს ყველაზე ნაღდი ადამიანი დედამიწის ზურგზე, ყოფილი მღვდელი და ამჟამად კლუბის მეპატრონე და შეთავსებით ქარიზმატული ფეისკონტროლიორი, რესპექტაბელური და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი ხალხის მტერი ნომერი პირველი, ცალთვალა, წითელწვერიანი და უშველებელი, ვითარცა მეკობრე, ბებერი დრამერი მამაო – ჩვენი შემწე და მფარველი. მამაომ მასწავლა ტუჩის გარმონზე დაკვრა, რისი მეშვეობითაც, რაც სახლიდან წამოვედი, მას მერე მოვიპოვებ პურს არსობისას: სიგარეტს, ლიმონს და არაყს – მე, ჩემი ძმაკაცი და მხეცი გიტარისტი ალექსანდერი და ბერძენი, თავგადაპარსული გოგონეა – ჩვენი კლავიში, კანის ნებისმიერ მონაკვეთზე ტუშით და ნემსებით შედევრის დახატვა რომ შეუძლია. ადრე სალონში აკეთებდა სვირინგებს ნეი და ბევრი კლიენტიც ჰყავდა, მაგრამ მერე სპიდიანი მარკუსა შეიყვარა და გამოაგდეს იქიდან. განსაკუთრებით მამაოს უყვარს ნეი, მისი გაკეთებული სვირინგიც აქვს ზურგზე: ყალყზე შემდგარი კენტავრი, თავადაც ტატუირებული და საყურეებიანი, ხელში კომბალივით მომარჯვებული ელექტროგიტარით. მოკლედ, სუფთა მამაო, ოღონდ ოთხფეხა, – ოცდამეერთე საუკუნის ქირონი, ანდერგრაუნდის გმირთა და უპოვართა აღმზრდელი და მეგობარი.

ნეას შეყვარებული კიდევ, მარკუსი, სანამ მოკვდებოდა ჩვენთან ერთად უკრავდა...

* * *

მარკუსი და ნეა რომ გავიცანით, თავიდან გავიფიქრე, ეს როგორ შეიყვარა-მეთქი ამ გოგომ. სულ სხვადასხვა ტიპები იყვნენ: მარკუსი – ჩუმი და წყნარი, წარამარა წითლდებოდა ბავშვივით და ისედაც ბავშვს ჰგავდა; დაბალი იყო და გამხდარი, სიგარეტის ღერივით, ნეი კი ხმაურიანი და უტიფარი, თან მარკუსზე ერთი თავით მაღალი.

ვიჯექით ერთხელ მე და ალექსანდერი მი-

წისქვეშა გადასასვლელში და გიტარაზე ახალ თემას ვარჩევდით. ცუდი დღე გვქონდა, ერთი-ორი კაპიკი ძლივს მოვაგროვეთ და მარტო არაყზე და ლიმონზე გვეყო, მშივრები ვიყავით. ღამდებოდა და იმას ვფიქრობდით, სად გაგვეთენებინა. მე პარკში მერჩივნა, კარუსელზე: აკვანივით კარუსელი იყო, – ერთს მიაწვებოდი, დაატრიალებდი, აძვრებოდი მერე ორადგილიან სკამზე და სანამ გაჩერდებოდა, ასე ტრიალში ჩაგეძინებოდა კიდეც და რომც არ დაგძინებოდა, ისედაც ასწორებდა მანდ წოლა, თან თუ მოწეულიც იყავი... დროდადრო გამოჩნდებოდა ცხენოსანი პოლიციელი, ეული და თავჩაღუნული რომ დააჩინდრიკებდა თავის ცხენს დაჟანგებულ კარუსელებს შორის და უთავო მხედარს ჰგავდა შორიდან. ამ მივარდნილ პარკში ვის ან რას იცავდა და საერთოდ ვინ სირმა გაამწესა აქ, აზრზე არა ვარ, თუმცა ჩვენ არაფერს გვერჩოდა. ხანდახან შედგებოდნენ ეგ და მაგისი მერანი და გვიყურებდნენ შორიდან, ახლოს არ მოდიოდნენ. მაგრამ მერე და მერე, ერთად რომ ვიყავით ყველა, მარკუსი და ნეაც რომ ჩვენთან ერთად იყვნენ, უფრო გლიჯავდა: ოთხივე რომ მივაწვებოდით კარუსელს, დავძრავდით და ნახევარი საათი მაინც ვტრიალებდით ასე. მარკუსს კიდევ მაწანწალა ძაღლები უყვარდა კარუსელზე მეტად, ჭრიალის ხმაზე რომ გამოძვრებოდნენ ხოლმე საიდანღაც და ძაღლებსაც უყვარდათ მარკუსი; ჩვენ რომ სკამებზე ვიწექით და რაღაც სისულელეებს ვუკრავდით, ის ამ დროს ძაღლებს ეთამაშებოდა და კარგი იყო, მაგარი იყო ეს ყველაფერი – კარუსელიც, მუნჯი პოლიციელიც, ალექსიც, ნეიც, არაყიც და მთვრალი მარკუსიც, იმ მუნიან ძაღლებთან რომ კოტრიალობდა შუაღამისას.

იმას ვამბობდი, თავიდან როგორ იყო-მეთქი, ნეი და მარკუსი როგორ გავიცანით: ვიჯექით მე და ალექსი, მე კარუსელის მუღამი მქონდა, მაგრამ მეტროს ფული აღარ გვრჩებოდა და ბოლოს აქვე გადავწყვიტეთ გათენება. სკამები აქაცაა, თან ღამე თბილა ამ პადზემკაში. ადრე რამდენჯერ ჩამომივლია, ზაფხულში საერთოდ გრილა მიწისქვეშებში და მაშინ რას წარმოვიდგენდი, ღამე ასე თუ ეთბილებოდა, თითქოს ვიღაცამ გამათბობლები ჩართოო. გამვლელები ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებიან: მეტროდან ამოსული შეგვიანებული მოქალაქეები, სანოვაგით დატვირთული ჩანთებით შინ რომ მიიჩქარიან, ერთს გადმოგვხედავენ ზიზღით ან შიშით და სწრაფად ჩაგვივლიან წინ. ჩვენ გარდა, ჩვენნაირების გარდა არავის უყვარს მიწისქვეშა გადასასვლელი ღამით, მე და ალეს კი ეს გვიყვარს განსაკუთრებით, რომელიც თავის დროზე უეჭველი ყოფილმა ბომჟმა დააპროექტა და ალაგ-ალაგ ნიშებში მერხებიც ჩააყოლა წამოსაწოლად. ორის მერე შუქს აქრობენ, ელექტროენერგიას ზოგავენ ალბათ და მაშინ არის ყველაზე ნაღდი: კუნაპეტ ბნელში მყუდროდ რომ წევხარ პარალონზე, საიდანღაც ჩხრიალის თუ ფხაკუნის ხმები გესმის და კიდევ რაღაც იდუმალი ექოები რომ დაქრიან წინ და უკან... ამ დროს ვიგონებთ ყველაზე მაგარ თემებს გიტარაზე და ტუჩის გარმონზე მე და ალექსა. სუნს და ნაგავს კი არა უშავს, მაინც ყველგან ნაგავია, შეჩვეულები ვართ.

ჰოდა, ვზივართ და გამოჩნდნენ მაღალი, თავგადაპარსული გოგო და დაბალი, ჩხირივით ბავშვი, ჩვენზე უფროსი რომ აღმოჩნდა მერე. ბიჭს უცხოპლანეტელივით დიდი თვალები ჰქონდა და თავისხელა გიტარის ფუტლიარი მოეგდო ზურგზე, მაგრამ არ ჰგავდა არაფრით გიტარის კაცს. ჩვენდა გასაკვირად, წინ გაგვიჩერდნენ და გვისმენდნენ.

ალექსანდერმა სიგარეტი თხოვა ბიჭს, თუმცა ღამის სამყოფი და არაყზე დასაყოლებელი რამდენიმე ღერი გვქონდა ორივეს. ბიჭი არც განძრეულა და გოგომ გააძრო ზურგჩანთიდან ქემელის კოლოფი, კარგა ბლომად ამოიღო და ჩვენ წინ, ფულის მოსაგროვებელ ყუთში ჩაყარა. მე რომ მომწონს, ზუსტად ისეთი გოგო იყო: გამხდარი, პატარა მკერდით და ოდნავ მკაცრი სახით. ის ბიჭი კიდევ არ მომეწონა საერთოდ, ისიც კი ვიფიქრე, ეგ გიტარა რომ ალექსის გიტარად გადაიქცეს, ურიგო არ იქნებოდა-მეთქი, თან კაციშვილი არ იყო ახლომახლო და ბიჭსაც ზედ ეტყობოდა, რომ არ დაიწყებდა ბევრ ლაი-ლაის. მოკლედ, გოგო მომეწონა ძალიან და მთვრალიც ვიყავი, თორემ სულ არ ვარ ეგეთი ტიპი. შემშურდა და ზედაც ეტყობოდათ ორივეს, ერთად რომ იყვნენ – ხელიხელჩაკიდებულები. ალექსმა კი, ვითომ არაფერი, ამოიღო ჯიბიდან სხვადასხვა ჯურის ღერებით ნახევრად სავსე სიგარეტის კოლოფი და გოგოს მოცემულიც შიგ ჩაყარა, ერთსაც გაუკიდა და ისევ გიტარას დაუწყო ჩალიჩი. გოგოს გაეცინა, ჩანთიდან კიდევ ორი ღერი ამოიღო, ერთს თვითონ მოუკიდა, მეორე თავის ბიჭს მისცა. ბიჭს არ მოუკიდებია. გვიყურებდა და სიგარეტს ატრიალებდა თითებში.

უცებ გვეუბნება:

– ბიჭებო, ცოტა ხანს რომ თქვენთან ერთად დავუკრა, შეიძლება?

ხმაც ბავშვის ჰქონდა.

ალექსს გადავხედე.

– ბასია? – ვკითხე მერე ბიჭს.

ბასგიტარა კი დაგვხატავდა, რაც მართალია, მართალია, მაგრამ ჩვენი მინი ხმის გამაძლიერებელი და აკუმულატორი უკვე მესამეჩკე სურენას სარდაფში გვქონდა შენახული.

ალექსი ისევ თავის გიტარას უჩხიკინებდა. ჩემზე უფრო გაგლეჯილი მთვრალი იყო.

ბიჭმა ფუტლიარი ძირს დადო და თვითონაც იქვე მოირთხა ფეხი. მერე ფრთხილად გახსნა და გიტარის ნაცვლად პრიალა ფლეიტა ამოიღო.

ყბა ჩამომივარდა.

– მარტო ეგ გაქვს? – თან ფუტლიარში ჩავიხედე. ცარიელი იყო, ტიპს ფლეიტა დაჰქონდა ამხელა შალითით. მოკლედ, ორი ვერსიაა: ან მამალი გიჟია, ან რა ვიცი, შეიძლება უბრა-

ლოდ ეგეთი ხოში აქვს, ასე უნდა... საერთოდ, შიგნაკრავ, ანუ, როგორც იქითკენ იტყვიან, არაპროგნოზირებად ხალხს დიდ პატივს ვცემ, ოღონდ ნაღდებს: რამდენია ისეთი, ყველაფერს რომ იკისრებს, შიგნაკრავად, განსაკუთრებულად რომ მოგაჩვენოს თავი. ფლეიტის პატრონის მიმართ პატივისცემისმაგვარი რაღაც ვიგრძენი და მივხვდი, – გოგოს ამბავი იყო, თორემ თავიდანვე მომეწონა, ეგეთი, როგორიც იყო – ბავშვივით თვალებდაჭყეტილი და მორიდებული, ჩვენი მომავალი ძმა და მეგობარი მარკუსი, რომელსაც სპიდი ჰქონდა მაშინ უკვე.

ალექსმა თავი ასწია, ამღვრეული თვალები შეავლო ფლეიტას და უაზროდ წაიბურტყუნა:

– გავკარი პაპსავიკებს...

ბიჭი გაწითლდა.

– მთვრალია, – ვთქვი მე.

– ეტყობა, – გოგოც ბიჭის გვერდით ჩაცუცქდა და ასეც ბიჭზე მაღალი ჩანდა, – რა მუსიკას უკრავთ, ბიჭებო?

– რა ვიცი, რასაც წამოიღებს, იმას ვუკრავთ... შენც უკრავ?

– ცოტას. ისე ვხატავ, – გოგომ ახალ ღერს მოუკიდა და თქვა:

– ეს მარკუსია, მე – ნეა, – მერე ბიჭს შეხედა და დაამატა: – ერთად ვართ.

მაგრად უყვარდა, ზედ ეტყობოდა.

მე ალექსს წავკარი მხარი:

– ეს ალექსანდერია, მე – ჯიო და ჩვენც ერთად ვართ, – თან გავიფიქრე, ახლა ამას გეები არ ვეგონოთ-მეთქი, თუმცა ისეთი მასტი ჩანდა, გვკითხავდა კიდეც, რომ ჰგონებოდა. მაგარი გოგო იყო, იყო რა – არის ნეი, თან გადაპარსული თავიც უხდება ოხერს.

ამასობაში მარკუსი ჩუმად იჯდა და თავის ფლეიტას ათვალიერებდა.

– აღარ დავუკრათ? – გვკითხა ბოლოს მოუთმენლად.

ფლეიტას აქ ერთი ბებერი უბერავდა დილაობით და არ მიყვარდა ეს ხმა მიწისქვეშაში, არ უხდებოდა რაღაცნაირად, უაზრო ხასიათი მოჰქონდა. საერთოდ, აკუსტიკა და ექოები არ მომწონს ფლეიტაზე. სადმე ქუჩაში, ხმაურში და აურზაურში ძლივს რომ მოისმის ხოლმე, უფრო მევასება.

– მიდი და აგაყოლებ, – ვუთხარი უხალისოდ და ტუჩის გარმონი გავიწმინდე სახელოზე.

– რას უკრავ, რა ნოტა ავიღო? – მარკუსმა ფლეიტა მოიმარჯვა.

– დროზე აიღე ნოტი, სანამ მოგახტა ენოტი, – ამოღერღა ალემ და გემოზე დაასლოკინა.

მარკუსს ისევ წაუვიდა ფერი, კინაღამ შეინახა თავის ფლეიტა.

– დაუკარი, გეხვეწები, – ისეთი ხმით უთხრა ნეამ, მე რომ იმის ადგილას ვყოფილიყავი, ზურნაზეც დავუკრავდი ათასი წელი.

და შეიყვანა მარკუსმა და მეც ჩემი ორსართულიანი „ჰოჰნერი“ შევუშვი, მაგრამ ჩავბერე თუ არა, არყის თუ შიმშილის გამო უცებ თავბრუ დამეხვა და შევინახე ისევ. მარკუსს კიდევ ეტყობოდა, რომ მაგრად უსწორდებოდა, და ოღონდ დაეკრა და ფეხებზე ეკიდა, ვინ, რას ააყოლებდა, ვერ გაიგებდა სხვა ხმას მაინც; წამოდგა და რაღაც იდეინი იმპროვიზაციებით ისე ააზრიალა მთელი მიწისქვეშა გადასასვლელი, ალექსანდერიც კი გამოაფხიზლა. ვიჯექით ყველა და შევყურებდით.

– როგორი იყო? – გვკითხა ბოლოს აქოშინებულმა და ყურებამდე გაღიმებულმა, თან ჩვენ გვერდით მოირთხა ფეხი.

– საღოლ, – უთხრა ალემ და გიტარის ფუტლიარში სიგარეტის ღერი ჩაუგდო.

და ღამე ყველას ერთად გვეძინა. მიწისქვეშაში.

* * *

იმ დღეს კი სარეპეტიციოში ვეყარეთ მე, ალე და ერთ უნიჭო ბასისტი, წინა საღამოს რომ ვიპოვეთ სკვერში. ამ სკვერში, ვიღაცჩემისას ძეგლთან იკრიბებოდნენ ხოლმე საღამოობით ლაწირაკი – ჯერეთ დილეტანტი გოთები, პანკები თუ სხვა ჯურის ლამაზი და უზრდელი გოგოები, საღამოს მშობლებს რომ ატყუებდნენ, დაქალთან ვრჩებით, ერთად უნდა ვიმეცადინოთო და მერე ნებისმიერ გიტარიან და საყურიან კლიენტთან ჟიმაობდნენ ღამეული ქალაქის კუთხე-კუნჭულებში, რის შემდეგაც, წესისამებრ, ამ ტიპების მეტსახელებს ამოისერავდნენ სადმე ბრიტვით, ნასერებს ერთმანეთს ატოლებდნენ და უხაროდათ. გიტარიანი ტიპებიც, შესაბამისად, ხშირად ეტანებოდნენ ამ სკვერს. ერთი დარეხვილი კლიენტი ვიცოდი, მუწუკების გასაქრობად მაგარი რაღაც მოიფიქრა: ახალთახალი „ფენდერის“ გიტარა დაითრია თავისი შალითით, ღამღამობით გაიკეთებდა ყურზე მავთულის საყურეს, მოიგდებდა ზურგზე გიტარას, გამოდიოდა აქეთ და ერთორ სულელს წამოიცვამდა ხოლმე მართლაც, მაგრამ მერე, ძალიან რომ გალაღდა და მუწუკებიც გაუქრა, გაუგო ვიღაცამ და მაგრად ძუყნეს; თვითონ გოგოებმა ცემეს, სულ ლუდის ბოთლები აფშხვნეს თავზე. დაკვრა მაინც ესწავლა კრეტინს... ამ ჯურის გოგოებისთვის, ჩვენ, ასე თუ ისე სტაჟიანი პანკები – თუმცა მე და ალექსა სულაც არ ვთვლიდით თავს პანკებად – ვიყავით თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცები, ანდერგრაუნდის ლოთი მხედრები და ყველაზე ეგზოტიკური მასალა მასტურბაციისათვის და მე და ალეც, სარეპეტიციოს ქირის ფულს რომ ვერ ვშოულობდით, ჯანდაბას, ვხდებოდით ხანდახან მათი გულისთვის პანკები და დოზანები... თან პრაქტიკულადაც მოსახერხებელი იყო: არც დაბანა-გაპარსვა და გამოწყობა გჭირდებოდა, არც ფული ჯიბეში პაემანისთვის, როგორც იქ მჭირდებოდა, წინა ცხოვრებაში – სწორედ რომ პირიქით, და სარეპეტიციოს ქირასაც სიამოვნებით იხდიდნენ ხოლმე... იქ კი წითელი შუქი ენთო და მთელი მუღამი იყო, ტომაზინიოს – სარეპეტიციოს

პატრონის შავ ელექტროგიტარას რომ ხერხავდი „კენვუდის“ ხმის გამაძლიერებლის ბოლო ხმაზე, ტრეშეფექტით და მაგარი მოწეული და გარშემო, – სიგარეტის თუ მარიხუანის ბუღში არამიწიერი არსებებივით ილანდებოდნენ ვიღაცა ხურუშიანი ნაშები...

მოკლედ, უფულოდ ვართ, ჩავდივართ სკვერში და ვხედავთ, ვიღაც გდია ძეგლთან მკვდარივით და ბიჭბუჭები ზედ ესევიან, ჯიბეებს უჩითავენ. ბიჭბუჭობა გავყარეთ და შევათვალიერეთ. ეგდო თავისთვის და ყარდა არყის სუნად, ალექსი კი ხანდახან დედა ტერეზა ხდება ხოლმე და ახლაც კარგი მოქნეული სილა შემოჰკრა, თუმცა თვალი მაინც ვერ გაახელინა და სკამზე აათრია. ჩვენხელა ჩანდა, ტყავის შარვალი ეცვა და კისერზე რაღაც სულელური სვირინგი ჰქონდა, ჰოროსკოპის ნიშანი თუ რაღაც ეგეთი. მე სულ მეკიდა ეს ტიპი, თან უამრავი გვინახავს ორივეს ამ დღეში, ერთმანეთის ჩათვლით, მაგრამ ალექსმა აიტეხა – ახლა ამას მივხედოთ და ნაშები მერეო და ბოლოს წავიღეთ იქვე, ტომასას სარეპეტიციოში. მამაოს კლუბი შორს იყო, თორემ კი მიხედავდა ამას მამაო. სარეპეტიციო დაკავებული დაგვხვდა, ნაცნობები უკრავდნენ და უპრობლემოდ შევედით. გაუხარდათ კიდეც: დრამერი ყავდათ ცუდად, მე კი, თუ გაჭირდებოდა ცოტ-ცოტას დრამსაც ვუკაკუნებდი და გიტარაზეც შემეძლო ერთი-ორი აკორდის აღება, ალექსმა მასწავლა. საერთოდ, ნაღდი დრამერი აქეთ დიდი იშვიათობაა და ხანდახან რამდენიმე ჯგუფს ერთი დრამერი გვყავდა რიგრიგობით. მამაოც გვეშველებოდა ზოგჯერ ბიჭებს, როცა მაგის კლუბში გვქონდა გამოსვლა. ვინც დაგვხვდა, ეს ბიჭები მძიმე მეტალს უკრავდნენ, მსმენელიც ბლომად ჰყავდათ და რეპეტიციის ქირაზეც არ უწევდათ ჩალიჩი: გამოაკრავდნენ განცხადებას სარეპეტიციოს კარზე, შემსვლელებს ცოტა ფულს ახდევინებდნენ და ეგ იყო; ერთი ოცდაათი კაცი კი ეტეოდა შიგნით, ფული დასალევზეც რჩებოდათ მერე და დროდადრო ჩვენი ქირის ვალსაც ისტუმრებდნენ ხოლმე. იტოგში, არ იყვნენ უცხოები. რას ვამბობდი: შევედით მე და ალექსა, ჩვენი ბარგიც შევათრიეთ და მიხედ-მოხედვა ვერ მოვასწარით, რომ უცებ კუთხიდან ორი-სამი კაცი წამოხტა, ჩვენს მთვრალს მივარდნენ, იქვე დივანზე წამოაგორეს და გახდა დაუწყეს სწრაფად, გაჭირვებული მამათმავლებივით, თან რაღაცას ღრიალებენ გახარებულები... მე და ალექსანდერი კი დაგვტოვეს პირღია, განძრევაც ვერ მოვასწარით და მერე ბიჭებმა აგვიხსნეს: მეორე დღეს რომ მეტალისტების ტუსოვკა ტარდებოდა, გაუგიათ საიდანღაც და აკრეფილა თურმე, რაღაც ქალაქის თუ დაბის სახელი თქვეს – იქაური ხუთი-ექვსი სული როკერი, შეაჯდნენ მატარებელს და წამოვიდნენ აქეთ. მატარებელში დაულევიათ მაგრად და ეს ერთი – მე და ალექსამ რომ გავაძრეთ, დაუკარგიათ სადღაც. რომ ვეღარ იპოვეს, დაადეს თავი და ტომაზინიოს სარეპეტიციოში მოვიდნენ, ნამყოფი იყო აქ ადრე რომელიღაც. მჯდარან ასე ტომაზინიოსთან და, გაღმა როგორც იტყვიან – დანა კბილს არ უხსნიდათ, თავიანთ ძმაკაცზე დარდობდნენ... და რატომ არ გლოვობდნენ და მოთქვამდნენ, იმიტომ რომ ამ ჩვენის მთვრალს მთელი ამათი სარჩო და საგზალი, ოციოდე პაპიროსი მარიხუანა ჰქონია დამალული და ფილტვმა უგრძნო ეტყობა ალექსას, თორემ რაც ჩვენ ეგრე გათხლეშილი ხალხი გვინახია და არც არაფერი, ჩაგვივლია.

მოკლედ, სამ-ოთხ საათზე გაგვეღვიძა სარეპეტიციოში. ერთი ეს ტიპი ეგდო გუშინდელივით, მე და ალექსმა რომ ვიპოვეთ და დრამის ქვეშ თავად ტომასა ხვრინავდა, სარეპეტიციოს პატრონი. გაკრეფილიყვნენ დანარჩენები. სხვათა შორის, წუხელ ეს ჩემისა ერთი გამოფხიზლება კი გამოფხიზლდა და სულ მუშტები ირტყა გულზე – ჩემზე მაგარი ბასგიტარისტისო, მაგრამ გიტარა დაიჭირა და ეგრევე შეეტყო რისი დამკვრელიც იყო, მერე ერთი ტარიანი მარტომ მოსწია – პახმელიაზე გამოყავსო და მოკვდა ისევ და მაგისმა ძმაკაცებმაც – ეგრე არისო სულ, ბასზე კი მართლა უკრავსო.

საიდ-მეტალისტების ტუსოვკაზე ნამყოფი ვიყავი რამდენჯერმე და იქ შეკრებილ სატანისტებზე, გოთებზე თუ ვიღაცა სადომაზოხისტებზე მეტად მაგათი მუსიკა მატკივებდა თავს, მაგრამ ალექსმა გაახურა – ალინაც იქნებაო და წავიდეთ-მეთქი. სადაც ახლა მივდიოდით, სწორედ იქ ნახა პირველად ალინა და დაერხა კიდევაც.

ალინა კი იყო გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის, მსოფლმხედველობის და ეროვნების არსება, ყველგან და ყველანაირი ფორმით რომ გადაეყრებოდი – დღეს თუ მეტროს ხიდის ქვეშ იჯდა დახეული ჯინსებით და ერთი წლის დაუბანელ ლესბიანკებთან და პანკებთან ერთად ტრიგანს ყლაპავდა და ზედ სპირტს აყოლებდა, მეორე დღეს რომელიმე ფეშენ-რესტორნიდან გამოსულს ნახავდი, მავან ჰალსტუხოსან ძიაკაცთან ერთად და თავადაც სოლიდურად გაზმანულს. ეს ჩემის ალინა ყველგან თან დაათრევდა თავის დას, ექვსიოდე წლის ლადას, ნესტოზე საყურე რომ ჰქონდა და მხარზე – ეტყობა უფრო ადრე გაკეთებული, სხეულის ზრდისაგან დეფორმირებული სვირინგი – ეკლიან მავთულშემოხვეული ბუმბული. ალინას მარიხუანა უყვარდა, ლადას კიდევ წებო, რომელსაც წეპოს ეძახდა და ერთხელ წებოს პრიხოდში გვითხრა: რუსაკები ვართ მე და ჩემი დაო, სულ თოვლია ჩვენკენ და პაპაჩემი და დათვები ერთად თევზაობენ მდინარეზე გაზაფხულობითო – პაპაჩემი აქეთა ნაპირზე, დათვები გაღმა და ჩემი თვალით მაქვს ამბავი ნანახიო. დათვებისა არ ვიცი, მაგრამ ლადას და, ალინა, გარეკვამდე უყვარდა ალექსანდერს – ჩემს ძმას და დიდ გიტარისტს.

გაცნობისთანავე, მაგრად რომ დავთვერით მე და ალექსა, მომიყვა მაგ ამბავს, მეც ჩემი ვუთხარი და მერე კარგა ხანს თვალს ვარი-

დებდით ერთმანეთს, იმიტომ რომ ვერ ვიტანდ სირულ გულის გადაფურჩქვნებს და ალექსიც ჩემსავით ყოფილა. მაშინ მომიყვა: დაუპატიჟებია ერთხელ რაშიდას თავისთან – მე არ ვიცნობდი რაშიდას მაშინ – გოგო გაუცნია და ამ გოგოსთვის უთქვამს, – ალექსაააო ეს, ჩვენიანი კაცი და აიყვანე ოთახში და პატივი ეცი შენებურადო. ალექსანდერს კი მოეწონა ის გოგო მაგრად, თან პუტანკურ ამბავში კი არა – ნაღდად მოეწონა და ერთი საათი მიმტკიცებდა, – იმასაც დავევასე, ისე მიყურებდაო. იმ გოგომ, ალინამ, უყურა ერთხანს გაბურძგნილ ალექსას და მერე ოთახის ნაცვლად სადღაც ბნელ ჩულანში შეიყვანა... და მჯდარან ასე ჩუმად, არც სექსი და არც არაფერი, მაგრამ ასე კარგად ჯერ გოგოს გვერდით არ ვყოფილვარ, ხომ გესმის, ჯიო, ძმურადო, – მიხსნიდა ალექსა და თავიდან მეგონა, რაღაც პარნუხას მოყვებოდა, გამიტყდა და ალესაც ეგრე უფიქრია თურმე იმ ბნელ ალაგას – ახლა პარნუხა თუ არ ავტეხე, ქინძი ან პიდრილა არ ვეგონოო და მანდ დარხევია კიდევაც, რადგან ასეთ ჟამს ფიქრი ყველაზე მურტალი ამბავია ოდითგანვე: ამ დროს რაც წამოიღებს, ის უნდა შეიყვანო ეგრევე, თუ არაფერმა წამოიღო და – დაიკიდო ზედ, დაიხურო ქუდი და წახვიდე შენს გზაზე. ალექსანდერს კი დაუწყია ძალად ხელის ფათური და ალინას უთქვამს: არ გინდაო, ალექს, ასე რომ ვზივართ, მე და შენ რომ ვზივართ, ეგ უფრო მისწორდებაო, თან ხელი ჩაუკიდია ბავშვივით. მჯდარან ასე იმ ბნელ სარდაფში, რაშიდას სახლის ღრიანცელებს უსმენდნენ და ალექსაც ბოლოს ყურებამდე შეყვარებული გამოვიდა იქიდან. მიყვებოდა ამას ალექსანდერი და მეც, ჩემდათავად და სოლიდარობის ნიშნად, – ვითომ შენი კარგად მესმის-მეთქი, – მოვუყევი რაღაც უაზრობას, ჩემს კურსელ მარისთან რომ ბობოქარი სექსი მქონდა ერთხელ, ოღონდ მესენჯერში – მაგარი იყო და შენ არ ინაღვლო, ხანდახან ესეთი სირობებიც უსწორდება-მეთქი კაცს... მოკლედ, ძალიან მთვრალი ვიყავი, თან ალესავით ღრმად შეყვარებულიც არ ვყოფილვარ არასდროს – სულ ვერ გავუგე ალექსანდერს და მახსოვს, მაშინ რატომღაც ისიც მივაყოლე გულაჩუყებულმა: – მეტრო რომ მიდის – ეგ ხმა, ბორბლების ხმა მიყვარს-მეთქი მაგრად.

როგორც წესი, აქ, ჩვენთან, არავინ არაფერს გეკითხება და არც არავის აინტერესებს, სანამ აქ მოხვდებოდი, ვინ იყავი და რას აკეთებდი. ერთმანეთის ნამდვილი სახელებიც კი არ ვიცოდით, გვარზე და წარმომავლობაზე რომ არაფერი ვთქვათ. უმრავლესობა, ვისაც რა გაუსწორდებოდა იმას ირქმევდა, მანდ მთავრდებოდა ყველაფერი და მერე შემთხვევით თუ გაიგებდი რამეს, ან თვითონ გეტყოდა, თუ მოუნდებოდა. მოკლედ, აქამდე ვინ იყავი და რა ხდებოდა შენს თავს, რაღაცნაირად, არ იყო მნიშვნელოვანი აქ. სიზმარს რომ მოუყვები კაცს, ცოტას გაერთობი და ორ წუთში აღარც გემახსოვრება – ასე იყო. მარკუსზე, მაგალითად, მარტო ის ვიცოდი, კონსერვატორიაში რომ სწავლობდა და სპიდი ჰქონდა, რომელიც სულ უბრალოდ, სადღაც საავადმყოფოში თუ პოლიკლინიკაში აიკიდა ბინძური შპრიცით, მაგრამ მარკუსიც და ჩვენც ისე ვიყავით, თითქოს არაფერიც არ სჭირდა და რომელ ცხოვრებაშიც აიკიდა, იქვე დატოვა თავისი სპიდი, ცუდი სიზმარივით... და უმრავლესობაც მარკუსივით ვიყავით პრინციპში: ყველამ სადღაც ჩვენ-ჩვენი სპიდი ავიკიდეთ, ან გვჭირდა დიდი ხანია, მივხვდით ამას და ალბათ ამიტომაც მოვედით აქ... ისეთებიც ბევრნი არიან, ლამის აქ რომ დაიბადნენ და აქვე მიაკვდებიან სადმე ბოთლს ან შპრიცს; სხვა ცხოვრების აზრზეც არ არიან და არც აინტერესებთ, ბოლომდე აქ არიან. ზოგისთვის კი ალბათ ეტაპივითაა ეს ყველაფერი და ხანდახან ვფიქრობ ხოლმე: უკვე მესამე წელია ასე ვარ, ალექსიც ერთი-ორი კვირის მოსული იყო მე რომ გავიცანი, და ხანდახან ვფიქრობ და სიმართლე ვთქვა, ცოტა ვფრთხები კიდეც: იქნებ ერთხელ ეს ყველაფერიც ისე ამომივიდეს ყელში, როგორც იქ ამომივიდა და აქაც აქაური სპიდი დამემართოს – მერე სად ჯანდაბაში წავიდე-მეთქი. ან შეიძლება მერე კიდევ გამოჩნდეს სხვა რაღაც, სხვა სამყარო, მანამდე რომ ვერც წარმოვიდგენდი ისეთი, როგორც ეს გამოჩნდა, სადაც ახლა ვცხოვრობ... მარკუსს კი მართლა სპიდი აქვს. საავადმყოფოში აიკიდა ბინძური შპრიცით.

ალექსის სპიდი უალექსოდაც ვიცოდი, ან მარტო მე კი არა – მთელმა ქალაქმა იცოდა მაგათი ამბავი: ალექსის სპიდი მისი ოჯახი იყო, დენთის გამოგონების დღიდან განგსტერული ხაზით რომ წამოვიდა და ალექსის პაპა და მერე მამაც იყვნენ გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტები, თავისი სროლებით, ზონებით და ბიზნესში წილებით და თვითონ ალესაც ერთი-ორი საფეხურიღა ჰქონდა დარჩენილი იმ ადგილამდე, მაგათ იერარქიაში უმაღლესად რომ ითვლება, როდესაც თავისი სპიდის ამბავს მიხვდა; მოკიდა ხელი გადამალულ გიტარას, რომელზეც ბავშვობიდან უკრავდა და მამამისმა ერთი-ორჯერ, სიმთვრალეში თუ კაიფში კედელზეც მიუმსხვრია და სანაცვლოდ სპეცშეკვეთით დამზადებული, თავიანთი საგვარეულოს საფირმო იარაღი – „ჩეზე“ აჩუქა, ვერცერთი აეროპორტის რენტგენი რომ ვერ შიფრავდა... ჰოდა, აიღო გიტარა ალექსამ, დამტვრეული ჩეზე მამამისის ოთახში დაყარა, მერე დაჰკრა ფეხი და აქ მოვიდა, მამაოსთან. მამაო კიდევ დარაჯივით იყო: აქ მომსვლელებს, ვისაც საჭიროდ ჩათვლიდა ერთმანეთს რომ აცნობდა და თავ-თავიანთ ადგილებზე ანაწილებდა. სწორედ მამაომ გამაცნო ალექსანდერი და ნეა და მარკუსიც მამაოს გამოუშვია ჩვენთან. ისე მამაოს გარეშეც ბევრი დაყიალებს აქ თავისთვის. ზოგმა ჩვენსავით რაღაც ისეთი იპოვა, რაც იქ აკლდა და კარგადაა და მოსწონს ეს ყველაფერი, ზოგიც ვერ იტანს აქაურობას, მაგრამ აღარ აქვს სხვა გზა... ასე-

თები ვერც ჩვენ გვიტანენ და ვერც ერთმანეთს; აქ თუ სადმე ჩხუბი და დანის ტრიალი ატყდა, ან ისინი არიან, ან გოგოები. ჩვენიანებიდან დროდადრო ვინმე მთვრალი პანკი თუ დაიმტვრევს ხოლმე თავზე ბოთლს და ეგაა.

რაშიდა კი იყო სრულიად დედაქალაქის გოთების თუ სატანისტების თუ სადომაზოხისტების, მოკლედ, ერთი ყვერიდან გამოსული ხალხის მთავარი და მაყურებელი, ოხრად ფული რომ ჰქონდა, მოეპოვებოდა ყველაზე ძნელად საშოვნელი ნარკოტიკები და უმაგრესი ქალები, რომელთა მეშვეობითაც ისე ჰყავდა დასირებული თავისიანები – ერთხელ ჩემი თვალითა ვნახე, ხელზე როგორ კოცნიდნენ მღვდელივით. სინამდვილეში კი ერთი ჩათლახი ოპერატორი იყო რაშიდა, მთელი დღეები რაღაც სირი ტელევიზიის ლოგოიან კამერას დაარბენინებდა აღმა-დაღმა და ამ დროს ისეთი უწყინარი და სანდო იერი ჰქონდა, ლოყაზე ჩქმეტა მოგინდებოდა კაცს.

ჰოდა, ამ რაშიდას ჰქონდა თუ ქირაობდა, რა ვიცი მე, იტოგში წელიწადში რამდენჯერმე ქალაქგარეთ ჩითავდა დიდ, გალავნიან სახლს, რომლის პირველი, მიწისქვეშა სართული – ერთი დიდი ოთახი თუ დარბაზი, გამოტენილი იყო მუთაქებით და პუფებით, უშველებელი დინამიკებით და ჭერზე დამონტაჟებული კამერებით და კედელთან მიმდგარ მაგიდაზე, შვედურ ამბავში, ყოველთვის ბლომად ეყარა ჯიზპატის კალიკები – ექსტაზის ნაირსახეობაა ეგ და, სახელწოდებიდან გამომდინარე, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად ვიაგრის ეფექტიც აბადია, – გასახმობი მწვანილივით გაშლილი მარიხუანა და ძვირიანი დასალევით სავსე ყუთები, და ამ ყველაფერს აფერადებდა ნეონის განათება, სიტუაციის და რაშიდას სურვილისდა მიხედვით – სხვადასხვა ფერებში. მოკლედ, კამერები და ეს კრეტინული მუსიკა რომ არა, კი გაერთობოდა კაცი გემოზე, თან, რაც მთავარია, მთელ სახლში ზევით-ქვევით მოძრაობდნენ რაშიდას ქალები: ისეთი ქალები, რომლებზე დანძრევაც არ უოცნებია ბევრს, არათუ გაჟიმვა და ამ ხელებდაცვეთილ ლაწირაკებსაც მეტი რა უნდოდათ, – ხელზე კი არა, რატომ ტრაკზე არ კოცნიდნენ რაშიდას.

ზემოთ კი ოთახებიც იყო და ავეჯიც, არც კამერები ეყენა და აქ შეიძლებოდა გადაჰყროდი უფრო სერიოზულ ნარკოტიკებს და ჰალსტუხმოშვებულ ძიაკაცებს, დღისით ენამამულზე თუ სარწმუნოებაზე რომ ღრიალებდნენ ეკრანებიდან და სრულიად ქვეყნის გამოქლიავებული მოსახლეობის გულებს ათრთოლებდნენ ეროვნულ ამბავში, საღამოს კი რაშიდას სახლში, მავან დაბოლილ თინეიჯერს მიათრევდნენ ოთახში, სულ ერთია ბიჭს თუ გოგოს, და უბლაგუნებდნენ გემოზე.

ბასისტი იქვე დავტოვეთ და ალექსანდერი მეკითხება, – წვერი რომ გავიპარსო, თუ მომიხდება ნეტაო. მერე ტომასას სახლში შევიდა, იქიდან მართლა წვერგაპარსული გამოვიდა და ახლა იმაზე გამიხურა, ნიკაპი ხომ არ გამომიჩნდაო გრძელი. მე რა უნდა მეთქვა, ნეი მარკუსის ქალი იყო და ჩემდათავად სულ ფეხებზე მეკიდა, დაუბანელი რომ ვიყავი და წვერგაუპარსავი, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი დამეკიდა. ორი დღეა არცერთი მენახა და უკვე მენატრებოდა ნეი... და მარკუსიც რომ მენატრებოდა, ეგ ჩათლახი ეგა. ერთხელ წავიყვანეთ რაშიდასთან და ვერ იტანდნენ რაშიდას და იმ სახლს: მაშინ ნეის ვიღაც მთვრალი გოთი აეკიდა, ნეიმ აგინა, მარკუსი, როგორც ყოველთვის, გაწითლდა და მე და ალექსანდერს კინაღამ შემოგვაკვდა ცემაში ის ტიპი, მთვრალი იყო და მაგიტომ გადარჩა. არადა, ეგ საწყალი რა შუაში იყო – ერთმანეთის ქალებს რაშიდას სახლში ისე ატრიალებდნენ წაღმა-უკუღმა, როგორც არაფერი და პრინციპში მეც მისარგებლია ამ ამბით რამდენჯერმე და ცემა კი არა, ერთი აქეთ მეკითხებოდა მერე, ჩემს ქალს ხომ მაგარი მოჭერა აქვსო... მაგრამ ნეი ნეი იყო და მივქარეთ საერთოდ, მანდ რომ წავიყვანეთ. რაშიდასაც გაუტყდა მაშინ: პირდაპირ გვითხრა, შარი არ მჭირდებაო აქ – თუ ერთობით, გაერთეთ, თუ არადა პლეტიო. რაშიდს ალინა ჰყავდა, ალინა კიდევ ალეს უყვარდა და მიხვდა მაგას რაშიდა, იმასაც მიხვდა, რომ ალექსი ათასი წელი არ იტყოდა, პუტანკა მიყვარსო, თან რაშიდას პუტანკა – ეგეთი ტიპი იყო და რომც ეთქვა, ვინმე თავისიანი იქითა ცხოვრებიდან მოძებნიდა და მიჩეხავდა ალექსას; ისედაც ველარ იტანდნენ უკვე, ახლა დაჭრით თუ არა, გაძუყნიდნენ მაინც უეჭველი და ეს ყველაფერი რომ მოწვა რაშიდამ, მაგიტომაც გაუშინაურდა ალექსანდერს, თორემ ადრე – პლეტიო, ვერ გვეტყოდა ასი წელი, იცოდა ალექსის გაღმურ-შავური ამბავი და ეშინოდა და გვეტენებოდა ყოველთვის.

ნეი და მარკუსი კი ამაღამ ალბათ ჩვენს კარუსელზე გაათენებენ, დალევენ, ძაღლებს ეთამაშებიან და შეიძლება მეც მოვენატრო... შეიძლება ნეის და მარკოს მე და ალეც მოვენატროთ ღამე, რომ დათვრებიან. უთავო მხედარიც თავის პოსტზე დადგება, მთვარე თუ იქნა, მთვარის შუქზე და უცებ მეც იქ მომინდა ყოფნა და გავბრაზდი ალექსზე და იმ ბოზ ალინაზე, მაგრამ ალე მარკოზე და ნეიზე მაგრად მიყვარდა და ვუთხარი:

– არ უნდა გაგეპარსა, ნიკაპი სირივით გამოგეწია, ბრატ.

* * *

აქ რაც უფრო შეუმჩნევლად ამოხვალ, უკეთესია და მანქანის შემოყენებაც შარია. მე და ალექსმაც გადავუხვიეთ ტრასიდან და ტყეში შევედით, ათიოდე წუთი ასე ვიარეთ და მინდვრის პირას გავჩერდით, იქაურობა დავალიერეთ. რაშიდას სახლიც რაშიდასნაირი ტიპია; დგას თავისთვის მინდვრის ბოლოს მშვიდობიანი აგარაკივით, თეთრი და ჟალუზებიანი, იქითა მხრიდან ქალაქს გადაჰყურებს და აქედან რომ შეხედო, არც ისმის და არც ჩანს რა-

იმე, გეგონება არ არისო შიგნით კაციშვილი და ზედ რომ მიადგები, მარტო მაშინ გაიგებ ოდნავ ბასავიკების გუგუნს. გვიან ღამით თუ გამოეფინებიან ხოლმე ეზოში და აივნებზე, როდესაც რაშიდა კარგად დარწმუნდება, რომ – თუ მომსვლელი იყო, ანტიქრისტე გამოჩნდებოდა აქამდეც...

ანტიქრისტეს კი იმიტომ ეძახდნენ ანტიქრისტეს, თვითონ რომ ღრიალებდა მაგას. კინოებში და წიგნებში ნაგიჟარი ფანატიკოსი და ანაფორიანი კლიენტები რომ არიან, ყველგან ეჩრებიან და ყველაფერს აფუჭებენ – ეგეთი იყო ზუსტად, ოღონდ ამასაც მარკოსავით ბავშვური, მრგვალი თვალები ჰქონდა და წითელი ლოყები, ასაკითაც გაწელე-გამოწელე ოცდაათის თუ იქნებოდა. მოკლედ, ეგ ანაფორა რომ არა, ცული, თოხი და მაგისი ჯანი – ჰალალი სოფლელი და იქვე სოფლის მღვდელი და ვინც მოყვებოდა – მოყოლით კი მთელი სოფელი აქ მოდგებოდა ხოლმე, მართლა ცულები და თოხები ეჭირათ, ქალსაც და კაცსაც და ყველა ანტიქრისტეს, სატანის მოციქულს და რაღაც ეგეთებს გაყვიროდა, თან ჭიშკარს ეჩალიჩებოდნენ და რაც კი რამ დამპალი მოეძევებოდათ სოფელში, ყველაფერს რაშიდას სახლს უშენდნენ და გემოზე აფერადებდნენ. ერთხელ მძღნერებიც იყო ჭიშკარზე და წაუსვეს თუ ეგრევე მიუშვეს, რავიცი მე... იტოგში, არ იყო ცუდი ხალხი. საიდან იგებდნენ რაშიდას ამბავს, აზრზე არა ვარ, მაგრამ ხანდახან მოცვივდებოდნენ და იყვნენ ასე. მენტები კი რაშიდაზე მეტად სძულდათ; რაშიდას სულ ეკიდა ძაღლობა, არ ვიცი ნაცნობობის თუ დიდი წილების გამო თუ საერთოდ არ იცოდნენ რაშიდას გრუპავუხები და მაგისთვის არცა სცხელოდათ – უფრო დიდი ამბები ტრიალებდა ქვეყანაში და ერთი-ორჯერ რომ მოვარდნენ, მაშინაც ანტიქრისტეს და მაგისიანებს დაერივნენ, ამათ კიდევ მენტობასაც ანტიქრისტეები უძახეს, თოხებიც დააბზრიალეს და მაგარი სეირი იქნებოდა, ჩვენ მაშინ იქ არ ვიყავით და ბიჭები გვიყვებოდნენ.

განწყობისათვის ცოტა მარიხუანა მოვწიეთ იქვე ხესთან, მერე კუილებივით გადავიპარეთ მინდორზე და ზარს მივაჭირე.

ცოტა ხანში მიკროფონში მოისმა კარგა ღრმად ჩამბალი ხმა:

– ალო!

პეტო იყო, რაშიდას დამქაში და მისი მოციქული ჭიშკრის მიდამოებში.

– ალო კი არა გააღე დროზე! – შეუძახა ალექსამ, თან აქეთ-იქით იხედება.

– რომ გავაღო, ვინა ხარ რო?

ეგ ბოზიშვილი. არადა კამერით გვიყურებს. მაგრამ ახლა ამის გინებას რა აზრი აქვს, ღრმადაა უკვე.

– ბრატვა ვართ პეტროს, მე და ალექსი ვართ, – ვუთხარი მე.

– ჯიო ხარ? მერე რა ჭირს შენს ძმაკაცს, ალაფურშეტზე მოდის?

თან რომ გვეკაიფება.

– მე შენი დამსმელი! – განრისხდა ალექსანდერი, წვერგაპარსული და შეყვარებული გააღე-მეთქი, საქმე მაქვს რაშიდასთან!

– ეხლავე, ჰოუ, რა იყო! – აქ პეტოს, ეტყობა, ალეს წინა ცხოვრება გაახსენდა, ჭიშკარი გაჩხაკუნდა და შეევედით.

ნარწყევით, ბიჩოკებით და ბოთლის ნამტვრევებით ოდნავ შევსებულ აუზთან, გულის ფორმა რომ ჰქონდა, დიპლომატისნომრებიანი ყვითელი ჯიპი ეყენა.

– ეგ რა არის, პეტროს? – ვკითხე ეზოში გამოსულ პეტოს.

– გუშინ ვიაიპი ტუსოვკა იყო და ვერ მოვასწარით ასუფთავება, – თქვა პეტომ და დაბოყინა.

– მანქანაზე გეუბნება, კვერცხო! – უთხრა ალექსმა.

პეტომ მანქანას შეხედა და ხელები მოიფშვნიტა.

– ეგა? მაგას არ ვამბობ მერე, გუშინდელი ამბავია-მეთქი. შენ წეღან გენახა რა მანქანა გავიდა, ჰეჰე...

– ანტიქრისტემ არ ჩაგიჯვათ მერე? – სახლი შევათვალიერე.

– სად მოასწრებდა, ღამის სამ საათზე შეგვყარა რაშიდამ; ვიღაც უცხოელები ყავდა და პატივი ვცეთო. კაი ქალიც მოხსნა იმან, წეღან რომ წავიდა, – პეტოს გაეცინა, – რაშიდამ კალიკი მისცა და მთელი ღამე სახლის გარშემო დარბოდა გორილასავით, თან ზურგზე ნაშა ჰყავდა მოკიდებული. დილით ჩააგდო მანქანაში და წაიყვანა თან... ალექს და, წვერი რა პონტში გაიპარსე ა? ნიკაპი იმასავით გამოგეწია...

ალექსი ზედ მიადგა:

– რასავით, ბიჭო!

– აი, იმასავით... – დაიბნა პეტო და ნიკაპზე მოისვა ხელი ბრძენკაცივით, – ის რომ არი, მოკლედ არ გიხდება და ეგაა. ჰა, აღარ შემოდიხართ? თქვენიანებიც არიან...

პეტომ კარები შეაღო, განავლისსუნიან ჰოლში შევედით და წამოიღო კიდევაც ბასების დაგუდულმა გუგუნმა.

– ვიღაც ქლიავმა ერთი ლისტი კოდეინი ჭამა, გამხსნელი დაავიწყდა და გაჭედა მაგრად, – გვიყვებოდა გზადაგზა პეტო, – მერე პანიკაში ჩავარდა, ტრაწი დაემართა და გარეთ რომ ვერ გამოაგნო, მალალეტკებს ჩაუვარდა დაბლა, იქ კიდევ ფოსფორწასმული ვალერა გაეჩითა და უარესად დაერხა – ისინიც ხომ დააპანიკა და ესეც ძლივს დავაწყნარეთ, ბლიად.

– არაყი უნდა მიგეშვათ, – ერთდროულად ვთქვით მე და ალექსანდერმა და გაგვეცინა.

– არაყი დაბრიდავდა, სუპრასტინი და სოდა მიცა რაშიდამ და უშველა, – გვითხრა პეტომ და გაგვაჩერა, – აგერ დივანზე გდია. ნახე რა სუნი ასდის, შობელძაღლს.

– ვერ გააგდეთ მერე... – მართლა რას ყარდა, ღორიშვილი. ცხვირზე მივიჭირე ხელი.

– გარეთ შარია და ეგდოსო მანდ, რაშიდამ. თან, ვისთანაც ეგ არის, დიდი ფაქტით არიან მოსულები.

– ჰოო?

და ამ დროს გაიბრწყინა ტვინმა: დივანისკენ წავედი, დავხედე და მანდ წამომიღო კეფაში მინდვრისპირულმა – რომ დავიწყე სიცილი, ველარ გავჩერდი, ჩავიკუზე და ეგრე ვიცინოდი გიჟივით, მოვიდა ალექსი და უცებ გაუხსნა იმასაც და პეტოს რაღა აცინებდა, იმ ჩემანდრელას, და ვიჯექით ასე ყველა ძღნერისსუნიან ჰოლში და ვსლოკინებდით კარგა ხანს, იმიტომ რომ დივანზე იდო ჩვენი ბასგიტარისტი, წეღან ტომასასთან რომ დავტოვეთ – ეგა, შიკრიკი ღმერთის, ჰერმესის უკანონო შვილი თუ ნათესავი სისწრაფის ამბავში და თავისი მორიგი სიკვდილის წიაღში, როგორც ყოველთვის, ძმებისგან მიტოვებული და აყროლებული...

სადაც ჩვენ შევედით, იქ მსუბუქი როკი იყო ჩართული, თან დაბალ ხმაზე და მივხვდი, რომ არ იყვნენ დიდი ხნის მოსულები. მწერალი და ბიჭები ღვიძლის სარეპეტიციოდან ერთად იჯდნენ და ჩვენც იქით წავედით.

ეს მწერალი ხომ აგდია ყველგან და ახლაც ზის აგერ, როგორც ყოველთვის, ნეტარი გამომეტყველებით და რაშიდას ქალებს უყურებს ბაყვებზე. ფხიზელი არ მიყვარს ეგ კაცი, სულ რაღაცას გვეკითხება და ტვინს გვიბურღავს, მაგრამ პერედოზის ჟამს დიდ საქმეებს ატრიალებს და ამ დროს არაფერი ჯობს მაგის ყურებას: რომ ამოაგდებს ბალაყანს და დასდევს სკვერებში გოგოებს, ეგრე ბალაყანამოგდებული, როგორც ახურუშებული პანი ნიმფებს და სადაც კივილ-წივილია, იმ მიდამოებში თავისთავად იგულისხმება ხოლმე მწერალიც, მხიარული ექსჰიბიციონისტი. რომ ჩხაპნიდა რაღაცეებს ბლოკნოტში, კი ვხედავდი, მაგრამ ბევრი ჩხაპნის აქ მასე და გვეკიდა მაგრად, სანამ ერთხელ ვიღაც კამერა-მიკროფონიანი კლიენტები არ დაგვადგნენ თავზე და გაიგიჟეს თავი – აბა მწერალიო. ნეიმ – სადღაც აქვე ეგდება მთვრალიო და სულ ავარდნენ ესენი, ჟურნალისტები – სად არის, გვანახეთ და ოცი ბაგსი აგერო, და აგინა ნეიმ და კარგიც ქნა: ჩვენიანია მწერალი მაინც, თან მაშინ მოსაწევიც გვედო და ვოტკაც ზემოდან, თავისი ლიმონიანად, რა სირად გვინდოდა მაგათი ოცი ბაგსი... მერე კი ჩავფიქრდით ამბავზე, მაგრამ ჩვენიანიამეთქი მწერალი, არაა ცუდი კაცი.

– და აი, შემოგვიერთდნენ ფსევდო-ბიტნიკებიც! – თქვა მწერალმა, – მასწევთ ბიჭებო?

– გააძრე, – ჩაიბურტყუნა ალექსმა და დავჯექით.

– გაიპარსე თუ გაგცვივდა? – მზრუნველად შეეკითხა ჩუი, ალაგ-ალაგ ჩვენი დრამერი და გვერდით მიუჯდა.

აუუ! რა დაეწევა ახლა ამას... ალექსმაც იქიდან – წადიშენიო, ხელი ჩაუქნია.

ჩუი კი იყო ჩუი, ჟირაფზე ოდნავ დაბალი და თვალებგადმოკარკლული ძმაილა ჩვენი, თანაც ალი-კვალი თუ პროტოტიპი ერთი ძველი ფილმის პერსონაჟისა. ის პერსონაჟიც მაღალია და ნაგიჟარი და ჩვენი ჩუიც მარადჟამს დრამის ჯოხებს ატრიალებს თითებში, სულ დაწყლულებული რომ აქვს, თეთრი პლასტირებიც ახვევია ზედ და უკრავს ჩუი ყველაფერზე, რაც შემოხვდება: კედლებზე და ყუთებზე, ქალებზე, ბოთლებზე და საკუთარ ღიპზე, თან წამდაუწუმ ემტვრევა ჯოხები და სათადარიგოებიც უძევს უკანა ჯიბეში. მეორე ჯიბით კი დააქვს პასპორტი, სადაც ჩარტყმულია ლამის ნახევარი მსოფლიოს ვიზები: ჩუის წინა სპორტული ცხოვრების დასტური და მისი ამჟამინდელი ტარიანების და ჩაკიდულების მთავარი თემა და ფონი, არსი და საბაბი. კალათბურთის და დრამის ზემოთ, ქვემოთ და გარშემო ჰკიდია პლანეტა ჩუის და ზეპირად გეტყვის, რომელმა კალათბურთელმა რომელ წელს სად გააკუა. ხიხოსავით მიამიტი და გულუბრყვილო კაცია ჩუი და ამიტომ, ვისაც არ ეზარება, ყველა ეკაიფება, აგოიმებს და ამასაც სჯერა ყველაფერი, არ უტყდება და არის ეგრე. გაბრაზებული ჩუი ერთხელ ვნახე ცხოვრებაში და არ მენახა ნეტავ... მაშინ შეყვარებული ყავდა, თამარა და იმან დამართა ამბავი:

გაფუჭებულ მიქშერს შეგვპირდა ერთხელ ტიპი, ვდგავართ იმის სადარბაზოსთან მე და ჰაკერები და ველოდებით. ჰაკერები იყვნენ ტყუპი ძმები, საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდიაც ჰქონდათ და მაგათ ამბავსაც ვიტყვი მერე... ვართ ასე და უცებ მოსახვევში შავმა ბეემვემ შემოაჭრა, კუთხეში ცარიელი ბუნკერი ააყირავა გემოზე და ჩვენ რომ გაგვცდა, რაღაც გამოაგდო ფანჯრიდან და იქითა ასახვევშიც ეგრე წუილით შეაჭრა. ერიჰას თქმაც ვერ მოვასწარით და ახლა თეთრი ნივა შემოვარდა, შუა ქუჩაში აყირავებულ ბუნკერს შუმახერივით ააცილა, კინაღამ ზედ გადაგვიარა და ეგეც ბეემვეს შეყვა ასახვევში. ბეემვეს დაბურული მინები ჰქონდა, ნივაში კიდევ კბილებდაკრეჭილი ოპერები იჯდნენ და ეგენი მანქანით კი არა, მიგალკას ხელში დაიჭერდნენ და შლოპანცებითაც გამოგეკიდებოდნენ და ჯოჯოხეთში ჩამოგყვებოდნენ, თუ დიდი ფულის ახევის სუნი დატრიალდებოდა ჰაერში; სუფთა ბრუს ვილისები და დიდი ახვარი ხალხი... უფრო პუსტა-პუსტა მენტები კი სადმე ბნელ ჩიხებში ხვრინავდნენ დანჯღრეულ და ფარებჩამქრალ მანქანებში და ვინმე ბედშავი ნარკამანი შემთხვევით თუ გადააწყდებოდათ, აუნთებდნენ უცებ ფარებს და სანამ ის აზრზე მოვიდოდა, გამოყოფდნენ ხელს და ეგრე ციყვებივით იჭერდნენ. პუსტა-პუსტები ძირითადად სოფლელები იყვნენ და ხანდახან თუ გამოგეკიდებოდნენ, ბავშვივით უხაროდათ ამბავი, ფანჯრებიდან თავგამოყოფილები კიოდნენ და იგინებოდნენ პაპუასებივით და თუ ვინიცობაა მაგათზე უარეს მანქანაში იჯექი, ან კოჭლი ტიპი იყავი და დაგიჭერდნენ, სულ რომ უკანასკნელი ბომჟი ყოფილიყავი, სანამ გაგძუყნიდნენ ჯერ მაინც თავიანთ პირადობის მოწმობას განახებდნენ დიდის ამბით, თან სიხარულისგან ცქმუტავდნენ. ჩვენ, გამოღმელებს რატომღაც ბევრს არაფერს გვერჩოდნენ; არ

ვიცი, რაღაც შინაგანი სოლიდარობის ძაფები იბმებოდა ჩვენ შორის თუ იცოდნენ, რომ მარიხუანა კი არა, კაცის მოჭრილი თავი რომც ეპოვათ ჩვენთვის, კაპიკის ჩამტანები არ ვიყავით არცერთი, არადა გაღმელებს სულ უმიზეზოდაც ცემდნენ და განყოფილებაში მიათრევდნენ წამდაუწუმ, კამათელიც რომ სდებოდათ ჯიბეში... ჩვენ კი მარტო პლანს წაგვართმევდნენ ხოლმე და სულ მიკვირდა, ერთ მანქანაში როგორ ეტეოდა ამდენი ხალხი და თუ კუდზე დამაჯდებოდნენ, ერთხანს არ გავრბოდი, ვუყურებდი და მაგრად ვკაიფობდი, მანქანიდან რომ გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ დაუსრულებლად.

მოკლედ, პუსტა-პუსტები არ იყვნენ ცუდი ხალხი და რას ვყვებოდი: გაქრა-მეთქი ბეემვე, ოპერებიც მიყვნენ და რუპორები და წივილი იქით უბანში რომ მიიკარგა, გავიდა ცალი ჰაკერი და პარკი შემოიტანა სადარბაზოში. პარკში იდო პირსახოცი, პირსახოცში ხოშიანი პაკეტი და ჰაკერებმაც ეგრევე თითები ტიკეს აქეთ-იქიდან, ღრძილებში გამოისვეს და სუფთა კოკაინი ყოფილა, თან იმდენი, ერთი კოდლა საძმაკაცო რომ შეაჯდებოდა ერთი თვე, ვინმე გნიდა ბარიგა კი შეზლონგზეც წამოწვებოდა სადმე ჰავაიზე. მე წამალს არ ვეტანებოდი, ათასში ერთხელ თუ გავსინჯავდი და ისიც იმათ ჯინაზე, ტვინს რომ ბურღავენ ხოლმე: – ეგ არ ქნათ, თორემ ტრუპები ხართ – შეაჯდებითო და კაცს თუ მაგაზე მაგარი ამბებიც აქვს ცხოვრებაში, თუ მთლად ტუტუცი არაა, იშვიათად შეჯდება ორი-სამი გასინჯვით. აგერ, ჰაკერებიც ხომ ეგრე არიან, როცა უნდათ მაშინ აჯდებიან და ჩამოდიან: ჰაკერებს თავიანთი ჯაზი აქვთ და დანარჩენი ყველაფერი თამაშია მაგათთვის. წამალი ძირითადად უსაქმურ ან მოწყენილ კლიენტს შეიყოლიებს ხოლმე, ან ვინმე შეშინებულ თინეიჯს, თვითდამკვიდრება და სტატუსი რომ სჭირდება წყალივით და რაც უფრო ბევრს აგინებ და უშლი, წამალზე მოჩალიჩე ტიპი მით უფრო მეტ პატივისცემას აღძრავს ასი წელი შტერ თინეიჯერებში. ისეთსაც ბევრს ვიცნობ, რომლის ადგილასაც შევჯდებოდი კი არა, უარესს ვიზამდი... ასეთები მიყვარს და პატივს ვცემ და მეცოდებიან თან... გაღმელი კრეტინი პრაფესორები კიდევ ყველას და ყველაფერს ერთ, საკუთარ ქვაბში ხარშავენ და მაგათ რომ უსმინო, ბერსაც კი მოუნდება გასინჯვა, ბლიად. მოკლედ, ალეს ბალახი უყვარდა, მარკოს არაყი ევასებოდა და ჰაკერებმა, ჩუიმ, მწერალმა, ნეიმ და კიდევ რამდენიმე ჩვენიანმა შემოდეს თაროზე ეგ პაკეტი და სანამ არ დაცალეს, ეგრე ცხვირდასიებულები დადიოდნენ. კოკაინი არ მქონდა გასინჯული და თავიდან მეც შევუყევი ნელ-ნელა, მაგრამ ერთი კვირის თავზე, რაც კი ცხვირ-პირში რეცეპტორები მებადა, გამიბანძა სუყველა, თან წამდაუწუმ უნდა გეყნოსა, რომ არ გამოსულიყავი და ბოლოს არაყს და წყალს რომ ვეღარ ვარჩევდი ერთმანეთისგან და ლიმონსაც ქაღალდის გემო გაუხდა, მივხვდი: არ იყო ეგ ჩემი ამბავი, – არადა, გემო და სუნია ნახევარი ცხოვრება და მერე აღარც გავკარებივარ საერთოდ.

ჰოდა, ვზივართ ერთხელ ასე ჰაკერებთან, მე, ალე და მარკო ფილმს ვუყურებთ ბრუსლის მონაწილეობით, – დაბოლილზე მაგრად მოაქვს ჩემის კუნგფუისტების ჭყავილს. ჰაკერები გვერდით ოთახში ეთერში არიან, ნეი ტუალეტშია და ჟურნალების მაგიდასთან ზიან ჩუი და თამარა. მე და ალე მოწეულები ვართ, თამარას ნაყნოსი აქვს და ახლა ჩუის უკეთებს კარტით კოკას ბილიკს, თან თვალს მიკრავს, იჭყანება შიგნაკრავივით და მეთქი პიზდეც – კაიფში ჩარჩა უეჭველი თამარა და დამირჩა ძმაკაცი უქალოდ... ვარ ასე და ამასობაში ჩუიმაც გაირჭო ცხვირში მილი და მოადგა იქიდან თავის ბილიკს, თამარა კი ისევ ნაგიჟარივით იღმიჭება. ბოლოს, როგორც იქნა ვისქესე: მანიშნებს თურმე ამბავს და მიხვედრაც ვერ მოვასწარი, რომ უცებ საიდანღაც ზიპო გააძრო თამარამ, ზედ ჩუის კოკას ბილიკთან გააჩხაკუნა და იფეთქა კიდევაც რაღაცამ, გემოზე დაიშხუილა და ჩუიმ სახიდან ცეცხლი და კვამლი გაჰყარა დრაკონივით, თამარა კი სკამიდან იატაკზე ჩაცურდა და იჭაჭება სიცილით. ხმაურზე ოთახიდან ჰაკერებიც გამოვარდნენ, მივედით ყველა და ვხედავ, – ჩუის ცხვირი ვედროსავით აქვს, ნესტოებიდან ცოტა სისხლი და კვამლი გამოსდის ახალნასროლი თოფივით და დგას ასე გაშეშებული. ჩუი ალეზე და მარკოზე ნაკლებად არ მიყვარდა და მაგრად შევწუხდი და გამიტყდა, თან აზრზე არა ვარ, რა მოხდა, მაგრამ იქით თამარა იცინის, მეც კარგი პლანი მაქვს მოწეული და რა ვქნა, როგორც იტყვიან – თავს ზეით ძალა არაა და ვხარხარებ მეც ეგრე, დამწუხრებული და ამყვა ალექსაც, ჰაკერები კი პაპის დანატოვარ, ზოლად ჩამწვარ-გაშავებულ მაგიდას დაჰყურებენ უაზროდ, ცხვირს ისრისავენ და სწორედ აქ იწყება არაკი ჩუის დიდი განრისხებისა: უცებ თავის შეყვარებულს, თამარას რომ მიახტა კალიასავით და კაცებს რომ ცემენ ხოლმე, ისე დაუწყო ცემა; თავისი ორმოცდაშვიდნომრიანი კედები სულ სახეში აზილა და მე და ალექსა რომ გასაშველებლად მივედით, დაგვანათა ჩვენც თითო-თითო, მერე ჰაკერებისკენ გაეშურა და როგორია, ორმეტრანახევრიანი კაცის მუშტი რომ მოგხვდება და ვყრივართ ასე ოთახში სოკოებივით, ჩუი კი დაბოტებს აქეთ-იქით და გვირტყამს, ვისაც ფეხს წამოსდებს, თან ნესტოებიდან სისხლი ასხამს, მთელ ხმაზე გვაგინებს და ბოლოს სადღაც გავარდა ეგრე, გინებ-გინებით... თურმე ამ ჩემის თამარას გაუხსნია საახალწლო პეტარდა – იქაც მერე ვნახე, რაღაც უკუღმართი თეთრი ფერის დენთი რომ ყრია, და კოკას კი არა – იმ დენთის ბილიკისთვის მიუცია ცეცხლი მუყაით მეზარბაზნესავით და კიდევ კარგად გადარჩა ჩუი, ტვინი რომ არ გამოეწვა... ამ ამბის შემდეგ თამარა ჩუის დაშორდა და რაშიდასთან გადაბარგდა, ჩუი კი ისევ ისეთი გულუბრყვილო კაცია და ცხვირზე რომ შრამი აქვს, ეგეც უხდება.

ჩუის ნახვა თუ გინდა, ნახავ ღვიძლის ბიჭების სარეპეტიციოში, პატარა რომ არის, თან დაბალჭერიანი და კარზე დიდი ასოებით აწერია „ღვიძლი“. აქ ჩუის გარდა ერთი ასვატიანი დინამიკის თავზე შეიძლება გადაეყარო კატას, რომელიც თავიდან ფიტული მეგონა და რომ დამპორჭყნა შუა რეპეტიციის დროს, მერე მივხვდი, – ნაღდი კატა ყოფილა, ოღონდ გარემოში ღრმად ადაპტირებული, მანაგუ-აგარეულ რძეზე გაზრდილი და მეორე ასვატიანზე ჰაიჰარად შემოდებულია ბრტყელი და ხაკისფერი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, თევზის კონსერვს რომ ჰგავს და ვიბრაციაზე ფეთქდება. ასვატიანზეა-მეთქი შემოდებული და ვადაგასულია, ძველია ალბათ, მაგრამ ახალიაო და მართლა ახალივით რომაა, ეგ ზეთიანი... მოკლედ, მამალი გიჟები, არადა წყნარ მუსიკას უბერავენ – ქანთრის, ბლუზს და ფატალისტები ვართ კატიანადო, ნაღდ მუსიკას რომ ვუბერავთ, იმიტომ არ ვფეთქდებითო. მანდ ტრეშიც შეგვიყვანია გემოზე და ნალმისა არაფერი მწამს, მაგრამ ის წყეული კატა რომ დაგვჩხავლებს ხოლმე დროდადრო ბექვოკალში და ფანჯრებიც რომ არაა, ეგ არ მიყვარს. თან, ეს ამბავი ტრიალებს თექვსმეტსართულიანის სხვენში, სადაც ხშირად ჭედავს ლიფტი. ხანდახან სარეპეტიციოს მოადგება ერთი მართლა გიჟი დედაბერი, ამათი მეზობელი და მაგის ღრიალი ექოებად ისმის სადარბაზოში: ჩემი სუშილკიდან გამოეთრიეთ ყველანი, თორემ ცეცხლს მიგცემთ დედაწულიანადო. ამ სხვენზე თურმე სარეცხს აშრობდა ადრე, კომუნისტების დროს და ახლაც წამოუღებენ ხოლმე წარსულის აჩრდილები.

თვითონ ბიჭები კი, ჩუი და ტყუპი ძმები, რომლებსაც ძმებ ჰაკერებს ვეძახით ყველა და მართლაც მაგრად ერკვევიან კომპიუტერებში და საერთოდ, ყველანაირ აპარატურაში – თავიანთი სარეპეტიციოს ქვეშ, მეთექვსმეტე სართულზე ბინადრობენ. სახლიც და სარეპეტიციოც ტყუპებისაა და უსახლკარო ჩუიც ისე ჰყავთ შეკედლებული. თუმცა რაღა ჩუი, – მაგათთან ცხრა კაცზე ნაკლები არასდროს მინახავს, არც დღისით და არც ღამით, და ზამთარში მე, ალეს ნეის და მარკოსაც მრავალი ღამე გვითენებია მანდ. აქ კედლებზე ლამის ჭერამდეა ასული ნაირ-ნაირი მოქმედი თუ გამოშიგნული აპარატურა და ციმციმებენ სხვადასხვა ჯურის ეკრანები – კომპების თუ ტელევიზორების. აქვეა რაღაც ხმის ჩამწერი სტუდიის აგვარი, ოღონდ არსად ჩანს ჰერმეტული კამერა მიკროფონისთვის, როგორც ნაღდ სტუდიებშია და თავად მიკროფონზეც მავთულებითაა მიმაგრებული დაგლეჯილი გუბკა – ვითომ ფილტრია, მაგრამ მაინც უძლიერესად აკეთებენ ჰაკერები ხმის რეჟისურას და მასტერინგს და პაპსავიკების რიგიც უდგათ ხანდახან – როცა ძალიან უჭირთ. ისე მარტო თავიანთ მუსიკას ჩალიჩობენ და ვინც მაგათნაირს უბერავს, იმასაც ზედ გადაყვებიან – ქანთრის, ბლუზის და ჯაზის ამბავში. ჩვენც გვითხრეს ტყუპებმა ერთხელ: არც დაკვრა იცით და არც ხმა გივარგათ, მაგრამ რაღაც ნაღდი მოაქვსო თქვენს მუსიკას და აგერ სტუდია და ემაგერ რადიოც ზემოდანო; საკუთარი რადიოც იქვე აქვთ, რომელსაც გავრცელების დიაპაზონი აქვს ერთი-ორი კილომეტრი და იმასაც ძლივს დაიჭერ ისე, სუფთად, რომ არ იხრიალოს. ღამე ეთერში რეკავენ ვიღაც ბედნიერი კლიენტები და სულ ბედნიერულ თემებზე ბაზრობენ, ან ჯაზზე და ბლუზზე და ტყუპებიც, ეს ჩემისები, თან ჩუიც რომ დაემსგავსათ, სულ ეგეთი – ბედნიერი სიფათებით დადიან ფხიზლებიც და ისეც და რა უხარიათ ან ღვიძლი რატომ ქვია მაგათ ჯგუფს, აზრზე არა ვარ, არც მაინტერესებს და რადიო და პოპულარობა ხომ ათასი წელი ზედ გვახატია, მამაოს კლუბშიც ისე გამოვდივართ ხოლმე, ჩვენთვის ვახურებთ. ერთი ნეი გვიჩმახებს, – ყოველთვის ეგრე პოხუისტურად ხომ ვერ დავუკრავთო, ეგება-და გავქაჩოთო და გვიწყალებს გულს... ზამთარში კი მიყვარს მაგრად „ღვიძლი“: რომ შედიხარ და რაც არ უნდა ხალხით იყოს სავსე, არც ყვირილია და არც ღრიანცელი, თითქოს ტყუპების წყნარი ხასიათი გადაედოო ყველას, და სულ რაღაც თუხთუხებს დენის პლიტაზე – ან რამე საჭმელი, ან ნარკატა და თბილა სახლშიც და გულშიც...

რას ვყვებოდი: ვიჯექით ასე რაშიდასთან, ალექსანდერი თავის გოგოს ეძებდა თვალებით და მე ხალხს ვალივერებდი, ჯერ კუტოკებად რომ იჯდნენ და თავისთვის ახურებდნენ. თავიდან ყოველთვის ასე ხდება და მერე ირევა მონასტერი... დღეს რაღაც ბევრნი არ ჩანდნენ, ყოველ შემთხვევაში ამ სართულზე და შეიძლება დაბლა იყვნენ, თორემ ზემოთ რაშიდა მარტო რამდენიმე თავისიანს თუ უშვებდა. რაშიდას ორი ქალი, თამარა და პრია, ხან ზემოთ – კიბეზე ადიოდნენ, ხან ჩაგვივლიდნენ, მიწისქვეშა დარბაზში ჩადიოდნენ და მწერლის სული დაყვებოდათ თან. ალბათ ზევით იყო რაშიდა და ესენი სიტუაციებს უყვებოდნენ. დანარჩენი ქალები ან ვერ ვიცანი და ან ახლები იყვნენ, ალინა კი საერთოდ არ ჩანდა და ანერვიულდა ალექსი – მაგის ლავსთორი აქ მარტო მე ვიცოდი და სხვას ასი წელი არაფერს ჰკითხავდა. ერთ კუთხეში ვიღაც ჰალსტუხმოშვებულ ძიაკაცს ეძინა თუ აკიმარებდა, ამ დახეულ ხალხში მაგრა საინტერესოდ მოჩანდა და რომ ვუყურებდი, წეღანდელმა მინდვრისპირულმაც წამოაჩოჩა ცოტა, უკანასკნელი და სუსტი წამოღებით და მეც ჩემთვის ვხითხითებდი გოიმი ბერიკაციკით. აქაურს არ ჰგავდა და ეტყობა ,პეტომ რომ მოგვიყვა, იმ ამბიდან შემორჩენილი რაშიდას უცხოელი იყო.

უცბად წამოვდექი და ალექსს ვუთხარი:

– აბა დაბლა ვნახოთ, რა ხდება. თან შეიძლება ალინაც იქ იყოს.

სულ დამავიწყდა ალეს ჭირ-ვარამი.

– არ იქნება და მაგის დედაც არ ვატირე, რაში მაინტერესებს ალინა, – უდარდელად წაილაპარაკა ალექსმა და წვერგაპარსულზე

ავღანური ჰაშიშის ფერი დაედო, თან გაიხედგამოიხედა, მაგრამ ბიჭებს რომც გაეგოთ, გაეგოთ კი არადა საქორწინო ეტლში რომ ენახათ ჩახუტებულები ალინა და ალექსა, ერთს დაუკრავდნენ ტაშს და ორ წამში დაავიწყდებოდათ კიდეც და ეგრეც არის: აქ ვისაც რა და ვინ გაუსწორდება, იმას შეიყვარებს, გოგოს, ხეს თუ თხუნელას და არცაა პრობლემა და სხვისი საქმე. ახლაც არ განძრეულან ბიჭები. ერთი მწერალმა გამოიხედა ცოტა და ეგ იყო.

– ჩავალ და ამოვალ მალე, – ალექსს თვალი ავარიდე და კიბისკენ წავედი, თან გზაში აქეთ-იქით ჩვენიანებს შევეხმიანე. უმრავლესობა საერთოდ ვერ ვიცანი, მაგრამ ჩვენ ძმა მეტალისტებთან ერთად იყვნენ და მეტალის ხალხი იქნებოდნენ ისინიც. ბართან ვიღაც გოგოს მოწოდებულ ბონგს მოკლე ნაფაზი ამოვარტყი და კიბეზე ჩავედი; მოკლე იმიტომ, რომ ეგრევე ხამივით დაბოლება და დათრობა არ მიყვარდა, ჯერ ქვეყანა უნდა მენახა...

დაბლა ღია წითელი შუქი ანათებდა, როგორც ტომას სარეპეტიციოში, და ელექტრომუსიკას შეყავდა დაბალ ხმაზე. ეგ რაშიდას ფინტი და ოინი იყო: ტრანსით და ღია ფერებით იწყებდა და ბოლოს ისეთი ბლექ-მეტალით ამთავრებდა, „სეპულტურა“ ტკბილ იავნანად მოგეჩვენებოდა იმასთან შედარებით... მაგრამ ახლა სხვა ამბავი ტრიალებდა, ჩუმად მივჯექი კუთხეში და იქაურობა მოვათვალიერე.

ერთ კედელზე ლამის მთლიანად მიესხათ რაღაც ოხრობა, იატაკზეც მოწურწურებდა და პეტოს და ვალერას – ეგეც რაშიდას მარცხენა ხელი იყო, ვედროები ეჭირათ და ახლა მეორე კედელს აწუწებდნენ. ვალერას მართლა ფოსფორი თუ მაგდაგვარი ულტრაჯანდაბა ესვა და ჩვენ ძმა ბასგიტარისტსაც იოლად გავუგე – ბასკერვილების ძაღლს ჰგავდა ეს დედავირთხა... რასაც კედლებს ასხამდნენ, წითელ საღებავი გამოდგა და ამ შუქზე თხლესავით ჩანდა, სულ არ ჰქონდა მუღამი. ამ კედლებზე წინათ სირულ პენტოგრამებს თუ ვარსკვლავებს და რქებს ხატავდნენ და ახლა ეს მოიფიქრა ეტყობა რაშიდამ, ვარსკვლავის ფორმაში კი შავი სანთლები გაემწკრივებინათ შუა იატაკზე, ოღონდ არ მოეკიდებინათ ჯერ. მოკლედ, სუფთა საბავშვო ბაღი, მაგრამ ესენი, თინეიჯერები, ერთ მხარეს იყვნენ მოქუჩებულები და პირღიები ალივერებდნენ იქაურობას. ჩემ გვერდით დაბალ დივანზე იჯდა პრია, აქეთ-იქიდან ვიღაც ტიპი და გოგო მოესვა და ხან ერთს ეზასავებოდა, ხან მეორეს. ბიჭს ეტყობოდა, რომ მაგრად უსწორდებოდა და გოგოს იმ შუქზეც მკვდრის ფერი ედო, მაგრამ მაინც ზასაობდა პრიასთან, თან დროდადრო არყის ბოთლიდან დიდ ყლუპებს ურტყამდა და იჭყანებოდა... და სწორედ ეგ იყო რაშიდას მთავარი ფინტი, ძმებოგრიმებო: ჩაუჯდებოდნენ ეგრე რაშიდას ქალები ვინმე წყვილს, ჯერ ჯიგრულად ელაპარაკებოდნენ და ცოტ-ცოტა არაყს ახევინებდნენ, ამასობაში ზემოთ რაშიდა მუსიკას და განათებას შეცვლიდა და რაშიდას ქალებიც ნელ-ნელა თომარზე და ზასაობაზე გადადიოდნენ – ჯერ ერთთან, მერე მეორესთან და შეუმჩნევლად ერთმანეთზეც რომ მიუშვებდნენ. ამათ უკვე ყველაფერი ეკიდათ და ახლა სხვებს ჩაუჯდებოდნენ, იქაც რაღაც უბედურ კომბინაციებს ატრიალებდნენ და მოკლედ, ისე ჰქონდათ დამუღამებული, რომ გოგოს გოგოზეც უპრობლემოდ უშვებდნენ და ასე ავლენდნენ ჯერ მხოლოდ ქვეცნობიერად ლესბოსელებს და პიდარასტებს; სუფთა ზიგმუნდები, ოღონდ ძუძუებიანი და ბოლოს გრუპავუხაც ისეთი ხოშიანი გამოსდიოდათ – რომელიმე ფეხისთვის რომ გებწკინა, ასი წელი ვერ მიხვდებოდი, ვისი თავი საიდან დაიკივლებდა.

ამასობაში ისმოდა ამგდები მუსიკა და თინეიჯებს „ეუფლებოდათ თავისუფლების დაუოკებელი განცდა“ – როგორც მწერალმა თქვა ერთხელ და ეხსნებოდათ ყველანაირი კომპლექსი, ამ დროს შედიოდა საქმეში მოსაწევი ან მსუბუქი ექსტაზი და ამათაც მაგრად უხაროდათ ყველაფერი; უხაროდათ, რომ ასე იოლად და თავისუფლად მიდიოდა ამბავი, აქამდე ძნელი და გასატეხი რომ ეგონათ... აქ ცუდად გახდომის შანსი არ იყო და მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, მოფარებულში იდგა მარილწყლიანი ტაშტი შიგ ჩამბალი პირსახოცებით და ისიც ძირითადად ზემოთ თუ დასჭირვებიათ. ყველაზე მურტალი ის იყო, რომ თინეიჯების და სხვების გარდა აქ ნაღდი სატანისტებიც მოიძევებოდნენ, რომლებსაც ზოგ-ზოგები გოთებად მოიაზრებენ ხოლმე და ძალიანაც მიჰქარავენ, ვინაიდან, სხვაგან არ ვიცი და ჩემს ქვეყანაში აემ ნაგიჟრისერთებს და გოთებს არაფერი აქვთ საერთო, და ამ ბრიგადას თვითონ გოთებიც კი ერიდებოდნენ, რაშიდასაც არ ეხატა გულზე და აგერ ახლაც – ისე ნაღდში და სერიოზულად უყურებდნენ კედლებზე საღებავს თუ ძირს გამწკრივებულ სანთლებს, ამათი შემხედვარე მართლა უამურად იგრძნობდი თავს კაცი. არადა რაღაცნაირი, საწყალი სახეები თუ თვალები აქვთ... რაშიდას სახლის გარეთაც შევხვედრივართ და სულ ეგრე ჩუმად დადიან და ჩუმადვე ატყავებენ სასაფლაოებზე კატებს და ძაღლებს, რაღაც ძალიან ღრმას აწვებიან მოკლედ. ერთხელ მწერალს დაულევია მაგათთან ერთად და მერე გვითხრა, – ასეთი ნაკითხი და განათლებული კლიენტები აქ არ შემხვედრიაო ჯერ. ყვერებით უნდა დაკიდო სუყველაო, – მარკუსამ, – ძაღლებს როგორ ატყავებენო ეგ ჩათლახები და მწერალმა – ცოდოები არიანო, საიდანაც მოვიდნენ, იქ ისეთი დაერხათ, არცერთს არ დაგრხევიათ ეგრე და ღმერთმაც დაგიფაროთო. მარკუსამ ცოტა ხანს ჩუმად უყურა, მერე წამოდგა – შენი ძალითმწერალი დედაცო, – შეაგინა და წავიდა. კაცი დღეს-ხვალ იბრიდება, მაგაზე მეტი რაღა უნდა დაერხესო, – ალექსმა და მაშინ მწერალსაც მაგრად გაუტყდა და ეგეც მარკუსივით აითესა სადღაც, მერეც იშვიათად გვნახულობდა და თუ მოვიდოდა, მარკუსს რომ ნახავდა, ჩუმად იჯდა და არც მარკო ეუბნებოდა რამეს.

ამ საუბრის მერე იყო, ერთი-ორი კვირის შემდეგ: წევს ერთხელ ალექსი ჰაკერების სახლში და წიწაკიან არაყს ურახუნებს, თან ლიმონს აყოლებს ზედ. ჩვენ კი – მე ნეი მარკო ჩუი და ჰაკერები გარშემო ვუზივართ და ვსვამთ ჩვენც, ოღონდ ჩვეულებრივ, უწიწაკო არაყს. წევს ასე ალექსი და ყოველი მოყუდების მერე ცხრასართულიანებს გვაგინებს სუყველას და თან გვეკაიფება მაგრად. გრიპი აიკიდა ალექსამ, ორმოცი სიცხეც ზედ აქვს, ამგვარად მკურნალობს და ყველა არყით მკურნალობს აქეთ, გინდ გრიპი სჭირდეს და გინდაც ტრიპერი, ოღონდ ამ დროს ზედ ისხამენ ხოლმე და ძალიან მწარე ყოფილა... მოვყვები მერე ტრიპერზე, უფრო სწორედ – ვინც ეგ ამკიდა იმ ქალზე, შარლიზზე; ან რა მოსაყოლი ეგაა, არადა მთლა უთქმელობაც არ ივარგებს და მოკლედ, გზადაგზა მოვახერხებ ალბათ რაიმეს... ახლა კიდევ გვლანძღავს ეგრე ალექსანდერი და ბოლოს, ტვინი რომ წაიღო, ავითესოთ მოდი აქედანო – მარკო მეუბნება, – კარგი ამინდია, კარუსელებზე გავათენოთო და ჰაკერებმა გაჭედეს – ამას ვიღა მიხედავსო, ჩვენ ექთანები კი არა ვართო.

გაღმა მეც მემართებოდა სეზონებზე გრიპი და მაშინ ჟოლოიან ჩაის ვუბერავდი, წამლებსაც ვსვამდი, მერე ვწვებოდი და ათ საბანს ვიფარებდი ზედ და მუღამი ისაა, რომ რაც აქ ვარ, ერთი თითი არა მტკენია – ფუი ეშმაკს და არული კუდიანებს, როგორც ორღობეებში იტყვიან და რაის სიცხე – ისეთ ჯანზე ვარ, გეგონება, სადმე იალაღებზე და თხის რძეზე ვიყო გაზრდილი. თან წონაშიც რომ მოვიმატე, არადა დღეში ერთ-ორ ლუკმას ვჭამ და არც მინდება მეტი: არაყი პლანი და მაგისი ჯანი. ერთი სკამებზე და პარალონებზე ძილი მიჭირდა თავიდან, ძლივს ვიძინებდი და დილითაც ზურგი და კისერი მტკიოდა, ახლა კი, ძილი რომ მომინდება, რაც შემომხვდება იმას მივეყუდები და ეგრევე სიზმრებში მივდივარ გაღიმებული... ძილით კი გვიძინია მე და ალექსას სახურავებზე და ხეებზე, სარდაფებში, ნავთობსადენის მილში და შუაგულ წვიმაშიც, ყველაზე კომფორტულ საწოლზე, პარალონგაფენილ ძელსკამზე რომ არაფერი ვთქვა და ერთხელ კონტეინერშიც გვეძინა მე და ალეს: იმ კონტეინერში ბანანით სავსე ყუთები იყო ოხრად, ჩვენ კიდევ მოწეულები ვიყავით და კიშკა რომ გაგვეხსნა, მთელი ღამე ბანანებს ვჭამდით მაიმუნებივით და მერე ერთი კვირა ტრაწი გვქონდა, ცუდად მახსენდება ეგ კონტეინერი... მოკლედ, რავიცი სად აღარ გვიძინია და ბოლოს უკვე ისე ვიყავი, – ერთი-ორ-ჯერ ლოგინი შემომხვდა და გავიტანჯე მთელი ღამე; მაგარი მიჩვევა ცოდნია პარალონზე ძილს, ბლიად.

ჰოდა, ექთნები ხომ არა ვართო, – ჰაკერებმა და თქვენ წადით და ამას მე მივხედავო – ნეიმ. მეწყინა, ნეი რომ დარჩა, მაგრამ უკვე წამომდგარი ვიყავი და მეთქი ახლა რომ ისევ დავჯდე, რამე არ იფიქრონ ამათ. ჩვენ-ჩვენი არყის ბოთლები ავიღეთ მე და მარკომ და დავეშვით მეტროსკენ.

ჯერ დღე იყო, პარკის ღობეზე რომ გადავძვერით. დღისითაც მაგარი სანახავია ჩვენი პარკი, კაციშვილი არაა და გარშემო სულ კარუსელები და საქანელებია, ზოგი ჟანგიანი და სკამებჩამოწყვეტილი და ზოგი ახალივითაა, წითელ-ყვითელი და სკამებიც ზედ აქვს. მოვდიოდით ასე სიჩუმეში და არაყს ვიყუდებდით, ხანდახან კი მოისმოდა ლომის ღრიალი ან რაღაც სხვა სასაცილო ხმა და ვიცინოდით მე და მარკუსა, ვიჭაჭებოდით სიცილით – ისეთი ხმა ისმოდა დროდადრო... ამ პარკის იქით ზოოპარკი იწყებოდა და მანდ კიოდა რაღაც თუ ვიღაც. ჩვენი კარუსელი მაინც ყველაზე დიდხანს ტრიალებს და იქ რომ მიხვიდე, ჯერ ასე უნდა იარო და მერე სულ დაბლა ჩახვიდე, ტირებთან; აქ არც ქარი უბერავს და მარკუსის ძაღლებიც ამ მიდამოებში ბინადრობენ. მოვდივართ და ამასობაში ხანიგურად დათვრა მარკუსა: ფეხი ერევა, იფურთხება და ყვირის და მღერის რაღაცეებს. საერთოდ, ამ ბოლო დროს, რაც უფრო მოაქვს მარკუსას სპიდს, უფრო იცვლება თვითონ მარკოც; აღარც მორიდებული ტიპია და აღარც წითლდება ძველებურად, უფრო მოძრავი და შუსტრი გახდა და კარგა ხოშიანადაც იგინება, თან მაგარი მწარე ენა ჰქონია მარკოს – ერთს ისეთს იტყვის, თავს ჩაღუნავ კაცი. ისე კი სულ არ შეცვლილა... მე ნაღდი სპიდის ამბავი არ შემხვედრია ჯერ და მეგონა, მარკოს ერთ დღესაც რაღაც მუწუკები დააყრიდა და ჩირქები გადმოუვიდოდა, მერე ეგრე ხროტინით დაიბრიდებოდა სადმე და მეცოდებოდა, ამას კი ეგ დაემართა მარტო – ხასიათი შეეცვალა და ხანდახან ფხიზელზეც არწყევს ხოლმე და მორჩა, დადის ჩვეულებრივად კაცი.

ახლაც მოვდივართ და მოვიმღერით და უცებ მარკო მეუბნება:

– ჯიო, გიყვარს, ხომ, ნეი.

ვითომ არაფერი და არც მიყურებს.

დავიბენი.

– შიგ ხომ არა გაქვს, მარკუს, რეებს მეკითხები...

ეს კი ახურებს ისევ, თითქოს ვერც გაიგოო:

– მეც მაგრად მიყვარს ნეი და შენც მაგრად მიყვარხარ, ჩათლახო...

არადა ვერ ვიტან, ვერ ვიტან ეგეთ ლოთურ გულის გადაშლებს. ვერც ალექსი იტანს და ახლა მარკომ თუ დაიწყო, აღარც გაჩერდება და კიდევ კარგი, ზოოპარკმა მიშველა და ვაშა და დიდება იმ ცხოველს თავის გალიაში, ამ დროს რომ გააბა კივილი. მარკუსი გაჩერდა და სახეზე ცუდი ფერი დაედო.

– გესმის? – მეკითხება შეცვლილი ხმით.

დავიძაბე და მეთქი ახლა რამე არ მოუვიდეს მარკოს, ჩემს ძმაკაცს და დედაც ვატირე ნეის და ყველა გოგოსი ზემოდან, ისეთი სახე გაუხდა უცებ.

– აბა, რანაირად კივის ეგ შობელძაღლი! რა ცხოველია ნეტა... ან შეიძლება ფრინველიცაა, ჰა? – ძალით გავიცინე და მარკოს შევხედე.

29342

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

– თავს ნუ იდებილებ, ჯიო, და უსმინე, ძაღლია, ბოზიშვილივიყო!

მეც მივუგდე ყური. მართლა ძაღლის ხმას ჰგავდა და მერე ჩაჩუმდა რაღაცნაირი ხავილით, გეგონება წაუჭირესო ყელში.

და გავარდა მარკუსი გიჟივით და მივყევი მეც, თან რაღაც ძალიან მურტალს მიგრძნობს გული. ჩავაჭერით დაბლა, ჩვენს კარუსელსაც კარგად გავცდით და ბუჩქებთან ძლივს გავაჩერე მარკო. ბუჩქების მიღმა ძველი ტირის ნანგრევები იდგა და იქვე ბინძური წყალი ჩამოდიოდა, იმ წყლის იქით კი უკვე ზოოპარკი იწყებოდა და ის ხმაც, ჩვენ რომ მივედით, მანდ სადღაც მიწყდა ამ დროს.

– ხომ გითხარი ზოოპარკიდან ისმის-მეთქი, შე ქინძო, რომ დამარბენინებ იმასავით... – თან ამას რატომღაც ჩურჩულით ვეუბნები.

– ტირიდან ისმოდა, – თქვა მარკუსმა და ისევ წაიწია.

– რა გაატრაკე, ბიჭო, საქმე, წამო და ვნახოთ მაშინ, მაგის დედაც ვატირე, ოღონდ ჯერ ჩუმად მივიდეთ და დავალიეროთ, – ვუთხარი და ბუჩქებში გავხოხდით. გავხოხდით და რაც მე იქ ვნახე, მარტო ყველაზე დამპალ უჟასებში თუ მინახავს და ახლაღა შევამჩნიე, ხელში რომ არყის ბოთლი ჩამებღუჯა მაგრად, ეგრევე ბოლომდე ჩავცალე, ბუჩქების უკან ჩაკუზულმა და კარგიც ვქენი – ცოტა დუხზე მოვედი.

აქეთა კედელი არც იყო საერთოდ და ყველანი კარგად ჩანდნენ, ეგ შიგნაკრავი სატანისტები თუ ვიღაც ჩემისები. იდგნენ ასე ჩუმად, ორიც გოგო იყო და დაჰყურებდნენ რაღაცას, ის რაღაცა ცოტა ფართხალებდა და გასისხლული იყო მთლიანად და ძაღლი ბლიად, მარკუსას ერთ-ერთი ძაღლი, კედელზე კი ის სირული რქები და ვარსკვლავები მიეხატათ შავად... არადა, ვიღაც შტერი ბავშვები კი არა, ჩვენზე უფროსებიც იყვნენ, მე რომ მოვსტყაან ჯერ ამათი და მერე ზემოდან მწერლის სწავლა-განათლება.

მარკოს ჩავეჭიდე და ჩუმად ვეუბნები, თან ხმა მიკანკალებს:

– წამო ახლა, მარკუს, და ბიჭებიც მოვიყვანოთ, აქვე დავმარხოთ ეს ნაბოზრები!

ამას იმიტომ ვეუბნები, რამენაირად რომ მოვაშორო აქაურობას და ავითესოთ აქედან, თორემ ამათ რა ბიჭები უნდა დააყენო, ამათ სულ რომ არმატურები ურტყა თავში, უფრო უსწორდებათ უკუღმართებს, და სულ რომ მარტო იყოს მაგათიანი და ოცი კაცი ურტყამდეს, მაინც წინ მოიწევენ კარგი ვაჟკაცებივით, თან ყველაზე მურტალი ისაა, რომ ამ როჟებით, შეშინებული სახეებით მოიწევენ; რომ უნდა გარბოდნენ და იმალებოდნენ სადღაც, ეგეთი თვალების პატრონები და ესენი პირიქით მოდიან მაზოხისტი ნაგიჟრები, თითქოს გაქცევა უნდოდეთ და უკნიდან ვიღაცა ხელს აქეთ კრავდეთ და ვერაფერს უზამ, ან შენ თვითონ უნდა გაიქცე და ან უნდა მოკლა, თორემ მოვა და ისე გაგიყრის რამეს როგორც არაფერი, იმიტომ რომ კიდიათ ყველაფერი ფეხებზე, მინახავს ამბავი და მაგიტომ ვამბობ... ქალაქგარეთ რომ ბრიდავდნენ კატებს და ძაღლებს, და კრეტინულ რიტუალებს ატარებდნენ, გამეგო და რაშიდასთანაც შევხვედროდი ერთიორჯერ, მაგრამ აქ, შუა ქალაქში თუ ვნახავდი, არ მეგონა ნაღდად.

წამოდი-მეთქი, თქმაც ვერ მოვასწარი და გადახტა მარკო აბჯრიანი მეომარივით, გზაშივე შეალეწა თავისი ბოთლი კედელს და იმათ განძრევაც ვერ მოასწრეს, ისე ჩამოუტარა ბოთლის თავი – რაც ხელში შერჩა და რომელიღაცის მაიკამაც გაიხრიწინა და სისხლმაც გაასხა ეგრევე.

მეც უკან მივყევი მარკოს, თან მაგარ სისულელეს ვბურტყუნებ გზადაგზა: – ბიჭებო, მთვრალია და არ გაგიტყდეთ-მეთქი, – ასე ბოდიშ-ბოდიშებით მივაჭერი და თვალებშიც გამოანათა: უკნიდან დამიშვეს რაღაც.

ცოტა აზრზე რომ მოვედი, ვხედავ – მე და მარკუსი გაგდებულები ვყავართ, თან იმაზე მეტნი ყოფილან, ჩვენ რომ ვნახეთ და ახლა ჩუმად დადიან გარშემო და წიხლებს გვირტყამენ. ერთი გოთვერანი გოგო უფრო შუსტრი ტიპი ჩანს – ხან იქითაა და ხან აქეთ, შიგადაშიგ რაღაც ფიცარს გვირტყამს და მეც ხოშიანად ვაგინებ, აბა სხვა რა უნდა ვქნა, უეჭველი წეღანაც ამ გოგომ დამიშვა ფიცარი. უცებ, გავიხედოთ და მარკო, ჩემი ძმაკაცი, მოიკუნტა და ტირის მთელ ხმაზე, ქალებს რომ ისტერიკა ემართებათ, ეგრე ქვითინებს და მარკუს, ეგ კაპიშონკა და ხელები თავზე გადაიფარე და ფეხებს ვერ მოგვჭამენ, – ვარიგებ ჩემი ჭკუით და თან ბოლო ხმაზე ვღრიალებ: – ამის ცემა არ შეიძლება, მე თქვენი ტუტუცი დედა ვატირე-მეთქი, წამოდგომაც მინდა და მაგდებენ უკან და ისე ვარ უკვე, რომ მეც ფეხებზე მკიდია ყველაფერი და მარტო იმას ვნატრობ, დღეს მარკუსას არ დამართონ რამე და ხვალ გამოვართმევ ბიჭებს იარაღს და მართლა დავაკლავ სათითაოდ ერთმანეთზე... მაგრამ ამ დროს სახეებზე ავხედე და ტანში გამაცია ისევ – თითქოს აქეთ მე და მარკუსა ვცემდით, ეგრე დაგვყურებდნენ და ჩავიბღავლე, რაც გამახსენდა:

– რაშიდას ბრატვა ვართ, თქვე ნაბოზრებო!

გაჩერდნენ წამში. მარტო ის წაკლა გოგო გვირახუნებდა გემოზე და დანარჩენებმა ძლივს გააჩერეს. სახიდან ხელები ჩამოიღეთო, – გვითხრა მერე ერთმა, წვერი რომ ჰქონდა ლამის ჭიპამდე. ჩამოვიღე ხელი და ამან, რაშიდასთან მინახავს მართლაო. იმ გოგომ ერთიც მოიღერა თავისი ფიცარი, ისევ დანარჩენებმა შეაჩერეს და ისე როგორ მოვკვდები, ამას თუ ეგ ფიცარი უკან არ გავუყარე... წვერიანი კი ძალიან წყნარად გვეუბნება: – ახლა წადით, ბიჭებო, და სხვა დროს აღარ შეგვიშალოთო ხელი. აათრიეს მერე თავიანთი გასისხლული ძმაკაცი, მარკუსმა რომ დაჭრა, აიკრიფნენ და დაგვტოვეს ასე გატყავებულ ძაღლთან.

სად გაგვიმართლა, მთვრალები რომ ვიყავით, თორემ ხელით წასაღებები გავხდებოდით მაშინ მე და მარკო, ჩემი ძმაკაცი და ფლეიტის

ოსტატი. იმ დარეხვილმა მწერალმა კიდევ – ცოდოები არიანო, ბლიად.

იმიტომ გამახსენდა ამბავი, რომ ახლა ეს ჩემის სატანისტებიც იქვე იყვნენ და ხან პეტოს და ვალერას ალივერებდნენ, ხან იატაკზე ჩამწკრივებულ სანთლებს ასწორებდნენ და თინეიჯებისკენ არ იყურებოდნენ საერთოდ. წვერიანმა გამოიხედა, მიცნო და თავი დამიქნია, ვითომ არაფერი და მეც არ ვიყავი მანდ უშუს ჩამტარებელი, თან კარგი დრო იყო იმ ამბიდან გასული, მე და მარკოც ჯანზე ვიყავით და ახლა ხელი ავუწიე მეც, ის ფიცროსანი გოგოც მოვიგონე და უფრო კარგად მოვათვალიერე იქაურობა: აქ თუ იყო, კი გაჟიმავდა გემოზე კაცი, მაგრამ ამ განათებაში წესიერად არც ჩანდა არაფერი, ნელ-ნელა მუსიკაც მძიმდებოდა და მერე იმ დომხალში რაღას ვიპოვნიდი. პეტომ მოიხედა თუ არა, ხელი დავუქნიე და მოვიდა პეტროსა, – ერთადერთი რაშიდას ხალხიდან, რომელსაც ასე თუ ისე ვეძმაკაცებოდი.

– ვა, შენც ჩამოხვედი, ჯიო? რა იყო, ახალამოსული ძუძუ მოგენატრა? – პეტო გვერდით მომიჯდა და იქვე მჯდარ თინეიჯებს გადახედა, სამ ნომერზე ნაკლები რომ არ ჰქონდა არცერთს, – ვალერა-სირმა რომ ბოლო ზარიდან მორეკა, იკაიფე? დაწერილი სარეჩკებიც რომ ზედა აქვთ!

– მალე მთავარი პორნოვარსკვლავი რომ შევიქმნები რაშიდას კინოებში, მერე ტრაკზე მაკოცებ, პეტროს, – ვუთხარი მე, – აბა ბოლო ზარი?

– ვა, რამდენს გაძლევს რო რაშიდა? – ამ კრეტინმა ან მართლა დაიჯერა და ან თავს იდებილებს, – მე რატომ არ მითხრა მერე...

– შენ და ვალერა საჭურისები ხართ მაგის ჰარემისა და მიტომ.

– ვინაა საჭურისი ტო, საჭურისი მამაშენია, – გაუტყდა პეტოს.

– კარგი, ვხუმრობ, რას ავარდი...

სულ არ მეკიდა, პეტო სად ავარდებოდა და სად ჩამოვარდებოდა? მაგრამ ახლა რაღაცრაღაცეები მაინტერესებდა.

– რა ბოლო ზარიო, პეტროს?

პეტოს გაეცინა.

– აქეთ რომ თეთრსარეჩკიანები ზიან, ხედავ? მაგათ დღეს სკოლა დაამთავრეს და ამ შტერმა – წამო ბოლო ზარის ტუსოვკაზეო, მაგრად გაგისწორდებათო და წამოყვნენ ცხვრებივით.

იქით გავიხედე, მაგრამ თეთრად არაფერი მოჩანდა.

– ახლა გახდილები აქვთ, თორემ ეგენი არიან, – ამიხსნა პეტომ.

საღოლ ზიგმუნდებს, დღეს რაღაც სწრაფად მუშაობენ... მაგრამ მე დღეს ან ფიცრიანს გავჟიმავ და ან არც არავის, ჩემთვის დავბოლდები რაშიდას სახურავზე და ნეიზე ვიფიქრებ.

– იმათმა რაო, პეტრო, – ვუთხარი და სატანისტებზე ვანიშნე.

პეტომ ხელი ჩაიქნია.

– მაგათ ხომ გამიტრაკეს, ჯიო, საქმე, რას უშვებს, ბლიად, საერთოდ რაშიდა.

– რა გვინდაო?

– რა გვინდა და კედლებზე წითელი კრასკა რა პონტში მიასხითო, გეთქვათ და ნაღდ სისხლებს გავაძრობდითო.

აზრზე ხარ, ეგენი კიდევ კატა-ძაღლებს წურავენ, ამათი... ან არ ბეზრდებათ, ან აქამდე როგორ არ დაგლიჯა რომელიმე ძაღლმა.

– პეტროს და, ვინმე გოგო ხომ არ მოყვათ? დიდი ფიცარი უნდა ეჭიროს ხელში...

აქ კი იმ ნაფაზმაც დამიკაკუნა, წეღან კიბეზე რომ მომაწოდა ვიღაცამ.

პეტომ შემომხედა.

– არადა, ამ შუქზე საერთოდ ვერ შეგატყე, ტო. ვარგოდა? მე კი მარტო კალიკებზე ვზივარ ამ ბოლო დროს, რაშიდას ჩამოუტანეს და მაგრა სხვანაირად მოაქვს.

– არ მიყვარს წამალი და კალიკები, ხომ იცი პეტროს. წეღან მოსაწევს ამოვარტყი ცოტა და ეგაა. მისმინე, სერიოზულად, მაგათთან ერთად ორი თუ სამი გოგო ხომ არის მოსული?

– რავი, მე რომ გავუღე, ეგენი იყვნენ მარტო, – თქვა პეტომ და გამიტყდა. დიდი რამ მუღამი მქონდა იმ გოგოსი და ახლა იქაურობასაც მუშტრის თვალით გადავხედე, მაგრამ ეს დომხალი არ იყო ჩემი ამბავი, აქედან გამოძრობილ გოგოზეც იმპოტენციის შეტევა დამემართებოდა, გამოცდილებით ვიცოდი და რაშიდას ქალებს კი ერთი გაბურძგნილი ჯიოლენდისათვის სად ეცალათ, მთელი ავტობუსი მოსწავლეები ჰყავდათ მისახედი... უცებ რაშიდას ერთ-ერთ კამერას შუა თითი ვაჩვენე. ჯერ არ გადაიღებდა რაშიდა, მაგრამ შეიძლება ისე გვიყურებდა.

ვარ ასე დაბოღმილი და ვფიქრობ, აქვე გავითიშო თუ ზევით ავიდე, ალექსთან, ალექსი კი უეჭველი ისევ ალინაზე გამიხურებს და ამ დროს იქვე ვალერას ღლიცინი მესმის:

– პლანი არ გინდა, პატარავ?

– აუ, გააჯვი რა, ვალერ! – და ამას ბავშვის ხმა ამბობს. ალბათ ვიღაც თინეიჯი წიწილაა და უბრალოდ ასეთი ხმა აქვს, ანდა ამ მუსიკაში და აურზაურში წამოიღო ხმამ ეგრე წვრილად.

– რატო, ლადა, ხომ გაწეინებს ხოლმე შენი და...

ლადა... ლადა... უჰ შენი, ლადა ტო!

– ალინას დაა, ბიჭო, აქ? – მივუბრუნდი პეტოს.

– რავი, ჯიო, წეღან ზევით გვებლანდებოდა ფეხებში და ეხლა ეტყობა აქ ჩამოსულა. რას დაათრევს ის ბოზი კიდე აქეთ-იქით!

ახლა მე რომ ამისთვის შემომერტყა, ალექსი მერე მე შემომარტყამდა და გავჩუმდი.

– თვითონ ალინა სადა გდია? – ვკითხე მერე.

– აბა წეღან რას გეუბნებოდი, დილით მანქანაში ჩაისვა და წაიყვანა-მეთქი გორილამ, – გაბრაზდა პეტო და ამ დროს დაუძახა ვიღაცამ და იქით წავიდა.

აუუ! მიდი და უთხარი ალექსს, ახლა შენს ალინას ვიღაც გორილა უბლაგუნებს სადმე უკანა სავარძელზე და მაგის შვიდი წლის და კიდევ შუა გრუპავუხაში ზის და ვალერა პლანს აძალებს-თქო... ამ დროს ლურჯი ნეონებიც აინთო და გადააცისფრა იქაურობა, ზემოთ დაკიდულმა ბურთმა კი წითელი წერტილები დაატრიალა ყველგან. ეს მართლა კარგად მოუფიქრებია რაშიდას და ხალხმაც კივილი დაიწყო და ტაშიც დაუკრა. ეტყობოდა, მთავარი ამბავიც მალე დაიწყებოდა.

– თამ, მოიხედე ერთ წუთს, – დავუღრიალე თამარას – ზედ დინამიკთან იჯდა და ხმა რომ გაეგო – და მკლავზე მოვქაჩე.

თამარა ადრე სულ სარეპეტიციოებში ეგდო, ბევრჯერ შევყრილვართ ერთად და მოხარშულებს ვიცნობდით ერთმანეთს, თან, ხომ ვთქვი, ჩემს ძმაკაცთან, ჩუისთან რომ მოძრაობდა ერთხანს, ახლა კი რაშიდას ქალი იყო, მუშაობდა და არ ეცალა.

– შენი თავი არა მაქვს, ჯიო, მანდ ერთიორი ნაღდი გოგოა, გამოაძრე და მაგათ მიხედე! – დამიყვირა იმანაც და ვიღაც გოგოსთან ზასაობა გააგრძელა, მაგრამ მე არ მოვეშვი და იქვე ჩავუჯექი ამბავში, თან ცალი თვალით კამერებს ავხედე, – მეთქი, ხომ არ იღებს ჯერ ჩათლახი რაშიდა და ემანდ მართლა პორნოვარსკვლავი არ გავიჩითო მაგის უკუღმართ ვიდეოში, თუმცა იქ ბევრნი ჯერ კიდევ პირღიები იჯდნენ და კადრებს აფუჭებდნენ.

– თამ! თამ! – დავეჯაჯგურე ისევ, – სხვა რამე მინდა, თამ!

თამარა იმ გოგოს შეეშვა და ინტერესით შემომხედა.

– რა სხვა რამე?

– ალინა სადაა, ალინას ვეძებ, თამ!

– შეგიყვარდა, ბიჭო? – გაეცინა თამარას.

– მე კი არა, გოიმო... მაგარი საქმე მაქვს და როდის მოვა, უცებ მითხარი!

– აღარ მოვა ალინა! – დამიყვირა თამარამ, – საერთოდ წავიდა, დაახვია აქედან! – და ისევ თავის გოგოს მიუბრუნდა, ამასობაში გაბრაზებული რომ მიყურებდა.

ეეჰ, ლესბო... კაცმა თუ მოახერხა და ლესბო გაჟიმა, მერე დიდხანს აღარ მოუნდება სხვა ქალი. ყველაზე მაგარი პარტნიორია ლესბო, ნაღდი ლესბო ოღონდ, ეს წიწილა კი არა, ახლა რომ მკვლელივით მიყურებს. ნერწყვი გადავყლაპე და ოცნებებიდან გამოვერკვიე:

– სად დაახვია, თამ! ერთიც, ჩემს თავს გაფიცებ...

თამარამ შემაწყვეტინა:

– გათხოვდა ბიჭო, გათხოვდა, გაიგე? დილით ვიღაც თურქმა ცოლობა თხოვა, ბრილიანტის ბეჭედიც აჩუქა და მოხიეს ორივემ და გააჯვი ახლა აქედან!

აუუ! რა ეტყვის ახლა ალექსს... ანდა სულაც არაფერს ვეტყვი და იჩალიჩოს თვითონ, მე მაგის კერძო დეტექტივი ხომ არა ვარ.

– გორილამ თხოვა თამ? გორილამ აჩუქა, ბლიად... – ჩავილაპარაკე დაბნეულმა და კიბის თავში მოწეულიც არ ყოფილა ურიგო პლანი.

– წებოს ჯობია, ლადა! – მომეხმა ისევ და მივხვდი, ახლა რაც უნდა მექნა.

– რა წებო და პლანი, სულ გაუბერე შენ? – მივადექი ვალერას.

– ვაუ, პანკების ადეპტს ჩემი სალამი! – გადამეხვია ვალერა-ალბინოსი, ვინმე სათნო ბაბუასავით თეთრწვერა და თეთრთმიანი, რაშიდას გრუპავუხების მთავარი კლოუნი და უკვე გახეული მთვრალი, თან შუბლი უნათებს ნათურასავით, ულტრარაღაცის ამბავში. მართლა მაგარი სასაცილო ტიპია და გამეცინა.

– ვინაა, ბიჭო, შენი პანკი!

– თუ რავი, რაცა ხარ, – ამოღერღა ვალერამ, – ლადა-ლადა ლადოები!

– აუ, ჯიო, უთხარი რა რამე, გამიტრაკა საქმე!

დავიხედე და კედელთან იატაკზე ფეხმორთხმული ზის ლადა, ალინას ექვსი თუ შვიდი წლის და.

მეც იქვე მოვირთხი ფეხი.

– აქ რას აკეთებ, ლადა...

– რას უნდა ვაკეთებდე, მუსიკას ვუსმენ და ამ სირმა კიდე შემცა, – თქვა ლადამ და ვალერას ახედა.

– წამო ზემოთ, იქ უფრო კაი პონტია, – ვუთხარი და თან ვცდილობ, პირდაპირ რომ პუფია, იმას ავეფარო, იქ კი უკვე ისეთი ტყლაშუნი გააქვს ვიღაცის ტრაკს, მუსიკას ფარავს ლამის.

– ზემოთ წეღან ვიყავი და ბანძ მუსიკას უსმენენ იქ, გაჩერდი და მალე „ქრიდლოფფილზი“ შეიყვანს, ამ დროს რთავს ხოლმე რაშიდა...

აზრზე მოდი, შვიდი წლის ბალღი და უკვე ყველაზე მურტალ საიდ-მეტალზე ზის, თან აქ ბევრჯერ იქნება ნამყოფი, ზეპირად იცის მასტმა, როდის რა შეყავს რაშიდას.

– ამო ზემოთ და შოკოლადებია იქ, – ვეუბნები.

ლადამ შემომხედა.

– შენ შიგ გაქვს, ჯიო, თუ უკვე კაიფში ხარ? რა ჯანდაბად მინდა შენი შოკოლადები, წებო თუ გაქვს, მომე.

– წებო აყლევებს, მაგას ისევ პლანი ჯობია, – ვთქვი და იქვე მობოდიალე ვალერას შევხედე, – ეგერ, ვალერას ხომ ხედავ? შენხელა რომ იყო ეგეც წებოს სუნთქავდა და ნახე, ახლა რამხელა თავი აქვს.

– მართლა წებოსგან გაუხდა ეგეთი თავი? – შეფიქრიანდა ლადა და ვალერას გახედა დაეჭვებულმა, – დაიგინე აბა?

– რა უნდა დავიგინო გოგო, ბავშვობაში ერთად დავრბოდით მე და ეგ. მერე კითხე, თუ არა გჯერა.

– მაშინ წებოს გადავაგდებ და პლანზე შევჯდები! – გადაჭრით თქვა ლადამ.

აუ, ეს რა შარში გავყავი თავი! კეფა მოვიფხანე.

– პლანიც ასივებს თავს, შენ რომ იცოდე... – ვუთხარი გაუბედავად.

ლადას გაეცინა:

– მაშინ შენ მარტო თავი უნდა დადიოდე კალაბოკივით და ახლა მართლა იტყუები და ატრაკებ, ჯიო.

ესა ნახე, რა მომადო!

– არ ვიტყუები და ავედი ახლა მე ალექსთან და თუ მოდიხარ, წამო, თუ არადა ეგდე აქ და უყურე ამათ! – გაბრაზებული წამოვდექი და ლადაც ეგრევე წამოდგა.

– ალე ზემოთაა, ჯიო? აბა მე რატო ვერა ვნახე.

ეს ალექსა კიდევ ყველას რომ უყვარს, ბებერს ბავშვს თუ ვირთხას...

ჩავკიდე ხელი ლადას, კიბისკენ წავედით და დარბაზიც ამასობაში უფრო შევსებულიყო ზემოდან ჩამოსული ტიპებით. ერთ დივანზე სატანისტების შემადგენლობა მიფენილიყო გაუნძრევლად და გვიყურებდნენ. თვალი ავარიდე და კიბეზე ავედით.

– შენი და სადაა, ლადა? – ვკითხე გზაში ფრთხილად.

– სად უნდა იყოს, ჟიმაობს ალბათ სადმე, – თქვა ლადამ უდარდელად.

ამასაც თუ ბავშვი ქვია ბლიად, მე წაკლა ალინას დედა რომ ვატირე და ჩავუფსი ალექსს იმ ბნელ სარდაფში და რომანტიკაში, რომ არ გაკუზა ალინა მანდვე და ახლა კიდევ ამ ლადას რომ დავათრევ აღმა-დაღმა ძიძასავით...

ზემოთ სულ შეთხელებულიყო ხალხი. ძიაკაცს ისევ ძველებურად აკიმარებდა. ღვიძლის ბიჭები, ალექსი და მწერალიც იქ იყვნენ და აქედანვე ეტყობოდათ, რომ კარგა ღრმად იყვნენ უკვე მაღაროში შესულები. ჰაკერები და ჩუი ჩვეულებრივზე უფრო ბედნიერი სიფათებით იჯდნენ და მწერალიც არ უნდა ყოფილიყო ურიგოდ, თან გვერდით ვიღაც ჩოლკიანი გოგო ეჯდა და ის გოგოც კაი დარეხვილი ტიპი ჩანდა; რომ მივედი არცერთს გამოუხედავს და ბაზრობდნენ რაღაცას მწერლებზე თუ მხატვრებზე და გოგოსაც შუბლზე ეწერა, – ამ ჩემის მწერლის სკვერებში კუნტრუში რომ ენახა, სულ გააღმერთებდა და ტრაკზეც აკოცებდა ზემოდან, არაორდინალობის და ასე პოხუისტურად გამოხატული ინდივიდუალიზმის ამბავში. ისე, ჩვენს მწერალს მაგრად გაუმართლა და ბუნებრივად მოსდგამს ბალაყანამოგდებული სირბილი, თორემ დაიარებიან აქ ისეთებიც, პოეტები თუ მხატვრები – სულ არ ეხოშებათ და მაინც ძალით გადადიან ყირაზე, ტუტუცი და ფულიანი ხალხი რომ უმრავლოს ღმერთმა.

– ალე! ალე! – ხელში რომ ბუშტები უჭირავთ, ეგეთი ბავშვივით გავარდა ლადა და ისე შემოახტა ალექსს, ბანძ კინოებში შვილები მამებს რომ ახტებიან ხოლმე. ერთი შენელებული კადრი და მორიკონეს მუსიკა აკლდა ბექში და აქეთ კიდე ვინმე მაზალო და ცრემლიანი მაყურებელი.

რამ შეაყვარა ასე ალექსა, აზრზე არა ვარ მართლა, არადა ერთი ამბავი ჰქონდათ მარტო ალექსს და ლადას: მაშინ დედატერეზობამ მოუარა ეტყობა ალექსანდერს და ზოოპარკში წაიყვანა ლადა, წაიყვანა რა – აქედანვე, პარკიდანვე გადაბობღდნენ ზოოპარკის კედელზე, ეშმაკის ბორბალზე დასვა ალექსამ და როცა სულ ზემოთ ავიდნენ, ნახევარი პაპიროსი მარიხუანაც გააბოლა თვითონ, რომ ჩამოვიდნენ და აქლემის გალიასთან ისეთი წამოუღო ალეს, სულ დაავიწყდა ლადა და მარტო გადმოძვრა მერე ჩვენთან.

ჰოდა, ეგ ერთი ამბავი ჰქონდათ სულ და ახლა აბოდებს ლადას ალექსზე. რას გაუგებ ბავშვებს.

– აქ თუ იყავი ალე, მე რატო ვერ გნახე, – უთხრა ლადამ და მკლავზე უჩქმიტა.

ალექსმაც დაინახა ლადა და ეგრევე გაანათა იქაურობა, ისე გაუხარდა, თან წამოდგა და თმას ისწორებს: ამ შტერს ისიც თუ ეგონა, რომ ახლა ლადას ალინაც გამოყვებოდა და ისიც ზედ შემოახტებოდა, მაგრამ ალინას კიდია ალექსი, ალინას ფულიან გორილებთან ბლაგუნი ურჩევნია ჩემს თმაგაჩეჩილ ძმაკაცთან ერთად ჩამოსასხმელის სმას და მერე კარუსელებზე სიმღერას და ამიტომ არსად ჩანს ეგ დედააფეთქებული ალინა, ალე კი ისეთი სიფათით მიყურებს – რაღაცის კითხვა უნდა მაგრად, ვერ მეკითხება და მეც არაფერს ვეტყვი ასი წელი, ადგეს და თვითონ გაიგოს... და უცებ ისე შემეცოდა ალექსა, ჩემი ძმაკაცი და დიდი გიტარისტი, ჩუმად რომ იდგა და გვიყურებდა ხან მე და ხან ლადას, – ყელში ბურთი მომაწვა და კინაღამ გავფუჭდი მაზალოსავით ამ დაწყევლილ სახლში, თან გამიხარდა კიდეც: ჯერ გულჩვილობის სტადიას გავდიოდი ეტყობა და მაშასადამე, წინ მქონდა ყველაფერი.

– დაბლა იყო და ამოვიყვანე, – ვთქვი ისე, რომ ალესთვის აღარ შემიხედავს და დივანზე დავჯექი.

დაბალ მაგიდაზე შამპანურები და კონიაკები ეწყო და მეზიზღება ერთიც და მეორეც, მაგრამ მწერალი, ჩოლკიანი გოგო და ბიჭებიც კონიაკს უბერავდნენ, თან ჭიქებით უბერავდნენ და ზედ რაშიდას სიგარებსაც აბოლებდნენ გემოზე. შამპანურის არც სიმთვრალე მიყვარს და არც პახმელია, შუშის ჭიქით კიდევ ბოლოს როდის დავლიე დასალევი, აღარც მახსოვდა და ახლა არყის ძებნა დამეზარა და ისევ კონიაკი მოვიყუდე ჩემებურად.

– სად დაბლა ნახე? – მკითხა ალექსმა.

– მარტო იყო და აქ ამოვიყვანე, – ვუთხარი და კონიაკს სიგარაც ჩავუფინე იმასავით. მოკლედ, ერთი კაზაჩოკები არ მეცვა და სუფთა ის ვიყავი, რა ქვია იმას.

– მუსიკას ვუსმენდი, – აუხსნა ლადამ და შეეხვეწა: – აუ ალე წამო და ისევ ჩავიდეთ, რა! იცი, რა მუსიკა შეიყვანა რაშიდამ? წამო და ვალერას პლანს გამოვართმევ შენთვის ა? წამოხვალ?

– რაშიდას დამსმელი უნდა მოვტყნა ახლა მე... – თქვა ალექსმა და მივხვდი, რომ დაბოლილი კი არა, მთვრალი იყო. მერე ჩემკენ მოიწია და ყურში მეუბნება:

– ბიჭო, დაბლა რამე ხომ არა, ჰა? შემომაკვდება ბოზიშვილივიყო.

– შიგ ხო არ გაქვს ალექს, იქ არ ვიყავი, ბიჭო, მეც... – და გამახსენდა, რომ ლადა ბევრჯერ იყო აქ ნამყოფი და რა ვიცი, ამათი უკუღმართი დედები ვატირე... მაგრამ პეტო და ვალერა არ იზამდნენ ამბავს; რაშიდას ხალხი კი იყვნენ, მაგრამ უყვარდათ მაინც ლადა, ვიცოდი და თამარაც უვლიდა ხანდახან, ალინა რომ უტოვებდა და საერთოდ არც უშვებდნენ მანდ, თვითონ ლადა თუ ჩაიპარებოდა ხოლმე და იქ უცხოს და განსაკუთრებულს რას ნახავდა, ალინას ხელში უარესები ჰქონდა ნანახი.

– დავიშალეთ თუ ვრჩებით? – გვეკითხება ჩუი, – ჩვენ მივდივართ უკვე.

აქედან ასე ფხიზელი არ ვიყავი წამსვლელი არსად და ალექსმაც – უჩვენოდ წადით, საქმე გვაქვსო.

– თქვენც დაბლა ჩადიხართ, ტო, – გაუტყდა ჩუის, ქვემოთ კი ჩუის ყოფილი შეყვარებული, თამარა მოძრაობდა, თან კარგად მოძრაობდა და მაგიტომ და ისედაც არ იყო ჩუი იქ ჩამსვლელი კაცი.

ახლა ზემოთ, სასუფეველში გვაქვს საქმეო – ალემ. მართლა მაგარი მთვრალი იყო.

– შენ ჩუი ხარ თუ ხუი? – დაინტერესდა ლადა.

– ალექს ახლა ეს უზდელი ბავშვი მოაშორე აქედან ძმურად, ამის ნერვები არა მაქვს, – ჩუიმ თავისი ჯოხები აათამაშა ნერვიულად, – და საერთოდ აქ რა ჯანდაბას მოდიოდით, სირების ბუდეა ვერა ხედავ. მოდი ახლა ეს დასალევები გავწიოთ და ჩვენთან წავიდეთ და დავუკრათ.

– ჩვენ რომ გვეუბნები, თქვენ რა ჯანდაბა გინდოდათ აქ...

– ჩვენ რაც გვინდოდა, აგერ გვაქვს ჯიბეში ერთი თვის სამყოფი, – თქვა ცალმა ჰაკერმა, მწერალს კი ამასობაში უკვე ბაყვებშიც ჩაეყო ხელი ჩოლკიანისთვის, იმასაც თავის მხრივ აქეთ გადმოეწვდინა მარჯვენა და ახლა რაღაც პალესტრის ხანის ქანდაკებას მიმოიხილავდნენ ორივე ბრძნული სახეებით.

ალექსმა მოკიდა ხელი ლადას და ორივემ ზემოთ ააჭრა, რაშიდასთან. მეც თან მივყევი.

რაშიდა იჯდა სავარძელში, ქუთუთოებზე ოხრად ტუში ესვა და წინ ერთი შვიდასიოდე მონიტორი უციმციმებდა. ეგრე ითხიპნება ხოლმე ტუსოვკებზე და ერთხელ ქალის პარიკითაც ვნახეთ მე და ალემ და გემოზეც ვიკაიფეთ. აქეთ თავჩაღუნული პეტო და ვალერა მოჩანდნენ, რაშიდას სავარძლის უკან კი იდგა სულ შავებში ჩაცმული და სუფთად გაპარსული, ჭაღარათმიანი კლიენტი, აქედან მუტანტს რომ წააგავდა და მერეც, კარგად რომ დავაკვირდი, მართლაც მუტანტი გამოდგა; წვეტიანი ტუფლებიც ზედ ეცვა და შნუროკებიც უეჭველი სადმე ნასკებში თუ ტრუსებში ექნებოდა ჩატანიებული, ადათისამებრ... და ძმებოგრიმებო, სწორედ ამ ოთახში მზადდებოდა და მონტაჟდებოდა რაშიდას სახელგანთქმული ბლექმეტალ ფართები, რომელიც თავისი ბუნებრიობით უფრო ქაჩავდა პორნოსაიტებზე ვიდრე გადაღების ხარისხით და მონტაჟით, და რომელსაც რაშიდა მერე თურქეთში აგზავნიდა და იქიდანაც დიდი კუშები და სერიოზული ნარკატა მოსდიოდა სამაგიეროდ.

მუტანტებს ჩვენები ეძახდნენ ალექსის წინა ცხოვრების ბრატვას, ეგრეთწოდებულ „კაიბიჭებს", ხანდახან რომ ჩამოშავდებოდნენ ხოლმე მეტროს ხიდის ქვეშ თავიანთი კოვზებით და რასტვარიტელებით და მერე იჯდნენ ჩაკუზულები და ისე გვალივერებდნენ, როგორც უცხოპლანეტელებს.

მეტროს ხიდის ქვეშ კი იყო გამოღმელების: პანკების და გოთების, მეტალისტების და სხვა ფერად-ფერადი და დახეული ხალხის ყველაზე დიდი ბირჟა ქალაქში. სამოც-სამოცდაათ სულზე ნაკლებს იშვიათად ნახავდი აქ. იყვნენ ასე კუტოკებად თუ ერთმანეთში არეულები და ვისაც რა გაუსწორდებოდა, იმას აკეთებდა: ზოგი კიოდა და ზოგიც ჩუმად იყო, ზოგს ციოდა და ცეცხლიც ენთო და ზოგსაც ცხელოდა და შიშველი მოძრაობდა, ზოგი ზასაობდა ან ჟიმაობდა და ზოგიც წიგნს კითხულობდა, რაღაცას ჯღაპნიდა თუ მუსიკას უსმენდა. უფრო ცალკე და მოტეხილში ბირჟაობდა პიდარასტების კუტოკი, რომლებსაც ხანდახან ჩამოსძახებდნენ ხოლმე ზემოდან, ძვირიანი მანქანებიდან და მიჰყავდათ სათითაოდ. ამ ხიდქვეშ ყველას ის გვაერთიანებდა, რომ თითქმის ყველა ვიყავით ბომჟები და არცერთმა არ ვიცოდით ზუსტად, ხვალ სად ჯანდაბაში გავიღვიძებდით. მიუხედავად ათასნაირი ხასიათისა, გინდა სიფხიზლეში და გინდაც სიმთვრალეში თუ კაიფში, ძირითადად მშვიდობიანად მიდიოდა ამბავი, თუმცა უცხო თვალს რომ შეეხედა, უეჭველი იფიქრებდა, – აქ ახლა დიდი რამ დაგნარი აიწევაო, ისეთი აყალმაყალი და გნიასი იდგა ყოველთვის... ვიყავით ეგრე და საქმე-საქმეზე თუ მიდგებოდა, მხარშიც კი ვედექით ერთმანეთს – ფულის, დასალევის ან ღამის სათევის საკითხებში და ერთი გოგოები ატრაკებდნენ და წამდაუწუმ თმებით ათრევდნენ ერთიმეორეს და აქეთ მიდიოდა მაზიანები და ნიძლავები.

შავებზე ვამბობდი: ჩამოდიოდნენ ხოლმე ასე და გვიყურებდნენ. ადრე ხან გიტარას წაართმევდნენ ვინმეს, ხან საყურეს ჩამოახევდნენ ყურიდან, სანამ ერთმა გაღიმებულმა მეტალისტმა ერთხელ ზურგჩანთიდან არ გააძრო გადაჭრილი სანადირო თოფი და ერთ მუტანტს არ მიუშვა ორივე ჩახმახი შიგ თვალებში და გაწუწა იმის ტვინით ნახევარი ბირჟა, თვითონ კიდევ მაჯა ეღრძო და იდგა მერე დაღმეჭილი და ხელზე იბერავდა სულს. ის მეტალისტი მუტანტის მეგობრებმა კი გააქრეს სადღაც, მაგრამ ამ ამბის შემდეგ არავის ერჩოდნენ აქეთ, ისე ჩამოდიოდნენ ხიდისქვეშ წამლის გასაკეთებლად და გვიყურებდნენ ასე, როგორც ყოველთვის, ჩაკუზულები და ეგენი საერთოდ ლამის მთელ ცხოვრებას ჩაკუზულე-

ბი ატარებენ, იშვიათად მინახავს ფეხზე მდგარი, გამართული მუტანტი და ახლა რაშიდასთან რომ შემომხვდა, იმიტომ გამიკვირდა და მეთქი სურვილი ხომ არ ჩავუთქვა ამბავს.

– საიდან მომიყვანეთ ბიჭო ეს ქინძები, რა ვუყო ახლა მე ამათ! – ღრიალებს რაშიდა.

– ზროსლები არ გვინდაო, თინეიჯები მოყარეთო, ეგრე არა თქვი, რაშიდ, – ბურტყუნებს ვალერა. შუბლზე და ლოყებზე ისევ ის ფოსფორივით რაღაცა უსვია და ჩვეულებრივი ნათურის შუქზე ვიღაცის ორგაზმის მსხვერპლივით მოჩანს.

– მერე აქვე სადმე ვერ აყარეთ, თქვეჩემისებო, ეს პაპკიანი კლიენტები რომელ სკოლაში იპოვეთ, თქვენი დედები რომ ვატირე მე!

– მართლა ბოლო ზარიდან მოხსნა, ბოზიშვილივიყო, – ხითხითებს პეტროსა, ეს ქლიავი.

– აზრზე ხარ, ტო, – მიუბრუნდა რაშიდა იმას, მუტანტს, მუტანტი კი ცხვირს იფხანს და ქირქილებს:

– ჩაგვაბოზებენ, ძმაო, ეგ შკოლნიკები.

ღრმა გაჩხერილში იყო მუტანტი და ეტყობა მსოფლმხედველობა შემოუტრიალდა კაიფში და მაგიტომაც იდგა ფეხზე, როგორც იმ ანეგდოტშია: სამი ღამურა რომ ტოტზე ჰკიდია თავდაყირა და პლანს ეწევიან და ამ დროს ერთი ამოტრიალდება, ჩვეულებრივად დაჯდება ტოტზე და რა მოუვიდაო, – მეორე ღამურა იკითხავს და მესამე ეტყვის – ეტყობა მაგრად წამოუღო და გული წაუვიდაო. მოკლედ, ხომ ხვდები.

– ისე, ეგრე უფრო ბუნებრივი კადრები გამოვა, რა გინდა, – ვუთხარი მე.

– თუ არ იჟიმავეს, რა ჯანდაბად მინდა ბუნებრივი კადრი, – თქვა რაშიდამ და ახლაღა შემოგვხედა:

– ვაა, ჯიოლენდ? ალე?

თან ზედ შეეტყო, რომ გაუტყდა ჩვენი დანახვა – მე და ალე ვეკაიფებით ხოლმე სულ და ახლა, წონა რომ არ დაუვარდეს თავისიანებში, პეტოს და ვალერას ეუბნება:

– რას მიყურებთ, გააჯვით აქედან და იმ კამერას მიმიხედეთ.

– რომელ კამერას? – ამბობს ვალერა და რაშიდა ყვირის ისევ, თვალებზე ტუშწასმული:

– პივა რომ აასხა, ბლიად, ვიღაცა შტერმა, იმ კამერას და მალე ქენით, ისედაც ძლივს მიქაჩავს ფილტრები!

ვალერა კარისკენ დააწვა და ბოლო სიტყვაც ჩააგდო კარებში:

– ვინ კამერას, ტო... ჩიტი ხომ არა ვარ, რაშიდ, იმ სიმაღლეზე რა მოწმინდავს.

– ჩიტები ხომ არა ვართ, რაშიდ, – მხარი აუბა პეტომ, გასვლისას რაღაც კალიკი ჩამიდო ხელში და ყურში მიჩურჩულა:

– მიუშვი, ჯიო, ეგრეევე, ყველა ნარკატას იხევს და შენ იცი...

ამ დროს ალექსა რაშიდას მიუახლოვდა, ლადაც გაიყოლა და რაღაცნაირად, დერსკად და ჩუმად ეუბნება:

– ამას იქ რა უნდოდა, შე ნაბიჭვარო!

ისეთი დუხით უთხრა, გეგონება, ქამარში ისევ მამამისის ნაჩუქარი გლუშიტელიანი ჩეზე ედოს და გარეთ კიდევ მაფიოზი ძმაკაცებით გატენილი დაბურულმინებიანი ბეემვე ელოდებოდეს და გაფუჭდა რაშიდაც, როგორც ფუჭდებიან ხოლმე ქინძები, თვითონვე რომ ხვდებიან თავიანთ ქინძობას და მოულოდნელად ნაღდ ამბავში რომ მიადგებიან ზედ... და რაშიდამაც დაიყიყინა:

– აბა ვისა, ალე!

– დაიკიდე, რაშიდ, ვერა ხედავ, მთვრალია გახეული, – თქვა ლადამ და ალეს მიეხუტა.

მუტანტი კი ამასობაში ჩემი ძმაკაცის მწვანე კედებს ათვალიერებს და ისევ ქირქილებს:

– ალექსანდერ, რავა ხარ, ბრატ!

ალეს ის ტიპი ან არ შეუმჩნევია საერთოდ, ან შეამჩნია და რა ვიცი ვინ ეგონა და მოკლედ, ფეხებზე ეკიდა აქამდე მუტანტი. ახლაღა შეხედა, ეტყობა იცნო და მაგრად დაიბნა, ლადაც ეგრევე მოიშორა.

– ვა, უცებ ვერ გიცანი, – ამბობს და იკრიჭება დებილივით.

– რაღაც აღარ ჩანხარ ჩვენკენ... – ენა ძლივს დაატრიალა მუტანტმა და უცებ შუსტრად, ფხიზელივით ეკითხება:

– ეგ ბავშვი ვინაა, ალექს?

სუბო აქვს ალბათ გაშვებული, სუბომ იცის ხანდახან ასეთი უაზრო მოტანა-წაღება, მონაცვლეობით.

– ლადაა ეგ, ალინას და, – წაილაპარაკა რაშიდამ, – ხომ იცი ალინა?

ეგ ისე თქვა რაშიდამ, საუბარი რომ სხვა სართულზე შეეგდო და ამ დროს თვალებიც გაუნათდა ჩათლახურად; ეტყობა რაღაც ამბავი აწონ-დაწონა უკუღმართ ტვინში, სიტუაცია კარგად დაალივერა და სავარძელში გადაწვა.

– იმ დღეს რომ გაგაჟიმიე, ბიჭო, ალინა, მწვანეთვალება, როგორ არ გახსოვს, ტო, – უთხრა მუტანტს და ალეს შეხედა თან.

– ალინა... ალინა... – მუტანტი სავარძელს ჩამოეყრდნო და ღრმად ჩაფიქრდა თუ ისევ მოუტანა და რაშიდას მელოტ კინკრიხოს დაუშტერა თვალი.

ამ დროს კარებში პრია გაეძრო:

– რაშიდ...

– პლეტი! – მოაკეტინა რაშიდამ და დაამატა: – ეს ლაწირაკი გაიყოლე პახოდუ და იმ სირქალასაც უთხარი, რომ აღარ მოათრიოს აქ!

– სირქალა თავი გაბია! – უთხრა ლადამ, კარებში გაძვრა და ყვირის იქიდან: – ალე, მანდ რომ მოაყომარებ, დაბლა ჩამო, ოკეი?

ლადა-ლადა... არადა, რომ შეხედავ აბრამის თუ ჯემალის ბატკანი გეგონება, ბაბთებიანი ცისფერთვალება გოგონა და რამე.

– შემომაკვდება ეს ბავშვი, – ისევ ალეს უყურებს რაშიდა, სავარძელში გადაწოლილი და ალე, ჩემი ძმაკაცი, დგას ეგრე ჩუმად და ვუყურებ და ველოდები – ოდნავ, სულ ოდნავ მაინც გაინძრეს, რომ ავიღო ხელში სკამი და მივაფშვნა ვინმეს სიფათში... ამ დროს რაში-

დამ მუტანტსაც ახედა, ამასობაში ზედ კეფაზე რომ დაციებოდა თვალებით. ახედა და ტაშიც შემოჰკრა:

– ვა, ახლა გამახსენდა! ხომ გათხოვდა ალინა, აზრზე ხარ, გუდრონ? მართლა გათხოვდა, ბოიშვილივიყო!

გუდრონაო... მე რომ ეგეთი მეტსახელი მქონდეს, ფლასებს ჩავიცმევდი და სადმე მღვიმეში დავეყუდებოდი ხმელა პურზე – ისეთი დავიგრუზებოდი.

ტაშზე მუტანტი უცებ გამოფხიზლდა:

– ჰოო, ტო...

– საელჩოდან რომ დადის ბარიგა, იმას წაუყვანია, აზრზე ხარ? – აგრძელებს გნიდა რაშიდა.

– თეთრი რომ მოაქვს, ტო? გორილას რომ გავს... – ბავშვივით გაიცინა მუტანტმა, – ფაქტი მოაქ და ქალი მიაქ, ტო.

ალექსას, ვხედავ, ნიკაპი აუკანკალდა. მაგის შემხედვარე გრდემლიც მიხვდებოდა რაღაცას და შავი სამყაროს ადეპტმაც ისქესა ეტყობა, და ვართ ასე ყველა და ალეს შევყურებთ საახალწლო ნაძვის ხესავით, ის კიდე რაშიდას მონიტორებს ათვალიერებს, ვითომ ზედ ჰკიდია, სულ არ ეხება ლაპარაკი...

და შემორჩენია ალექსანდერს ის დედააფეთქებული დაავადება, ვერ მორჩენილა ჩემი ძმაკაცი, მთვრალზეც კი ზედ აქვს ბორკილებივით გაღმური გაგება – ერთმანეთის კუილს რომ აყურადებენ მთელი ცხოვრება და რაშიდას ბოზის შეყვარებას კი არა, შნუროკის არასწორედ შეკვრას არ გაპატიებენ და ეს არის, ალექს, ყველაზე ნაღდი, რაც შენ გჭირს ახლა: ხომ გიყვარს და მაგრად გიყვარს ალინა და ეგაა მაგის საშველი თუ ვაქცინა: ალინა კი არა – რაც ამ დროს შენს თავს ტრიალებს... მთავარია, არ დაფრთხე, ბრატ, არავის დაუჯერო, ბოლომდე შემოუშვა და მერე ვინღაა, ვინ ოხერი! შენ ხარ და პლანეტა და სადღაც აქაა, ამ მიდამოებშია, ალექს, რავიცი, ყველაზე ნაღდი რაღაც... შეყვარებული კაცის ნაპირზე ყოფილა ყველაფერი, ახლა ვხვდები და ხოშიანადაც დავხუროთ მოდი, გავაჩმახოთ ჩვენებურად და გავშპეთ აქედან, ისევ ჩვენს კარუსელთან დავბრუნდეთ, ალებარდოს, ძმაილავ ჩემო...

და სანამ მე უკვე ვაჩმახებ გუნებაში და გაჩმახების სტრატეგიაც მოფიქრებული მაქვს: სკამიც ლამის ხელში მიჭირავს უკვე და ალესაც იქვე ეგულება კაი მძიმე ტორშერი, ალე და რაშიდა ერთმანეთს მიჩერებიან თვალებში. ამასობაში მუტანტი ისევ აბსაიდში წავიდა, ალე კი უცებ შემოტრიალდა, კარისკენ დააწვა და გავყევი მეც, რა უნდა მექნა.

გამოსვლისთანავე ეგრევე მარჯვნივ, დერეფანში გავარდა ალექსა, იქ ტუალეტების მეტი არაფერი მახსოვდა და მეთქი გული ერევა უეჭველი, მაგრამ ალე გაცდა ტუალეტს, გაიხედ–გამოიხედა და ჭერიდან სახურავზე ასასვლელი კიბე ჩამოსწია ხლიწინით, შუსტრად ავიდა, კიბე აკეცა და ზემოდან ჩურჩულებს:

– დასალევები წამოიღე რა, ჯიო, ძმურად.

ეს კიბე რაღამ დამავიწყა... არადა, თუ რამე მიყვარს რაშიდას სახლში, ეს კიბე მიყვარს და მერე სახურავი და კიბესაც ყოველთვის ასე ვტეხავთ ხოლმე, ვინმე რომ არ აგვეკიდოს. დაბლა ჩავირბინე, ბარიდან ორი ბოთლი დავითრიე და იქაურობაც დავალივერე. არც ღვიძლის ბიჭები ჩანდნენ სადმე და მწერალსაც ალბათ სადმე მდუმარებაში ყავდა წამოცმული ის ჩემის ჩოლკიანი. ფეხქვეშ იატაკი ზრიალებდა და ორი ჰერმეტული კარიდანაც ამოისმოდა ბასავიკების გუგუნი: ეტყობა, ქვემოთ ზენიტში იყო ამბავი და უცებ ჰალსტუხიან ძიაკაცს, წეღან რომ აკიმარებდა – იმას, როგორც იტყვიან, თვალი თვალში გავუყარე. თვალისა რა ვთქვა და რაიმე სხვა ორგანოს უკან გამყრელი რომ იყო, სახეზე ეტყობოდა; დაბლა ეგ დინოზავრივით იქნებოდა და ახლა აქ იჯდა ეულად და მანუგეშებელიც უეჭველი მალე გამოუჩნდებოდა... ასეთები ხანდახან აქ კი არა, თუ გაუჭირდებოდათ ხიდქვეშაც ჩამოიპარებოდნენ ხოლმე, მაგრამ მაშინ კოსტუმი არ ემოსათ, დიდი და მუქი სათვალეები ეკეთათ და ნუგეშის ცემაში იმდენ ფულს იხდიდნენ, რომ მანუგეშებლების მთელი არმია ედგათ რიგში და მერე გრიმიც აღარ სჭირდებოდათ, ისე უბრწყინავდათ სახე ეკრანებზე... ბოთლები დავითრიე და ისევ რაშიდას სართულზე ავაჭერი. დერეფანში კაციშვილი არ იყო, ჩამოვკეცე კიბე და სხვენში ავედი. ამ მტვრიან სხვენზე ზეპირად ვიცოდი ყველა კედელი და თვალდახუჭული ავიდოდი სახურავზე, მაგრამ ერთ ალაგას რატომღაც ყოველთვის თავს ვუჭახუნებდი რაღაცას და ისე შევეჩვიე, აღარც ვიგინებოდი და ახლაც ჩვეულებისამებრ შევახალე შუბლი და სახურავზეც ავედი მშვიდობიანად.

რაშიდას სახლის სახურავს კი არაფერი ჰქონდა საერთო რაშიდას ამბავთან... თითქოს სულ ცალკე და სხვაგან სადმე დალივლივებდა ჰაერში; მარტო სახურავი იყო, მშვენიერი და მოსახერხებელი დახრის კუთხით, თავისი საკვამურებით და ანტენებით და სულ დაბლა, ზედ კიდესთან მოაჯირივით იყო ამოწეული რაღაც სადინარები და ფეხების შემოსალაგებლად უფრო გლიჯავდა ეგ სადინარები: რომ წამოწვებოდი, როგორც შეზლონგზე, ფეხებს იმ მოაჯირივით რაღაცაზე შეაწყობდი და გაიხედავდი სადაც გაგისწორდებოდა. გასახედი კი ნაღდი იყო: აქეთ ჩემის მშობლიური დედაქალაქი ჩაფენილიყო, წინ, მდელოს იქით ტყე ჩანდა და სულ იქით ტიტველი გორები, ზედ მასტერკებივით დარჭობილი ბოძებით და თუ არც ქალაქები გევასებოდა კაცს და არც ბოძები, აგერ გეხურა ცა – იქ არც ბოძები იყო, არც ქალაქები; მარტო ვარსკვლავები, სპუტნიკები და მფრინავი თეფშები მოძრაობდნენ ცაში, იქით მთვარეც ატრაკებდა ხუთიანზე და სახურავზე ღამე ფხიზლად ამსვლელ კაცს არ ვემეგობრები ასი წელი და დანარჩენები, ჩემიანები ხომ მიმიხვდებიან მუღამს...

ავედი და სადაც ჩვენ გვიყვარდა ჯდომა,

კიდესთან და საკვამურთან, იქ იჯდა ალე, ჩემი ძმაკაცი და თავი ჰქონდა ჩაქინდრული იმასავით. გვერდით მივუჯექი და ბოთლი მივაწოდე.

ალემ ბოთლი გამომართვა და ისე, რომ არც შეუხედია ხელში რა ეჭირა, ამბობს:

– ბარემ ბროლის ფუჟერებიც ამოგეტანა, ჯიო.

ბოთლს დავხედე და მწვანე გამოდგა, შიგნით კიდევ ესხა ყველაზე მურტალი დასალევი – შამპანური, მაგრამ ახლა ვაივიშის დრო არ იყო, დაბლა აღარ ვიყავი ჩამსვლელი და მეთქი შენი შუშხუნა დედაც, შამპანურს ვაგინებ გულში და თან მისწორდება, ხუმრობის თავი რომ აქვს ალექსას და არ ყოფილა ისე ცუდად, მე რომ მეგონა. ამ დროს პეტოს კალიკიც გამახსენდა, – ალბათ რაიმე ექსტაზი იქნებოდა, ალკოჰოლზე ექსტაზი კი ჭირისუფალსაც გაამხიარულებდა, ვიცოდი და მაგარ ხასიათზე დავდექი: მაინც კარგად გამოგვდიოდა მე და ალექსას ამბის დახურვა. კალიკი ჯიბიდან ამოვიღე და მთვარის შუქზე შევათვალიერე, რომ გამეგო, სახელდობრ რა სახეობის ექსტაზთან მქონდა საქმე და რის ექსტაზი და რაის მთვარე – თურმე მთელი გალაქტიკა მეჭირა ხელში, ბუხრის თავზე შემოსადები ანტიკვარი და ყველაზე ძლევამოსილი ჰალუცინოგენი, რომელზე მაგარიც, აგერ ლამის საუკუნეა ჩალიჩობენ და ვერ გამოუგონიათ: თვით მისი უდიდებულესობა ელესდე მეპყრა ხელთ, მყარი სახით და ზედ ჩემისდოქტორის სათვალიანი პროფილით... აქეთ ვერცერთ ბარიგასთან ვერ ნახავ ასეთ კალიკს და საიდან პეტოს, ან მე რატომ მომცა – საერთოდ ვერ მივხვდი ამბავს.

ელესდე ერთხელ მამაოს აჩუქა დაბადების დღეზე ვიღაც ბებერმა გიტარისტმა და მაშინ მამაომ მარტო ჩვენ, მე და ალეს დაგვიძახა. ჭრელაჭრულა კალიკი რომ დავინახე, რაღაც სადისკოთეკო ექსტაზი მეგონა და მეთქი ავაჰმე, – დაგვიბერდა და გამოტვინდა მამაო, მამაომ კი ის კალიკი ჩაიში დაუშვა და რა უნდა გვექნა, კაცს დაბადების დღე ჰქონდა და ვწრუპეთ სამივემ ეგ ჩაი, თან გახეული მთვრალები ვიყავით და არც მოიტანა არაფერი, იქით გამომიყვანა სიმთვრალიდან... მერეც სულ ფხიზლად ვიყავი და ჩემთვის ვაწობდი ისრის ბუნიკებს შხამში, ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში რომ თუხთუხებდა და მშვილდისარს ლარი წინადღეს გამოვუცვალე, ლარის გამოცვლა აღარ სჭირდებოდა და სანადიროდაც მზად ვიყავი თხემით ტერფამდე მეც და მთელი ჩემი ერიც – მთელი ბუშმენობა. მოკლედ, ისე გადამიყვანა სადღაც, რომ ვერც კი მივხვდი და სადაც წამიყვანა, იქაურობა უფრო ნაღდი გახდა, – თავის ფერებით, სუნებით და კიდევ რაღაც უცნაური, მზადყოფნის თუ მოლოდინის შეგრძნებით, და იქიდან გამოვყურებდი მამაოს ბარს და ცეცხლის პირას ვშტერდებოდი: ეს წვერებიანი კლიენტი რა ტიპია და რატომ მელანდება-მეთქი – მამაოზე ვკაიფობდი.

ახლა კალიკი შუაზე გადავტეხე და ერთი ნატეხი ალეს გავუწოდე, არადა ტრიალ სახურავზე კი არა, ჩაკეტილ ოთახშიც არ ღირს ეგ საქმე, თუ ვინმე ფხიზელი არ გყავს გვერდით; სახურავზე ელესდეს მიშვება უეჭველი სუიციდის ტოლფასია, მაგრამ ამაზე ბევრი აღარ მიფიქრია, არც ალეს უკითხავს არაფერი და გადაყლაპა ეგრევე, ზედ შამპანურიც დააყოლა და მეც ალეს მივბაძე... ერთი წუთის მერე კი აღარც კალიკი მახსოვდა და არც რამე პრიხოდს ველოდებოდი; ვიჯექი ჩემთვის, ამ უბედურისერთ შამპანურს ვყლურწავდი და იმაზე ვფიქრობდი, რა მაგარი სახურავი აქვს ამ დამპალ სახლს-თქო. ჩვენი კარუსელის მერე რაშიდას სახლის სახურავზე ვიყავი ყველაზე კარგად. სხვა სახურავებსაც არაფერს ვერჩოდი, საერთოდ, ყველა სახურავს პატივს ვცემ, სადაც ღამე გვითენებია, მაგრამ იმ სახურავებზე შუა ზაფხულშიც აცივდებოდა ხოლმე ღამღამობით, მზისგან გახურებული თუნუქი თუ შიფერიც ისე ცივდებოდა, პარალონიც აღარ გვშველოდა და დილაობით გაყინულები ვიღვიძებდით. რაშიდას სახურავზე კი რატომღაც უაზროდ თბილოდა, შეიძლება სულაც იმიტომ, რომ ჩვენ არ ვფიქრობდით სიცივეზე, ისე კარგად ვიყავით: რომ წამოვწვებოდით მე და ალექსა და რამდენი ცაში რაღაც ამოძრავდებოდა, მფრინავი თეფშია-მეთქი – ალეს ვუმტკიცებდი, ის კი ატრაკებდა, გინდა თუ არა თანამგზავრიაო და სანამ ჩაგვეძინებოდა, ასე ავყურებდით ცას, არცერთი ვუთმობდით ერთმანეთს და ბავშვებივით ვიმეორებდით ჩვენსას: სპუტნიკი, მფრინავი თეფში, სპუტნიკი, მფრინავი თეფში... და მერე რაშიდას სახურავს სიზმრებიც სულ სხვანაირი მოჰქონდა. მაგრამ ნეის შემდეგ ძველებურად ვეღარ ვუმღერამებდი ამ სახურავს, ნეი და მარკო აქ ამომსვლელები არ იყვნენ და ნეი თუ სადმე ახლომახლო არ იყო, ვერაფერს ვუმღერამებდი ძველებურად... ახლაც ნეიზე და მარკოზე ვფიქრობდი, ჩვენ რომ გვიყვარდა ისეთი ამინდი იყო და ალბათ კარუსელზე ათენებენ, ნეტავ ახლა რა ჯანდაბას აკეთებენ და მაგარ მურტალ ამბავსაც მივადექი... საკვამურს მივეყრდენი და გავიხედ-გამოვიხედე, უამური ფიქრები რომ მომეტეხა.

ალე ისევ თავის მუღამში იჯდა, ხელებში თავჩარგული და ბურტყუნებდა: „მიცურავს მთვარე-ჯადოქარი, სახურავები მთვარის შუქით მოსარკულია...“* მაგრად როცაა, პოეზიის მუღამში ვარდება ხოლმე ჩემი ბრატი და ეგრე ბურღავს ტვინს, კიდევ კარგი ენას მაინც ატრიალებს ეს ჩემისა. უფრო იქით, სახურავის გაღმა კიდესთან სხვა საკვამური ჩანდა; ზედ კიდეზე ამოშვერილიყო, ალბათ გარე კედელს ამოუყვებოდა საიდანღაც და ისე მოჩანდა აქედან, გეგონება ვიღაც კლიენტი ზის და ფეხები ქვემოთ აქვს ჩაკიდებულიო. საკვამური რომ ადამიანს მივამსგავსე, სულ არ გამკვირვებია, რადგან კარგა ხანია ეგ იყო ჩემი ფინტი და მუღამი: ჯერ კიდევ გაღმა, ხე იქნებოდა თუ დაჭყლეტილი პლასტმასის ბოთლი თუ ქვა... მოკლედ ყველგან და ყველაფერში რაღაც სახეებს თუ პროფილებს, ფორმებს თუ მოძრაო-

ბას ვჩითავ ხოლმე, თუ კარგად დავაკვირდები და ბევრჯერ მომსვლია, ღამე სიგარეტის ან მასტერკის მოკიდებულ თავს რომ დავაშტერდები დაუნივით და ნაფაზის დარტყმა მავიწყდება, ისეთ ტიპებს ვამუღამებ შიგნით, თავისი ჩრდილებით და ამბებით... ახლაც მარტო ის გამიკვირდა, რომ მერამდენეჯერ ვზივარ აქ ასე და ახლაღა შევამჩნიე ის ჩემის საკვამური, თუმცა რაშიდას აუზს რომ გულის ფორმა ჰქონდა, ეგეც ხომ დღეს აღმოვაჩინე და ალბათ უყურადღებო მასტი ვარ, თორემ ამ წუთას ხომ არ ამოვიდოდა მართლა სოკოსავით ის კაცივით საკვამური...

ისევ ჩემს საკვამურს მივეყრდენი, ფეხები სადინარზე თუ რაღაც ჯანდაბაზე შევალაგე გემოზე და ამ დროს, გამახსენდაც არ ქვია მაგას, უბრალოდ ვიღაცამ ამწია, სულ სხვა სახურავზე დამსვა და: გავრბივარ ბრაგაბრუგით სახურავზე, ჩემ წინ ობობასავით მიქრის ჩუი და გვერდით მომყვება ერთი სომეხი ბარიგა. ჯიბეში ბლომად ფული მიდევს და ეს ფული ხიდქვეშ ააგროვეს ბიჭებმა, საახალწლოდ რომ მარიხუანა გვეყიდა, ჩემის ბარიგას კი ჩათლახი ოპერები აზიან თურმე კუდზე და აზრზე არა ვართ; გასინჯვა ძლივს მოვასწარით, ამბავი რომ დაიწყო და კრეტინმა ბარიგამ – წამომყევითო, კარგი ხოდები ვიცი, ვერ მოგვჭამენო და მეგონა, სადმე უკანა ეზოთი გავშპებოდით და ახლა კიდევ გავრბივართ ასე სახურავზე: ბარიგა რომ დაიჭირონ, სახლ-კარს გააყიდინებენ ან ოცი წლით ჩასვამენ, მართლა გასაქცევად აქვს საქმე და ამიტომ სულ სალტოებით და ფატალიტებით გარბის ბარიგა და ჩვენ, – რომ გავრბივართ მარტო მაგისთვის გვცემენ მაგრად და მთელ ფულს რომ წაგვართმევენ და ახალ წელს გაგვიფუჭებენ, ეგ უფრო მედარდება და ტოლს არ ვუდებთ ბარიგას სირბილში, თან ისეთ ადგილებს ვახტებით გზადაგზა, ყველაზე ვაუკაცი კატა რომ ორჭოფობას დაიწყებდა: ხომ აზრზე ხარ, შიშისგან თუ სხვა რაღაცისგან მეორე სუნთქვასავით რომ გეხსნება და ისეთ ამბებს ატრიალებ, სხვა დროს ასი წელი რომ ვერ დაატრიალებდი, – ჩვენც ხან ჩავხტებით სადღაც ჯანდაბაში, ხან ავბობღდებით ისევ პიტალო კედელზე და ვართ ასე. ამასობაში უკან ერთი ოპერი კაბელებს წამოედო ალბათ და სადღაც ჩავარდა შიფერების ლაწუნით და გინებით, მანამდე ხმაგაუღებლად მოგვსდევდა და დანარჩენებიც დაბლა ქუჩებში ეგრე ჩუმად დაჯლიგინებენ ღორებივით, პატიოსანი მოქალაქეები რომ არ გამოაღვიძონ... სამაგიეროდ ჩვენ გავაყრუეთ ბრაგაბრუგით ყველაფერი და ზურგსუკან ხან საკვამურს ვგრძნობ და აქედან საკუთარ თავს ვუყურებ, სახურავიდან სახურავზე რომ ვეწეწები სპაიდერმენივით, ხან მარტო ვარსკვლავებიან ცას ვხედავ, ზემოდან მესმის ფეხების ბრაგუნი და მერე ისევ გავრბივარ, ოღონდ ახლა არც ფეხის ხმა მესმის და სუნიც სხვანაირია... რაღაც მაგარი ნაცნობი მიდის და მოდის წამებში თუ კადრებივით – არც გაღმიდან და არც გამოღმიდან, სულ სხვა კუნძულიდან, შორიდან მოდის და ხელებში რატომღაც ვაშლები მიჭირავს, თითებს ვუჭერ მაგრად და ჩემს გვერდით ჩუი კი არა, ვიღაც ბავშვი მორბის – გოგო, მეც შორტებიანი ლაწირაკი ვარ და ტირილს ძლივს ვიკავებ, თან სირბილისაგან ხმა მიკანკალებს და ვჩურჩულებ: გადავხტებით, გადავხტებით, გადავხტებით, ნუ გეშინია... და უკან როტვეილერის დორბლიანი ხახა იჩითება, წინ კიდევ მწვანე ჭიშკარი... ვეყუდები საკვამურს მთელი ძალით, თვალებს მაგრად ვხუჭავ და ასე ცოტა ხანს აღარ მიქრება ხელიდან ვაშლები, – და გავრბივარ სახურავზე თვალდახუჭული, ბრაგაბრუგით ვებერებით მე, ჩუი, ბარიგა და ვიღაც პატარა გოგო და კარგად ვარ, კარგად კი არა, შიგნაკრავივით ბედნიერი ვარ რატომღაც... მერე გოგო და ვაშლები ქრებიან და ტყუილად ვმუჭავ ხელებს, ტყუილად ვხუჭავ მაგრად თვალებს – აღარ მოდიან და ბოლოს ჩახტა რომელიღაც იტალიურ ეზოში ბარიგა და მივყევით ჩვენც. აქ კი ფეხებზე მკიდია უკვე ყველაფერი, ისე კარგად ვარ, თან აქედან ახლოსაა ჩემი ადგილები და იქ ას კვადრატულ მეტრში რომ ასმა ოპერმა გვეძებონ მე და ჩუი, ვერ გვიპოვნიან ასი წელი, ისეთი დასამალი ადგილები ვიცით და ახალი წლის ამბავიც გამოგვივა, აგერ გვაქვს ფული. ეზოდან გავედით და ოპერები სადღაც ტრაკში მოჩანან, როგორც სირი დედინაცვალი წიქარას ზღაპარში და ახლა უფრო დინჯად გავრბივართ მე და ჩუი, თავი ქუდში გვაქვს. ამ დროს, ვხედავ, ჩუი მეძებარი ძაღლივით, ზიგზაგებით მორბის – ჰოპ, ჰოპ, – ხან ქუჩის იქითაა, ხან აქეთ შუსტრად და აზრზე მოსვლას ვერ ვასწრებ, რომ ფეხი უცდება ხრეშზე და გორავს კვნესით. ამასობაში სულ ახლოს მოვიდნენ ოპერები და რა ვქნა, ვტოვებ ასე ძმაილას და ვტყდები ჩემს გზაზე, თან ვბრაზობ, ალე რომ არ წამომყვა და ჩუის კიდევ რა ეტაკა, წარმოდგენა არ მაქვს. ახლა ალბათ უკვე გაგდებული ჰყავთ წიხლქვეშ და მოუხდება კიდეც, და ცემა რომ მობეზრდებათ, გამოაპანღურებენ ჩუვაკას – ვიცი, ოპერობაში ვიღაც ნათესავიც ჰყავს ზემოდან და პრობლემა არაა, ასი წელი მაინც ერთად შევხვდებით ბრატვა ახალ წელს... მერე ხიდქვეშ, ჩემებში ვყვები ამბავს და ერთ მოწეულ კლიენტს ისეთი სიცილი უტყდება, ისტერიკაში ვარდება და ლამის ენა ეყლაპება, ისე ცუდად ხდება. თურმე ამ კლიენტს უსწავლებია ჩუისთვის: როცა ოპერი კუდზე გაჯდება, ერთს ჰაერში ისვრის და თუ არ გაჩერდი ფეხებში დაგიშვებს – ასეთი წესია და ამ უკუღმართ ქვეყანაში შეიძლება ეგრევე კეფაში დაგაცალონო აბოიმა და რომ არ გაგარტყან, ეგრე ზიგზაგებით უნდა გაიქცეო – უხუმრია ამ კლიენტს, ჩუიმაც დაიჯერა და რა დროს გაახსენდა ამ ჩემისას. ახლა მახსენდება ჩუის ზიგზაგები და ვხარხარებ შუა სახურავზე, ისიც მახსენდება, წეღან კალიკი რომ დავუშვი და ალბათ ახლა ასეთი – პლანივით პრიხოდი აქვს და იმ ნაღდი ამბიდან გამოვედი ეტყობა; აღარც ბრაგაბრუგი მესმის

და ის ვაშლები რაღა ჯანდაბა იყო ნეტავ... და ვინანე, რომ მარტომ არ გავუშვი კალიკი და ალეს გავუყავი, მაშინ იქნებ ვაშლების ამბავიც უფრო კარგად გამეგო.

უცებ ალე გამახსენდა, მოვიხედე და ვხედავ, – სადაც წეღან ალექსანდერი იჯდა, იქ ახლა რაღაც მოწანწკარებს და ბრწყინავს მთვარის შუქზე. ნაკადს თვალი ავაყოლე და სულ ზემოთ, ანტენებში წამოწოლილა ჩემი ძმაკაცი, თან ისე მოხერხებულად ჩაკვეხებულა ანტენებში, რომ იქიდან ჩამოგორების შანსი არ იყო და ეტყობა ავტოპილოტი ჩაერთო და სადაც ყველაზე ნაკლებად დაერხეოდა, იქ ჩაუჯდა, სანამ გაითიშებოდა და რომ არწყია – კარგია, აწი მაგას არაფერი მოუვა და იძინოს, მოუხდება. ალეს კი ეშველა, მაგრამ მე რომ ასე ფხიზლად ვარ, რა ჯანდაბა ვქნა-მეთქი, – ჩემს საკვამურს ვეკითხები და საკვამურმა – შამპანური ხომ მანდ გაქვს ნახევარი ბოთლი და ჩაუფინე, თან შეიძლება პრიხოდიც შემოგიბრუნოსო. ეგ სულ აღარ გამხსენებია და გამიხარდა, უფრო გემოზე მოვკალათდი, შამპანურიც მოვწრუპე და ისე ძალიან აღარ შემზიზღებია, მომეწონა კიდეც მაგრად...

და ცოტა ხანში ისევ გაიქცა ვიღაცა ცაზე; მე ვერ ვხედავდი, მარტო ფეხების ბრაგუნი მესმოდა და ვბრაზობდი, რომ ხელში ვაშლები აღარ მეჭირა და საკვამურიც ამბობს ამასობაში: – გოიმი ხარო, ის კალიკი მარტოს უნდა მიგეშვაო და რა კალიკი, ბლიად, ვაშლების მუღამი მაქვს და აზრზე არა ხარ-მეთქი არაფრის და ამან – ისევ ხელში გიჭირავსო ვაშლები, მარტო ახლა კი არა, სულ თან დაგაქვს და ვერ ხვდებიო და ეგ ვაშლები რომ არა, ვერც სპიდისას მიხვდებოდი რამეს და ასე ვერ გაიქცეოდიო ასი წელი, ვაშლების გარეშე აზრადაც არ მოგივიდოდა ასე, სახურავებზე შიგნაკრავივით სირბილი და საკუთარი კომპასით რაღაცის ძებნა, სადმე გაღმა მიახმებოდიო ერთ ადგილს უვაშლებოდ და ეგ შენი ძმაკაციც შენსავით არისო; ყველას თქვენ-თქვენი ვაშლები გაქვთ და სახურავებზე სირბილია მთელი თქვენი ამბავიო. მერე გაჩუმდა საკვამური და მე ისევ მესმის, ვიღაც ტიპები რომ დაბრახუნებენ ცაზე, – ნეტა იქაც სახურავი ხომ არაა და ვერ ვხედავ მე... და საკვამური მეკითხება: – გინდა, ჯიოლენდ, მაგრად გაგისწოროო ახლა, მეთქი, აბა, მიდი და – კარგიო, მაგრამ ის კალიკი რომ მარტოს მიგეშვა, უფრო მაგარს გაგისწორებდიო და რაის კალიკი – ვბრაზობ, – შიგ აქვს ამ საკვამურს უეჭველი, ან თვითონ აქვს კალიკი დაშვებული... უცებ ზურგით ვიგრძენი, როგორ გაინძრა თუ გაიჭინთა ჩემის საკვამური და ვხედავ, – იშლება და ფართოვდება რაშიდას სახურავი, და აღარც გორები მოჩანს და აღარც არაფერი; მარტო ცაა ზემოთ, გარშემო კი ყველგან რაშიდას სახურავია ჰორიზონტამდე და მიდი ახლაო, – საკვამურმა, – ხომ ეგ გისწორდება და შეუბერე, ირბინე ახლა სადაც გინდა, საითაც გინდა და გააყრუე ბრახუნით მთელი პლანეტაო... გამოვშტერდი, ისე გამიხარდა და შეძლებისდაგვარად ვერიდები სენტიმენტებს, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ვაკოცე საკვამურს – ჩემიანი და ჯიგარი ხარ-მეთქი. მერმე სადინართან ჩავხოხდი, ვათვალიერებ, სადამდეც თვალი მიმიწვდება, მთელ სახურავს და იქაც ვხედავ საკვამურებს და ანტენებს, მარტო ვაშლებს ვერ ვგრძნობ ხელებში და ეგება, რომ გავიქცევი, მერე გამიჩნდეს, გზადაგზა... ზურგს უკან კიდევ – მიდი, რაღას უყურებო – მესმის და მაიცა ჯერ, – ვეუბნები.

ვარ ასე და ამ დროს სახურავში გაიჩითა ორი სინათლე, თვალებივით თუ იმასავით და წამოვიდა შორიდან: მოდის ნელ-ნელა და სადღაც დაბლიდან მოდის, ატანს რაშიდას სახურავშიც, ჩემს ტვინშიც და ანთია ასე ორი შუქი; ჯერ წერტილებივით, მერე დიდდება, სულ ახლოს მოდის და რაღაც ღმუილივით ხმაც წამოყვა მერე და რაშიდას სახურავიც გაფერმკრთალდა, – ალაგ-ალაგ უკვე გორებსაც ვარჩევ ზედ დარჭობილი ბოძებით, გორების აქეთ – ტყესაც და იმ ტყიდან გამოდის ეს ორი შუქი, ღმუილიც მოყვება და ფარები, ტო, მანქანის ფარები, როგორც ერთ მაგარ ფილმშია, ნაგვის მანქანას რომ უმუღამებს დენირო – აქაც ფარები შემოყო ჯერ და დიდი კამაზიც გამოვიდა ტყიდან, მდელოზე შემოაჭრა და რაშიდას სახლისკენ წამოვიდა რივოკით... წამოვიდა და ისეთი ჭახანით ხია რაშიდას ჭიშკარს და გადმოანგრია კედელთან ერთად – სულ გამომიყვანა და გამომაფხიზლა, ამბავიც გამახსენდა და ჭირის ოფლმა დამასხა: მეთქი საღოლ, ის დედააფეთქებული კალიკი რომ მარტომ არ დავუშვი და პრინციპში, ეს კამაზი რომ არა, ახლა მართლა ვარსკვლავებში ვირბენდი და ნამტვრევებად ვეყრებოდი დაბლა, ბრრრ... სად გადავრჩი, ბლიად.

ამასობაში კამაზიდან ოხრად ხალხი გადმოიყარა ყვირილით, ორი-სამი კაცი ეგრევე გამოვიდა ფარების შუქზე და ყვითელი ჯიპისკენ დააწვა. ეტყობა, წინასწარ აქვთ ყველაფერი დაგეგმილი, – ვფიქრობ და ამ ორს უცებ რაღაც ცეცხლები გაუჩნდათ ხელებში და მიუშვეს ყვითელ ჯიპს: აზრზე მოდი, მოლოტოვის კოქტეილები გააძრეს მასტებმა და ჯიპიც აპრიალდა გემოზე, მე კი უკან გადმოვწექი და აფეთქების ხმას ველოდები, მაგრამ ეს ჩემის ჯიპი რატომღაც არ ფეთქდება, ბენზინი არ დარჩა ალბათ და ისევ ჩავიხედე, რამე რომ არ გამომეტოვებინა; იქაურობასაც ხოშიანად ანათებდა ზემოდან მთვარე, აქეთ ცეცხლმოდებული ჯიპი და იქით კამაზის ფარები, – ფარების შუქზე შეგროვდა მერე ყველა და ერთ მოხეულ ტიპს უსმენენ, მოხეული ტიპი კი, ხმაზე ვიცანი, ანტიქრისტე იყო და რას მიხვდებოდა ასი წელი ანტიქრისტე, ხუთი წუთის წინ ერთი გამოსირებული ჯიოლენდი რომ გადაარჩინა სახურავზე და ახლა იმის ამბავს ისე ბალეშიკობდა ეგ ჯიოლენდი, ლამის კეტი აეღო ხელში და ისიც მარაქაში გარეულიყო, – ხომ ხვდები, ჩემზე ვამბობ და მოკლედ, ვზივარ-მეთქი სადინართან ფეხმორთხმული, ჩავყურებ დაბლა

და ვხედავ – ეზოში ვალერამ გამოაჭრა, გულს შემოუარა, მარაქას მიუახლოვდა და ანტიქრისტეს ეუბნება დუხით:

– აბა რა ხდება აქ, ბიძაჩემო!

ანტიქრისტე და მარაქა გაშტერდნენ ცოტა ხნით, ვალერას ათვალიერებენ და მესმის, ანტიქრისტე ამბობს:

– ვინაა ბიძაშენი, შე მამაძაღლო!

თან ეგრევე შუბლი ხია სიფათში და ჩააყირავა კიდეც ბასეინში ჩემის ვალერა, მარაქიდანაც გადაჰყვნენ ტიპები და ძუყნიან ვალერას იმ გულის ფორმის აუზში, პახოდუ ხოშიანად იგინებიან. ამ დროს „ბეჰემოთის“ ბღავილიც ამოვარდა: ეტყობა, გამოხსნეს ყველა ჰერმეტი და გამოცვივდა მთელი ქვემოთა ხალხი ჯოგად და შესცხეს ყმუილით ანტიქრისტეს ბანდას... ზემოდან რას მივხვდებოდი ვინაობას და სივებს, თან საყურებლად ასე – სილუეტებად უფრო გლიჯავდა და გინებით ვხვდებოდი მოძრაობას: ანტიქრისტეს მარაქა უფრო წვნიანად და სართულ-სართულ იგინებოდა, თავისი მსუყე იმპროვიზაციებით და რაშიდასიანები ვის აგინებდნენ, ვერ გაიგებდა კაცი. ჯერ გორგალივით აიბურდა ყველა ფარების შუქზე, მერე სახლის გარშემო დარბოდნენ ცალ-ცალკე და უცებ ისევ შეიყრებოდნენ და ყბების ტკაცუნი და გინება აგერ სახურავზე მწვდებოდა...

საერთოდ, რაც გამოღმა ვცხოვრობ, ასე მგონია ხანდახან: თითქოს ვიღაც უჩინარი კლიენტი სხვა უჩინარ ტიპებს ეუბნება, – რომ აგერ, გამოჩნდა ჯიოლენდი და აბა თქვენ იცით, მოემზადეთ და არ შემარცხვინოთო და მოათრევენ და მოაქვთ საიდანღაც უჩინარ ტიპებს მასალა; ზოგი ფერს ჩითავს, ზოგი სუნს, ზოგი განათებას ან ხმას და მოკლედ, ისეთი სავსე ამბავი მხვდება ხოლმე, რომ არც ჭირდება აღარაფერი, ჭუჭრუტანაც არ რჩება ცარიელი... ახლაც ისეთი ამოჰქონდა „ბეჰემოთს“ თავისი შავი ტრეშებით და ეს თავპირის მტვრევის და გინების ხმებიც ისე გემოზე აჯდა ზედ, გეგონება დააბალანსაო ვიღაცამ და მუსიკასავით მოდიოდა ზემოთ ყველაფერი. ამ დროს ლამპიონები ჩაირთო ზედიზედ, მიდამო ხუთიანზე გადაანათა და დაიღალნენ და აღარ ჰქონდათ ეტყობა ჩხუბის იშტა; მარტო ხვნეშაკვნესა მესმოდა, სახლის გარშემო დარბოდნენ ყველა შიგნაკრავებივით და ერთმანეთს თუ წააწყდებოდნენ, რაღაც ტკაცუნის თუ მტვრევის ხმა მოჰქონდა ზემოთ და ყვირილი და გინება აღარ. გულის ფორმის ბასეინში ისევ ჯანზე ახურებდნენ – იქ სად ჯანდაბაში გაიქცეოდნენ და ამოდიოდა გულიდან ყველა ჯურის გინება, კამაზის ძარაზე კი ვიღაც ბებერი აქნევდა კომბალს და: – აბა, მივეშვნეთ, ბიჭებო, დაჰკათ მაგ მამაძაღლებს, დაჰკათო, – მთელ ხმაზე ჩხაოდა.

მიყვარს რატომღაც ეს ხალხი, სოფლელები... გაღმელებს ხომ მირჩევნია ასი წელი და ბევრ გამოღმელსაც ზემოდან.

ერთი ლამპიონის ქვეშ სათამაშოსავით მოჩანს ბავშვი... ვაკვირდები მთელი ძალით და ვაშლების დედაც ვატირე, ყველაზე მაგარი ბავშვი დგას ლამპიონის ქვეშ და გულს ბეერას, უკვე ყველაფერი რომ აქვს ნანახი – ბაბუამისის და დათვების ერთად თევზაობა რომ აქვს ნანახი და ამ სირებმა არც იციან და არც აინტერესებთ, რომ სადღაც, შორ ქვეყანაში, ლადას ბაბუა დათვებთან ერთად თევზაობს ხოლმე გაზაფხულობით, ვერ ხვდებიან ვერაფერს და ლადა, ლადას ვუყურებ იდიოტივით და სხვა ყველაფერი – რაშიდებიც და ანტიქრისტეებიც, რომ დაფუთფუთებენ ასე გულის ფორმის ბასეინში მატლებივით – ფეხებზე მკიდია, ვუყურებ ლადას და სხვა ყველაფერი ალუფხულია უაზროდ ერთმანეთში, ბუნდოვანია ყველაფერი გარშემო, ლადას გარშემო, მარტო ლადას ვხედავ, უცებ ხელში ისევ ჩემი ვაშლები მიჩნდება და ვჩურჩულებ: – გადავხტებით, გადავხტებით, გადავხტებით, ნუ გეშინია! და მერე მე თვითონ ვფრთხები, ლადას თვალს ვარიდებ, ისევ ცას ავყურებ და საღოლ ელესდეს-მეთქი – ვბურტყუნებ უაზროდ... და სხვას ასი წელი, ათასი წელი არ ვეტყვი ამას, რაც ახლა აქ, რაშიდას სახურავზე დამეშვა საიდანღაც ჩაქუჩივით და აღარც მინდა მეტი, დღეს დამერხა და შემეშვით-მეთქი, – უჩინარ ტიპებს ვეხვეწები.

ამ დროს ზედ ცხვირთან ღრიალი მესმის, არავინ არ ჩანს და ხომ გამოვფხიზლდი უკვე, რაღა ჯანდაბაა ეს... მერე მოვტვინე, ისევ დაბლა ჩავიხედე და არ გამოსულა ჩემის რაშიდა აივანზე, მხარზე კამერა შემოუდია და ქვემოთ ამბავს იღებს, თან ყვირის თუ მღერის და ახლა ავიღებ და ერთს ხოშიანად დავაფურთხებ ამ ჩათლახს თავზე, – სულ აქვეა, არ გამიჭირდება და თვითონ რა ჯანდაბას მიხვდება. მომეწონა იდეა, კიდესთან გავწექი და ის იყო მიზანში ამოვიღე, რომ უცებ შუბლთან მწვანედ ჩამიწუილა შამპანურის ბოთლმა და ზედ რაშიდას კეფაზე გაადინა ხოშიანი რაკვანი, მერე ეზოში გადასხლტა და იქ დაიმსხვრა. რაშიდა ერთ ადგილზე შემოტრიალდა და კამერა გადაუვარდა აივნიდან, ცოტა ხანს ასე იტრიალა, ბოლოს აივანზე ჩაიკეცა და თავიდან სისხლი წამოუვიდა ოხრად. ჩავხედე და – საღოლ ალექსანდერ, ხომ გაისწორე შენი, ბრატ, მაგრამ არ დაიბრიდოს ეს ჩემისა, – ვამბობ და ალეს ვებღაუჭები ფეხზე – კიდეზე იდგა და რომ არ გადავარდნილიყო, თან ავიხედე და რაის ალე, ბლიად: ჩემის მწერალი შემომდგარა სადინარზე გულხელდაკრეფილი და ისეთი სახე უჩანს მთვარის შუქზე, გეგონება იყოგა ჭირსო. ვუყურებ მწერალს დაქლიავებული და ამ დროს გაანათა ტვინმა: კაცს რომ ჰგავდა, იმ საკვამურისკენ გავიხედე მარცხნივ და ეგრეც იყო, – საკვამურის ჭაჭანიც არ იყო საერთოდ იმ მხარეს...

და მერე ვიწექით მე და მწერალი სახურავზე, სიგარეტს ვაბოლებდით ჩუმად და ფეხები სადინარზე გვქონდა შემოწყობილი. ცაზე მფრინავი თეფშები და თანამგზავრები დაბორიალებდნენ აღმა-დაღმა, უკან კი ჩემი ძმაკა-

ცი და დიდი გიტარისტი, ალექსანდერი ხვრინავდა გემოზე.

იყო შაშვი მგალობელი, ჭირი იქა პლანი აქა და მამაოს ბარში მოგვისმინა და მოვეწონე ალბათ, უფრორე ჩვენი მუსიკა ევასა, თორემ რომელი ბრედპიტი მე ვარ, ბლინ. მოკლედ მამაოს ბარიდან ამეხვოსტა ეგ ქალი, ტანი-ტატანი და ძუძუ-ტუჩითაც პიტალო შარლიზ ტერონი; მართლა შარლიზას გავდა, თუ არ იხევდა ათასი წელი კიდე – ეგრეთი ქალი და შესაბამისად, დავქლიავდი მეც.

თხემით ტერფამდე გაღმელი იყო შარლიზა, თანაც მაღალ ქუსლებზე ამძვრალი გაღმელი და ზემოდან სუნამოც ესხა, მე კიდევ არც სუნამო მევასება და არც ფეხები მაღალ ქუსლებზე: მიუშვებ ასეთს სადმე ფეხშიშველას და სადღაა ფეხები, თან მერე უქუსლოდ ბატებივით დადიან ხოლმე, სასაცილოდ. შარლიზა კიდევ მაღალქუსლიანების გარეშეც მაგარი ქალი გამოდგა, უბრალოდ სტილი ქონდა ასეთი, სერიოზული და რამე.

მოვრჩებოდით დაკვრას მამაოს ბარში და გარეთ შარლიზა მელოდება შავი ჯიპით: ჩაეგდე ახლა ჯიოლენდ და გავატრაკოთო ჩვენებურად. ახლა რომ მახსენდება, აშკარად სასაცილოდ მოვჩანდით ერთად: ჯერ ხომ საერთოდ სხვადასხვა მასტები ვიყავით, ჩაცმულობით თუ ვიზუალ-პარამეტრებით და ისედაც – რა ძმობაგაგებასაც მე ვაწვებოდი, შარლიზას ეს ყველაფერი სძულდა და მეც, ჩემდათავად ასი წელი ზედ მეხატა მაგის კრედოები თუ იდეალები. თან უკვე ბებერი იყო, სადაცაა ოცდაექვსს მიუკაკუნებდა და ეს რომ თვალსაწიერზე გამეჩითა, მე ჯერ ისევ მამალი თინეიჯი მეთქმოდა. მგონი აქამდე არ მითქვამს და ჩემებში ყველაზე უმცროსი ვარ, ნეი ცოტათია ჩემზე დიდი და ალეც სადღაც მანდ ტრიალებს, მაგრამ ჩვენ შორის ალექსანდერს აქვს ყველაზე ბრძენი და ცხოვრებანანახი ვიდი. მარკოზე ხომ ვთქვი – ჩვენზე უფროსი იყო, თუმცა იერით ბალღი და თვალებიც სულ ხუთი წლის ბავშვივით ჰქონდა დაჭყეტილი... რას ვყვებოდი: ერთი ეგ გვქონდა-მეთქი საერთო მე და შარლიზას, რომ ორივეს უკუღმართული ჟიმაობა გვევასებოდა, საქმეში ჩაუხედავი ხალხი ექსტრემალურ სექსს რომ იტყვიან – აი, ეგა, და ხანდახან მიჩმახებდა შარლიზა, – იმ დღეს იცი რა მაგარი ადგილი გავჩითე და სად ეგდეო შენ, მობილს რა პონტში არ ხმარობო, ჯიოლენდ; ან მე გამოგივლიდი, ან შენ და სად დაბოდიალობო საერთოდ ამ ცხოვრებაში. მეც კეფას ვიფხან – მეთქი სად უნდა ვიბოდიალო, აგერ ვარ მარად და ტელეფონს რაც შეეხება: ისეთი შიგნაკრავი კი არ გეგონო, ეშმაკის მანქანებზე და თავის კიბოზე რომ ახურებენ ხოლმე – ძალიანაც მევასება და პატივს ვცემ, ზოგადად, ტექნიკას და ჩემი ტე-ათიც დამესიზმრება ხანდახან, გამოღმელობის პირველივე კვირას რომ გავყიდე გემოზე – არ მჭირდებოდა არაფერში და ახლაც, თვალს რომ გადავავლებ, რამდენი ხანია აქეთ ვიარები და ტელეფონი რომ დამჭირდა, ეგეთი მარტო ერთი-ორი შემთხვევა მახსენდება... შარლიზას ეპოქაში კი მაგრად გამიმართლა, მობილური რომ არ მქონდა და ნებისყოფაც უკვე ისეთ ხუთიანზე მქონდა აწყობილი: აჰაო – შარლიზამ, გამოგადგებაო და მე ვუბერავ გოიმივით – ვერა, არ შემიძლია, ვერ ავიღებ და ეგეთებს, არადა იმ ტელეფონის ფასად ერთი სეზონი ფეხი-ფეხზე გადადებული იცხოვრებდა კაცი... სექსს რაც შეეხება, მანდ შარლიზას უეჭველი ცალკე ზოდიაქო ჰქონდა და რომელიმე აღმოუჩენელი და გრძელი პლანეტა ეგულებოდა მფარველად, და წყალი-ჰაერის და მიწა-ცეცხლის გარდა, კიდევ მილიონი სტიქიის არსებობაში დაარწმუნებდა სექსის დროს ნებისმიერს; იმენა მანიაკი გამოდგა ტიპი. თან, მარტო უკუღმართ ადგილებს კი არა, ამინდს და ტემპერატურებსაც რომ უმუღამებდა ეგ ჩემისა... ასე და ამგვარად, ვჟიმაობდით მე და შარლიზა კურდღლებივით და ჯერ ხომ წვიმა-სეტყვობას და ტლაპოებს არ ვმაზავდით ათასი წელი, მერმე მთვარის შუქის და სასაფლაოების მუღამი მოაწვა კლიენტს და ერთხელ სადღაც ავტოპარკსაც მიმაყენა, იქ ერთი ადამზე ძველი და ჟანგიანი ტროლეიბუსი გაჩითა და – სახურავზეო, ბიგელებში ვქნათო, აზრზე მოდი... ჰაკერების დაბადების დღეზეც ავიყვანე – მეთქი რა ნაშა მყავს, შეხედეთ, ბანდა, და გასკდით ნძრევით, შარლიზა კიდევ დათვრა მაგრად, გავიდა აივანზე, გემოზე არწყია და რომ გავედი მეც – არ გადაეშვას-მეთქი მეთექვსმეტე სართულიდან კისრით – ვხედავ, გადაყუდებულა მოაჯირზე, ასლოკინებს და ჩურჩულაობს: – მოდი, ჯიოლენდ, მალეო, ასე, აქ მინდაო, ახლავეო... მე დურაქმაც ვეღარ გავძელი და მეორე დღეს მეც გული მერეოდა, ოღონდ ჩემს თავზე და შარლიზა რომ მეძებდა, ვიმალებოდი იმასავით და ბანდა ტეხავდა: – არ არისო აქეთ ჯიოლენდი, სად არისო – ამან და მწერალი ეუბნება: – მარტო ჯიო კი არ დადისო, ქალბატონო, ამ დუნიაზე, მიბრძანეთ და თხემით ტერფამდე თქვენთან მიგულეთო. შარლიზამ – იდინახუიო და მანქანა დაქოქა, მე კიდევ ლამის გამოვვარდი სამალავიდან და გავეკიდე: მეთქი აგერ ვარ ათასი წელი, გულო, არ მიმატოვო და რამე... მოკლედ, ეგეთ ჭაპანწყვეტაში ვიყავით, სანამ არ მივხვდი, რომ იქით შარლიზა მჟიმავდა და ცხოვრებაში პირველად გამიტყდა, სამის მერე არაფრის თავი რომ აღარ მქონდა ხოლმე. ამის გამო დალევას და მოსაწევს შევეშვი თითქმის, ასე ოთხზეც ვქაჩავდი ძლივძლივობით და შემდეგ ზომბივით გამოქლიავებული ვტასაობდი აღმა-დაღმა. აქეთ ჩემიანებიც მასხარად მიგდებენ – ალემარკო, ჰაკერები, ჩუი, მწერალი და ნეი – ნეაც დამცინის და ამაზე უფრო ვვარდები: მარკოს ქალი იყო ნეი, მაგრამ ხომ შეიძლება სულ ცოტა, სულ ოდნავ მაინც ეეჭვიანა, იქნებ რამე ნიტო ჩრდილმა მაინც გადაუაროს სახეზე ნეიოზას, ეს კი მეკაიფება გემოზე და მე საერთოდ ვრეკავ და ჩემებს ვუტრაკებ – მეთქი უეჭველი

გშურთ ამბავი და მაგიტომ კაიფობთ; აი, ასე ვყავდი დაშტერებული შარლიზას, არადა, ქალის ხამი ნაღდად არასდროს ვყოფილვარ და აქეთ მით უმეტეს – ვერც იქნები გამოღმელი კაცი ქალის ხამი... იტოგში, დაახლოებით ერთი თვე ეგრე ვიმრუშეთ და ბოლოს მომბეზრდასავით: მაგის ლიბიდოს დაკმაყოფილებას მე ვერ ვწვდებოდი და ზედ რომ ვაკვდებოდი და ეს მამუნათებდა – სულ ეგა ხარო, ჯიოლენდ, მიტყდებოდა და ვაგინებდი პირდაპირ: – არ მოგწონს და დავაი აქედან! – ვღრიალებდი და ეს ღრიალზე და გატრაკებაზე თურმე უფრო მუღამზე მოდის და სპეცომ მაგდებს...

ერთხელ დამხვდა ჩვეულებისამებრ მამაოს ბართან და არ გამისწორდა მაინცდამაინც, ეს კიდევ – ჩაჯე, ჯიოლენდ, ჩემი ბაითი უნდა განახოო და დიდი პოხუისტი კაცი კი ვჩანვარ იერსახით, მაგრამ ნაღდში ყველა და ყველაფერი მაინტერესებს და ახლაც ავვარდი: მეთქი ვეჰა, ნეტავ რა მასტია შარლიზა გაღმა... ჩავუჯექი ტუჩის გარმონიანად და ცოტა ხანში გადავაჭერით ავი ალაგებისკენ – პროსპექტებისკენ. გავყურებ შარლიზას და ლამის ვუთხრა: გააჩერე მანქანა, აქვე, ახლავე... – მიმაჩვია განდონმა და მართლა, ახლა თუ ამას წაიკითხავ, შეიძლება მილიონნაირი ქალი წარმოიდგინო და მაინც ქინძი გეგონო, ესე როგორ დააქლიავაო ნაშამ – იფიქრო და იფიქრე რამდენიც გინდა, ამის სურათს აქ ვერ გავაძრობ, თორემ მიმიხვდებოდი ყველაფერს ასიათასი წელი... მოკლედ, ჩემი ძველი უბანი გავიარეთ და სავარძელი დავასაწოლე, ფანჯრიდან რომ არ გამოვჩენილიყავი. ბოლოს შარლიზას ბაითსაც მივადექით, გარაჟის კარი პულტით გააღო და იქ ორი ხოშიანი მანქანაც გაეძრო, მე კიდევ ბაითს ვალიერებ და – სულ შენია, ტო, მთლიანად შენია? – ვეკითხები და მიტყდება: ამხელა სახლში უეჭველი გაღმელების კოდლა ცხოვრობს, ამის ოჯახობა და ძმობაგაგება და მე რა პონტში მომათრია ამ ჩემისამ, რომელი პიჯაკიანი და თაიგულიანი სიძე მე ვარ, სიმამრებს რომ ასიაბანდებენ ხოლმე – ვიმსახურებთო თქვენი ქალიშვილის ხელს, ოფისის ტიპები ვართო, შემოსავლიანი როჟები და მე რა ჯანდაბად მინდა ამის ხელი და ვის რა უნდა მოვატყუო პრინციპში: მოტყუებას გამოღმა გადავეჩვიე, აქეთ აზრიც არა აქვს მაგას, – თუ რამეა, უპრობლემოდ წარვუდგენ თავს, სიმამრი იქნება თუ ვინმე სხვა წინაპარი, – რომ აგერ, ჯიოლენდი ვარ, გამოღმელი კაცი და თანაც ღრმად უკულმართული ადამიანი პიროვნულ ხასიათებში: მთელ სამყაროს პატივს ვცემ და ვუშვებ ჩემში ყველაფერს თავისი ბალახის ღერიანად თუ ჭიანჭველიანად, მაგრამ გაღმელებს, ერთი ხუთი მილიარდიოდე ადამიანს ვერაფერს ვუხერხებ და მომკალი თუ გინდა... თქვენს ქალიშვილთანაც მარტო ერთი კიდური მაკავშირებს, ბატონო, და მითქვია და ვაღიარებ კვალად – ყველაზე სექსუალური გოგო რომაა დუნიაზე და სიმამრს თუ წინაპარს თუ საერთოდ, ნებისმიერ გაღმელს თავიდან დააბნევს ჩემი გულწრფელობა; რაც არ უნდა იდიოტობა ვთქვა, შიგნით გაღმური ქერქის ქვეშაც იგრძნობს, მართალი კაცი რომ ვარ თხემით ტერფამდე, არადა გადაჩვეულია, ზოგადად, გულწრფელობას და მოკლედ – რაღაცნაირად ვერ გამოსდის ჩემთან მტრობა და ჩემზე გაბრაზება... ყოველ შემთხვევაში, პირველ წუთებში და ამასობაში მეც კი მოვასწრებ რამენაირად ათესვას და მერე თავიც უტეხია. გამოცდილი მაქვს ამბავი, ზეპირად ვიცი და მაგიტომ ვამბობ ახლა, არ მიყვარს ტყუილად სიტყვების რახუნი...

ბევრი რომ არ ვწელო, შევაჭერით ბაითში და იმენა სდუმს სახლი, კაცის ჭაჭანიც არაა. მიმათრევს შარლიზა რაღაც კიბეებზე და ბოლოს შემიყვანა რომელიღაც ოთახში, ხელი გამიშვა, საწოლზე გაგორდა ღორივით და გადავეშვი მეც, აბა რა უნდა მექნა... და შარლიზას ისეთი ორგაზმი ჰქონდა, ლამის ნახევარი საათი ნაგიჟარივით კანკალებდა, მე კიდევ ოთახს ვათვალიერებ და მიკვირს, რა დოზანა ეტაკა ამ ჩემალას, ან იქნებ ბალიშია მოწამლული თუ რავი, ჭერი უნდა ჩამოინგრეს სადაცაა; იტოგში ექსტრემის ნიშატს დავეძებ, ოთახი კი ამასობაში მშვიდობიან და მოსაწყენ ვიდზეა: კედლებზე ვიღაც ტიპების შავ-თეთრი ფოტოები და ჩარჩოიანი ნახატები, ლამის ჭერამდე ასული, უცხოური წიგნებით გამოტენილი თაროები და ერთი წყლიანი ჭიქა არ დევს საწოლთან, შიგ ჩაგდებული კბილების პროთეზით და ეგ ოთახია ყველაზე გემოზე დასამთქნარებელი ალაგი პლანეტაზე, შარლიზას კი ისევ ბნედიანივით აკანკალებს, ასეთი არ მინახია ჯერ... სულ გამოვშტერდი და ბოლოს კაი ხოშიანად გავუსილაქე – მეთქი ხომ არის მშვიდობა შენს თავს, გვრიტო, და გამოახილა თვალები როგორც იქნა და მეფერება: – ჰოვო, ჯიოლენდ, მშვიდობა არისო. აბა რა ხდება, ბლინ, ჩამახედე საქმეში და არაფერიც არ ხდებაო, ცოტა ხანში კი ამბობს: – ამ საწოლში ექვსი თვის წინ მამაჩემი მოკვდაო... ისე დავქლიავდი, წამოხტომა ვეღარ მოვახერხე, მივუწექი გვერდით და – ვერ გამიგებო შენ, ჯიოლენდ, ტუტუცი ხარ და ვერ გამიგებო. არადა, ამას კი არა ქვებს და ტარაკნებს ვუგებ კაცი, მაგრამ შარლიზას რა უნდა მოვთხოვო – გაღმელია, თან ფიზიონომიაც მაგარი არაინტელექტუალური მაქვს მართლა და გავჩუმდი და მეცოდებოდა შარლიზა, მეთქი რა ვუშველო ახლა ამას – მერეც ეგრე ვფიქრობდი და სექსის ამბავში სულ აღარ მაინტერესებდა.

აქედან ოთხი-ხუთი დღეა გასული, ღამის სამი საათი იქნება და მძინავს გაგუდულს ტომასას სარეპეტიციოში. უცებ შუა სიზმარში მანქანის ამძუვნებული სიგნალები ჩამესმის და რა უნდა ვქნა, ავდექი და გავედი მეც მთქნარებით და ტრაკის ფხანით, თან ვფიქრობ: მორჩა კინო, ახლა ამას მოვტეხავ სამარადისოდ, სამუდამოდ ავაორთქლებ ჩემი ცხოვრებიდან... პახოდუ მთელი მუღამი ეგაა, რომ ადრე როგორც ვუყურებდი, ხო აზრზე ხარ და ბოლო

დროს ცივი გონებით ვაკვირდებოდი ტიპს, – მეთქი რა ხდება ამის თავს და თვალებში რაღაც ნიტო ნაპერწკალი გავუჩითე, გიჟებს რომ აქვთ ხოლმე, ეგეთი და გიჟს თუ ამდენმა ჟიმაობამ არ უშველა, ესე იგი წასულია მართლა მაგისი საქმე; საერთოდ ყველაფერს შველის ეგ ამბავი და ამას ახლა ვერაფერი უშველის ფსიქიატრის გარდა და მე ხელებიც დამიბანია შვიდასი წელი...

მომისიგნალა და გავედი მეც, ეს კიდევ ძველებურად: – აბა, ჩაჯე და გავბერეთო, – უეჭველი გონია, რომ ახლავე ჩავუხტები, მე კიდევ ვდგავარ ეგრე და – მეძინება-მეთქი, სხვა დროს იყოს, შარლიზ, და რამე. შემომხედა და მიხვდა ეტყობა, მაგის რადიუსიდან უკვე გასული რომ ვიყავი და ახლა იმენა მეხვეწება – ეს ერთიცო, ჯიოლენდ, ფლიზ, და მე მაგრად არ მისწორდება: ჩემ გარდა დავიჯერო ვერავინ ააგდო მასტმა? მართლა ის ხომ არა ვარ, არც სექსგიგანტი და საერთოდ, შარლიზას რომ ეგრე გავარეკინო, ისეთი არაფერი მაბადია აშკარად, თან მთლა კრეტინიც არაა, ესეც რომ სხვა ტუტუცი გაღმელებივით ეგზოტიკაზე თუ რომანტიკაზე ავარდეს და აბა რას გადამეკიდა, ბლინ... ამასობაში კი მეც ავვარდი და უკვე მაინტერესებს, ნეტა რა მოიგონა ახლა. მოკლედ, ჩავუხტი ისევ მანქანაში და გავბერეთ, მაგრამ ახლა არც ვუყურებ და არც სიძვაზე ვფიქრობ. გავიარეთ მთელი ქალაქი, ბოლოს გააჩერა და – ეგე, მოვედითო, ჯიოლენდ. კაი ოთხი საათი იქნება და აქეთ რაღაც ჭიშკარი გაეძრო, შიგნით კი ნაძვები და ორ თუ სამსართულიანი სახლი. მივადექით ჩემის ჭიშკარს და ეს არისო, – შარლიზა ამბობს, თან იმასავით სუნთქავს და მობილურით რეკავს სადღაც, არადა ჭიშკარს ხოშიანი ჯაჭვები ახვევია და კლიტეც ადევს, ოღონდ შიგნიდან. მეთქი გაგემაზა, შარლიზ, აქ ახლა კაციშვილი არაა და ხვალე მოვიდეთ, – ვეუბნები და არ მევასება არც ეს ჭიშკარი და სახლიც ზემოდან... საერთოდ, რაც თავი მახსოვს ასე ვარ: თუ ვინმე ან რამე არ მომეწონა, სულ ერთია ადამიანი იქნება თუ ჩხიკვი, ესეიგი რაღაც პიზდეცი ტრიალებს იმის მიდამოებში, ან ჩვენ ორივეს მიდამოებში და იმისკენ იტრიალოს რამდენიც უნდა, მე კიდევ ყოველთვის ვცდილობ, ამბავს გავერიდო... ახლაც შარლიზამ – როგორ არააო, ეგე შუქს ხომ ხედავო, მანდ დარაჯი ჩითავს და დილით ისეთი კუში მივეცი, ახლა მთელი ღამით შეგვიშვებსო შიგნით. დასტურ დარაჯმაც აიღო ამასობაში ტელეფონი და ეს უყვირის თავის მაბილში: – სადა გდიხარო ამდენი ხანი, მალე გამოო და ვხედავ, ხელები უკანკალებს და სუნთქვითაც, ხომ აზრზე ხარ, ისევ ისე დაღლილივით სუნთქავს – ძლივს ითმენს მასტი. ვუყურებ, ვუყურებ და ბოლოს ვეკითხები: – შეშვებით კი შეგვიშვებს, მაგრამ სად ჯანდაბაში შეგვიშვებს კერძოდ, სად მომიყვანე, ჰა, შარლიზ, და ამან ეგრევე, ვითომც არაფერი: – სადაო და მორგშიო... აჰა, აი თურმე რაშია საქმე, – ვეუბნები უდარდელად, თან ნელ-ნელა ზადნით მივდივარ და გზადაგზა ვუხმობ მთელ ჩემს ნებისყოფას თუ მსოფლმხედველობას – თავისი იუმორის ფუნდამენტებიანად, მაგრამ აშკარად არაფერი მშველის: წამიც და ქალივით ავკივლდები და მოვხვევ რივოკით იქიდან – უცებ ისე დავიზმენდი და მერმე კი დამცინეს ჩემებმა: რამ დაგაიზმენაო ჯიოლენდ და შეიძლება არც უნდა შემშინებოდა და უბრალოდ ქლიავი ფანტაზიორი ვიყავი, ლაწირაკიც პრინციპში და მაგის ბრალი იყო ყველაფერი, არადა, მაშინ მართლა ცუდად წამოიღო იმ ადგილმა და შარლიზას თვალებმა და როგორღაც მოვახერხე და ყვირილი არ დამიწყია, გაქცევით კი ნაღდში გამოვიქეცი რივოკით: ჯერ უკან-უკან წამოვედი, მერე მოვტრიალდი და მოვხიე, თან – ახლაც კარგად მახსოვს და მეცინება – აქეთიქით ბნელ ალაგებს ვერ მივეკარე და ზედ შუა ქუჩაზე, გამყოფ ზოლზე მოვრბოდი... გზაში კი მივხვდი, ბავშვობა და სისულელე რომ იყო ეს ჩემი საქციელი, მაგრამ საერთოდ, ასეთი წესი და ადათი მაქვს: თუ რამე ისეთი მოხდა და გავიქეცი, რომც აღარ იყოს საჭირო, მაინც იქამდე ვირბენ, სანამ სიქა არ გამძვრება, ვინაიდან მისწორდება რატომღაც სირბილი, ოღონდ ფხიზელზე ან ოდნავ მთვრალზე, თორემ მომიწია რამდენჯერმე კაიფში გაქცევამ და კინაღამ ინფარქტმა მხია... რას ვყვებოდი: დავეწეწე მოკლედ და სანამ ალექსანდერის სამლოცველოსთან არ მოვაღწიე – აქაურობაზეც ვიტყვი მერე ათასი წელი, სად წავა – ეგრე კედების ტყაპატყუპით ვირბინე იმ შუაღამისას... შარლიზამ ერთი კი დამიძახა: რას აკეთებო, ჯიოლენდ, სად გარბიხარო და ეგ იყო, მაგის შემდეგ აღარც მამაოს ბარში ჩამოსულა და საერთოდაც გაქრა, სულ ტყუილად ვემალებოდი ერთი კვირა...

შარლიზასთან დაშორება მესამე დღესვე აღვნიშნე გემოზე: რაც ერთი თვეა რიგიანად ვერ გამოვმთვრალვარ და მომიწევია ამ ჩემისის გადამკიდე, ახლა უცებ – ერთ დღეში ავინაზღაურე და მეორე დღეს დედაც მეტირა. თან, მანამდე ქალის გამოისობით არაფერი ასეთი არ დამმართნია და ისედაც – მილიონი წელი ვერ წარმოვიდგენდი, შარლიზასნაირ ქალს თუ რაიმე მაგდაგვარი ეჭირვებოდა; თავიდან ეს ჩემი ტკივილებიც პახმელიის და ადხადნიაკის ნაირსახეობა მეგონა და ვკვირვობდი: მეთქი მანდ რატომ, ბლინ, ხომ თავი უნდა მტკიოდეს ახლა, ეგ რა შუაშია... ძალიან რომ შემაწუხა, კი მივხვდი ამბავს, მაგრამ ჯერ მაინც არ მჯეროდა და ტიპებს ვეკითხებოდი, – ლამის ერთი თვეა ქალთან ვარ და რომ დავშორდი, ახლა ამომიგდო, ტო, სადაური წესია და ერთმა გარკვეულმა კლიენტმა: – სვავდი და ეწეოდი, ჯიოლენდ, ეგ ერთი თვეო? – მეკითხება და იმ ხანებში ორივეს, ხომ მოვყევი, რატომაც ვიყავი შეშვებული და ამან, გარკვეულმა ტიპმა: – მაგის ბრალიაო და ასე იცისო ხანდახან, და ახლა ეგრე რომ გაილეშე, მაგიტომ ამოგიგდოო ასე მალე და ასწორებსო, თორემ ფხიზელ როჟებს საერთოდ არ უგდებს

კარგახანს და მერე უცებ დაუმუწუკებს ხოლმეო... მეწვის და რა მეწვის, ლამის კედლებზე გავდივარ სიმწრით, არადა მკურნალობაც, ვთქვი უკვე ადრე – მარტო ერთგვარი ვიცით გამოღმელებმა; მეც ვისხი ზედ ცისტერნა არაყი და სანამ აქეთ ჩემი ღრიალი ცასა სწვდებოდა, იქით გამოღმელი ალკაშები ხმლებს ლესავდნენ: ამდენ ვოტკას სად აფუჭებსო ეგ ჩემისა, მაგის ბალაყანს ჩვენ როგორ არა ვჯობივართ, ამის დედაც ვატირეო. მერე გარკვეული ტიპი მეუბნება: – მაგას თუ ჩალიჩობდი, გეთქვაო ჩემთვის, ჯიოლენდ: ეგ თავიდანვე, გამოყოფისთანავე უნდა ქნა, ისიც მაშინ, თუ ეჭვი გეპარება ამბავშიო, პროფილაქტიკის პონტშიო, თორემ თუ აგიწვა, მერე უკვე გვიანიაო, აღარ გიშველის და მამენტ, უარესიაო მერე და მოიტა აბა ერთი აქეთ ეგ ვოტკაო...

ასე ძალიან მართლა არაფერი მტკიებია არასოდეს, თან რა ჯანდაბა მექნა, აზრზე არ ვიყავი. ბოლოს, ჩავიდა ხიდისქვეშ ალექსანდერი – ჩემი ძმაილა და დიდი გიტარისტი, მოუყვა გამოღმელებს ჩემი გასაჭირი და ააგროვა კიდეც კარგი ფული: პოხუისტებს კი ვგავართ, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგება, მრგვალი მაგიდის მასტები ხდებიან ხოლმე ხიდისქვეშ, და რა განხრის და გაგების გამოღმელიც არ უნდა იყო; გინდა პანკი, გინდა მეტალისტი თუ უბრალოდ ხოშიანი ბომჟი, თუ მართლა გერხევა, გადაგაკვდებიან ზედ. მინახავს ამბავი და მაგასაც უცნაურად შვრებიან: აგერ, გაედო ვთქვათ ვინმეს და მაგის დედაც ვატირეო, გაედო და გაედოო – ყველა ეგრე იტყვის და მერე უცებ საიდანღაც შეგიგროვდება დიდი ფული, ესენი კიდევ ისევ იგინებიან – ღირსიაო და აი დარდიო, დაერხა და დაერხეს, ჩემს ფეხებს კიდეო, არადა აგერ – უცებ დიდი ფული გიჩნდება-მეთქი საიდანღაც ჯიბეში... სხვათა შორის, ამ დროს ყველაზე დიდ კუშს პიდარასტები აძროებენ, – ეფრო სწორად, გეები: პიდარასტებს რომ ეძახიან, არ უყვართ და არც მე გავუტეხავ ათასი წელი, ვინაითგან და რადგანაც მაგათი უმრავლესობა ჯიგარი და მხიარული ხალხია, გოთვერანი გეი იშვიათად შემხვედრია ჩემდათავად, მაგრამ ნაღდი ძმაკაცობა ვერ გამომდის რაღაც ამ ხალხთან: ვზივართ, ვთქვათ, მე და გეი, ვლაპარაკობთ ამ მთისას და იმ ბარისას, ამ დროს გამახსენდება, სადაც ირტყამს ეგ ჩემისა და ბრრრრ.... საერთოდ, რაც კი სულიერი დაიარება ამ პლანეტაზე, ადამიანი თუ ცხოველი, ყველას სექსი მინახავს ლაივში, ყველას რა – ნიანგების თუ კოალების ჟიმაობას ლაივში სად ჯანდაბაში ვნახავდი, ხომ აზრზე ხარ – ძაღლი-კატა და ეგეთ როჟებზე ვამბობ – მინახავს და არც არაფერი, ერთ დაწყევლილ დღეს კი პიდარასტების რაღა იყო და – გეების სექსს შევესწარი, თან ჯგუფურს და მერე ერთი კვირა ფერი არ მედო სახეზე და საჭმელსაც ველარ ვჭამდი, იმიტომ რომ მაგაზე მურტალ სანახაობას არ გადავყრივარ არასოდეს... მოკლედ, არ გამომდის ნაღდში ამათთან მეგობრობა და მომკალი თუ გინდა. რას ვამბობდი: ავიღე-მეთქი ფული, გავედი გაღმა და ექიმმა მალამოების და ნემსების ქარაშოტი დამიტრიალა, სამი თვეც არ უნდა გავკარებოდი იდეაში არაფერს, არც ვოტკას და არც მოსაწევს და ერთი თვენახევარი მართლა გავქაჩე, მერე კი ველარ გავძელი, თან ამასობაში მოვრჩი კიდეც; მაწანწალა ძაღლის იმუნიტეტი მაქვს და რას არ მოვრჩებოდი...

(გაგრძელება იქნება)



მარიამ ხუცურაული

კვირადღის ლექსი

24 თებერვალი, 2013 წელი

დე, მოდი, თავთით მომიჯექი.
ჩართე შენი თვალის რენტგენი,
გულის ულტრასონოგრაფი,
მისწი-მოსწიე ერთმანეთში
აბურდული ფრთები – ლექსები,
უღლისგან ბევრგან გამრუდებული
ხერხემალი მომინახე,
ცხოვრებასავით მშფოთვარ ძილში
შემაყოლე „დედა გეწამლოს“
და მტკივან ზურგზე მომიტარე
ხელი–სალბუნი.
მამაც მანდ იჯდეს, ფეხებისკენ.
ქვევრისა და სველი მიწის სუნი
ჰქონდეს ნაჯაფ ხელებზე.
იჯდეს, თებერვლის წელგატეხილ
ზამთრის თოვას აყოლოს ფიქრი,
შიგდაშიგ ასე დამჯდარსავე
ჩამოეძინოს დაღლილობისგან,
მაგრამ თვალები მთვლემარესაც
ბავშვურ ჟინით ჰქონდეს ავსილი
და ჩემზე უფრო ელეოდეს გული ლოდინში -
ერთი მალე გავიღვიძო და დათოვლილი
ხეები ვბერტყოთ...
მე ვიდრე მძინავს, მამა დამოძღვრე:
ბუხარს შეშა არ მოაკლოს,
ბილიკებზე არ დაუთოვოს,
გამოუცვალოს აბაზანას, ონკანი
რომ წვეთავს დილიდან.
მერე აქ დაჯდეს ისევ, ჩემი არეული
სუნთქვის დარაჯად,

დღიურები

კვირა – შობლების დღე

მასწავლე, დედი
8 დეკემბერი, 2013 წელი

დედი, მასწავლე, შენ და მამამ
ეგ უღელი როგორ გამართეთ
ან ჯვრისმწერელი ვინა გყავდათ ან მეამინე,
ამდენ ხანს რომ არც გაცვდა,
არც ფერი იცვალა.
ან რა ხე იყო, კურთხეული,
სად გაზრდილი, რა მიწის ნერგი,
ასე რომ უძლებს გრიგალებს
და მეწყერ-ზვავებს,
თვითონ კი სულ არის და არის.
ან სად ისწავლეთ, იკმაროთ
და ჩვენც გვამყოფინოთ
გამხამარი კუტი, წვეთი თაფლი,
მწიკვი მარილი?
ციდა სათითით როგორ არწყათ
ამა სოფლის ცოდვა და მადლი...
როგორ ეკმაროთ დიდ-პატარას, მკვდრებს
და ცოცხლებს, მდიდარს და ღარიბს;
ჭირს და ლხინს გასწვდეთ თავისს,
სხვისას, სოფელ-ქვეყნისას,
ცხვარ-ძროხაც მწყემსოთ,
ზვარშიც იდგეთ, ხეც აჩუქურთმოთ.
არ დაგავიწყდეთ თებერვალში
პირველხნულის დამწყალობნება,
შემოდგომის პირს საზედაშე
ქოცოებზე სანთლების მიკვრა.
შაბათის მწუხრზე ლოცვად შედგეთ,
დღე გლახაკებს მისცეთ სახსარი.
კვირადღის უქმეს ისტუმროთ
და სტუმრად იაროთ...

მერე ახალ ცხოვრებასავით სულ ახლიდან
შემდეგი და ახალი კვირა..
რომ ჯანსაღ გენში ჩაგვიწეროთ
კოდურ სიტყვებით –
უფლის რწმენა, კაცის სასო და მიწის მადლი.
მასწავლე, დედი...

ვიდრე შენ ქადებს დააცხობ და
შავქლიავის კომპოტს მოხარშავ.
ვიდრე ხვალისთვის ჩამილაგებ
გამშრალ მწვანილს, თხილს და მურაბებს,
სანამ ტკივილებმორჩენილი, ყველაზე
კარგი სიზმრებიდან გამოვერკვევი
და წავიყოლებ პირიმზითში, თოვლქვეშ
თოთო გაზაფხულის აღმოსაჩენად.
დე, მოდი, თავთით მომიჯექი.
დღესასწაული აქ მთავრდება,
ხვალაც ისევ ორშაბათია.
წამალზე უფრო უწამლესი ლოცვა
მისაგზლე – „დედა გეწამლოს“.

შაბათი – ადგილის დედის დღე

ვიდრე
19 ოქტომბერი, 2013 წელი

ვიდრე ჯერ კიდევ ალიონი
ვარდისფერად ინთება ცაზე,
ვიდრე ჯერ კიდევ მზეს მზე ჰქვია,
ავდარი ავდრობს,
ვიდრე ხორბალზე პური მოდის,
არ გუდაფშუტობს,
ვიდრე მწიფდება მზით და ირწყვება წვიმით,
ვიდრე ჯერ კიდევ შეგიძლია ჭამო
ხიდან ვაშლი და კომში
დაეწაფო და მიწის პირზე მოჩუხჩუხე
წყალი დალიო,
ვიდრე ჯერ კიდევ კაცის ყური ტყეში
შაშვის სტვენას აღიქვამს,
ვიდრე ჯერ კიდევ ნაწვიმარზე
ოხშივარს – მიწის,
ნათიბს – ბალახის, თონეს პურის
ცხობის სუნი აქვს,
ვიდრე ჰაერი კურნავს ჯერაც და
კაცის სიტყვაც,
ვიდრე მიწის მადლს ერთი კაცი
მაინც იფიცებს,
ვიდრე გვიყვარს და სიყვარულით
ვიშვებით ჯერაც,
ლოცვას აქვს აზრი.
– ღმერთო, ნეტავ სად მოვიდე, სად გეახლო,
სად მოგართვა საწირავად ქადა-პური,
შემწედ გვეყავ, კურთხეულო, დაგვიფარე,
ამ მიწაზე იქონიე გულისყური...

* * *

25 მაისი, 2013 წელი

საარაგვოზე გუშინ წვიმა თქვეს,
ჩარგლისკარს სხივი ენთო.
შესაქმის შემდგომ ანდა წინადღეს
აქ თუ იუქმე, ღმერთო!
ზუსტად აქ თუ გვთქვი უფლისჩიტებად,
მოგვფინე შენსავ კალოს,
და როცა გულში გეჭიკჭიკება
ჩვენში გალობ და გალობ.
აქ გვთქვი მთებად და მთებზე ნისლებად,
ტყედ, ბალახად და წყაროდ,
შენსუნებურად როგორ იქნება,
ზვრებს რომ ვაწვიმ და ვხარობ?!
საბადურებზე დილას დარი თქვეს,
ნისლი აცვია ერწოს,
შენ შეეწიე, არსთა განმრიგევ,
ეპატრონე და მხსნელად ეყავი –
ცხვარს და მეცხვარეს,
ხარს და მეგუთნეს,
წიგნს და მწიგნობარს,
ცას და წყალ-ჭალას –
ჯვარი დასწერე, ღმერთო!

ორშაბათი – მეუღლის დღე

ვით ნეფერტიტი ძველ პაპირუსზე
8 ივლისი, 2013 წელი

არა ბორკილით ანდა საბელით,
(ვით ნეფერტიტი ძველ პაპირუსზე),
მე შეგეუღლე უფლის სახელით,
დაგშვენდი როგორც ზეცას სილურჯე,

წყალს–სიანკარე, მზეს – სიმხურვალე,
ღალატს – ტკივილი ძნელდასათმენი,
მე შეგეფერე და შეგეუღლე
სიყვარულით და უფლის სახელით.

ამიტომ სულ არ მეცოტავება
ეს უღელი და ეს ბედისწერა –
ვიყო ცოლი და სული ვუბერო
ღვთიური ცეცხლით დანთებულ კერას...

საშემოდგომო

11 ნოემბერი, 2013 წელი

შემოდგომა დასტყობია ტყეებს და
ოქროქაცვით გადაშიბულ ჭალას,
შენ ერთს გესმის, რასაც გულით განიცდის,
შემოდგომა-ქალი რასაც მალავს.

ნაწვიმარზე ტოტს შემრჩალი წვეთივით,
მხოლოდ ქარის შემოქროლვას ელის,
შენ ერთს გესმის, რა ძნელია დუმილი,
როცა ქალში მოლაღური მღერის.

როცა ქალი – ცით და მიწით ავსილი –
ვარსკვლავებს კრეფს მოკაშკაშე ციდან,
მადლიერი დაუჩოქებ ზენაარს,
რომ უყვარდი, რომ მას შენთვის ქმნიდა.

*

შემოდგომა დასტყობია ცხოვრებას...

გინდა?

19 იანვარი, 2014 წელი

გინდა, ჩვენზე სულ სხვა ზღაპარს მოვიგონებ,
სხვა დღეისდღეს, სხვა წარსულს
და სულ სხვა ხვალს.
ვითომ ჩვენი ზეცა ჯერაც ავდრიანობს
ვითომ დღემდე ერთ გზაზეც ვერ შევიყარეთ
ვითომ დღემდე ვერ გამოცხვა ობლის კვერი,
ნაგუბარშიც არ ჩამდგარა დღემდე წყალი,
ეზოს ბოლოს სულ ტყუილა ვკონკიაობ,
ბროლის ქოშით ფეხშიშველს ვერ მომისწარი.
ჩემზე უწინ სხვას შეხვდი და შეიყვარე,
მეც სხვას ვერგე, სხვის ეზო-კარს ვახმიანებ,
ვითომ შენ ჭერს სხვა ქედანი დაღუღუნებს,
სხვისთვის ვიხდენ მეც ჭრელ კაბებს,
ბაფთიანებს...
ვითომ გტკივა და ჩემი ხმა წამალია,
მეც მიჭირს და არ მიფარავს შენი ჩრდილი...
არც მზე მინდა, არც ცა მინდა, არც ცხოვრება-
უჩემხმო და უშენჩრდილო, გაცრეცილი...

აღმოძახინე

17 თებერვალი, 2014 წელი

შენი წილი და არჩევი,
გულმართალი და
სათუთი დიდი ბავშვივით.
გამომიცანი,
ყველა საშენო ლექსიდან,
აღმომაჩინე
უცებ, თებერვლის ერთ დილას.
გამომარჩიე
ათას ქალსა და ლამაზმანს,
აღმომაჩინე,
თორემ ცხოვრება გათავდა.
გამომიცანი
შენთვის ტკივლიში მოცილე,
გამომიცანი
შენთან საოცრად მორჩილი
გამომიცანი
შექმნილი შენი ნეკნიდან
დამიჩემე და
გამომიყვანე ეჭვიდან.
ჩემით დაიწყოს
შენთვის ხილული სამყარო,
აღმომაჩინე
და არასოდეს დამკარგო...

ავტობიოგრაფია

23 თებერვალი, 2014 წელი

ამოვათავე აღმართი და კიდეც ინათა
გვიან, ავდრებში როგორც სჩვევია.
ალბათ, სულ ერთი წუთით იყო,
ნისლი შეიმქვრა
და გამონათდნენ ასკილები წითელ-წითელი.
– დიდება-მეთქი შენდა, ღმერთო,
– შევუთვალე ცა-ქვეყნის გამჩენს,
– ჯერ – რომ გააჩენ ამ სასწაულ სილამაზეს,
მერე – თვალსა და გულსაც
მისცემ ამის მჭვრეტელს
და ზრუნვითაც შენვე იზრუნებ,
სადმე შემოგხვდეს.
თორემ ამ გზაზე, ამ ავდრიან უღელტეხილზე
(გზასაც რომ არ ჰგავს უდაბური და უკაცური)
გეძალება ფიქრებიც მძიმე.

ლამის მთელი გზა გამატარა საზრუნავმა
შინ და გარეთის:
ხვალ შეხვედრები საღამომდე,
ზეგ და მაზეგ ფქვილსა და ზეთს
დავარიგებ (ჰუმანიტარულს),
მერე პარასკევს (გაფრინდა კვირა...)
დამთავრდება ბანკის კრედიტი
(გოგოს სწავლის ფულს გადავიხდი),
მივალ სახლში და გვიანამდე,
ან დილამდეც სადილები უნდა ვამზადო,
თანაც ისეთი, უჩემოდ რომ
გაიტანოს თავი ოჯახმა.
შაბათს დილიდან ეს გზა კიდევ
ერთხელ მომელის,
(მე ვინ მაუქმებს?) ორი-სამი მუშა
უნდა ამოვიყვანო,
შევაცვლევინო სათავეში გამსკდარი მილი,
მთელი კვირაა, ამ წვიმებში, წყალს
წყაროდან ეზიდება ორი უბანი.

მომშიებია.
აქამდეც ყავამ მაყუათა თაფლგარეულმა,
ბედად, ვისაგზლე მშრალი პურის ორი ნატეხი,
გზა-გზა მოვიფშვნი ცოტ-ცოტას
და დარდში ჩავილბობ.
დარდი კი... დარდი იმდენია
გულს თუ გაუღებ...
მთავარი არის გზა ეძებო, ამ სადარდელს
რით განეშორო,
პრობლემებს როგორ მოუარო, რითი უწამლო.
გზა თუ იპოვე, ჩათვალე,
რომ გიპოვია სიცოცხლის არსი –
გიპოვია შენში შენი წილი უფალი.

მოვსულვარ ლამის.
აქ ერთ დიდ ლოდზე მთლად ბავშვმა
რომ მივაწერე შენი სახელი
და ზედ გზის პირას, სათვალიო
ადგილას დავფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ დღის მერე აქ სრულდება
ჩვენი ერთად თქმის რიტუალი.
აბა, ამ ადგილს მშვიდად როგორ
ავუვლ-ჩავუვლი?
შევჩერდე უნდა და გავიხსენო ის,
რაც მთელი სიცხადით მახსოვს –
ივლისის ბოლოს ერთი ცხელზე
ცხელი საღამო,
ათიოდე წლის ბიჭი, მაშინ თვითონაც ბავშვმა,
ხელისხელით რომ მიგიყვანე სათიბში
მყოფ მამა-ბიძასთან
და ამაყად გამოვაცხადე:
„აემ ბალღის ცოლად ვიზრდები...“
თან შუბლსქვემოდან თვალები მქონდააა –
მილიონი მოკაშკაშე ვარსკვლავით სავსე...
(აჰა, ევროპა მივარდნილ მთაში)
მერე ათწლობით ნაირგვარმა წყალმა იდინა,
ეს ვარსკვლავები დამაქვს უკვე ამდენი
წელი და ისე მიჭერ ძლიერ მარჯვენას,
რომ რაგინდა რა ქარიშხალმა თავზე
გვიაროს, არ მეშინია!
თუმც ორშაბათი მძიმე დღეა,
არ მეშინია, რადგან შენი სახელი ჰქვია.

ვიდრე ეს წვიმა ცოტას იფერხებს,
უნდა მოვასწრო,
საჭეზე წუთით ჩათვლემამდე წავიოცნებო:
შენს მოლოდინში გადადიან ყირას ბავშვები,
მამა მარანში ღვინოზეა,
დედა მჭადებს აკრავს კეცებზე,
მე ბუხრისპირას ქოთანში ვზელ
დილას ნანატრ რეჰან-ქონდრიან,
ტყლაპიან და პიტნა-ქინძით
შეზავებულ მინდვრის ლობიოს...

ხუთშაბათი – შვილების დღე

თეკლა
10 ოქტომბერი, 2013 წელი

გარეთ ცირცელების ქარია და
სახლში პიტნის ჩაის არომატი,
რატომ აგვიანებ, საფიცარო,
ასეთ სიხარულში რად მომაკლდი?!
ხევ-ხევ დაბალახობს ნისლის ჯოგი,
დგება ცისკრისფერი გამთენია,
შენი გასამზითვი მარმაშები
გაღმა მთებს და მინდორს აფენია.
კაბებს იმშვენებენ ძახველები,
ზამთარს მისამართი დაჰკარგვია,
თეთრი წეროების სამკუთხედი
ზეცის საოქტომბრო ნაქარგია.
ეგეც სამზითვოებს მიმითვალე,
მთებიც, ლამის მზემდე აწვდილები,
ბექზე ოქროქაცვის შიბები და
ტყისპირს ცეცხლისფერი ასკილები.
ვიცი, შენ თავს მალე წამართმევენ,
ძლივს და ეგუება მამაშენიც.
რაც რამ საუნჯე მაქვს, მზითვად გაძლევ,
შენი ქალობაა დანარჩენი.
გძინავს. ჩემი ფიქრი ქარს დაჰყვება,
შენზე ლოცვის იქით ვერ კი წავა,
დილა ნატვრისფერი გაგითენდეს,
დედის სიხარულო, თვალშალშავავ.

ბოლო აკორდი
7 ნოემბერი, 2013 წელი

ქუჩებში პოეზიას,
ყვითელი ფოთლების ნატიფ პოეზიას
ხვეტავენ ქალები.
ჩემსავით მეოცნებე კი არა –
უფრო პრაქტიკული, უფრო ჭკვიანი
და უფრო მფრთხალებიც.
ლექსებს ვერ ამჩნევენ მიმობნეულს,
ვერც ერთურთს ამჩნევენ,
გარბიან თავ-თავის გზებით.
ავდარზე წუწუნებენ, შვილებზე დარდობენ,
სადილზე ზრუნავენ და
(რა თქმა უნდა)
ოჯახში მიელიან ქმრები.
მე...
ვცდები ოჯახს და
მთელ დღეს ქუჩა-ქუჩა ვაგროვებ სიხარულს,
ასე ფოთოლ-ფოთოლ ვაგროვებ სათქვენოდ,
თან ცრემლი მერევა.
გიხსენებთ,
გაბოდებთ
და მერე გიგზავნით
წუხანდელ ლოცვებს,
თბილისურ ჭორებს,
პატარა ზღაპრებს,
ნოემბრის ფოთლებს და დიდ ბედნიერებას.

თორნიკეს
27 თებერვალი, 2014 წელი

წლებია, ღამით შენს იმედად ვიძინებ მშვიდად
(ერთი ნარკოზით დაძინებაც რა ბედენაა),
არ მითქვამს დღემდე, რომ შენს ხასიათს
არ წამოვკიდო ჩემგან ნდობის და
იმედის უზომო ტვირთიც
და უნებურად კიდევ უფრო არ წაგაქეზო
ირგვლივ ყველას პატრონობაზე.
შენი გაჩენა ჩემთვის დიდზე დიდი ჯილდოა.
არც ეს მითქვამს.
მხოლოდ სხვებზე უფრო ხშირად
შენ გეფერები,
რადგან ათასჯერ მეტად უჭირთ
ძლიერებს და სხვათა პატრონებს.

დღეს გეუბნები, ვიდრე
თვლემა-ძილი წამიღებს:
– დილას საუზმედ მამაშენს შვრიის ფაფა
უნდა, პიტნის ჩაიც ცოტა ლიმონით.
თქვენთვის ბრინჯი ან წიწიბურა
მოხარშე რძეზე,

თაფლი, კარაქი, მურაბები –
რასაც ინდომებთ...
სუფრას და ჭურჭელს, რომ მორჩებით,
თამთა მიხედავს.
კარადაშია, შეურჩიე მამას პერანგი,
წინდა, ჰალსტუხი
(ორი კვირა, ალბათ, გეყოფათ)
ქუდი არ დარჩეს და წამლები დაულეველი.
ჩამოუარე შენებურად მერე ყველაფერს,
გაზი, დენი, არსად დაგრჩეთ,
წყლის ონკანიც ყველგან მოსინჯე,
ორივე კარი დაკეტე და წადი სკოლაში.
– ბევრს ნუ იცელქებ (სამაგისოდ
სკოლა რად გინდა?)
ცელქობისთვის, რა ხანია, კარგა დიდი ხარ,
შენი ხნის უკვე მეფეები იყვნენ მეფენი
(ღიმილს გამჩნევ და მეღიმება)
წამოიყოლე უკან გზაზე ჩაი და ყველი.
ხორცი დაჭერი, გარეცხე და კარგად მოხარშე
(ქაფის მოხდა არ დაგავიწყდეს)
სადილისათვის შეაზავებ ნიახურით,
ქინძით და ნივრით
(სხვა წვნიანებს სხვა დროს გასწავლი),
სალათას ჭამის წინ დაამატებ
ცოტა ლიმონს, ცოტა არაჟანს,
არ დაგეზაროს, კატლეტები ორთქლზე
შეითბე (ცივს რა გემო აქვს?),
შემოამატე სარდაფიდან საბუხრე შეშა,
იმეცადინეთ და ელოდეთ
მამას ვახშმისთვის.
ახლა ადექი. დროა უკვე ალბათ რვა ხდება
თუ არ ადექი, მაგდენ საქმეს ვეღარ მოასწრებ.
არ მიხარია, ღმერთმა იცის,
ამ ყველაფერს შენ რომ გავალებ,
(შენი იმედით, რა ხანია, უშფოთველს მძინავს)
უმაგისოდაც ყველას პატრონს,
მზრუნველს და სანდოს,
არაბავშვურ ფიქრებით სავსეს.
თავს ვინუგეშებ და ვიმშვიდებ –
კაცად იზრდები!

ეხლა ადექი, დროა უკვე, ვიცი არ გძინავს,
რომ მე ვიძინო ცოტა კიდევ
უსიზმროდ, მშვიდად,
(რა ბედენაა, ცხოვრებაში ერთხელ ნარკოზით)
რომ გავიღვიძებ ამ ჩუმ ფიქრებს
სიტყვა-სიტყვით გიამბობ დღესვე...
თუ მოხდა, რომ ვერ გავიღვიძე...
ეგ ყველაფერი იცი უკვე და
ყოველდღე გაიმეორებ.

ვიზიტი ექიმთან

თამრი ფხაკაძე

იმხანად, როცა შორეულ ბრაზილიაში ბერიკაცმა აპარესიდო კასტალდომ გადაწყვიტა ცოლად მოეყვანა თავისი საყვარელი თხა, სახელად კარმელა...

და იმხანად, როცა შეერთებულ შტატებში ალაგ-ალაგ მოვიდა თოვლი, რომელიც ცეცხლის სიმხურვალისგან წყლად კი არ დნებოდა, არამედ შავ კუპრად...

იმხანად, როცა ჩრდილო კორეამ კიდევ ერთხელ ნახა საამური სიზმარი, თითქოს მზეზე ადამიანი დასვა (ჩრდილოკორეელი, რაღა თქმა უნდა)...

იმხანად, როცა ვნებადაუოკებელ ნიდერლანდში გაუგონარი გაქანების ეროტიკული ქალაქის აღმშენებლობა წამოიწყეს...

და როცა საფრანგეთში მაინც, აი, მაინც იქორწინეს ერთურთზე მხარბეჭიანმა ვაჟკაცებმა ბრუნომ და ვენსანმა...

იმხანად, როცა რუსეთმა საზღვარი კიდევ 11 კილომეტრით გადმოუჩოჩა ჩვენს პატარა საქართველოს...

და კიდევ ბევრი ამდაგვარი ამბის ხანად...

ქართლოსი ექიმთან მივიდა.

ხოლო კარზე, რომელშიც ქართლოსი უნდა შესულიყო, ეწერა:

„ფსიქიატრიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ენრიკო გიშველიძე-უმროსი“.

და ქართლოსმა გაიფიქრა: „ერთი ასო აკლია აქ. ნეტაი, უმფროსია თუ უმცროსი“?

მერე რიგის დასაკავებლად დაფაცურდა.

– ბოლო თქვენ ბრძანდებით? – დაეკითხა ქალს, რომელსაც ქოლგის დაკეცვა დავიწყებოდა და ასე, ქოლგაწამოფარებული იჯდა სკამზე.

ხოლო ქოლგა იყო წითელი.

ქალმა ქოლგისქვემოდამ ამოხედა ქართლოსს, ფრთხილად შეათვალიერა და თქვა:

– თქვენ ჰერცოგი არ ხართ, ხომ?

ქართლოსმა მიუგო:

– არა. ქართლოსი ვარ. გვარად მხარბეჭიანი.

– თუ გინდათ, მოდით ქოლგის ქვეშ, სანამ გადაიღებს, – თქვა ქალმა და გვერდითა სკამზე გადაჩოჩდა.

ქართლოსმა ცას ახედა, მაგრამ შეკიდული ჭერი შერჩა თვალთ.

– არა, იყოს. მადლობა დიდი. ვიდგები.

– კარგი, – დაეთანხმა ქალი, – ოღონდ იქით მიიწიეთ ცოტა, გუბეში მაინც ნუ იდგებით.

ქართლოსმა მიწას დახედა, მაგრამ ლაპლაპა ლამინატი შერჩა თვალთ.

ოდნავ განზე მაინც მიდგა და ამ დროს პროფესორ ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსის კაბინეტის კარი ფართოდ და დაუნანებლად გაიღო და ვიღაც იმედმოცემულსახიანმა კაცმა გამოაბიჯა.

– უჰ, მე კიდევ, საფრანგეთის რევოლუცია მეგონა! – შვებით შესცინა მან ქართლოსს, – პარიზის კომუნა და მთელი ამბავი!

მერე მხედრული სალამი უძღვნა პროფესორ გიშველაძის კაბინეტის კარს, ცალ ქუსლზე შემორტიალდა და ღონივრად გაუყვა დერეფანს გასასვლელისკენ.

ქართლოსი, რასაკვირველია, დაბნეული დარჩა, მაგრამ რიგს ხომ თავისი წესები აქვს, დაბნეულობისთვის სად დაგიტოვებს დროს. ჰოდა, ქართლოსმა ფრთხილად დააკაკუნა ქოლგაზე:

– მიბრძანდით, ქალბატონო, თქვენი რიგია.

ქოლგის ქვეშიდან მოისმა:

– არ მცალია. უთხარით, რომ სახლში არ ვარ. თეატრში ვარ.

მაშინ ქართლოსმა მორიდებულად შეაღო კარი და საწერი მაგიდის წინ გაუშეშდა ექიმს.

ხოლო ექიმი იყო ქაღალდებში ჩაფლული და უდავოდ მელოტი.

– დაბრძანდი, დაბრძანდი, – თქვა მან თავაუწევლად, – მოდუნდი. მე ახლავე....

მეტი მოდუნება სადღა იქნებოდა! ქართლოსს ისედაც ჩვარივით მოღვენთოდა ხელ–ფეხი და ლამის ჩაკეცილიყო სკამზე. ღელავდა. ექიმებში სიარულს ნაჩვევი არ იყო და ფსიქიატრის ხომ გზა-კვალიც არ იცოდა აქამდე!

ამასობაში კი პროფესორმა ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსმა თავი აწია. და როგორც ფსიქიატრიულ მეცნიერებათა დოქტორების წესი და რიგია, სახეზე ნეტარება და ბედნიერება ეხატა.

ქართლოსს თვალი შეავლო, კმაყოფილად დაუქნია თავი და თქვა:

– დავიწყოთ?

– დ... დავიწყოთ. – მიუგო ქართლოსმა.

– ძალიან კარგი!

ექიმი წამოდგა, საწერ მაგიდას ზომიერი ღიპი შემოატარა, ქართლოსს თავს წაადგა და ოდნავ წინ, მისკენ წახრილი თვალებში ჩააცქერდა. მერე თქვა:

– გასსაგებია. ახლა, ჩემო ძამია, ნუ დაგეზარება და ამ თითს მიაყოლე თვალი.

ქართლოსმა ჯერ მარცხნივ გააყოლა თვალი პუტკუნა, ოდნავ ბალნიან, ოქროსრგოლიან თითს, მერე – მარცხნივ.

– გასსაგებია, – თქვა ექიმმა ენრიკო გიშველიძემ, – ახლა ფეხი ფეხზე შემოიდე, ძამიკო, და მე ჩაქუჩს დაგკრავ.

– ურო დამკარი თუ გინდა, ექიმო, ოღონდ მეშველოს რამე... – შეჰღაღადა ქართლოსმა.

ჩაქუჩი პატარა და არასაშიში გამოდგა. მაგრამ დაჰკრა თუ არა ექიმმა კვირისტავს ქვემოთ მსუბუქად, ქართლოსს თითქოს დენმა დააარტყაო, ფეხი არნახული ძალით აუხტა მაღლა და კარგა გვარიანი დარტყმა უთავაზა პროფესორს უადგილო ალაგას.

– უჰჰჰ! – სიმწრით სამად მოიკეცა ექიმი ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსი და ორივე ხელი (ჩაქუჩიანა) ლაჯებში იტაცა, თუმცა გონს მალე მოეგო, მაგიდას კვლავ შემოატარა ზომიერი ღიპი და კალამი მოიმარჯვა.

– სახელი, ძამია...

– ქართლოსი, – დამნაშავედ ჩაიდუდღუნა ქართლოსმა, – არ მინდოდა მე...

– უარესებიც მინახავს. გვარი?

– მხარბეჭიანი. უარესი როგორ...

– ზედა ორი კბილი ჩამიმტვრია ერთმა. მხარ... ბე... ბე...

– ჭიანი... – წააშველა ქართლოსმა.

– ჭიანი! კარგია! ასაკი?

– ორმოცდაჩვიდმეტი.

– პროფესია?

– ახლა გლეხი. კომუნისტების დროში მარკშეიდერად ვიყავი მაღაროში.

– ოჯახური მდგომარეობა?

– ცოლ-შვილი მყავს. რვა შვილიშვილი.

– მალადეც!

– ზამთრობით არ მაჩერებენ სოფელში. ხან ერთთან ვარ აქ, ხან მეორესთან. მარტის შუიდან მივდივარ ისევ. აღარ მიდგება გული...

– რაღა უკლია მარტამდე... – პროფესორმა ფანჯარას გახედა. იქ შუშას შეკვირტული ტოტი მობჯენოდა და ცის ნაგლეჯიც ჩანდა, ჯერ ისევ ცივად კრიალა და ლურჯი.

ექიმმა კალამი დადო, ხელები მაგიდაზე დაალაგა და საქმიანად იკითხა:

– აბა, რას უჩივი, ძამია?

– გლახა სიზმარს. მეტი არაფერს, ბატონო.

– კონკრეტულად?

– მოვყვე?

– უნდა მოყვე, აბა როგორ? ნელა. დაკვირვებულად. პირველ პირში. მხოლობით რიცხვში. ჰე, გისმენ!

და ქართლოსმა დაიწყო.

– სამი თვე იქნება, სულ ერთ სიზმარს ვხედავ.

– აჰა, აჰა, – წაახალისა პროფესორმა.

– ვითომ... გზას ვადგავარ და... მივდივარ პირდაპირ.

– აჰა, აჰა. და საიდან მოდიხარ?

– არჩევნებიდან.

– აჰა. ყოველთვის?

– კი, ყოველთვის, ექიმო. ხმა მაქვს ახალი მიცემული და მოვდივარ.

– ხმა ვისთვის? კონკრეტულად ვინმესთვის?

– არა. მარტო ის მახსოვს ხოლმე, რო ხალხის რჩეულისთვის, როგორც ამბობენ.

– აჰა, აჰა.

– ჰოდა, მინდა, რომ წავიდე პირდაპირ.

– არც მარჯვნივ, არც მარცხნივ!

– საქმეც ეგაა, ექიმო, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, პირდაპირ მინდა წასვლა, სულ პირდაპირ.

– აჰა, აჰა. და რა გიშლის ხელს?

აქ ქართლოსი შეფერხდა, ექიმი კი გაფაციცდა და შესძახა:

– თამამად, თამამად, ძამია!

– ორნი არიან, – თქვა ქართლოსმა.

– აჰა?

– ერთი მარცხნივაა, მეორე მარჯვნივ.

– და რაო, რა გვინდაო?

– მარცხენა მეუბნება, მარცხნივ წამოდი და გაგამდიდრებო.

– კაი ერთი-თქო! და მარჯვენა?

– მარჯვენა მეუბნება, მარჯვნივ წამოდი, თორემ გესვრი და გაგათავებო!

– მაგისმა მზემ! – კოპები შეიკრა ექიმმა.

სიჩუმე ჩამოდგა. დერეფნიდან ქალის ხმა მოისმა. ოდნავ გაბზარული, მაგრამ მაინც უბადლო სოპრანოთი საქართველოს ჰიმნს მღეროდა.

– ოპერის სოლისტია, – აუხსნა პროფესორმა შემცბარ ქართლოსს, – საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი.

– ჩემი არ იყოს, უჭირს რაღაც... – მოკრძალებულად აღნიშნა ქართლოსმა.

– გაუჭირვებელი აქ ვინ მოვა, ჩემო კარგო ძამია! – ხალისიანად შესძახა ექიმმა, – აქ პატარ-პატარა ყველას უჭირს და მეტწილად... – ექიმი ერთბაშად დასერიოზულდა, – მეტწილად რაღაც დიადი უჭირთ.

– მეც დიადი? – გაბედა ქართლოსმა.

– ჰეჰ! რა თქმა უნდა, შენც დიადი, ძამია, შენც! აბა, ძროხამ არ მოიწველასი კი არაა ეგ შენი სიზმარი!

ქართლოსს საკუთარი თავის შესახებ კიდევ რამის კითხვა მოერიდა და ისევ ქალის სადარდელით დაინტერესდა.

– და იმას... გარეთ რო მღერის... ქოლგიანს... რა გაუჭირდა?

ექიმი ფეხზე ადგა და კვლავ შემოატარა ღიპი მაგიდას.

ქართლოსმაც წამოიწია, მაგრამ პროფესორმა მხარზე ხელი დააბჯინა და უთხრა:

– იჯექი.

ორიოდ წუთს იყუჩეს. მერე ექიმმა ნელა, ზღაპარივით დაიწყო:

– ერთ საღამოს ოპერის თეატრში „რიგოლეტო“ გადიოდა. ჯილდას ეს ქალი ასრულებდა, – ექიმმა კარს გახედა – რიგოლეტოს ადარნესე ბაბუნაშვილი, ჰერცოგს – სულიკო ცქვიტავა.

– მე მკითხა, ჰერცოგი ხომ არ ხარო, – ჩაურთო ქართლოსმა.

ექიმმა კი განაგრძო:

– სწორედ მაშინ, როცა რიგოლეტოს თავისი არია უნდა დაეწყო... ხომ იცი რიგოლეტო? აი, ქალიშვილს რომ შეუცდენს მოხუც მამას მდიდარი ბატონი და...

– გლახის ნაამბობივით...

– ჰო, ოღონდ იქ სხვა ამბები ხდება მერე და მოკლედ, სავსეა ძამია, დარბაზი ლოჟიან-ბალკონებიანა და... შემოდიან უცებ ნიღბიანები, ადიან, ძამია, სცენაზე, ადებენ შენ ჰერცოგს კაი ბუღვიალა ბორკილს ხელებზე და მიყავთ. ჯილდას თვალწინ! ორკესტრის თვალწინ! ეს რიგოლეტოც დგას გაჩუმებული. რაღა ეარიება, ჩემო ძამია... ხალხიც დაშტერებული მიჩერებია...

– ჯილდა ამას ქვია? – კარს გახედა ქართლოსმა.

– კი, ამას ქვია. ოღონდ იქ, ოპერაში. ისე მზიაა, თაბაგარი. მზია თაბაგარი არ გაგიგია?

–კი გამიგია. და იმას რას ერჩოდნენ...

– ჰერცოგს?

– ჰერცოგს.

– მიდი და გაიგე შენ! სამშობლოს მოღალატეაო, ძამია. აგენტიო. კი გამოსვეს ციხეში და! უკან მორჩა ბუმბულებიანი შლაპა და ის...

და აქ პროფესორმა ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსმა სასიამოვნო ტენორით დაამღერა:

□ა დონნა ე მობილე,
□უალ პიუმა ალ ვენტო,
□უტა დ'აცცენტო
ე დი პენსიერო!

ქართლოსმა თავი ჩაქინდრა და საკუთარ ხელებს დააცქერდა.

– არა, წლების მერე კი გაამართლეს, გმირის წოდებაც მიანიჭეს, მაგრამ... ეჰ...

– და ეს ქალი?... – შეახსენა ქართლოსმა.

– ქალი... ქალი... ქალი ნაზი არსებაა, ძამია! იმ საღამოს მერე რაღაცები აერია თავში. ჯილდას არიის მაგივრად საქართველოს ჰიმნი იმღერა მომდევნო სპექტაკლზე... მაგრამ ეგ არაფერი! ვუშველით! მოვარჩენთ! შენ რა იყო, რა ხელები გიკანკალებს?

ქართლოსი მართლაც, ოდნავ მოცახცახე ხელებს დასცქეროდა.

– ეგ არაფერი, – ანუგეშა ექიმმა, – ხელებს ეშველება! მთავარია, სხვა რამე არ აგიკანკალდეს, ძამია, სხვა!

ქართლოსი ჭარხალივით გაწითლდა.

ექიმმა კი განაგრძო:

– გული, გული არ უნდა აგიკანკალდეს, ესა მთავარი! შიში არ უნდა გააკარო გულს! ჰე, მივხედოთ ახლა საქმეს.

ზომიერმა ღიპმა ერთხელაც შემოხაზა მაგიდა. ექიმი ერთბაშად დასერიოზულდა. მეტიც, გამკაცრდა კიდეც და ასე, გამკაცრებულად თქვა:

– შენს ამბავს დავუბრუნდეთ. მიდიხარ ენეიგი. პირდაპირ და ხელს გიშლიან. ერთი მარცხნიდან, მეორე – მარჯვნიდან.

– ზუსტად.

– მარცხენას ზედმიწევნითი აღწერილობა მინდა. დაძაბე მეხსიერება და მიდი, აღწერე.

ქართლოსმა კარგა ხანს იყუჩა და მერე დაიწყო:

– რომ მივდივარ... პირდაპირ წასვლას რომ ვეპირები და რომ მივდივარ, მარცხნივ ჯერ არაფერია. მინდორია უხნავი. ჰექტრობით ვერ ვიტყვი ახლა... და უცებ პატარა ტაროსავით წამოყოფს რაღაცა თავს მიწიდან. წამოყოფს და იზრდება. სიმინდის ტაროა. როგორ ვთქვა, აღარც კი ვიცი... იზრდება, იზრდება, მსხვილდება, ჯერ ერთსართულიანი სახლისტოლაა, მერე ორსართულიანის, მერე სამიანის... და არის ბაჯაღლო ოქროსფერი! ლაპლაპებს, ლაპლაპებს, თვალს ჭრის. თითო მარცვალი თითო ფანჯრისტოლაა... გამოდის რია-რია, ქალების სიცილი, კისკისი, რაღაცნაირ მუსიკას აწუილებენ, აღმუვლებენ... მარა მე ვერ ვხედავ ვერავის, ამ ყვითელ ლაპლაპს ვხედავ მარტო. როგორი დასანახია?! და ვიღაცა მეძახის ზევიდან, სიმინდის ტაროდან, რომე, ქართლოს! ქართლოს!! ქართლოს!!! სამჯერ ასე. რა გინდა და ვინა ხარ? – შევუძახებ მე. საით გაგიწევია, ქართლოს? – მეკითხება და თან ხითხითებს რაღაცნაირად და... საით გამიწევია და პირდაპირ! – ვეუბნები მე. თან ბრაზი მომდის, რომე, ვინაა, რა უნდა, რა მისი საქმეა, მე საით გამიწევია. ჰოდა, ეს ოქროს ტარო ბუღვრიალებს, ტრიალებს, იმხელაა, რო წამოყირავდეს, ამიან-იმიანა გადასრესს ქვეყნიერებას და ქართლოს! ქართლოოოოს! – მიძახის ისევ, – აქეთ წამოდი, აქეთ! უჰ, მომდის ბრაზი უარესად. დამანებე ვიღაცა ხარ, თავი, – ვუყვირი აქედან, და ვეშურები წინ წასვლას ჩემი გზით, პირდაპირ, მარა რას წახვალ, წამოვა ხოშკაკალასავით ოქროს სიმინდის მარცვალი, ჩამიხერგავს გზას... ქართლოსიიიიი! – მეძახის ისევ, – შემხედე, როგორი კბილები მაქვს?!... ავიხედავ და ვიღაცა ხარხარებს, ხარხარებს, გადმოყრილი აქვს ოქროს კბილები უთვალავი! ხახას ვხედავ მარტო! ჰოდა... რო მივაწყდები წინ და რო მინდა პირდაპირ წასვლა, მეღვიძება მაგ დროს.

სიჩუმე ჩამოდგა.

ქართლოსი, ერთ დროს მარკშეიდერი, ახლა კი გლეხი დარდიანად შესცქერის პროფესორს.

– ავად ვარ ძალიანი? – სვამს კითხვას.

ექიმი დუმს. ექიმი ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსი დუმს. მერე კი ფიქრიანად ამბობს:

– მარჯვენა. მარჯვენა აღმიწერე ახლა.

და ოდნავ გახარებული იმით, რომ ჯერ კიდევ, როგორც ჩანს, არ იკვეთება მძიმე დიაგნოზი, ქართლოსი შედარებით მხნედ იწყებს:

– მორიგეობით ჩნდებიან. ამაღამ რო მარცხენა არ მომცემს გასაქანს, ხვალღამ – მარჯვენა. რიგრიგობით არიან... ახლა, მარცხენა რანაირია. რანაირია და მივდივარ ჩემთვის, პირდაპირ გაყოლას ვეპირები, მივიმღერი, ხანაც მივღიღინებ...

– უკაცრავად, – ცქვიტად ჩაერთო პროფესორი, – რას მიიმღერი?

– სიმღერას, – გაუკვირდა ქართლოსს.

– რომელს!

– იმას... რა მადლიანად ანათეებს, ჩემი მზე ჩემი მთვარეოოო... – რაც შეეძლო მოგუდა ქართლოსმა ღიღინი, – ბაში-აჩუკში როა.

– აჰა, აჰა. კარგი ძალიან. და შენ ვინ ხარ ხოლმე, ეს მითხარი. ყოველთვის შენ?

– ხანდახან გამოერევა რო, კომბლე ვარ, ან ნაცარქექია, ერთხელ რწყილი და ჭიანჭველა ვიყავი ერთად აღებული... ავთანდილიც კი ვიყავი ამასწინათ, ახლა გამახსენდა. რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიანო... მანდ რო მიდის ავთანდილი წინწინ...

– უჰჰ, კარგი ხარ, ქართლოს! – აღფრთოვანდა პროფესორი.

– გაგრძელებაც ვიცი... – მორცხვად მოახსენა ქართლოსმა, – ვეფხისტყაოსნის ზეპირმცოდნე ვარ მე. შეჯიბრშიაც გავიმარჯვე ადრე.

– უჰჰჰ, რა ხარ შენ, რა! რა ყოფილხარ შენ! მიდი აბა, გამიგრძელე.

ქართლოსი ფეხზე წამოდგა და ისე თქვა:

– მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,

ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან...

იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან. კიდე გავაგრძელო?

– არ გინდა მეტი, – ამოიფშლუკუნა პროფესორმა და ხელი გაასავსავა, – დაჯექი, დაჯექი, – მერე უჯრიდან ქაღალდის ხელსახოცი ამოაცოცა და თვალების მშრალებას მოჰყვა.

– რა გატირებს, ექიმო... – სკამზე ჩაჯდა ქართლოსი.

– არ ვიცი! მოულოდნელი სიხარული, ალბათ... სთენიკური ემოცია...

ცოტა ხანს იყუჩეს. მერე პროფესორმა ჰკითხა:

– შენ ეს მითხარი, დევი არ ყოფილხარ არასდროს? ან ბაყბაყი, ან ისე... ცხრათავიანი!

ქართლოსმა გადაჭრით იუარა:

– აჰ, არა, დევი არ მახსენდება, ექიმო. ან კიდე, ნეტაი რაც მაბია, ამ ერთისთვის მიმახედია, რას დავეძებ ცხრა თავს. და ისა, ძალიანი გლახაა, სხვა რომ ვარ ხანდახან, ექიმო?

– შენ რა გითხარი, ქართლოს! ნაცარქექია და კომბლე რა სხვაა, ან რწყილი და ჭიანჭველა! ან ჩვენი ავთანდილ სპასპეტი! შენ ხარ ეგენიც, შენ! სიზმრის წესებით ასეა. ქვეცნობიერი, შეუცნობელი, მთელი ამბავი! ფროიდი, იუნგი, ჟაკ ლაკანი... ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. შენ სიზმარი გააგრძელე ახლა. მიდიხარ, ესე იგი, მიდიხარ და...

– მივდივარ, ბატონო ექიმო, მივდივარ წინ–წინ და რაღაცა გამოჩნდება ხელმარჯვნივ, ასე ორას მეტროში... სამასში იყოს, თუ გინდა. შავი!

– შავი?

– შავი, კი. ვუკვირდები ხან ასე, ხან ისე, და... ჩექმა დევს გზისპირას, ცალი! ხოდაბუნებია უკან ძვირფასი, ალაგ – ხეხილი კაი მოვლილი. ასე, მუხლამდე ჩექმაა. შავი. და იმ ვერანა ოქროს ტაროსი არ იყოს, იზრდება თანდათან ეს ჩექმა. სიმაღლეშიც იზრდება და სიმსხოშიც! გახდება ასე ჩემი მურთაზის კორპუსისხელა. მურთაზისთან ვარ ახლა. მანამდე მაგულისთან ვიყავი. მანამდე როლანდისთან...

– ჩექმა. – შეახსენა პროფესორმა.

– ჰოდა, მე რა ვიცი, ვისი რა არის, გავივლი ჩემი გზით, ვფიქრობ. წავალ პირდაპირ, როგორც მქონდა გუმანში. და ვუჩქარებ ნაბიჯს. ჩქარა მინდა გავცდე რაღაცაა. ეს ჩექმა კიდევ, ჩემო ბატონო, იზრდება და იზრდება. მოისმის შიგნიდან უცნაური ხმები, ჩხაკუნი, გუგუნი, რახრახი...

თან, გეგონება, ზარებიც რეკენ ეკლესიაშიო... და უცებ, მიღრიალებს ვიღაც, რომე – ქართლოს, სდექ! მარჯვნისااااა–კენ, ერთი–ორიიიი! ჩექ-მისკენ ნااااბიჯით იარრრ! აც–დვااა, აცც–დვაა! ასე, ზუსტად.

– უხხხ! – მომუჭა თითები პროფესორმა და პუტკუნა მუშტი მაგიდას დაჰკრა.

– გამანებე, ვიღაცა ხარ, თავი, გამატარე ჩემი გზით, – ვუყვირი მე, მარა გაგიგონია?! ტკაც, ტკუც, ტკაც, ტკუც... – წამოვა სეტყვასავით შავი ქლიავი და ღოღონაშო, მარა სიზმარში ვიცი, რო ტყვიაა, ქლიავი კი არა! ამ დროს გაწოლა უნდა მიწაზე, რო არ მოგხვდეს და ვფიქრობ, გავწვები და ასე ხოხვით მაინც წავალ პირდაპირ, მტრის და მომხვდურის ჯინაზე-მეთქი და მეღვიძება მაგ დროს, ექიმო!

ქართლოსმა ვალმოხდილად ამოისუნთქა და ექიმს შეაჩერდა მოსწავლესავით, გაკვეთილს რომ მოყვება და ნიშნის გამოცხადებას რომ ელის მასწავლებლისგან.

მაინც დაამატა:

– ა, ესაა ექიმო. ქვას არ ვსროულობ, მარა, ეს კი მჭირს ასე.

ექიმი დუმს. ფსიქიატრიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსი დუმს. ფიქრობს არავინ უწყის რაზე.

ფანჯრის იქით კი... მარტს რაღა უკლია! ოდნავ შეკვირტული ტოტი ერაკუნება მინას გარედან, თებერვლის ქარს ეთამაშება, მოლოდინებითაა სავსე, ცის სილურჯე უხარია...

– გასაგებია ყველაფერი, – ნაღვლიანი ხმით ამბობს ბოლოს ექიმი, – ახლა მთავარი დარჩა.

– მთავარი?

– მთავარი.

– ნემსი უნდა გამიკეთონ?!! – გადამტკნარდა ქართლოსი, რომელსაც ნემსის ძალიან, ძალიანი ეშინოდა.

– არა, – თქვა ექიმმა, – ახლა უნდა მითხრა, იქ... იმ პირდაპირ... რისკენ მიდიხარ. წინ რა არის. რა გეგულება...

უფფ. ამის თქმა იყო და დერეფნიდან ისეთი ტკბილი, ისსეთი ტკბილზე ტკბილი იავნანა მოისმა, უკეთესს რას ინატრებდი!

და ქართლოსმა ხმადაბლა თქვა:

– თუ არ გამბაწრავ და არსად გამომამწყვდევ, ვიტყვი.

– რას ქვია გაგბაწრავ! ის კი არაა აქ!

– მთლად ისე ზუსტად კი არ ვიცი და კი არ მახსოვს, მაგრამ მაინც ვიცი და მაინც მახსოვს.

– რა დაბნეულად ლაპარაკობ, შე კაცო, – მოუთმენლობა დაეტყო ექიმს, – თქვი, თუ ამბობ, ჰე!

– უკვდავების წყარო მეგულება წინ, – ერთბაშად, რისკიანად ამოთქვა ქართლოსმა და გაჩუმდა.

ექიმი დუმს. ექიმი ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსი დუმს.

– არაფერს მეტყვი, ექიმო? – შეჰკადრებს ქართლოსი.

ხოლო ექიმი ფიქრში წასულად ამბობს:

– შენ არაფერს მეტყვი, ძამია ზიგმუნდ?

– ქართლოს... – ოდნავ ნაწყენად შეუსწორებს ქართლოსი.

– შენ არ გეუბნები, არა, – აწყნარებს ექიმი.

ქართლოსი დაბნეულად მიიხედ-მოიხედავს და დანამდვილებით რწმუნდება, რომ ოთახში მესამე არავინაა.

ხოლო ექიმი კითხვას სვამს. პროფესორი ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსი უტკბილესი იავნანის ფონზე სვამს კითხვას:

– „ინფორმატორ-ნიუსს“ კითხულობ, ხომ, ყოველდღიურს?

– კი. მოაქვს ხოლმე მურთაზის. მაგულიც ყიდულობდა ყოველდღე.

– თოქშოუ „ გამოსავალს“ უყურებ ყოველკვირას, ხომ?

– კი, უყურებენ ხოლმე და მეც ვუყურებ.

– რადიოსაც უსმენ. „მამულიშვილის ხმას“.

– კი. მარტო როცა ვარ, ტელევიზორს არ ვრთავ და... მაგას ვუსმენ.

– და უკვდავების წყარო გინდა.

– სიზმარში, კი.

– და ცხადში? ცხადში არ გინდა, ძამია?

– ცხადში ახლა...

– გინდა! ცხადში რომ გინდა, იმიტომ გინდა სიზმარში!

– წავალ მე, ექიმო... – წამოიწია ქართლოსმა.

მაგრამ ექიმი, ფსიქიატრიულ მეცნიერებათა უდავოდ მელოტი დოქტორი, პროფესორი ენრიკო გიშველიძე-უმ(ც)როსი თეთრი ხალათის ზედა ღილს შეიხსნის და მგზნებარედ ამბობს:

– მეც მინდა! მეც ნეიტრალიტეტი მინდა! შვეიცარიასავით! მეც უკვდავების წყარო მეგულება იქ, ძამია!

– სად... – პირდაღებული შესცქერის ექიმს ქართლოსი.

– სად და იქ! პირდაპირ!

* * *

გარეთ, მორაკუნე გაკვირტულ ტოტზე ჩიტი შემოსკუპებულა და ცნობისმოყვარედ იმზირება აქ, შიგნით. იმან რა იცის, აქაურობა რა სევდა–დარდების ბუდეა... იმან რა იცის, აქ რა ნუგეშის ბარტყები იჩეკება ხოლმე, ან რა იმედის კვერცხები ლაყდება... ან ვინ რას სტვენს, ან ვინ რას ჭიკჭიკებს... ვინ რას ჩხავის, ვინ რას გალობს...

ფრررრ! – და აიჭრა ცაში...

ვინ იცის, ხომ? – იქნებ გუგული იყო და გადაიფრინა...

პრომეთეს ცეცხლი

დილის რვა საათია. რვა მარტის დილის რვა საათი.

მე, სამსონ პირველი, შპს „ელექტრონიკა 88“-ის დაცვის სამსახურის უფროსი, ჩემს პატარა კაბინეტში ყავის დასალევად ვემზადები.

დაცვის ბიჭები – მკლავაძე და სირბილაძე ქვემოთ, კიბის უჯრედქვეშ მოწყობილ ოთახში ყრიან და სძინავთ.

ყავას დავლევ და ჩავალ, გავაღვიძებ. ცხრის ზუსტად ოცდახუთ წუთზე დირექტორი მოვა. გრაფიკს არ დაარღვევს. არც რვა მარტის და არც მესამე მსოფლიო ომის მიზეზით. ხანდახან მგონია, რომ საქმე სინამდვილეში მისთვის უსაქმურობის ტოლფასია. საქმით უსაქმურობს, სხვა ყველაფერი ეზარება.

თავი მისკდება. საშინელი არაყი იყო. ეს რა მოათრიეს, საიდან მოათრიეს! მკლავაძემ, ჩემი სოფლის ჭაჭაამ. მტყუანს?! სოფლის არა, სამოთხის ბაღის!

შევცდი. არ უნდა მიმეცა ამდენის უფლება ამ ლაწირაკებისთვის. ბოლოს და ბოლოს, დაცვის სამსახურის უფროსი ვარ. მაგათი პირდაპირი უფროსი. უფროსი რომ ხარ, უფროსულად უნდა დაიჭირო თავი. არ უნდა აინთხლიო.

მკლავაძე ოცი წლისაა. სირბილაძე – ოცდასამის. მე – ორმოცდახუთის. ყველანაირად უფროსი ვარ. ასეც, ისეც.

შევცდი.

ტფუი, ყავის მეტი ყველაფერია!

მეორედ ეს აღარ მოხდება. მორჩა. ახლა ჩავალ, გავაღვიძებ და მკაცრად დაველაპარაკები.

მომინდომეს აქ ქალთა საერთაშორისო და ყირაზე გადასვლა!

...

მკლავაძის გოგო უფრო ეშხიანი იყო, ისე. ცალი თვალი ცოტათი გაურბოდა, მაგრამ უხდებოდა. ჩემი შეყვარებული რომ ყოფილიყო, ისეთი განცდა მექნებოდა, რომ ბოლომდე ჩემი არაა. ეს გაქცეული თვალი ცალი ფეხით გასაქცევად გამზადებულს ამსგავსებდა და საინტერესო იყო. ფხიზლად უნდა ყოფილიყავი. ვერ ვიტანდ, ქალი ისე რომ ჩაგაცქერდება, როგორც ბიოლოგი მიკროსკოპს. ვერ ვიტანდ, ქალი „სამუდამოდ შენი ვარ“–ს რომ აწვება. ვითრგუნები.

სირბილაძის გოგო ღამის პეპელას ჰგავდა. რაღაცნაირი გაძეძილი, ფართხუნა და ყავისფერი იყო.

მკლავაძის – ნაღდი ჭრელი პეპელა! არა, რა ეცვა, რა ეხურა და რა ეკეთა, აზრზე არ ვარ. ეგეთებს ვერ ვამჩნევ დიდად. მთლიანობაში მრჩება შთაბეჭდილება. მარტო წითელი პომადა მახსოვს ტუჩებზე. და საერთო ჯამში ჭრელ პეპელას რომ ჰგავდა, ეგ.

ის მეორე, სირბილაძის, – ცარიელი თვალები იყო. სხვა არაფერი დაგამახსოვრდებოდა. არც ფეხი, არც წელი, რამე, რუმე... ქალი – თვალები, რა! და ღამის პეპელა.

მკლავაძის მორიგეობა არც იყო გუშინ. ისე მოვიდა, ნებაყოფლობით. სხვა წასასვლელი რომ არ გექნება კაცს, ისე.

ეტყობა, წინასწარ მოილაპარაკეს.

იმან როგორ მკითხა, ჭრელმა პეპელამ? – „თქვენ არ გყავთ მეგობარი გოგონა, ბატონო სამსონ?“

თან „სონ“-ზე ტუჩები მოამრგვალა, გეგონება კოცნას ატანს სიტყვასო.

ჰ! მეგობარი გოგონა! მეგობარი გოგონების მეტი რა მყოლია!

მეგობარი გოგონა...

აუჰ, ნატულის დავურეკო ერთი, მივულოცო...

რა ვაჩუქო ნატულის? თავის საყვარელ შოკოლადს ვუყიდი. ან სუნამოს. მეტი რა ვიცი, რა ვუყიდო.

წითელი პომადა? არა. არც წაისვამს და ცუდადაც გაუკვირდება. წითელი პომადის წამსმელი არ არის ნატული.

სირბილაძის გოგომ მაგრად დალია ისე. რაც მეტს სვამდა, თვალები მეტად უდიდდებოდა.

დავლევ ამ ყავას და ჩავალ, გავაღვიძებ ბიჭებს. სირბილაძეს სახლში გავუშვებ. მკლავაძემ გადაივლოს თავზე ცივი წყალი და როგორც უნდა, ისე იმორიგეოს.

ჰ! ჩვენო, ბაღში გავალთო და, რო დაბრუნდნენ, სადღა იყო წითელი პომადა. იკოცნავეს მაგრად, მეტი რა. რა ბევრი ის უნდა მაგას! ამოიღო მერე პატარა სარკე, პომადა და წაიგლისა ისევ ტუჩებზე. თან სარკის ზემოდან ერთი გამოხედვა კი მტყორცნა. მტყორცნა ერთია და მე თუ არ ვუთვალთვალებდი, რას დავინახავდი, მტყორცნა თუ არ მტყორცნა?

მეც არა მიშავს რა! ბატონო სამსონ არ გინდათ, უბრალოდ სამსონი დამიძახეთ-მეთქი, როგორ ვუთხარი? თქვენობით, თან. არადა, თვალებით ძალიანაც შენობით ლაპარაკზე რო ხართ უკვე...

უჰჰჰ... არაყიც ისეთი იყო... ტყვია!

მაგრად თუ არ შევახურე ახლა ესენი, ისე დამაჯდებიან თავზე, მოხედვას ვერ მოვასწრებ!

ტფუიი, მოვიდა დირექტორი! არცაა ჯერ ცხრის ოცდახუთი...

...

– დილა მშვიდობის, ბატონო შოთა, – ვეუბნები, – დიახ, ღამემ მშვიდად ჩაიარა. დიახ. ისეთი არაფერი. ერთი-ორი პატარა ჩხუბი იყო გარეთ. წალაპარაკება. დიახ. არა. დიახ. დიახ. არა. კი ბატონო. ახლავე.

....

ყავის დალევაც ვერ მოვასწარი წესიერად.

ჩავიდე, ჩავიდე, გავაღვიძო ბიჭები, სანამ დროა.

...

სირბილაძე ნახეთ ერთი, რას ხვრინავს!

ეს კიდევ, საერთოდ მოკვდა მგონი ეს! თან წითელი პომადა რო ამჩნევია! თან სად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დაცვა! დაცვა-მეთქი!

იშმუშნებიან.

– დროზე ავდექით, აზრზე მოვედით, ყველანაირი კვალი გავაქრეთ და საქმეს მივხედეთ! დაცვა-მეთქი!

წამოიზლაზნენ.

– სირბილაძე, სახლში. მკლავაძე, ეგ გაიხადე დროზე, ეგ წითელპეპლებიანი და ფორმა ჩაიცვი, ცვლაში ხარ უკვე! მოვიდა უკვე, რას მიყურებ!

გამოსვლას ვაპირებ, მაგრამ კართან ვტრიალდები:

– და მეორედ ეს ბარდაგი არ მოხდება აქ. გასაგებია?

ტკეპნით ვთქვი, რაღაც და გაბოროტებული ბებერივით.

კიბეზე ამოვდივარ და თავს ვიმართლებსავით: არა რა, ამათთან სირბილე არ შეიძლება, ცოტა თუ არ უმკაცრე, ეგრევე დაკარგავ ავტორიტეტს, არ ამართლებს სირბილე...

სირბილე. სირბილე... სირბილაძე...

ცხრას თხუთმეტი აკლია. ცხრაზე ნატულის დავურეკავ. თორემ, ათის ხუთ წუთზე უკვე გვიანი იქნება. უკვე გულნატკენი დამიხვდება.

„გული მატკინე" ნატულის საყვარელი სიტყვებია. ამაზე მეტს არ გეტყვის, მაგრამ ამაზე მეტი გერჩივნოს – თეფშების ლაწალუწი და კაბების ტენვა ჩემოდანში.

„გული მატკინე" და მაგ დროს მგონია, რომ ნატული არავის არ ჰგავს, ნატული შუშისაა, გატყდება კიარადა, უცებ გასკდება, როგორც ჭიქა სკდება ხოლმე ცხელი წყლისგან, გავარდება ძირი და ჩემი ბრალი იქნება. მე ხომ ჩვეულებრივი დაცვის უფროსი ვარ, ნატული კი – ლიტერატორია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა ფერია და ანგელოზი. და ცოლად თუ გამომყვა, იმიტომ კი არა, რომ ის ბიჭი დავიჭირე, ჩანთა რომ წაართვა ქუჩაში... დავეწიე და ჩანთა საკუთარი ხელით მივაცემინე ნატულისთვის... არა, ნატული იმიტომ გამომყვა ცოლად, რომ მერე კაფეში ვუთხარი, ბავშვობაში ლექსებს ვწერდი ხოლმე-მეთქი...

ნატულიმ იმ ბიჭსაც, ჩანთის ქურდსაც ეს სიტყვები უთხრა: „გული მატკინე"...

იქედან მოყოლებული, შუშის მგონია. ბროლის.

ნატული მეტისმეტად ძვირფასი შენაძენი გამომადგა: რაღაცნაირად, დაძაბულად მიყვარს. თან მიყვარს და თან სულ მეშინია, არ გამიტყდეს. მე ხომ მაინც, არ დავდექი პოეტი. დაცვის კუნთებიანი და უხეში უფროსი დავდექი. მაინცადამაინც, არ მეხერხება ბროლთან ურთიერთობა.

...

სახლის ნომერს ვკრეფ და იმავე წამს შიგა ტელეფონი ზრიალებს. დირექტორია.

რატომღაც ფეხზე ვდგები. საერთოდ, როცა მირეკავს, არ ვდგები ხოლმე ფეხზე, პირიქით, სავარძელში კარგადაც მოვეწყობი ხოლმე და ლამის მაგიდაზეც კი შემოვდებ ხოლმე ფეხებს, რაღაცას ვამტკიცებ ამით, მაგრამ ახლა ვდგები, იმიტომ, რომ, გული მიგრძნობს, შარში ვარ.

– გისმენთ, ბატონო შოთა. დიახ. არა. დიახ. სირბილაძე იყო წუხელ. არა. დიახ. მკლავაძე ახლა გამოცხადდა შესაცვლელად. მესმის. ახლავე. დიახ, ამოვყვები.

კიბეზე ჩავრბივარ.

– სირბილაძე, დირექტორთან! თმა გადაივარცხნე, რას ჰგავხარ. მასუნთქე! ტფუუუუუ, არყის ქვაბი! აჰა, ეს კევი ჩაიდე პირში და ბევრი არ ილაპარაკო. არ ღეჭო, ისე გედოს. მოხდა ალბათ, რა ვიცი მე, რა მოხდა! დასახოცები მყავხართ ორივე და პირველი მე ვარ დასახვრეტი.

...

დირექტორის კაბინეტში გყინავს რაღაც ძალა. მგონი ხმა. ან თვალები. სიტყვებიც, ყინულებივით სცვივა პირიდან.

– ისეთ დირექტორს რა სჯობს, კაცურად რომ დაგაყრის, მაგრამ – რომ შეხურდები, კი არ გაიყინები.

ეს – გყინავს.

მე და სირბილაძე გვერდიგვერდ ვდგავართ და ყინულის სიტყვებს ვადნობთ ჩვენთვის.

– დარწმუნებულები ხართ, რომ ღამემ კარგად ჩაიარა? – ცრის.

– დიახ, – ერთხმად ვამბობთ. ახლა მეც სირბილაძის ტოლად ვგრძნობ თავს, ასაკითაც და თანამდებობითაც. წამხდრები ვართ ბიჭები.

– ესე იგი, დანაკლისი არაფერია?

– ა.. არა...

– მე ასე არ ვფიქრობ. კარგად დაათვალიერეთ.

გამოვდივართ და ვიწყებთ დიდ დათვალიერებას, დანაკლისის ძიებას.

...

სხვენიდან დავიწყეთ. სარდაფამდე ჩავედით. საწყობი, ყველაფერი, მე რა ვიცი, ადგილზეა. სამჯერ ავედი ზევით.

– ადგილზეა, ბატონო შოთა, ყველაფერი. ვერ მივაგენით დანაკლისს. მაგრამ მივაგნებთ! – ვეუბნები, – ოღონდ პატარა მინიშნება გვინდა. ისე. უმნიშვნელო. აქლემია, ნემსია, ტელევიზორია, ლურსმანია...

შემოხედვა იცის, გეგონება, მიცვალებულმა წამოიწია და სილა გაგაწნა. თვალები შუშის უხდება, პირი – ძაფივით. თან ფითრდება.

– ერთხელაც დავივლით ყველაფერს, – ვეუბნები.

– რამდენჯერაც საჭირო იქნება, იმდენჯერ დაივლით, – მეუბნება.

შენნი...

გამოვდივარ. ჰჰჰჰჰუ, სხვა ჰაერია გარეთ.

ისევ თავიდან ვიწყებთ: სხვენიდან სარდაფამდე. გამათბობლები, ვენტილატორები, ფენები, მიქსერები, ჩოპერები, ტოსტერები... ჯანდაბა! ადგილზეა ყველაფერი. ადგილზეა. თვლითაც და თვალითაც.

ტფუიიი, რვა მარტი! თორმეტი საათი მოსულა უკვე. პირველი დაწყებულა. აწი გინდ მიულოცე, გინდ არა, ნატულის უკვე ნატკენი აქვს გული.

ვრეკავ. ნატული ყურმილს არ იღებს. მე თქვენი ქალთა საერთაშორისო ტვინის მოწყობილობა რა ვთქვი, რაა!

– შეფ, ბაღი არ იმასგვიქნია, არ გვინახავს, – მეუბნება უცებ მკლავაძე.

– მართალია, ეე! – უხარია სირბილაძეს, – მარა ბაღში რა არი რო მოსაპარი?

– რავი.

– წამოდით, ვნახოთ, – მივუძღვები წინ და გულნატკენი ნატულის აჩრდილს ზურგს ვაქცევ.

ერთი ციცქნა ბაღი გვაქვს უკანა მხრიდან. შუაში პატარა ფანტანი, ირგვლივ ბუჩქები, ბალახი. ტირიფი დგას ერთი და იმის ქვეშ ხის გრძელი სკამი. „შოურუმის“ გოგოები ზაფხულობით აქ აბოლებენ ხოლმე.

ჰაჰ!

სამივე ვშეშდებით უცებ და პირდაღებულები დავცქერით პატარა, ახალნათხარ ორმოს.

თვალს ზევით ვაპარებთ, დირექტორის ფანჯრებისკენ.

...

კიბეზე ავრბივარ და კარს ფრთხილად ვაღებ.

– ბატონო შოთა, მივაკვლიეთ!

თავს ნელა წევს ქაღალდებიდან, კალმისტრიან ხელს ჰაერში აშეშებს და სფინქსივით მიყურებს.

– ყვავილია წაღებული. თავის ქოთნიანაა ამოთხრილი. მარტო ერთი ყვავილი, მეტი არაფერი. – ვამთავრებ ჩემს ანგარიშს.

– მარტო ერთი ყვავილი... – იმეორებს ნელა, ყინულებად.

– დიახ.

– მარტო ერთი ყვავილი?!!!!!!!! – მოგუდულად ღრიალებს უცებ და კალმისტრიან ხელს მაგიდას ახეთქებს. კალმისტარი იატაკზე ვარდება. საფეთქლებში ტკივილივით მაწვება აზრი, რომ უნდა მივაწოდო. მაგრამ არ ვინძრევი. არ ვიმჩნევ კალმისტარს. ვფიქრობ სხვა რამეზე. იმაზე, რომ პირველად ვხედავ, კაცს ასე არ უხდებოდეს ღრიალი.

ერთბაშად წყნარდება და გაწონასწორებულად მეკითხება:

– რა გვარია დაცვა?

– სირბილაძე, – ვეუბნები.

– მოხსნილია.

– ბატონო შოთა... ყვავილის გულისთვის...

– ცინერარია, სამსონ! მაგ ყვავილს ცინერარია ჰქვია.

– დიახ. ერთი ცინერარიის გულისთვის... დედა ჰყავს ავად...

– დღევანდელი დაცვა რა გვარია?

– მკლავაძე.

– გაითვალისწინოს.

– დიახ.

– და თქვენც გაითვალისწინეთ, სამსონ.

გამოვდივარ და კიბის თავში, ღია ფანჯარასთან სიგარეტს ვუკიდებ. არადა სამი თვეა არ მომიწევია. ისე მიდევს ჯიბეში, თავისუფლებისთვის.

ვეწევი და ვფიქრობ, როგორ ვუთხრა სირბილაძეს. სამსახურის დაკარგვა როგორია... სირბილაძის დედა ბიბლიოთეკარი იყო. შეამცირეს. ავადმყოფობს სულ. ჯანდაბა, როგორ ვუთხრა! სამსონ, – ვეუბნები საკუთარ თავს, – შენი ბრალია ყველაფერი, სირბილაძეს თუ უშვებს, შენც თან უნდა მიყვებოდე.

ტფუუ, რა ქალი და რა შავი კატა! ეგეც ქალთა საერთაშორისო და წითელი პომადა!

რა ვქნა...

ვდგავარ, ვეწევი დახარბებულად. მომნატრებია ეს ნაგავი!

ბოლოს ქვევით ჩავდივარ.

სირბილაძე ხაფანგში მოყოლილ კვერნას ჰგავს.

– რაო?

– გაგიშვა... – ვეუბნები .

– აუ–აუ–აუუუ ჩემიიი!! – შუბლში ხელისგული იტკიცა მკლავაძემ, – ერთი ტილიანი ყვავილისთვის როგორ იმასაქნა, ამის დედა ვატირეე?!!

სირბილაძე ხმას არ იღებს. უხმოდ იწყებს აბარგებას. ბურთი მეხირება ყელში.

– შენ ჩემთან შემოდი, არ წახვიდე ისე, – ვეუბნები.

ხუთ წუთში ამოდის.

– დაჯექი.

ჯდება.

– მოკლედ ასე: სანამ რამეს იშოვი, ჩემ ხელფასს შუაზე ვიყოფთ.

– შეფ, როგორ გე... – დგება ფეხზე.

– დაჯექი.

ჯდება.

– სანამ რამეს ნახავ-მეთქი. მეც გავიკითხავ. გამოჩნდება რამე. მანამდე ასე იყოს. ზუსტად შენი ხელფასი გამოდის ჩემი ხელფასის ნახევარი. დროებით. დედას არაფერი უთხრა. ადექი და კვირაში სამჯერ სადმე დარჩი ღამე. იმ შენს გოგოსთან. ან უკეთესს გეტყვი – უთხარი, დღის ცვლაში გადამიყვანეს-თქო და იბოდიალე...

– შეფ...

– მოკლედ, ოცდახუთში შენს ხელფასს მკლავაძეს გამოვატან. მორჩა. ეს მინდოდა მეთქვა.

– შეფ...

– არ გვინდა ახლა მადლობები და ქალთა საერთაშორისოები. მიდი, მიდი, დროზე.

...

უჰჰ...

...

ერთ ღერს ჩემთვის, სიწყნარეში ვეწევი და მერე ყურმილს ვიღებ. ნატულისთან დარეკვას ვაპირებ.

და ისევ შიდა ტელეფონი ზმუის. ისევ ისაა.

– დიახ, ბატონო შოთა.

– სამსონ, პოლიცია გამოიძახეთ და საქმე აღძარით.

– ყვავილზე, ბატონო შოთა??

– ცინერარია, სამსონ. ცი-ნე-რა-რი-ა! – მიცრის და ყურმილს დებს.

ჯერ პოლიციაში დავრეკო თუ ჯერ ნატულისთან? ნატულისთან ვრეკავ. „ტუუუუ, ტუუუუ“.... აიღე რა, ნატული!

და უცებ შიდა ტელეფონი ზრიალებს ისევ.

ნატულიანი ყურმილი მარცხენა ხელში გადამაქვს და მარჯვენათი შიდას ვიღებ.

– ალო, სამსონ, – დირექტორია, – ეს რა ბოიკოტია აქ?!

– რა ბოიკოტი, ბატონო შოთა...

„ალო, ალო! გისმენთ, ალო!“ – ყრუ წრიპინად

მომესმის მარცხენა ხელში გაშეშებული ყურმილიდან ნატულის ხმა.

– ამოდით ჩემთან.

– დიახ. ახლავე. – შიდა ტელეფონს ვდებ, საქალაქო კი უკვე გათიშულია. „ტუუუუუუუუ“.... ზუმერი მდინარესავით ჩამოდის ჩემსა და ნატულის შორის.

არა უშავს. მერე ყველაფერს ავუხსნი.

...

დირექტორის კაბინეტში მკლავაძე მხვდება. დგას – ორმეტრიანი, დაკუნთული და მღელვარე.

– რა ხდება? – ვსვამ კითხვას.

– ეს ხდება, – დირექტორი ფურცელს მაწვდის. ზედ გაბრაზებული ოროსნის ხელწერით წერია:

„ გამანთავისუფლეთ სამუშაოდან ჩემი სურვილით. დაცვა თემური მკლავაძე“.

– ეს რა არის? – ვეკითხები თემური მკლავაძეს, დაცვას. თუმცა კარგად ვიცი, რაც არის. კაცობა არის.

– ვერ დავრჩები, შეფ.

– დარჩები, – ეუბნება დირექტორი, – იქამდე დარჩები, სანამ მე არ გაგათავისუფლებ, თუ შენს ცვლაშიც დაიკარგება რამე.

– ერთი წუთით, ბატონო შოთა, ცალკე დაველაპარაკები.

მკლავაძე გარეთ გამყავს და კიბის თავში, ფანჯარასთან ვდგებით.

– მესმის შენი, მკლავაძე, – ვეუბნები, – ოღონდ, საიდუმლოდ გეტყვი, სირბილაძე უხელფასოდ არ დარჩენილა. დაწყნარდი.

– ანუ ეს რანაირად, შეფ?..

– ქვევით ჩადი და საქმეს მიხედე. მორჩა.

მკლავაძე ქვევით ჩადის. მე დირექტორთან შევდივარ, მკლავაძის განცხადებას ვართმევ და მუჭში ვიჭმუჭნი.

– ძალიან კარგი, სამსონ. ახლა პოლიცია გამოიძახეთ და ძარცვაზე საქმე აღძარით. თავისუფალი ხართ.

...

ბოლოს და ბოლოს სახლის ნომერს ვკრეფ.

– ალო, – ნატულის ხმა უფრო შეშფოთებულობას გამოხატავს, ვიდრე გულნატკენობას. ნატულის ხმა აშკარად მიმანიშნებს იმაზე, რომ მას, ნატულის, ქალთა საერთაშორისო დღის დარდი აღარ აქვს უკვე. ნატულის აღარ ეზეიმება, ის შეშფოთებულია. მას ჩემი დარდი აქვს.

– სამსონ, რა მოხდა?! წელან რატომ არ დამელაპარაკე? იმის მერე სულ ვრეკავ. სამსონ, ხომ კარგად ხარ? მობილურიც გათიშული გაქვს.

– ნატული, – ვეუბნები, – ჩემო ნატული... შენ გულნატკენი არ ხარ? უკვე ხომ რომელი საათია და რვა მარტი ვერ მოგილოცე. ქალთა საერთაშორისო.

– რა დროს რვა მარტია, სამსონ! უკვე ვიცვამდი და მოვდიოდი. ხომ კარგად ხარ? მითხარი.

– კი, კარგად ვარ. მერე მოგიყვები ყველაფერს.

– ხომ მშვიდობაა?

– კი, კი.

– მადლობა ღმერთს. რაღა არ ვიფიქრე. მეგონა, თავს დაგესხნენ. ძარცვაა და გაკოჭილი ზიხარ. პირზე სკოჩი...

– ნატული, ეგ სულ შენი სერიალების ბრალია. რვა მარტს გილოცავ.

– გმადლობ. კექსი გამოვაცხვე ჩაისთვის.

– გკოცნი.

...

სავარძელში გადაწოლილი ვზივარ, ვფიქრობ და პოლიციაც მოდის.

– წაღებული რა არის?

– ყვავილი, – ვეუბნები.

– ვერ გავიგე? – კალამმომარჯვებული, ფურცელზე თავდახრილი ინსპექტორი მარტო თვალებს წევს მაღლა და მიყურებს წარბებაწეული.

– ცინერარია.

– რა ცინერარია.

– ყვავილი.

ინსპექტორი კალამს ქაღალდზე დებს, სკამზე თავისუფლად ჯდება, ფეხს ფეხზე იდებს და მეკითხება;

– წითელი თუ ყვითელი? თუ ლურჯი?

– თეთრი, წითელი არშიებით, – ვეუბნები.

– აჰა. და... ვაზიდან ამოიღეს თუუ პიჯაკის ჯიბეში გქონდა გარჭობილი?

– ქოთნიანა ამოთხარეს ბაღში.

– გიყვართ ხომ ყვავილები? – გესლიანად მიღიმის.

– მე არა. დირექტორს. ამბობს, ყვავილის და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო. და ტელევიზორის.

– სადღაც სწორია. მაგრამ ყვავილზე საქმეს ვერ აღვძრავ. ვერ კი არა – არ. უბრალოდ ჩავინიშნავ აქ ჩემთვის. თუ განმეორდა – მირეკავ.

– კარგი.

– იცი რა, წუხელ ერთი მტკვარში გადახტა, ორი – ანძაზე აძვრა და მღეროდა იქ, ოთხმა ლამის აკუწა ერთმანეთი, იქით ბანკს დაეცნენ, აქეთ სუპერმარკეტის დარაჯი გასკოჩეს... ერთმაც ცოლს ტელევიზორი ესროლა ეჭვიანობის ნიადაგზე. სერიალის კაცზე იეჭვიანა. ღამე კი არა, საგიჟეთი იყო.

– მესმის.

– არ გვცალია ყვავილებისთვის.

– მესმის.

– იმას უთხარი, შენს დირექტორს, აღვძარითქო.

– ეგრე ვიზამ.

ინსპექტორი მიდის. დირექტორი უკვე წასულია. მკლავაძე დაძმარებული ზის ფოიეში და დასიცხული კამეჩივით იმზირება.

– თუ რამეა, მირეკავ და ეგრევე აქ ვარ, – ვეუბნები მკლავაძეს, გარეთ გამოვდივარ და მანქანაში ვჯდები.

ნატულისთვის მის საყვარელ, ეიფელისკოშკიან ფრანგულ შოკოლადს ვყიდულობ.

დაღლილი ვარ.

...

ნატული ჩემ პირდაპირ ზის და დედასავით მიყურებს. თავს პატარა ბიჭად ვგრძნობ.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, ზუსტად ასე ვისხედით ნამცხვრიანი ლანგრის გაღმა-გამოღმა მე და

დედაჩემი. მე ის-ის იყო, აბურდულ-დაბურდულად ვუამბე, როგორ გავერთე გუნდაობით და როგორ მომპარა ამასობაში ვიღაცამ ციგა. მრცხვენოდა, ასეთი ბოთე რომ გამოვჩნდი. ციგაზე მეტად ეს მადარდებდა. სიმწრით მომუშტულ ხელებს მაგიდის ქვეშ ვმალავდი. მაშინ დედამ თქვა:

– არ არსებობს სამალავი, რომელშიც ქურდი დაიმალება.

და კიდევ დედამ თქვა:

– შენ კარგად მოქცეულხარ, რომ არავის არაფერი უთხარი. დაბრალება ძალიან ცუდია. საშინელებაა დაბრალება, სამსონ.

ახლა ნამცხვრის გაღმა-გამოღმა მე და ნატული ვსხედვართ და ნატული ამბობს:

– მეცოდება ქურდები...

და კიდევ ნატული ამბობს:

– შენ ძალიან კარგად მოქცეულხარ. საწყალ ბიჭს დედა ავად ჰყოლია... მაგრამ მაინც, როგორ ვერ გაიგეთ ვერც ერთმა ვერაფერი?

– არ ვიცი...

– კიდევ ჭამე ნამცხვარი. და ჩემი სერიალიც იწყება.

– იცი, წუხელ ვიღაც კაცს ცოლისთვის ტელევიზორი უსვრია. ეჭვიანობის ნიადაგზე. რომელიღაც სერიალის კაცზე უეჭვიანია.

– ალბათ, ხოსე დიეგოზე, – ამბობს ნატული.

გვეცინება.

და უცებ თავი ღრმად მოხუცებული მეჩვენება. ნატულიც – თმათეთრ, მოფამფალებულ დედაბრად. ორი მოხუცი უკბილო ხუმრობაზე უკბილოდ იცინის... ორი ტკბილი ერთფეროვნებით ერთმანეთს შებერებული ადამიანი როგორც ხავსს, ისე ებღაუჭება სიცილის ჩვევას...

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი, უშვილო ცოლ-ქმარი“...

ორი ჩიფჩიფა, მყუდრო მოხუცი.

– არა, აღარ გადმომიღო, აღარ მინდა.

– წავედი მაშინ, იწყება უკვე.

– მე აივანზე გავალ, მოვწევ.

– სამსონ...

– დღეს მოვწიე. არა უშავს, ისევ გადავაგდებ.

– გული მატკინე... – მიღიმის ნატული, მაგრამ აღარ აგრძელებს თემას. სერიალის დროა. ერთი ნაჭერი კექსი თეფშით ტელევიზორისკენ მიაქვს. სადღაც, მესმის იმ კაცის, ტელევიზორის მტყორცნელის. ოღონდ არა ეჭვიანობის განხრით.

აივანზე გავდივარ, სიგარეტს ვუკიდებ და ქუჩას პატიმარივით ხარბად გადავცქერი. გეგონება, დიდი ხნის უნახავია, ისე.

ქუჩა სავსეა ყვავილებიანი გოგოებით. ძირითადად ყოჩივარდები, იები, ნარცისები, მიმოზა...

ეს ფეხით მოსეირნე გოგონების წილი ქალთა საერთაშორისოა. მანქანებში რა ხდება, არ ვიცი, ვერ ვხედავ. შესაძლოა, უკანა სავარძელზე ვარდები მიწოლილა, რა ვიცი...

უცნაურად ვარ აფორიაქებული. მინდა სასწრაფოდ დავივიწყო ეს კადრი – დაბერებული მე და დაბერებული ნატული, ორი გალეული მოხუცი, ორი უფესვო, წერტილდასმული სიცოცხლე, სულ სხვანაირად, უგემურად, დაუნანებლად წარმავალი...

ვდგავარ აივანზე, თავიდან ვერ ვიშორებ ამ კადრს, პირში ნატულის კექსის სიმწარედ ქცეულ სიტკბოს ვგრძნობ, გულში – ნატულის ბრაზიან სიბრალულად ქცეულ სიყვარულს, ტვინში კი სამარცხვინო, უზნეო ამბოხს, რომელიც მინდა ჩავაქრო, როგორც ანთებული სიგარეტი წყალში, ონკანქვეშ, სწრაფად, შიშხინით... მაგრამ ვერ ვაქრობ.

ქალებს ვათვალიერებ ქუჩაში, გოგოებს. მაღლებს, დაბლებს, მსუქნებს, გამხდრებს... ყველანაირებს! და ყველა ნატულიზე საინტერესო მეჩვენება. მიუწვდომელი და საინტერესო.

თავში რევოლუცია მიტრიალდება: არა, რატომ ჩავიბეჭდე თავში, რომ არ უნდა ვუღალატო?!!

აი, გუშინ ღამით მესამე გოგოც რომ ყოფილიყო, რა ვითომ? აი რა?!! პენსიაზე გასულ, ჩამოწერილ მოწმესავით კი არ ვიჯდებოდი მაშინ! გავიყვანდი გარეთ, როგორც მკლავაძემ ის, სიტყვაზე, დირექტორის კაბინეტში, იმ შავი ტყავის ტახტზე, ან დირექტორის მოსაცდელში, შინდისფერი ტყავის ტახტზე! დამემჩნეოდა მეც წითელი პომადა სადმე, უადგილო ადგილას... რა, მერე?!! ისეთი რა კრიმინალი და სინდისის სასამართლო იქნებოდა? ნატული არც კი ეჭვიანობს ჩემზე. არც კი უშვებს ამ აზრს ფანტაზიებში! ნატულისთვის იგივე ვარ, რაც საკუთარი ხელი, ფეხი, ცხვირი...

საშინელ ხასიათზე ვარ. ვერ ვხვდები რა მეტაკა, რამ ამამღვრია, რამ ამაშარა.

უცებ ვხვდები, რომ ნატულის დანახვა არ მინდა. ოთახში შესვლაც არ მინდა. მინდა აივნიდანვე ავორთქლდე! მინდა ნატულის კექსის გემოც გავიქრო და სიგარეტის კვამლს ვიგუბებ პირში. აქედანვე, ამ აივნიდანვე მინდა გადახტომა, თავით გადაშვება რამე ახალში ან დავიწყებულში და საკუთარი ნებით აკრძალულში.

ერთფეროვნების და ნეტარი სიმყუდროვის პატიმარი ვარ. ნატულის მოთვინიერებული, ნატულის გაწვრთნილი მხეცი ვარ. მხეცის რაღა შემრჩენია?! არაფერი! ლომიდან და ვეფხვიდან ოთახის ფინიად გადამაქცია! აღარც ნადირობის სურვილი, აღარც კლდე-ღრე ხეტიალი, დაუთვლელი დრო, გაუზომელი სივრცე...წრეზე დავდივარ. წრეზე მორბენალი, გამოლენჩებული ულაყი! რგოლებში მოხტუნავე ლომი! პირში შაქარი, სამსონი აქ არი! კიდევ შაქარი, – სამსონი აქ არი!

არა, არ უნდა იყოს ქალი უნაკლო! უნაკლობა ქალისთვის ყველაზე საშინელი და მოსაწყენი ნაკლია! ამიტომაც ვარ ჭაობში. ნატულის უნაკლობის ჭაობში ვარ კისრამდე ჩამხრჩვალი და ასე ამომხდება სული.

ნატული იმდენად დარწმუნებულია საკუთარ უნაკლობაში, რომ ბებრული ფაჩუჩების ჩაცმის უფლებასაც კი აძლევს თავს. ნატულის უკვე აცვია ბებრული ფაჩუჩები. მარტო დაბერებაღა აკლია. ეგეც იქნება! იქნება, სად წავა, მოვა!

სათქმელი ისე მომაწვა ყელში, თითქოს შუა ზღვაში ჩამაგდეს და ვიღრჩობი. ყელში მომდგარ სიტყვებად ქცეული ფიქრები სულს მიხუთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელ ღვარცოფად მოვარდნილი დაუნდობელი სიტყვები მშხამავს, ტვინს მირევს.

და უჰჰჰჰ, ზარი! მკლავაძეა.

– რა ხდება მკლავაძე, რა პრობლებაა?

მინდა კიდეც, რომ რამე ხდებოდეს, რომ პრობლემა იყოს.

– შეფ, ანუ... კიდე წაიღეს ყვავილი. ანუ მეორე ცალი, – ბლუკუნებს მკლავაძე, – ისევ ისე იმასაქნეს, ქოთნიანა.

ოთახში შემოვდივარ, ქურთუკს ხელს ვავლებ და ტელევიზორის მიმართულებით ტყვიასავით ვისვრი:

– ნატული, გავრბივარ, სასწრაფო გამოძახებაა! არ ადგე, იყავი!

კარს ვიჯახუნებ და კიბეზე ვეშვები.

ზუსტად ვიცი, ნატული მაინც ადგება, ნატული ახლა ფანჯარასთან მივა და თვალს მომადევნებს, ნატული ელის, რომ ავიხედავ. ელის, რომ მიუხედავად სასწრაფო გამოძახებისა, რიტუალი მაინც აღსრულდება: მე მაინც ავხედავ და ხელს გავუქნევ. ნატულისთვის არ არსებობს გამონაკლისები.

მაგრამ არა. მე არ ავხედავ. ნატულის, რა თქმა უნდა, გული ეტკინება, მაგრამ მე ვამსხვრევ რიტუალს! მე ვანგრევ ტრადიციას! და სიამოვნებით ვტკენ გულს.

ისიც საკმარისია, რომ ნატული არასდროს წაისვამს წითელ პომადას! ნატული არასდროს შეიფერადებს დახვეწილად უფერულ ტუჩებს და არასდროს შემიფერადებს დახვეწილ ერთფეროვნებას, რომელიც სიკვდილამდე აღმითქვა.

არა. არ ავიხედავ! თუმცა არც კი უნდა ვიოცნებო, რომ ნატული ამის გამო გაბუტული დამხვდება და ისტერიკას ამიგორებს. არა. ნატული ამას გაგებით მოეკიდება. იმიტომ, რომ უნაკლოა.

წვიმს.

მკლავაძის ზარი რომ არა, სიამოვნებით წავიდოდი ფეხით, სიამოვნებით დავსველდებოდი და ფეხებზეც სიამოვნებით დავიკიდებდი, შარვალი ტალახიანი შხეფებით თუ გამიოხრდებოდა. უნაკლო ქალები ჭკუას კარგავენ ქმრების ტალახიანი შარვლების მოწესრიგებაზე.

ჯანდაბა! ციხიდან გამოქცეულივით ვარ. ეგრეა მერე! ციხეა ეგეთი ქალი, ეგეთი უნაკლო და დახვეწილი!

მანქანას ცოტა ხნით ვაჩერებ და გამვლელებს ვათვალიერებ.

აგე, მოდის, ძმაო, ოჯახი, – კაცი, ქალი, ბავშვი და თეთრი ლეკვი. ყველას თავისი ადგილი აქვს ცხოვრებაში. მე სამივე ვარ ნატულისთვის: ქმარიც, შვილიც და ლეკვიც!

თან სინდისი მიტევს: შეჩემისა, შენა, რა ყველაფერს ერთბაშად მიხვდი, რა კოლუმბმა რო ამერიკა, ეგრე აღმოაჩინე უცებ ყველაფერი! – შუქნიშანზე ვჩერდები, – გაეყრები ბოლობოლო, არის გამოსავალი და დაწყნარდი, ეეე!

გაყრა!

ამ სიტყვის და ამ გამოსავლის არსებობამ ერთბაშად დამაწყნარა. როგორც ავადმყოფი – ჯიბეში მოყუჩებულმა წამალმა.

ღრმად ამოვისუნთქე და ვიღაც მოკლეკაბიან გოგოს გავუღიმე.

...

მკლავაძე მეორე ახალნათხარ ორმოსთან ჩაცუცქულა და ისე ტრაგიკულად ჩასცქერის მიწას, როგორც საყვარლის საფლავს.

– ბიჭო, შენ... – დავიწყე. გრძელი და სასტიკი საყვედური მინდოდა მეთქვა, მაგრამ გავჩუმდი, ხელი ჩავიქნიე და სიგარეტს მოვუკიდე.

– შეფ, ეგ მესამეზეც გამოვა, იმნაირი ისა აქვს...

– იმნაირი ისა აქვს! რა იმნაირი ის, მკლავაძე, თვალები სად გქონდა, მითხარი!

– შეფ, ტუალეტში არ გავსულიყავი, მაგის დედა ვატირე? – თავი ჩაქინდრა და კისრის სრესას მოჰყვა. – მოხსნილი ვარ, რაღად უნდა მაგას ბევრი ის...

ვდუმვარ. მეც ასე ვფიქრობ.

– სირბილაძე თუ იმასაქნა, მე რა ისა ვარ... – აგრძელებს. უნდა ბიჭს, რომ ვანუგეშო, მაგრამ ვერ მინუგეშებია.

უცებ თავში დიდებული აზრი მომდის.

– მკლავაძე!

– რა არი, შეფ...

– ვიყიდოთ და ჩავრგოთ.

– აუუუუუუ!!!

– რაო, რა თქვა, რა ქვიაო?

– რაღაცნაირი ის იყო, შეფ... ლამაზი ქალის სახელივით...

– მკლავაძე, მოკლედ, სულ ლამაზი ქალები გელანდება შენ!

– ჰეეე, – მკლავაძე ქოჩორს იტკეპნის ტორით.

– ეკა ხომ არ ერქვა ან მაკა?

– ჰეეე, – იცინის, – ფლუცინაციაო თუ რავი, რაღაც ეგეთი იყო, შეფ.

– სწორია. ეგეთი იყო რაღაც, მაგრამ ვერ ვიხსენებ. მიდი, მობილურით ფოტო გადაუღე დროზე.

– ვის, შეფ...

– ყვავილს, მკლავაძე, ბებიაშენს ხო არა. გადაუღე და გავარდი. დაიცა. აჰა, ფული. ეს ხომ ლურჯია, ისინი – ერთი წითელი იყო, მეორე – თეთრი წითელი არშიებით. ჩვენს ბუკლეტში ვნახე. არ გინდა საერთოდ ეს მობილურის ფოტო. ბუკლეტი ანახე. ქოთნებსაც მიაქციე ყურადღება. ესეთი იყოს. მიდი, გავარდი. ყვავილების მაღაზიებით დაიწყე, გაიკითხე, გამოიკითხე...

– აუუ, სანამ არ იმასავქნი, არ მოვეშვები, შეფ!

– მიდი!

გასასვლელამდე მივყვები. მკლავაძე მოწადინებულად მიძუნძულებს. ყვავილებიანი ქალები დაპაკუნობენ აქეთ-იქით.

ქალები...

მკლავაძის წითელპომადიანი დამეხატა. მკლავაძის ფლუცინაცია! მეცინება. ქუჩას გავცქერი ისევ. ქუჩა სავსეა ბედნიერი, გამოცოცხლებული ფლუცინაციებით!

საღამოსკენ ქუჩებიდან სუფრებთან გადაინაცვლებენ... რესტორნებში შეიყუჟებიან, ჩადნებიან, ჩატკბებიან... აიწევა ელეგანტური „ჩვენს ულამაზეს ფლუცინაციებს გაუმარჯოს!“...

ერთ დროს ნატულიც იყო ჩემი ფლუცინაცია! ცოტა ხნით. სანამ პაემნების და თაფლობის დრო გაივლიდა.წითელი პომადა არც მაშინ წაუსვამს ტუჩებზე, მაგრამ არც ასე გაცრეცილი ყოფილა, ასე უფერო და უსუნო...

ახლა ნატული ნატულია.

ქუჩას თვალი მოვაშორე, ვესტიბიული გადავიარე, გზად სიგარეტი ამოვაცოცე კოლოფიდან და ბაღს მივაშურე.

მკლავაძე რეკავს.

– შეფ, ამას რქმევია ცინერარია.

– ჰო, სწორია. მერე?

– ესენი ყოფილა სუ ფერადფერადები. ლურჯები თეთრი გულით, ვარდისფერები, ლურჯები, იასამნისფერები თეთრი არშიით, თეთრები ვარდის...

– მკლავაძე, ჩვენ რომ გვინდა, ისეთი თუ არის?

– არა, შეფ. ანუ თეთრები წითელი არშიით და წითლები თეთრი...

– მკლავაძე, ნუ დამღალე. ეძებე. ეძებე!

– დიახ, შეფ. ბაზრობაზეც იმასავქნი...

მობილურს ჯიბეში ვიდებ, ბაღში გავდივარ და უცებ ვშეშდები!

ჩემი საკუთარი ორი თვალით ვხედავ ყვავილების ქურდს! ბაღში ჩაცუცქულა და თხუნელასავით თხრის მესამე ქოთანს!

პატარა, შვიდი-რვა წლის ბიჭია. ერთი მუჭაა ასე ჩაცუცქული. კომბოსტოსთან მიმჯდარ ბაჭიას ჰგავს. რუხი სვიტერი აცვია, იდაყვებთან აქაჩული. ხერხემალი და მალები ამოხაზულა ქსოვილზე. თხრის. გამალებით თხრის პატარა თხუნელა. დროდადრო აქეთ-იქით იყურება ნაჩქარევად.

უკნიდან ფრთხილად ვუახლოვდები და მხარზე ვადებ ხელს.

არ ინძრევა. არც გაქცევას ცდილობს. არც უკან იხედება. ხელებს იფერთხავს და გაჩხიკული თითებიდან მიწის მოშორებას იწყებს.

მაგრად ვიბნევი. მაგრად ვიბნევი მე, სამსონ პირველი, რომელსაც იატაკზეც დამიკრავს შეიარაღებული მძარცველი, ხიდიდანაც გადავშვებულვარ მტკვარში კაცის გადასარჩენად, ლამის მთაწმინდამდეც მირბენია და მაინც დამიჭერია ქურდი, და რა ვიცი, არც ტყვია დამკლებია და არც ინდურ ფილმებში რომაა ხოლმე, ისეთი ბათქაბუთქი.

მაგრად ვიბნევი. ბიჭს ხელს ვუშვებ, რატომღაც შარვლის ფერთხვას ვიწყებ ხელიგულით და ისე ვამბობ:

– ესე იგი, შენ ხარ.

ამაზე იდიოტური რა უნდა მეთქვა!

ბიჭი ხმას არ იღებს. წამოდგა და ისევ მიწას იშორებს თითებიდან. ხისგან გამოჩორკნილ თოჯინას ჰგავს. ბურატინოების და პინოქიოების ჯიშისაა მოკლედ. ტუჩები ისე აქვს მოკუმული, ვიცი, ძნელად გახსნის.

– მე აქაურობის დაცვის უფროსი ვარ. სამსონი მქვია. შენი სახელი? – ვეკითხები.

თავს ოდნავ წევს მაღლა, წარბებსქვეშიდან შემავლებს თვალს და ისევ თითებს უბრუნდება.

– სახელი არ დაგარქვეს დედამ და მამამ?

ჰოჰოჰო, რა მზერა მესროლა? ტყვიაზე უარესი!

– კარგი, – ვეუბნები, – თუ არ გინდა, ნუ მეტყვი. სახელს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. წამომყევი. უნდა ვილაპარაკოთ. წამოდი, წამოდი. ჩემს კაბინეტში მიმყავხარ.

...

ჩემი კაბინეტი მარტის ნაშუადღევ მზეს ისე გაუნათებია, ოქროსფერი წყლით სავსე აკვარიუმი გეგონება. ჩვენ – მე და ჩემი პატარა კრიმინალი, შევცურდით შიდ და ვართ ახლა ორი ოქროსფერი თევზი, ერთი დიდი, მეორე – ლიფსიტა.

– მისმინე, – ვეუბნები, – არც პოლიციას ვურეკავ, არც ვინმეს რამეს ვეტყვი, მხოლოდ დავსხდეთ და კაცურად ვილაპარაკოთ. კაცურად. როგორც ორმა კაცმა. რატომ წაიღე ყვავილები? იცი, რომ ერთი დაცვის ბიჭი სამსახურიდან გაუშვეს იმ პირველი ყვავილის გამო? არადა, დედა ჰყავს ავად.

ბიჭმა ტუჩები უფრო მაგრად მოკუმა.

– მეორე ყვავილისთვის მეორე ბიჭს გააგდებენ სამსახურიდან. ეს მესამე რომ წაგეღო, მეც ზედ მიმაყოლებდნენ. მეც გამაგდებდნენ.

– ცუდი დაცვა ხარ, – თქვა ბიჭმა.

– მე? მე ვარ ცუდი დაცვა?? იცი რას გეტყვი?! ორი შეიარაღებული ყაჩაღი დამიჭერია! – წამოვენთე, მაგრამ მაშინვე ჩავცხრი და ვკითხე:

– ბაღში საიდან შემოხვედი?

– კუთხეში ორი რკინა როა, იმაში ვეტევი, – ამბობს ბიჭი, – ერთი ცოტათი გაღუნულია.

– ყვავილები სად წაიღე?

– დედაჩემს წავუღე. იმიტომ რომ რვა მარტს წესია ყვავილების მიტანა.

– გასაგებია. ოღონდ არავის უთქვამს, რომ მოპარული ყვავილების მიტანაა წესი.

ხმას არ იღებს.

– რა გქვია?

– რეზო.

– რეზო. რეზიკო. რევაზი. კარგი სახელია.

– ჩვენ ეზოში რო მამუკაა, იმან ორჯერ რეზინა დამიძახა. ჩემზე დიდია.

– რეზინა როგორ დაგიძახა!

– ველოსიპედის ბორბლები დავუჩუტე. და თავისი ოთახის ფანჯარა ჩავუტეხე... და მუშტით კბილიც ჩავუმტვრიე.

– შენ რა კაცი ყოფილხარ, – ვეუბნები, – სხვისი ფაანჯრების და სხვისი კბილების მტვრევა რა წესია! მამაშენმა იცის ეგ ამბავი?

– არ იცის.

– მერე, რომ გაიგოს? იმ მამუკამ რომ უთხრას?

– ვერ ეტყვის.

– მე რომ ავდგე და ვუთხრა?

ისე შემომხედა, თავი უკანასკნელ დამსმენად და ჩამშვებად ვიგრძენი.

– არა, მე კი არ ვეტყვი, მაგრამ ისე გეუბნები...

არა რა, უცნაური დღეა!

– მაინც ვერ ეტყვი. იმიტომ, რომ მამაჩემი მოკლეს. ყაზახეთში.

უფფფფ!!...

– ცუდი ამბავია. ვწუხვარ.

ცოტა ხანს ჩუმად ვართ.

– და შეიარაღებულები რითი იყვნენ? – მეკითხება.

– ვინ? – აზრზე ვერ მოვდივარ უცებ.

– ის ყაჩაღები. დანებით თუ პისტოლეტებით?

– პისტოლეტებით.

– მერე როგორ მოერიე?

– ასეთ დროს ყველაფერი სისწრაფეზეა დამოკიდებული, – ვეუბნები.

ბიჭი დინჯად მიქნევს თავს, დიდი კაცივით.

მზე უფრო ჩაითაფლა, ჩაქარვისფერდა, ბიჭის წაბლისფერ, აბურდულ თმაში აბზინდა... ოქროსფერი შუქი უფრო ჩამუქდა, უფრო ჩადნა ჩემს სოროში. ორი თაგვი მოვყუჩებულვართ შიგ. მე – კატებთან და ადამიანებთან ურთიერთობაში გამოცდილი, სათაგურებისაც კარგად მცოდნე ბებერი თაგვი და ესეც – პატარა წრუწუნა, გამოუცდელობისგან და უვიცობისგან გაბედული.

– მისმინე, – ვეუბნები, – ახლა, აი, რას ვაკეთებთ: ვსხდებით ჩემს მანქანაში, მიგყავარ დედასთან და ვეუბნებით სიმართლეს. მე რაც შემეძლება, წაგეშველები (თვალს ვუკრავ გამამხნევებლად), მოგვაქვს ის ქოთნები უკან, თავის ადგილზე, როგორც მაგარ კაცებს შეეფერება, იმ ორ ბიჭს ვშველით. და ჰო, მთავარი დამავიწყდა, გზაში, როცა წავალთ, შენი დედიკოსთვის ყვავილებს ვყიდულობთ. ლამაზ, დიდ თაიგულს. ეგ სწორი თქვი შენ: რვა მარტს ქალებისთვის ყვავილების მიტანა წესია. და კაცმა წესები უნდა შეასრულოს. აბა, რას იტყვი? მოსულა? მიგყავარ დედაშენთან?

ბიჭი ცოტა ხანს კუშტად დუმს. ბოლოს თავს მიქნევს:

– კარგი.

მკლავაძესთან ვრეკავ:

– მკლავაძე, – ვეუბნები, – შეეშვი ძებნას. სამსახურში მოდი სასწრაფოდ. საქმეზე ვარ გასასვლელი.

– შეფ, მაინც ვერ იმასავქენი ჯერ ვერსად. ანუ ვარდისფერებია და ლურჯები, და თეთრები...

– მკლავაძე, ქართული გესმის? შეეშვი და წამოდი. მიდი. დროზე. გელოდები.

მე და რეზო ქუჩაში გავდივართ. ათ წუთში მკლავაძეც მოდის.

– ვაა, ეს კაცური კაცი ვინაა, შეფ? – აქოშინებულია.

– ეს არის რევაზი, – ვეუბნები, – აბა შენ იცი, მკლავაძე, ათი ყური, ათი თვალი!

– გასაგებია, შეფ.

მანქანაში ვსხდებით და ბიჭს ვეკითხები:

– აბა, ჩემო რევაზ, საით?

– პირდაპირ და მერე მარცხნივ, – მპასუხობს მოღუშული, – და მერე სულ ზევით.

მანქანას ადგილიდან ვძრავ და მარშრუტს მივყვები.

მოსახვევში, საყვავილესთან ვჩერდები და ვარდებს ვყიდულობ.

– ეს დედიკოს, – ვეუბნები ბიჭს და თაიგულს უკანა სავარძელზე ვდებ, – შენ ნუ მოღუშულხარ. ნუ დარდობ, ყველაფერს ისე ვიტყვით, რომ დედა არც ძალიან გაბრაზდეს და ყვავილებიც გაუხარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მპასუხობს. თითს წინ იშვერს და ეზეს მასწავლის:

– ახლა სულ ზევით.

და ასე მივადექით კუკიის სასაფლაოს.

მანქანიდან გადმოვდივართ. ხელში რაღაცნაირად, გაურკვეველი დანიშნულებით მიჭირავს ვარდების თაიგული.

– დედაშენი აქ მუშაობს? – ვეკითხები ბიჭს, მაგრამ ის უკვე წინ მიდის, არ ესმის. მივყვები.

„ალბათ, საფლავებს უვლის," – ვფიქრობ.

ჩემი პატარა მძარცველი სულმთლად გალეული და მიუსაფარი მეჩვენება უცებ ამ შავი მარმარილოს ქალაქის ვიწრო, საცალფეხო ქუჩებში მიმავალი. პატარა, ხის ბურატინო! მეშინია, თვალსაწიერიდან არ დამეკარგოს და არ გამიქრეს.

ბიჭი ჩერდება და ორ ნაცნობ ქოთანს ვხედავ ახალ მიწაყრილზე, ზედ სასაფლაოს მესერთან. პატარა ხის ჯვარია ჩარჭობილი, მუყაოს ფირფიტა დევს და ზედ წვიმისგან გადღაბნილი წარწერა ჩანს: „დედა".

ძალიან ცუდად ვარ. აი, ძალიან.

მეჩვენება, რომ სამყარო ორ ნაწილად გაიყო. ერთ მხარეს მთელი კაცობრიობაა გადაზელილ გუნდასავით, თავისი ღრიალით, თავისი ხარხარით, სისინით, ყიჟინით, მოთქმა-ვაებით, მთელი ამ თავისი ომებით, რევოლუციებით, არჩევნებით, სიყვარულ-სიძულვილებით და მეორე მხარეს – ეს ერთი ბიჭი დგას, ეს ჩემი უდანაშაულო დამნაშავე, ეს ჩემი ობოლი პინოქიო...

სწრაფად მოვდივარ აზრზე. და ამ გაყინული დროის დასაძრავად ვამბობ:

– ძალიან ვწუხვარ, რეზო. ვხედავ, ახალი ამბავია...

– დიდი თოვლი რო იყო.

ყვავილებს ვაწოდებ ხელში:

– აჰა. შენ დადე, – ვეუბნები.

– არა. შენ დადე. მე უკვე მოვიტანე, როგორიც უყვარს.

„უყვარს"...

– ჩვენები გახმა.

– გასაგებია, – ვუქნევ თავს.

– ავად რომ გახდა დედა, ეგრევე გახმა.

– მესმის.

– წყალს ვუსხამდი, მაგრამ მაინც.

– ჰო...

ყვავილებს მიწაყრილზე ვდებ.

მზე ჩასვლაზეა. ჩამავალი მზის მეწამული მოედო სასაფლაოს. ქარმა წამოუბერა. ყვავები ფრენენ, ჩხავიან.

– შენ ყოჩაღ, – ვეუბნები ბიჭს, – მოგვლია აქაურობისთვის. წარწერა გაგიკეთებია. ნამდვილი კაცი ხარ.

– სხვებს ქვა აქვთ. სურათიც.

– აქაც იქნება. გპირდები, – გულმხურვალედ წამოვისროლე დაპირება მე, ბებერმა ყვავმა. პატარა, რუხი ბახალა თავს ჩემკენ ატრიალებს და გამომცდელად მიყურებს. მერე ქოთანს იღებს.

ცინერარია, რომლის სახელი გუშინ არც ვი-

ცოდი და რომელიც გუშინ ამ დროს „ელექტრონიკა 88“-ის ბაღში მშვიდად ყვაოდა, ქოთანში დანთებულ პატარა კოცონს ჰგავს ჩამავალი მზის შუქზე.

– რას შვრები? – ვეკითხები ბიჭს.

– მომაქვს, – მეუბნება ბიჭი, – მეორე შენ წამოიღე.

– რა სისულელეა?! ახლავე დადე, სადაც იდო!

ბიჭი გაკვირვებული მიყურებს. ქოთანი გულზე აქვს მიხუტებული. ყვავილები ნიკაპზე ეცაცუნება.

– აბა, ბიჭები?

– და-დე. – ვეუბნები, – დადე ადგილზე.

ბიჭი ქოთანს იქვე დებს, საიდანაც აიღო და ხელისგულების ფერთხვას იწყებს. ზუსტად ისე, როგორც იქ, ბაღში.

მზე გადაგორდა ამასობაში. ერთბაშად შემოეცალა ჰაერს სხივი და სითბო, ჩამუქდა, შეგრილდა ერთბაშად.

– რა ვქნათ, რეზო, არ წავიდეთ ნელ-ნელა? – ვეკითხები ბიჭს.

ბიჭი თავს მიქნევს. დაღმართზე ვეშვებით, როგორც ორი დათვი ტყიან ფერდობზე.

მე – დიდი დათვი, თაფლის, ფუტკრის, პანტის და თოფიანი მონადირის მცოდნე. ესეც – ბელი, მობაჯბაჯებს. ჯერ სადაა, ახლა იწყებს ყველაფერს!

როგორც სიზმრიდან, ისე გამოვდივარ სასაფლაოდან. რეალობას ვუბრუნდები. აი, ჩემი მანქანა. აი, ქუჩა. აი, ქალაქი დაბლა. აი, დღევანდელი, უკვე მობინდებული დღე, ქალთა საერთაშორისო დღე. ახლა ყველაფერი უფრო მწვავედ და საქმიანად ჩანს: ზემოთ დატოვებული ცინერარიები, დაპირებული საფლავის ქვა, ჩემი ოფისი, უსამსახუროდ დარჩენილი სირბილაძე, მკლავაძე და რაღაზეა ლაპარაკი – მეც. მე პირველ რიგში.

ლამპიონები აინთო აქა-იქ. ქალაქი აბრჭყვიალდება მალე, ღამის ცხოვრებაზე გადავა. ცხოვრება ერთია მაინც. შენს დღეებს და ღამეებს ვერ გასცდები.

მივალ სახლში. ჩაის დავლევ. ნატულის კექსს მივაყოლებ. გაზეთს გადავშლი. მერე ნატულის გვერდით დავწვები. ჩვენს გაგრილებულ, ჩვენს ჩაწყნარებულ ლოგინში, რომელსაც ძველი გემივით მოგონებები უფრო აცოცხლებს, ვიდრე აწმყოს შტორმები და ქარიშხლები.

– სახლამდე მიგიყვან, – ვეუბნები ბიჭს.

თავს მიქნევს.

– საით? – ვეკითხები.

– შენს სამსახურთან. მეორე ქუჩა.

ჩუმად მივდივართ. კონკრეტულად არაფერზე არ ვფიქრობ. უბრალოდ, უსიტყვო სანახაობები მოდის. რატომღაც საკუთარ თავს ვხედავ პატარაობისას, ხის ცხენზე მჯდომარეს... ვხედავ ჩემი ბავშვობის მწვანე მდელოს და მდინარეს, ვხედავ ჰამაკს და ბებერი კაკლის ჩრდილში მჯომ ბაბუას... ბედნიერებას ვგრძნობ. სიმშვიდეს.

– მე მეგონა, წამოიღებდი ყვავილებს, – მეუბნება ბიჭი.

მიჭირს ჩემი სანახაობებიდან ერთბაშად გამოსვლა.

– მეც მეგონა, – ვპასუხობ, – წესით, მოპარული რამე თავის ადგილზე უნდა დაბრუნდეს.

– მაშინ, რატომ არ წამოიღე?

– იმიტომ, რომ ყველა წესს აქვს გამონაკლისი. ერთი მაინც.

– გამონაკლისი რა არის?

– კარგი. უფრო ადვილად აგიხსნი. საქმე ისაა, რომ წესი საერთოდ უნდა შეასრულო, მაგრამ ხანდახან, ძალიან იშვიათად, წესის შესრულებას წესის შეუსრულებლობა სჯობს. გამონაკლისი სწორედ ამნაირ შემთხვევას ჰქვია. გამიგე? როცა წესის შესრულებაზე მთავარი რაღაც სხვა არის. ეს არის გამონაკლისი. ღვედი გაიკეთე. ღვედის გაკეთება დაგვავიწყდა. გადმოჭიმე, თორემ დაგვაჯარიმებენ. ღვედის გადაჭერა წესია.

– მაგასაც აქვს გამონაკლისი?

– ალბათ, აქვს.

ცოტა ხანს ჩუმადაა, მერე ამბობს:

– თუ დაჭრილი ჯარისკაცი ზის. თუ მხარშია დაჭრილი, ან მკლავში, ვერ გაიკეთებს ღვედს.

უყურე შენ?!

– სწორია, – ვეუბნები, – ხედავ, რა კარგად გაიგე? მაგრამ საერთოდ წესებს შესრულება უნდა.

– ჰო. – მეთანხმება ბიჭი.

ესეც ჩემი ოფისი. ფოიეში მკრთალი შუქი ანთია. სავარძელში გაშხლართული მკლავაძე მოჩანს. მობილურზე ლაპარაკობს. ალბათ, თავის წითელპომადიანს ელაზღანდარება.

ასე მგონია, სხვა ცხოვრებაში იყო ის ღამის ღრეობა.

– მეორე ქუჩაზე ადი, – მეუბნება ჩემი მგზავრი.

– ვიცი, უკვე მითხარი.

– მესამე სახლია.

...

თბილისის „იტალიურ ეზოებში“ იტალიელები არ ცხოვრობენ, მაგრამ კარს, რომელიც ხვეულა რკინის კიბის თავში დაგვიხვდა, აწერია: „ პ. ს. ჯაკომეტი“.

ეს წარწერა უცებ კარგ ხასიათზე მაყენებს. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, იტალიელ ფეხბურთელებზე ვგიჟდებოდი, ფეხბურთელობაზე და იტალიაში წასვლაზე ვოცნებობდი და არა „ელექტრონიკა 88“-ის დაცვის უფროსობაზე. ვიცოდი „სკუადრა აძურას“ სრული და სათადარიგო შემადგენლობა და საწოლთან პაოლო როსის პლაკატი მეკიდა.

ახლა მგონია, რომ კარს ვინმე, მონიკა ბელუჩისმაგვარი გააღებს და მეტყვის: „ჩაო!“

მაგრამ კარს ფაშფაშა, სახეგაოფლილი ქალი მიღებს. ჯერ მე მათვალიერებს, მერე ბიჭს, მერე ისევ მე.

– გამარჯობა, – ვეუბნები.

– გამარჯობა. – მეუბნება თვალებმოჭუტული, – შენ მამა ხო არ არის? მამა არის, მამა არ არის, მე არ იცი, ბინა უჟე იყიდე, ფული უკე ბანკი მიეცი, ყელაფერი გაათავე!

– არ ვარ მამა, – ვამბობ. თან აუხსნელ, უფორმო სინანულს ვგრძნობ ამის თქმისას. აი, ტანისამოსს რომ მოირგებ გემრიელად მაღაზიაში,

რომ მოგეწონება და უცებ გეტყვიან, ეს ერთი ცალია და გაყიდულიაო. მოვირგე ერთი წამით ეს სიტყვა, ეს „მამა“.

– ااا, პოლიცია! – ახლა სხვანაირად მათვალიერებს, – ისევე ფანჯარა გატეხე, ჰااا? მე ხო უთხარი, ეს ბიჭი ინტერნატში ცაიყანე?! უნდა ცაიყანე, აბა რა? მე კი აჭამე საჭმელი, ბოროტი ქალი არ ხარ მე, მაგრამ ხუთი შული! ათი შული-შული! აბა უთხარი, მე რა გააკეთე, ჰაა?

ქალის ვეება თეძოსთან შავტუხა გოგომ გამოყო თავი, ბიჭს დაემანჭა და გაქრა. ბავშვების ხითხითი გაისმა.

– ეს საზღალი არავინ არ გყავს, არავინ! ბებია-ბაბუა მოკდი, დედა მოკდი...

ახლა ქალის მუხლთან გამოძვრა პატარა გოგოს ენაგამოყოფილი სახე. რეზო წინ მიაწყდა, მაგრამ ქალმა მხრებში ჩაავლო ორი ღონიერი ხელი:

– ჰااا, ჰااا!

ბიჭს პატარა, მომუშტულ ხელზე ვკიდებ ხელს და ვეუბნები:

– რეზიკო, აიღე რაც შენთვის ყველაზე მთავარია და წავედით. ხომ წამოხვალ ჩემთან სტუმრად? შეგვიძლია კომპიუტერში ფეხბურთი ვითამაშოთ. შეგვიძლია... რა ვიცი, შეგვიძლია რამე მაგარ ფილმს ვუყუროთ. ნამცხვარი ვჭამოთ.

ჩემს მუჭში პატარა მუშტი დუნდება, რაღაცას ნებდება.

– წავედით? – ვეკითხები.

ბიჭი თავს მიქნევს.

– მიდი. გელოდები.

ქალი განზე იწევა და ბიჭს ატარებს. ბავშვების ჩურჩული და ხითხითი მესმის. გაწელილი წუთები დგება.

და მობილური რეკავს ამ დროს. ნომერს ვერ ვცნობ.

– გისმენთ.

– ალო, სამსონ! ბიჭო, რავა ხარ, ბიჭო, აჩიკო ვარ, აჩიკო!

– ვااا, აჩო?? საიდან რეკავ, გერმანიიდან თუ აქ ხარ?

– აქ ვარ, ძმაო, აქ ვარ. ჩამოვედი ერთი ორი დღეა და...

– სულ თუ დროებით...

– სულ ჩამოვედი, სამსონ, სულ და ბიჭო, რა მინდა გკითხო, მუშაობ შენ ეხლა სადმე?

– არ ვიცი, – ვეუბნები.

– ვااا, არ იცი, ეგ როგორ, ტოო, – იცინის, – ეგეთი ვარიანტი ჯერ არ გამიგია, ბიჭო!

– ნაღდად ეგრე ვარ. სიტუაციაა ეგეთი, რომ ხვალ შეიძლება აღარ ვმუშაობდე.

– აუ, ხოდა ბიჭო, მაგაზე გირეკავ, სამსონ, კაროჩე მე და ერთმა ძმაკაცმა რაღაცა ბიზნესი ავაგორეთ ერთად, ტოო და ასე ორ-სამ კვირაში ოფისს ვხსნით, ბიჭო, კაროჩე დიდ რაღაც ობიექტს ვაკეთებთ და დაცვის ამბავში, შენ რო იყო-მეთქი უფროსი და ერთი-ორი კაი ბიჭიც რო გვირჩიო, სამსონ! ნორმალური ხელფასი და რამე, ტოო!

აი, გინდა ზღაპარი დაარქვით, გინდა ჰეფიენდი, გინდა რაც გინდათ ის, رااا!

– კარგი. ვიფიქრებ, აჩო, – ვეუბნები, – დაგირეკავ ერთ-ორ დღეში.

...

პატარა ბიჭი რომ ვიყავი, აი, ამაზე ცოტა დიდი, კიბეზე ჩემთან ერთად რომ ეშვება, ბერძნული მითების წიგნი მაჩუქეს. სურათებიანი, დიდი წიგნი, ღმერთებით, ქალღმერთებით და უკვდავი გმირებით სავსე. ჯერ დედა მიკითხავდა ხოლმე ძილისწინ, მერე მე თვითონ ვკითხულობდი. ნახატებში შევდიოდი და ამბებში ვერთვებოდი, როგორც პატარა ბიჭებმა იციან. ღმერთობა არ მომნდომებია არასდროს. სამაგიეროდ, ორი გმირი გამოვარჩიე: ჰერაკლე და პრომეთე. პრომეთე – უფრო. მიოცნებია ხოლმე, რომ პრომეთესავით ოლიმპოზე ავსულიყავი, გამეხვია ლერწმის ღეროში ცეცხლი და ჩამომეტანა გაყინული ადამიანებისთვის.

ჰოდა ახლა, ამ კიბეზე რომ ჩავდივარ და გვერდით ეს პატარა ბურატინო რომ მომყვება, თავს სწორედ ასე ვგრძნობ – პრომეთესავით, რომელსაც გაყინული ადამიანებისათვის სითბო მოაქვს. მხოლოდ, სიტყვა „ადამიანები“ და მთელი კაცობრიობა ჩემთვის ახლა ერთადერთ ადამიანს ნიშნავს.

ეჰეჰეეეეეი, ნატულიი! მე მომაქვს შენთვის სითბო, ცეცხლი, გადარჩენა!....

მე მომაქვს ცეცხლი ჩვენთვის, ჩვენი გამოციებული გულებისთვის, ჩვენი დაუნთები ბუხრისთვის, ჩვენი გაუხარჯავი შეშისთვის...

ნატული! ჩემო ნატული... ჩემო ძვირფასო ნატული...

...

ზემოდან – არ ვიცი, მეშვიდე, მეცხრე თუ რომელი ზეციდან დედამიწისკენ ვეშვები.

დედამიწა ბრუნავს, გუგუნებს, ბრჭყვიალებს ქვევით.

ნუციკო დეკანოზიშვილი

ყველაფერზე

როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
გავდიოდეთ ერთ დღეს და აღარ მოვდიოდეთ.
თვალს ვარიდებდეთ ჩავლილ სიყვარულს –
როგორც ნაჩვევ სისუსტეს,
ნაჩვევ ხილვებში.
როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
არ განაღვლებდეს გაზაფხულის
არც ერთი კვირტი –
გითვალთვალებდეს ტალახიანი თებერვალი –
ნოემბრის მოყირჭებული ძაძებით.
როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
გავდიოდე და გარეთ ვეძებდე ჩემს გულს,
გავდიოდე და გარეთ ვეძებდე თვალებს,
გავდიოდე და გარეთ გეძებდე.
როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
მემატებოდე და მეკლდე,
მყავდე და არ იყო,
ვიყოთ და არ ვიყოთ,
და იყოს – იყო და არა
იყო რა – ყოფნასა და არყოფნას შორის
ჩვენი ლანდები,
გაზაფხულის უტიფარი ჭორფლები ცაზე და
იყვირე! იყვირე! იყვირე!
მაინც ვერავინ ვერაფერს გაიგებს –
ერთი მერცხალიც არ მოსულა –
ფრუსტრირებული გაზაფხულია
და ჩემს სიმღერას გიყვები:

როგორ უნდა ხდებოდეს, რომ

გული მწყდებოდეს, რეჩხი მიყოს,
გული მტკიოდეს,
ყელში მწვდებოდეს მოფართხალე
სიცოცხლის გვამი.
მაქანავებდეს გაზაფხულის ნედლი სიო და
მთლიანი მიწა, შეჩვეული, მიღირდეს რამედ,

ხელს მიშვებდე და არ მტკიოდეს
და ვიდგე მაინც აქ,
ხელს გჭიდებდე და მეყრდნობოდე
და მთები იძვროდნენ,
მანადგურებდეს ღამის ხილვა,
რომ ბავშვი წაიქცა,
დღისით – ახდენა, – ხელს გიშვებდე
და სადღაც მივრბოდე,
მოხდა მაისი. ვწერ არსაიდან
– გაყიდულ ლექსებს,
მოხდა მაისი – ვარდის შაბათი
– თითქოს მე ვმღერი.
თითქოს შენ ისევ დგახარ და ჩქარობ.
გიყურებ, მესმის.
ვდგავარ და ვტირი. ვდგავარ და
ვგლოვობ – გაყიდულ ლექსებს.

როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
დარდი მჭამდეს – დაბადების,
სისხლი მკბენდეს – შხამიანი,
და სამშობლო – გადამდები,
დარდით მჭამდეს ცა და მდელო,
და მიყვარდე – მახრჩობელა,
ჩვენო მკვლელო – საქართველო!

როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
ბავშვები ჯგუფებს უკვდებოდეთ,
ბავშვები ხროვებს უკვდებოდეთ,
მაგრამ
ბავშვები სამშობლოს არ უკვდებოდეს!

როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
დავდიოდე და ვეძებდე საშველს,
დავდიოდე და არ იყოს არსად,
დავდიოდე და აღარ მტკიოდეს
დაღლილი რასა.

გავდიოდეთ და სახლებს გმანავდნენ,
ვბრუნდებოდეთ და ფანჯრებს ქოლავდნენ,
მუხლზე ვიდგეთ და აღარ გვისმენდნენ,
დავეძებდეთ და ჩუმად მალავდნენ –
მალავენ რასაც...

როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
იყოს გაზაფხული,
შენ ჩემს გვერდით იდგე და
მე ამ ლექსს ვწერდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როდესაც შენი წვიმები მოდიოდნენ და
ჩემს სანახებში უხმოდ რჩებოდნენ,
ანდა ზურგის ქარს გაჰკიოდნენ კვიპაროსები,
როდესაც ღამდებოდა შენგან
და არ თენდებოდა,
და გაბმულად ჩუმდებოდა ჰაერი,
ისე გაბმულად, რომ მე არ ვიცოდი,
რომელ დროში მესუნთქა
ან სად დამეგო ხმელი ლოგინი,
ის იყო ღმერთი – უცნაური – რაღაცნაირი,
ფეხაკრეფილი იდგა კედელთან
და ითვლიდა დღეებს – წასვლამდე.
მას არ ესმოდა ჩემი სუნთქვაშეკრული
ვნებების,
და ვერ ხედავდა ხეებს, რომლებსაც
თავბრუდახვეულები ვეყუდებოდით.
მას არ ესმოდა ჩვენი სულელური საუბარი,
თორემ გაიცინებდა.
გაიცინებდა და ავიდოდა მეცხრე ცაზე,
საიდანაც დაგვაყრიდა უამრავ ტყუილს,
ცოტა მანანასა და
რამდენიმე წითლად მოხასხასე
ელექტრონულ გულს –
გულების საოხად.

* * *

არის აქ ვინმე თუ ვიცინო ხმამაღლა –
აივსო ოთახი, სკვერი და... სიცოცხლე,
რომელიც უუმურმა ცხოვრებამ დამალა,
არადა, ვიცოდი – სიცოცხლე ვიცოდი.
როგორმე გავრეკო ფარა და ნახირი –
დარდების. მიყვარდე – უხმოდ და ვადამდე,
იცი, რა ძნელია, რომ გაღმა გახვიდე,
და უფრო ძნელია – სიცოცხლე გადასდო
ქალაქებს, ტროტუარს, ჩამავალ მხარეებს,
და მთების იქით რომ ცხელ-ცხელი მზე არის,
გზადაგზა მკვდრებს ყრიან, შვებაა, ღამეა.
კართან ჩანს უსულო სულების მეკარე.
ჩრდილები. ჩრდილები. იცი, რა ძნელია –
უძლებდე შეჩვეულ ქალაქის ასფალტებს.
მოგდევდეს ჩრდილებით ქალაქი მრევლივით
და მობეზრებულებს – ნამგალებს ხატავდე,
რომ ფრენენ უკლებლივ ქვევით და თავდაღმა –
იწვიმებს და ისევ გარეცხავს ქვაფენილს –
ნიშნავს და გავრბივარ წვიმებში ხანდახან,
რომ არ ჩავუვარდე ხახაში – დაფჩენილ –
ცხოვრებას. და ისევ – არის აქ ვინმე თუ
ვიცინო, ვიცინო, ვიცინო, ვითომდა,
მიყვარდა, ვუყვარდი, მივრბოდი, მივენდე –
მივრბოდი და პეშვით სიცოცხლე მიმქონდა.

* * *

რომ არ მიყვარდე ან რომ არ
წვიმდეს ან თოვდეს
ან რომ არ
ამოდიოდეს მთვარე
მაშინ მე მაინც ამოვალ
მალე მოვალ და
ამოვალ
შენთან მოვალ და მალე
რომ არ მელოდე არ მოვალ
უშენოდ არსად
არ მოვალ
არც დღისითა და ღამე
ერთხელ კანიდან გამოვალ
ერთხელ ხორციდან
გამოვალ
შენად ვიქცევი და მე
რომ არ ვიყო და ან რომ არ
მქონდეს სიკვდილი
ან რომ არ
მეჩქარებოდეს კვდომა
სიცოცხლის საზღვრებს გადმოვალ
გამოგიგონებ
და მოვალ
მეყვარები და მოვალ

* * *

თურმე როგორი ყოფილხარ –
მარტო სიზმარში გიცნობდი.
ღამღამობით რომ მომიხვალ,
ღამღამობით და, სიცოცხლით
დაღლილს სიკვდილზე მიყვები –
სიკვდილისფერი ჩრდილებით.
მოგყავს წითელი სიტყვებით
არგაჩენილი შვილები.
თურმე ყოფილხარ როგორი –
საცერისხელა თვალებით,
თან სიყვარულის მომგონი,
ზეიმი ფერისცვალების,
გულზე დაყრილი მიწით და
ომში გამკრთალი ღიმილით,
ყაყაჩოსავით სიწითლე.
ან კიდევ შავი მიმინო.
თურმე როგორი ყოფილხარ –
ახლა მივხვდი და გეხვევი.
ერთხელ ვნებით რომ მომიხვალ,
აღარ დამტოვო შემთხვევით.

* * *

დაიძინე,
მე უნდა ვიფხიზლო.
და შენ თუ არ დაიძინებ,
მე არ გამომივა სიფხიზლე.
დაიძინე, ჩემო ადამიანო –
შენ ჩემთვის გაჩნდი.
დაიძინე, ჩემო ღმერთო,
მე შენ უნდა მაქციო ადამიანად.

* * *

კედლებს ატყვიხარ, ჰაერს დააჩნდი,
მიჯრით მიწყვიხარ მუცელზე... მკერდში,
რომელიც ბედავს, ყოველ საათში
აგიტკიოს და ალიბი სევდის –
ჩამომიღვაროს ფერდებში, და შენ
აჩნდე კედლების ჩამოშლილ ამბებს,
დაატყო ხელი ნატყვიარ – ნაშენ
ხილვების ჩრდილებს – აზიდო ცამდე.
და სამად სამი, გასამდეს ტყვია –
როგორ ატყვიხარ კედლებს და ჰაერს...
საკიდი სულის მიწაზე გდია.
ფეხზე დგას ჩემი ცოცხალი გვამი.

* * *

„Христос и Бог! Я жажду чуда
Теперь, сейчас, в начале дня!
О, дай мне умереть, покуда
Вся жизнь как книга для меня".

Марина Цветаева

საითლა გავფრინდე, მარინა?
ეს იყო, რაც უკვე შევძელი.
ჰაერში მუდმივი ქარია,
ან სუნი – დენთის და ენძელის.
ფარფატა ქაღალდებს გიგზავნი,
გიგზავნი მტრედებს და ბარათებს,
გზაზე რომ წავიდნენ გზისანი,
დავრჩი და – პუბლიკა გავართე,
და ამის სამღერად მოვედი –
საითლა გავფრინდე, საითლა?
სიცოცხლის მაღალი ქორედი
და ზეცა, რომელიც გაირღვა,
საღამოს სევდიან მღერაში –
რომ თოვდა ხშირად და ხანდახან.
ლექსებს რომ ვხატავდით მე და შენ.
და ქარმა კაბები გაგვხადა.
და შენ რომ იყავი ლექსივით.
და მე რომ სიკვდილსაც შევეშვი.
რაც უკვე შევძელი, ეს იყო –
სიტყვები მფანტავდნენ დღეებში.
საითლა გავფრინდე, მარინა?
თავსაც ვერ მოიკლავ სრულიად.
ჰაერში ქარია, მარინა
და მკვდარი ცოცხლების სუნია.

* * *

გაუშვით შვილები – ეზოებში,
მეგობრებში, ცხოვრებაში.
ითამაშონ, წაიქცნენ, ეტკინოთ.
თქვენ მათ მაგივრად ვერ იცხოვრებთ.
გაუშვით შვილები ცხოვრებაში.

* * *

მწიფეა სევდა შენი ხელების,
შემახედა – როგორ დაუსვამ სხვა ქალს და
სისხლი რძესავით წამოუვა
ფერმკრთალი კერტებიდან,
და როგორ ეყვარები მუცლით – ყელამდე...
შენი ხელების სევდა შავია –
ჰაერში არეული ლანდებივით,
მზისგან რომ მორბიან.
მე დაგინახავ ჩემი თეთრი ოთახიდან,
ხელებს გამოვიწვდი და ვიტყვი:
აი, როგორ უყვართ ჩემ კაცებს!
აი, რა ბასრია მათი სამართებელი!
აი, რა კარგი შემოდგომაა!
სევდა მწიფს, სევდა – ამ მოსავალს –
გრძელს და უებროს – არაფრით დავთმობ.
და შენ შეგიძლია, იყო ბედნიერი –
აკრძალული ოცნებების კანონით,
და შენ შეგიძლია, იყო მშვიდი,
და იფიქრო უსასრულოდ
ჩამოშვებულ ხელებზე.
მე კი, ამ შემოდგომას, გაგიხსენებთ – კაცებს,
რომლებიც ასე მიყვარდით,
და დაგასახიჩრეთ ჩემი სიყვარულით,
როდესაც ასე მწიფდა ჩემი სევდა,
როდესაც ასე უხვმოსავლიანი,
ვიწექი და
თქვენთვის გაუგებრად ვიღიმოდი:
წადით სხვა ქალებთან და მაპატიეთ,
წადით სხვა ქალებთან და
ასწავლეთ სიყვარული,
წადით სხვა ქალებთან და მომიყევით –
როგორ გიყვართ ისინი.
წადით,
მე თქვენზე დავწერ.



გურამ
მეგრელიშვილი

როცა ვთქვი არა

სოფელი ზედ სამაჩაბლოს საზღვართან იყო. მანქანა ჭიშკართან გავაჩერეთ და რაღაცნაირი ომახიანი მორიდებით შევედით.

ეზოში ისეთი ქალები დაგხვდნენ, როგორებიც ასეთ სოფლებში არიან ხოლმე – შრომისგან, იქნებ დარდისგან ან იქნებ კლიმატისგან ნაადრევად დაბერებულები. დედამთილის და რძლის გარჩევა რომ ჭირს და კაცები შედარებით ახალგაზრდულად რომ გამოიყურებიან.

ყველამ მამას შევხედეთ და იმანაც როგორღაც ამოთქვა:

– სიძე რომელია?

მამას განსაკუთრებით უყვარდა თეკლა. დედაჩემს ჰგავსო, იტყოდა ხოლმე. ბებიაჩვენი კი კაი მამალი ქალი იყო. ნამდვილი ოთარაანთ ქვრივი – ცხოვრებას რომ კაცებივით უმკლავდებიან და უკან არასოდეს იხევენ. თეკლაც ასეთი გვეგონა, ყოველ შემთხვევაში, მამა ამბობდა, თეკლას იმედი მაქვსო, მაგას ვერავინ დამიჩაგრავსო, ჩემი ნაბოლარა ბიჭიაო.

და მაინც, მოიტაცეს. როგორც ადრე – იქნებ ქალაქშიც, ახლა კი მხოლოდ ასეთ მიყრუებულ სოფლებში თუ მოხდება, რომ ბიჭს გოგო შეუყვარდება, ან მოეწონება, ან კიდევ უარესი – სხვისგან გაიგებს, რომ ტოტოლაანთა კაი გოგო ჩამოსულა ქალაქიდან, ჭკუაში დაუჯდება – რატომაც არა? რატომ უნდა დამასწროს სხვამ? ჩაჯდება მამამისის თეთრ „06-ში“ და ძმაკაცებთან ერთად ტოტოლაანთ მხარეს გადავა. საღამომდე ბირჟაზე იდგებიან. გვიან ღამით კი, როცა თეკლასნაირი გოგო ქუჩაში გამოვა, ჩაავლებენ ხელს და მოიტაცებენ.

მოტაცება კი ასე ხდება და ამას ჰქვია: რამდენიმე ბიჭი ძალით ტენის დაბნეულ გოგოს უკანა სავარძელზე. როგორც წესი, თავად სასიძო ამ დროს შორიახლოს დგას. მერე ის მძღოლის გვერდით ჯდება ხოლმე. გოგოსთან ერთად მყოფ ნათესავ გოგოსაც ხელს გააყოლებენ ხოლმე (ხშირად ისიც საქმეშია) და მანქანაში აღმოჩნდება რვაცხრა კაცი ერთად. ამ დროს უკვე გარკვეულია, ვინ არის ბიჭის მეჯვარე (ის ყველაზე აქტიურია). გოგოს მეჯვარეს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ისიც გარკვეულია. მოტაცებული სადმე შორს მიჰყავთ, ვთქვათ, ერთი კუთხიდან მეორეში, ქართლიდან იმერეთში, ან რაჭიდან გურიაში, რომ ნათესავებმა არ იპოვონ. იშვიათად, მაგრამ მაინც, სასიძო საცოლეს აუპატიურებს (ხანდახან, როცა განსაკუთრებით დიდი ალბათობაა, რომ ოჯახმა გოგო უკან დააბრუნოს, კაცი ამას მანქანაშივე აკეთებს, სანამ მეგობრები გარეთ დგანან და ნერვიულად ეწევიან, სასიძო მომავალ ცოლს პირზე ხელს აფარებს და ძალადობს), უმეტესად კი მივლენ დანიშნულების ადგილამდე და იწყება გოგოს დამუშავება, რომ მონატაცებ ქალს ცოლად აღარავინ მოიყვანს, ამიტომ ჯობს, ბედს შეეგუოს და დათანხმდეს. როგორც წესი, გოგოები შიშით თუ ხალხის აზრის გავლენით, რჩებიან.

– ვინ განახებს სასიძოსა, გიჟები არიან? – სოფლურად ჩაიფხუკუნა ჯოხს დაყრდნობილმა კაცმა.

მამამ გაბრაზებით გადახედა დედაჩემს, დედამ კი თავი დახარა, თითქოს რაიმე დანაშაული მიუძღვოდა, შვილი რომ მოტაცეს.

ტოტოლაანთმა მხოლოდ მესამე დღეს დაგვირეკეს და გვითხრეს, თეკლა მოიტაცესო. რატომ მესამე დღეს? ვეძებდითო, თქვენი ნერვიულობა არ გვინდოდაო და მსგავსი ზღაპრები. როგორც კი ეზოში შევედით, უფროსი ტოტოლაანთი თოფით მოვარდა და სასიძოს მოკვლით იმუქრებოდა, თითქოს ეს სამი დღე საკმარისი არ იყო ბიჭის მოსაკლავად.

მამას დანა პირს არ უხსნიდა. ატუზული იდგა ტალავერთან და მარჯვენა ხელს მარცხენა მუშტში მალავდა.

ეზოში გრძელი ხის სკამები გამოეტანათ, რომელზეც თეთრი ქაღალდი გადაეკრათ და ზედ ძაფი გადაეხვიათ, ალბათ, სტუმრებს უფრო გამოსაჩენად რომ დაგვხვედროდნენ.

მე ეგრევე მივხვდი, რომელი იყო ჩემი დის სადედამთილო, განსაკუთრებით მოენდომებინა და სასაცილოდ ბევრი ფერუმარილი ესვა. მიუ-

ხედავად იმისა, რომ ნერვიულობდა, ეტყობოდა, ჩვენი შეთვალიერება მაინც მოესწრო.

დედაჩემმა სიგარეტს გაუკიდა. მამას თანდასწრებით არასოდეს მოუწევია და მივხვდი, რომ ერჩივნა, ყველაფერი დროზე დამთავრებულიყო. მამამ არც კი გახედა და გაიმეორა:

– სიძე რომელია?

რაღაცნაირად შემეცოდა მამაჩემი. ასეთ დროს მთელი ტვირთი კაცზე გადადის. მამაზე გადადის. უნდა-არ უნდა, ისე უნდა მოიქცეს, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი მოიქცეოდა. ბევრი ფიქრი უწევს მამას – რამე ისე არ ქნას, რომ მომავალი სიძე (თუ ის სიძე იქნება. და რომ იქნება, ამას ლაპარაკი არ უნდა) არ გაანაწყენოს, რამე ისე არ ქნას, რომ ცოლ-შვილის თვალში არ დამცირდეს, რამე ისე არ ქნას, რომ შვილი ვინმეს დააჩაგვრინოს. დედისთვის ამ დროს გაცილებით იოლია, ქალები უფრო ადვილად ეგუებიან ასეთ ამბებს, უფრო გონივრულადაც ფიქრობენ, ალბათ და უფრო პრაგმატულებიც არიან. ასეთ დროს უკეთესია, მოლაპარაკებაზე ქალი გაუშვა, ის თავს არავის დააჩაგვრინებს.

მამაჩემი ლუდს სვამდა მეგობრებთან ერთად, როცა დედამ დაურეკა და უთხრა:

– თეკლა მოიტაცეს!

მერე მთელი გზა ერთმანეთს აბრალებდნენ. ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ მივხვდი, რომ ერთმანეთს აბრალებდნენ. დედაჩემის ნათესავებთან ისვენებდა თეკლა, მამამ კი ნება დართო, წასულიყო.

თეკლა და სიძე ორი საათის მერე მოვიდნენ. თეკლას ლოყები გაფითრებოდა და მეც უნამუსოდ გამეფიქრა, რომ ეს სისხლდენის ბრალი იქნებოდა. ეზოში მდგომ ქალებს ზედაც არ შეხედა, ჩემკენ წამოვიდა და დედას გადაეხვია. მამა რაღაცნაირად გაუცხოებული უყურებდა. მერე თეკლა მივიდა და რაღაც უთხრეს ერთმანეთს. მამამ ჩვენ გადმოგვხედა და ხელი გადახვია თეკლას.

– შენ გადაწყვიტე, თუ გინდა წავიდეთ! – ჩურჩულით თქვა მამამ, მაგრამ ყველამ გავიგონეთ, რადგან ყველას გვინდოდა გაგვეგო, რას იტყოდა მამა.

თეკლა კი ძალიან პატარა იყო საიმისოდ, რომ გადაწყვეტილება თავად მიეღო. მამამ კი, როგორც ეს კაცებმა ვიცით, ტვირთი ქალებს გადააბარა მაინც.

დედამ გვერდით გაიყვანა თეკლა და ჩურჩული დაიწყეს.

დაახლოებით ვიცოდი, რაზეც ილაპარაკებდნენ: მოხდა თუ არა მოსახდენი? გაქვს თუ არა საცვლები? ღამის პერანგი და ახალი პირსახოცი წამოგიღე და ეგეთები. ანუ ყველაფერი რომ წინასწარვეა გარკვეული. დედა მზად წამოვიდა, წესების სრული დაცვით წამოვიდა. მზად დაგვხვდნენ სასიძოს ოჯახშიც, როგორც კულტურულ, განვითარებულ საზოგადოებაში ხდება ხოლმე – შედეგი ცნობილია, თამაშის წესებს კი მაინც ყველა ვიცავთ. საკლავი ეზოში გამოტანილ სამზადში თუხთუხებდა, ქათმები გაპუტული იყო და მზარეული ოჯახის წევრებს უყურებდა თვალებში, რომ პირველივე ნიშანზე თონეში ჩაეწყო და მერე სუფრასთან მოეტანა, ცხელი შოთები პერიოდულად გაიელვებდნენ ხოლმე თონიდან კიბისკენ, საიდანაც მეორე სართულზე ადიოდი და სუფრა სწორედ იქ იყო გაშლილი.

მოკლედ, ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ მამას ეთქვა ჰო, დედა ისედაც ჰოს ამბობდა, ისე სურდა, ყველაფერი დამთავრებულიყო. მე პრინციპში დიდად არც მაინტერესებდა ეს ამბები, ისედაც ძალისძალობით წამომიყვანეს და მნიშვნელობა არ ჰქონდა, სოფლელი სიძე მეყოლებოდა თუ ქალაქელი კოტიკოსნაირი გარეწარი.

თეკლა ჩემთანაც მოვიდა, მხარზე მომიჭირა და ნიკაპზე გამკრა ხელი. წარბები შევყარე. მეჯავრებოდა, როცა ნიკაპზე გამკრავდა ხოლმე და ახლა სწორედ ასე გააკეთა, ჯინაზე, იცოდა, რომ ამდენ ხალხში პასუხს არ დავუბრუნებდი. ისეთი სახე ჰქონდა, რომ გინდა ყველას დაანახო, თითქოს არც ისე ცუდადაა ყველაფერი, სინამდვილეში კი ყველაფერი ძალიან ცუდად რომ არის. კი, ყველაფერი ცუდად იყო, როცა ჩემი სიძე დავინახე. გარეგნობით მეც არ ვბრწყინავ, მაგრამ ეს მაინც რაღაც განსაკუთრებული იყო, გრძელი თავი და არაბუნებრივად, ლამის რაქიტულად გამოშვერილი შუბლი და შუბლზე დაყრილი უამრავი მუწუკი. რაღაცნაირი თვითკმაყოფილი სახე ჰქონდა, რომ ყველაფერი შეუძლია, რასაც მოინდომებს, რომ სხვისი მორიდებულობით ის ყოველთვის ისარგებლებს, რადგან ასეთია ბუნებით, უნამუსო.

ლამის ყვირილი დავიწყე, რომ თეკლა არ უნდა დაგვეტოვებინა, მაგრამ მაინც გავჩუმდი. გავჩუმდი, რადგან რომ მეყვირა, შეიძლება ჩემი და მართლა წაგვეყვანა უკან, მერე ხალხი ჭორაობას დაიწყებდა, თეკლა ამ ხმებს ვერ გაუძლებდა და გაბოზდებოდა, ან შეიძლება არც გაბოზებულიყო, მაგრამ ეს ტვირთი, სამი დღე ქმრის ოჯახში ნამყოფი გოგოს ტვირთი, ძნელი გადასატანი იქნებოდა ჩემთვის.

ალბათ, მამაც ასევე ფიქრობდა. ერთბაშად დაპატარავდა და ლამის დედაზე დაბალი გამოჩნდა. მე ვიცოდი, რასაც იფიქრებდა, ერთი სისხლის არ ვართ? იფიქრებდა, რომ უკეთესია, გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან მოიძებნოს. რაც მოხდა (და რომ მოხდა, ამაში დედას გამოხედვამ დაგვარწმუნა), მოხდა, შეიძლება კარგი ბიჭიც აღმოჩნდეს, შეიძლება ქალაქში ბინა ვუყიდოთ და თეკლას ამ მივარდნილ ადგილას ცხოვრება აღარ მოუწევს. ყველანი ადამიანები ვართ, ამ პირობებში დაბადებულები, ამათნაირი ვიქნებოდით.

მოკლედ, ყველაფერს იზამდა, რომ გაემართლებინა მომხდარი, ეს ხალხი, ჩვენ. მაგრამ თავს ვერ გაიმართლებდა. სუფრასთან უზომოდ ბევრს დალევდა, იმდენს, რომ გონება დაეკარგა და დილით, ნაბახუსევზე, ადვილად გადაეტანა იმის გააზრება, რაც მოხდა.

დეიდაჩემის ქმარმა, ვინც მანქანით წაგვიყვანა, სიტუაციიდან გამოსავალი ადვილად მოძებნა. ასეთ ხალხს ყოველთვის ვიახლებთ ხოლმე მსგავს ამბებში. არ ვიცი, ეს ცნობიერად ხდება თუ არაცნობიერად, მაგრამ ისინი ყველა კონფლიქტს თანამგზავრივით თან სდევენ.

– რახან წინააღმდეგი არავინაა, გოჭის ხორცს

მაინც რაღას ვერჩით, დაკარგავს გემოს! – მოიფშვნიტა ხელები დეიდაჩემის ქმარმა.

რა თქმა უნდა, ასეთ დროს ზოგი ნერვიულად გაიცინებს, ზოგი – ირონიულად (მამაჩემმა აგრესიულად გაიღიმა), მაგრამ მიზანი ისაა, რომ სიმძიმის ცენტრმა სხვაგან გადაინაცვლოს. პრინციპში, მიუხედავად იმისა, რომ იმწუთას ჭირის დღესავით შემჯავრდა ეს ადამიანი, დღემდე მიმაჩნია, რომ მას სწორედ ასე უნდა ეთქვა და ასე მოქცეულიყო.

სუფრასთან გადავინაცვლეთ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მენტალიტეტი საბოლოოდ მაინც კუჭზე გადის (და ამის ნათელი მაგალითი მარკოზის სახარებაშია, ოთხი ათასი კაცი შვიდი პურით რომ დაანაყრა ქრისტემ, ოთხიოდე საათის შემდეგ კი მოწაფეებმა მისი იგავი საფუარზე ისევ პირდაპირ გაიგეს, რადგან შიოდათ და ერთი პური ჰქონდათ დარჩენილი), ჩვენი ოჯახისდა სასახელოდ უნდა ითქვას, ცოტა ვჭამეთ.

რაღაცნაირად შეგუებულები ვისხედით ხუთივე – მამაჩემი, დედა, მე, თეკლა და ჩემი უმცროსი და, ნენე.

სიძე უკვე შემთვრალი იყო. ისედაც წითელი სახე უფრო აჭარხლებოდა, ცდილობდა, თეკლასთან განსაკუთრებულად მოქცეულიყო, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ამით კიდევ უფრო აზიზღებდა თავს ცოლს.

„რა იქნება, რომ ავდგეთ და წავიდეთ? თეკლა ამათთან გამჩერებელი მაინც არაა!“ – ვფიქრობდი და ყველა ის ნაცნობი ქალი გამახსენდა, ვინც ასე მოიტაცეს, ახლა კი კარგი, ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ. ალბათ, ტვინს აქვს ასეთი თვისება – როდესაც პრობლემას ვერ წყვეტ, ანალოგიების საშუალებით ცდილობს სტრესული მდგომარეობა შეუმსუბუქოს ადამიანს. ხშირად ეს სტრესი გადავადდება ხოლმე, იშვიათად ქრება, მეტწილად კი კონსერვდება და მერე სად და როგორ იფეთქებს, კაცმა არ იცის.

თეკლა ჩემზე სამი წლით იყო დიდი. პრინციპში, არასოდეს მიჩხუბია მის გამო, რადგან ყოველთვის თავად აგვარებდა პრობლემებს, თაყვანისმცემელი კი არასოდეს ჰკლებია. რაღაცნაირი გოგო იყო ყოველთვის, მამა ტყუილად არ ამბობდა, დედაჩემს ჰგავსო. რაღაცნაირად ჩუმად ამაყი, უფრო სწორად, ჩუმად ღირსეული, აი, ვიწრო ადამიანურ რაღაცებზე რომ არ იყიდებიან, ისეთი. ამიტომაც, ახლა, როცა სუფრის თავში შედარებით მაღალ სკამზე მჯდომს ვუყურებდი, ორმაგად მეცოდებოდა.

მამაჩემმა ორჯერ დამიხსნა ციხიდან, ორივეჯერ – ჩემი დანაშაულის გამო, ახლა კი თავის საყვარელ შვილს ვერაფერს შველოდა.

იმავე საღამოს ვაპირებდით ქალაქში დაბრუნებას, მაგრამ მამა უგონოდ დათვრა, როგორც მოსალოდნელი იყო. დათვრა ჩვენი მძღოლიც, დეიდაჩემის ქმარი. როგორც სოფლებში იციან ხოლმე, მეზობლის სახლში დაგვაწვინეს, უზარმაზარ ცივ ოთახში, მეორე სართულზე, სადაც წლების წინ გაკრულ შპალერს მხოლოდ ფერი ეცვლება და სხვა მხრივ შეურყვნელი რჩება.

ღამე ცუდად მეძინა. დედასაც არ ეძინა. მესმოდა, როგორ ბორგავდა ძილში. ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად მოგვიხდა, რომ ყველამ ერთ ოთახში დავიძინეთ – მე, მამამ, დედამ და ნენემ, თეკლას ქმრის სახლში ეძინა. წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ შიშვლდება ჩემი და მახინჯი, არა, მახინჯი არასწორი სიტყვაა, არასასიამოვნო კაცის წინაშე ვალდებულების გამო, წესის გამო, იმის გამო, რომ ასეა მიღებული.

მერე დედაჩემი ამბობდა, უცნაურად ამოიჩემე ის ბიჭი, ეგეთი შეუხედავიც არ იყოო, ჩემში კი რაღაცნაირ შიშს, ზიზღს და დათრგუნვას იწვევდა. ამის მიზეზს მერე მივხვდი, როცა მამამისი ვნახე. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ეგ იყო, მამა მოტეხილი და სახედანაოჭებული იყო. თვალებში მსოფლიო ზიზღით და გაავებით. რამდენიმე თვით ადრე სამაჩაბლოს მხარეს მოუტაციათ და, ტყვეობიდან დაბრუნებული, ხალხში იშვიათად ჩნდებოდა, ალბათ, ამიტომაც არ იყო სუფრასთან იმ საღამოს.

გამთენიისას ჩამეძინა. როგორც ჩანს, დედას არ ეძინა, მამას კი მერეც არაფერი გაუგია. იქნებ უკეთესიც იყო მისთვის, რომ არ გაუგია.

სამი გასროლა ყოფილა, მე ორი დავითვალე. ალბათ, პირველზე გამეღვიძა და ამიტომ. კივილი და ეგეთი რაღაცები არ ყოფილა, ვის უნდა ეკივლა. კაცის ყვირილი გავიგონეთ, ჩვენი სახლისკენ იძახდა, მეზობელს ეძახდა. სიძის მამა იყო. გამთენიისას მოუკლავს ცოლი, შვილი და ჩემი და, თეკლა.

ნათია ცხაკაია

დაგვიანებული ზღაპარი

ოდესღაც მესიზმრა უკიდეგანო კამკამა
ოქროს თევზებით დაფერილი ტბა
შორეულ მთებში, და იქით მიმავალი
თეთრი შროშანებით ფენილი ბილიკი.
ან იქნებ ცა მესტუმრა სიზმრად
ოქროს ვარსკვლავებით აკიაფებული.
ვერასდროს ვარჩევდი სიზმარს
რეალობისგან და გავუყევი
აყვავებულ ბილიკს, ვიარე, ვიარე
და მივადექ ბნელით მოსილ მღვიმეს.
დაქანცულს, იქ დარჩენა მომინდა.
ყველა ჩემს ოცნებას,
ყველა ჩემს სურვილს
ცეცხლი წავუკიდე,
კოცონი ავაბრიალე და გავნათდით.
მღვიმეში განძი მოვიძიე
და დავრჩით იაგუნდებთან.
თმაგაშლილს მშვენოდა ტიარა.
დროის ისარი ერთი მიმართულებით
მიისწრაფოდა.
და მე დაგტოვე ნათელში,
რომელიც გისახსოვრე სამუდამოდ.

დავადექი ლალებით
მოკირწყლულ ბილიკს
და მას მერე მოვდივარ შენგან:
გზად ჯადოსნურ აკორდთ
ლაბირინთი შემომხვდა
შევედი და დავიკარგე სამუდამოდ.
ასე დაკარგული ვაგრძელებ გზას
შენგან ჩემკენ
გაყინულ ხეთა სინატიფე და სიფაქიზე
დავიმეგობრე, სინანულით დახუნძლული.
მუსიკა თან მახლავს
და სევდანი ჩიტების
ტრელები და ფორშლაგები ეხმიანებიან
უხილავი ორკესტრის
უწყვეტ მელოდიას.
სადღაც ბუუტავს გარდასული მონატრება
ღალატივით ისუსხება საყვედური
და არ ვიცი სადაა ყურე
სადაც ჩავუშვებ ღუზას.
მივყვები სისხლისფერ ბილიკს
ჩიტის გულივით მფრთხალი და ფრთხილი,
რადგან შეყვარებული კაცის უბეში
ხშირად მორიელი ბუდობს.
სამუდამოდ დაიდო ბინა ჩემს თვალებში
გაკვირვებამ.
ყალბი ღიმილის მილმა,
ჩემკენ მოზიდული მშვილდი
მოწამლული ისრით,
რას უნდა ნიშნავდეს ნეტავ?
მოვუყვები ბილიკს და
ზვავად თავს მატყდება
ყველა ტკივილი, შეცდომებით
მოვარაყებული.
არ ვიცი, სად და როდის მთავრდება
სიზმარი, რომელიც ყველა მეწყერს
გადამალახვინებს:
ვერ ვიჯერებ, რომ თვითონ
გამოგიგონე. იმიტომაც ვერ გაგნებ
არარსებულს,
კამკამებს ფერჩაღვრილი ტბა
და ცრემლად იღვრებიან ჩელოები.
ქათქათებს მყინვარწვერი
და ვბრუნდები ჩემში
მოვდივარ, მოვდივარ,
გზა კი არ ილევა.

წვიმს

წვიმს, წვიმს, წვიმს,
გაიხარა პატარა ტირიფმა
დაიამა მოწყურებული ფესვები.
ფრთები გაშალა
ჩემი სევდის ლურჯმა ხომალდმა,
შორს და მაღლა მიმაფრენს
უსასრულობაში.
მიტოვებული ჩემი ბაღი
მექცა წალკოტად.
შეუსაბამობაა თუ პირიქით.
მე ვერ მოვიშალე ნათება,
რადგან ბევრმა ძვირფასმა ადამიანმა

დამტოვა და დამიტოვა
მოელვარე სხივთ წყარო,
მეწვივნენ სამოთხის ჩიტები,
ამიხმიანეს ტკბილი ძილი
ისე ხანმოკლე,
ძილს ვერ დაარქვევ.
წვიმად იღვრება ჩავლილი ამბები
ფერად სპეკალთ დიადემად ასხმული
ჩემი გონების უძირო კიდობანში
ხანდახან მინდა
ნაწნავი მოვიკვეცო.
რადგან ფრენისას მამძიმებს.
და ვერ ვიმეტებ,
ისე როგორც
შენზე ფიქრებს ვერ ვიმეტებ,
ვერ ვანდობ წვიმებს
ნაკადულებად მოსდონ ქვეყანას,
რარიგ მაკლიხარ,
ფრთები გაშალა
ჩემი სევდის უცხო ხომალდმა,
წვიმს...

* * *

შაშვების ნადიმი, დილა და სარკმელი,
სარკმელი, დილა და შაშვების ნადიმი.
ზამთარი ცისფერი, თეთრი და ნათელი.
რა სამწუხაროა, სხვა არ მაქვს სათქმელი.

ხურმა და ყურძენი, ხურმა და ჩიტები
ყინვა და ფიფქები და მერე – ფიქრები,
ნაძვები, ნაძვები, ნაძვები, ფიჭვები
ჩამქრალი ბუხარი, უცეცხლოდ ვიწვები.

შაშვების ნადიმი, დილა და სარკმელი
ერთი თამარია მზის სხივი ნათელი
ჩემი მარგალიტი – ბნელეთში სანთელი
გარეთ კი ფანტელი, ფანტელი, ფანტელი.

სურათი ალბომიდან

ნეტავ ეს რა ლაბირინთმა გადამკარგა,
ვინ მიბოძებს, ზღაპარია! არიადნეს გორგალს,
არითმია ჩემი არსის, გულს ედრება,
არიმანი კვალდაკვალ მდევს – ბორგავს.
ჩემი ბაღის უჩინარი სამშვენისი,
ქრიზანთემა, შემოდგომის ქრიზანთემა,
მენატრება ფერის, თეთრი, ქრომატიზმი,
ჩემი ყოფის რთული ფუგის სხივებრ თემა.
ქიმერა თვლემს ჩვენი მოდგმის არსობაში,
ქრიზანთემა, მომნუსხველი ქრიზანთემა,
სიკეთე და ერთგულება – ალქიმია!
ამორძალთა ხვედრი – მკაცრი ანათემა.
ნეტავ ეს რა ლაბირინთმა ჩამიხვია,
ვინ მიბოძებს, ზღაპარია! არიადნეს გორგალს,
არითმია ჩემი არსის გულს ედრება,
არიმანი კვალდაკვალ მდევს – ბორგავს.

ვარდის ფურცლებად დამრჩა

ჩამოიღვენთა ჩემი სანთელი,
და ათინათი უწყალოდ ჩაქრა,
ბინდიან ბაღში
შევრჩი მომღერალთ,
გულმა გაშალა მგლისფერი აფრა.
ისევ კამკამებს ცდომილი ცაში,
თუმც არას შევთხოვ მიჯნურთა სასოს,
შენ ვერ მიმიხვდი, გიშვებდი ჩემით,
ფქვილს ვიტოვებდი, გატანდი ქატოს.
ჩამოიკაწრა სევდამ ღაწვები,
მთვარემ აკრიფა ხავერდთა კონა,
შემოვიკეტე ალმასის კოშკი,
ცრემლთ ავუკრძალე ამაო სრბოლა.
ვარდის ფურცლებად დამრჩა დღეები,
მოგონებების სურნელით მთვრალი,
ისე გიყვარდი, ისე მიყვარდი,
ორივეს დაგვრჩა საწუთროს ვალი.

* * *

ქარო, იქროლე, აღზევდი,
არ დაიშალო ქარობა,
გადაუქროლე ტკივილებს
ჩამორთმეული ქალობა
იქნებ და როგორც გალობა
შემოვირიგო წყალობად!
წვიმავ იწვიმე, იწვიმე
არ დაინანო ცრემლები
მე გაზაფხულებს ველი და
ფერებს და ბგერებს ვნებდები.
სხვა ქარები და წვიმები
იქნებ და აღარც მელიან,
ჩელოები და არფები
იქნებ გაყრისას მღერიან
წვიმავ იწვიმე, იწვიმე,
გულს გაჩენილი ღარები,
სისხლად დაღვრილი ლალები
გადავივიწყო მინდა და
დამიბრუნდება დარები.
ქარო, იქროლე, აღზევდი,
არ დაიშალო ქარობა,
გადაუქროლე ტკივილებს
ჩამორთმეული ქალობა,
იქნებ და როგორც გალობა,
შემოვირიგო წყალობად!

ნათია მანია

ჩემი დაბადების დღე

ჩემი დაბადების დღე იმით დაიწყო, რომ ულამაზესმა ოლია კუხიანიძემ ცნობილ მისამართზე გამიშვა...

არა, არ იფიქროთ, რომ უარი მითხრასავით, იმიტომ რომ გათხოვილია და რამე... არაფერი შემითავაზებია. და საერთოდ, ტრადიციული ორიენტაციის გოგო ვარ, სამწუხაროდ.

ოლიამ დაბადების დღე მომილოცა ფეისბუქით. რამდენიმე წუთით ადრე კი, სანამ ჩემი დაბადების დღე დადგებოდა, მისმა ქმარმა მაგინა კომენტარებში ოლიას პოლიტიკურ სტატუსქვეშ. ოლიამ არც კი წაშალა ეს სიტყვები. მერე კი მომილოცა...

ჰოდა, ვუთხარი ოლიას:

– ოლია, შენ თუ გგონია, შენი მოლოცვა შენი ქმრის გინებას გადასწონის, ცდები-მეთქი.

გაბრაზდა ოლია და გამიშვა.

ასე საინტერესოდ დაიწყო ჩემი დაბადების დღე.

რანაირი დაბადების დღე არ მქონია. რა არ დებულა სუფრაზე: მქონია საცივი და ღომი სულუგუნით, ფხალეულობა და სალათები, ნამცხვრები და ტორტები. მხოლოდ შემწვარი კარტოფილი და წყლით მოზელილი შაქარმოყრილი ბლინებიც მქონია უშუქობის ფონზე.

პირდაპირ დაბადების დღეზე გავუთავისუფლებივართ სამსახურიდან და არ მცოდნია. მცოდნია, რომ საჩუქარს მიმზადებდნენ და მერე ის საჩუქარი არ მიმიღია.

მარტო ერთი მეგობარიც მოსულა ჩემთან და ბევრი მეგობარიც ნათესავებითურთ. მთელი როკ-ჯგუფიც მყოლია დაბადების დღეზე. და ნამდვილ კომპოზიტორს ჩემთვის დაუკრავს და უმღერია კიდეც.

მაგრამ ასეთი დაბადების დღე ჯერ არ მახსოვს.

წელს რამდენიმე დღით ადრე გავაფრთხილე ახლობლები, რომ არ მედაბადებისდღევებოდა, არანაირი წვეულების გამართვას არ ვაპირებდი და არც სახლში ვიქნებოდი.

ღამით გამორთული მობილური არც დღისით ჩამირთავს. დილიდანვე ვაპირებდი შინიდან გაპარვას, მაგრამ ორ საათამდე მეძინა. ავდექი დამჟავებული სიფათით და გამოვაცხადე, ნურავინ მომილოცავს და მიხსენებს დაბადების დღეს – ნერვები მეშლება-მეთქი.

ხალათით შევფართხუნდი სამზარეულოში. მაგიდაზე ტორტი დამხვდა კოლოფით. მოვავლე ხელი, გამოვაღე მაცივრის კარი და ისე შევისროლე შიგ, რომ თარო ჩამოტეხა.

უგემურად ვისაუზმე და კბილების გასახეხად გასულს მესმოდა, როგორ ეჩურჩულებოდა დედა მამას: ხელახლა არ გამოიტანო ეგ ნამცხვარი, თორემ დაგვამხობს თავზეო.

დროზე უნდა გამეღწია სახლიდან... ვფიქრობდი, რა მეკეთებინა ამ ზამთარში გარეთ, ქუჩაში.

გადავწყვიტე, საღამოს „რუსთაველში“ წავსულიყავი და რამე მხიარული ფილმი მენახა. მანამდე კი ნაცნობი მწერლის საღამოზე მიმეღო ერთ-ერთი გამომცემლობის მიპატიჟება.

მართალია, იმ მწერლის სულ სამი მოთხრობა თუ მექნება წაკითხული, მაგრამ ერთ დროს ჩემი თაყვანისმცემელი იყო და ხომ უნდა მცოდნოდა, რა დავკარგე!

ზღაზვნით ვიცვამდი. დამაგვიანდა. მწერალთან შეხვედრაზე ველარ მოვხვდებოდი. ორ კინოსეანსს „რუსთაველში“ კი ჩემი ბიუჯეტი ვერ გასწვდებოდა. მაინც ჩავჯექი რუსთაველზე მიმავალ ტრანსპორტში და კინოს სახლთან ჩამოვედი – კინოს სახლში ბილეთი მხოლოდ ლარი ღირს.

დარბაზში ბნელოდა, რადგან ფილმი უკვე დაწყებული იყო. თითქმის არაფერი ჩანდა და ბევრი არ მიძებნია – თვალში მოხვედრილ პირველივე ცარიელ ადგილას დავჯექი, ბოლოდან

მეორე რიგში, სულ განაპირას. გვერდით, სკამგამოშვებით, ერთი გოგო მეჯდა. მერე მეორეც მოვიდა და შუაში ჩაგვიჯდა. როგორც ჩანს, დაქალები იყვნენ. შიგადაშიგ წაიჭუკჭუკებდნენ და წაიფხუკუნებდნენ ხოლმე.

ფილმი რაღაცნაირად ბნელკადრებიანი იყო, ცოტა გაწელილი და მოსაწყენი. ნახევარი საათის მერე ხალხმა ადგომა და წასვლა დაიწყო. პირველ რიგში წყვილები ტოვებდნენ დარბაზს – ალბათ, მათი ჩვეულებრივი დღე უფრო ნათელი იყო, ვიდრე ფილმის დადგმული კადრები.

ცოტა ხანში ჩემ გვერდით მსხდომი დაქალებიც ადგნენ და გავიდნენ. სიბნელეს თვალი შევაჩვიე. უკვე კარგად ვხედავდი ადამიანთა სილუეტებს და უკეთესი ადგილი შევარჩიე. შუაში გადასვლა ჯობდა, თორემ კისერმოქცეულს მიწევდა ამერიკული ცხოვრების ყურება.

ჩემი რიგი თითქმის ცარიელი იყო შუა ადგილების ჩათვლით. ცოტა იქით იჯდა ვიღაც. გადავჩოჩდი, გადავჩოჩდი და მივუჩოჩდი. ახლა მთლად არ მივჩოჩებივარ– სამი სკამი გამოვტოვე (არ მინდოდა, დამერღვია უცხოს მყუდროება) და ზუსტად შუაში მოვხვდი.

იმ ვიღაცას, როგორც ჩანს, სციოდა – სქელი ქურთუკის საყელო აეწია და მარტო ცხვირი უჩანდა...

და უცებ დამცხა – მისი ცხვირი იყო! კი, კი, ნამდვილად ის ცხვირი იყო, რომელიც მუდამ პუშკინის პროფილს მაგონებდა. ქურთუკიც მისი იყო – დიდი და გაბერილი, რომელიც მთლიანად მალავდა პატრონის გამხდარ სხეულს.

და იქნებ არ იყო ის? იქნებ მე მხოლოდ ძალიან მინდოდა, რომ ეს ცხვირი, რომელიც მკვეთრად მოჩანდა მუქი ქურთუკის ფონზე, მისი ყოფილიყო? იქნებ ის მელანდებოდა, რაც მესიზმრებოდა? იქნებ ერთთვიანი მონატრებისა და დუმილის მერე უკვე მოჩვენებები დამეწყო? არა, არ იქნებოდა ის...

არა, ის იყო. ვცდილობდი, თავმოუბრუნებლად გამეპარებინა თვალი და მალულად მეთვალიერებინა უცნობის ნაცნობი ნაკვთები. ამის დედაც! ძალიან ბნელოდა. ამ ფილმში კი იმდენად ცოტა იყო ნათელი კადრი, რომელიც მის პროფილს მიაშუქებდა და ჩემს ყოყმანს ბოლოს მოუღებდა.

არა, ის იყო. ის იყო, რადგან ჩემს სხეულში ისე ვრცელდებოდა წრიული ტალღები, როგორც წყალში ქვის ჩაგდებისას. სადღაც ჭიპთან ჩნდებოდნენ ტალღები და კიდურებისკენ მიემართებოდნენ...

მერე კი მუცელში მორევი დატრიალდა.

თავი მოვაბრუნე და ისე შევხედე. ისიც მიყურებდა და რომ შევხედე, მიტრიალდა. გამეღიმა და თავი დავხარე. ტუჩებს ძლივს ვუყრიდი თავს, ენას კბილს ვაჭერდი, მაგრამ რაღაცნაირი, ყოვლისმომცველი და გიჟური სიხარული გარეთ ცდილობდა გამოღწევას. მე შებორკილი მყავდა, ვახრჩობდი და გარეთ არ ვუშვებდი. ვიჯექი გაუნძრევლად. მერე ისევ მივატრიალე თავი და შევხედე.

მიყურებდა. ჯერ სერიოზულად და დაკვირვებით მიცქერდა, მერე კი მასაც ძლივს შესამჩნევად გაეღიმა. თვალის დახამხამებაში დავფარე ჩვენი გამყოფი ორსკამიანი მანძილი, გვერდით სავარძელში ჩავესვენე და ცხვირი მის კისერში ჩავრგე.

კი, ნამდვილად ის იყო და კისერს ისევ იმ სუნამოს სუნი ასდიოდა.

.....

– აქ რა გინდა, სუფრაზე არ უნდა იჯდე ახლა? შენს დაბადების დღეზე?

– შენ რა გინდა აქ, გაკვეთილი არ უნდა გქონდეს?

– ადრე ჩავატარე გაკვეთილები.

– არ გადამიხდია დაბადების დღე. არ მინდოდა. სახლიდან წამოვედი. ხალხს ვემალები.

– გიჟი ხარ შენ!

.....

– მოდი, წავიდეთ.

– რატომ? ვიყოთ.

– მოგწონს?

– არც მაინცდამაინც, მაგრამ ბარემ ბოლომდე ვუყუროთ, მალე დამთავრდება.

– შენ რა იცი?

– ვიცი, ხო გაათავისუფლეს უკვე, ანი რაღა უნდა მოხდეს?

– არა, ჯერ უნდა მოკლან. გავიდეთ, მე მანამდეც ვაპირებდი გასვლას, მაგრამ დაგინახე და რომ ავმდგარიყავი, იფიქრებდი, რომ შენ გამო მივდივარ და დავრჩი.

– კარგი, გავიდეთ. და სად წავიდეთ?

– რა ვი, აღვნიშნოთ სადმე შენი დაბადების დღე.

.....

– რა იფიქრე, როცა შემამჩნიე?

– ჯერ ვერაფერი ვიფიქრე, შოკში ვიყავი. ნეტა აქ როგორ მოხვდა-მეთქი. კინოში რომ ვაპირებდი წასვლას, მარტო გიორგიმ იცოდა. ვფიქრობდი, დავიჯერო, ნათია გიორგის დაურეკავდა და ჩემს ამბავს ჰკითხავდა-მეთქი? ამიტომ უარვყავი ეს ვარაუდი. ძალიან გაკვირვებული ვიყავი... შენ?

– მე ძალიან გამიხარდა და თავს ვიკავებდი, რომ არ გამმღიმებოდა. ტუჩებს ვკუმავდი – აი ასე!

– ეს შენ გგონია, რომ თავს იკავებდი, თორემ სინამდვილეში ყველა კბილი გიჩანდა.

– ცუდო!

– კარგი, გეხუმრები. არაფერი ვჭამოთ ხინკლების გარდა?

– არა. ხომ იცი, შენთან არასდროს მშია... მომწონს ეს სიმღერა.

– აბა ვინ მღერის?

– ჯო დასენი. დებილი რატომ გგონივარ ხოლმე? ბავშვობაში ვუსმენდი.

– შენ თვითონ გითქვამს, მუსიკა არ მიყვარსო. ავდგეთ ახლა, სანამ ბონიემი ჩაურთავთ.

– რა უჭირს ბონიემს? თუმცა წავიდეთ...

.....

– არა, მაინც ვინ გამიჩალიჩა ეს ამბავი?

– ამან (ქაშუეთის თეთრი გუმბათისკენ გავიქნიე თავი). ვირწმუნოთ?

– მე არასდროს ვყოფილვარ ურწმუნო, ეკლესიური არ ვარ თორე...

შევხედე. ურწმუნო არ ყოფილა თურმე. არადა მეორე პაემანზე მითხრა, ჯვრისწერა არ გვექნება, რადგან ათეისტი ვარო.

– ასეთი დამთხვევები უბრალოდ არ ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მე შენი ბედი ვარ. უნდა აღიარო!

– არა, მაინც ვინ გამიჩალიჩა ეს ამბავი?

ჩახუტებულები ვისხედით თეთრად განათებული ქაშუეთის უკან და მე ვფიქრობდი, რომ სასწაულები მართლაც ხდება ხანდახან. დაბადების დღეებზე მაინც.

...ეს დაბადების დღე კი იმით დაიწყო, რომ ულამაზესმა ოლია კუხიანიძემ ცნობილ მისამართზე გამიშვა...

ვრავინ

2013 წლის 7 ივლისს, 22:29-ზე, ლაშა ლამაზი გოგოს გვერდით დაჯდა მატარებელში.

გოგო სახითაც ლამაზი იყო და მშვენიერი ტანიც ჰქონდა.

ტანი ლაშამ მაშინ შეუთვალიერა, როცა გოგო დგებოდა და ფანჯრიდან ყრიდა ნაგავს. უკანასკნელი საქციელის გამო მაინცდამაინც ზრდილობიანი არ ეთქმოდა, მაგრამ ლაშას ამისთვის არ მიუქცევია ყურადღება.

სამაგიეროდ, ყურადღება მიაქცია იმას, რომ გოგო არავის არ უყურებდა და არ აქცევდა ყურადღებას – სრულებით არავის. ხან ფანჯარაში იყურებოდა, ხან – სადღაც მიღმა, ხან კი აკაკი წერეთლის პოზაში გაირინდებოდა ხოლმე.

ლაშა გოგოს უყურებდა ყურადღებით.

მცხეთას რომ უახლოვდებოდნენ, ლაშამ რვეული ამოიღო და ლექსის წერა დაიწყო.

ლექსი გოგოზე იყო. იმაზე, თუ როგორი ლამაზი იყო, იმაზე, რომ არავის არ უყურებდა და იმაზე, რომ ლაშა ფიქრობდა გოგოზე და ფიქრობდა იმაზე, თუ რა აწუხებდა და რა სადარდებელი ჰქონდა გოგოს.

ლაშამ მარცვლები დათვალა – თანაბარი იყო. რითმასაც არა უშავდა – ორმარცვლიანს. უცებ გადაათეთრა ლექსი, ამოხია ფურცელი და ბევრჯერ-ბევრჯერ გაკეცა.

დიდუბეში, ჩასვლის წინ, ეს ბევრჯერ-ბევრჯერ დაკეცილი ქაღალდი გოგოს ჩანთაში ჩაუკუჭა და უთხრა:

– ეს ლექსია. თქვენზეა. წაიკითხეთ. არ გადაგდოთ!

გოგომ შეხედა ლაშას. სხვებმაც შეხედეს. ლაშამ სწრაფად გაიარა ვაგონი – ლანძღვისა და ყვირილის მოსმენა არ უნდოდა. ზოგიერთი გოგო ხომ ილანძღება და ყვირის. გოგოებს რას გაუგებ.

ჩასვლისას ცოტათი შეყოვნდა – ჩასასვლელთან რიგი იყო. მზის სათვალე გაიკეთა. მერე ჩავიდა და, რა თქმა უნდა, ვაგონს გამოუარა.

იმ ფანჯარას რომ მიუახლოვდა, რომლის მიღმაც გოგო უნდა მჯდარიყო, კაკუნი გაიგონა.

ლაშამ აიხედა. გოგო ხელებით და სახით მოყრდნობოდა მინას.

გოგო აიწია, თავი გამოყო ფანჯრიდან და დაუძახა:

– ვინა ხარ?

უცებ კადრები შენელდა (ლაშას კინოში ეგონა თავი).

მოიხსნა სათვალე, თავი გადაიქნია და საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად შესძახა:

– არავინ!

გაისწორა ჩამოცურებული ზურგჩანთა და გზა გააგრძელა.

მერე მთელი დღე დადიოდა და მეგობრებთან ბუზღუნებდა:

– არა, რა, რამ მათქმევინა მაინც ეს "არავინ"?

რამ მათქმევინა?! მაგრამ კინოში მეგონა თავი და...

ლექსს გვარი მოვაწერე.

ყოველთვის ვაწერ გვარს ჩემს ლექსებს.

სახელი არ მიმიწერია, მაგრამ იცის სახელი.

მობილურზე ვლაპარაკობდი და ვისაც დავურეკე, იმას ვუთხარი – ლაშა ვარ-მეთქი.

დამიმახსოვრებდა?

დაიმახსოვრებდა ჩემს სახელს?

მომძებნის?

ჰა, მომძებნის?

არა, რამ მათქმევინა მაინც ეს „არავინ", ა?

ამბავი გაცოცხლებული ჩიტისა

სკოლაში როცა ვსწავლობდი, ხშირად ვყვებოდი ხოლმე ერთ ბედნიერ ამბავს, პატარაობისას რომ შემემთხვა სამეგრელოში.

ხომ გვაქვს ყველას ჩვენ-ჩვენი სასწაულებრივი ამბები? ჰოდა, ეს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ისტორია იყო. მოგიყვებით ახლა თქვენც.

პატარა რომ ვიყავი, ერთ ზამთარს საჩინოში დიდი თოვლი მოვიდა და დიდი სიცივეები დაიჭირა. დიდებს მუხლამდე სწვდებოდა და მე – წელამდე. მეგრული ყინვა ხუმრობა არ გეგონოთ – ძვალ-რბილში ატანს ხოლმე. ჰოდა, გარეთ დიდხანს არ მტოვებდნენ, მთელი დღეები აგუგუნებულ ბუხართან ვიჯექი და შეშას მაშით ვუჩუჩხურებდი. ვიჯექი, ალმოდებულ კუნძებსა და მორებს ნაპერწკლებს ვაყრევინებდი და ამით ვერთობოდი.

ერთ დღესაც, როცა ბებიამ შეშის კონა შემოიტანა, სანამ კარს მიხურავდა, ოთახში ყინვისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავგზააბნეული პატარა ჩიტი შემოფრინდა. ავტეხე ერთი ამბავი: არიქა, ჩიტი-ჩიტი-მეთქი!

გამოენთო მოხუცი და ახალგაზრდა და დამიჭირეს ეს ჩიტი. მომცეს ხელში. ვეფერე და ვეფერე.

დედაჩემის ბიცოლამ მითხრა: თუ გინდა, ეს ბარტყი სახლში დაიტოვო, ფეხზე ძაფი უნდა გამოაბაო.

არა და არა, ცოდვაა-მეთქი, – არ ვქენი არასდიდებით.

გავუშვი ხელი. გაფრინდა ჩიტი. მიაწყდა ერთ ფანჯარას, მიაწყდა მეორე ფანჯარას, აფრთხიალდა თავრეტდასხმული, გამოფრთხიალდა უკან და ეგრევე აგუზგუზებულ ბუხარში შევარდა, პირდაპირ წითელ ნაკვერჩხლებში შესახრუკად. შეტრუსვის ხმაც კი გაუშვა ასეთი: ფშშშშშშხხ. ისეც პატარა, ერთ წამში კიდევ უფრო შეიკუმშა და დაპატარავდა ჩემს თვალწინ ნაღვერდლის სიწითლეში. სანამ ალი მოედებოდა, დედამ სტაცა ხელი მაშას და ცეცხლს გამოჰგლიჯა ბედშავი ბარტყი. მერე გარეთ გაიტანა და თოვლზე დადო.

თავადაც ბარტყი ვიყავი და სიკვდილისა ბევრი არაფერი ვიცოდი, მაგრამ გუმანით მივხვდი მაშინვე, რაღაც ცუდი და გამოუსწორებელი რამ რომ ხდებოდა. ავტეხე ზლუქუნი. ვტიროდი და ვტიროდი, ვიმდუღრებოდი, ვიკლავდი თავს. იმასაც ვხვდებოდი, ჩემი ბრალი რომ იყო ეს ყველაფერი. რომ არ დაეჭირათ ჩემთვის, სახლში რომ არ დამეტოვებინა, ან დედაჩემის ბიცოლასთვის რომ დამეჯერებინა და ძაფი მაინც რომ შემება ფეხზე, ჩიტი ბუხარში არ შევარდებოდა.

მეცოდებოდა და იმიტომ ვტიროდი, სინდისი მქენჯნიდა და იმიტომაც ვტიროდი. ერთი წლის დასახარჯი ცრემლი ერთ დღეში დავხარჯე. დავიწითლე თვალები უბედურად, ვეღარაფერს ვხედავდი გარშემო.

ამ დროს დედამ დამიძახა გარედან: ნათია, მოდი აქო! მოდი, მოდი, რაღაც უნდა გითხრაო!

მოდი, გოგო, მოდი ჩქარაო. ბარტყი დედა ჩიტმა წაიყვანაო.

გამოვბარტყუნდი გარეთ. თოვლის სითეთრემ თვალი მომჭრა და მატკინა.

აი, აქ დავსვი შენი ჩიტიო, მითხრა დედამ. მოსულიერდა ყინვაშიო. მერე მოფრინდა დედა ჩიტი, შეისვა მხარზე და გაფრინდაო.

მართლა აღარსად იყო პატარა ჩიტი. მარტო პატარა ნაჩიტარი კვალი მოჩანდა თოვლზე. გამიხარდა მე. გამიშრა ცრემლები.

გავიდა ბევრი-ბევრი წელი და ეს ამბავი სულ მახსოვდა: როგორ გადარჩა დამწვარი ბარტყი და როგორ წაიყვანა დედა ჩიტმა. ვყვებოდი და ვყვებოდი სულ ამ ამბავს. ეზოშიც მომიყოლია, სკოლაშიც, გზაშიც. ერთხელ სახლში ვუყვებოდი ვიღაცას და დედა მიგდებდა თურმე ყურს. დიდი ვიყავი უკვე, ბიჭებს ვუჟუჟუნებდი თვალებს.

რა შტერი მყავხარ, დედაო, ახლაც გჯერა ამ ამბისო?

რა-მეთქი?! – ჩამივარდა ენა.

დედა, რა გააცოცხლებდა იმ დამწვარ ჩიტს, ერთიანად იყო შეხრუკულიო. რომ გავიტანე გარეთ, ცოტა ხანში ავდექი და ჩავმარხე იქვე, თოვლში და დაგიძახე, რა მექნა აბა, კინაღამ გაგისკდა გული და რამეთი ხომ უნდა დამეწყნარებინეო.

მაშინ არ ვიცი, გამისკდებოდა თუ არა გული, მაგრამ დედაჩემის ამ სიტყვებზე კი ჩამეთუთქა. თოვლის ბაბუას არსებობა არ დამიჯერებია არასდროს და ღმერთის არ მწამებია, ერთი ის მწამდა, რომ ჩემი სისულელის გამო დამწვარი ჩიტი გადარჩა და გაფრინდა და ეგეც არ შემარჩინეს.

რა იქნებოდა, მერეც არ ეთქვა ჩემთვის სიმართლე და ბოლომდე მჯერებოდა ჩემი პატარა გაცოცხლებული ჩიტის ამბავი.

რედაქციამ შეაჯამა მარტში ჩატარებული კონკურსის შედეგები. წარმოგიდგენთ გამოსაქვეყნებლად შერჩეულ მოთხრობებს.

ჩიტებთან მოლაპარაკე

ბერდედას დღესაც ვერ უპატიებია თავისთვის ის სიტყვები, მაშინ უმამოდ გაზრდილ თავის ერთადერთ ქალიშვილს მზევინარს რო აკადრა:

– მწერელტყვეო1! რაის მაქნისი ხარ, არაფრის გამკეთე. ჩიტთ ენაის სწავლა რაში გამაგადგების? ბალღ ხო აღარ ხარ, საქმე რო ვერ გაიგ? ნეტა სრუ არ გამჩენიყავ, უხელთურო2!

...სამი წლისა იყო მზევინარი, ჩიტი რო ნახა პირველად. დილით შუკუმიდან3 შემოსული მზის სხივი თვალებზე მიელამუნა, გააღვიძა. დედა გომურში იყო საქონელთან, გარედან კი რაღაცის წიწინი ისმოდა.

მზევინარი ლოგინიდან გადმობობღდა, კართან მიფორთხდა, გამოაღო და ბანის კუთხეში ბარტყი შენიშნა. ფრინველი საბრალობლად წრიპინებდა.

მზევინარი ბარტყთან მიფორთხდა და ის იყო, ხელი წაატანა, რომ საიდანღაც დედა ჩიტი მოფრინდა, მზევინარს დაასწრო, ბარტყს დასწვდა და მაღლა აიტაცა. დედა-შვილი იქვე, ქაზდარზე4 ჩამოჯდა და ჟღურტული ატეხა.

სანამ დედამ არ მოაკითხა, მზევინარი მათ ხმიანობას უგდებდა ყურს. ის დღე იყო და ჩიტების ჟღურტულისთვის რომ არ მოესმინა, ვეღარ ძლებდა. რომ წამოიზარდა, უფრო და უფრო დიდხანს უგდებდა ყურს ჩიტთა გალობას.

ცამეტი წლისას ფრინველთა ენა უკვე კარგად „ესმოდა“ – ერთმანეთისგან შეუცდომლად არჩევდა შაშვის, ჩხიკვის, ჩიგოლიას, პრანწიას, ურნატას თუ მწყრის „ენას“, თვითონაც ბაძავდა, გამოსდიოდა კიდეც, და საქონლის მწყემსობისას საათობით „ესაუბრებოდა“ ფრინველებს.

დედა კი... ბერდედა სულ ამას უშლიდა. უძრახავდა საქციელს, ხანაც თათხავდა, ქვეჯანსა5 და სამიწეს ეძახდა თავმომწონე გოგოს.

იმ დილასაც ისეთი სიტყვები აკადრა, რომ...

მზევინარი ბილიკს თავქვე დაუყვა. დაბლა არაგვი მიხმიანობდა და შემოდგომით, საითაც ჩიტები მიფრინავდნენ, ისიც იმ მხარეს მიედინებოდა.

მზევინარმაც იქითკენ აიღო გეზი.

ბერდედა დაღამებამდე ეძებდა შვილს, ეძახდა, ემუდარებოდა, დაბრუნებულიყო, ბოლოს იაზრა: მზევინარი გამოსაზამთრებლად გაფრენილ ჩიტებს გაჰყვებოდაო უთუოდ... და დამუნჯდა.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, სამი უგრძესი წელიწადი...

1. მწერელტყვე – სულელი
2. უხელთური – დაუმორჩილებელი, გიჟი
3. შუკუმი – მცირე სარკმელი
4. ქაზდარი – ხევსურული ბანიანი სახლის სახურავი
5. ქვეჯანი – ჯიუტი

გოგი ჭინჭარაული

ნი(კა)კო(ი)

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, სამი უგრძესი წელიწადი... ჭყაპი თოვლს მისდევდა და ქარი – ხვატს, ნიკოს ყოველდღიურობის ყველაზე საპასუხისმგებლო საქმიანობა კი მზესუმზირას ჩენჩოთი სავსე თეფშის A პუნქტიდან B პუნქტამდე გადატანა იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ჰო, ასე იწყებოდა მისი დღე. ინათებდა თუ არა, ნიკო ლოგინიდან წამოხტებოდა და თავის ნოუთბუქს მიუსკუპდებოდა, სადაც, რაღა თქმა უნდა, უკვე ელოდა დაწოლამდე მომზადებული მოხალული მზესუმზირა და ჩაცხელთერმოსებული ყავა. ფეისბუკ ექაუნთის ფაციფუცით შემოწმების შემდეგ ნიკო ეძებდა ფილმს და რამდენიმე ღილაკზე რამდენიმე დაწკაპუნებით ნეტარებაში იძირებოდა. აკნაწუნებდა, წრუპავდა და მთვარისხელა გუგებით შესცქეროდა მონიტორს. მთავარი იყო, ფანჯრისკენ არ გაპარვოდა თვალი.

ერთხელ, როცა ნიკო რომელიღაც თამაშის დისკს ეძებდა, თაროდან რვეულები გადმოცვივდა და ერთიდან შემოდგომის ჩაჰერბარიუმებული ყვითელი ოცნება გადმოვარდა. სისხლმა – ჩქეფას, გულმა – ფეთქვას, ნერვმა ტოკვას უმატა! რა ლამაზი იყო, ის ოხერი. ნაკადულივით ანცი და ვარსკვლავივით ციმციმაო, იტყოდნენ მასზე მოხუცი პოეტები. ქერა, თითქმის გამჭვირვალე თმით და საყვარელი ტუჩისკუთხა ღიმილით. გაურკვეველფერა თვალებით. ჰაერი იყო, ტანგო იყო, წითელი ღვინო და მწვანე თვლემა. ნიკოსი იყო და „სთან“ და „სთვის“ და... დამთავრდა. ჰეეჰ, მაინც დამთავრდა! იგიჟმაჟა ალივით და მინავლდა, მინაკვერჩხლდა, ქარს გაჰყვა შემოდგომის ყვითელ ოცნებასავით.

გამოფხიზლდა და სარკეში საკუთარ გამომეტყველებას შეეფეთა. პირდაფჩენილ თევზს ჰგავდა, მიწაზე სულთმობრძავს.

ჰაჰა! – შესცინა მტვრიან ანარეკლს, „ჩენჩოთეფშა“ აიღო და ფრთხილი ნაბიჯით გაუყვა გრძელ დერეფანს B პუნქტამდე.

დოდო ბაკურაძე

მგელი

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, სამი უგრძესი წელიწადი... მაგრამ მე გუშინდელივით მახსოვს იმ ღამის იდუმალი სუსხი, სველი ხეების შრიალი, სარეკლამო აბრების შუქი და ავტობუსი, რომელშიც მეგობართან ერთად ავედი. პირველი გარდასახვა სწორედ იმ წუთებში მოხდა, საუბრით გართული, ბილეთის აღებას რომ ვაპირებდი ბარათით... არაამქვეყნიურმა სიმხურვალემ შიგნიდან დამწვა. ვიგრძენი, რომ ვიცვლებოდი... მეგობრის თვალებში დანახული შიში ჩემს გარეგნობაში გაჩენილ ცვლილებებს ირეკლავდა. ტკივილმა ძირს დამაგდო, დავიკრუნჩხე და არაადამიანური ძალის მოზღვავებამ წამლეკა... ახლაც ჩამესმის მგზავრთა განწირული კივილი, ცოცხლდებიან შიშისგან შეშლილი სახეები... მეგობარი ბასრი ეშვებით დავფლითე და როგორც სისხლიან ბადეში, ისე გავიხლართე კოშმარულ ქაოსში. დაცარიელებული ავტობუსის ფანჯარა ხმაურით გავამტვრიე და ასფალტს თათები რომ მივაწვდინე, გავიგონე, როგორ მესროლეს... გავიქეცი. ბეწვში ტკივილი ჟონავდა, მაგრამ გავრბოდი...

ბოლოს უკაცრიელ სიჩუმეში ჩავიძირე. თვალი რომ გავახილე, ტყის გრილი ნიავი ეფერებოდა ჩემს დაკაწრულ, შიშველ სხეულს. კვლავ ადამიანი ვიყავი... ნატყვიარი მდინარის წყლით მოვიბანე...

ახლა საწოლში ვწევარ, უხმოდ ვათვალიერებ დაბზარულ ჭერს, რომელზეც ღამის სიჩუმე თვლემს და საკუთარ „მე"-ს ვეძებ. ვინ ვარ მე? ადამიანი თუ მხეცი? იქნებ ორივე ერთად? მიჭირს გავერკვე, რომელში მეტია სისასტიკე – ადამიანში თუ ცხოველში.

– შენ მგელი ხარ და ვეღარაფერს შეცვლი! – ახლოდან ჩამესმის იმ მეგობრის ჩურჩული, სამი წლის წინ რომ დავგლიჯე ავტობუსში.

მალე გათენდება...

გიორგი დოლიძე

იყო და არა იყო რა...

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, სამი უგრძესი წელიწადი, ის კი ისევ მიდიოდა და გაიძახოდა: მუჭანახევარი, მუჭანახევარიო. შემოხვდა მგელი. ჩემი ცხვრები არ გინახავსო? არა, ჩემმა მზემაო! აბა, კბილები დაკრიჭეო! ჰქონდა ჩიჩია. მისცხო და მისცხო კომბლემ კომბალი, ვიდრე პირიდან წითელქუდა არ ამოაგდებინა. დაჯდა გოგონა და ატირდა: დედინაცვალმა სახლიდან გამომაგდოო! ჩქარა, შემაჯექი ზურგზე და გავიქცეთო! მირბის წიქარა, მიარბენინებს მეგობარს. მიადგნენ ქოხს. დედაბერმა გამოსძახა: შვილო, სახლი დამიგავეო. შენ რომ ჩემთვის წიწილა არ მოგიყვანიაო? რწყილი ახტა, დახტა და მივიდა კრუხთან. კრუხმა მისცა ნახევარწიწილა. წამოვიდნენ ერთად. შემოხვდათ მამალი. გვრიტო, გვრიტო, სად მიდიხარო? ჩემი შვილების გამოსახსნელადო. მეც შენი მშველელი ვიქნებიო. გაჰყვა მამალიც. მიადგნენ მინდორს. ამოუშვა ნახევარქათამამ ზღვა. მოვიდა მებადური. დაიჭირა თევზი. უცებ თევზმა ენა ამოიდგა: გამიშვი და ბედსა გწევო. გადააგდო წყალში. მოიხედა და – ბროლის სასახლე არ წამოჭიმულა?! შევიდა. ხედავს, სულ ოქროსფრად ლაპლაპებს ყველაფერი. ბუხართან კაცი მიმჯდარა და ნაცარს ქექავს. მიუსხდნენ სუფრას. შუა ჭამაში რომ იყვნენ, დევმა დააცემინა. როგორ გაბედე ჩემთან დაცემინებაო? – ჩამოსძახა ნაცარქექიამ. აიხედა დევმა და რას ხედავს: ხის კენწეროზე კოკროჭინა შემომჯდარა, აუვსია უბე ვაშლით. დაუშინა კოკროჭინამ დედაბერს ვაშლები. დედაბერმა ასძახა: თუ შნო გაქვს, შენი და-ძმები ასთავიანი დევისგან გამოიხსენიო! წავიდა ასფურცელა და-ძმის საძებნელად. ცხრა მთა გადაიარა, იქ კი კაცი მიდიოდა და გაიძახოდა: მუჭანახევარი, მუჭანახევარიო!

მას შემდეგ სამი გრძელი წელიწადი გავიდა, ან იქნებ სამასი, ან, სულაც, სამი ათასი, ყველაფერი კი ისევ ისეა:

ჭირი – ისევ იქა,
ლხინი – ისევ აქა,
ქატო – ისევ იქა,
ფქვილი – ისევ აქა!..

ირმა იაკობიშვილი

შევხვდები მარსს!

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, სამი უგრძესი წელიწადი. ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვიქეცი გულწრფელად და ყველა მათგანმა სულელად ჩამთვალა; თუმცა „სიყვარულით“, მაგრამ მაინც დამცინოდნენ.

მთელი არსებით ვგრძნობდი თითოეულ ბაგეზე გამსკდარ ღიმილს, სხივს დაცინვისას.

არაფერი მაკავშირებს, შორს ვდგავარ მათგან... მარტო დავაბიჯებ და ვთელავ დედამიწას.

მე უბრალოდ ვთქვი: „ზეგ გავფრინდები მარსზე“. ჩემი სიტყვები მთელ სუფრას მოედო. მესმოდა, როგორ იმეორებდნენ უცნობი ბაგეები ოცნებას, რომელსაც წამის წინ მხოლოდ მე ვფლობდი.

საყვარელი ქალიც დამცინოდა. ისიც სხვებივით მოექცა ბავშვობიდან გამოყოლილ არდავიწყებულ ნატვრას. „სხვას რა მოვთხოვო... ახლა ისიც სხვაა...“

მხიარულობდნენ ადამიანები ირგვლივ, სადღეგრძელოები არ ილეოდა. ვგრძნობდი, აქ აღარ გამეჩერებოდა. „მე გავფრინდები მარსზე!“ – მინდოდა მეყვირა, პირში მიმეხალა ყველასათვის, მაგრამ არ ღირდა. გაქცეულ სიტყვას აზრს ვერ შევძენდი და ვერც სხვის თვალში შევიცვლებოდი – მე ხომ ვიყავი კაცი, რომელმაც ამ საღამოს ბევრი დალია...

გამოვიხურე კარი და გამოვედი. ფეხდაფეხ მომყვებოდა ის. არ ვიცი, რას გრძნობდა. ხელი მომკიდა... მივუბრუნდი და მთელი არსებით ვუყვირე: „მე მივფრინავ მარსზე და ვეღარ მნახავ!“

არ ღირდა იმ ქალთან ცხოვრება, რომელსაც არ სწამდა შეუძლებელის არსებობა...

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩალაგებული ჩემოდნით ველი, როდის გავფრინდები... და შევხვდები მარსს, რომელსაც მოვუყვები, არავის რომ არ სჯეროდა ჩემი ოცნების ასრულების. მარსი კი, თავის მხრივ, დედამიწას გადმოსძახებს: „მიეცით ადამიანებს ოცნების უფლება!..“

მარიამ ჯინჯიხაძე

გოლგოთა

მას შემდეგ სამი წელი გავიდა, სამი უგრძესი წელიწადი...

გადაჩვეოდა ლაპარაკს, ცოტას ჭამდა, ხან სულაც ავიწყდებოდა; გამუდმებით რაღაც სტკიოდა – ისე ძალიან, თითქოს სული ეწვოდა.

ოღონდ ეს იყო – ტირილი არ შეეძლო.

ბოღმა ახრჩობდა და მაინც ვერ ტიროდა,

ისე, სულ უბრალოდ წაიღიღინა, მერე ხმას აუწია, მერე გიჟივით გაეცინა თავის სიტყვებზე, კარგა ხანს იცინოდა, სანამ ასეთმა მხიარულებამ თვალები არ მოუწყლიანა საბოლოოდ.

„გოლგოთისკენ მიმავალო ქარო...“ – თავისთვის ღიღინებდა.

– უსაქმური, უსაქმური, – მიადევნა მეზობელმა კიბეზე ჩასვლისას, აი, იმ მეზობელმა, მუდამ თავი რომ ჰქონდა წაკრული და, ოთხად მოკეცილი, დილაობით მხიარულად აწიოკებდა ეზოს.

გაეღიმა, მხრები აიჩეჩა. მიხვდა, დილიდანვე დაითარსა – კიდევ არაფერს დაუბეჭდავდნენ. არადა სამი წელი გავიდა... ხომ ცდილობდა, ხომ წერდა, ხელები უკვე სტკიოდა, თითქოს ლურსმნებს აჭედებენო.

„გოლგოთიდან სამოთხისკენ მიმავალო ქარო...“ – კვლავ უცნაურად აეკვიატა. არადა არ სწამდა სამოთხის.

მხოლოდ ყორნების ჩხავილი აფრთხობდა.

– ისეთი აწურული დადიოდა ხოლმე, მორიდებით, – იხსენებდა კიდევ სამი წლის შემდეგ თავწაკრული მეზობელი, ოღონდ ამჯერად წელში ამაყად გამართულიყო, რამდენადაც შეეძლო, და თვალებს ისრესდა ხელსახოცით, – ისეთი სათნო... უწყინარი... არა, განა არ ეტყობოდა, ასეთ წიგნებს თუ დაწერდა... ყველა მაგაზე მეკითხება, ჩემი მეზობელი იყო, ჩემი... აქ გაიზარდა, ჩემ ხელში... რაო?! ვინ გითხრათ, ბატონო, მაგის მშობლებსაც კი ვიცნობდი, მაშ!

ადგილი კი ძვირი დაუჯდათ საფლავისთვის, მაგრამ მაინც დიდი ზარ-ზეიმით მიაბარეს მიწას და დღესაც ხომ ნაირ-ნაირ იუბილეს უხდიან, აი, ისეთს, ჩიტის რძეც რომ არ აკლია სუფრას.

აბა, მართლა გოლგოთაზე რა უნდოდა ამ ერთი ციდა კაცს?!

მარიამ გიგაშვილი

ი. ს. ს.-ს

დაკარგული პროფილი



ფრანსუაზ საგანი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული პალიტრა“, №3, 2014 წ.

მეორე დილას კლინიკაში მისვლამდე შევიარე ედვარდ ჰუპერის, ამერიკელი მხატვრის, გამოფენაზე, რომლის მიმართაც განსაკუთრებულ სიმპათიას ვგრძნობ. მთელი საათი ვიოცნებე ეული გმირებით დასახლებული მელანქოლიური ტილოების წინ. განსაკუთრებით დიდხანს შევჩერდი „ზღვის დარაჯების“ წინაშე. ქალი და კაცი სხედან გვერდიგვერდ. თვალში საცემია მათი სრული განრიდებულობა, განდგომილება. კუბის ფორმის სახლის წინ სხედან და ზღვას გასცქერიან. მომეჩვენა, რომ ეს სურათი ჩემი და ალანის ცხოვრების შეუბრალებელი პროექცია იყო.

პირი გაეპარსა. ნორმალური სახის ფერი ნელნელა უბრუნდებოდა. გაქრობოდა დაბნეული და მავედრებელი გამომეტყველება. სხვა გამოხედვა ჰქონდა, ასეთი ნაცნობი – უნდო და ბოროტი. დაჯდომა ძლივს მოვასწარი:

– მაშ, სახლიდან წამოხვედი და იულიუს ა. კრამის დაჯავშნილ ნომერში ცხოვრობ? ის რა, შენთან ერთად ჩამოვიდა?

– არა, თავისი ნომერი დამითმო და რაკი მე და დედაშენი, როგორც იცი, ცუდად ვეწყობით ერთმანეთს...

არ დამამთავრებინა.

ლოყები აუწითლდა, თვალები აენთო.

ისევ შევნიშნე ნაღვლიანად, როგორ ალამაზებდა ეჭვიანობა. არსებობს – გაცილებით მეტი, ვიდრე ჰგონიათ – უცნაური ჯიშის ხალხი, წონასწორობას მხოლოდ ბრძოლაში რომ მოიპოვებენ.

– მე სულელს კი მეგონა, საგანგებოდ ჩემს სანახავად ჩამოხვედი. აი, ის კი გიჟი არ არის, რომ ორ დღეზე მეტხანს დაგტოვოს მარტო. როდის ჩამოდის?

წონასწორობიდან გამომიყვანა. ვერ ვიტანდი მის ინტუიციას, ერთსა და იმავე დროს სწორიც რომ იყო და მცდარიც. ისევ იმ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, გამუდმებით რომ ვიყავი ჩვენი ცოლქმრობისას: ყოველთვის ეჭვქვეშ და ყოველთვის დამნაშავე. ვეცადე მეხუმრა. ჰუპერზე მოვუყევი, ნიუ-იორკზე, თვითმფრინავზე, მაგრამ არ მისმენდა. თავის საყვედურებს დაუბრუნდა, მე კი, ერთსა და იმავე დროს გაცეცხლებულმაც და შვებამოგვრილმაც, გავიფიქრე, რომ ჩვენი დაშორება აუცილებელი იყო. ჩვენი გუშინდელი შეხვედრა, ასე რომ მომიკლა გული და თანაც გული ამიჩუყა, მხოლოდ გაუგებრობა იყო, რომლის მიზეზი მარტო ჩემი სიბრალული უნდა ყოფილიყო.

მეტისმეტად კარგად ვიცოდი, რომ სიბრალული არ შეიძლება სასიყვარულო ურთიერთობის საფუძველი იყოს, ის მას აჭკნობს და კლავს.

– კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, – უკანასკნელად გავიბრძოლე, – მშვენივრად იცი, რომ ჩემსა და იულიუსს შორის არავითარი ფიზიკური სიახლოვე არ არის.

– ჰო, აბა რა, ჩემს დროს უფრო ლამაზებს ირჩევდი.

– მე არავინაც არ ამირჩევია, როგორც შენ ამბობ, შენს დროს. ორი შემთხვევა იყო და ისინიც – შენი პროვოცირებული.

– ყოველ შემთხვევაში, იულიუს ა. კრამმა თავისი ფრთის, თავისი ოქროს ფრთის ქვეშ შეგიფარა. და ეს, როგორც ჩანს, მოგწონს. და მერე, – უცებ ძალიან რიხიანად დაუმატა, – მე რა, მასთან გძინავს თუ არა? გამუდმებით ხვდები, ელაპარაკები. ურეკავ, უღიმი. ჰო, უღიმი და ელაპარაკები ვიღაცას და არა მე! თუნდაც თითის წვერიც არ დაეკარებინოს შენთვის – სულერთია!

– გინდოდა, შენი წამოსვლის წინა ბოლო

კვირები დაგვბრუნებოდა? თავის გალიაში ჩაკეტილი ორი ბორგნეული შეშლილი – ასეთ ცხოვრებაზე ოცნებობ?

თვალს არ მაცილებდა.

– დიახ, ორი კვირა მთლიანად მე მეკუთვნოდი, როგორც იმ უკაცრიელ პლაჟებზე, სადაც მიმყავდი ხოლმე, სადაც არავის იცნობდი. მაგრამ მეორე კვირის ბოლოს უკვე იჩენდი ნაცნობ მეთევზეებს, კაფეს სტუმრებს ან ოფიციანტებს და ისევ სხვაგან უნდა წავსულიყავით. არ დარჩენილა ბარბადოსის და გალაპაგოსის არც ერთი კუნძული, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით. მაგრამ სხვა კუნძულებიც არის, სადაც შენ არ ყოფილხარ, სადაც წაგიყვან თუნდაც ძალით, თუ დამჭირდა.

მისი ხმა ღრენას დაემსგავსა, სახე ოფლით დაეცვარა და ნამდვილი გიჟის გამომეტყველება მიიღო. შეშფოთებული სკამიდან წამოვდექი. სანიტარი ქალი შემოვიდა სწრაფად, მაგრამ მშვიდად. ხელში შპრიცი ეჭირა. ალანი უძალიანდებოდა. მაშინ მან დარეკა და სანიტარი მამაკაცი გამოიძახა. მანიშნეს, გავსულიყავი.

დერეფანში კედელს მიყრდნობილი ვიდექი. გულს მაზიდებდა. ალანი კუნძულების, ბრაზილიის პლაჟებისა და ინდოეთის პროვინციების სახელებს გაჰკიოდა. ხმა სულ უფრო შემზარავი უხდებოდა. ყურებზე ხელები ავიფარე. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. სანიტარი გოგონა გამოვიდა პალატიდან. სახე წელანდელივით მშვიდი ჰქონდა.

– მშვენიერ მდგომარეობაშია, – მითხრა. მომეჩვენა, რომ საყვედურით მიყურებდა.

მორჩა. მეტი აღარ შემეძლო. შევტრიალდი და ბარბაცით გავედი კუტიკარში. ისევ სიჩუმე გამეფდა. ალანმა რაც უნდა მითხრას, მე მას აღარ ვნახავ. შეუძლებელია. შეუძლებელია. ეს სიტყვები მდევდა სასტუმროს ნომრამდე. კარს ხელი ვუბიძგე. იულიუსის მდივანმა, ბარგს რომ ხსნიდა, დაბნეულად შემომხედა. მერე საძინებლიდან იულიუსი გამოვიდა. მე თვალცრემლიანი მივვარდი და კისერზე ჩამოვეკიდე. ჩემზე დაბალი იყო და მხარზე რომ დავყრდნობოდი, ცოტა დახრა მჭირდებოდა. ჩვენი სილუეტები ალბათ წვერწაჭრილ ხეს ჰგავდა პატარა, მაგრამ მაგარ საბჯენშეყენებული, გასწორებას რომ ლამობდა.

...

ნასოში შესანიშნავი თეთრი პლაჟია, მზე – მცხუნვარე, წყალი – თბილი და გამჭვირვალე. ჰამაკში ჩაწოლილი შელოცვასავით ვიმეორებდი ამას, თითქოს მინდოდა დამეჯერებინა ის, რასაც ირგვლივ ვხედავდი. არაფერი გამომდიოდა. ყველა ეს სიკეთე ოდნავაც არ მაბედნიერებდა, ფიზიკურადაც კი. მთელი ის სამი დღე, რაც აქ გავატარე, რომელიღაც ვერაგი მხეცუნა მიფუთფუთებდა ტვინში. ჩამჩიჩინებდა: „აქ რას აკეთებ? რატომ? ხომ მარტო ხარ!“ მაგრამ სწორედ მარტოობისას განვიცადე არაჩვეულებრივი, თითქმის ბუნებრივი ბედნიერება, როცა დამაბრმავებელი, კონცენტრირებული, თვალისმომჭრელი გაცისკროვნებისას უეცრად შეიგნებ, რომ ცხოვრება მშვენიერია, რომ მთლიანად და უპირობოდ, უცილობლად გამართლებულია სწორედ ამწუთას მხოლოდ შენი არსებობის უბრალო ფაქტით, სხვა მომენტებში კი ბედნიერების თანაგანცდა გიხდება ვინმე სხვასთან. მე მგონი, ასეთი მომენტი გაცილებით მეტი იყო. თითქოს იმისთვის, რომ აღმოაჩინო სულ მცირე. უმნიშვნელო მოლეკულა ბედნიერებისა, ისეთი მიკროსკოპია საჭირო ამ გრძნობათა დასაჭერად, რომელშიც ფოკუსირდება ორი წყვილი თვალის სხივები. მაგრამ ახლა ჩემს მზერას საკმარისი ძალა არ გააჩნია, სხვათა დაუხმარებლად აღადგინოს ეს თვალისმომჭრელი სინათლე.

იულიუსი, სიცხისა რომ ეშინია, საქმიან დისკუსიებს სასტუმროების დიდებულ, კონდიციონერებით აღჭურვილ სალონებში მართავს. როცა იულიუსი, მადმუაზელ ბარო და მე ტრაპეზის დროს ვიკრიბებოდით, იულიუსი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, ჩემი რუჯი შეექო. თვითონ ძალიან ფერმკრთალი იყო და დაღლილი ჩანდა. უამრავ წამალს ყლაპავდა – თეთრ, წითელ და ყვითელ აბებს, რომელთა მარაგიც ნიუ-იორკში შეივსო. დროდადრო მბრძანებლური ჟესტით მოითხოვდა რომელიმეს და საბრალო მადმუაზელ ბარო შეშფოთებული შესცქეროდა. მე პირადად წამლები შიშის ზარს მცემს, მაგრამ ნართაულად, გადაკვრითაც კი ვერიდებოდი ამის თქმას ძველმოდური მორცხვობის გამო. ჩვენს დროში ხომ ყველას შეუძლია, გატაცებით და დაწვრილებით აღწეროს საკუთარი ორგანიზმის თუნდაც სულ მცირე დარღვევები. მედიკამენტების ასეთი ჰიპერტროფიული მოთხოვნილება მაშფოთებდა და როცა, როგორც იქნა, გავბედე და ვკითხე მადმუაზელ ბაროს, ტუჩებმოკუმულმა გამომიწოდა მატონიზებელი და საძილე პრეპარატებისა და ტრანკვილიზატორების გამაოგნებელი სია. გაოცებული დავრჩი – იულიუსს, მოუწყვლელსა და ყოვლისშემძლე საქმოსანს, დამამშვიდებელი მედიკამენტები სჭირდება?! დახმარება სჭირდება ჩემს მფარველს?! ქვეყნიერება ამოტრიალდა. მე ვიცოდი, რომ დედამიწის მოსახლეობის ცხრა მეათედი წამლებს მოიხმარს. ის, რომ იულიუსსაც სჭირდება ისინი გადაღლილობისა და მარტოობის გამო, სავსებით ლოგიკურია. მაგრამ მასში პირველად აღმოჩენილმა წონასწორობის დარღვევამ შემაშინა. უკვე დიდი ვიყავი და ვიცოდი, რომ ბეტონის ფენის ქვეშ ქვიშაა, ქვიშის ქვეშ – ბეტონი და რომ არსებობის სირთულეები ყველასთვის ერთნაირია. გავიფიქრე: ნეტავი როგორი იყო იულიუსის ბავშვობა, ადრინდელი ცხოვრება? ვცდილობდი, მის ბუნებას ჩავწვდომოდი. დროულიც იყო. უნდა მცოდნოდა, ამდენ სიკეთეს ჩემ მიმართ ვინ იჩენდა.

სინდისის ქენჯნის ამ ხანმოკლე მომენტს თუ არ ჩავთვლით, ისტერიული ამერიკელი ქალებითა და სისხლნაკლული საქმოსნებთი გაჭედილ კარიკატურულ ნასოში საშინელი მოწყენილობა სუფევდა. საბედნიეროდ, ურიცხვი აუზის წყალობით, ზვიგენებისა და მიკრობებისგან დაცვის გარანტიას რომ იძლეოდნენ, ზღვა ჩემს განკარგულებაში იყო. თუმცა პლაჟზე მუდმივი მარტოობა ხანდახან მიმძიმდა, ეს მიჩლუნგებდა გრძნობებს და საავადმყოფოს პალატაში ალანის ყვირილიც თანდათან სუსტდებოდა. ყოველგვარი

ფრანსუზ ს

მოუთმენლობის გარეშე, მშვიდად ველოდი, როდის შეუწყობდა ჩემი ორგანიზმი ხმას ბუნებას ან როდის დავბრუნდებოდით პარიზში. საღამოები შესანიშნავი იყო. ზღვასთან სულ ახლოს დგამდნენ მაგიდებს და უხილავი პიანისტი ბანჯოს თანხლებით ასრულებდა ძველებურ მელოდიებს, ოდესღაც კოლ პორტერს დიდება რომ მოუტანა. ნავახშმევს სასტუმროს მცირერიცხოვანი ბინადარნი ჰამაკებში გადაინაცვლებდნენ და ტკბებოდნენ ზღვით, მთვარითა და ტალღების უწყვეტი დუდუნით. ერთ-ერთ ასეთ საღამოს იულიუსს შტრაუსის ვალსის მოსმენის ახირებული სურვილი გაუჩნდა. პიანისტს ხის ესტრადაზე მივაგენი, წყალთან სულ ახლოს. თხოვნისას ხმა ჩამიწყდა, ისე არანორმალურად ლამაზი იყო. ისეთი შავთმიანი, ისეთი მოხდენილი, ისეთი უზრუნველი, ისეთი თავდაჯერებული მეჩვენა! ერთმანეთს გულწრფელად შევხედეთ, რაც ძალიან იშვიათად მემართება უცნობ მამაკაცთან. ასეთი შეხედვა, გაგრძელება მოჰყვებოდა თუ არა, ურთიერთგაგების აშკარა ნიშანი მაინც იყო. პიანისტმა ვენური ვალსის დაკვრა დაიწყო, მე კი მაშინვე გამოვბრუნდი და თან ჩემს ჩადენილ თუ მომავალ თავქარიანობაზე მეცინებოდა. მერე პიანისტი გადამავიწყდა, მაგრამ ამ შემოხედვამ წამით ჩემში იმის შეგრძნება გამოაღვიძა, რომ ქალი ვარ, რომ საჩუქარი ვარ და ვცოცხლობ.

მეორე დღეს იულიუსს პლაჟზე გული წაუვიდა. ჩემს ჰამაკთან მოვიდა, რაღაც წაიბუტბუტა სიცხის შესახებ და უცებ პირქვე დაეცა. ჩემს ფეხთით იწვა ჰალსტუხიანი, ზღვისფერ მოკლე ბლაიზერსა და ნაცრისფერ შარვალში გამოწყობილი. კიდევ კარგი, სძულდა შორტი, რომელსაც სასტუმროს ზოგიერთი აქოშინებული მდგმური ამოიცვამდა ხოლმე. თვალისმომჭრელ პლაჟზე გაშხლართული ეს პატარა, მუქი სხეული თითქოს რომელიღაც სიურეალისტის ნახატიდან გადმოსულიყო. მივვარდი. კიდევ ვიღაცამ მოირბინა და იულიუსი თავის ოთახში ავიყვანეთ. ექიმი გადაღლაზე, დაძაბულობაზე ლაპარაკობდა... მადმუაზელ ბაროსთან ერთად თითქმის მთელი საათი ველოდე, სანამ ოდნავ მაინც მოვიდოდა გონს. როცა დამიძახა, შევედი და საწოლზე ფეხთით ჩამოვუჯექი, როგორც ავადმყოფ ბავშვს. საშინლად მებრალებოდა. ბაცი ნაცრისფერი პიჟამა ეცვა და იქ, სადაც ყელი იწყება, ბალანის ნასახი არ უჩანდა. უსათვალო ცისფერ თვალებს შეშინებული ახამხამებდა. ისეთი დაუცველი ჩანდა! პატარა მოხუცი ბიჭი... წამით თავი უხერხულადაც კი ვიგრძენი, რომ არც სათამაშო მოვუტანე და არც ნამცხვარი.

– ძალიან ვწუხვარ, ალბათ შეგაშინეთ.

– ძალიან შემეშინდა, – გამოვტყდი, – უნდა დაგესვენათ, იულიუს, სანაპიროზე გესეირნათ, ცოტა მაინც გებანავათ.

გაწითლდა.

– მთელი სიცოცხლე მეშინია წყლისა. მართალი გითხრათ, ცურვაც არ ვიცი.

ისეთი დამწუხრებული მიყურებდა, რომ გადავიხარხარე.

– ხვალ აუზში გასწავლით, – დავპირდი. – ყოველ შემთხვევაში, დღეს არ იმუშავებთ. ჰამაკში მშვიდად იჯდებით ჩემ გვერდით და ზღვით დატკბებით. თქვენ ხომ ისიც კი არ იცით, რა ფერია.

თავი სოცუზრუნველყოფის სამსახურის მუშაკი მეგონა. ის კი დუნედ, მძიმედ მიქნევდა თავს, აღფრთოვანებული იყო ალბათ, რომ ერთხელ მაინც ვიღაც მის ნაცვლად იღებდა გადაწყვეტილებას.

დაქვემდებარება, დამოკიდებულება, ისევე როგორც მისი საპირისპირო მდგომარეობა, ეტყობა, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა. ექიმის ნებართვით, მადმუაზელ ბაროს დახმარებით საბანში შეფუთნილი იულიუსი თოკის დიდ ჰამაკში ჩავაწვინეთ, სადაც თითქმის ჩაიძირა.

მის გვერდით მოვეწყვე და წიგნი გადავშალე. მეგონა, დაღლილი იყო და სიჩუმე სჭირდებოდა.

– კითხულობთ? – წუწუნით მკითხა.

– არა, – თვალთმაქცურად ვუპასუხე და წიგნი დავხურე.

ლაპარაკი იყო საჭირო. გონებაში უკვე მომზადებული მქონდა მოკლე ქადაგება წამლების ბოროტად გამოყენებით მიღებულ ზიანზე. მაგრამ იმავე წუწუნა ხმით შემაწყვეტინა. მხოლოდ მის თმას, საბანს და ხელებს ვხედავდი, მაგრად რომ ებღაუჭებოდა ჰამაკის ნაპირებს, თითქოს მოყანყალე კანოეთი მიცურავდა.

– მოგწყინდათ?

– არა, რატომ? აქ ისეთი სილამაზეა, თანაც, ვგიჟდები უსაქმურობაზე.

– გამუდმებით მეშინია, რომ მოიწყენთ. თუ შევამჩნიე, რომ ასეა, საშინელება იქნება.

– რატომ? – მხიარულად შევეხმიანე.

– იმიტომ, რომ რაც გაგიცანით, მე მოწყენილი აღარ ვარ ხოლმე.

ცოტა გაუბედავად ჩავილაპარაკე, ძალიან სასიამოვნოა-მეთქი. ამ თემის გაგრძელებისა შემეშინდა.

– მას შემდეგ, რაც გაგიცანით, – იულიუსის ხმა – არ ვიცი, გაუბედაობის, რიდისა თუ საბნის გამო – ოდნავ ყრუ მეჩვენა, – მას შემდეგ, რაც გაგიცანით, მარტოობა აღარ მიგრძნია. მუდამ ძალიან ეული ვიყავი – რა თქმა უნდა, ჩემი ბრალი იყო. ხალხთან ლაპარაკი არ ვიცი. არ ვიცი, შიშს ვიწვევ თუ ანტიპათიას. განსაკუთრებით – ქალებთან. მათ მიაჩნიათ, რომ რაც მათგან მინდა, ან მეტისმეტად მარტივია, ან მეტისმეტად უმნიშვნელო. ან იქნებ ქალებთან უმნიშვნელო ადამიანივით ვიქცევი, არ ვიცი.

ხმას არ ვიღებდი.

– ან იქნებ, – ჩაიცინა, – ქალები მხვდებოდნენ უმნიშვნელო. და მერე, სულ საქმეებით ვარ დაკავებული. ამ სფეროში, იცით, მშვიდად ცხოვრება შეუძლებელია. ხელი თუ შეუშვი, ყველაფერი დაიღუპება. გამუდმებით უნდა იფხიზლო და დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება, თუნდაც არ გაინტერესებდეს. აი, ასე, წელებზე ფეხს იდგამ და კაცმა არ იცის, რისთვის.

– თქვენზე იმდენი ხალხია დამოკიდებული. ბუნებრივია, ეს გაწუხებთ.

– რა თქმა უნდა, დამოკიდებულნი არიან. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
N4 აპრილი 2014
71
ფრანსუაზ ს

იმწუთას, როცა ქებას ვასხამდი ველურ ნარგიზს, ვიღაცამ ვიტრინაზე დააკაკუნა. შევტრიალდი და მამაკაცი დავინახე. ტროტუარზე იდგა და ირონიული ღიმილით საჩვენებელ თითს შუბლზე იკაკუნებდა. პანტომიმამ, მე და ძაღლს შორის ხუთი წუთი რომ მიმდინარეობდა, ეტყობა, გაამხიარულა და მეც ღიმილით ვუპასუხე. ერთმანეთს მზით განათებული უსარგებლო მინის აქეთ-იქიდან ვუყურებდით. ძაღლი უფრო ხმამაღლა აყეფდა. ლუი დალემ კარს უბიძგა, ხელი ჩამკიდა და გაშვებას არც აპირებდა. უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე პირველად მომეჩვენა.

– არავინ იყო, – ვუთხარი, – სასაცილოა... მაღაზია ღიაა...

– ესე იგი სხვა არაფერი დაგვრჩენია, წავიყვანოთ ძაღლი და ერთი ვარდი ავიღოთ, – გადაწყვიტა მან.

ამოაძრო ერთი ვარდი და გამომიწოდა, ძაღლმა კი, იმის ნაცვლად, რომ ქურდობა დაეძრახა, კუდი ააქიცინა. ის პოსტზე დავტოვეთ და მზეზე გავედით. ლუი დალეს ისევ ჩაკიდებული ჰქონდა ხელი და ეს სავსებით ბუნებრივი მეჩვენებოდა. მონპარნასის ბულვარზე გავედით.

– ვგიჟდები ამ კვარტალზე, – მითხრა მან. – ეს ერთ-ერთი ის იშვიათი ადგილია, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება ნახო, როგორ ყიდულობენ ქალები ყვავილებს ძაღლებისაგან.

– მეგონა, სოფელში იყავით. დიდიე მიყვებოდა, რომ ვეტერინარად მუშაობთ.

– ხანდახან ჩამოვდივარ პარიზში ძმის სანახავად. დავსხდეთ?

პასუხისთვის არ დაუცდია, რომელიღაც კაფეს ტერასაზე დამსვა მაგიდასთან. ცალი ხელი ჩემს მუხლზე ედო. ჯიბიდან სიგარეტის პაკეტი ამოიღო. საშინლად მომწონდა მისი ბუნებრივი მოძრაობები.

– ჰო, მართლა, ახლახან ჩამოვედი და დიდიე ჯერ არ მინახავს. როგორ არის?

– მხოლოდ ტელეფონით ველაპარაკე. მეც ორი დღეა, რაც ჩამოვედი.

– სად იყავით?

– ნიუ-იორკში და მერე – ნასოში.

წამით შემეშინდა, რომ იულიუსზე ისევე მკვახედ დამიწყებდა ლაპარაკს, როგორც ჩვენი პირველი შეხვედრისას. მაგრამ არა, უზრუნველი, ბედნიერი და მშვიდი ჩანდა. გაახალგაზრდავებულიც კი მეჩვენა.

– მართლა, როგორ გარუჯულხართ.

მომიბრუნდა და ამათვალიერ-ჩამათვალიერა. საოცრად ღია ფერის თვალები ჰქონდა.

– დიდხანს იმოგზაურეთ?

– ქმრის სანახავად ვიყავი. ავად არის...

ენა დამება. უცებ მომეჩვენა, რომ ნიუ-იორკის კლინიკაც, თვალისმომჭრელი თეთრი პლაჟიც, იულიუსის გულის წასვლაც, მეტისმეტად ლამაზი პიანისტის სახეც ძალიან ძველ, ფერად, დაზიანებულ, ფირგაცვეთილ ფილმში ვნახე. სინამდვილე კი იყო ჩემი მეზობლის სახე, ნაცრისფერი ტროტუარი და ქუჩის ბოლომდე უშფოთველად ამწვანებული ხეები.

რაც ჩამოვედი, პირველად ვიგრძენი, რომ ისევ ჩემს ქალაქში ვიყავი. ბოლო ხანს ყველაფერი რაღაცნაირად არარეალურივით იყო. – იულიუსის სიტყვები თვითმფრინავში, მისი თხოვნა, დამევიწყებინა მისი ნათქვამი პლაჟზე, გონების დაბნელებისას, ჩემი დირექტორის, რედაქტორ დიუკრეს, გასაკვირად აღფრთოვანებული შეხვედრა, ტელეფონში დიდიეს ხმაში შემჩნეული შვება, – ყველაფერს ბუნდოვანების, გაურკვევლობისა და ეჭვის ელფერი დაჰკრავდა, ჩემი ცხოვრების ძირითად ნიშნებად რომ ქცეულიყო. იულიუსის ჩაგონებით, კინაღამ გადავწყვიტე, ამოვფარებოდი status quo-ს ჯავშანს, მაგრამ ამ კვირებმა ნაღვლიანი გაუგებრობის შთაბეჭდილება დამიტოვეს – ზუსტად იმ წუთამდე, როცა ტაქსა და ლუი დალიე ერთად შემოვიდნენ ჩემს ცხოვრებაში.

– ძალიან მინდა ძაღლი.

– ვერსალში მეგობარი მყავს, – შემეხმიანა ლუი დალე, – მისმა ძაღლმა სწორედ ახლახან დაყარა ლეკვები. სამი ლამაზი ლეკვი ჰყავს. ერთს მოგიყვანთ.

– რა ჯიშია?

გაეცინა:

– ნახევრად ნაგაზია, ნახევრად მონადირე. ხვალ თქვენ თვითონ ნახავთ. სამსახურში მოგიყვანთ.

სერიოზულად ავღელდი.

– მათ ხომ აცრები სჭირდებათ, სჭირდებათ...

– ჰო, ჰო, ცხადია. ნუ დაგავიწყდებათ, მე ხომ ვეტერინარი ვარ.

და პატარა იუმორისტული განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რა ფათერაკებია მოსალოდნელი ძაღლის ყოლის შემთხვევაში. ბევრი ვიცინე. დრო კატასტროფულად სწრაფად გადიოდა, შვიდს გადასცდა. მელოდა ვახშამი მადამ დებუსთან, რაც ყოველთვის პათოლოგიური მოწყენილობით ავსებდა ჩემს სულს. სიამოვნებით გავატარებდი საღამოს ამ სკამზე ძაღლებზე, კატებსა და თხებზე საუბარში და დავტკბებოდი იმის ყურებით, როგორ ეშვება ღამე ქალაქზე, მაგრამ იძულებული ვიყავი, შევერთებოდი ამ სიტყვამრავალ თავყრილობას, რომლის წევრებიც, ცხადია, ზომაზე იყვნენ აღგზნებულნი იმაზე ფიქრით, რომ იულიუსმა ჩემთან ერთად გაატარა თაფლობის თვე მშვენიერ პატარა კუნძულ ნასოზე. ხელი ჩამოვართვი ჩემს ვეტერინარს და გულდაწყვეტილი წავედი. ქუჩის კუთხეში შემოვბრუნდი და დავინახე: ლუი გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან და, თავგადაგდებული, ხეებს შეჰყურებდა.

სანამ სააბაზანოში ფაცხაფუცხით ვიცვამდი და ვიხატებოდი, იულიუსი ჩემს პატარა სასტუმრო ოთახში მელოდა. კარი საგულდაგულოდ დავკეტე. მის ნაცვლად სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, კარს სალაპარაკოდ გამოღებულს დავტოვებდი, მაგრამ იულიუსის იმდღევანდელმა განცხადებამ, მისმა წინადადებამ დაქორწინებაზე მშიშარა უბიწო ქალწულის რეფლექსი გამიღვიძა. არავითარი საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ სწორედ ეს ანიჭებდა ყველაფერს საშიშროების ელფერს. ყველაზე გამაღიზიანებელი კი ის იყო, რომ, თუმცაღა სულაც არ ვცდილობდი, მოვწო-

ნებოდი მამაკაცს, რომელიც მელოდა, სარკეში მე თვითონაც არ მომწონდა საკუთარი თავი. ასეთ ნაღვლიან-ირონიულ გუნებაზე შევედი ირენ დებუს სასტუმრო ოთახში.

ჩვენთან მოსრიალდა, აღფრთოვანდა, რა კარგად გამოიყურებითო, შეაწუხა იულიუსის სიფითრემ – როგორც ჩანს, სასიყვარულო ცელქობები შორეულ კუნძულებზე არ მოუხდაო. ეს ყველაფერი მისი მხრივ ინსინუაცია იყო, უფრო ზუსტად, ჩემი წარმოსახვის ნაყოფი, მაგრამ მაშინვე დავკარგე წონასწორობა. თავი დავაღწიე უბადრუკი ნორჩი ხარჭის როლს და გადავწყვიტე, ვამპირი გამეთამაშა. შესაძლოა, ასეთი პერსონაჟი მეტ შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ არც ის მომწონდა. მოვათვალიერე სასტუმრო ოთახი და მომეჩვენა, რომ მრავალ სახეზე ცნობისმოყვარეობა და დაცინვა აღბეჭდილიყო. აშკარად პარანოია მემართებოდა. ამასთან, ირენ დებუმ ჩემი მზერა დაიჭირა და მაშინვე მომახსენა: „ძალიან დასანანია, რომ საყვარელი დიდიე ჩვენთან არ არის, დღეს საოჯახო ვახშამი აქვს“.

მაშინვე წარმოვიდგინე, როგორ დაეხეტებიან ბიჭები, დიდიე და ლუი, ერთმანეთის ნახვით ბედნიერები, პარიზში, მთელი საღამო მათ განკარგულებაშია და საშინლად შემშურდა. რა მაქვს საერთო ამ გაბოროტებულ ბებრებთან? აქ, ჩვენ შორის დარჩეს და, ცოტა გადავამეტე – მათი საშუალო ასაკი არც ისეთი დიდი იყო და გრძნობები – არცთუ მდაბალი. პირიქით, საყოველთაო კმაყოფილება დალივლივებდა საზოგადოების თავზე, რადგან თუ ირენ დებუს ვინმესთან სტუმრობა დიდი პატივი იყო, კიდევ უფრო დიდი დაფასება გახლდათ მის ოჯახში მიღება. ეს ხაზს უსვამდა ძალიან მკაფიო, ცნობილ ნიუანსს. დღეს ბევრ პარიზულ ოჯახში წყვდიადი და მძვინვარება მეფობდა. მანამდე კი მადამ დებუს თვითრჯულობის კლასიკურ კანონებზე აგებულმა არჩევანმა აღტაცება მომგვარა. წრის ზოგიერთი უთუო წევრი თადარიგში გაეშვათ. ერთად დაეპატიჟებინათ ზოგიერთი მეტოქე. ზოგიერთი სახელგანთქმული პირი არად ჩაეგდოთ. სამაგიეროდ, ვიღაც პროვინციელები მოეწვიათ. მათდამი კეთილგანწყობით შემცბარი სტუმრები ორმაგ მღელვარებას შეეპყრო: შეუვალ მადამ დებუს მტკიცედ ეპყრა თავისი ბოროტი ნების სკიპტრა და ამ სამეფო კვერთხით იმყარებდა ნამდვილ ხელმწიფობას. როგორც ჩანს, ეს გააზრებული ჰქონდა და უფრო მხიარული და ყბედი იყო, ვიდრე სხვა დროს. თითქოს გულს უჩუყებდა საკუთარი ავზნიანობის წარმატება. ერთ ახალგაზრდა ქალბატონს, დაუფიქრებლად რომ იკითხა, დღეს X-ების წყვილს თუ ვნახავთო, ირენ დებუმ უპასუხა: „არა, რას ამბობთ!“ ეს სიტყვები გილიოტინის ყველაზე ხმამაღალ დაცემასავით გაისმა და თუმცა ეს „რას ამბობთ“ მხოლოდ დემონსტრაცია იყო, ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალები მთელი სეზონი ამ წყვილის მასხარად აგდებით იქცევდნენ თავს.

ეს ყველაფერი სასხვათაშორისოდ შევნიშნე, ჩვეული აღფთოვანების გარეშე. ათასნაირ ქათინაურს ვიღებდი ჩემი ნამზეურის გამო, ვუღიმოდი და თავი ბებერი მეგონა. გამახსენდა, როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, არდადეგებიდან დაბუნების შემდეგ როგორი სიცილით და სახუმარო შეურაცხყოფით ვადარებდით მე და ჩემი ტოლი გოგო-ბიჭები ერთმანეთს სახეებსა და ხელებს. იმხანად ხშირად ვიმარჯვებდი, რადგან ფანატიკურად ვეფიცხებოდი მზეს. ახლა კი, უდავოდ გამარჯვებული, ვერავითარ ტრიუმფს ვერ ვგრძნობდი. არკაშონის ან ჰენდეის ჩოგბურთის კორტებიდან და ფრენბურთის მოედნებიდან კი არ დავბრუნდი, არამედ ნასოს პალატიდან, სადაც მდიდარი თაყვანისმცემლის მიერ შემოთავაზებულ ჰამაკში ვეგდე. ნამზეურიც ხტუნვის, ყვინთვისა და კუნთების დაძაბვის შედეგი კი არ იყო – მზე ზარმაც, დაღლილ, მოშვებულ სხეულს მოეკიდა.

მხოლოდ ერთხელ დამჭირდა ძალის დახარჯვა – სიბნელეში, ლამაზი პიანისტის გვერდით.

ჰო, ვბერდები. თუ ყველაფერი კარგად იქნება, რამდენიმე წლის შემდეგ ვიყიდი სამკურნალო ველოსიპედს – პედალოს, დავდგამ სააბაზოში და ყოველდღე ნახევარი ან ერთი საათი პედლების ტრიალით გავერთობი, წარმოსახვით გორაკებს გადავუვლი და ჩემ უკან, ერთ ადგილს უიმედოდ, შეუბრალებლად მიჭედებული ადამიანის უკან, წამოიშლებიან უაზროდ, სულელურად გაფლანგული ახალგაზრდობის მოგონებები. ისე ცოცხლად წარმოვიდგინე ჩემი თავი პედალოზე დახრილი და ისე სასაცილო მომეჩვენა, გადავიხარხარე. ოჰ, ეს კურთხეული, დალოცვილი ნიჭი სიცილისა... მთელი ეს ხალხი, დივნებზე ასე საფუძვლიანად მოკალათებული, რატომ არ დასცინის თავის თავს, ამ დივნებს, მასპინძელს და იმას, რომ ცხოვრობენ და მეც – ვცხოვრობ?

ჩემი თანამოსაუბრე, კარიბის კუნძულების მშვენიერებას რომ აღწერდა, გაჩუმდა და საყვედურით შემომხედა.

– რა გაცინებთ?

– თქვენ რატომ არ იცინით? – მკვახედ შევეპასუხე.

– განსაკუთრებით სასაცილო არაფერი მითქვამს.

მართალი იყო, მაგრამ არ შევიმჩნიე. დაუსჯელი ყოყოჩობა და დიდგულობა ყოველთვის მაღონებს. სასადილო ოთახის კარი გაიღო და სუფრას მივუსხედით. მე იულიუსის მარცხნივ აღმოვჩნდი, ის კი ირენ დებუს მარცხნივ.

– თქვენი დაშორება არ მინდოდა, – წარმოთქვა თავისი განთქმული მეცოთი, რომლის გაგონებაზე, როგორც ყოველთვის, ათი კაცი მაინც შეკრთა.

წამით ისე ძლიერ შემძულდა, რომ „გულახდილი“ მზერა მომარიდა, რაც არასოდეს დამართვია. მისი ღიმილი ჩემთვის იყო განკუთვნილი, მე ეს ვიცოდი და ნიშნავდა: „გეჯავრები – ძალიან კარგი, აღფრთოვანებული ვარ ორივეს მაგივრად“. როცა ისევ შემომხედა უბოროტოდ და დაბნეულად, პასუხად გავუღიმე და თავი დავხარე, თითქოს უსიტყვო სადღეგრძელო წარმოვთქვი, რომელსაც ვერ მიხვდა. მე კი მხოლოდ გავიფიქრე: „მშვიდობით, ვეღარ მნახავ, შენთან და შენს

ფრანსუაზ ს

ახლობლებთან ძალიან მოსაწყენია. მომეწყინა. მორჩა და გათავდა. ეს კი ჩემთვის სიძულვილზე უარესია". სხვათა შორის, ამ დამშვიდობებამ ბუნდოვანი სიბრალული აღმიძრა, რადგან მისი მანიაკალური ძალა, წამებულობის განსახიერება, სისწრაფე, სიმარჯვე – მთელი ეს მომაკვდინებელი იარაღი, რომელსაც ასეთი უმნიშვნელო მიზნით იყენებდა, ერთსა და იმავე დროს სიბრალულსაც შთამაგონებდა და ცნობისმოყვარეობასაც.

ვახშამი უსასრულო მეჩვენა. სასტუმრო ოთახში ფანჯარასთან მივედი და გარდაუვალი, ულმობელი მარტოობის მაუწყებელი, ცივი და მძაფრი ღამის ქარი ჩავისუნთქე. ქალაქში დაიბუდა და დაქრის მძინარეთა თავზე. უბიძგებს შეგვიანებულ ფეხმავლებს, ძილისგან ან ალკოჰოლისგან გაბრუებულ თავებში სოფლის მოგონებებს აღძრავს. ამ დამძიმებულ, გარინდებულ სასტუმრო ოთახში, სადაც დრომოჭმული მანჭვა მეფობს, უკიდეგანო გალაქტიკიდან მოფრენილი მძვინვარე, მარადისობის ქარი ჩემი ერთადერთი მეგობარი და ჩემი არსებობის ერთადერთი დადასტურებაა.

როცა ჩადგა და თმა ისევ შუბლზე ჩამომეშალა, მომეჩვენა, რომ ჩემი სულიც სწრაფად, მკვეთრად ვარდებოდა სადღაც და სადაცაა, მოვკვდებოდი. მოვკვდები? მერე რა? მე თანახმა ვიყავი სიცოცხლეზე, რადგან ოცდაათი წლის წინ ვიღაც მამაკაცმა და ვიღაც ქალმა შეიყვარეს ერთმანეთი. მაშ, რატომ არ უნდა დავთანხმდე სიკვდილზე, თუ ოცდაათი წლის შემდეგ სხვა ქალს, ანუ მე, არავინ უყვარს და ამიტომაც არ სურს, სიცოცხლე გადასცეს სხვას? პრიმიტიული მსჯელობა, ნაყოფი უნდილი ლოგიკისა, ხშირად ყველაზე ნაღდია. საკმარისია გაარკვიო, სადამდე მივიდა რღვევა საზოგადოებისა, რომელიც იძირება ნახევრადმეცნიერებაში, ნახევრადმორალსა და ნახევრადგონიერებაში. თუ ჩაუსაფრდები, თუ მიაყურადებ, ამ ქარს მოაქვს განგაშით, მღელვარებით, შიშის ზარით, გამოუვალობით აღსავსე შორეული, ახლობელი, ცოცხალი, გამყინვარებული, უხმო (სიმრავლისა და მსგავსების გამო), აისბერგის ან რეფერენდუმის მსგავსი ხმა. აი, ასე შორს, შორს გამირბოდა აზრები. თუმცა ეს არაფერში მიშლიდა ხელს – დროულად ვიღიმებოდი, დროულად ვუხდიდი მადლობას, სიგარეტისთვის ასანთს რომ შემომაგებებდნენ, ხანდახან სიტყვასაც ჩავურთავდი საუბარში – უმნიშვნელოს, მაგრამ თავის ადგილას. ვგრძნობდი, რა შორს ვიყავი მათგან. მაგრამ, სამწუხაროდ, მათზე მაღლა – არა. და ეს განრიდებულობა, განკერძოებულება მაიძულებდა, საკუთარ გამჭრიახობაში უფრო დავეჭვებულიყავი, ვიდრე ამ ხალხში. რისთვის, ვისთვის უნდა გამეკიცხა და დამეძრახა? იმ საღამოს დაუოკებელ სურვილს ვგრძნობდი, გავცლოდი, მიმეტოვებინა ეს ხალხი, მაგრამ ამის მიზეზის ახსნა არ შემეძლო. რაღაცნაირი მორალური სულის ხუთვა იყო. მათი იერარქიის, მათი წარმატებებისა და მარცხის არსი არც მესმოდა და არც მინდოდა გაგება. თავი უნდა დამეღწია, ჩამოვშორებოდი, მომეგერიებინა. მორაგბეების ეს ტერმინი დროულად გამახსენდა. მთელი სიყმაწვილე პირველ ხაზზე ვთამაშობდი. ალანთან ერთად დაცვა მეკავა შუაგულ შეჭიდებაში. ახლა კი გულმა მიმტყუნა და თამაშზე უარს ვამბობ. ვტოვებ სიხასხასედაკარგულ ასპარეზს, სადაც არც მსაჯია და არც წესები. ეს ჩემი ასპარეზია. მარტო ვარ. არარად ქცეული.

ფიქრებიდან იულიუსმა გამომიყვანა. გვერდით მედგა. დაღვრემილი იყო.

– ვახშამი მეტისმეტად ხანგრძლივი გეჩვენათ, არა? ჩაფიქრებული ხართ.

– ღამის ჰაერს ვსუნთქავდი. ძალიან მიყვარს.

– მაინტერესებს, რატომ?

ისეთი მტრულად განწყობილი მეჩვენა, რომ გამიკვირდა.

– ღამით მეჩვენება, რომ ქარი მინდვრებიდან მოფრინდა, რომ ცოცხალ მიწას, ჩრდილოეთის პლაჟებს შეეხო... ეს ძალას მმატებს...

– მან დედამიწას შემოუფრინა, ათასობით გვამს რომ იფარებს, ხეებს, რომლებიც ამით იკვებებიან, შეეხო ხრწნად პლანეტას, პლაჟებს, უსუფთაო, სიბინძურით სავსე ზღვებს... აბა, გემატებათ ძალა?

გაოგნებული შევყურებდი. მისთვის ლირიკისკენ გადახრა არ შემიმჩნევია. მაგრამ, რომ მიმეწერა ლირიზმი, ლირიკა საკმაოდ პირობითი იქნებოდა; მყინვარები, ედელვაისები, ბუნების სიწმინდე. ავადმყოფურობისკენ მიდრეკილება ჩემს თვალში არ ეთავსებოდა საქმოსნის ენერგიულ ხასიათს. აშკარად მეტისმეტად სტერეოტიპული და პრიმიტიულია ჩემი აზროვნების სისტემა.

შემომხედა და გამიღიმა.

– პლანეტა ავად არის, გეუბნებით. ეს სასტუმრო ოთახი კი, რომელიც ასე გეზიზღებათ, საერთო დაშლის, გახწნის ფონზე მხოლოდ პაწაწინა ჩირქიანი მუწუკია. ერთ-ერთი სრულიად უმნიშვნელო, გარწმუნებთ.

– ხალისიან გუნებაზე ხართ, – ჩავილაპარაკე ცოტა გაკვირვებულმა.

– არა, არ ვხალისობ და არც არასოდეს მიხალისია, – და წავიდა. დამტოვა სოფაზე.

ვუყურებდი, როგორ გადაჭრა ოთახი, სათვალე უელავდა და მიარხევდა გაჭიმულ პატარა სხეულს. არაფრით ჰგავდა ნასოში, შუა პლაჟზე გაშხლართულ იმ ზღვისფერპიჯაკიან იულიუს ა. კრამს, ჰამაკის სიღრმიდან თავის მარტოსულობაზე რომ ლაპარაკობდა. არა, აქ, სასტუმრო ოთახში, ცივი, მკვეთრი, გამალებული, უფრო გამქირდავი, ვიდრე ოდესმე, შიშს მგვრიდა. ყველა, ვისაც კი ჩაუვლიდა, ოდნავ უკან იხევდა და ახლა მესმოდა, რატომაც.

მეორე დღეს, დაახლოებით ხუთ საათზე, გადმომცეს, რომ ვიღაც მამაკაცი და ძაღლი მელოდებიან რედაქციის შესასვლელთან. მაშინვე გავქანდი. მართლაც ისინი იყვნენ, კაცი და ძაღლი. ერთს მეორე ეჭირა ხელში და შუქისკენ, უფრო სწორად, მზისკენ ზურგშექცევით დიდ, მინის კართან იდგნენ. მივუახლოვდი და მოლივლივე ბეწვი და წკმუტუნი შემომეგება. წამით ჩავეხუტე ლუის და რომ შეგეხედათ, სადგურის ბაქანზე ოჯახური წყვილი გეგონებოდით. შავ-ყვითელი,

სქელთათებიანი ძაღლი იყო. ისე მლოკავდა, თითქოს დაბადებიდან ორი თვე მხოლოდ ჩემთან შეხვედრას ელოდა. ლუი იღიმებოდა, მე კი ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი, ყველა სურვილი რომ შემისრულდა – გადავკოცნე. ძაღლმა გადარეული ყეფა ატეხა და რედაქციის თანამშრომლები გამოცვივდნენ მის სანახავად. როცა ეპითეტების ნაკადი ამოიწურა – რა მშვენიერია, რა სქელი თათები აქვს, უზარმაზარი გაიზრდებაო და ა.შ. – და ძაღლი გაოცებული დიუკრეს სკამის ქვეშ მოკალათდა, ლუიმ ბოლოს და ბოლოს მართვის სადავეები ხელში აიღო.

– საყელური და თასმა უნდა ვიყიდოთ. კიდევ – ჯამი და საწოლი. და კიდევ, სახელი უნდა შევურჩიოთ. წავედით...

ეს საქმე უფრო გადაუდებელი მეჩვენა, ვიდრე ის სტატია, ვინ იცის, რაზე, შუადღის მერე რომ ვაცოდვილებდი, და წავედით. ლუის ძაღლი იღლიაში ამოეჩარა, მე კი ხელჩაკიდებული მივყავდი. მისი სიარული აშკარად მიანიშნებდა, რომ მას უნდა გავყოლოდით. ნაცრისფერი „პეჟო“ ჰყავდა, რომელშიც ჩავსხედით. ძაღლი კალთაში ჩამისვა და სანამ მანქანას დაძრავდა, გამარჯვებულის იერით შემომხედა.

– თქვენ რა, გეგონათ აღარ მოვიდოდი? როცა დამინახეთ, ძალიან გაკვირვებული სახე გქონდათ.

მართლა გაკვირვებული ვიყავი, ოღონდ მისი დანახვით კი არა, იმ ბედნიერების შეგრძნებით, ამ მომენტში რომ დამეუფლა. ძაღლით ხელში რომ დავინახე ფანჯარასთან, უცნაური გრძნობა განვიცადე, თითქოს ჩემი ოჯახი ვიპოვე. ოღონდ ეს მისთვის არ მითქვამს.

– არა, დარწმუნებული ვიყავი, რომ მოხვიდოდით. თქვენ ის კაცი არ უნდა იყოთ, დაპირებას ქარს რომ ატანს.

– დაკვირვებული ფსიქოლოგი ყოფილხართ, – სიცილით შენიშნა.

იმ მაღაზიამდე მისასვლელად, მან რომ შეარჩია, ქალაქის დიდი ნაწილი გავიარეთ. პარიზი ცისფერი იყო, უშფოთველი და მოღუღუნე. ძაღლის ბეწვი ამეკრა. აღფრთოვანებული ვიყავი. ვაიძულეთ, ცოტა ხანს ინვალიდების მოედანზე ერბინა. დასდევდა მტრედებს, ათჯერ მაინც შემომახვია თასმა ფეხებზე, მოკლედ, დაგვიმტკიცა თავისი უზომო სიცოცხლისუნარიანობა. სიცილით ვკვდებოდი და თან ცოტა მეშინოდა. დღისით რა უნდა ვუყო? ლუი დამცინავად მიყურებდა, ჩემი პანიკური განწყობილება, ეტყობა, ძალიან ახალისებდა.

– ეგეც თქვენი ნამდვილი პასუხისმგებლობა. მის ნაცვლად თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილებები. ეს შეგცვლით? არა?

დაეჭვებით შევხედე. იულიუსზე გადამიკრა თუ ფრთის ქვეშ თავის დამალვის ჩვევაზე?

სახლში დავბრუნდით. ძაღლი კონსიერჟს ვაჩვენე. დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს. ჩემს სტუდიაში დავსხედით და ძაღლმა ავეჯის გადასაკრავის ღრღნა დაიწყო.

– საღამოს რას აპირებდით? – შემეკითხა ლუი.

ამ „ნამყო უსრულმა“ ცოტა შემაცბუნა. მე ხომ იულიუსსა და დიდიესთან ერთად მართლა უნდა წავსულიყავი დახურულ გასინჯვაზე. ორი გამოსავალი იყო: ძაღლი ან თან უნდა წამეყვანა, ან სახლში მარტო დამეტოვებინა. ლუიმ გამოიცნო ასეთი გადაწყვეტილების შესაძლებლობა.

– თუ შინ მარტო დატოვებთ, იყმუვლებს, – გამომიცხადა მან, – სხვათა შორის, მეც.

– რაო?

– ჰო, თუ ამ საღამოს მიგვატოვეთ, ის საშინლად იყეფებს, მე კი მისი დამშვიდების მაგივრად მასთან ერთად ვიღრიალებ.

– სხვა წინადადება გაქვთ?

– აბა რა! მე საყიდლებზე წავალ. გავაღებთ ფანჯარას, იმიტომ, რომ თბილა, და აქ მშვიდად ვივახშმებთ სამივე, რომ მე და ლეკვი შევეჩვიოთ თქვენს ახალ ცხოვრებას.

რა თქმა უნდა, ხუმრობდა, მაგრამ გამომეტყველება ძალიან მტკიცე ჰქონდა. ვცადე, წინააღმდეგობა გამეწია.

– უნდა დავრეკო. რასაც ვაპირებ, ჩემი მხრივ დიდი უზრდელობაა.

ამას კი ვამბობდი, მაგრამ მშვენივრად მესმოდა, რომ იმისგან განსხვავებული საღამო, როგორიც ამიწერა, ვერ წარმომედგინა.

ალბათ ძალიან დარცხვენილი და შემცბარი ვჩანდი, რადგან გადაიხარხარა და ადგა:

– ჰო, დარეკეთ, მე კი წავალ და ძაღლის კონსერვებს ვიყიდი სამივესთვის.

წავიდა. ერთ წამს დარეტიანებულივით ვიჯექი. მერე ცუგამ მოირბინა ჩემთან და მუხლებზე ამომიძვრა. ის პირით ჩემს თმას იჭერდა, მე კი შევცქეროდი და ალბათ ათი წუთი ვუხსნიდი, როგორც ცუდი აღმზრდელი, ბავშვს რომ აუზნეოებს, როგორი კარგია, ლამაზი, ჭკვიანი. ლუის მოსვლამდე უნდა დამერეკა. ყურმილში იულიუსის სუსტი, მშრალი ხმა გავიგონე და პირველი შემთხვევა იყო, რომ სიმშვიდის მაგივრად დაბნეულობა ვიგრძენი.

– იულიუს, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამ საღამოს ვერ წამოვალ.

– ავად ხართ?

– არა, ძაღლი მყავს.

სიჩუმე ერთ წამს გაგრძელდა.

– ძაღლი? ვინ მოგცათ ძაღლი?

გავოცდი. ბოლოს და ბოლოს მშვენივრად შემეძლო ძაღლი მეყიდა ან მეპოვა. როგორც ჩანს, ყოველგვარ ინიციატივას მოკლებულად მივაჩნივარ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემცდარა.

– დიდიეს ძმამ, ლუი დალემ მომიყვანა რედაქციაში.

– ლუი დალე? – ჩამეკითხა იულიუსი, – ვეტერინარი? თქვენ მას იცნობთ?

– ცოტა, – გაურკვევლად ვპასუხობ, – ყოველ შემთხვევაში, ახლა ძაღლი მყავს და საღამოს მისი დატოვება არ შემიძლია. იყმუვლებენ. იყმუვლებს, – გავასწორე.

– სასაცილო მიზეზია, – მითხრა იულიუსმა, – გნებავთ, მადმუაზელ ბაროს გამოგიგზავნით და მიხედავს?

– თქვენი მდივანი ჩემს ძაღლს ვერ მოუვლის. მერე კიდევ, ძაღლი უნდა შემეჩვიოს.

– მისმინეთ, – გამომიცხადა იულიუსმა, – ეგ ყველაფერი ცოტა გაუგებარია ჩემთვის. ერთ საათში შემოგივლით.

– ოჰ, არა, – ვპასუხობ, – არა...

გაფაციცებული ვეძებდი საბაბს თავის დასაძვრენად. ქედუხრელი, ენერგიული იულიუსის მოსვლაზე მეტად ვერაფერი ჩამაშხამებდა ამ საღამოს. ძაღლი ნეიიში აღმოჩნდება, ლეკვების თავშესაფარში, მე – კინოში იულიუსთან ერთად, ლუი კი წავა სოფელში და ვეღარასოდეს ვნახავ. მივხვდი, რომ ეს აზრი ჩემთვის აუტანელი იყო.

– არა, – ვეუბნები იულიუსს, – ძაღლი უნდა გავასეირნო. რაღაცები მაქვს მისთვის საყიდელი. გასვლას ვაპირებ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– რა ძაღლია? – განაგრძო იულიუსმა.

– არ ვიცი. ყვითელია და შავი. ჯიში გაურკვეველია.

– შეგეძლოთ, ჩემთვის გეთქვათ, ძაღლი თუ გინდოდათ, ყველაზე ჯიშიანი ძაღლების მომწოდებლებს ვიცნობ.

მის ხმაში საყვედური ისმოდა. გავღიზიანდი.

– ასე მოხდა, იულიუს, უკაცრავად, ძაღლი მელოდება. ხვალ შევხვდებით.

კარგიო, მითხრა და ყურმილი დაკიდა. შვებით ამოვისუნთქე. სააბაზანოში შევვარდი, ჩავიცვი სვიტერი და შარვალი – ძაღლისთვის, ცოტა დავიხატე – მამაკაცისთვის. ფირფიტა დავდე. ფანჯარა გავაღე, საწერ მაგიდაზე სამი თეფში დავდე, სიმღერ-სიმღერით, ცხოვრებით კმაყოფილმა.

თავისუფალი ვარ. მყავს ძაღლი-ბავშვი და მომხიბვლელი, მომაჯადოებელი უცნობი, რომელიც საკვების მოსაპოვებლად არის წასული.

დიდი, ძალიან დიდი ხნის შემდეგ პირველად მაქვს საღამოს პაემანი უცნობ მამაკაცთან, რომელიც მომწონს და იმდენივე წლისაა, რამდენისაც მე.

მას შემდეგ, რაც ალანი გავიცანი, ჩემი იშვიათი თავგადასავლები მამაკაცებთან ნასოში პიანისტის ისტორიას ჰგავდა, დიახ, გული – პირველად ამ ხუთი წლის განმავლობაში – გამალებით მიცემდა იმიტომ, რომ ვიღაცასთან შეხვედრა მქონდა დანიშნული.

საღამოს ათზე ძაღლს უკვე ეძინა, ლუი ნელნელა თავის თავზე ალაპარაკდა.

– ალბათ, პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს, უკმეხ ხეპრედ მოგეჩვენეთ. სინამდვილეში მაშინვე მომეწონეთ და როცა მივხვდი, რომ თქვენ ის ქალი ხართ, რომელზეც დიდიე მელაპარაკა და ეკუთვნით იმ საზოგადოებას, მე რომ ვერ ვიტან, ისე გამიტყდა გული და ისე გამიცრუვდა იმედი, რომ გავცეცხლდი და საზიზღარი მოგეჩვენეთ, – გაჩუმდა და სწრაფად მობრუნდა ჩემსკენ, – მართლა, ბარში რომ შემოხვედით და გაზეთი მოგაწოდეთ, მაშინვე გავიფიქრე, რომ ოდესმე ჩემი გახდებოდით. სამი წუთის მერე კი, როცა აღმოვაჩინე, რომ იულიუს ა. კრამს ეკუთვნით, კინაღამ გავგიჟდი ეჭვიანობისა და სასოწარკვეთილებისაგან.

– რა უცებ...

– ჰო, ყველაფერს სწრაფად ვწყვეტდი, მეტისმეტადაც კი. ჩვენი მშობლები რომ გარდაიცვალნენ, ავეჯის დიდი წარმოება დაგვიტოვეს. გადავწყვიტე, დიდიესთვის მიმენდო რეკლამაც და კომერციული მხარეც. მე ვეტერინარიას ვსწავლობდი და სოლონში გავიქეცი, იქ უკეთესად ვარ. დიდიე პარიზზე გიჟდება, მეზეუმებზე, გამოფენებზე და იმ ხალხზე, მე რომ ვერ ვიტან.

– რას ერჩით?

– კონკრეტულად არაფერს. ისინი მკვდრები არიან. ცოცხლობენ იმდენად, რამდენადაც ქონება აქვთ, რაკი რაღაც როლს ასრულებენ. მე ისინი საშიშად მიმაჩნია. ხშირად ადამიანს მათთან ურთიერთობა ნაღვლიან ტყვედ აქცევს.

– მათი ტყვე შეიძლება გახდე, თუ დამოკიდებული ხარ მათზე, – შევეპასუხე.

– ყოველთვის დამოკიდებული ხარ ხალხზე, ვისთანაც ცხოვრობ. იმიტომაც შევძრწუნდი, როცა გავიგე, რომ იულიუს ა. კრამთან ხართ. ეს კაცი ყინულივით ცივია და ამავე დროს – მძვინვარე...

– ჯერ ერთი, მე იულიუს ა. კრამთან არ ვარ, – შევაწყვეტინე.

– ახლა ვფიქრობ, რომ ასეა.

– გარდა ამისა, – დავამატე, – ყოველთვის სანიმუშო და დაუძრახავი იყო ჩემ მიმართ, ძალიან თავაზიანი და უანგარო.

– ბოლოს და ბოლოს დავიჯერებ, რომ ჯერ მხოლოდ თორმეტი წლის ხართ. სულ იმას ვფიქრობ, რა ვიღონო, რომ მიხვდეთ, რა საფრთხე გელით. ამას მივაღწევ.

ხელი გამომიწოდა და თავისკენ მიმიზიდა. გული საშინლად მიცემდა. მომეხვია და წამით გაყუჩდა, ლოყით ჩემს შუბლზე მოკრული. ვიგრძენი, როგორ თრთოდა. მერე მაკოცა. სურვილის ათასი ფანფარა ამღერდა, სისხლი ათასი ტამტამის ძალით აჩქროლდა ჩვენს ძარღვებში, ათასმა ვიოლინომ ტკბობის ვალსი დასცხო.

მოგვიანებით, გვერდიგვერდ წოლისას, ერთმანეთს ვნებიან სიტყვებს ვეჩურჩულებოდით, ვდარდობდით, როგორ არ შევხვდით თუნდაც ათი წლით ადრე და ერთმანეთს ვეკითხებოდით, აქამდე როგორ ვცხოვრობდით უერთმანეთოდ. ძაღლს კი, ისეთივე უმანკოსა და უბოროტოს, როგორებიც ჩვენ ვიყავით ახლა, მაგიდის ქვეშ ეძინა.

...

მიყვარდა. არ ვიცი, რატომ ის, რატომ ასე უეცრად, რატომ ასე ძლიერ – უბრალოდ, მიყვარდა. ერთი ღამე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩემი ცხოვრება დამსგავსებოდა იმ ყბადაღებულ ვაშლს, მრგვალს, წვნით სავსეს, და როგორც კი წავიდა, თავი მეგრძნო ამ ვაშლის ნახევრად, რომელიც მხოლოდ იმის მიმართ იყო მგრძნობიარე, რაც მისგან მოდიოდა. მარტოობის სამეფოდან ერთი ნახტომით აღმოვჩნდი სიყვარულის სამეფოში და მიკვირდა, უცნაური მეჩვენებოდა, რომ იგივე სახე მქონდა, იგივე სახელი, იგივე ასაკი. არასოდეს წესიერად არ ვიცოდი, ვინ ვიყავი, ახლა – მით უმეტეს. უბრალოდ ვიცოდი, რომ ლუი შემიყვარდა და მიკვირდა, ხალხი ჩემს დანახვაზე რატომ არ კრთებოდა და შეხედვისთანავე რო-

გორ ვერ გრძნობდა ამას. ჩემში ისევ გაცოცხლდა თბილი, სიცოცხლით სავსე და დამოუკიდებელი არსება – მე თვითონ. ჩემს ნაბიჯებს მიმართულება ჰქონდა, სიტყვებს – აზრი, და ისიც, რომ ვსუნთქავ, გამართლებული იყო. როცა მასზე ვფიქრობდი, – და ასე იყო გამუდმებით, – მისი სიყვარული მინდოდა, მის მოლოდინში ვკვებავდი და ვამზადებდი ჩემს სხეულს, რადგან მას მოსწონდა. დღეებმა და რიცხვებმა ისევ შეიძინა სახელები და თანამიმდევრობა, იმიტომ, რომ სამშაბათს წავიდა, ცხრამეტში, და დაბრუნდება შაბათს, ოცდასამში. ისიც მნიშვნელოვანი იყო, რომ დარი ყოფილიყო, გზები კი – მშრალი, რომ მანქანა არ მოსცურებოდა. კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, გზებზე საცობები არ დახვედროდა, რომ ჩემ ირგვლივ ყველგან ტელეფონები ყოფილიყო და ყოველი მათგანიდან მისი ხმა გამეგონა, მშვიდი, მომთხოვნი ან აღელვებული, ბედნიერი ან ნაღვლიანი – მოკლედ, მისი ხმა. სხვა ყველაფერს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქოდა გარდა ძაღლისა, ჩემსავით ობოლი იყო, მაგრამ ამას ძალიან იოლად იტანდა.

ძაღლმა იულიუს ა. კრამი ჩიხში მოაქცია. მისი წარმომავლობის დასადგენად, როგორც მან თქვა, კერძო მაძებარი და უგრძესი ანკეტა იქნებოდა საჭირო. მიუხედავად ამისა, როცა სიმპათიის ნიშნად მას შევიოტის შარვალი დაუხია, იულიუსს გულიც კი აუჩუყდა. და რაკი ვახშმად მშვიდ რესტორანში მივდიოდით დიდიესა და რამდენიმე სტატისტთან ერთად, ძაღლის დაპატიჟებაც გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა, თუმცა გადაწყვეტილება მე მეკუთვნოდა. იულიუსი დახვეწილი და ნატიფი მეჩვენა, სტატისტები – გონებამახვილები, საკვები – ჩინებული, გამორჩეული. რაც შეეხება დიდიეს, ის თავისი ძმის ძმა იყო და ამით ყველაფერი ითქვა. შინ თორმეტის ნახევრისთვის უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან თორმეტზე ლუის უნდა დაერეკა და მინდოდა, უკვე საწოლში ვყოფილიყავი – ამას „ჩემს ადგილზე" დავარქვი – და მელაპარაკა სიბნელეში იმდენი, რამდენიც მოესურვებოდა.

– თქვენს ძმას უცნაური იდეა გაუჩნდა, – მიმართა იულიუსმა დიდიეს და ძაღლზე მიანიშნა, – არ ვიცოდი, ის და ჟოზე ერთმანეთს თუ იცნობდნენ.

– ერთი თვის წინ თითო ჭიქა დავლიეთ ერთად, – უპასუხა დიდიემ.

შემცბარი ჩანდა.

– და მაშინვე ძაღლს დაგპირდათ?

იულიუსი მიღიმოდა. მეც ღიმილით ვუპასუხე.

– არა, საქმე ის არის, რომ მეორედ შემთხვევით შემხვდა ყვავილების მაღაზიაში და რაკი იქ ძაღლს ველაპარაკებოდი ყვავილებზე, ლუიმ თქვა, ერთი ვარდი უნდა ავიღოთ და ძაღლი წავიყვანოთო და...

– მაშ, ეს ძაღლი ყვავილების მაღაზიიდან არის?

– არა, რა თქმა უნდა, არა, – ვუპასუხე გაღიზიანებულმა.

ორივე დაბნეული შემომყურებდა. ერთი შეხედვით, ჩემი მონაყოლი საკმაოდ არეული ჩანდა, ოღონდ არა ჩემთვის: მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ძალიან ცხადი იყო. დავინახე ლუი, მაჩუქა ძაღლი და შემიყვარდა. სხვა დანარჩენი სიტყვების რახარუხია. მყავს შავთმიანი, წაბლისფერთვალება მამაკაცი და ყვითელ-წაბლისფერი შავთვალა ძაღლი.

მხრები ავიჩეჩე, მათ კი, ეტყობა, ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ხელი აიღეს.

– თქვენი ძმა ლუი ისევ სოფელში ცხოვრობს? – მიმართა იულიუსმა დიდიეს. მერე მე მომიბრუნდა, – ცოტათი ვიცნობდი. კარგი ბიჭია. მაგრამ რა უცნაური ფანტაზიაა, მიატოვო პროფესია, ქალაქი... მისი პატარა ბარბარა რა იქნა?

– მე მგონი, აღარ ხვდებიან, – უპასუხა დიდიემ.

– ბარბარა კრიფტი, – ამიხსნა იულიუსმა, – კრიფტის, მრეწველის ქალიშვილი. ჭკუას კარგავდა ლუისთვის და გადაწყვიტა, სოფელში გაჰყოლოდა. ვფიქრობ, ვეტერინართან სოფლად ცხოვრება ძალიან მალე საშინლად უნდა მობეზრებოდა.

თანაგრძნობით გავუღიმე. ოღონდ იმაზე კი არა, რასაც ის ფიქრობდა. ჩემი გაგებით, ეს ბარბარა კაი შტერი უნდა ყოფლილიყო, რაკი ლუი მიატოვა. აი, ახლა კი ძალიან მოწყენილი უნდა იყოს, ქალაქად არის თუ სხვაგან სადმე.

– ლუიმ მიატოვა, მან კი არა, – უმცროსი ძმის სიამაყით განაცხადა დიდიემ.

– ნამდვილად, ნამდვილად, – კვერი დაუკრა იულიუსმა, – მთელმა პარიზმა იცის, რომ ქალები თქვენს ძმაზე ჭკუას კარგავენ.

სკეპტიკურად ჩაიცინა და მხიარულად, კეთილმოსურნედ შემომხედა.

– იმედი მაქვს, ძვირფასო ჟოზე, მათ შეცდომას არ გაიმეორებთ. თუმცა არა, ვერც კი წარმომიდგენიხართ სოფელში.

– იქ არც არასოდეს ვყოფილვარ, მე მხოლოდ ქალაქები და პლაჟები ვიცი.

ამას კი ვამბობდი, მაგრამ თვალწინ მეშლებოდა სახნავი მიწის, ტყეების, მინდვრებისა და ხორბლის ჰექტრები. ვხედავდი, როგორ მივდიოდით მე და ლუი ხეების ორ მწკრივს შორის და სახეზე შარშანდელი დამწვარი ფოთლების კვალმით გაჟღენთილი ნიავი გველამუნებოდა. ახლა მეჩვენებოდა, რომ სრულიად გაუაზრებლად ყოველთვის სოფელზე ვოცნებობდი.

– აი, – წარმოთქვა იულიუსმა, – მალე გაიცნობთ კიდეც.

შევხტი.

– ხომ არ დაგავიწყდათ, ყველა ერთად რომ ვაპირებდით უიკენდის აპრენანებთან გატარებას? თქვენც, დიდიე.

უიკენდი... გაგიჟდა! სულ მთლად გადამავიწყდა აპრენანების მიპატიჟება. ძალიან სასიამოვნო წყვილია. ირენ დებუს მეგობრები, პარიზიდან მოშორებით ცხოვრობენ, განდეგილობის გამო კი არა, უფრო მოსაჩვენებლად. როცა დედაქალაქში ჩამოდიან, – წელიწადში ალბათ ასჯერ, – არ ბეზრდებათ განმარტოებული ცხოვრების ხიბლზე ლაპარაკი. მათი იქ ცხოვრება უიკენდებით შემოიფარგლება. მაგრამ შაბათს ლუი

ფრანსუაზ ს

ჩამოდის და ორ დღეს ერთად გავატარებთ. ეს შაბათი ხან ისე ახლოს მეჩვენებოდა, ხან კი – ისე შორს, რომ ხან სიხარულით ხტუნვა მინდოდა, ხან – მოთქმით ტირილი.

ვიცოდი, რომ ლუის ფართო მხარბეჭი ჰქონდა, წინამხარზე კი ნაიარევი – ვირმა უკბინა, როცა სინჯავდა. ამაზე ალბათ ათი წუთი მაინც ვიცინეთ. ვიცოდი, რომ წვერის გაპარსვისას სახე ყოველთვის ეჭრებოდა, ფეხსაცმელებს კი ბოლომდე ცვეთდა. აი, სულ ეს ვიცოდი მასზე, თუ იმას არ ჩავთვლიდით, ცხადია, რომ მიყვარდა. იმ უამრავ რამეზე ვფიქრობდი, რაც ჯერ კიდევ აღმოსაჩენი მქონდა მის სხეულშიც, მის წარსულშიც, მის ხასიათშიც. ამის გამო ცნობისმოყვარეობას, სიხარბეს და თავბრუდამხვევ სინაზეს ვგრძნობდი. ჯერჯერობით კი ღირსეული, საკადრისი მიზეზი უნდა მომეფიქრებინა უიკენდზე წასვლაზე უარის სათქმელად. ყველაზე ადვილი ამის თქმა იყო: „იცით რა, ამ ორ დღეს მე ლუი დალესთან ერთად გავატარებ, რადგან ასე მინდა“, – მაგრამ სწორედ ეს იყო შეუძლებელი. ისევ დამნაშავედ ვგრძნობდი თავს და ამის გამო ჩემს თავზე ვბრაზობდი. ბოლოს და ბოლოს, იულიუსი თავის გრძნობებზე მხოლოდ მზის დაკვრის შემდეგ დამელაპარაკა. პასუხი არ მოუთხოვია და ბუნებრივი და პატიოსანი საქციელი იქნებოდა, სიმართლე მეთქვა. ობიექტურად – კი, მაგრამ მკაფიო, მშვიდობიანი სიტყვების უკან, ცხად ვითარებას რომ ასახავდა, დაფარული სიმართლის ჯოჯოხეთური აჩრდილი იმალებოდა. ისევ მაღიზიანებდა იმის შეგნება, რომ „ობიექტურად“, „სიცხადე“, „დამოუკიდებლობა“, „მეგობრობა“ და სხვა ასეთი სიტყვების მიღმა არაფერი იდგა. გარდა ამისა, მეგონა, რომ თუ იულიუსს გამოვუტყდებოდი, – „გამოტყდომაზე“ ვფიქრობდი და არა „თქმაზე“, – განვარისხებდი, გავამწარებდი, შურისძიების წყურვილს გავუღვიძებდი, ეს კი მაშინებდა. ამ ადამიანს მუდამ შავი შარავანდედი მოსავდა, ძლიერების და, ამასთანავე, ჰიპერტროფირებული მგრძნობიარობის შთაბეჭდილებას გიქმნიდათ. ესეც გაუნელებლად მაშინებდა. და მაინც, რას დამიშავებდა? სამსახური მქონდა, მასზე არ ვიყავი დამოკიდებული, მხოლოდ ტკივილს თუ მივაყენებდი. და თუ ეს გრძნობა საკმაოდ ძლიერი იყო, რომ გასაჭირში ჩავეგდე, ისეთი მაინც არ იქნებოდა, დუმილი ან სიმართლის ბოლომდე ართქმა ეიძულებინა ჩემთვის, როგორც ეს სამი დღეა ვიქცევი. ჩემი ცხოვრება უცებ ვნებით გასხივოსნებულ ფართო მაგისტრალად იქცა და ვერ ავიტანდი, ოდნავი ჩრდილი მაინც მისდგომოდა.

ყველა ეს სადარდებელი თვალის დახამხამებაში გაქრა შუაღამისას, როცა ლუის ხმა გავიგონე. მეკითხებოდა, მიყვარს თუ არა – ერთსა და იმავე დროს უნდობლად და მოზეიმე ინტონაციით. კითხულობდა: „გიყვარვარ?“ – ეს კი ნიშნავდა: „შეუძლებელია არ გიყვარდე. ვიცი, რომ გიყვარვარ! მიყვარხარ...“ მინდოდა მეკითხა, სად იყო. მინდოდა, თავისი ოთახი აეწერა – რა ჩანდა ფანჯრიდან, დღისით რას აკეთებდა. მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ცხადია, ამას ყველაფერს ვკითხავ მოგვიანებით, როცა მისი არსებობა სხვა განზომილებას მიიღებს, უფრო ალალი და მშვიდი გახდება, ამ სიმკვეთრეს დაკარგავს, როცა მოგონებები დაგვიგროვდება. ჯერჯერობით კი ის ის მამაკაცია, რომელთანაც ღამე გავატარე, ურთიერთობა უფრო სიბნელეში მქონდა, ვიდრე დღის შუქზე. ჩემთვის ეს იყო გავარვარებული სხეული, უკან გადაგდებული პროფილი, სილუეტი განთიადის ბინდბუნდში. ის სითბო იყო, სიმძიმე, ორი-სამი შემოხედვა, რამდენიმე ფრაზა. უპირველეს ყოვლისა, საყვარელი იყო, მიჯნური. მაგრამ არ მახსოვდა, რა ფერი სვიტერი ეცვა, რა ფერის მანქანა ჰქონდა, არ მახსოვდა მანქანის ტარების მანერა. არ მახსოვდა, როგორ აქრობდა სიგარეტს საფერფლეში, არ ვიცოდი, როგორ ეძინა – არ დაგვიძინია. სამაგიეროდ, ვიცოდი მისი სახე და ხმა ტკბობისას. მაგრამ აქაც, ამ უზარმაზარ სამეფოში, – ნეტარების სამეფოში, – ვიცოდი, ერთად ათასი აღმოჩენა გველოდა, ერთად უნდა გადაგველახა ყამირის ათასი ჰექტარი, ჩაგვექრო ჩვენივე გაჩაღებული ათასი ხანძარი. ვიცოდი, რომ ისიც და მეც გაუმაძღარნი ვიქნებოდით, მაგრამ ვერ წარმომედგინა ის გარდაუვალი წამი, როცა ჩვენს შიმშილს ოდნავ მაინც დავიოკებდით. ის ამბობდა „შაბათს“ და მეც ვიმეორებდი „შაბათს“, როგორც გემის დაღუპვისას გადარჩენილები იმეორებენ: „მიწა!“ –ან ორი საცოდავი სიკვდილმისჯილი ცოდვილი ჯოჯოხეთს ნატრობს.

შაბათს ჩამოვიდა და ორშაბათს დილას წავიდა. და იყო სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. ორჯერ თუ სამჯერ რიგრიგობით გავედით ქუჩაში ძაღლის გამო. მხოლოდ მაშინ თუ ვხედავდით დღის სინათლეს. გავიგე, რომ ბეთჰოვენს ბახი ურჩევნია, რომ ბავშვობისას ველოსიპედიდან უთვალავჯერ ჩამოვარდნილა და პირქვე სძინავს. გავიგე, რომ ახირებულია, უცნაური და ხანდახან ნაღვლიანი. მისი სინაზეც შევიგრძენი. ტელეფონმა ერთი ათჯერ მაინც დარეკა დაჟინებით ამ ორ დღეში. ყურადღება არ მიმიქცევია. როცა ჩემგან მიდიოდა, ბედნიერებისა და დაღლილობისგან ვბარბაცებდი, კისერზე ჩამოვეკიდე, ვემუდარებოდი, ფრთხილად ევლო.

– გპირდები, – მითხრა, – ხომ იცი, ახლა სიკვდილი არ შემიძლია.

გულში მიკრავდა.

– მალე დიდ მანქანას ვიყიდი, ნელა და საიმედოდ ივლის, სატვირთოსავით. აი, მაგალითად, ისეთ ძველ „დაიმლერს“, შენს ფანჯარასთან რომ დგას.

მხნეობა მოვიკრიბე და პარასკევს იულიუსს სრულიად ბუნდოვანი დეპეშა გავუგზავნე. შინაარსი ასეთი იყო: „კვირის ბოლოს ჩამოსვლის საშუალება არ მაქვს. განმარტება – მოგვიანებით. ძალიან ვწუხვარ. ჟოზე“. ახლა ისღა დამრჩენოდა, ეს განმარტება მომეფიქრებინა. როცა ტელეგრამას ვაგზავნიდი, თავში არანაირი განმარტება არ მქონდა. ისე მალე უნდა ჩამოსულიყო ლუი, რომ ბედნიერებისაგან სრულიად დავკარგე გონება. ახლა, როცა ეს ბედნიერება განმტკიცდა კიდეც და თანაც გაორმაგდა, სულ უფრო მიჩლუნგდებოდა აზროვნების უნარი. „დაიმლერის“ აქ დგო-

N4 აპრილი 2014
79
ფრანსუზ ს

სერიოზული ჟურნალის არსებობაში, როგორიც ჩვენია. თანაც ძალიან დელიკატურად მკითხა, შესაძლებლად მიმაჩნდა თუ არა თქვენი უფრო აქტიური მუშაობა ჟურნალში. მის თხოვნაში ოდნავი დაძალება რომ შემემჩნია, ან რომ არ ვიცოდე, რომ თქვენ ნამდვილად გიყვართ თქვენი საქმე, უარს ვეტყოდი. საბედნიეროდ, აქ საქმე სხვაგვარადაა. ძვირფასო ჟოზე, მინდა მოგანდოთ ფერწერისა და სკულპტურის მთელი განყოფილება, თქვენ და მაქსი, დარწმუნებული ვარ, გატაცებით იმუშავებთ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თქვენი მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

– აღფრთოვანებული ვარ.

მართლაც აღფრთოვანებლი ვიყავი. ეს ამბავი მოწმობდა, რომ დილით დანახული „დაიმლერი" არც კარგის და, მით უმეტეს, არც ცუდის ნიშანი არ იყო. მოწმობდა, რომ იულიუსს სერიოზულ ჟურნალისტად მივაჩნდი და, აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელ ქალადაც. მოწმობდა იმასაც, რომ დიუკრე, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილი იყო, პრინციპულობით გამოირჩეოდა, ჩემს მუშაობას აფასებდა. მარტო გული კი არ ამიძგერდა, თავიც უკეთ ამიმუშავდა.

– საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ? – მკითხა დიუკრემ.

წარბები ავწკიპე.

– რა უნდა მქონდეს?

– უბრალოდ, დარწმუნება მინდოდა, – მიპასუხა, – საჭიროდ მიმაჩნია გითხრათ მხოლოდ ის, რომ თუ რაიმე მიზეზით, რაც მე არ მეხება, თანამდებობაზე უარის თქმა მოგინდებათ, ეს ჩვენს ურთიერთობაში სრულად არაფერს შეცვლის.

ვერ მივხვდი, რის თქმა უნდოდა. როგორც ჩანს, იმ უბედური სულელების პლეადას მიეკუთვნებოდა, მე და იულიუსის საიდუმლო კავშირისა რომ სჯეროდათ, იმ ბრმა-ყრუ-მუნჯებს, ლუის არსებობა რომ არ იცოდნენ.

– არავითარი ასეთი სირთულე არ არსებობს, – ვუპასუხე სათნო სახით, – აჯობებდა, შამპანური დაგველია.

ათი წუთის შემდეგ რვა ინტელექტუალმა, – მეც მათ შორის, – ორმა მდივანმა და ძაღლმა მეზობელი კაფე დავიკავეთ და სამი ბოთლი შამპანური გამოვცალეთ იმ დიდებული ჟურნალის მომავლის სადღეგრძელოდ, ქვეყნიერებას რომ უნდა მოვლენოდა. დიუკრეს გულს უწყალებდნენ შეკითხვებით იდუმალ მეანაბრეზე, ის კი ღიმილით ახსენებდა „ერთ მეგობარს" და დროდადრო კითხვის გამომხატველ მზერას მესროდა, მაგრამ ჩემი გულწრფელი სიხარულისა და შამპანურის წყალობით მზერა მალე მეგობრული და თბილი გაუხდა. დიდიეს დავურეკე და ვუბრძანე, ყველა საქმე მიეტოვებინა და სადილად „შარპანტიეში" მოსულიყო, სადაც დაველოდებოდი.

...

– არა, – ამბობდა დიდიე, – არა, შეუძლებელია! როგორ მიხარია!

ეს წუთია ვუთხარი, რომ ლუი მიყვარდა, რომ მასაც ვუყვარდი.

– ლუის უნდოდა, ერთად გვეთქვა თქვენთვის, – ვუყვებოდი, – მაგრამ მომეჩვენა, რომ ერთი კვირის გატარება ისე, რომ მასზე არაფერი ვისთან მელაპარაკა, მეტისმეტად ბევრია და ბოლოს და ბოლოს ნება დამრთო, თქვენთვის მეთქვა.

– გახსოვთ, – გაიხსენა დიდიემ, – გახსოვთ, რა გაშმაგებით შემოგიტიათ პირველი შეხვედრისას და თქვენც რა დღე აყარეთ?

– იულიუსის საყვარელი ვეგონე, – მხიარულად ვუპასუხე, – ეს არ მოეწონა.

– მე ვარწმუნებდი, რომ ასე არ იყო, – განაგრძო დიდიემ, – მან კი შტერი მიწოდა. მართალი უნდა ითქვას, ძნელი დასაჯერებელი იყო, უფრო სწორად, დაუჯერებელი. იულიუსმა იცის?

– არა. ჯერ არა, მაგრამ ამ დღეებში ვეტყვი.

– აპრენანებთან არცთუ კმაყოფილი სახე ჰქონდა. გაცეცხლებულიც კი ჩანდა.

– არა, რას ამბობთ, – შევედავე დიდიეს, – ბრაზობს კი არა, დიუკრეს, ჩემს საყვარელ რედაქტორს დაურეკა სწორედ ამ დილას და ჟურნალის გადარჩენაში დახმარება შესთავაზა. უცებ სახალისოდ ეჩვენა ცოტაოდენი ფულის ზარალი. შესანიშნავია, არა? არ მეთანხმებით? საყვარელი იულიუსი...

გული საბოლოოდ ამიჩუყდა.

– საყვარელი იულიუსი, – ფიქრიანად ჩაილაპარაკა დიდიემ. – პირველად მესმის, რომ იულიუს ა. კრამი წარუმატებელი, გამგებიანი საქმიანობით დაინტერესებულიყოს.

უცებ მოიღუშა და, ფიქრში წასული, თეფშზე კარტოფილის ჭყლეტას მოჰყვა.

– ხომ არ გგონიათ, რომ ამით იულიუსი თქვენს დაკავებას ცდილობს?

– არა, ასეთი ჭკუამოკლე არ არის. ყოველ შემთხვევაში, დიუკრემ მაგრძნობინა, რომ, ამის გაუთვალისწინებლად, ჩემს მუშაობას აფასებს. დიდიე, ჩემო საყვარელო მაზლო, ხვდებით თუ არა? ლუი მიყვარს და პროფესია მაქვს.

თავი ასწია, შემომხედა, მერე ლაღად და უდარდელად ასწია ჭიქა და მომიჭახუნა.

– თქვენი სადეგრძელო იყოს, ჟოზე, თქვენი სიყვარულისა და სამსახურის.

მერე მთავარ თემას ანუ ლუის დავუბრუნდით. გავიგე, რომ სანიმუშო ძმაა, თანაგრძნობისა და დახმარებისთვის მუდამ მზად არის, რომ ნამდვილი მეგობარია, რომელსაც თვალდახუჭული შეიძლება ენდო, რომ ყოველთვის ისეთი ქალები ხვდებოდნენ, რომლებიც, დიდიეს აზრით, მის ფრჩხილად არ ღირდნენ და რომ – ეს უკვე ვიცოდი – ეჭვი არ არის, ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილნი.

– კი მაგრამ, როგორ მოახერხებთ, – დაუმატა დიდიემ, – პარიზში მუშაობას და სოფელში ცხოვრებას?

– ვნახოთ, კომპრომისული გადაწყვეტილება ყოველთვის მოიძებნება.

– ლუის კომპრომისები არ უყვარს, თავიდანვე გაითვალისწინეთ.

ვიცოდი ეს და ამიტომ თავს უფრო ბედნიერად ვგრძნობდი.

– ცხადია, ვიპოვით, ცხადია ვიპოვით, – მხიარულად ვიმეორებდი.

მშვენიერი დარი იდგა, როგორიც არასოდეს ყოფილა. კისერზე ლუის ნაკბილარები ისევ მეწვოდა. უზმოზე დალეული შამპანურისგან ყველაფერი ბუნდოვანი მეჩვენებოდა და ლივლივებდა. ბედნიერების მწვერვალზე ვიყავი. ხუთი დღის შემდეგ, პარასკევ საღამოს, ჩავჯდები მატარებელში, სოლონში, ლუისთან რომ წამიყვანს. აღმოვაჩენ მის ცხოვრებას, მის სახლს, მის ცხოველებს. იქ ყველაფრისგან განრიდებული ვიქნები.

იმავე საღამოს მე და დიდიე იულიუსთან ერთად ვვახშმობდით. ჩემზე არანაკლებ აღფრთოვანებული იყო თავისი გადაწყვეტილებით და დავპირდი, რომ ჟურნალის წყალობით ორმაგად მილიარდერად ვაქცევდი. გამოგვიტყდა, დიდი ხანია ვოცნებობდი, ბირჟის გარდა სხვა საქმეც მქონოდაო. ისიც კი გვთხოვა, დავხმარებოდით ხელოვნების დარგში ცოდნის გაღრმავებაში. მოკლედ, მეცენატის როლი ელეგანტურად ჩაანაცვლა მადლიერი უვიცის როლით. გვაგრძნობინა, რომ მოწყენილია. ფერწერა აინტერესებს და ჩვენს თამაშში ჩართვით ერთსა და იმავე დროს გართობაც უნდა და განათლებაც. ორ-სამჯერ სასხვათაშორისოდ მკითხა, როგორ გავატარე კვირის ბოლო. მხოლოდ ის ვუთხარი, სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო-მეთქი და ისიც, ჩემდა გასაკვირად, არ ჩამძიებია. მოგვიანებით დიდიემაც აღნიშნა, იქნებ იულიუსის შეფასებაში შევცდი და შენი წყალობით თავისებური უანგარობა გამოიჩინა, რაც მანამდე მისთვის არ შემიმჩნევიაო.

კვირა ძალიან მალე გავიდა.

ლუი მელაპარაკებოდა ხოლმე ტელეფონით. მეც ვურეკავდი. ჩვენი ჟურნალის სულ ახალ-ახალ პროექტებს ვადგენდით. დიდიე ყველგან დამყვებოდა. საღამოობით მას და იულიუსს ვუყვებოდი ახალ ამბებს. ხუთშაბათს ოთხივემ ვივახშმეთ დიუკრესთან ერთად. ისიც, ეტყობოდა, მოხიბლული იყო იულიუს ა. კრამის კეთილშობილებითა და სიმშვიდით და იმითაც, რომ არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა, ინტელექტუალის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. გადავწყვიტე, იმავე საღამოს მეთქვა იულიუსისთვის, რომ ხვალ სოფელში მივდიოდი ლუი დალესთან, მაგრამ ვახშამმა ისე მხიარულად ჩაიარა, ერთმანეთით ისე ვიყავით აღფრთოვანებულნი, რომ მანქანაში საჩოთირო განმარტების მიცემა აღარ მომინდა. ისღა ვუთხარი, დიდიესთან ერთად სოფელში მივდივარ-მეთქი, რაც მართალი იყო, რადგან დიდიე უნდა გამომყოლოდა. მხოლოდ ეს მიპასუხა: „არ დაგავიწყდეთ, ორშაბათს ირენ დებუსთან ვვახშმობთ". ნამცეცი გულდაწყვეტილობა არ შემიმჩნევია. ვუყურებდი, მისი მოტვლეპილი კეფა, მანქანის სავარძლის საზურგის იქით ოდნავ რომ ჩანდა, როგორ უჩინარდებოდა ღამის სიბნელეში და გამახსენდა, იმ საღამოს ორლიში ჩემთვის მხარში ამოდგომისა და ნუგეშისცემის სიმბოლოდ რომ იქცა. წამით გული მომეწურა, რადგან ახლა მხოლოდ მარტოობის სიმბოლოდ ქცეულიყო.

მატარებელი გიჟივით, სტვენით მიქროდა, თანაბრად, ერთნაირად გვარყევდა, მე კი მეგონა, ადგილზე ვიდექით, თავდახრილი რკინიგზელები კი განგებ მირბოდნენ ვაგონის გასწვრივ პატარა ალმებით ხელში, რომ მოვეტყუებინეთ და სიჩქარის ილუზია შეექმნა ჩვენთვის. გადავსხედით მეორე მატარებელში და მე, ვისაც აქამდე ასე გულაჩუყებით მიყვარდა ძველი საგარეუბნო მატარებლები, ვინანე, რომ ზეჩქარულ, ელვასავით სწრაფ ექსპრესს არ შეეძლო გავექროლებინე ჩემს ნავსაყუდლამდე – ლუიმდე. დიდიე ერთხანს ეცადა, გავერთე კროსვორდით, ჯინით, პოლიტიკის ახალი ამბებით, მერე, როგორც იქნა, ფარ-ხმალი დაყარა, შეეგუა, რომ მისი თანამგზავრი აჩრდილია, მოჩვენება და დეტექტიური რომანის ფურცვლა დაიწყო. დროდადრო ჩაიცინებდა, შემომხედავდა და „ვარდისფერ ცხოვრებას" წაიღიღინებდა ხოლმე. საღამოს შვიდი საათი შესრულდა. ჩრდილები დაგრძელდა. სოფლის პეიზაჟი მშვენიერი იყო.

ბოლოს ჩვენი ვაგონი ლუის ფეხებთან გაჩერდა და წამში მის მკლავებში მოვექეცი. დიდიემ ბარგი გამოიტანა, ძაღლი გამოიყვანა და გადახდილ „პეჟოში" ჩავსხედით. სანამ მანქანას დაძრავდა, ლუი მოგვიბრუნდა და სამივე ღიმილით შევაცქერდით ერთმანეთს. ვიგრძენი, ეს წუთი არასოდეს დამავიწყდებოდა. დაისის შუქით განათებული პატარა ცარიელი სადგური, ჩემკენ მოტრიალებული მათი ასეთი მსგავსი და ასეთი განსხვავებული სახეები, სოფლის სუნი, მატარებლის ხმაურის შემდეგ – სიჩუმე და ბედნიერების შეგრძნება, ჯადოსნური ხმალივით რომ მიმაჯაჭვა მანქანის სავარძელს, წამით ყველაფერი გაშეშდა და სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში. მერე ლუის ხელი შეეხო საჭეს და ცხოვრება განახლდა.

შარაგზა, სოფელი, ბილიკი და აი, როგორც იქნა, სახლი: კვადრატული, დაბალი, მზის ყვითელი სხივებით დაბრმავებული ფანჯრები, მთვლემარე ბებერი ხე, ორი ძაღლი. ჩემი ძაღლი ღრმა, ბავშვური ძილისგან გამოფხიზლდა და ყეფით გაექანა მათკენ. ენით აუწერელმა აღფრთოვანებამ შემიპყრო. კაცებმა კი მხრები აიჩეჩეს. კარები მოაჯახუნეს და ჩემოდნებით ხელში ავიდნენ პატარა კართანაზე. ორივეს ერთნაირი, ძლიერი და ლაღი სოფლის ბიჭურის მოძრაობები ჰქონდა. სასტუმრო ოთახში იდგა პლუშის დიდი დივანი, პიანინო, ყველგან გაზეთები ეწყო, იყო უამრავი ბროლი და კიდევ – უზარმაზარი ბუხარი. ეს ყველაფერი მაშინვე მომეწონა, მაგრამ ზუსტად ასევე მომეწონებოდა გოთური სავარძლები ან აბსტრაქტული სტილის ავეჯი. აივნის კართან მივედი, მღვდლის ბაღში რომ გადიოდა, იმის იქით კი იონჯის უსაზღვრო მინდორი გადაშლილიყო.

– რა მშვიდი ადგილია, – ვთქვი შემობრუნებისას.

ლუიმ მთელი ოთახი გადმოკვეთა და მხარზე დამადო ხელი.

– მოგწონს?

შევხედე. აქამდე მისთვის სახეში შეხედვას ვერ ვბედავდი. ვკრთებოდი, მეშინოდა მისი, ჩემი თავის, ყველაფრის, რაც გარს გვეხვია მას შემდეგ, რაც ერთად აღმოვჩნდით. ეს თანაზიარი არსე-

ფრანსუაზ ს

ბობა ლამის ხელშესახები იყო. მისი ხელი ოდნავ შემეხო მხარზე. გაუბედავად, შემკრთალმა დამადო. სახე ოდნავ შეეშალა, მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა მესმოდა. ერთმანეთს ვუყურებდით, ოღონდ ვერ ვხედავდით. ვგრძნობდი, რომ სახე მეც ისევე მქონდა გაშიშვლებული, როგორც მას და ორივე უძრავი სახე ყვიროდა: „ეს შენ ხარ!“ „ეს შენ ხარ!“ სიყვარულით ნატანჯი ორი სახე – ორი გაქვავებული, ფერფლით დაფარული პლანეტა, უტყვი ზღვებით – ერთმანეთისკენ მიპყრობილი თვალებით – და მოკუმული ბაგეების უფსკრულით. საფეთქლებზე ცისფერი ვენების ფეთქვა უგვანო ანაქრონიზმი იყო, იმ დროის ჯიუტი მოგონება, როცა გვეგონა, რომ ვარსებობდით, გვიყვარდა, გვეძინა, ერთმანეთს კი ჯერ არ ვიცნობდით. მის გაცნობამდე გავიგე, რომ მზე ცხელია. აბრეშუმი – რბილი, ზღვა – მლაშე. ისე დიდხანს მეძინა, რომ მეგონა დავბერდი, მაგრამ თურმე არც კი დავბადებულვარ. „მშია, მშია“, – სადღაც კილომეტრების იქით ამბობდა დიდიე. ბოლოს მისმა ხმამ ჩვენამდე მოაღწია და გამოვფხიზლდი. უცებ აღმოვაჩინე, რომ ლუის კანს მოჰკიდებოდა მზე, თვალებქვეშ კი რუჯი თეთრი ვიწრო ზოლით იყო გადახაზული.

– ალბათ მზეზე კითხულობდი.

იმანაც, როგორც იქნა, გაიღიმა, თავი დამიქნია, ხელი ოდნავ მომიჭირა მხარზე და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. აქამდე დაახლოებით ერთი მეტრით დაშორებული ჩვენი სხეულები შეუკავებელი, საერთო სურვილის გეოტროპიზმის წინააღმდეგობას დაეჭიმა. იდგნენ მსხვერპლისგან მოშორებით, როგორც კარგად განწვრთნილი მონადირე ძაღლები. ლუის ერთი ნაბიჯი და – აიწყვიტეს. ბუნებრივად მოვსხლტით ერთმანეთისკენ და, მაგრად გადახვეულები, დიდიესკენ მივბრუნდით. იღიმებოდა.

– თქვენი წყენინება არ მინდა, მაგრამ ისეთი მოუქნელები, ულაზათოები და მოწყენილები ჩანდით! რამე უნდა დავლიოთ, თორემ ესპანელი ნეფე-დედოფლის დუენიასავით ვარ.

მე კი, რაკი ვიცოდი, რომ უხერხულობა და უგერგილობა დღისით ღამეული ჰარმონიის ანარეკლია, რომ განგებ შენარჩუნებული დისტანცია ფარულ ურცხვობას ამხელს, სიამაყით და მადლიერებით აღვივსე ამ ძლიერი სხეულების გამო, მე და ლუის რომ გვეკუთვნოდა, ასე იოლად რომ თვინიერდებოდა მესამის შემოხედვაზე. დიახ, ჩვენს სიყვარულს წინასწარ დასახული გზით ორი კარგი ცხენი, წმინდა სისხლის ორი მფრთხალი, ერთგული, ქარისა და წყვდიადის მოყვარული ბედაური წაიყვანს.

დივანზე წამოვწექი. ლუიმ ვისკი გამოიღო. დიდიემ ფირსაკრავზე შუბერტის კვინტეტის ფირფიტა დადო და პირველი სირჩა მალევე დავლიეთ. აღმოჩნდა, რომ წყურვილისა და დაღლილობისგან ვკვდებოდი. მოსაღამოვდა. საუკუნე იყო, ვიჯექი ამ ბუხართან და შემეძლო, ზეპირად მემღერა უცნობი კვინტეტი. თუნდაც ასჯერ მოვკვდე, თანახმა ვარ, ცხოვრების ამ წამებისთვის ასჯერ მომისაჯონ საუკუნო ტანჯვა.

სოფლის პატარა რესტორანი სახლიდან სამასიოდე მეტრზე იყო და ფეხით წავედით. როცა ბრუნდებოდით, სულ მთლად ბნელოდა და თეთრ გზას ფეხქვეშ მკრთალად ვხედავდით. ლუის ოთახი ხალვათი და მყუდრო იყო. ორივე ფანჯარა ღია გვქონდა და ერთ ფანჯარაში შემოფრენილი ღამის ნიავი სანამ მეორეში გავიდოდა, ხანდახან ჩვენც გველამუნებოდა, აგრილებდა და აშრობდა ჩვენს სხეულებს. ყურადღებიანი, ფხიზელი, მსუბუქი ნიავი, როგორც მონა, რომელიც ორ თანამოძმეს, ოღონდ სხვა, უფრო ულმობელი ბატონის მონებს დარაჯობს.

ორი დღის მერე, ანუ კვირას, იმ არემარეზე, მახლობლად, ძროხამ ხბო მოიგო. ლუიმ გაყოლა შემოგვთავაზა. მე და დიდიე შევყოყმანდით.

– წავედით, – შეგვაგულიანა ლუიმ, – აი, უკვე ორი დღეა, ორივე გაუჩერებლად ლაპარაკობთ რა ლამაზია, რა მშვენიერია სოფელი. ფლორის შემდეგ – ფაუნა. გავუდექით გზას!

თხუთმეტი კილომეტრი ზღვრული სიჩქარით ვიარეთ. ვცდილობდი გამეხსენებინა ეპიზოდი ვაიანის ძალიან კარგი რომანიდან, სადაც პერსონაჟი, ნაზი, მაგრამ ძლიერი ქალი, ხბოს ამქვეყნად მოვლინებაში ეხმარება. ბოლოს და ბოლოს თუ ჩემმა ცხოვრებამ იმპრესიონიზმსა და ბაროკოზე დახვეწილ დისკუსიებსა და ბუნების უფრო სასტიკ კაპრიზებში უნდა გაიაროს, მასალა კარგად უნდა შევისწავლო.

ბოსელში ბნელოდა, ქალი, ორი მამაკაცი და ბავშვი შეჯგუფებულიყვნენ ტიხართან, რომლის უკნიდანაც გულშემზარავი ბღავილი ისმოდა. უცნაური, მტკნარი და ძლიერი სუნი ნეხვის სუნს ერეოდა. უცებ მივხვდი, რომ სისხლის სუნი იყო. ლუიმ ქურთუკი გაიხადა, სახელოები დაიკაპიწა და დაწინაურდა. კაცებმა გზა დაუთმეს და რაღაც ნაცრისფერი, ვარდისფერი და ლოპრიანი დავინახე. სისხლის გაგრძელებასავით. ფურმა უფრო დაიბღავლა და ის რაღაც თითქოს გაიზარდა. მივხვდი, ხბო იყო და გარეთ გავვარდი, კინაღამ გული ამერია. დიდიე ვითომ ჩემს დასახმარებლად გამოვიდა, მაგრამ თვითონაც თავიდან ფეხებამდე თრთოდა. საცოდავად შევხედეთ ერთმანეთს და სიცილი წაგვსკდა. ნამდვილად, მადამ დებუს სასტუმრო ოთახიდან ამ ბაგამდე გადასვლას თანდათანობა აკლდა.

ძროხამ საშინლად დაიბღავლა. გული გასკდომაზე მქონდა. დიდიემ სიგარეტი გამომიწოდა

– რა საშინელებაა, – წარმოთქვა მან, – ჩემს საბრალო ძმას ასე ხომ არ უნდა, მამობაზე ფიქრს შემაგუოს? მე აქ დავიცდი, გარეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ხბოს სანახავად წავედით. მერე ლუიმ სისხლიანი ხელები დაიბანა. ფერმერმა სასმელი შემოგვთავაზა და მანქანაში დავბრუნდით. ლუი იცინოდა.

– ცდა მაინცდამაინც დამაჯერებელი არ იყო.

– ჩემთვის – ნამდვილად, – განაცხადა დიდიემ. – არასოდეს მქონია ამის ხილვის ბედნიერება. საინტერესოა, როგორ ახერხებ?

– მართალი გითხრა, ამ უბედურ ფურს მე არ ვჭირდებოდი, მაშინ გამოვადგებოდი, საქმე ცუდად რომ წასვლოდა. ხანდახან ნაკერების დადებაა ხოლმე საჭირო.

– ოჰ, გაჩუმდი, შეგვიბრალე, – შეეხვეწა დიდიე. ლუიმ კი წმინდა სადიზმის გამო ერთიმეორეზე საშინელი შემთხვევების დაწვრილებით, ვრცლად მოყოლა დაიწყო. იძულებული გავხდით, ყურები დაგვეცო. ტყეში, ტბორთან შევჩერდით. ძმებმა კენჭების წყალზე გასრიალება დაიწყეს.

– ჟოზემ იულიუს ა. კრამის უკანასკნელ ახირებაზე გითხრა? – შეეკითხა დიდიე.

– არა, არც კი გამხსენებია, – მე ვუპასუხე.

ლუი დაიხარა კენჭით ხელში, თავი მოატრიალა და შემომხედა

– რა ახირებაზე?

– იულიუსმა იმ ჟურნალის დაფინანსება გადაწყვიტა, ჟოზე რომ მუშაობს, – განაცხადა დიდიემ, – და აი, ეს ქალი, ახლახან თვალს რომ ადევნებდა ხბოს მოგებას, ამიერიდან თანამედროვე ფერწერისა და ქანდაკების ბედს გადაწყვეტს.

– კარგი ერთი, – თქვა ლუიმ, მერე ხელი მოიქნია. კენჭი ხუთჯერ თუ ექსჯერ გადახტა წყლის გლუვ ზედაპირზე და ჩაიძირა.

– არა უშავს რა გამომივიდა, – კმაყოფილმა ჩაილაპარაკა, – ეგ დიდი პასუხისმგებლობაა, არა?

მიყურებდა და ჩემი ახალი მოვალეობით მოგვრილი მათრობელა სიხარული გამინელდა. უცებ გავიაზრე მთელი ამაოება და საფრთხე, რომელიც მელოდა. რა უფლებით დავთანხმდი, განაჩენი გამოვუტანო სხვების ქმნილებებს, თუკი ამ გადაწყვეტილების სამართლიანობის თავდებობა არ შემიძლია? გავგიჟდი? ეს ლუის შემოხედვამ გამაგებინა

– დიდიე ფაქტებს ამახინჯებს, – ვუთხარი, – მე კი არ უნდა გავაკრიტიკო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ დავწერ, რამ აღმაფრთოვანა, რა მომეწონა

– ამიტომ კი არ გადარეულხარ, – შემეხმიანა ლუი, – შეგნებული თუ გაქვს, რომ შენი სიტყვებისა და შენი სიჩუმისთვის გადაგიხდიან? და გადაგიხდის იულიუს ა. კრამი.

– დიუკრეს მეშვეობით, – შევუსწორე.

– დიუკრეს ხელით, – ამყვა ლუი, – ამაზე თანახმა ვერ იქნები.

ვუყურებდი მას, ვუყურებდი თვალდახრილ დიდიეს, რომელიც, ჩანდა, უხერხულად გრძნობდა თავს, ამ თემას რომ შეეხო და ავღელდი, როგორც მაშინ, „პონ-რუაიალში“, ლუი მტრად, მოსამართლედ, პურიტანელად რომ მომევლინა. მასში ჩემს ძვირფას მიჯნურს ვეღარ ვხედავდი.

– უკვე სამი თვეა ამას ვაკეთებ, – ვუპასუხე, – შესაძლოა, გამოცდილება მაკლდეს, მაგრამ თავს ამით ვირჩენ და, რაც მთავარია, ეს საქმიანობა მომწონს. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მიხდის – დიუკრე თუ იულიუსი.

– ჩემთვის აქვს, – გამომიცხადა ლუიმ.

ახალი კენჭი აიღო. სახე გაუმკაცრდა. უცებ სულელური შიში ვიგრძენი, რომ ამ კენჭს სახეში მესროდა.

– ყველას ჰგონია, რომ მე იულიუსის საყვარელი ვარ, – ვთქვი, – ყოველ შემთხვევაში, ყველას ჰგონია, რომ ის მარჩენს.

– ესეც უნდა შეიცვალოს, – შემაწყვეტინა ლუიმ, – და ძალიან მალე.

ბოლოს და ბოლოს, რის შეცვლა უნდა? პარიზი ბინძური ქალაქია. იქ მხოლოდ ხრიკებით, ცბიერებით, მოსაჩვენებლად და თვალის ასახვევად ცხოვრობენ. მაგრამ მე ლუის ვეკუთვნი, მხოლოდ მას, და მან ეს იცის. უნდა, სხვა არავინ მხიბლავდეს და აღმაფრთოვანებდეს. და უნდა, უარი ვთქვა მუზეუმებში, გამოფენებზე, ქუჩებში მარტო სიარულზე? მას არ ესმის, რომ რაღაც ცისფერი ტონები ტილოზე, რაღაც ფორმები უფრო მიჩქროლებენ და მიჩუყებენ გულს, ვიდრე ახალშობილი ბოჩოლა. სწორედ ისევე, როგორც მისი შემოხედვისას ვგრძნობდი მეტ სიცოცხლეს და მეტ ჭეშმარიტებას, უფრო ხასხასა და მთელი სისავსით წარმომიდგებოდა მხატვრის თვალით დანახული ბუნება. რა, მერე, გადაგვარებული ვარ, ლურჯი წინდა და განსაკუთრებული პრეტენზიები მაქვს? ყოველ შემთხვევაში, მეყო, საკმარისია, თვრამეტი წლისა აღარ ვარ და პიგმალიონს არ დავეძებ, თუნდაც ვეტერინარის სახით.

ეს უსიამო აზრები მაწვალებდა. გზას ვუყურებდი, მაგრამ ვერ ვხედავდი, როცა ლუიმ ხელზე ხელი დამადო.

– ნუ ნერვიულობ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

მერე გამიღიმა, მეც გავუღიმე და იმ წუთას დავიფიცე, რომ სამუდამოდ მასთან დავრჩებოდი და მხოლოდ მსხვილ რქოსან პირუტყვზე ზრუნვას შევწირავდი თავს. ეტყობა, შეხედულებების გადაფასება სახეზე დამეწერა, რადგან დიდიემ, აქამდე პირი რომ არ გაუღია, უცებ ამოიოხრა და ისევ „ვარდისფერი ცხოვრების“ სტვენა დაიწყო. საღამოს, ღამით, თუ დრო დაგვრჩება, თუ ნეტარებაზე ზრუნვასა და განშორების შიშს აყოლილი ჩვენი სხეულები გვაცლიან, ამ ყველაფერზე ვიმსჯელებთ. მაგრამ ავხორცულად, ვერაგულად, დაუნდობლად უკვე ვიცოდი, რომ არც ერთი ჩვენგანი არაფერს მისცემდა ჩვენ შორის შემოძვრომის ნებას და ერთადერთი, რასაც ერთმანეთს ვეტყოდით, სიყვარულის სიტყვები იქნებოდა.

...

– ლონდონში წამოსვლა არ შემიძლია, – ვეუბნებოდი, – ხვალ წამოსვლა არ შემიძლია.

– მისმინეთ, – შემეკამათა იულიუსი, – პარასკევს, შაბათს და ორშაბათს სოთბის აუქციონია. და რაკი დიუკრე დაჟინებით მოითხოვს თქვენს წასვლას...

„ალექსანდრესთან“ რესტორნის ტერასაზე ვისხედით. ის წუთი იყო, ირენ დებუ შემოგვიერთდა.

– ლონდონი არ გიყვართ? შესანიშნავი ქალაქია! სოთბის აუქციონები კი ყოველთვის გრანდიოზულია. თუ გეშინიათ, რომ მოგეწყინებათ, დიდიე წაიყვანეთ.

მე ჯიუტად, დაჟინებით ვიმეორებდი: ხვალ ლუი ჩამოდის და არა მგონია გაუხარდეს, რომ ვუთხრა, ლონდონში მივდივარ-მეთქი. აი, უკვე ხუთი საღამოა ზედიზედ ვლაპარაკობთ ტელე-

ფონით ბურგონის ქუჩაზე ჩვენი ბინის შესახებ – როგორ დავცემთ ორდღიან ბანაკს და სიბნელეში მუსიკას მოვუსმენთ. ლუის არ უნდოდა არც თვითმფრინავები, არც სასტუმროები, არც სურათები. მარტო მე ვუნდოდი.

– თქვენი არ მესმის, – უკვირდა ირენ დებუს.

– სწორედაც, – საჩქაროდ ვუპასუხე.

შევამჩნიე. ბრაზისგან როგორ გაწითლდა. ბოლო ხანს გაცილებით იშვიათად ვხვდებოდი მასაც და მის ახლობლებსაც. გვიანობამდე შემოვრჩებოდი ხოლმე სხვებთან ერთად რედაქციაში, – სიხარულით აღსავსე აღტყინებას ჯერ არ გაევლო, – მერე პირდაპირ შინ მივდიოდი. მე და ჩემი ძაღლი ვვახშმობდით, მერე, როგორც კი ლუისთან ტელეფონით საუბარს ვამთავრებდი, მკვდარივით მეძინებოდა. იულიუსი სადილად ხშირად დადიოდა რედაქციის გვერდით, პატარა რესტორანში. ისიც თითქოს ჩვენსავით გატაცებული იყო ჩვენი პროექტებით. სანიმუშო მოსწავლესავით სულ მანქანით დაჰქონდა, დიუკრემ რომ ურჩია, ის ალბომები და წიგნები ხელოვნების შესახებ. აიხირა, რომ თავისი კანტორის მცირელიტრაჟიან ავტომობილს დამითმობდა, რათა მე და ძაღლს ადვილად გვემოძრავა. მაგრამ იმ დღეს მახეში გავები. ამ ლონდონის პროექტზე მტკიცე უარი უნდა მეთქვა და მიზეზიც ამეხსნა. მადამ დებუს თანდასწრებით უხერხულობას კი არ ვგრძნობდი, პირიქით, ეს საქმეს აადვილებდა: ჩემს სასიყვარულო ისტორიას ანეკდოტად აქცევს, უმნიშვნელო ინტრიგამდე დაიყვანს. ეს გულსატკენი იქნება – მუხანათობა ხომ მისი პროფესიაა. თავქარიანობის დაბრალებით აღსარებას გამიადვილებს.

– დიდიე დალეც ვერ წამოვა, ჩემი არ იყოს, რადგან მის ძმას, ლუის ველოდებით. პარიზში ორი დღით ჩამოდის.

იულიუსს წარბი არ შეუხრია, აი, ირენ დებუს კი დავთრები აერია. ჯერ მე შემომხედა სახეში, მერე იულიუსს მიაშტერდა.

– ლუი დალე? – გაიმეორა. – იულიუს, რა ხდება? თქვენ საქმის კურსში ხართ?

სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დარღვევასაც იულიუსი თითქოს არ ჩქარობდა. ხელებს ითვალიერებდა დიდის ყურადღებით.

– იულიუსი სულაც არ არის საქმის კურსში, – თავს ძალა დავატანე, – ლუი დალეს ცოტა ხანია ვიცნობ. ძაღლი სწორედ მან მაჩუქა – ეს იცით. მოკლედ, შაბათ-კვირას ჩამოდის პარიზში და ლონდონში წამოსვლა არ შემიძლია.

ირენ დებუმ ვერაგულად ჩაიცინა.

– ეს უაზრობაა, – იმეორებდა, – უაზრობაა.

– ძვირფასო ირენ, – დაიწყო იულიუსმა, – თუ არ გეწყინებათ, ამაზე მე და ჟოზე მოგვიანებით ვიმსჯელებთ. ცოტა უხერხული მეჩვენება...

– მეც, – განაცხადა მან, – შეგიძლიათ, ახლავე ილაპარაკოთ, თუ გნებავთ, მე მივდივარ.

წამოდგა და ისე სწრაფად გავიდა, რომ იულიუსმა ადგომა ძლივს მოასწრო.

– რა დაემართა?

– ის, – მიპასუხა იულიუსმა, – რომ მასაც, როგორც მე, სხვათა შორის, ეგონა, რომ თქვენი სამუშაო გაინტერესებდათ და დასაყრდენიც მასში პოვეთ, და, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდა, რომ ასე მალე გაგიჩნდათ აგდებული დამოკიდებულება ოდნავ ნაცნობი მამაკაცის გამო. ბოლოს, და ბოლოს, ირენს, მიუხედავად მისი მრავალი ნაკლისა, ძალიან უყვარხართ და არ იცის, რა უცებ შეგიძლიათ გატაცება.

– ვისზე მელაპარაკებით?

– ისევ იმ ლუი დალეზე, – მშვიდად მიპასუხა იულიუსმა – მასზე ან პიანისტზე ნასოდან.

გავწითლდი. ვგრძნობდი, როგორ მომეძალა სიწითლე.

– საიდან იცით? – წარმოვთქვი, – და თუ იცით, როგორ ბედავთ ამაზე ჩემთან ლაპარაკს. თქვენ რა, მითვალთვალებთ?

– მე უკვე გითხარით, რომ მაინტერესებთ.

თვალები მოეჭუტა და არ მიყურებდა. საშინელი შიში ვიგრძენი მის მიმართ, საკუთარი თავის მიმართაც. ისე სწრაფად ავდექი, რომ ძაღლიც წამოხტა და გადარეული ყეფა მორთო.

– მივდივარ, – წამოვიძახე, – ჩემთვის აუტანელია, რომ... რომ თქვენ... – მრისხანებისგან, შეცბუნებისგან ენა მებმოდა.

იულიუსმა გულკეთილად ასწია ხელი.

– დამშვიდდით, ეგ ყველაფერი შემთხვევის ამბავია. საღამოს შვიდზე გამოგივლით, როგორც შევთანხმდით.

უკვე გარეთ ვიყავი. ფართო ნაბიჯებით გადავჭერი პროსპექტი, ძაღლიანად შევძვერი მანქანაში. როცა გასაღები გადავატრიალე, მაშინღა გამახსენდა, რომ „მისი“ მანქანა იყო, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი სულერთი გახდა. შეიძლებოდა, დამემსხვრია მისი ძვირფასი მანქანა, მაგრამ მაქსიმალური სიჩქარით გავიარე ავენიუ, გადავედი ხიდზე და შინ დავბრუნდი, საწოლზე დავჯექი. საფეთქლები მიბაგუნებდა. ძაღლმა კეთილგანაწყობით დამადო თავი მუხლებზე. არ ვიცოდი, რა მექნა.

ათი წუთის შემდეგ იულიუსმა კარზე დარეკა. წინ ჩამომიჯდა. ფანჯარაში გაიხედა. მართალი რომ ითქვას, ერთმანეთისთვის სახეში არასოდეს შეგვიხედავს. როცა მისი სახის წარმოდგენას ვცდილობდი, ყოველთვის მხოლოდ პროფილს ვხედავდი. ამ ადამიანს არც ჟესტები ჰქონდა, არც გამოხედვა, მაგრამ სწორედ ამ კაცმა დამინახა ალანის ტყვეობაში, დამინახა თვალცრემლიანი ნიუ-იოკის სასტუმროში, დამინახა პლაჟის პიანისტით გატაცებული. ამ ადამიანს რამდენადმე მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა ჩემზე, მელოდრამატულიც კი, მე კი მასზე არაფერი ან თითქმის არაფერი ვიცოდი. თავის გრძნობებზე ერთადერთხელ დამელაპარაკა ჰამაკის სიღრმიდან, საიდანაც მხოლოდ მის თმას ვხედავდი.

ძალები ძალიან უთანაბრო გვქონდა.

– ვიცი, რომ ახლა მარტო ყოფნა გირჩევნიათ, – თქვა იულიუსმა, – მაგრამ ძალიან მინდა, რაღაც აგიხსნათ.

არაფერი ვუპასუხე. ვუყურებდი და მართლა ძალიან მინდოდა, წასულიყო. მასში მტერს პირველად ვხედავდი. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ერთადერთი, რაც მაფიქრებდა – ნეტავ ლუის თუ უამბობს პიანისტზე-მეთქი. მესმოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა
N4 აპრილი 2014
85
ფრანსუაზ ს

სახისკენ, აუხსნელი ნეტარება გვეუფლებოდა, ლამის კრუტუნს ვიწყებდით და სხვა ყველაფერი, რასაც სინაზესთან არ ჰქონდა კავშირი, სამომავლოდ იყო გადადებული. ბედნიერებით აღსავსე მდუმარების საათებს ვატარებდით. ფრაზა შუა სიტყვაზე გვიწყდებოდა. ნამდვილ დიალოგს ჩვენი სხეულები განაგრძობდნენ. მაგრამ იმ დღეს ლუიმ მაინც გადაწყვიტა, ყველაფრისთვის ადგილი მიეჩინა.

– ვიფიქრე, – დაიწყო მან, – უპირველესად, რაღაცაში უნდა გამოგიტყდე. გარდა საზოგადოების კეთილშობილური უგულებელყოფისა, პარიზიდან წასვლის მიზეზი ისიც იყო, რომ ვთამაშობდი. თავდაგაკლული მოთამაშე ვარ.

– შესანიშნავია. ბანქოს მეც ვთამაშობ.

– ეს ვერაფერი ნუგეშია. სანამ მე და დიდიეს მემკვიდრეობას გავანიავებდი, გავიქეცი. ვეტერინარი იმიტომ გავხდი, რომ ცხოველები მიყვარს, თანაც ყოველთვის სასიამოვნოა დაეხმარო იმას, ვინც ვერ შემოგჩივლებს. არ მინდა, სოფელში გადმოსახლება გაიძულო, მაგრამ უშენოდ სიცოცხლე არ მსურს.

– თუ დაბეჯითებით მთხოვ, წამოვალ სოფელში.

– ვიცი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენი ჟურნალი გიყვარს. მე თავისუფლად შემიძლია პარიზის მახლობლად მუშაობა. რამდენიმე ცხენსაშენის მეპატრონეს ვიცნობ. შემიძლია, ცხენებს მივხედო და დაშორებაც აღარ მოგვიხდება.

გულზე მომეშვა. ლუისთვის არ მითქვამს, რომ ჩემი საქმიანობა, ყოველ შემთხვევაში, ამაზე ფიქრი სულ უფრო მეტად მიღვიძებდა სურვილს, რომელიც არასოდეს განმეცადა – რამეში მაინც მევარგა. იმის აღმოჩენა, რომ ლუი მოთამაშეა, მახალისებდა – ამ სიმშვიდის, წონასწორობის განსახიერებას, ამ ლოდს, ფუჭი ქანიც ჰქონია. რა თქმა უნდა, ღამით ნათქვამ სიტყვებში, შეყვარებულის ქცევაში წარმოსახვა და ფრთებს შლიდა უკიდეგანო სინაზე და ნდობით მავსებდა. ღამე, ალკოჰოლისა არ იყოს, ვიცი, რომ უდიდესი მამხილებელია, მაგრამ ის, რომ თვითონ გამანდო თავისი რთული ხასიათიც და მასთან ერთად – სისუსტეც, ნიშნავდა, რომ ჩემდამი ნდობა გაუჩნდა, ნიღაბახდილი, გულახდილად მელაპარაკა, რომ უდიდეს გამარჯვებას მივაღწიეთ, რაც მხოლოდ ბედნიერ შეყვარებულთა ხვედრია და აიძულებს, იარაღი დაყარონ.

– პარიზის ახლოს დავსახლდებით, – მითხრა ლუიმ, – მერე კი, თუ მოგვინდება, ბავშვიც გვეყოლება, ერთი ან ორი.

ჩემი შემთხვევითობებით აღსავსე ცხოვრების განმავლობაში ასეთი შესაძლებლობა პირველად მეჩვენა სასურველი. ლუისთან, ძაღლსა და ბავშვთან ერთად ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრებ. გავხდები პარიზში საუკეთესო ხელოვნებათმცოდნე, ეზოში კი წმინდა სისხლის ცხენებს მოვაშენებთ. ასეთი იქნება ქარიშხლებით, დევნითა და თავდაღწევით აღსავსე ჩემი ცხოვრების ჰეპი ენდი. ბოლოს და ბოლოს, როლს შევიცვლი: აღარ ვიქნები გარეული ფრინველი და ნადირი, გადარეული მონადირე რომ მისდევს ფეხდაფეხ; ვიქნები უღრანი ტყე, რომელშიც თავს შეაფარებენ, დანაყრდებიან და დარწყულდებიან ჩემი საყვარელი და მორჩილი ბინადრები – ჩემი თანამგზავრი, ჩემი შვილი და ჩემი ცხოველები. აღარ ვიცხოვრებ ქურდობიდან ქურდობამდე, სულიერი ტანჯვიდან სულიერ ტანჯვამდე; მზიან მდელოდ, ნაკადულად ვიქცევი, სადაც მოვლენ ჩემი ახლობლები, რათა უხვად შესვან ადამიანური სინაზე. ეს უკანასკნელი თავგადასავალი ყველაზე საშიში მეჩვენებოდა, რადგან ამჯერად მისი დასასრულის წარმოდგენაც კი არ შემეძლო.

– საშინელებაა, – ვუთხარი, – მაგრამ მეჩვენება, რომ შენ გარდა ვერასოდეს ვერავისზე შევძლებ ფიქრს.

– მეც. ამიტომაც ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. განსაკუთრებით – შენ.

– ისევ იულიუსი?

– ჰო, – ღიმილის გარეშე მომიგო, – ამ კაცის გატაცება ფლობაა, დაპატრონება, პყრობა. უანგარო პოზა, შენ მიმართ რომ უჭირავს, მაშინებს. პრეტენზიას რომ აცხადებდეს შენზე, ასე არ ვიღელვებდი. მაგრამ ამაზე არ მინდა შენთან ლაპარაკი. ვერ გადამარწმუნებ. უბრალოდ, მინდა, იმ დღეს, როცა ეს მოხდება, ჩემთან მოხვიდე.

– საჩივლელად?

– არა, ნუგეშის მისაღებად. მხილებას არასოდეს მოაქვს სიხარული. შენ აუცილებლად ჩაიდებ გულში ბოღმას იმის მიმართ, ვინც ამისკენ გიბიძგებს და არ მინდა, ეს კაცი მე ვიყო.

ეს ყველაფერი მეტისმეტად ბუნდოვანი და ნაკლებრეალური მეჩვენა. ეიფორიაში მყოფს იულიუსი კეთილ ძიად უფრო წარმომედგინა, ვიდრე ტირანად. დაბნეულად გავუღიმე და წამოვდექი. ექვს საათზე დიუკრეს უნდა შევხვედროდი ყდის მოდელზე დასალაპარაკებლად. ლუიმ გამაცილა და წავიდა. დიდიესთან ერთად ვახშმობდა.

ოდნავ დამაგვიანდა და ფეხის წვერებზე შევიპარე. მეზობელ კაბინეტში დიუკრე ტელეფონზე ლაპარაკობდა. ხელის შეშლა არ მინდოდა. კარი ღია იყო. ჩემს მაგიდას მივუჯექი. რაღაც დრო გავიდა, სანამ მივხვდი, რომ ჩემზე ლაპარაკობდნენ.

– ძალიან ცუდ დღეში ვარ, – ამბობდა დიუკრე, – როცა მისი მიღება მთხოვეთ, უარის თქმის არავითარი საფუძველი არ მქონდა. ბოლოს და ბოლოს ადამიანს სამსახური სჭირდება, მე კი ფინანსური გაჭირვების გამო თანამშრომლები მაკლდა. და რაკი შემომთავაზეთ მისთვის ხელფასის გადახდა... არა, არაფერი შეცვლილა, ოღონდ მეგონა, საქმის კურსში იყო. ორი თვეა, რაც მისთვის ჩემი ჟურნალის გაფართოება გადაწყვიტეთ, ყურადღებით ვადევნებ თვალს. არაფერი იცის... ჩემთვის თქვენი გეგმები უცნობია... გასაგებია, ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ერთხელაც, ყველაფერი რომ გაიგოს, უპრინციპოს როლში აღმოვჩნდები, მე კი ასეთი არ ვარ. ეს ყველაფერი ხაფანგს ჰგავს...

მან ლაპარაკი შეწყვიტა, რადგან ზღურბლზე ვიდექი და გაოგნებული შევყურებდი. უჩუმრად დადო ყურმილი და თავის პირისპირ სავარძელზე

მიმითითა. მე ავტომატურად ჩამოვჯექი. ერთმანეთს თვალს არ ვაცილებდით.

– მე ვფიქრობ, დასამატებელი აღარაფერია, – მითხრა.

უფრო გაფითრებული და ნაცრისფერი იყო, ვიდრე ყოველთვის.

– არა, – ვუპასუხე, – მგონი, ყველაფერი გავიგე.

– მესიე კრამის განზრახვა კეთილი მეჩვენა და მართლა მეგონა, საქმის კურსში იყავით. სირთულეები ორი თვის უკან დაიწყო, როცა მთხოვა, მეტად დამეტვირთეთ, მოგზაურობა დამევალებინა... მოკლედ, ვერაფერს მივხვდი, სანამ ლუი დალეს გამაცნობდით.

სუნთქვა მეკვროდა. შემრცხვა ჩემი თავის, მის გამოც მრცხვენოდა, იულიუსისაც, მაგრამ განსაკუთრებული გულისტკივილითა და სასოწარკვეთით ვფიქრობდი ახალგაზრდა, ჭკვიან, გულისხმიერ და განათლებულ ქალზე, როგორადაც წარმომედგინა საკუთარი თავი ამ მტვრიან კედლებში.

– არა უშავს, – ჩავილაპარაკე, – ლამაზია, ვერაფერს იტყვი.

– იცით, – დაიწყო დიუკრემ, – ეს არაფერს ცვლის, ახლავე დავურეკავ მესიე კრამს და ვეტყვი, რომ უარს ვამბობ ახალ ჟურნალზე და თქვენ ისევ ჩვენთან დარჩებით.

გავუღიმე, უფრო სწორად, გაღიმება ვცადე, მაგრამ აუტანელი იყო.

– დიდი სისულელე იქნება, – ვუპასუხე, – ჩემი წასვლა აუცილებელია, მაგრამ არა მგონია, იულიუსი ისე დაწვრილმანდეს, ჯავრი თქვენზე იყაროს.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ერთგვარი სინაზითაც კი შევცქეროდით ერთმანეთს.

– ჩემი წინადადება ძალაში რჩება და თუ ოდესმე მეგობარი დაგჭირდებათ... მაპატიეთ, ჟოზე, თქვენ ისე გიყურებდით, როგორც კაპრიზს, ახირებას...

– ასეც არის, – მშვიდად მივუგე, – ყოველ შემთხვევაში, იყო. დაგირეკავთ.

სწრაფად გავედი, იმიტომ რომ თვალები მეწვოდა, ცრემლი მომადგა. მიმოვიხედე – კაბინეტში თითქოს ყველაფერს დაღლილობის დაღი ესვა: ქაღალდებს, რეპროდუქციებს, საბეჭდ მანქანებს – ილუზიის ნდობისაღმძვრელ დეკორაციას, – და გარეთ გავვარდი. პირველ კაფესთან კი არ შევჩერდი, სადაც ჩვენი მეგობრული კომპანია იყრიდა ხოლმე თავს, არამედ მომდევნოსთან. რაღაც გასწორდა, გაიმართა ჩემში და აღარაფერი შემრჩა, გარდა სურვილისა, გამეგო, მემხილებინა, გამომეაშკარავებინა რაღაც – არც კი ვიცოდი, რა. იულიუსს ვერ მივმართავდი, რადგან ამ ღალატს, ჩემს ყიდვას კეთილშობილი ადამიანის უბრალო თავაზიანობად, გზააბნეული ახალგაზრდა ქალისთვის განკუთვნილ საჩუქრად წარმომიდგენდა. მხოლოდ ერთ ადამიანს ვიცნობდი, საკმაოდ რომ ვძულდი, რათა გულახდილი ყოფილიყო – სისხლმწყურვალე მადამ დებუს. დავურეკე. სასწაული მოხდა – შინ იყო.

– გელოდებით, – მითხრა.

არ უთქვამს, ფეხს არ მოვიცვლიო, მაგრამ ტაქსიში, მისკენ მიმავალმა, წარმოვიდგინე, როგორ ივარცხნიდა ახლა, როგორ ემზადებოდა განსაკუთრებულად მოზეიმე განწყობით.

...

მის სასტუმრო ოთახში ვიჯექი. მშვენიერი დარი იდგა, მშვიდად ვიყავი.

– იმას ხომ ვერ მეტყვით, რომ თქვენ ამ ყველაფერზე წარმოდგენა არ გქონდათ?

– არაფერსაც არ გეტყვით, – ვუპასუხე, – რადგან მაინც არ დამიჯერებთ.

– ცხადია. აბა, არ იცოდით, რომ ბურგონის ქუჩაზე ბინის დაქირავება თვეში ძველი კურსით ორმოცდახუთი ათასად შეუძლებელია? არ იცოდით, რომ მკერავები, კერძოდ, ჩემი მკერავი, უცნობ ახალგაზრდა ქალებს უფასოდ არ მოსავენ? არ იცოდით, რომ მაგ ადგილზე რედაქციაში თქვენზე გაცილებით განათლებულ ორმოცდაათ ახალგაზრდა ქალს მაინც ჰქონდა პრეტენზია?

– უნდა მცოდნოდა, მართალია.

– იულიუსი ძალიან მომთმენია, ეს საყვარელი თამაში, თქვენი თავგუნებობისა და ახირების მიუხედავად, შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. იულიუსი უარს არასოდეს არაფერზე ამბობს. მაგრამ, გულახდილად გეტყვით, მისი მეგობრებისთვის, განსაკუთრებით კი ჩემთვის, აუტანელი იყო, ისეთი ქალის ნება-სურვილზე რომ დადიოდა, როგორიც...

– როგორიც?

– ვთქვათ, თქვენს ჭკუაზე.

– მშვენიერია.

გავიცინე და ამან, ცოტა არ იყოს, წონასწორობა დააკარგვინა. სიძულვილით, ზიზღით, უნდობლობით ისე იყო გაჟღენთილი, რომ თითქმის სასაცილოდ გამოიყურებოდა.

– და, თქვენი აზრით, იულიუსს რა უნდოდა?

– გინდოდათ გეთქვათ, რა უნდა? სულ თავიდან მითხრა, რომ უნდოდა, საინტერესო, სასიამოვნო ცხოვრება შემოეთავაზებინა თქვენთვის და სისულელეებისთვისაც გიტოვებდათ ცოტაოდენ დროს, სისულელეებისთვის, რომლებიც საბოლოოდ მაინც მასთან მიგიყვანდათ. არ გეგონოთ, თავს ასე ადვილად დაიძვრენთ. თქვენ ჯერ ჩვენთან ნაცნობობა არ გაგიწყვეტიათ, ჩემო ძვირფასო ჟოზე.

– ვფიქრობ, გავწყვიტე, – ვუპასუხე, – იცით, გადავწყვიტე, ლუი დალესთან ვიცხოვრო და მომავალ კვირას სოფელში მივდივარ.

– როცა მისგან დაიღლებით, დაბრუნდებით. იულიუსი აქ იქნება და თქვენც გაიხარებთ მისი ხელახლა ნახვით. თქვენი კომედიები ახალისებს, თქვენი მოჩვენებითი სიძულვილი სიცილად არ ჰყოფნის, მაგრამ ბოროტად ნუ გამოიყენებთ!

– თუ სწორად გავიგე, მასაც ვძაგვარ.

– არა, რას ამბობთ, ამბობს, რომ გულის სიღრმეში პატიოსანი ხართ და ბოლოს და ბოლოს დანებდებით.

ავდექი. ამჯერად ძალდაუტანებლად ვიღიმებოდი.

ფრანსუაზ ს

– არა მგონია. იცით, თქვენ ზიზღით ხართ დაბრმავებული: არის რაღაც, რაზეც თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ: საქმე ისაა, რომ თქვენ საშინლად მოსაწყენი ხართ ჩემთვის. თქვენც და თქვენი ხრიკებიც. იულიუსის ეშმაკობა შეურაცხმყოფს, რადგან ის ძალიან მიყვარს, მაგრამ, აი, თქვენ კი...

მიზანში მოვარტყი. სიტყვა „მოწყენილობა" მისთვის სრულიად აუტანელი იყო, ჩემი აღუშფოთებლობა კი ალბათ მეტად აშინებდა, ვიდრე მოულოდნელი მრისხანება შეაშინებდა.

– მე ნელ-ნელა გადავუხდი იულიუსსაც და მკერავსაც, – ვუთხარი მადამ დებუს, – მე თვითონ დაველაპარაკები ჩემს ყოფილ დედამთილს და რაც შეიძლება სწრაფად მოვაგვარებ ალიმენტთან დაკავშირებულ ამ ისტორიას იულიუსის დაუხმარებლად.

კართან მისული შემაჩერა. ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა.

– იულიუსს რას ეტყვით?

– არაფერს, მე მას ველარ ვნახავ.

მხიარულად, ღიღინით მივაბიჯებდი ქუჩაში. რაღაცნაირი ხალისიანი ბრაზი ჩამისახლდა. ბოლო მოვუღე სიცრუეს, თვალთმაქცობას, შემოვლით გზებს. ამ კაცუნების გასართობად საიდუმლოდ მაცხოვრებდნენ. ალბათ როგორ ახალისებდა მათ ჩემი დამოუკიდებელი იერი, ჩემი თავგადასავლები! მაგრად გამაცურეს! ჰო, სასოწარკვეთილი ვიყავი, მაგრამ შვებასაც ვგრძნობდი. ახლა უკვე ვიცოდი, როგორი არჩევანი უნდა გამეკეთებინა. ლამაზი ოქროს საყელური შემაბეს, მაგრამ თასმა მომძვრა. ახლა ყველაფერი რიგზეა. ჩემოდანს რომ ვალაგებდი, – სიტყვამ მოიტანა და თითქმის ცარიელს, რადგან სულ რამდენიმე კაბა მქონდა ჩასადები, ალანის დატოვებული, – საკუთარ თავს დავცინოდი, რომ თავდაჯერება ჩემი ხვედრი არ იყო. ჩემმა სიბრმავემ და ოპტიმიზმმა იულიუსს საშუალება მისცა, ქვეყნის სასაცილო გავეხადე მისი მეგობრების და ალბათ მის თვალშიც. ამიტომ ვბრაზობდი მასზე, რადგან, თუ მაინც ვუყვარდი, მიუხედავად სიძულვილისა, არ უნდა აეტანა, რომ სხვებს გავეკიცხე. მადლიერი მზერა მოვავლე ჩემს სტუდიას, სადაც ნელ-ნელა განვიკურნე ალანისგან, სადაც გავიცანი ლუი – ჩემი მოჩვენებითი, მაგრამ თბილი თავშესაფარი. ძაღლის თასმაც ავიღე და მშვიდად ჩავედით კიბეზე. სახლის პატრონმა, იულიუს ა. კრამის მოჩენილმა კიდევ ერთმა ადამიანმა, ამჯობინა არ გამოჩენილიყო. პატარა სასტუმროში გავჩერდი. საწოლზე ვიწექი, ფეხთით ძაღლი მეწვა, იატაკზე ჩემოდანი იდგა. ნახევარი წლის ცხოვრებასა და დამარხულ მეგობრობაზე საღამო ეშვებოდა.

...

ლაღმა, ტკბილმა, ნეტარმა ზაფხულმა გაიარა ლუის სახლში. ჩემი ნაამბობისთვის კომენტარი არ გაუკეთებია. უბრალოდ, ჩვეულებრივზე უფრო ნაზი და ყურადღებიანი გახდა. ერთად ვეძებდით სახლს პარიზის ახლომახლო და ბოლოს ვერსალში ვიპოვეთ. ბედნიერები ვიყავით და ის მორალური ბზარი, გულჩაწყვეტილობა, დაღლილობა და სევდა, ჩემს გამოქცევას რომ ახლდა, თვის ბოლოსთვის გაიფანტა. იულიუსს არ ვწერდი, მის წერილებს არ ვპასუხობდი. თუმცა არც კი ვკითხულობდი. მისი წრიდან არავინ შემხვედრია. ვხვდებოდით ლუის მეგობრებს, ჩემს ძველ მეგობრებს. ვგრძნობდი, რომ გადავრჩი. გადავრჩი იმ საფრთხეს, სახელი და ხილული სახე რომ არ გააჩნდა და ამიტომ ათასჯერ უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა საშიშროება, რაც შეიძლებოდა დამმუქრებოდა; კინაღამ მართლა დავიჯერე, რომ იმ ხალხს ვეკუთნოდი, რომელიც არ მიყვარდა, კინაღამ სიცოცხლე შევწირე იმ დარდსა და მოწყენილობას, სულ სხვა სახელი რომ დავარქვი. სიცოცხლე მიბრუნდებოდა, ორმაგდებოდა ჩემში, რადგან აგვისტოში ვიგრძენი, რომ ლუისგან ბავშვს ველოდი. გადავწყვიტეთ, ბავშვი და ძაღლი ერთდროულად მოგვენათლა, რადგან ძაღლს დღემდე არაფერი ერქვა.

ცოტა ხნის გადმოსულები ვიყავით, ერთ წვიმიან დღეს პარიზში, ავენიუ დე ლა გრანდ არმეზე გადასვლისას, იულიუსს რომ გადავეყარე. „დაიმლერი" გვერდიდან გამოვარდა. მაშინვე ვიცანი და შევჩერდი. იულიუსი მანქანიდან გადმოვიდა და მომიახლოვდა. გამხდარიყო.

– ჟოზე! – წამოიძახა, – როგორც იქნა! დარწმუნებული ვიყავი, დაბრუნდებოდით.

ვუყურებდი ამ პატარა, ჯიუტ კაცუნას. მომეჩვენა, რომ პირველად გავუსწორე თვალი. იგივე ცისფერი თვალები სათვალის მინებს უკან, იგივე ზღვისფერი კოსტიუმი, იგივე უსიცოცხლო ხელები. დიდი ძალისხმევა დამჭირდა იმის გასახსენებლად, რომ ეს ადამიანი ასე დიდხანს იყო ჩემთვის მხარში დგომის სიმბოლო. ახლა ერთსა და იმავე დროს მანიაკივით უცხო, უხერხულობის მომგვრელი და ახლობელი მეჩვენებოდა.

– ისევ გაბრაზებული ხართ? ეს ხომ დამთავრდა, არა?

– დიახ, იულიუს, დამთავრდა.

– იმედია, მიხვდით, რომ ეს ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ იყო? შესაძლოა, ცოტა მოუქნელად მოვიქეცი...

ისე იღიმებოდა, თითქოს თავის საქციელით ძალიან კმაყოფილი იყო. ისეთივე შთაბეჭდილება შემექმნა, რაც პირველად „სალინაში" – თითქოს გვერდით უცნობი, აბსოლუტურად უცხო მექანიზმი მედგა. არ შემეძლო არც ერთი, თუნდაც სულ მცირე დიალოგის გახსენება, მხოლოდ ერთი მონოლოგი მაგონდებოდა პლაჟზე – ერთადერთი შემთხვევა, როცა გამოაჩინა ცოტად თუ ბევრად გასაგები სახე. მხოლოდ ამ მოგონებამ მაიძულა, გაუბედავად ვმდგარიყავი მის წინ და არ გავქცეულიყავი.

– მთელი ზაფხული მესმოდა თქვენი ამბები, – დაუმატა მან, – სოლონს თქვენსავით კარგად ვიცნობ.

– ისევ თქვენი კერძო მაძებრები...

გაიღიმა.

– ხომ არ გეგონათ, რომ თქვენზე ზრუნვას შევწყვეტდი?

უცებ მრისხანების ცეცხლი შემომენთო და სიტყვები უფრო ადრე გავიგონე, ვიდრე მათ თქმას გადავწყვეტდი:

ერეკლეული ბიბლიოთეკა
N4 აპრილი 2014
89
ფრანსუაზ ს

მაკულატურა



ჩარლზ ბუკოვსკი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული პალიტრა“, №1-3, 2014 წ.

31 თავი

გროვერსს დავურეკე. შინ იყო.

– როგორ მიდის საქმეები, გროვერს?

– მშვიდად, – მიპასუხა მან, – გართულებების გარეშე.

– ჯინი ნიტროს ამბავი მოგვარებულია. აღარ შეგაწუხებთ. რაც შეეხება ბოლო დროს გაწეულ ხარჯებს, ჩეკს გამოგიგზავნით.

– ბოლო დროს გაწეულ ხარჯებს? თქვენ რა, დამცინით?

– გროვერს, ეს უცხოპლანეტელი ხომ მოგაშორეთ, ჰოდა გადაიხადეთ ახლა.

– კარგი, კარგი... მაგრამ როგორ მოახერხეთ?

– პროფესიული საიდუმლოა, პატარავ.

– კარგი, მე ალბათ მადლობელი უნდა ვიყო, არა?

– არავითარი ალბათ, უნდა იყოთ. და ფულიც უნდა გადაიხადოთ, თუ არ გინდათ, უცებ ფიჭვის კუბოში აღმოჩნდეთ. ან იქნებ კაკლისა გირჩევნიათ?

– მოდით, ვნახოთ... – წამოიწყო იმან.

მე ამოვიოხრე და ყურმილი დავუკიდე.

ფეხები მაგიდაზე შემოვაწყვე. საქმე წინ მიდიოდა. სინდი ბასის საქმეღა მქონდა დარჩენილი და კიდევ – წითელი ბეღურას. ცხადია, ჯინი ნიტროც ჩემი თავსატეხი გამხდარიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში საკუთარი თავის კლიენტი უკვე თავად გახლდით.

სელინი და გროვერსი კი თავის გზას ეწივნენ. გულში ვფიქრობდი, ვახ, რა მარჯვედ ვუძღვები საქმეს-მეთქი.

მაგრამ მოდუნება დავაპირე თუ არა, ქალბატონ სიკვდილზე ფიქრი შემომიჩნდა.

დარეკა ტელეფონმა. მე ყურმილი ავიღე. ქალბატონი სიკვდილი იყო.

– აქ ვარ, ბილეინ.

– რო დაისვენოთ, საყვარელო, ცოტა, არა?

– ვერა. ვგიჟდები ჩემს საქმეზე.

– მომისმინეთ, შეიძლება რაღაც გკითხოთ?

– რა თქმა უნდა.

– მხოლოდ დედამიწაზე მუშაობთ?

– რას გულისხმობ?

– იმის თქმა მინდა, ჰმ... უცხოპლანეტელებზე თუ ვრცელდება თქვენი ძალაუფლება-მეთქი?

– ცხადია. უცხოპლანეტელებზეც, მატლებზეც, ძაღლებზეც, ბუზებზეც, ლომებზეც, ობობებზეც, ყველაზე, მოკლედ.

– მიხარია ამის გაგონება.

– რისი გაგონება?

– უცხოპლანეტელებზეც რომ ვრცელდება თქვენი ძალაუფლება.

– თავი მომაბეზრეთ, ბილეინ.

– მაგას რა ჯობია, საყვარელო.

– მომისმინეთ, ახლა პატარა საქმე მაქვს...

– ერთი კითხვა კიდევ...

– კარგი. მკითხეთ.

– უცხოპლანეტელებს როგორ კლავთ ხოლმე?

– რა პრობლემაა?

– ტყვიით ხომ ვერ მოკლავთ. იარაღი მაინტერესებს.

– პროფესიული საიდუმლოა, ბილეინ.

– მითხარი, საყვარელო, და კრინტს არ დავძრავ არასად.

– პუტკუნ, – მომაძახა, სანამ ტელეფონს გათიშავდა, – შეიძლება დაგეხმარო კიდეც მაგ ამბავში.

დავკიდე ყურმილი და ფეხები ისევ მაგიდაზე შემოვაწყვე. ღმერთო, ექვსი უცხოპლანეტელია შემოპარული დედამიწაზე და გინდა თუ არა, ჩვენკენ გადმოდიო. ხელისუფლებას უნდა შევატყობინო სასწრაფოდ. ჰო, რა თქმა უნდა, გადამყვებიან თან. თვითონ უნდა მოვაგვარო ყველაფერი. ძნელი საქმე ჩანს არადა. ხომ არ მომეკიდა ისე ხელი? არყის ბოთლს თავი მოვხსენი და ცოტა მოვსვი. ეს წითელი ბეღურა და სინდი ბასიც ჩემი მისახედი არ იყო? მონეტა ავიღე და ავაგდე: მეთქი არიოლი – წითელი ბეღურა, რეშკა – სინდი ბასი. რეშკაზე დაჯდა. გამეღიმა, სკამზე

გადავწექი და სინდიზე დავიწყე ფიქრი, სინდი ბასზე. მეთქი დაგენძრა.

32 თავი

მოკლედ, ჩემი ლოს ანჯელესის, ალბათ, საუკეთესო გამომძიებლად გადაქცევა ხომ უნდა აღმენიშნა, ამიტომ გამოვკეტე ოფისის კარი, ლიფტით დავეშვი დაბლა და ქუჩაში გამოვედი. სამხრეთისკენ ვცადე წასვლა, ჰოდა, გამომივიდა. დავყევი სანსეტ ბულვარს და მივდიე და მივდიე.

ერთი ნაკლი აქვს სანსეტს – ჩემს უბანში ბარებს მაინცდამაინც ვერ გადაეყრება კაცი, ამიტომ ცოტა მუხლის გაშლამ მომიწია. ბოლოს, როგორც იქნა, ვნახე ერთი, დიდი ვერაფერიშვილი ადგილი. ხის სკამზე ჯდომა არ მხიბლავდა დიდად, ამიტომ მაგიდა ავიღე. მოვიდა ოფიციანტი. ორმეტრიანი ქუსლები, მოკლე კაბა, გამჭვირვალე ზედატანის მიღმა პარალონის ლიფი ილანდებოდა. თითქოს ყველაფერი პატარა ჰქონდა – ტანსაცმელიც, ტვინიც და თავისი სამყაროც. სახე – ფოლადივით; რო გაიღიმა, ეტკინა თითქოს. იმასაც ეტკინა და მეც. არადა იღიმებოდა. ისეთი ყალბი ღიმილი იყო, თმა ყალყზე დამიდგა. თვალი მოვარიდე.

– გამარჯობა, ძვირფასო, რას დალევ?

სახეზე აღარ შემიხედავს, მუცელზე დავაშტერდი. შიშველი ჰქონდა. ჭიპთან ქაღალდის პატარა წითელი ვარდი მიეკრო. ჰოდა, ამ ვარდს ვუთხარი:

– არაყი ტონიკით და ლიმონით.

– კარგი, ძვირფასო.

და მანჭვა-გრეხით გამშორდა, სცადა, ვნებისაღმძვრელად გაექნია უკანალი, მაგრამ არ გამოუვიდა.

ეგრევე დარდი შემომაწვა.

მეთქი, არ გინდა, ბილეინ, არ გინდა რა.

არ გაჭრა. ყველა მაგარი ნასვამი იყო ირგვლივ, ნაღდი გამარჯვებულები კიდე არ ჩანდნენ, ვიღაცები ჩამოჰგავდნენ მხოლოდ. დავდევთ ამ ჩვენს მოჩვენებებს. დღეები კიდე დღეებს მისდევენ გაუთავებლად. არადა, ალბათ ერთადერთი რამ გვჭირდება – გადავრჩეთ როგორმე. მაგრამ მარტო გადარჩენა ვერ გყოფნის კაცს, როცა ქალბატონი სიკვდილი გიცდის გვერდით. ჭკუიდან გადავყავდი ამ აზრს.

არ იფიქრო რა ამაზე, ბილეინ, – ვთხოვე საკუთარ თავს. არ გაჭრა.

ოფიციანტმა სასმელი მომიტანა, მე ფული მაგიდაზე დავუდე, იმან აიღო.

– მადლობა, ძვირფასო.

– მოიცა, ხურდა მომიტანე.

– რა ხურდა?

– მაშინ ფეხის ქირად ჩაითვალე.

დაჭყიტა გამოცარიელებული თვალები.

– შენც წყეული კოვბოი ხარ?

– რა კოვბოი?

– წყეული კოვბოი არ გაგიგონია?

– არა.

– მაგათ უფასოდ უყვართ გაგულავება.

– სახელი შენით დაარქვი?

– არა, გოგოებმა დაარქვეს.

– ვინ გოგოებმა? მწყემსებმა?

– პროჭს რატო ათამაშებ, მისტერ, ბაღლინჯო შეგიძვრა თუ კიდე სხვა რამე?

– უფრო „სხვა რამე“.

– მერი ლუ, – გავიგონე უცებ ბოხი ხმა, – თავს ხო არ გაბეზრებს ეგ პროჭი?

ბარმენი იძეხდა, პატარა, წარბება ტიპი.

– არაფერია, ენდი, მე თვითონ მოვუვლი ამ პროჭს.

– ჰე, ჰე, მერი ლუ, – მე ვუთხარი, – ვატყობ, პროჭების ამბავში მაგრად დაოსტატებულხარ.

– შე მწოველა, შენა! – მიყვირა.

უცებ წარბა არ გადმოევლო ბარს, მისი სიგრძე კაცისთვის კაი ნახტომი გამოუვიდა. მეც გადავკარი სასმელი და დავიძარი მისკენ. ავიცდინე მოქნეული მარჯვენა და მივეცი მუხლი ყვერებში. დავარდა და დაიწყო გორაობა ძირს. ამოვარტყი პანჩური და გამოვედი გარეთ სანსეტ ბულვარზე.

აი, ამ ბოლო დროს საერთოდ აღარ მიმართლებს ბარებში რა.

33 თავი

მოკლედ, წავედი ჩემთან და ვსვი. ის დღე ხო ვსვი და მთელი ღამეც გადავაბი. გავიღვიძე ნაშუადღევს. დავიცალე მუცელი, კბილები გავიხეხე, გავიპარსე და ჩავფიქრდი. მაინცდამაინც ცუდად არ ვგრძნობდი თავს. საერთოდ, ძალიან ცოტა რამეს ვგრძნობდი. ჩავიცვი. კვერცხი მოსახარშად შემოვდგი. პამიდვრის წვენი ლუდს შევურიე და გადავკარი. კვერცხს გადავავლე ცივი წყალი, გავფცქვენი, შევჭამე და სრულ საბრძოლო მზადყოფნაშიც მოვედი. ავიღე ტელეფონი და ჯეკ ბასს დავურეკე სამსახურში. მეთქი ესა და ესა ვარ. სხვათა შორის, დიდი სიხარული ვერ შევატყვე.

– ჯეკ, – მე ვუთხარი, – გახსოვს, ერთ ფრანგზე რომ გელაპარაკე?

– ჰა? მერე?

– მოგაშორე ის ტიპი.

– როგორ?

– მკვდარია.

– ძალიან კარგი. ვინც გვჭირდებოდა, ის იყო?

– კავშირი ჰქონდა შენ ცოლთან.

– კავშირი? რა ოხრობას გულისხმობ?

– არ მინდა, გული გატკინო.

– მაინც გეცადა, ბილეინ.

– მისმინე, სინდის დაუნძრიეო, მაგიტო არ დამიქირავე? ხო მართალი ვარ?

– წარმოდგენა არა მაქ, რატო დაგიქირავე. მაგრად შევცდი, მგონი.

– ჯეკ, ის ფრანგი ტიპი მოშორებულია-მეთქი. მკვდარია რა.

– მერე, რაღა დარჩა?

– ჰოდა ველარ გაჟიმავს სინდის.

– ჟიმავდა რო?

– ჯეკ...

– შენ ჟიმავდი? რა თქმაა ეს, სინდის უნდა დაენძრეს! რა არი, ოღრაში ტიპი ხარ?

– მისმინე, კვალში ვუდგავარ-მეთქი, გეუბნები. უბრალოდ აშკარა საბუთები გვჭირდება.

– ისევ თავიდან იწყებ.

– მიზანთან ახლოს ვართ, ჯეკ. სულ ცოტაც მოითმინე რა. მენდე.

– გამოდის, იმ ფრანგის გარდა სხვაც იყო?

– კი, ასე მგონია.

– ასე გგონია? ცოტას გიხდი, მაგის დედა ვატირე, რას ქვია „გგონია“? ამდენი კვირა გავიდა, მოდიხარ და მეუბნები, ის ფრანგი ტიპი მკვდარია და კიდე რაღაცეები მგონიაო? მე მგონი, უბრალოდ დრო გაგყავს. გაინძერი რა! საბუთები მჭირდება! სიცხადე!

– შვიდი დღე მომეცი, ჯეკ.

– ექვსს გაძლევ.

– კარგი, ექვსი იყოს.

გავჩუმდით ცოტა ხანს, მერე ისევ იმან ამოიღო ხმა.

– რაც იყო, იყო. ერთ საათში აეროპორტში მივდივარ. აღმოსავლეთში მაქვს საქმეები. ექვს დღეში დავბრუნდები.

– ყველაფერს დამთავრებულს დაგახვედრებ, პატარავ.

– პატარას ნუ მეძახი. რა დაძახებაა ეს, რა „პატარა“, ვერ გავიგე.

– ჩვევა მაქვს, უბრალოდ...

– მოკლედ, გაარკვიე ყველაფერი, რაც აურდაურიე, თორე ჯოჯოხეთი არ აგცდება, შე ნაბიჭვარო.

– მე მეუბნები ამას, ჯეკ?

კაცი არ გამომპასუხებია. დაკიდა იმან ყურმილი. კუტუ. მოკლედ, საქმისთვის უნდა მიმეხედა რა.

34 თავი

ჰოდა, წავედი და ისევ ბასის სახლთან დავაყენე მაქანა, ცოტა ქვემოთ, ორ ნაბიჯზე. საღამო იყო, პრინციპში, რაღა საღამო, ღამე ერქვა უკვე, რვა საათი ხდებოდა. სინდის წითელი „მერსედესი“ გარეთ ეყენა. ვგრძნობდი, მეთქი, აი, ზედა ვარ რა. რაღაც უეჭველი უნდა მომხდარიყო. ჰაერშიც კი რაღაცნაირი სუნი ტრიალებდა. ჩავაქრე სიგარა, ავიღე ტელეფონი და ტოტალიზატორში დავრეკე, მეცხრე გარბენის შედეგები მაინტერესებდა. კიდე წავაგე. ვიჯექი ძალაგამოცლილი, დათრგუნული, გამოცარიელებული. ფეხისგულები მტკიოდა.

სინდი ალბათ სახლში იყო და რაღაც სისულელეს უყურებდა ტელევიზორში, ფეხი ფეხზე ქონდა გადადებული და უაზრობებზე იცინოდა. მერე ჯინი ნიტროსა და იმ თავის ხუთ კოსმიურ სხეულზე გავაგრძელე ფიქრი. ჩემი გადაბირება უნდოდათ. არა, მე არ ვიყიდები. ერთი უნდა მივახურო მაგათი ბანდა. გამოსავალი უნდა არსებობდეს. ხო შეიძლება, ვთქვათ, წითელი ბეღურა ვიპოვო და ის დამეხმაროს? შევიშალე ნეტა? მართლა ხდება თუ მეჩვენება ეს ყველაფერი? ავიღე ტელეფონი და ჯონ ბარტონს დავურეკე. მიპასუხა.

– მისმინე, ჯონ, ბილეინი ვარ. ვერაფერი ვერ მოვუხერხე ამ წითელ ბეღურას და ხო არ ჯობია, სხვას ჩააბარო ვინმეს ეს საქმე?

– არა, ბილეინ, გენდობი, გააგრძელე, ყველაფერი გამოგივა

– მართლა მასე ფიქრობ?

– ეჭვიც არ მეპარება.

– კარგი, გავაგრძელებ საქმეს მაშინ.

– მიდი.

– დაგიკავშირდები, თუ ვიპოვე რამე.

– დამიკავშირდი. ღამე მშვიდობია.

და დაკიდა ყურმილი. რა კაი ვინმეა.

ის-ის იყო სიგარისთვის უნდა მომეკიდებინა, რომ სინდი გამოვიდა სახლიდან. მივიდა მაქანასთან. ჩაჯდა.

მიდი, პატარავ, მიდი, გამიძეხი.

დაქოქა, ჩართო ფარები და უკუსვლით წავიდა. დაატრიალა მერე და ჩრდილოეთისკენ ქნა პირი. ცოტა წინ გავუშვი და გავყევი უკან. მთავარი ბულვარისკენ გადაუხვია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, წყნარი ოკეანის სანაპიროს გაუყვა. ამჯერად სამხრეთისკენ მიდიოდა. სადღაც სამი მანქანით ჩამოვრჩებოდი. გაიარა გზაჯვარედინი, მე კიდე წითელი ამენთო. გავრისკე და გავძვერი. ბეწვზე გადავრჩი ავარიას. მისიგნალეს და მისიგნალეს, ვიღაცამ, შე პროჭოო, მომაძახა. რა ორიგინალურები არიან ხოლმე ადამიანები.

ისევ სამი მანქანით უკან მივყვებოდი. მარჯვენა რიგში იდგა. მერე დააგდო სიჩქარე და სასტუმროსკენ გადაუხვია. „ტკბილი დიუნები“ ერქვა სასტუმროს. შეაყენა მანქანა და მეცხრე ხაზში გაჩერდა. მე მეშვიდეში შევაყენე და იქ გავჩერდი, ჩავაქრე ფარები და ლოდინი დავუწყე. ქალი გადმოვიდა, გაუყვა ბილიკს, მივიდა კართან და დააკაკუნა. კარი გაიღო, ვიღაც ტიპი იდგა ზღურბლთან. ეჰ, სინდი, სინდი! შუქი ეცემოდა იმ კაცს და კარგად შევათვალიერე. გარეგნობით არ დაიწუნებოდა. მე რა, სინდისგან არ დაიწუნებოდა, თორე. ახალგაზრდა იყო. გულგრილი, მშვიდი სახე ჰქონდა, თხელი წარბები, გრუზა თმა. პატარა ნაწნავიც ალბათ. ხო იცნობთ ეგეთებს, თმაჩაწნულებს. სუფთა ვირისთავებს. კარშივე გადაეხვივნენ ერთმანეთს. აკოცესსავით კიდეც. მერე სინდის სიცილიც გავიგონე, სახლში შევიდნენ და მოიკეტეს კარი.

ვტაცე ხელი ვიდეოკამერას და პირდაპირ ადმინისტრატორისკენ დავადე თავი. შევედი. არავინ არ დამხვდა. პატარა მაგიდა იყო მხოლოდ, ზარიც. დავრეკე – არაფერი, მერე უკვე ექვსჯერ დავრეკე. გავიგონე, მოდიოდა ვიღაც. ადმინისტრატორი ბებერი, მსუქანი კაცი გამოდგა. ფეხშიშველა, გრძელი საღამურით და ჩაჩით.

– აჰა, – მე ვუთხარი, – საძილედ ემზადებოდით, ხომ?

– ან ვემზადებოდი, ან არა. რა შენი საქმეა?

– არ მიწყინოთ, სერ. ოთახი მინდა, თუ გაქვთ ცარიელი.

– სუტენიორი ხარ?

– არა, როგორ გეკადრებათ, სერ.

– ბარიგა?

– არა, სერ.

– ნეტა ყოფილიყავი. კოკაინი მჭირდება ცოტა.

– მე ბიბლიას ვყიდი, სერ.

– რა საზიზღრობაა.

– მხოლოდ წმინდა წერილს ვავრცელებ, სერ.

– აქ ნურაფერს ნუ გამივრცელებ.
– როგორც მეტყვით.
– გააჯვი რა.
– მოკლედ, ოთახი მინდა, სერ.
– ორი გვაქ, მერვე და მესამე.
– მერვე?
– ჰო, მერვე და მესამე-მეთქი. შენ რა, ყურში არ გესმის?
– მერვეს ავიღებ.
– 35 დოლარი. ნაღდი ფული.
გადავუთვალე. სტაცა ხელი და მომიგდო გასაღები.
– ქვითარი არ მეკუთვნის, ხო?
– რა?
– ქვითარი.
– დამიმარცვლე აბა.
– ვერ დავმარცვლავ.
– ჰოდა, ქვითარსაც ვერ მიიღებ.
ავიღე გასაღები და გამოვედი გარეთ. მივადექი მერვე ოთახს. გავაღე, მშვენიერი ადგილი ჩანდა. მით უმეტეს, სახლი თუ არ გაქ კაცს, გამოგადგება. სამზარეულოში ჭიქას მივაგენი. წამოვიღე და მივადე მეცხრე ოთახის კედელს. ბედი არ გინდა! მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ.
– ბილი, – სინდი ბასის ხმა იყო, – ნუ ვიჩქარებთ რა, ჯერ ცოტა გელაპარაკო მინდა.
– ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ. ამ ზუმბას ხო ხედავ, რამე უნდა მოვუხერხო. შენი სხეული მინდა, რა დროს სიტყვებია.
– ჯერ წყალი უნდა გადავივლო, ბილი.
– წყალი უნდა გადაივლო? რას აკეთებდი კი მაგრამ, ბაღში მუშაობდი?
– აჰ, ბილი, როგორ იტყვი ხოლმე.
– კარგი, გადაივლე. მე იქამდე ყინულს დავადებ ამ ჩემს კობრას.
– ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ბილი.
ამდენი კვირის მერე პირველად გავიღიმე.
მეთქი დაგენძრა.

35 თავი

ჭიქა ისევ კედელზე მქონდა მიდებული და ყურს ვუგდებდი. მესმოდა, როგორ მოჩხრიალებდა წყალი აბაზანაში. საწყალი ბასი, მართალი გამოდგა. საერთოდაც ხო ეგრეა, ზოგი მართალია, ზოგი – მტყუანი, თუ როგორც არი. ჰო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვის გაჟიმავს? ბოლოს მაინც არაფერი არ გრჩება და... ფუ რა, შევეცი რა, შევეცი რა ამ ყველაფერს. მაგრამ ხალხი მაინც რო არ ისვენებს, არ ეშვება. ჭიპლარს გადაუჭრი თუ არა, ეგრევე სხვა რამეს ჩაავლებს, სულერთია, რა იქნება, სანახაობა, მუსიკა, სექსი, ქორწინება, დედა, მასტურბაცია, მკვლელობა, ორშაბათის დილის პახმელია.
დავდგი ჭიქა, გადავწვდი პიჯაკს, ნახევარი პინტი ჯინი ვიპოვე, მოვსვი ცოტა. ისე მიწმენდს ხოლმე გონებას, მეტი არ შეიძლება.
დავფიქრდი, ხელობა ხომ არ გამომეცვალა-მეთქი. წუთი წუთზე უნდა შევვარდნილიყავი გვერდით ნომერში და ჟიმაობის პატარა სცენა გადამეღო, მაგრამ ოდნავადაც არ მსიამოვნებდა ეს ამბავი. სამუშაო იყო უბრალოდ, რითაც ბინის და სასმელის ფულს იხდი კაცი და ელოდები იმ უკანასკნელ დღესა თუ ღამეს. დრო გაგყავს. ფუ, რა საცოდაობაა. რა ფილოსოფოსი გამოვიდოდა ჩემგან! ვეტყოდი ადამიანებს: ამაზე მეტი სისულელე იქნება? ვდგავართ და ხან ჩავისუნთქავთ ჰაერს, ხან ამოვისუნთქავთ.
ჯანდაბა. დარდი შემომაწვა, მე მგონი. მოვსვი კიდე ჯინი და ისევ მივადე ჭიქა კედელს. სინდი უნდა გამოსულიყო აბაზანიდან უკვე.
– ღმერთო ჩემო, – გავიგონე კაცის ხმა, – ათ ცალ აგურით ნაშენებ ტუალეტს გავხარ.
– ჰოო, ბილი, მართლა ასე ფიქრობ?
– ჰო გითხარი, არა?
– რა კარგ რამეებს მეუბნები ხოლმე, ბილი.
– არა, შეხედე, რამხელა ძუძუები გაქ! სულ პირჩაღმა უნდა ეგდო, წესით, ეტყობა ეგ დიდი ტრაკი გშველის, გქაჩავს უკან.
– სულაც არ მაქვს დიდი უკანალი, ბილი.
– რა უკანალი, პატარავ, უკანალი კი არა, ბაღჩა, ჟელეიანი, მურაბიანი, ფუნთუშებიანი ბაღჩა.
– ჰო, მაგრამ ჩემზე რას იტყვი, ბილი? ჩემს შინაგან სამყაროზე.
– საყვარელო, ამას ხო ხედავ, როგორ ფეთქავს და ქანაობს აქეთ-იქით? ჰოდა, ძალიან მალე მივხედავთ შენს შინაგან სამყაროსაც.
– ბილი, მგონი, გადავიფიქრე...
– რა დროს გადაფიქრებაა, პატარავ! მოდი, მოაჯექი ამ ჩემს კოშკს.
მოვაშორე ჭიქა კედელს, შევამოწმე კამერა, გამოვსხლტი გარეთ და მივადექი მეცხრე ნომერს. კარის გაღება არ გამჭირვებია, ჩემი საკრედიტო ბარათითაც მოვახერხე. საწოლ ოთახში მაგრად ჭრიალებდა ზამბარები. ჩავრთე კამერა და შევვარდი შიგნით. არის. ათი კურდღელი ვერ იზამდა ერთად, ისეთს უქაქუნებდა ბილი. როგორღაც შემამჩნია, შეეშვა ქალს და გადმოხტა იატაკზე. პირი ღია დარჩა. ჯერ მაგრად გაუკვირდა, მერე გაბრაზდა. ცხადია, გაბრაზდებოდა.
დგას, მიყურებს.
– ჯანდაბა, რა არი ეს, რა ხდება, რა ამბავია?
სინდი ლოგინში წამოჯდა.
– გამომძიებელია, ბილი. გიჟია. მე და ჯეკსაც შემოგვივარდა და გადაღება დაგვიწყო. სულელია, გეუბნები, ბილი.
მე გადავხედე.
– მოკეტე რა, სინდი! ხო ჩაგავლე, ხო გითხარი, ადრე თუ გვიან დაგენძრევა-მეთქი.
ბილი წამოვიდა ჩემკენ.
– ჰეი, ძმაო, შენ გგონია, ცოცხალს გაგიშვებ აქედან?
– კი, მგონია, ბილი, ბიჭუნია, ისე გავალ, როგორც დაგიბარებია.
– ვითომ როგორ?
– მეგობარმა, გახვალო.
და ჩემი 32-კალიბრიანი დავაძრე ბუდიდან
– ეგ ნაგავი ვერ შემაჩერებს.
– ცადე და ნახავ, თუ ვერ შეგაჩერებს, მნძრეველა შენ.
ის ნელ-ნელა მიახლოვდებოდა.
– ბილი, პატარავ, სამჯერ უკვე მყავს კაცი მოკლული, მეოთხედაც არ გამიჭირდება.

– ტყუილი, ტყუილი, – თან იღიმებოდა და მოიწევდა ჩემკენ, – დედაშენი საფლავში ტრიალებს, ალბათ.

– კიდე ერთი ნაბიჯიც, შე სირო, და მოვათავებთ საქმეს.

გამოიწია. გავისროლე. არ წაქცეულა, იდგა. შეიყო ჭიპში ხელი, გამოიღო ტყვია და მოისროლა. სისხლი არ გამოსვლია კი არა, ჩალურჯებულიც არ ეტყობოდა არსად.

– ტყვიები არაფერს არ ნიშნავს ჩემთვის, – მითხრა, – არც შენ, სხვათა შორის.

წამართვა რევოლვერი და კუთხეში მიაგდო.

– აგერ მე და აგერ შენ.

– მომისმინე, მეგობარო, მოვილაპარაკოთ. წაიღე კამერა, მაინც უნდა შევეშვა ამ საქმეს, თვალით ვეღარ მნახავ ვერასდროს.

– ვიცი, რო ვერ გნახავ, მოგკლავ და მაგიტომ.

– ჰო, მიდი, მოკალი ეგ მურტალი.

გავხედე.

– შენ ნუ ერევი, სინდი, ეს ჩვენი საქმეა, კაცების.

– მართლა, ბილი?

– მართლა.

მერე მეცა და მომიფრიალა ოთახში. კედელს შევასკდი და ჩავცურდი დაბლა.

– ბილი, – მე ვუთხარი, – ნახევარ ქალაქს ყავს ნახმარი, ამ სქელტრაკას გულისთვის ჩვენ რატო ვჩხუბობთ?

ბილიმ გაიცინა და ისევ გამოიწია ჩემკენ.

36 თავი

უცებ გონება გამინათდა. ეს ტიპი უეჭველი უცხოპლანეტელი იყო. იმიტომ ვერ დააკლო ვერაფერი ტყვიამ. ავდექი და ზურგით მივეყუდე კედელს.

– ვიცი, ვინცა ხარ, ბილი, – ვიყვირე მე.

გაჩერდა.

– უცხოპლანეტელი ხარ.

სინდი მოკვდა სიცილით.

– ხო გითხარი, გიჟია-მეთქი.

გავხედე.

– ეს ერთი ცალთვალა, ბანჯგვლიანი, გველისტანიანი ტიპია. ადამიანის სხეულში კი იმალება, მაგრამ მოჩვენებაა ეგ ყველაფერი.

ბილი იდგა გახევებული და თვალს არ მაცილებდა.

– სად იპოვე, ეს ტიპი, სინდი? – ვკითხე მე.

– ბარში. მაგრამ არ მჯერა შენი სისულელეების. არავითარი უცხოპლანეტელი არ არის ეს.

– კითხე.

სინდიმ ისევ გაიცინა.

– კარგი, ბილი, უცხოპლანეტელი ხარ?

– ჰა?

– ხო ხედავ, არა? – შევაგულიანე მე.

ბილიმ ქალს გახედა.

– ამ გიჟს აპირებ დაუჯერო?

– რა თქმა უნდა, არა, ბილი. მიდი, მოუღე ბოლო.

– კარგი, პატარავ...

ბილი ჩემკენ წამოვიდა. უცებ ალისფრად განათდა ოთახში და ჯინი ნიტროც გაჩნდა.

– ჯინი, – წამოიწყო ბილიმ, – მე...

– მოკეტე, შე ნაბიჭვარო, – უთხრა ჯინიმ.

– რა ჯანდაბა ხდება აქ? – იკითხა სინდიმ და ჩაცმა დაიწყო. ბილი ისევ დედიშობილა იდგა.

– შე ნაბიჭვარო, – გააგრძელა ჯინიმ, – ხო გითხარი ადამიანებთან დაძმობილება არ გამოვა-მეთქი.

– რა ვქნა, საყვარელო, ვერ მოვითმინე. ერთ ღამეს ვიჯექი ჩემთვის ბარში და ეს შემოვიდა.

– ხო გიბრძანეს, დედამიწელებთან სექსი არ გქონდესო!

– ჯინი, ხომ იცი, შენ ერთადერთი ხარ ჩემთვის. უბრალოდ სულ დაკავებული ხარ და...

– გაიჩალიჩე, ბილი, – უთხრა ქალმა და მარჯვენა ხელი მისკენ გაიშვირა.

– არა, ჯინი, არა.

განათდა ალისფრად, ბილი ისევ ბანჯგვლიან, ცალთვალა გველად იქცა და იატაკზე დაიწყო სხმარტალი. ჯინიმ ისევ გაიშვირა მარჯვენა ხელი, ისევ განათდა ალისფრად, გაისმა ბღავილი და უცხოპლანეტელი ბილიც უკვალოდ გაქრა.

– თვალებს ვერ ვუჯერებ, – სინდი გაოგნებული იყო.

– ჰო, – მე ვუთხარი, – ვიცი.

ჯინი მე მომიბრუნდა.

– გახსოვდეს, ბილეინ, რომ შენ ჩვენი საქმისთვის შეგარჩიეს, ზაროსის საქმისთვის.

– კი, – ვუთხარი, – რა დამავიწყებს.

მერე მესამედაც განათდა ოთახში და ჯინიც გაქრა.

სინდის ჩაეცვა უკვე, მაგრამ გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო.

– თვალებს ვერ ვუჯერებ.

– პატარავ, ჯეკმა შენზე, გამირკვიე მაგის ამბებიო და მეც გავრკვიე.

– უნდა წავიდე აქედან.

– წადი. მაგრამ არ დაგავიწყდეს, რა მაქ აქ ჩაწერილი. ჭკუით მოიქეცი, თორე ჯეკს ვანახებ ყველაფერს.

– კარგი, – ამოიოხრა სინდიმ, – შენ გაიმარჯვე.

– მე ლოს ანჯელესის საუკეთესო დეტექტივი ვარ. აწი გეცოდინება.

– მისმინე, ბილეინ, რამე რომ მოვახერხოთ მაგ ფირის სანაცვლოდ?

– ჰა?

– იცი, რასაც ვგულისხმობ.

– არა, არავითარ შემთხვევაში, სინდი, ვერ მომისყიდი. ისე, კარგი მცდელობა იყო.

– ჰოდა, ჯანდაბამდე გზა გქონია, პუტკუნ, – მითხრა, მიტრიალდა და კარისკენ წავიდა. თვალი ვერ მოვწყვიტე მის ჯადოსნურ თეძოებს. როგორ მიათამაშებდა!

– სინდი, მოიცა ერთ წუთს.

მობრუნდა, გაიღიმა.

– გისმენ.

– გაატარე. არაფერი, წადი...

გავიდა. აბაზანაში შევაჭერი და მოვითქვი სული, არა, ნაწლავებთან დაკავშირებულ ამბებს არ ვგულისხმობ. რაც გინდათ, თქვით და ნამდ-

ვილი პროფესიონალივით კი მოვიქეცი. საქმე გახსნილი იყო.

37 თავი

მეორე დღეს სამსახურში დავურეკე ჯეკ ბასს.

– სინდისთან გაშორება ისევ გინდა, ჯეკ?

– მინდა. გაარკვიე რამე?

– მოდი, ასე ვთქვათ – ორივე ჯენტლმენი, ვისთანაც მას კავშირი ჰქონდა, მკვდარია.

– კავშირი, ესე იგი. რა ჯანდაბას გულისხმობ ამ „კავშირში", ერთი ვიცოდე.

– მომისმინე, ჯეკ, გთხოვ, ეს ტიპები მკვდრები არიან უკვე, ის ფრანგიც და უცხოპლანეტელიც.

– უცხოპლანეტელი? რას მასულელებ?

– არ გასულელებ, ჯეკ. რამდენიმე უცხოპლანეტელი შემოიჭრა ზაროსიდან. სინდი ბარში შეხვდა ერთ-ერთს. ახალგაზრდა იყო, კაი გვარიანი ინსტრუმენტიც ეკიდა.

– მკვდარია?

– კი, ეგეც და ფრანგიც, ხომ გითხარი.

– შენ ხოცავ ხალხს?

– ჯეკ, აღარ არიან ეს ტიპები, სინდიც აღარ ივლის გარე-გარე. შეგიძლია, მშვიდად იყო.

– რა ვიცი, რომ აღარ ივლის?

– ნუ ღელავ. ისეთი რამე მიჭირავს ხელში, მოიშლის-მეთქი.

– რაღაც გადაიღე და სინდის არ უნდა, რომ მე მაჩვენო, ხომ მართალი ვარ?

– შეიძლება, მართალიც ხარ, შეიძლება, არც ხარ. მოდი, ასე ვთქვათ, ისეთი რამე მიჭირავს, გაიგულავებს თუ არა, ეგრევე დაენძრევა.

– ჰო, მაგრამ მე მინდა, სინდი ჩემთან სიყვარულის გამო დარჩეს და არა შანტაჟის.

– შანტაჟი-მანტაჟი არ ვიცი, ჯეკ, გეუბნები, გარე-გარე მეტს აღარ ივლის-მეთქი. ჩავუშალე ყველა კავშირი და აწი ამოწეული შარვლით ივლის. მეტი რა გინდა? შეუყვარდე კიდეც იქნება, მიეცი გამოსწორების საშუალება. ახალგაზრდაა, გაერთო ცოტა, რა დაგემართა.

– უცხოპლანეტელთან?

– მადლობელი იყავი, რო უცხოპლანეტელი იყო. ვერავინ ვერასდროს ვერ გაიგებს მაგის ამბავს. თითქოს არც მომხდარა არაფერი.

– ჰო, მაგრამ მოხდა. როგორ თქვი, გვარიანი ინსტრუმენტი ეკიდაო? მაინც რამხელა ჰქონდა?

– ძნელი სათქმელია. ისე მუშაობდა...

– უყურებდი?

– შევაწყვეტინე.

– ფრანგზე რაღას იტყვი? იმასაც ეგრე ეკიდა?

– ჯეკ, ორივე ტიპი მკვდარია. დაივიწყე რა. ამ დღეებში გამოგიგზავნი ანგარიშს ფოსტით.

– რაღაც არ მომწონს ამ ამბავში.

– გეუბნები, გარე-გარე სიარულს მოიშლის-მეთქი, ჯეკ.

– მაგრამ დავუშვათ და არ მოიშალა?

– მოიშლის-მეთქი, იცის, რომ დავუნძრევ და მოიშლის.

– ისევ იგივეს ამბობ. შენც ხომ არ გაგიჟიმავს, ჰა?

– ჯეკ, ჯეკ, ჯეკ, ძალიან გთხოვ, მე ჩემი საქმის პროფესიონალი ვარ.

– და ის ტიპები მართლა მკვდრები არიან? რატო უნდა დაგიჯერო?

– ჯეკ, მისი ქცევის მიხედვით მიხვდები ყველაფერს. ნუ ღელავ. სხვა რამე ხო არ გაქვს კიდე გასარკვევი? იცოდე, ლოს ანჯელესში საუკეთესო დეტექტივი მე ვარ.

– არაფერი არ მაქვს ახლა.

– კარგი, ჯეკ, ბედნიერად მაშინ.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

დავუკიდე ყურმილი. გამოვწიე მაგიდის უჯრა, არაყი ამოვიღე და გადავკარი. საქმე წინ მიდიოდა. ერთადერთი წითელი ბეღურაღა მყავდა მოსანახი. და თავი უნდა დამღწია როგორმე ამ უცხოპლანეტელებისგან. ქალბატონი სიკვდილისგანაც. კიდე მოვსვი არაყი და საკუთარ თავს მოდუნების უფლება მივეცი, თუმცა ცოტა ხნით.

38 თავი

ჯონ ბარტონს დავურეკე. ჩრდილოეთში თავისი გამომცემლობა ჰქონდა.

– ბილეთი ვარ, ჯონ...

– გამიხარდა თქვენი ხმის გაგონება, ნიკ. როგორ მიდის საქმეები?

– ნელა-ნელა, ჯონ. ცოტა მეტი ინფორმაცია მჭირდება ამ წითელი ბეღურას შესახებ.

– მოკლედ, ჩვენ გვინდა, ეს წითელი ბეღურა ჩვენს ლოგოდ ვაქციოთ. მართლა ცნობილი გავხადოთ. მაგრამ გავიგე, კიდე ერთი წითელი ბეღურა გამოჩნდა სადღაცო და უნდა მოვძებნოთ.

– მეტს არაფერს აპირებთ?

– ჰო, რა ვიცი, კიდე წინათგრძნობა მაქვს...

– გინახავთ ოდესმე ეს წითელი ბეღურა?

– გავიგე, უნახავთ.

– გაიგეთ? სადან გაიგეთ?

– საიდუმლო გზებით. ყველაფერს ვერ გაგიმხელთ.

– დავუშვათ, ვიპოვე ეს ჩიტი. რა ვუქნა? გალიაში ჩავსვა?

– არა, მხოლოდ უტყუარი საბუთები მჭირდება, რომ არსებობს, ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

– და თუ ვერ მივაგენი?

– თუ არსებობს, მიაგნებთ, მე მჯერა თქვენი.

– მისმინეთ, ამაზე უცნაური საქმე არც მქონია არასდროს.

– ყველას ყოველთვის იმას ვეუბნებოდი, რომ თქვენ დიდებული დეტექტივი ხართ. თქვენ მოახერხებთ ამას ჩემთვის. იპოვით წითელ ბეღურას.

– კარგი, ჯონ. მივხედავ ამ საქმეს. მაგრამ პატარა ბავშვი აღარ ვარ. ძალიან დავიღალე. ძველებური ენერგია აღარ შემომრჩა.

– საუკეთესო ფორმაში ხართ. თქვენ შეძლებთ ამას.

– კარგი, ჯონ, შევეცდები...

– მშვენიერია.

დავკიდე ყურმილი. ყველაფერი კარგი, მაგრამ ძებნა საიდან უნდა დამეწყო?

მოვიფიქრე, მეთქი უახლოესი ბარიდან.

დღის სამი საათი იყო, ვიპოვე სკამი და დავჯექი ზედ. ბარმენიც მოვიდა. რაღაცნაირი მარტოსული კაცის სახე ჰქონდა. უქუთუთოებო.

ფრჩხილებზე პატარა მწვანე ჯვრები ეხატა. სულელს ჰგავდა. მოკლედ, ვერ დავაღწიე რა ამ გიჟებს თავი. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი გადარეულია, მგონი. და გადარეული ვინც არის, ის გაბრაზებულია. ვინც არც გადარეულია და არც გაბრაზებული, დებილია უბრალოდ. მოკლედ, შანსი არ მქონდა. არც არჩევანი. უნდა მოიკრიბო კაცმა ძალა და ელოდო აღსასრულს. ძნელი საქმეა, ამაზე ძნელი საქმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. თავს ძალა დავატანე და ბარმენს შევხედე.

– წყალგარეული სკოჩი მომიტანეთ, – ვუთხარი.

არ განძრეულა.

– წყალგარეული სკოჩი, – გავუმეორე ისევ.

– ოჰ, – მითხრა და წათოხარიკდა.

თვალის კუთხიდან დავინახე, როგორ შემოვიდა ბარში. რას თქმაა „თვალის კუთხე", სად აქვს თვალს კუთხე. მოკლედ, როგორც იყო, დავინახე, შემოვიდა. ჩემი ძველი მეგობარი. მომიჯდა მარჯვნიდან.

– გამარჯობა, ლაწირაკო, – გამომელაპარაკა, – გამიმასპინძლდები?

– რა თქმა უნდა, პატარავ.

ქალბატონი სიკვდილი იყო.

– ჰეი, ძმაო, – გავძახე ბარმენს, – ორი მოიტანე.

– ჰა?

– ორი ჭიქა წყალგარეული სკოჩი გაგვიკეთე-მეთქი.

– აჰ, კარგი.

– რას აკეთებ, პუტკუნ?

– საქმეებს ვხსნი, როგორც ყოველთვის.

– გაიხსნებიან მაინც როდისმე?

– არა, ცდები, პატარავ, მე ლოს ანჯელესის საუკეთესო დეტექტივი ვარ.

– ეგ არც ისე რთულია.

– ცაციასგან კარაქის მოდღვებაზე რთული მაინცაა.

– ნუ თავხედობ, პუტკუნ, თორე ამოგაძრობ სულს.

– მაპატიე, საყვარელო, ნერვები მაქ დაგლეჯაზე. იქნება სასმელმა მიშველოს.

და ზუსტად ბარმენმაც მოგვიტანა ჭიქები.

– ქუთუთუებზე რა დაგემართა? – ჰკითხა ქალბატონმა სიკვდილმა.

– გაზის გამათბობელი ამიფეთქდა დღეს დილით...

– ძილს როგორ აპირებ ამაღამ?

– პირსახოცს შემოვიხვევ თავზე.

– ახლავე რომ ქნა ეგ, არა? – ვკითხე მე.

– რატომ უნდა ვქნა?

– დაიკიდე... – ვუთხარი და ფული მივეცი.

მე ჩემი ჭიქა ავწიე, ქალბატონმა სიკვდილმა – თავისი.

– სიცოცხლეს გაუმარჯოს, – თქვა იმან.

– მართალია, გაუმარჯოს, – დავეთანხმე მეც. მივაჭახუნეთ ჭიქები და დავლიეთ. შევუკვეთე მეორედ...

მომდევნო მუშტარი მხოლოდ 30 წუთის შემდეგ შემოვიდა. ჩვენ ისევ იქ ვისხედით. ისიც ქალი იყო. შემოგვიარა და ამჯერად ის მარცხნიდან მომიჯდა. ორი ქალი ორჯერ მეტ თავსატეხს ნიშნავს. ჰოდა, ამჯერად ორივე მხრიდან მიტევდნენ. მე ვიჯექი შუაში. მეთქი დამერხა.

ის მეორე ქალი ჯინი ნიტრო იყო. ბარმენს დავუძახე და ისევ წყლით გაზავებული სკოჩი შევუკვეთე.

– ნიკი, – მიჩურჩულა ნიტრომ, – სალაპარაკო მაქვს შენთან. ეს ძუკნა ვინ არის, გვერდით რომ გიზის?

– ვერ მიხვდები ვერაფრით, – მე ვუთხარი.

სასმელი მოიტანეს და ნიტრომაც დალია.

– მოკლედ, მგონი დროა, ერთმანეთი გაგაცნოთ... – წამოვიწყე და ქალბატონ სიკვდილს მივუტრიალდი.

– ქალბატონო, ეს ჯინი ნიტროა...

მერე ჯინის მივუბრუნდი.

– ჯინი, ეს ქალბატონი... ქალბატონი...

– ცეცხლი, – მიკარნახა ქალბატონმა სიკვდილმა.

ქალებმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს.

ოჰო, ძალიან საინტერესოდ შეიძლება წავიდეს საქმე, – გავივლე გულში და ბარმენს ვანიშნე, სასმელი კიდე დაგვისხი-მეთქი.

39 თავი

მოკლედ, კაცმა რომ თქვას, სიკვდილსა და კოსმოსს შორის ვიჯექი. ოღონდ ქალის სახე მოერგო ორივეს. მქონდა კი საერთოდ შანსი? გარდა ამისა, წითელი ბელურას პოვნა მქონდა დავალებული, რომელიც, შესაძლოა, საერთოდაც არ არსებობდა, ყველაფერმა ერთბაშად მომაბეზრა თავი. რას წარმოვიდგენდი, თავგზა ასე თუ ამერეოდა. თან რა დავაშავე, ვერც იმას ვხვდებოდი. რა მექნა?

თავს შემოუძახე და ცოტა მოისულელე, – გავივლე გუნებაში. გადაწყდა. მოიტანეს სასმელი.

– თქვენ გაგიმარჯოთ, ქალბატონებო.

მივუჭახუნეთ ჭიქები ერთმანეთს და გადავკარით. რატო არ ვარ ვიღაც სხვა ტიპი და რატო არ ვუყურებ ახლა ბეისბოლის თამაშს? თან შედეგზე ვინერვიულებდი. ან მზარეული მაინც ვიყო, შვეწვავდი კვერცხს და თავს ისე დავიჭერდი, თითქოს მეტი არც არაფერი მეხებოდა სამყაროში. ბუზად მაინც გავჩენილიყავი, დავაჯდებოდი ვინმეს მაჯაზე და მოვყვებოდი ცოცვას, თან გული შიშისაგან გახეთქვაზე მექნებოდა; ან მამალი ვიყო, საქათმეში მარცვალს ავკენკავდი. რატო არ ვარ.

ჯინიმ იდაყვი გამკრა: „ბილეინ, საქმე მაქვს..."

მე დახლზე ფული დავდე და ქალბატონ სიკვდილს მივუბრუნდი:

– იმედი მაქვს, არ გეწყინებათ...

– ვიცი, პუტკუნ, ამ ქალბატონს მარტო გინდა დაელაპარაკო. რატომ უნდა მეწყინოს? შენი შეყვარებული კი არ ვარ.

– ჰო, მაგრამ თქვენ თითქოს სულ ჩემ გვერდით წრიალებთ, ქალბატონო.

– მე ყველას ირგვლივ მასე ვტრიალებ, ნიკ. უბრალოდ, შენ სხვებზე ხშირად მამჩნევ ხოლმე.

– ჰო, ალბათ.

– მაგრამ შენ მე სელინის საქმეში დამეხმარე...

– დიახ, სელინის...

– ამიტომ ცოტა ხანს დაგტოვებ მარტო შენს ქალბატონთან. თუმცა მხოლოდ ცოტა ხანს. მე და შენ რაღაც-რაღაც საქმეები გვაქვს დასამთავრებელი, ჰოდა, გინახულებ.

– ქალბატონო სიმხურვალევ, ეჭვიც არ მეპარება...

სასმელი ბოლომდე დალია, ადგა, შეტრიალდა და კარისკენ წავიდა. ისეთი ლამაზი იყო, ცუდი არაფერი მოხდეს-მეთქი გავიფიქრე. როგორც იქნა, გავიდა გარეთ. ბარმენი ფულის ასაღებად მოვიდა.

– ვინ იყო? – მკითხა, – გვერდით რომ ჩამიარა, ცოტა თავბრუ დამეხვა.

– მადლობა თქვი, მარტო თავბრუ რომ დაგეხვა, – მე ვუთხარი.

– რას გულისხმობ?

– რომც გითხრა, მაინც არ დამიჯერებ.

– ცადე.

– არა, არ ვაპირებ. მისმინე, გაიწიე რა გვერდზე ოდნავ, მე და ამ ქალბატონს სალაპარაკო გვაქვს.

– კარგი. მაგრამ ჯერ ერთი რამ მითხარი.

– მიდი.

– შენნაირი მსუქანი და შეუხედავი კაცი ამდენს როგორ ახერხებ?

– თაფლი მისვია ერთ ადგილას. მოშორდი ეხლა აქედან.

– რატო თავხედობ, ძმაო.

– მკითხე და.

– უხამსობების ლაპარაკი რა საჭიროა.

– თუ გგონია, რომ უხამსობები ვილაპარაკე, გაჩერდი კიდე ორ წუთს და ნახავ, რაც არი ნამდვილი უხამსობა.

– გააჯავი რა.

– მშვენიერია, ჰოდა, მოშორდი ახლა, სანამ მთელი ხარ.

ისიც ნელი ნაბიჯით გავიდა დახლის მეორე ბოლოში, შეჩერდა წუთით და ტრაკი მოიფხანა. მე ჯინის მივუტრიალდი.

– მაპატიე, პატარავ, ლამის ყველა ბარმენთან მომდის ასეთი უსიამოვნო ლაპარაკი.

– არა უშავს, ბილეინ.

ნაღვლიანი ჩანდა.

– ბილეინ, მე უნდა წავიდე.

– კარგი, რას ვიზამთ, მაშინ გამომშვიდობებისა დავლიოთ.

– არა, იმის თქმა მინდა, საერთოდ უნდა წავიდე-მეთქი. ჩემები მიდიან დედამიწიდან და... არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან მოგეჩვიე.

– მესმის, – გამეცინა მე, – მაგრამ შენები რატომ მიდიან?

– ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და საშინელებაა აქაურობა. აღარ გვინდა ამ თქვენი დედამიწის დაპყრობა.

– რა არ მოგეწონათ, ჯინი?

– მთლიანად დედამიწა. ნისლი, მკვლელები, მოწამლული ჰაერი, მოწამლული წყალი, მოწამლული საკვები, სულ სიძულვილი, უიმედობა, ყველაფერი ერთად. მარტო ცხოველები მოგვეწონა და იმათაც ხოცავენ, მალე შინაური კატებისა და დოღის ცხენების გარდა არც დარჩება ალბათ აღარც ერთი. ძალიან სამწუხარო ამბავია, დარწმუნებული ვარ, შენც ამიტომ სვამ ამდენს.

– მართალი ხარ, ჯინი. ატომური იარაღი დაგავიწყდა.

– ჰო, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ძალით იღუპავთ თავს.

– სწორია, შეიძლება ორ დღეში მოგვეღოს ბოლო და შეიძლება მთელი ათასი წელიც გავძლოთ. რა იქნება, თავადაც არ ვიცით, ადამიანთა უმრავლესობამ ამიტომაც ჩაიქნია ყველაფერზე ხელი.

– მომენატრები, ბილეინ, ეს ცხოველები კიდე...

– წასვლის გამო არ გადანაშაულებ, ჯინი...

თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– არ იტირო, ჯინი, ჭირსაც წაუღია ყველაფერი...

დასწვდა ჭიქას, გადაკრა, შემომხედა, ასეთი თვალები არც იქამდე მინახავს და ვერც ვერასდროს ვნახავ ალბათ.

– კარგად, პუტკუნ, – მითხრა და გამიღიმა. წავიდა მერე.

40 თავი

მეორე დღეს ჩემს კაბინეტში ვიჯექი. ერთადერთი საქმე მქონდა გადასაწყვეტი: წითელი ბეღურა უნდა მეპოვნა. კაციშვილი არ მიკაკუნებდა კარზე, არიქა, ახალი დავალება გვაქვს შენთვისო. ამას რა ჯობდა. გადავწყვიტე, წესრიგში მომეყვანა ყველაფერი, საკუთარი თავისთვის ჩამებარებინა ანგარიში. კაცმა რომ თქვას, რაც ჩემი გასაკეთებელი იყო ცხოვრებაში, იქიდან ბევრი რამე გავაკეთე. ღამღამობით ქუჩაში არ მეძინა. რასაკვირველია, ქუჩაშიც ბევრ წესიერ ადამიანს ძინავს. ასეთები სულელები არიანო, ვერც იტყვი, უბრალოდ, ეპოქის მთავარ მექანიზმს ვერ გაუგეს ვერაფერი. არადა ეს მექანიზმიც გამუდმებით იცვლება. საძაგელი ამბავია, მოკლედ, თუ კაცს საკუთარ საწოლში გძინავს, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. მართალია, დროდადრო მიმართლებდა კიდეც, მაგრამ, ამასთან, საქციელსაც ხშირად ვატანდი ჭკუას. თუმცა, ვინც რაც გინდა თქვას, სამყარო მაინც საშინელი რამაა და მეც ხშირად შემცოდებიან ადამიანები. ჯანდაბამდე გზაც ჰქონია ყველაფერს. არაყი დავისხი და გადავკარი. ხშირად სიცოცხლის საუკეთესო წუთები მაშინ გიდგას, როცა არაფერს აკეთებ, ფიქრობ უბრალოდ, იცოხნები რა. იმის თქმა მინდა, ვთქვათ, გადაწყვიტე კაცმა, ცხოვრება უაზრობაა, მაშინ მთლად უზრობა აღარ გამოდის, შენმიერი შეცნობა უაზრობისა ლამის თავად აძლევს აზრს ყველაფერს. ხვდებით, რასაც ვამბობ? ეს არის ოპტიმისტური პესიმიზმი.

წითელი ბეღურა. მაგის ძებნა წმინდა გრაალის ძებნას ჰგავს. იქნებ მე ვერ გავქაჩე უბრალოდ. ვერ შევძელი. კიდე გადავკარი არაყი. კარზე კაკუნი გაისმა. ჩამოვიღე ფეხები მაგიდიდან.

– შემობრძანდით.

კარი გაიღო და შემოვიდა ეს ტიპი, შესაბრალისი სანახავი, ჩაჯმულივით ეცვა. სუნიც უდიოდა, ნავთის მგონი, მთლად დარწმუნებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვარ. თვალები ჰქონდა წერტილებივით. გვერდულად წამოვიდა ჩემკენ. გაჩერდა ზედ მაგიდასთან, მოიხარა წელში და როგორღაც შეუტოკდა მახინჯი თავი.

– ბილეინი ხარ? – მკითხა.

– შესაძლოა.

– ამბავი მოგიტანე.

– ძალიან კარგი, ჰოდა, როგორც მოიტანე, ისე წაიღე უკან.

– დამშვიდდი, ბილეინ. მე სიტყვა ვიცი.

– ჰა? რა სიტყვა?

– წითელი ბეღურა.

– გააგრძელე.

– ჩვენ ვიცით, რომ ეძებ.

– „ჩვენ“? ვინ „ჩვენ“?

– ვერ გეტყვი.

ავდექი, შემოვუარე მაგიდას და გასაცოდავებული პერანგის გულისპირში ვტაცე ხელი.

– დავუშვათ და გათქმევინე? აი, დავუშვათ და ძალით გათქმევინე?

– ვერ გეტყვი, არ ვიცი და იმიტომ.

დავუჯერე რატომღაც. დავანებე თავი. კინაღამ იატაკზე გაიშხლართა. მოვბრუნდი უკან და ისევ მაგიდას მივუჯექი.

– ამოსი მქვია, – წამოიწყო მოსულმა, – ამოს რედსდეილი. შემიძლია, ბეღურას კვალზე დაგაყენო. გინდა?

– ეს რა არის?

– მისამართი. ამ ქალმა იცის ბეღურას ამბავი.

– რამდენი გინდა?

– 75 დოლარი.

– გააჯვი რა, ამოს.

– კარგი, არ გინდა, ნუ გინდა. წავალ მე. სტარტს უნდა მივუსწრო. დღევანდელი ორმაგის ამბავი ვიცი.

– 50 დოლარი.

– 60.

– კარგი, მოიტა მისამართი.

ამოვიღე სამი ოციანი და იმან გაკეცილი ქაღალდი გამომიწოდა. გავხსენი, დავხედე. ეწერა: „დეჟა ფაუნტენი, მე-9 კვარტ. რადსონ დრაივის 3234. დას. ლოს ანჯელესი“.

– მისმინე, ამოს, აქ, რასაც გინდა, იმას დაწერ. საიდან გავიგო, მართალს მეუბნები თუ არა.

– უბრალოდ, წადი და შეამოწმე, ბილეინ. სწორი მისამართია.

– არ იქნება და შენ თავს დააბრალე, რაც დაგემართოს.

– სტარტს უნდა მივუსწრო, – მითხრა, მიტრიალდა კარისკენ და გავიდა გარეთ. მე კიდე ვიჯექი და სამოც დოლარად მიღებული ქაღალდის ნაგლეჯი მეჭირა ხელში.

41 თავი

მოსაღამოვდა თუ არა, წავედი და დავდექი სახლთან. მშვენიერი უბანი იყო. ჰო, რას ნიშნავს მშვენიერი უბანი: ნიშნავს ადგილს, სადაც ფული არ გეყოფა, რომ იცხოვრო. არაყი მოვსვი, გადმოვედი მანქანიდან, ჩავკეტე კარი და სადარბაზოსკენ წავედი. კარზე სია ჩავათვალიერე, ვნახე დეჟა ფაუნტენი და მივაჭირე ღილაკს თითი. სასიამოვნო, მაგრამ ოდნავ აღელვებულმა ხმამ მიპასუხა:

– რა გნებავთ?

– დეჟა ფაუნტენს ვეძებ. წითელ ბეღურასთან დაკავშირებით. ამოს რედსდეილმა მომასწავლა. ნიკი მქვია, ბილეინი.

– სერ, წარმოდგენა არ მაქვს, რა ჯანდაბას ლაპარაკობთ.

– ჯანდაბა.

– რაო?

– არაფერი. მითხრეს...

– გაგეხუმრეთ, ნიკი. გთხოვთ, შემობრძანდით.

გაისმა ზუზუნი. მივაწექი შესასვლელ კარს. გაიღო. მეცხრე ბინამდე მისასვლელად ჯერ ხავერდის ნოხი გავიარე. და მეცხრე ნომერი რომ იყო ბინა? კარგს არაფერს მიანიშნებდა ეს ამბავი. რიცხვები მაშინებენ საერთოდ, 3, 7 და 8 მიყვარს მარტო, ან მათი კომბინაციები. მივაჭირე ზარს. კარი გაიღო. ლამაზი ქალი იყო, წითელი კაბა. მწვანე თვალები. გრძელი, მუქი ყავისფერი თმა. პიტნის სუნი ასდიოდა და იღიმებოდა.

– მისტერ ბილეინ, გთხოვთ, მობრძანდით.

შევყევი. ზურგში უცებ რაღაც მძიმე საგანი მომედო.

– არ გაინძრე, შე დედამოტყნულო! ხელი მანახე! აწიე მაღლა! აბა ცადე, ჭერს თუ მიწვდები, შენი!

– ზანგი ხარ? – ვკითხე.

– ჰა?

– მარტო ზანგები ამბობენ: „შე დედამოტყნულოო“.

გამჩხრიკა, მიპოვა იარაღი და წაიღო.

– საკმარისია, ახლა მობრუნდი, მისტერ ბილეინ.

მივბრუნდი, მაგრამ რას ვხედავ. მოსული ტიპი კია, მაგრამ თეთრი.

– ე, თეთრი ხარ!

– შენც.

– კაი, ვიქნები დედამოტყნული.

– შენი საქმისა შენ იცი. რევოლვერს წასვლისას დაგიბრუნებ.

დეჟას მეორე ოთახში გავყევი. სკამი შემომთავაზა. დიდი ოთახი იყო, ცივი, საფრთხე იგრძნობოდა. თვითონ დეჟა ტახტზე მოკალათდა, ამოიღო პატარა სიგარა, შემოაცალა სახვევი, დაასველა ოდნავ, მოაჭრა ბოლო, მოუკიდა და ცისფერი კვამლი მაცდუნებლად გამოუშვა. თან მწვანე თვალებს არ მაშორებდა.

– როგორც მივხვდი, წითელ ბეღურას ეძებთ.

– დიახ, შემიკვეთეს და.

– ვინ შეგიკვეთათ?

– საიდუმლოა.

– ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩვენ შეგვიძლია, კარგ მეგობრებად ვიქცეთ, მისტერ ბილეინ, ძალიან კარგ მეგობრებად.

– მართლა? ვა!

– თქვენ თავისებურად საინტერესო კაცი ხართ, შეუძლებელია, არ იცოდეთ ეს. კარგად შენახული ადამიანის გამომეტყველება გაქვთ. გიხდებათ თან. მამაკაცების უმრავლესობა პირიქითაა, იოლად ცვდება.

– რა ამბობთ?

– შეგიძლიათ, დეჟა დამიძახოთ.

– დეჟა.

– მმმ... უფრო ახლოს ხომ არ მოხვალთ? გვერდით მომიჯექით.

გადავჯექი და მივუჯექი ტახტზე. ქალმა გაიღიმა.

– დალევთ რამეს?

– რა თქმა უნდა. სკოჩი და სოდა გაქვთ?

– ბერნი, – დაუძახა ვიღაცას, – ერთი სოდიანი სკოჩი, თუ შეიძლება.

ორიოდე წუთის მერე ოთახში ის დედამოტყნული შემოვიდა, რევოლვერი ვინც ამართვა, და სასმელი წინ, ყავის მაგიდაზე დამიდო.

– გმადლობთ, ბერნი.

ბერნი მიბრუნდა და გაუჩინარდა. მოვსვი სკოჩი. ცუდი არ იყო. სულაც არ იყო ცუდი.

– მისტერ ბილეინ, – განაგრძო დეჟამ, – მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი უნდა დაივიწყოთ, რაც წითელ ბელურაზე იცით.

– არ მჩვევია საქმის შუა გზაზე მიტოვება, თუ თავად კლიენტი არ მოისურვებს.

– ამას მიატოვებთ, მისტერ ბილეინ.

– ჰმ.

– სიგარის კვამლი ხომ არ გაწუხებთ?

– ჰმ.

– წამალი ხომ არ გინდათ გასინჯოთ?

– ჰმ.

დეჟამ სიგარა გამომიწოდა. მაგრად მოვქაჩე, ჯერ ჩავისუნთქე, მერე ამოვისუნთქე და უკანვე დავუბრუნე. თავიდან ოთახში სიმშვიდე იყო, მერე კედლებმა ოდნავ გადაინაცვლეს, ხალიჩამ აიწია იატაკიდან და ისევ უკან დაეცა. ლურჯად ინათა თვალწინ. მერე ტუჩები ტუჩებზე დამადო, მაკოცა, გასწორდა და გაიცინა.

– ბოლოს ქალი როდის გყავდა, ბილეინ?

– არ მახსოვს...

დეჟამ ისევ გაიცინა და ისევ მაკოცა, ამჯერად – ხანგრძლივად. მისი ენა გველის ენასავით დამისრიალებდა პირში. ტანიც გველს მიუგავდა.

მერე ფეხის ხმა გავიგონე და სიტყვები:

– მორჩით.

ბერნი იყო. თავზე გვედგა, ხელში ორი რევოლვერი ეჭირა. ერთი ჩემად შევიცანი.

– კარგი, ბერნი, დამშვიდდი, – მე ვუთხარი.

ბერნი ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. მისჩერებოდა დეჟას და თვალები დაბინდვოდა.

– დეჟა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ! მოვკლავ ამას! მოვკლავ და თავსაც მოვიკლავ!

საუკეთესო პოზიცია მეკავა, ამიტომ გავიქნიე წიხლი და ფეხებს შუა ვხეთქე. ბერნი მოიკუნტა, დაეცა და ხელები ყვერებზე იტაცა. ეგრევე ავაცალე რევოლვერები, ჩემი ბუდეში ჩავიდე, მეორე მარჯვენა ხელში დავიჭირე. ბერნი წამოვაყენე და სავარძელში ჩავსვი, თმაზე ისე დავქაჩე, პირი დააღო. ჰოდა, ლულაც ეგრევე ტუჩებში მივეცი.

– წოვე ცოტა ხანს, სანამ მოვიფიქრებ, რა გიქნა.

ბერნიმ ამოიბუყბუყა რაღაცა.

– არ მოკლა, – მთხოვა დეჟამ, – ძალან გთხოვ, არ მოკლა!

– რა იცი წითელ ბელურაზე, შე დედამოტყნულო? – ვკითხე ბერნის.

ხმა არ ამოუღია, ამიტომ ლულა უფრო ღრმად ჩავჩარე პირში. უცებ არ გააკუა?! თან ხმამაღლა. საშინელი სიმყრალე დააყენა. ამოვაძრე რევოლვერი და მოვისროლე ეს ტიპი იატაკზე.

– რა საზიზღრობაა! არ გაბედო მეორედ ეგეთი რამე!

მერე დეჟას მივუტრიალდი.

– ამას თავისი ოთახი აქ?

– კი.

დავხედე ბერნის.

– გახვალ ახლავე შენს ოთახში და სანამ მე არ გეტყვი, ცხვირს არ გამოყოფ იქიდან.

ბერნიმ თავი დამიქნია.

– ადე, გადი.

ტიპი ძლივს წამოდგა და ლასლასით გავიდა, მიეფარა კუთხეს. მალე კარის ჯახუნიც გავიგონე. დეჟამ ჩააქრო სიგარა. უკვე აღარ იღიმებოდა.

– კარგი, პატარავ, მოდი რა, გავაგრძელოთ, სადაც გავჩერდით.

– აღარ მინდა.

– რაო? რატომ? რავი, გლანდებამდე კი ჩამიყავი წელან ენა და...

– მეშინია შენი, მოძალადე ხარ.

– ჰო, მაგრამ თვითონ მოკვლას მიპირებდა. ვერ გაიგონე, რა თქვა?

– იქნებ სხვა რამეს გულისხმობდა.

– არავითარი „იქნებ“ არ ინდობა, როცა რევოლვერთან და სიყვარულთან ერთად გაქვს საქმე.

დეჟამ ამოიოხრა.

– ბერნიზე ვღელავ. სულ მარტო ზის თავის ოთახში.

– ტელევიზორი არა აქ? ან კროსვორდი? ან ანეკდოტების წიგნი რამე?

– გთხოვთ, მისტერ ბილეინ, გამოუშვით, ძალიან გთხოვთ.

– საყვარელო, მე ძირისძირობამდე უნდა ჩავწვდე ამ წითელი ბელურას ამბავს.

– ამაღამ ნუ რა... ოღონდ ამაღამ ნუ რა.

– აბა როდის?

– ხვალ ღამით. ამავე დროს.

– მაშინ ბერნი კინოში მაინც გაუშვით.

– შევთანხმდით.

დავწვდი ჩემს ჭიქას და ბოლომდე გადავკარი სასმელი. დეჟა ისევ ისე მისავათებული დავტოვე ტახტზე, ხალიჩას ვერ აშორებდა თვალს. კარი გამოვიკეტე, ჩამოვყევი ჰოლს, გამოვედი გარეთ, მივაღწიე მანქანას, ჩავჯექი შიგნით და დავქოქე. დაველოდე გახურებას. თბილი მთვარიანი ღამე იყო. მე კიდე ვიჯექი მანქანაში და ამდგარი მქონდა.

42 თავი

ბლინკისთან წავედი, მაგ ბარში ჯერაც არ შემხვედრია შარი. ერთი შეხედვით, კარგი ადგილია – ტყავის სავარძლები, ბევრი დებილი, სიბნელე, კვამლი. სასიამოვნო, წინასასიკვდი-

ლო განწყობით იყო სავსე იქაურობა. მოვიდა ოფიციანტი, რაღაცნაირად სულელურად ეცვა – ვარდისფერი შორტი და ზედა. ძუძუებში ბამბა ჰქონდა ჩაფენილი ასაბზეკად. იღიმებოდა საშინლად და ღიმილისას ერთი ოქროს კბილი უჩანდა. თვალებში – სრული სიცარიელე.

– რას დალევ, ძვირფასო? – მკითხა.

– ორი ბოთლი ლუდი. ჭიქები არ მოიტანო.

– ორი ბოთლი, ძვირფასო?

– კი.

– რომელი ლუდი გინდა?

– ჩინური რომელიმე.

– ჩინური?

– ორი ბოთლი ჩინური ლუდი მოიტანე. ჭიქები – არა.

– რაღაც რომ გკითხო, შეიძლება?

– ცხადია.

– ორივე ბოთლის დალევას მარტო აპირებ?

– იმედი მაქვს, ყოველ შემთხვევაში.

– მერე ცალ-ცალკე შეუკვეთე, არ ჯობია? სანამ ერთს დალევ, მეორე არ გათბება.

– უბრალოდ ასე მინდა და მორჩა. სხვა რა მიზეზი უნდა იყოს.

– მიზეზს როცა გაიგებ, აუცილებლად მითხარი, ძვირფასო...

– რატო უნდა გითხრა? იქნებ საიდუმლოდ მინდა შევინახო.

– სერ, ხომ იცით, ჩვენ საერთოდ არ ვართ ვალდებული, მოგემსახუროთ. შეგვიძლია ნებისმიერს ვუთხრათ უარი.

– რისი თქმა გინდა, ორ ბოთლ ჩინურ ლუდს რომ ვუკვეთავ და მიზეზს არ გეუბნები, იმიტომ მემსახურები?

– არ მითქვამს, არ მოგემსახურებით-მეთქი. უბრალოდ, შეგვიძლია არ მოგემსახუროთ.

– მისმინე, თავდაცვის ინსტინქტია მიზეზი, ქვეცნობიერი სურვილი. საშინელი ბავშვობა მქონდა. ხო უნდა შევავსო სულიერი სიცარიელი რამით, ჰოდა, ზუსტად ეს ორი ბოთლი მივსებს. ალბათ ესაა მიზეზი, დარწმუნებული არ ვარ.

– რაღაც მინდა გითხრა, ძვირფასო. ერთი კარგი ფსიქიატრი გჭირდება.

– მართალი ხარ, მაგრამ სანამ ექიმთან წავალ, ორ ბოთლ ჩინურ ლუდს არ მომიტან, რამე რომ იყოს?

დაგვადგა ვიღაც მოხეული ტიპი, ჭუჭყიანი წინსაფრით.

– მშვიდობაა, ბეტი?

– ორი ბოთლი ჩინური ლუდი მინდა, ჭიქები – არაო.

– ბეტი, იქნებ მეგობარს ელოდება?

– მეგობრები არ ყავს, ბლინკი.

ბლინკიმ შემომხედა. დიდი მსუქანი ტიპი იყო, ოღონდ ჩვეულებრივი არა. აი, ორი დიდი მსუქანი ტიპისხელა.

– მეგობრები არ გყავს? – მკითხა უკვე მე.

– არა.

– აბა, ეს ორი ბოთლი ჩინური ლუდი რად გინდა?

– დასალევად.

– სათითაოდ რატო არ უკვეთავ, ჯერ ერთს დალევ, მერე – მეორეს.

– ასე მირჩევნია.

– არასდროს არაფერი არ გამიგონია ამისთანა.

– და რატო არ შეიძლება, როგორც მინდა, ისე გავაკეთო? რა, კანონს ვარღვევ ამით რამეს?

– არა, უბრალოდ უცნაური საქციელია, მეტი არაფერი.

– ვუთხარი, ფსიქიატრს გაესინჯე-მეთქი.

იდგნენ ორივენი და დამჩერებოდნენ. სიგარა ამოვიღე და მოვუკიდე.

– ეს რაღაც ყარს, – მითხრა ბლინკიმ.

– შენი ექსკრემენტებიც.

– რაო?

– სამი ბოთლი ჩინური ლუდი მომიტანეთ, ჭიქები არ მინდა.

– დებილია, – დამისვა დიაგნოზი ბლინკიმ.

მე ავხედე და სიცილი ამიტყდა, მერე ვუთხარი:

– ხმა აღარ გამცე. შემეშვი, შემეშვი, ნერვები არ მომიშალო, თორე აგიზილავ მაგ სიფათს, გაიგე, ძმაო?!

ბლინკი გაშეშდა. აი ნაწლავებისთვის შვების მიცემა რომ მოუნდება კაცს და თავს იკავებს, ეგეთი სახით მიყურებდა. ბეტი ედგა გვერდზე. ერთი წუთის მერე ბეტიმ იკითხა:

– როგორ მოვიქცე, ბლინკი?

– მიუტანე სამი ბოთლი ლუდი უჭიქებოდ.

ბეტი წავიდა ლუდის მოსატანად.

– მოდი, ახლა, – ვუთხარი ბლინკის, – დამიჯექი წინ, უნდა გაყურებინო, როგორ დავლევ სამივე ბოთლს.

– რასაკვირველია.

და რაღაცნაირად ჩაესვენა ჩემ წინ სავარძელში. დაასხა ოფლმა. აუკანკალდა ნიკაპი.

– ბლინკი, – მე ვუთხარი, – წითელი ბეღურა არ გინახავს?

– წითელი ბეღურა?

– ჰო, წითელი ბეღურა.

– არა, არ მინახავს.

ამ დროს ბეტიც მოვიდა და ჩინური ლუდები მოიტანა. ველირსე, როგორც იქნა.

43 თავი

ჰოდა, მომდევნო ღამეს ისევ დეჟას სახლთან ვიდექი. ფეხსაცმელები – გაპრიალებული, სულ რაღაც სამი-ოთხი ბოთლი ლუდი გადაკრული. უსიამოვნოდ ცრიდა. „ღმერთი ფისებს შვრება“-მეთქი, გავიფიქრე. ბავშვობაში ვამბობდით ხოლმე ასე. წვიმა რომ დაიწყებოდა. დაღლილობას ვგრძნობდი, სხეულიც დაღლილი მქონდა, გონებაც. საქმიდან გასვლა მინდოდა. დატყდომა, ვთქვათ, სადმე ვეგასისმაგვარ ადგილას. სათამაშო მაგიდებს შორის ყიალი ბრძნული გამომეტყველებით. სიამოვნებით ვუყურებდი, როგორ ატანენ სულელები მთელ ქონებას ქარს. აი, ასე წარმომედგინა ბედნიერება. ნეონის ნათურების შუქზე დაიკიდო ყველაფერი, როცა სამარეს პირი დაუღია უკვე საშენოდ. მაგრამ რად გინდა, ჯერ ერთი, ფული არ მქონდა და მეორეც, წითელი ბეღურა მყავდა მოსაძებნი.

მეცხრე ბინის ღილაკს მივაჭირე თითი და დავიწყე ლოდინი. კიდე დავაჭირე. ისევ არაფერი. აუ ჩემი, აუ, აუ, აუ. გაფიქრებაც არ მინდოდა. დატყდნენ ნეტა? დეჟაც და ის დედამოტყნულიც? წუხელისვე უნდა მომეყომარებინა ამბავი რა. გამექცნენ, დავიჯერო? ცალ ხელში ანთებული სიგარა დავიჭირე, მეორეში – საღები და დავეჩალიჩე. გაიღო იოლად, შევედი ჰოლში. მივადექი მეცხრე ბინას და მივადე ყური კარს. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. თაგვსაც კი არ გაურბენია. აუ, ჩემი. ჯანდაბა რა. დავეჩალიჩე ისევ კარს, გავაღე და შევედი. პირდაპირ საწოლი ოთახისკენ დავაღირე თავი, გამოვხსენი კარადა – სადღა იყო ტანსაცმელი, ცარიელი დამხვდა. საკიდები კონწიალობდნენ მარტო. ფუ, რას გავდა რა. ჩემი ჯაჭვის პირველი რგოლი, რომელსაც წითელ ბეღურამდე უნდა მივეყვანე, ოცდათორმეტ თავისუფალ საკიდად იქცა და კვალიც დავკარგე. აუ, მეთქი, რა დებილი გამომძიებელი ვარ. თავის მოკვლა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე ეგრევე, ჩავიყავი პიჯაკის ჯიბეში ხელი, ვიპოვე პატარა ბოთლი, დავკარი არაყი და გავუკიდე სიგარას.

მივტრიალდი, წამოვედი, გამოვყევი დერეფანს და როგორც იქნა, ვიპოვე, რასაც ვეძებდი. ერთ-ბინას ეწერა: „მმართველი მისტერ ტოჰილი“.

დავაკაკუნე.

– დიახ, – გაისმა პასუხად, ხმაზე, მეთქი ვიღაც მოხეული ტიპია კიდე.

– ყვავილები, მისტერ ტოჰილ, ყვავილები მოვუტანე მისტერ ტოჰილს.

– როგორ შემოხვედით?

– მთავარი კარი ღია იყო, მისტერ ტოჰილ.

– შეუძლებელია.

– მისტერ ტოჰილ, ვიღაც ქალბატონი გამოდიოდა და მე შემოვედი ზუსტად მაგ დროს.

– არ უნდა გექნათ ეგ.

– არ ვიცოდი, სამწუხაროდ. აბა რა უნდა მექნა?

– უნდა დაგერეკათ გარედან და გეთქვათ, ვინ ხართ და რა გნებავთ.

– კარგი, მისტერ ტოჰილ, გავალ გარეთ, დავრეკავ ზარს და გეტყვით, რომ ყვავილები მოგიტანეთ. ასე აჯობებს?

– არა უშავს, შვილო, მოდი...

კარი გაიღო თუ არა, შევხტი შიგნით, მივაჯახუნე კარი და ვტაცე ქამარში ხელი. ჩასავლები, იცოცხლეთ, ჰქონდა. მართლა დიდი ტიპი იყო. სადღაც ასათკილოიანი, გაუპარსავი, თან გოგირდის სუნი უდიოდა.

– რას აკეთებ? აკი ყვავილებიო? გაუშვი ამ წყეულ ქამარს ხელი!

– დამშვიდდი, ტოჰილ, – ვუთხარი და დავსვი დაბლა, – კერძო დეტექტივი ვარ, ლიცენზიაც მაქ. დეჟა ფაუნტენის ადგილსამყოფელის დადგენა მინდა, მეცხრე ბინაში რომ ცხოვრობს, იმის.

– ტრაკზე მაკოცე და დაახვიე აქედან, ვინა ხარ, ე.

დავიხიე უკან.

– დამშვიდდით, მისტერ ტოჰილ, ცნობები მაინტერესებს მხოლოდ, მითხარით და წავალ.

– ეგ პირადი ცნობებია, შენ კიდე უმაგისოდ წახვალ. ახლავე მიგაბრძანებ აქედან.

– შავი ქამარი მაქვს, ტოჰილ. ვერ გადამირჩები. ნუ მაიძულებთ, ვიმოქმედო.

გადაიხარხარა და გამოიწია ჩემკენ.

– არ გაინძრე, – ვუყვირე მე. გაჩერდა.

– ტოჰილ, წითელ ბეღურას ვეძებ და დეჟა ფაუნტენმა უნდა გამიყვანოს მაგაზე. აუცილებლად უნდა გავიგო, სად წავიდნენ დეჟაც და იმის ტიპიც.

– მისამართი არ დაუტოვებიათ, – მითხრა, – ეხლა მოშორდი აქედან, სანამ გაფეთე ცხვირპირში.

ამოვიღე ჩემი 32-მილიმეტრიანი და მივაშვირე მუცელზე.

– სად არი დეჟა ფაუნტენი!

– გააჯვი, შენი! – და გამოიქაჩა ჩემკენ.

– არ გაინძრე!

არ გამიგონა, სუფთა სულელი იყო. შემეშინდა და გამოვკარი ჩახმახს. არ გავარდა. მტაცა ტოჰილმა ყელში ღორის ბარკლისხელა ხელები, თითებიც უშველებელი ჰქონდა, ღონიერი, შეუბრალებელი. სუნთქვა შემეკრა. თვალებში გამინათდა და მივცხე მუხლი ყვერებში. ვითომც არაფერი. ე, მეთქი რა ხდება. სექსუალური ორგანოები სხვაგან ჰქონდა აშკარად, იქნება იღლიაშიც, რა ვიცი მე. ყველა იმედი წამერთვა. მეთქი ვკვდები, ოღონდ თვალწინ განვლილ ცხოვრებას არ ჩაუქროლია, უბრალოდ, ხმა ჩამესმა: „უკანა მარჯვენა საბურავი უნდა გამოცვალო...“ სისულელე რა, სრული სისულელე. წასული იყო ჩემი საქმე, მორჩენილი, დამთავრებული. მერე უცებ ვიგრძენი, როგორ გამიშვეს ხელი. მივაწყდი უკან და პირდაპირ სტრატოსფეროდან და ყველა დანარჩენი სფეროდან ერთად შევისრუტე ჰაერი. გავხედე ტოჰილს. არ ედო კარგი ფერი, ვერ გამოიყურებოდა მაინცდამაინც ვაჟკაცურად. თან მე მიყურებდა და თან არც მიყურებდა თითქოს. დავინახე, როგორ იტაცა ხელი მარცხენა მკლავზე და საშინელმა ტკივილმა დაუმანჭა სახე. ჩაიბურტყუნა რაღაც, ამოიხედა და გაგორდა იატაკზე. მივედი, დავიხარე მისკენ, გავუსინჯე პულსი. ფა-ფუ. მკვდარი იყო.

კარგად!

მოვცილდი გვამს, დავჯექი სკამზე და უცებ ვის ვხედავ! ტახტზე ჩემ პირდაპირ – ქალბატონი სიკვდილი. ასეთი ლამაზი მართლა არადროს მინახავს. რა ქალი იყო. როგორი ერთგული, სუფთა ბაჯაღლო ოქრო. გამიღიმა.

– როგორა ხარ, ბილეინ?

– საწუწუნო რა მაქვს, ქალბატონო.

თავიდან ფეხებამდე შავები ეცვა. უხდებოდა შავი ფერი. წითელიც.

– წონას მიხედე, ჯობია, ბილეინ, ბევრს ჭამ, თან სულ შემწვარ კარტოფილს, პიურეს, დესერტებს... ლუდის ბოთლს არ აშორებ ტუჩს.

– კი, რაც მართალია, მართალია...

ისევ გამიღიმა და უნაკლო, ღონიერი კბილები გამოუჩნდა. რკინას გაკვნეტდა თავისუფლად.

– მოკლედ, წავედი, – მითხრა, – პატარა საქმეები მაქვს კიდე მოსაგვარებელი.

– ვიცნობ რომელიმეს?
– ჰარი დობსს იცნობ?
– არა მგონია.
– თუ იცნობ, დაივიწყე.
და გაქრა. თითქოს არც ყოფილა.

მივადექი ტოჰილს, საფულე გავუჩხრიკე, ერთი ორმოცდაათიანი ვუპოვე, ორი ოციანი, ერთი ხუთიანი და ერთიც ერთდოლარიანი. ჩავიდე ყველაფერი შარვლის ჯიბეში. მივედი კართან, გავაღე, მერე გამოვიკეტე და დავყევი ჰოლს. კაცის ჭაჭანება არ იყო. გავაღე მთავარი კარიც და გავაღწიე გარეთ. კიდე ცრიდა, მესიამოვნა წვეთები სახეზე. ღრმად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე და გავწიე მანქანისკენ. ადგილზე დამხვდა. შემოვუარე უკნიდან და მარჯვენა საბურავი შევამოწმე. მართლა გაცვეთილიყო. ახალი რეზინა უნდა მეშოვა.

44 თავი

მოკლედ, ისევ შემომაწვა დარდი. გავედი ოფისში, მივედი და სკოჩი გავხსენი. ისევ დავუბრუნდი ჩემს ძველ მეგობარს, წყალგარეულ სკოჩს. სკოჩი ის სასმელი არაა, პირველ ჯერზე მოგეწონოს, მაგრამ ცოტას მიეჩვევი თუ არა, თავის ჯადოსნურ ძალას შენზეც გამოსცდის. მასში ის სითბო ვიპოვე, რაც ჩვეულებრივი ვისკისგან არასდროს მიგრძნია. ჰოდა, ვიჯექი ნაღვლიანი სკამზე, გვერდით კიდე ჩემი 0.7-იანი ბოთლი მედგა. ტელევიზორი არ ჩამირთავს, დაკვირვებული ვარ, ამ ნაბიჭვარმა კარგად იცის, როგორ გაგიფუჭოს ისედაც ჩაოხრებული ხასიათი. ერთი უსახური ენაცვლება მეორეს და ასე გაუთავებლად. იდიოტების უსასრულო აღლუმია და მეტი არაფერი, ზოგი უცნობია ოღონდ იქიდან და ზოგი ცნობილი. კომიკოსები ვერასდროს ვერ ხუმრობენ მანდ, დრამა ყოველთვის მეორეხარისხოვანია. დიდი არჩევანი არ მქონია და ისევ სკოჩთან დარჩენა გადავწყვიტე.

თავიდან თუ ჟინჟლავდა მხოლოდ, მერე მართლა გაწვიმდა, მეც ვიჯიექი და ყურს ვუგდებდი, როგორ ხმაურობდა წვეთები სახურავზე.

ვჯავრობდი, რანაირად გამეპარნენ ეს სირეები-მეთქი. ვიცოდი, ვეღარ მივაგნებდი იმ ჩემს პირველ ინფორმატორს. ყველაფერი თავიდან მქონდა დასაწყები. წითელი ბეღურა როგორ გამიფრინდა მე სულელს ხელიდან. 55 წლის კაცი ისევ სიბნელეში ვაფათურებდი ხელებს. რამდენ ხანს გავქაჩავ კიდე? არ ვიყავი ერთი კაი პანჩურის ღირსი? ვიყავი. ჩემმა მოხუცმა მითხრა ერთხელ: „ თუ გამოჩნდა კაცი, წინასწარ რომ გადაგიხდის ფულს და იმედი აქვს, მომავალში დაუბრუნებ, ყველაფერი იკისრე. ეგ ამბავი საბანკო და სადაზღვეო საქმეს ჰგავს. აიღე ნაღდი და ქაღალდის ნაგლეჯი დაუტოვე სანაცვლოდ. გამოიყენე იმათი ფული და მაყუთი არ მოგაკლდება. ორი რამ ამოძრავებს მაგათ: სიხარბე და შიში. შენ ერთს დაუდექი მსახურად – მარჯვე მომენტსო“. არ უნდა იყოს ცუდი რჩევა, მაგრამ რატომღაც მამაჩემი მაინც სიღარიბეში მოკვდა.

ისევ დავისხი სკოჩი. ჯანდაბა. ქალებთანაც ვერ გავქაჩე ვერც ერთხელ. სამი ცოლი მყავდა. სამივეჯერ თითქოს ისეთი არაფერი, თუმცა უაზრო აყალმაყალმა, კინკლაობამ და არაფრის თუ ყველაფრის გულისთვის გაწევ-გამოწევამ ბოლო მოუღო სამივეს.

ყოველდღე, წლიდან წლამდე, სულ გაღიზიანებული დავდიოდით, ხელის შეწყობის მაგივრად ვკბენდით, ვუღრენდით ერთმანეთს. შარს ვდებდით. გამუდმებით ვდებდით ერთმანეთს შარს. სულ მცირე მიზეზიც კი საკმარისი იყო საამისოდ. ბოლოს ერთ დღესაც იღვიძებ და ხვდები, რომ ჩვევაში გადაგსვლია ეს ყველაფერი და ვერც იშორებ. აღარც გინდა თითქოს გადაეჩვიო. მერე კი შორდები. სამუდამოდ.

ჰოდა, აი ესა ვარ, რაცა ვარ-მეთქი, გავიფიქრე. ვზივარ და ვუსმენ წვიმას. ახლა რომ მოვკვდე, დედამიწის ზურგზე წვეთი ცრემლი არ ჩამოუვარდება არავის. სულაც არ მინდოდა, ასე გამოსულიყო, უცნაური კია. მაინც სად გადის ჩემისთანა სირის მარტოობის ზღვარი? ქვეყანა სავსეა ჩემისთანა ბებერი ვირებით, რო სხედან, წვიმას უსმენენ და ფიქრობენ, ნეტა საით მიდის ყველაფერიო. სიბერე რო მოგიკაკუნებს კაცს, ჯდები და იწყებ ფიქრს, საით მიდისო.

არადა, არსადაც არ მიდის. ჩემი სამი მეოთხედი მკვდარია ისედაც.

ტელევიზორი ჩავრთე. რეკლამა გადიოდა:

„მარტო ხართ? მოიწყინეთ? გამხიარულდით. დარეკეთ ჩვენს მშვენიერ ქალბატონებთან. ისინი თქვენ გელიან, საუბარი სურთ თქვენთან. გადახდა შესაძლებელია მხოლოდ საკრედიტო მასტერ ან ვიზა ბარათებით. ესაუბრეთ კიტის, ფრენსის, ბიანკას. დარეკეთ 800-435-8745“.

გოგოებსაც აჩვენებდნენ. კიტი ყველას ჯობდა. გადავკარი სკოჩი და ნომერი ავკრიფე.

– გისმენთ, – მამაკაცის ხმა იყო, საშინელი თან.
– კიტი მინდოდა, თუ შეიძლება.
– 21 წელი შეგისრულდათ უკვე?
– შემისრულდა.
– რომელი ბარათით გაიხდით, მასტერით თუ ვიზათი?
– ვიზა.
– ნომერი და მოქმედების ვადა მითხარით. მისამართიც, ტელეფონის, დაზღვევის და მართვის მოწმობის ნომრებიც.
– ე, მე საიდან უნდა ვიცოდე, რომ სათქვენოდ არ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას? და თავს არ მომაბეზრებთ? ან სარგებელს არ ნახავთ ჩემ ხარჯზე?
– ე, ძმაო, კიტისთან ლაპარაკი გინდა?
– მგონი...
– ჩვენ ტელევიზიით ვავრცელებთ განცხადებას, ორი წელია, ამ საქმეში ვართ.
– კარგი, ჩავიხედები საფულეში.
– ძმაო, თუ შენ არ გინდივართ, ჩვენ – მით უმეტეს.
– კიტი რაზე უნდა მელაპარაკოს?
– რაზეც გენდომება.
– როგორ გგონია, რაზე მენდომება.
– ე, ძმაო...
– კარგი, კარგი, მოიცა ერთი წუთი...

ჩავაწერინე, რაც უნდოდა. ორი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, ჩემს საკრედიტო ბარათს ამოწმებდნენ. მერე ქალის ხმა გაისმა:

– გამარჯობა, საყვარელო, მე კიტი ვარ.

– გაგიმარჯოს, კიტი, მე ნიკი მქვია.

– აუუუ, რა სექსუალური ხმა გაქვს! ავიგზენი ცოტა, ხო იცი.

– არა, არ მაქ სექსუალური ხმა.

– ვაიმე, რა თავმდაბალი ხარ!

– არა, კიტი, რა თავმდაბალი...

– იცი, რაღაცნაირად ძალიან დიდ სიახლოვეს ვგრძნობ შენთან! აი, იცი, როგორ, წარმოიდგინე, თითქოს მუხლებზე გიზივარ და თვალებში ჩაგცქერი. მე დიდი ცისფერი თვალები მაქვს. შენ გადმოიხრები ჩემკენ, მაკოცო, გინდა!

– რას სულელობ, კიტი, მარტო ვზივარ სავარძელში, სკოჩს ვსვამ და წვიმის ხმაურს ვუგდებ ყურს

– მისმინე, ნიკი, წარმოსახვა უნდა აამუშაო. მიდი, ცადე და შენ თვითონ გაგიკვირდება, ისეთ რამეებს ჩავიდენთ ერთად. მოგწონს ჩემი ხმა? ჰო... სექსულური ხმა მაქვს... ჰა?

– კი გაქვს, ოღონდ ისე რა. თითქოს გაციებული ხარ. ხარ მართლა გაციებული?

– ნიკ, ნიკ, ჩემო ბიჭუნა, ვხურვარ სულ, რა გაციება?

– რაო?

– ვხურვარ-მეთქი, რა დროს გაციებაა.

– მოკლედ, არ ვიცი, გაციებულს კი გიგავს ხმა და. ბევრს ეწევი შეიძლება.

– მე მარტო ერთ რამეს ვეწევი, ნიკ.

– მაინც რას, კიტი?

– ვერ ხვდები?

– ვერა.

– დაბლა დაიხედე, ნიკ.

– დავიხედე.

– რას ხედავ?

– სასმელს. ტელეფონს...

– კიდე, ნიკი?

– ფეხსაცმელებს.

– ნიკ, და ეგ დიდი რაღაც რა არის, მანდ რომ ჩანს?

– ა, ეს? ღიპი.

– მიდი, მელაპარაკე, ნიკ. უსმინე ჩემს ხმას. წარმოიდგინე, ვითომ მუხლებზე გიზივარ, კაბა ოდნავ აწეული მაქვს, მუხლებიც მიჩანს, ბაყვებიც. ქერა თმა მხრებზე მაყრია. იფიქრე ამაზე, ნიკ, წარმოიდგინე..

– კარგი...

– მიდი, აბა, ეხლა რას ხედავ?

– ზუსტად იგივეს: ტელეფონს, ფეხსაცმელებს, სასმელს, ღიპს...

– ცუდი ბიჭი ხარ, ნიკ. მინდა, მოვიდე მანდ და გაგროზგო! შენც ხო არ გამროზგავ, ნიკ?

– რაო?

– გამროზგავ, გამროზგავ.

– კიტი...

– ჰო.

– ერთ წუთს ვერ დამიცდი? სააბაზანოში უნდა გავიდე.

– ო, ნიკ, ვიცი, რატომაც მიდიხარ! ნუ გახვალ, რა საჭიროა, მანდვე ქენი, ტელეფონთან, თან მელაპარაკე.

– არა, კიტი, ვერ ვიზამ მაგას. მეფსია.

– ნიკ, ჩათვალე, ჩვენი საუბარი დამთავრებულია, – და დამიკიდა ყურმილი.

შევედი სააბაზანოში და მოვშარდე. მოვათავე და გავაგრძელე წვიმისთვის ყურის გდება. მაგარი ბანძი დიალოგი გამოგვივდა, მაგრამ ცოტა ხნით ხომ მაინც მოვწყდი წითელ ბეღურასაც და სხვა საფიქრალსაც. ჩავრეცხე, დავიბანე ხელები, სარკეში ჩავიხედე, ჩავუკარი თვალი საკუთარ თავს და ისევ სკოჩს დავუბრუნდი.

45 თავი

მოკლედ, მეორე დღეს ვიჯექი ოფისში, უკმაყოფილო ვიყავი საკუთარი თავით და, სიმართლე ითქვას, გული მქონდა აცრუებული ყველაფერზე. დიდი წარმატებით მაინცდამაინც ვერ დავიკვეხნიდი, ვერც მე და ვერც დანარჩენი კაცობრიობა. ჩვენ ხომ უბრალოდ სიკვდილის მოლოდინში დავყიალობთ აქეთ-იქით და პატარ-პატარა საქმეების კეთებით გაგვყავს დრო. ზოგიერთი ამ პატარ-პატარა საქმეებსაც არ ვაკეთებთ. ნამდვილი ბოსტნეულები ვართ. მეც მათ შორის. ისე, საინტერესოა, რომელი ბოსტნეული ვარ. მგონი, თალგამი უფრო. სიგარას მოვუკიდე, მოვქაჩე და თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვიცოდი რაღაც-რაღაცები.

დარეკა ტელეფონმა. ავიღე.

– გისმენთ.

– მისტერ ბილეინ, თქვენ ჩვენი ერთ-ერთი გამარჯვებული ხართ. თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ ტელევიზორი, სომალიში მოგზაურობა, 5 000 დოლარი ან დასაკეცი ქოლგა. თქვენთვის მზად იქნება ოთახი და საუზმე, ცხადია, უფასოდ. ამისთვის უნდა დაესწროთ ჩვენს ერთ-ერთ სემინარს, სადაც შემოგთავაზებთ უძრავი ქონების უსაზღვრო არჩევანს.

– ოე, ძმა.

– დიახ, სერ.

– წადი, ჩამოკარი რა.

და დავუკიდე. თვალი ველარ მოვაშორე ტელეფონს. რა წყეული რამეა რა. მაგრამ 911-ში უმაგისოდ როგორ დარეკავ. კაცმა არ იცის, როდის დაგჭირდება. მეთქი, შვებულება მჭირდება აუცილებლად. კიდე – 5 ქალი. ყურებიდან გოგირდის გამოწმენდა. ზეთის შეცვლა მანქანაში. საშემოსავლო უწყისი მაქ შესავსები, სათვალეზე ცალი ყური მოტეხილი. ოთახში ჭიანჭველები მყვანან. კბილები – გამოსახეხი, ფეხსაცმლის ქუსლები – შემოცვეთილი. უძილობა მტანჯავს. ჩემი მანქანის დაზღვევას ვადა გაუვიდა, ყველა გაპარსვაზე სახეს ვიჭრი. მე-6 წელი მიდის, არ გამიცინია. სულ ისეთ რამეებზე ვღელავ, რაც სულ არ არი ასაღელვებელი. როცა ასაღელვებელი შემხვდება რამე, ეგრევე სმას ვიწყებ.

ტელეფონმა დარეკა ისევ. ავიღე.

– ბილეინი ხართ?

– შესაძლოა.

– შესაძლოა არა, ჩემი ყლე, ხარ ბილეინი თუ არ ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კარგი, ბილეინი ვარ.

– მოკლედ, ბილეინ, გავიგეთ, წითელ ბეღურას ეძებ თურმე.

– ჰოო? საიდან გაიგეთ?

– საიდუმლო წყაროდან.

– საიდუმლო ადგილები ტანზეც ხომ გაქვთ, მაგრამ ხო აჩენთ ხოლმე?

– თავს შევიკავებთ ამჯერად.

– კარგი, – მე ვუთხარი, – რამდენი გინდათ?

– 10 000 დოლარი და ხელიდან ხელში ჩაგაბარებთ წითელ ბეღურას.

– მაგდენი არ მაქვს.

– გაგიყვანთ ტიპზე, რომელიც გასესხებს.

– მართლა?

– მართლა, ბილეინ. მხოლოდ 15%-ად თვეში.

– ჰო, მაგრამ საგარანტიოდ არაფერი მაქვს.

– დარწმუნებული ვარ, გაქ.

– რას გულისხმობ?

– სიცოცხლეს.

– მეტს არაფერს? აი, ასეთი ლაპარაკი უკვე მომწონს.

– მშვენიერია, ბილეინ, 10 წუთში შენთან ვიქნებით.

– როგორ მივხვდე, რომ თქვენ ხართ?

– მიგახვედრებთ.

ყურმილი დავკიდე. ათი წუთის მერე მართლა დააკაკუნეს კარზე. ღონივრად თან. შეზანზარდა კარი. გადავამოწმე, მეთქი უჯრაში ხო მიდევს ლუგერი. მედო. რა ჯობდა მისი შიშველი სხეულის ნახვას.

– ღიაა, შემოდით, ღვთის გულისათვის.

შემოგლიჯეს კარი, უზარმაზარი სხეული ჩამოეფარა შუქს. ნამდვილი გორილა, ოღონდ ვარდიფერ კოსტიუმში გამოწყობილი და სიგარიანი. ორი მასავით, ოღონდ უფრო პატარა, მაიმუნი ახლდა თან.

სკამი შევთავაზე. დაჯდა, მაგრამ რა დაჯდა. სკამის ფეხებმა საწყლად დაიჭრიალეს. პატარა მაიმუნები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ. ამ დიდმა ერთი დააბოყინა და გადმოიწია ჩემსკენ.

– მე სანდერსონი ვარ, – მითხრა, – ჰარი სანდერსონი, ესენი, – და თანხმლებებზე მანიშნა, – ჩემი ბიჭები არიან.

– შვილები?

– ბიჭები.

– ჰო.

– ვიცი, გჭირდებით.

– ჰო.

– წითელი ბეღურა.

– იმ ქალთან და მის ქოფაკთან ხომ არ გაქვთ რამე კავშირი, წუხელ რომ დატყდნენ ბინიდან?

– არნაირი კავშირი არ მაქვს ქალებთან ერთის გარდა.

– მაინც?

– კიჩოს ვაწმენდინებ ხოლმე.

ორივე მაიმუნმა ერთდროულად ჩაიხითხითა. მაგარი ხუმრობა ეგონათ.

– ასე მგონია, იუმორი გღალატობთ, – ვუთხარი მე.

– საერთოდ არ გვაინტერესებს, შენ რა გგონია.

– ჭკვიანურია. მოდი, წითელ ბეღურაზე გადავიდეთ.

– 10 000 დოლარი.

– როგორც უკვე გითხარით, მაგდენი ფული არ მაქვს.

– მეც გითხარი უკვე, რომ ვიშოვით მევახშეს და იაფად მოგცემს-მეთქი ვალს, თვეში 15 პროცენტად.

– კარგი, მიშოვეთ.

– ჩვენა ვართ მევახშეები.

– თქვენ?

– ჰო, ბილეინ. ჩვენ მოგცემთ ფულს და მერე დაგვიბრუნებ და ყოველ თვე 15 პროცენტს გადაგვიხდი, სანამ ვალი არ დაიფარება. მოაწერე ამ ფურცელზე ხელი და თავისუფალი ხარ. ნაღდი ფული არც გვჭირდება ახლა. ნაღდი საიმედოდ გვაქ შენახული, რო არ ვაფრიალოთ აქეთ-იქით.

– და სანაცვლო...

– ხელში ჩაგაბარებთ წითელ ბეღურას.

– საიდან მეცოდინება, რომ არ მომატყუებთ?

– რას მოგატყუებთ?

– ანუ ნამდვილ წითელ ბეღურას რომ ჩამაბარებთ.

– უნდა გვენდო.

– ასეც ვიცოდი, მაგას მეტყოდით

– ჰა, კი თუ არა?

– რა კი თუ არა?

– გვენდობი თუ არა.

– ცხადია, მაგრამ მირჩევნია, თქვენ მენდოთ.

– ეგ როგორ?

– ჯერ წითელი ბეღურა მომიყვანოთ და ფული – მერე.

– რაო? შენ რა, ჩერჩეტები გგონივართ?

– ჰ.ჰ.ჰ, კი...

– ნუ ატრაკებ, ბილეინ, – მითხრა და ვარდისფერკოსტიუმიანი გორილა ფეხზე წამოდგა, – კარგად დაფიქრდი და პასუხი გაგვაგებინე. 24 საათი გაქ, იცოდე, მერე მორჩა, მეორე შანსი აღარ გექნება აღარასდროს.

– კარგი, – დავეთანხმე მეც.

გორილა შეტრიალდა და წავიდა, პატარა მაიმუნმა გადაასწრო და გაუღო კარი. მეორე იდგა და მიყურებდა. ბოლოს მოშორდნენ სამივენი. მე კიდე ვიჯექი და აზრის ნასახი არ მომდიოდა. გამიჩინეს რა თავსატეხი. საათის ისრები კი მიქროდნენ. ფუ რა. ჩავყავი უჯრაში ხელი, არაყი მინდოდა. სადილობის დრო იყო უკვე.

46 თავი

მეთქი, რას აპირებ, ჩემო თავო? ისე ვღელავდი, მაგიდასთან ჩამეძინა. რო გავიღვიძე, დაღამებული იყო უკვე. ავდექი, მოვიცვი ჩემი ქურთუკი, ქუდი დავიხურე, გარეთ გამოვედი. ჩავჯექი მანქანაში და 5 მილი გავიარე დასავლეთისკენ, ისე, უმიზნოდ. მერე გავაჩერე მანქანა და მივიხედ-მოვიხედე. ბარის წინ გავჩერებულვარ თურმე. „ჰადესი“ – ციმციმებდნენ ნეონის ნათურები. გადმოვედი მანქანიდან და შევედი შიგნით. ხუთი კაცი დამხვდა სულ შიგნით. ხუთი მილი, ხუთი კაცი. ყველაფერი ხუთ-ხუთი. ბარმენი იყო, ერთი გოგო და სამი გამხდარი, კოჭლი,

მოსულელო ტიპი. ეტყობოდათ, თმაზე ფეხსაცმლის კრემი წაესვათ. ბიჭები გრძელ სიგარეტებს ეწეოდნენ და დაცინვით მიცქერდნენ მეც და მთელ კაცობრიობასაც. გოგო ბარის ერთ კუთხეში იჯდა, ბიჭები – მეორეში. ბარმენი – შუაში. დავავლე ხელი საფერფლეს და ორჯერ დავარახუნე დახლზე, როგორც იქნა, ბარმენმა მომაქცია ყურადღება. მოჭუტა თვალები და წამოვიდა ჩემკენ. თავით ბაყაყაყს გავდა, ხტომა-ხტომით არ მოსულა ოღონდ, ძლივს მოფორხილდა და დამიდგა ცხვირწინ.

– სკოჩი და წყალი, – შევუკვეთე მე.

– წყალი სკოჩში ჩაგისხათ?

– სკოჩი და წყალი-მეთქი.

– ჰა?

– სკოჩი და წყალი, ცალ-ცალკე ოღონდ, თუ შეიძლება.

ბიჭები მომჩერებოდნენ. ბოლოს, შუაში რომელიც იდგა, იმან ამოიღო ხმა.

– ჰეი, მოხუცო, ცოტას გატკენთ, რა იქნება?

გავხედე, გამეღიმა.

– უფასოდ ვიზამთ, – გააგრძელა ისევ შუანამ. იცინოდნენ სამივენი, მასხრად მიგდებდნენ.

მოვიდა ბარმენიც, ჩემი სკოჩი და წყალი მომიტანა.

– მოვალ ახლა და დაგილევ მაგ სასმელს, – მომაძახა შუანამ.

– გაეკარები ჭიქას და გამხმარი მძღნერივით გაგწყვიტავ შუაზე.

– ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ.

– ოჰ, – გაეპასუხა მეორე.

– ოჰ, – ეს უკვე მესამის ხმა იყო.

გადავკარი ვისკი, წყლისთვის ხელი არ მიხლია.

– ჩვენს ბებერს მაგარი ტიპი გონია თავი.

– მოდი, ვნახოთ, მართლა მაგარი ვინმეა თუ არა.

– ვნახოთ.

ღმერთო, რა მომაბეზრეს თავი. მარტო მაგათ კი არა, ყველამ. არაფერი ახალი, აღარაფერი სიცოცხლით სავსე. მკვდარი ყველაფერი, მოსწორებული. კინოებში როა ხოლმე, ისე.

– გაიმეორე, – ვუთხარი ბარმენს.

– რა დალია, სკოჩი და წყალი?

– ჰო.

– ეს მოხუცი მთლად კარგად ვერ გამოიყურები, – დამისვა დიაგნოზი შუანამ.

– ვერა, – გავეპასუხე მე.

– რა ვერა.

– კარგად ვერ გამოიყურება-მეთქი.

– გვეთანხმები?

– გისწორებთ. და იმედი მაქვს, ამის მეტად შენიშვნის მოცემა დღეს აღარ დამჭირდება.

ბარმენმა ისევ მომიტანა შეკვეთა და წავიდა.

– შენ ტრაკს მიხედე რა, – მითხრა, ყველაზე მეტს ვინც ლაპარაკობდა, იმან.

ყურადღება არ მივაქციე.

– და ცოტა ძვალი და რბილი რო გაგიერთიანოთ, არა?

წყეული, მოსაწყენი ადამიანები. სავსეა დედამიწა ასეთებით. თან სულ თავისნაირებს ამრავლებენ.

– მოდი, სტაფილო მოვაწოვოთ.

– და სამი სტაფილო რო ერთად მოვაწოვოთ?

ხმა არ გამიცია. გადავკარი სკოჩი, წყალიც მივაყოლე, ავდექი და თავი დავუკარი ბარის კედელს.

– ჰე, შეხედე, გარეთ გამოდითო.

– ოჰო, მგონი დაგვხვდეს უნდა.

– წამო, გავყვეთ.

ბარის სილრმისკენ დავადე თავი. ნაბიჯების ხმა გავიგონე, მომდევდნენ, დანის გახსნის ხმაც. მოვტრიალდი უცებ, ერთი დარტყმით გავაგდებინე დანა ხელიდან და ყურის ძირში მოვდე. წაიქცა, შევადექი. ის ორი ეგრევე შებრუნდა და გაიქცა. გაირბინეს მთელი ბარი და გაცვივდნენ გარეთ. გავუშვი. მივბრუნდი დარჩენილთან. ძირს იწვა ისევ. ავაყენე, შევუდექი მხარში, გამოვათრიე გარეთ და ავტობუსის გაჩერებაზე სკამზე დავსვი. მერე გავხადე ფეხსაცმელები და სანიაღვრე ჭაში გადავუყარე. საფულეც მასე. ბარში დავბრუნდი, ავიღე დანა, ჩავიდე ჯიბეში, დავჯექი ისევ ჩემს ადგილას და სასმელიც თავიდან შევუკვეთე. გოგოს ხველა აუტყდა, სიგარეტს ეწეოდა და ალბათ იმიტომ.

– მისტერ, – მითხრა, – მომეწონა, რაც ქენით. მომწონს ნამდვილი მამაკაცები.

ყურადღება არ მიმიქცევია.

– ტრაქეა მქვია, – გამეცნო გოგო.

მოკიდა ხელი თავის სასმელს, მოვიდა და მომიჯდა გვერდით. ზალიან ბევრი სუნამო დაესხა და პომადაც იმდენი ესვა, მთელი კვირა ეყოფოდა სხვას.

– შეგვეძლო, გაგვეცნო ერთმანეთი, – სცადა ლაპარაკის აწყობა.

– აზრი არა აქვს, სისულელე გამოვა მაინც.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– გამოცდილება.

– იქნებ მხოლოდ ცუდ ქალებს შეხვედრიხართ ცხოვრებაში?

– იქნებ მივეჩვიე კიდეც უკვე ამას.

– შეიძლება, მე უკეთესი ვიყო.

– რა თქმა უნდა.

– სასმელზე დამპატიჟეთ.

ჩემი მოიტანეს ზუსტად იმ წამს.

– ტრაქეასთვისაც გვინდა ერთი, – ვუთხარი ბარმენს.

– ჯინ-ტონიკი, ბობი...

ბობი წაფრატუნდა.

– სახელი არ გითქვამთ, – ატიკტიკდა გოგო.

– დევიდი.

– ო, როგორ მომწონს. ოდესღაც ვიცნობდი ერთ დევიდს.

– რა დაემართა?

– არ მახსოვს.

და ტრაქეამ მხარი მხარზე მომადო, ალბათ, ჩვეულებრივზე თორმეტი კილოთი მეტს იწონიდა.

– მაგარი კაცი ხართ, – მითხრა.

– რა შემატყვეთ?

– შეგატყვეთ, – მერე გაჩუმდა და ისევ განაგრძო, – მოგწონვართ?

– არც ისე.

– მოგეწონებით, კარგი გოგო ვარ.

– რაში? ჭრა-კერვაში?

– არა, მოკლე რაღაცეების დაგრძელება მეხერხება.

– მაგალითად?

– მშვენივრად იცით, რასაც ვგულისხმობ.

– არა, არ ვიცი.

– გამოიცანით.

– ბუშტებს ბერავთ.

– რა ენამახვილი ხართ.

– კი, უთქვამთ სხვებსაც.

მოუტანეს სასმელი. მოსვა ოდნავ. რაც უფრო მეტს ვუყურებდი მას, მით უფრო ნაკლებად მომწონდა.

– ჯანდაბა, ჩემი სანთებელა, – შეიცხადა ქალმა.

გახსნა საფულე და დაიწყო რაღაცეების ამოლაგება. ლუდის ბოთლის გასახსნელი, სამფერა პომადა. კევი. სასტვენი. და...

– ვიპოვე! – შესძახა, ხელში სანთებელა ეჭირა, დააკაკუნა სიგარეტი და გაუკიდა.

– ის რა არის?

– რა?

– აი, ის, დახლზე, წითელი როა, – ვანიშნე.

– ოჰ, ეს ჩემი ბეღურაა.

– ცოცხალია? ცოცხალი იყო კი საერთოდ? ოდესმე მაინც?

– არა, სულელო, ფიტულია. ზოომაღაზიაში ვიყიდე, ჩემი ფისოსთვის. კატების სათამაშოა. ფისო გიჟდება ამათზე.

– ო, ჯანდაბა, მოაშორე რა.

– დევიდ, ერთი წუთის წინ ისეთი აღფრთოვანებული იყავი, ჩიტები გიყვარს?

– მხოლოდ წითელი ბეღურა.

– გინდა გაჩუქოთ?

– არა, არა, ყველაფერი რიგზეა.

– სახლში კიდე მაქვს ასეთი ფიტულები სათამაშოდ. თან ჩემს ფისოსაც გაიცნობდით.

– არა, იყოს, ტრაქეა. უნდა წავიდე.

– კარგი, დევიდ, მაგრამ წარმოდგენაც არ გაქვთ, რას კარგავთ.

ავდექი, გავდიე დახლს, რამდენიმე დოლარი დავუგდე ბარმენს და გამოვედი გარეთ. ის პანკი ბიჭი გაჩერებაზე აღარ ჩანდა. ჩავჯექი მანქანაში, დავძარი და გადატენილ ქუჩაზე ამოვყავი თავი. ღამის ათი საათი ხდებოდა, მთვარე უკვე ამოსულიყო ცაზე, ჩემი ცხოვრება კი კვლავაც ნელა და უგზო-უკვლოდ მიედინებოდა.

47 თავი

მეორე დღეს ოფისში ვიჯექი, როცა ლამის წიხლით შემოაღეს კარი. ჰარი სანდერსონი იყო თავის მაიმუნებთან ერთად. ამჯერად ღია წითელი კოსტიუმი ეცვა. ფერებში ნაღადად უცნაური გემოვნება ჰქონდა. ერთ გოგოს ვიცნობდი ოდესღაც, ისიც ეგეთ ახირებულ ტანსაცმელს იცვამდა ხოლმე, აი, თითქოს, რესტორანში რო მივდიოდით საჭმელად, ყველა უნდა მოტრიალებულიყო და მისთვის ეცქირათ. მაგრამ, სამწუხაროდ, გარეგნობით ვერ დაიკვეხნიდა. სამი დღის გაუპარსავი წვერი რომ მქონოდა და თან „პახმელიაზეც“ ვყოფილიყავი, მაინც იმაზე ლამაზი მეთქმოდა. თუმცა, დავუბრუნდეთ სანდერსონს.

– ოე, პანკი, გავიდა შენი 24 საათიანი კუტუს იფხან თუ მოიფიქრე რამე?

– ჯერ ვიფხან.

– გინდა ეს წითელი ბეღურა, ბოლო-ბოლო, თუ არა.

– მინდა, მაგრამ შენი ბიჭები ბიცოლაჩემის ილინოისელ მუშებს მაგონებენ.

– ბიცოლაშენის? ბიცოლაშენი რაღა შუაშია?

– სახურავს გასდიოდა მისას.

– მართლა?

– ჰო. მოვიდნენ ეს ტიპები და უთხრეს, სახურავს შეგიკეთებთ, ახალი ჰერმეტიზატორი გვაქო. მოაწერინეს ხელი ქაღალდის ნაგლეჯზე, ჩეკი გამოართვეს და აძვრნენ მაღლა.

– სად მაღლა?

– სახურავზე. აძვრნენ და მოასხეს ყველგან მანქანის ზეთი და ჰაიდა. მეორედ რო გაწვიმდა, მთელი ზეთი ჩამოვიდა სახლში და ყველაფერი გააოხრა.

– შაყირობ, ბილეინ? აი, გული მომიკალი პირდაპირ რა! მოდი, ვიმსჯელოთ! რა გინდა, ბეღურა გინდა, თუ ჩვენ რო მოვშორდეთ აქაურობას, ის?

– თქვენ გინდათ, მასესხოთ 10 ათასი, ჰო? რომელსაც ვერც მივიღებ და რომლისთვისაც ყოველ თვე 15% უნდა გიხადოთ, ეგრეა? რამე უკეთესს არ შემომთავაზებთ? იმის თქმა მინდა, თქვენ რო ჩემ ადგილზე იყოთ, მოკიდებდით ამ საქმეს ხელს-მეთქი?

– ბილეინ, – გამიღიმა სანდერსონმა, – ბედს დიდად არ ვემადლიერები, მაგრამ იმას კი ვუფასებ, რომ შენ ადგილზე არ ვარ.

ორივე მაიმუნმა ერთდროულად გაიღიმა.

– შენ რა, გძინავს ამ ბიჭებთან?

– მძინავს? რას ნიშნავს „გძინავს“?|

– ძილს. არსებობს ეგეთი რამე, თვალებს ხუჭავენ მაგ დროს ადამიანები, ხელისგულს ლოყის ქვეშ ამოიდებენ და ა.შ.

– აუ რა სიამოვნებით გაგგლეჯდი, ბილეინ, ბუნტყლს არ დავტოვებდი შენგან!

მაიმუნებმა ამჯერადაც ერთად ჩაიცინეს. ღრმად ჩავისუნთქე და ამოვისუნთქე. მეთქი ჭკუიდან გადავდივარ.

აქამდეც ხშირად მიგრძნია ეს.

– მოკლედ, სანდრესონ, შენ თქვი, ბეღურას ხელში ჩაგაბარებო.

– ყოველ მიზეზგარეშე.

– გააჯვით რა...

– რაო?

– გააჯვით-მეთქი.

– რა გჭირს, ბილეინ? გააფრინე?

– კი, კი, გავაფრინე, როგორ არა.

– დაიცა ერთ წუთს...

სანდერსონმა თავისთან დაუძახა მაიმუნებს. მესმოდა, როგორ ზუზუნებდნენ და განიხილავდნენ რაღაცას. მერე დაიშალნენ.

სანდერსონი პირდაპირ ანათებდა სიხარულისგან.

– ბოლო შანსი გაქ, იცოდე.

– რაო? რისი შანსი?

– ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ 5 ათასამდე შეგვიძლია დაგიკლოთ.

– სამამდე.

– ოთხი და გავათაოთ.

– აბა, სად არი დედამოტყნული ფურცლები.

– აი, აგერ მაქვს...

ჯიბიდან რაღაც ფურცლები ამოიღო და მაგიდაზე მოისროლა. წაკითხვა ვცადე. ძირითადად იურიდიული ტერმინები შემხვდა. მოვუწერე სესხზე ხელი, „უმაღლესი აღმასრულებლები" იყვნენ. თვეში 15 პროცენტი უნდა გადამეხადა. ეს გავიგე, მაგრამ კიდევ იყო რაღაც.

– აქ მგონი ისევ 10 წერია.

– ო, მისტერ ბილეინ, მაგას უცებ მოვაგვარებთ.

სტაცა ხელი ფურცლებს, გადაშალა 10-იანი და 4-იანი ჩაწერა ყველგან, მოაწერა ხელი და მაგიდაზე მომიბნია.

– მოაწერე შენც...

მივაგენი კალამს და როგორ იქნა, მოვაწერე ხელი ამ წყეულ ქაღალდებს. სანდერსონმა სასწრაფოდ მოხიკა ისინი და ქურთუკის ჯიბეში ჩაიტენა.

– დიდი მადლობა, მისტერ ბილეინ, ბედნიერად.

და სამივენი გასასვლელად წამოიმართნენ.

– წითელი ბეღურა სად არი?

ანდერსონი გაჩერდა. მოტრიალდა.

– ოჰ.

– კი, ოჰ.

– ხვალ ორ საათზე დიდ ცენტრალურ ბაზრობასთან გელოდებით.

– მაინც სად, ეგ ხო უზარმაზარი ადგილია?

– საყასბოსთან. მიუდექი ღორის თავებს გვერდით და მოგაგნებთ.

– ღორის თავების გვერდით?

– მართალი ხარ. გიპოვით რა.

მერე შეტრიალდნენ სამივენი და გამშორდნენ. მე კიდე ვიჯექი და კედლებს თვალს ვერ ვაშორებდი. გულში გამკრა ბუნდოვნად, მგონი, გადამაგდეს-მეთქი.

48 თავი

ორ საათზე უკვე დიდ ცენტრალურ ბაზარში ვიყავი. ვიპოვე საყასბო და დავდექი ღორის თავებთან. თავის ქალები თვალებამოცარიელებული ფოსოებით მომჩერებოდნენ. ავარიდე მზერა და სიგარა გავაბოლე. რამდენი რამე გგვრის ქვეყანაზე კაცს სევდას. ეჰ, ეს საბრალო სასუპედ გამზადებული ჩონჩხები. ვიფიქრე, მომატყუეს-მეთქი. ხომ შეიძლებოდა, სულაც არ მოსულიყვნენ ეს ტიპები. ვიღაც მათხოვარი მომიახლოვდა. ძონძები ეცვა. გამოველაპარაკე.

– ჰეი, მეგობარო, ზედმეტი დოლარი ხო არ გაქ? ლუდი მინდა, გამიშრა პირი.

იმ საბრალომ ზურგი მაქცია და გზა გააგრძელა. არადა, ხანდახან განვიკითხავ ხოლმე. გააჩნია, ალბათ, როგორ ფეხზე ავდგები დილით. ვინ იცის? ფული არ ყოფნის ყველას, რაც არასდროს ყოფნიდა და აზრზე არ ვარ, რით ვუშველო ამ ამბავს. მერე ისინი დავინახე. სანდერსონი თავის მაიმუნებთან ერთად. დამადგნენ. სანდერსონი იღიმებოდა და ნაჭერში გახვეული რაღაც ეჭირა ხელში. გალია ეგონებოდა კაცს. მართლა გალია ხო არ იყო?

ამესვეტნენ წინ. სანდერსონმა ღორის თავებს გადახედა.

– ბილეინ, მადლობელი იყავი, რომ ღორის თავი არ ხარ.

– რატომ ვითომ?

– რატომ? ღორის თავი ვერ ჟიმაობს, ვერც კამფეტს ჭამს, ვერც ტელევიზორს უყურებს.

– მაგ ძონძებში რა გაგიხვევია, სანდერსონ?

– შენ მოგიტანე, პატარავ, ვიცი, მოგეწონება.

– ნამდვილად მოეწონება, – გაეპასუხა მეორე.

– აჰა, – დაუდასტურა მესამემაც.

– სანდერსონ, ეს ტიპები ყოველთვის ყველაფერში გეთანხმებიან?

– თავი კი არ მოსძულებიათ.

– არ მოგვძულებია, სიცოცხლე გვიყვარს, – დაეთანხმა ერთი.

– დავბერდეთ გვინდა, – დაუმატა მეორემ.

– სანდერსონ, კითხვაზე მიპასუხე, გალიაში რა გყავს?

– ა, ეს შენი არ არი, ცარიელი გალიაა.

– ცარიელი გალია გინდა მომცე?

– ეს სატყუარაა მხოლოდ, ბილეინ.

– სატყუარა რაღათ გინდათ?

– რო გავერთოთ ცოტა. გვიყვარს გართობა.

– მაგარია. კარგი და ნამდვილი გალია სადღაა?

– შენი მანქანის წინა სავარძელზე დევს.

– ჩემი მანქანის? როგორ...

– ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით, ბილეინ.

– აბა, რაღას მითხარი, მოგეწონებაო.

– რა მოგეწონებაო?

– ეგ გალია, ხელში რაც გიჭირავს. მითხარი, მოგეწონებაო, შენი მონები კიდე დაგეთანხმნენ.

– გავერთეთ ცოტა. ხომ გითხარი, გართობა გვიყვარს-მეთქი. ენა მოვიქავეთ ოდნავ.

– ენა მოიქავეთ? როდის მორჩებით მაიმუნობას? საქმეზე გადასვლას როდის აპირებთ?

– შენი მაქანის წინა სავარძელი შეამოწმე, ბილეინ. წავედით ჩვენ, აბა, ერთი თვის თავზე შევხვდებით.

და ჰაიდა, დამტოვეს მარტო ღორის თავებთან. გამოვაღწიე, როგორც იქნა და მანქანების სადგომისკენ გავემართე. გზაში კედელთან მიმჯდარ თავჩაქინდრულ ლოთს მოვკარი თვალი. ბუზები დასეოდა. გავჩერდი და დოლარი ჩავუკუჭე ჯიბეში.

მივადექი სადგომს, მოვნახე ჩემი მანქანა, ჩავჯექი. იქაც ჩიტის გალია დამხვდა, თავზე ნაჭერგადაფარებული. შევამოწმე, ყველა ფანჯარა დაკეტილია თუ არა-მეთქი. მერე ჩავისუნთქე ღრმად და გალიას ძონძი შემოვხსენი.

ჩიტი იჯდა შიგნით. წითელი ჩიტი. დავაცქერდი ახლოდან. რა ბეღურა, რის ბეღურა, წითლად გადაღებილი იადონი იყო. ოჰ, ოჰ, უჰ, აჰ. ხო შეეძლოთ, ბეღურა დაეჭირათ და ის გაეფერადებინათ წითლად. არა, მაინცდამაინც ამ კეთილმოტყნულ იადონს ეცნენ. მე კიდე გაშვებაც არ შემიძლია,

შიმშილით მოკვდება გარეთ. მოვუვლი, სხვა რა გზა მაქ. მოკლედ, მაგარ შარში გავები.

მანქანა დავძარი და გამოვეცალე იქაურობას, დავიკიდე შუქნიშნები და როგორც იქნა, გზატკეცილზე გამოვაღწიე. ამ საჭის ტრიალში რომ ვიყავი, უცებ ხმა მომესმა. გალიის კარი გაღებულიყო და ჩიტი გამომფრენოდა. დაიწყო მანქანაში შიგნით გადარეულივით ფრენა. თან წითელი იადონია. გვერდზე მომავალი მანქანიდან ტიპმა დამინახა და აუტყდა სიცილი. შუა თითი ვაჩვენე. სახე მოეღრუბლა, დავინახე, როგორ გადაწვდა რაღაცას, ჩამოწია ფანჯარა და არ მომიშვირა რევოლვერი? მესროლა, ამაცილა, ბანძი მსროლელი იყო, ეტყობა. მაგრამ მე ტყვიამ ისე ახლოს გამიარა, ჰაერის ნაკადი ვიგრძენი ცხვირზე. ჩიტი ისევ გადარეულივით დაფრინავდა კაბინაში, მეც გაზს დავაწექი. ორივე ფანჯარაში ტყვიის ნახვრეტი იყო, ერთი – შემომავალი, მეორე – გამავალი. უკან არ მომიხედავს, რო დავადგი გაზს ფეხი, ჩემს ჩასახვევამდე არ ამიშვია. მერეღა მოვიხედე უკან. ჩემი მეგობარი არ ჩანდა არსად. უცებ ჩიტი გამახსენდა. თავზე მაჯდა პირდაპირ, უფრო ვიგრძენი, ვიდრე დავინახე. უცებ მოსკინტვლა მოუნდა და დამასკლინტა კიდეც, როგორც იციან ჩიტებმა, ისე. არ იყო ის ჩემი დღე, ჯანდაბა რა, არ იყო, არა.

49 თავი

ოფისში ვიჯექი, მგონი ოთხშაბათი იდგა. ახალი საქმე არ მქონდა არაფერი. ისევ წითელი ბელურას საქმეს ვუკირკიტებდი, ვფიქრობდი, ვცდილობდი სამოქმედო გეგმების დაწყობას. მაგრამ ერთი აზრის მეტი არაფერი მომდიოდა თავში – მეთქი სანამ 25 დღე გავა, უნდა გავიქცე ქალაქიდან.

არა, არავითარ შემთხვევაში. ვერ გამაქცევენ ჰოლივუდიდან. მე თვითონა ვარ ჰოლივუდი, რაც მისგან დარჩა, ისა ვარ.

ამ დროს ძალიან თავაზიანდ დააკაკუნეს კარზე.

– დიახ, – გავძახე მე, – შემოდით.

კარი გაიღო და პატარა ბიჭი დავინახე, სულ შავები ეცვა, ფეხსაცმელიც, პიჯაკიც, პერანგიც, მარტო ჰალსტუხი ეკეთა მწვანე, მკუხე ლიმონივით მწვანე. ბიჭის უკან გორილას მოვკარი თვალი. ოღონდ ამას მეტი ჭკუა აღმოაჩნდა

– მე ჯიმი ტემპლი ვარ, – მითხრა მან, – ეს კიდევ ჩემი ასისტენტი, ლუკი.

– ლუკი, ხომ? რას აკეთებს ხოლმე მაინც ლუკი?

– რასაც ვუბრძანებ.

– ახლა არ გინდათ, რომ უბრძანოთ, წავიდეს?

– რა იყო, ბილეინ, ლუკი არ მოგეწონა?

– უნდა მომწონებოდა?

ლუკმა ერთი ნაბიჯი გადმოდგა წინ. სახე მოეღრიცა, თითქოს ტირილს აპირებსო.

– არ მოგწონვარ, ბილეინ? – მკითხა ლუკმა.

– ლუკ, ყურადღებას ნუ მიაქცევ, – ეს უკვე ტემპლის ხმა იყო.

– ლუკ, ნუ მომაქცევ ყურადღებას.

– გიყვარვარ, ჯონი? – ჰკითხა ლუკმა.

– რა თქმა, უნდა, რასაკვირველია. ახლა, ლუკ, წადი, კართან დადექი და არც შეუშვა არავინ და არც გამოუშვა.

– არც თქვენ?

– რას გულისხმობ, ლუკ?

– თქვენც არ გაგიშვათ-მეთქი?

– არა, ლუკ, მე არა, მე კიდეც გამიშვი და კიდეც შემომიშვი. სხვა არავინ, სანამ მე არ გეტყვით.

– კარგით.

ლუკი გავიდა და კართან დადგა. ტემპლმა გამოწია სკამი და დაჯდა ზედ.

– „უმაღლესი აღმასრულებელი“ ბიუროდან ვარ. გაგამხნევო მინდა, ჩვენი კომივოიაჟერი ჰაროლდ სანდერსონი...

– კომივოიაჟერი? კომივოიაჟერს ეძახით მაგ ტიპს.?

– ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენ შორის.

– დარწმუნებული ვარ, მასეც იქნება, შეხედეთ.

და ოთახის კუთხეში დაკიდებულ გალიაზე მივუთითე, შიგნით წითელი იადონი იჯდა.

– ეს მაგან მომყიდა.

– ჰარი მკვდარს გააძრობს ტყავს და იმას გაყიდის.

– უქნია კიდეც, ალბათ, უკვე.

– არ გვინდა ეს უსაგნო ლაპარაკი, ჩვენ აქ შენს დასახმარებლად ვართ.

– მიდით მერე.

– არ არის სასაცილო, ბილეინ, ჩვენ 4 ათასი დოლარი გასესხეთ თვეში 15 პროცენტად, რაც 600 დოლარი გამოდიოდა. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ხვდები, რაზეა ლაპარაკი, სანამ ფულის გამოსართმევად მოვალთ.

– დავუშვათ, არ მაქვს?

– მაინც გამოგართმევთ, მისტერ ბილეინ, ან ამ გზით, ან იმ გზით, მთავარია, რომ გამოგართმევთ.

– ფეხებს ამტვრევთ ხოლმე ხალხს?

– სხვადასხვა მეთოდით ვმუშაობთ.

– დავუშვათ, ვერც ერთი ამ მეთოდით ვერ მიაღწიეთ საწადელს. გყავთ ისეთი ვინმე, 4 დოლარად ან უბრალოდ ინტერესის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეუძლია?

ტემპლმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ერთი ღერი ამოაცოცა, დააკაკუნა და მოუკიდა. ღრმად მოქაჩა მერე, ჩაისუნთქა, ამოისუნთქა.

– თავი მომაბეზრე რა, ბილეინ.

მერე დაიძახა: „ლუკ“.

– დიახ, ჯონი.

– ხედავ, ის ლამაზი, წითელი ჩიტი გალიაში როგორ ზის?

– ვნახე, ჯონი.

– ლუკ, მინდა, მიხვიდე, გამოიყვანო ჩიტი გალიიდან და ცოცხლად შეჭამო.

– დიახ, ჯონი.

და ლუკი გალიისკენ წავიდა.

– ღმერთო ჩემო, ტემპლ, შეაჩერე! შეაჩერე-მეთქი! შეაჩერე! – ავყვირდი მე.

– ლუკ, – გასძახა ტემპლმა მშვიდად, – გადავიფიქრე, ნუღარ შეჭამ მაგ ჩიტს ცოცხლად.

– ჯერ შევწვა, ჯონი?

– არა, არა, დაანებე თავი. დაბრუნდი შენს ადგილას და კართან დადექი.

– მესმის, ჯონი.

ტემპლმა მე შემომხედა.

– ხომ ხედავ, ბილეინ, ყოველთვის არსებობს ვალის ამოღების სხვადასხვა ხერხი. თუ ერთი არ იმუშავებს, მეორეს ავამოქმედებთ. ჩვენ გვინდა ამ ბიზნესში ყოფნა. ჩვენ ცნობილი ხალხი ვართ მთელ ქალაქში. ისეთი სახელი გვაქვს, ყველა გვიცნობს. არავის და არაფრის გულისთვის არ შეიძლება ჩირქი მოეცხოს რეპუტაციას. მინდა, კარგად ჩაწვდე ამას.

– მგონი, მივხვდი, ტემპლ.

– მშვენიერია. შენთვის გადახდის პირველი ვადა 25 დღეში მოდის. გაფრთხილებით, გაფრთხილებული ხარ უკვე.

ტემპლი ადგა, იღიმებოდა.

– ნახვამდის, – მითხრა და შემაქცია ზურგი.

– ლუკ, გამიღე კარი, მივდივართ.

ლუკმა გააღო კარი, ტემპლმა უკანასკნელად მოიხედა, უკვე აღარ იღიმოდა. ორივენი წავიდნენ. დავადექი გალიას და ჩემი წითელი იადონი შევათვალიერე. ალაგ-ალაგ გადასცლოდა საღებავი და ბუნებრივ, ყვითელ ბუმბულს წამოეყო თავი. ლამაზი ჩიტი იყო. ის მე მიყურებდა, მე მას არ ვაშორებდი თვალს. მერე ბარტყებმა როგორც იციან, ზუსტად ისეთი ხმა გამოსცა: „წიპ, წიპ“. და როგორღაც უცებ კარგ ხასიათზე დავდექი. ჩემს გახარებას რა უნდა, თქვენ დანარჩენი კაცობრიობისა თქვით თორე.

50 თავი

გადავწყვიტე, ჩემთან წავალ და ცოტას დავლევ-მეთქი. ყველაფერი კარგად უნდა ამეწონდამეწონა. წითელი ბეღურას ძებნაცა და ჩემი ცხოვრებაც, ორივე, ჩიხში იყო შესული. მივედი, დავაყენე მანქანა, გადმოვძვერი. უნდა გადავიდე ამ ბინიდან, ხუთი წელია უკვე აქ ვცხოვრობ. თითქოს მთელი ეს ხანი ბუდეს ვიშენებდი, უკაროს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მეტისმეტად ბევრმა იცოდა ჩემი მისამართი. მივედი კართან, გავაღე, მივაწექი, ვახ, რაღაც უშლის ხელს, მეთქი გდია რაღაც. და უცებ – სხეული, გოგოს სხეული. აი, გასაბერი გოგოები რო არიან, კაცებს რომ მოსწონთ, ისეთი გოგო იყო. მე არ მიზიდავენ ეგეთები. სხეული შეშუპებოდა. შევუდექი და ტახტამდე მივიყვანე, ყელთან საინტერესო წარწერას წავაწყდი: „ბილეინ, შეეშვი წითელ ბეღურას, თორე ამ ძუკნაზე უარესი დღე დაგადგება“.

მშვენიერი ცნობაა, რას ერჩი. გამოდის, სტუმარი მყოლია. ვიღაც, ვისაც არ უნდა, რომ ამ საქმეზე ვიმუშაო. მაგრამ ამ ამბავმა იმედიც გამიჩინა. წითელი ბეღურა ეტყობა მართლა არსებობს, თორე ასე არავინ მოიქცეოდა. კვალი უნდა ვიპოვო და აუცილებლად გამოჩნდება რამე, მეტისმეტად ბევრი მინიშნება დაგროვდა ირგვლივ. შეიძლება, მართლა დიდ რამეზე გავედი, ვინ იცის, საერთაშორისოზეც კი. პარალელური სამყაროდან ხომ არაფერი მომხდარა? წითელი ბეღურა. სულ უფრო და უფრო საინტერესო ამბები ხდება. სასმელი მოვიმზადე და გადავკარი, რომ ტელეფონმა დარეკა. ავიღე.

– გისმენთ.

– ტაკუნია, როგორა ხარ?

ჭიანჭველებმა დამირბინეს ტანში. ჩემი ერთ-ერთი ყოფილი ცოლი მელაპარაკებოდა, პენი. უკანასკნელად მისი ამბავი მგონი ხუთიოდე წლის წინ გავიგე, ჩვენი გაყრის მერე, ვიღაც ტიპს გაყვა სადღაც, ვეგასში მაგიდებზე მუშაობდა ის ტიპი, სემი ერქვა.

– უკაცრავად, ნომერი შეგეშალათ, ქალბატონო.

– ხმაზე გცნობ, ტაკუნია. რას საქმინაობ?

რატო შემარქვა ეს მეტსახელი, არ ვიცი რა. მოუფრიტინა და.

– ვზარმაცობ.

– მეგობარი გჭირდება გვერდით.

– უჰ.

– როდის იყო, შენით ხვდებოდი რა გჭირდებოდა, პუტკუნ.

– შეიძლება, რა მჭირდებოდა, მაგას – ვერა, მაგრამ რაც მეზედმეტება, ახლავე გეტყვი.

– მოვდივარ.

– უჰ.

– დაბლა ვარ. ჰოლში რომ ტელეფონია, იქიდან გირეკავ.

– სემი სად არი?

– ვინ?

– სემი.

– ოჰ, ეგ... მისმინე, ამოვდივარ....

და დაკიდა ყურმილი. საშინლად ვგრძნობდი თავს, თითქოს თავიდან ფეხებამდე განავალი წამისვესო. გადავკარი ერთი ჭიქა და დავისხი მეორე. კაკუნიც გაისმა. კარი გავაღე, ზღურბლთან პენი იდგა, ხუთ წელიწად და თხუთმეტ კილო მომატებული. მომაგება თავისი საშინელი ღიმილი.

– გაგიხარდა ჩემი ნახვა? – მკითხა.

– შემოდი, – ვუთხარი და ოთახში შემოვუძეხი.

– სასმელი მეც დამისხი რა, ტაკუნია.

– კარგი.

– ე, ეს რა არი?

– რა?

– ეს რეზინის რაღაცა. ქალი.

– გასაბერი ქალია.

– შენია?

– არა ჯერ.

– აბა აქ რა უნდა?

– არ ვიცი. გამომართვი სასმელი. პენიმ იატაკზე ჩამოაგდო თოჯინა და თვითონ დაჯდა ტახტზე. მოსვა.

– მენატრებოდი, ტაკუნია.

– რა გენატრებოდა მაინც?

– აი, სულ პატარ-პატარა რაღაცეები.

– მაინც?

– ვერ ვიხსენებ ახლა.

გადაკრა სასმელი, შემომხედა და გამიღიმა.

– ფული მჭირდება, ტაკუნია, სემიმ ყველაფერი წაიღო და დატყდა.

– მეც ვალებში ვარ, პენი, ვიღაც ტიპები მაგრად დამირხევენ, თუ ფული არ გადავუხადე.

გავედი, კიდე ორი ჭიქა სასმელი გავაკეთე და შემოვბრუნდი.

– სულ ცოტა მაინც რა, ტაკუნია.

– არა მაქ, გაიგე, ღმერთი არ გწამს?

– მოგიწოვ, გახსოვს, რა კარგად ვწოვდი?

– მისმინე, აჰა 20 დოლარი, გამომართვი...

ამოვიღე ჯიბიდან ფული და პირდაპირ ხელში ჩავუკუჭე.

– მადლობა...

და პენიმ ფული ეგრევე საფულეში ჩაიდო. ვისხედით ერთხანს, სასმელს ვწრუპავდით

– კარგი დროც ხო გაგვიტარებია ერთად, – წამოიწყო მან.

– ადრე.

– არ მახსოვს კარგად, დეპრესიაში ვიყავი.

– მისმინე, გაყრითაც ხო იმიტო გავიყარეთ, რო ერთად ცხოვრება ვერ მოვახერხეთ?

– ჰო, – დამეთანხმა, – ამ რაღაცას ხო არ ჟიმავ?

– არა, ვიღაცამ დატოვა ეტყობა.

– ვინ?

– არ ვიცი. ვიღაცა მეთამაშება.

– მოგიწოვო გინდა?

– არა.

– ცოტა ხანს რომ დავრჩე და დავლიო, შეიძლება?

– რამდენ ხანს მაინც?

– ორ საათს.

– კარგი.

– მადლობა, ტაკუნია.

წასვლისას უკვე გვარიანად ნასვამი იყო და კიდე ერთი ოცდოლარიანი მივეცი ტაქსით გასავლელად.

ასე მითხრა, შორს არ მივდივარო. პენის მერე ავიღე ის გასაბერი ქალი და ტახტზე მოვისვი გვრდით. არაყიც მქონდა, ტონიკიც. მშვენიერი საღამო იდგა. მშვენიერი საღამო ჯოჯოხეთში. ჭიებისაგან დახრული, დაფუტუროებული მორივით იწვოდა დედამიწა.

51 თავი

წარმოდგენა არ გაქვთ, რა სწრაფად გადის 25 დღე, განსაკუთრებით მაშინ, როცა სულაც არ გინდა, რომ გავიდეს. ჩემთან ოფისში ვიჯექი, კარი რომ შემომიღეს. ჯონი ტემპლი იყო. ორი ახალი მაიმუნი ახლდა თან.

– „უმაღლესი აღმასრულებლები“ მოვედით, – გამომიცხადა, – ფული გვინდა.

– არ მაქვს, ჯონი.

– 600 დოლარი არ გაქვს?

– 60-ც არ მაქვს.

ჯონიმ ამოიოხრა.

– სამაგალითოდ უნდა დაგსაჯოთ.

– ეგ როგორ, რაღაც საცოდავი 600 დოლარის გულისთვის მცემთ?

– რა შუაშია ცემა, ბილეინ, გაგაქრობთ უბრალოდ.

– არ მჯერა.

– არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, შენ გჯერა თუ არა, – ამოიღო ხმა ერთმა მაიმუნმა.

– მართალია, არა აქვს, – დაუდასტურა მეორემ.

– ერთ წუთს დაიცა, ჯონი, შენ მეუბნები, 4 ათასი რომ გაქვს ვალი და 600 დოლარს პროცენტს არ იხდი, ამიტომ უნდა გაგაქროთ, ხოლო 4 ათასისთვის, რომელიც თვალითაც არ მინახავს. თან წითელი ბეღურაც არ მოგიყვანიათ. მართლა დიდი ვალი ვისაც აქვს თქვენი, იმათ როგორ ექცევით, საინტერესოა? იმათაც აქრობთ? თუ არა, აბა, მე რა დავაშავე?

– ყური მიგდე, ბილეინ, ჩვენ შენ გროშებისთვის აგაორთქლებთ. ქალაქში ხმა დაირხევა, ასე და ასე ქნესო და ვისაც დიდი აქ ვალი, მართლა შეეშინდებათ. იფიქრებენ, ორიოდე დოლარისთვის გააქრეს და ჩვენ რას გვიზამენო. მიხვდი?

– მივხვდი და გეთანხმებით, მაგრამ ახლა ჩემს სიცოცხლეზე ვლაპარაკობთ, ისე, ეგ ამბავი თქვენ დიდად ვერ გაღელვებთ, ხო?

– მართალია, არ მაღელვებს, ჩვენ ბიზნესს ვაკეთებთ. ბიზნესს კიდე შემოსავლის გარდა სხვა მიზანი არ აქვს.

– არ მჯერა, რომ ეს ჩემს თავს ხდება, – ვთქვი და უჯრა გამოვწიე ოდნავ.

– დახურე, – მითხრა ერთმა მაიმუნმა, გამოიწია და ლულა პირდაპირ ყურის ძირში დამადო, – ამ რკინის ნაჭერს მე წავიღებ!

და ჩემი 32-მილიმეტრიანი ამაცალა.

– შენისთანა მსუქანი სირისთვის ძაან სწრაფად მოძრაობ.

– ჰოო, – გაუხარდა იმას.

– კარგი, ბილეინ, – წამოიწყო ისევ ჯონიმ, – გავისეირნოთ ცოტა.

– ჰო, მაგრამ დღისით-მზისით?

– უკეთესად შეგათვალიერებენ. ადე, წამო.

წამოვდექი, ორმა მაიმუნმა ჩამიყენა შუაში. ტემპლი უკან მოგვდევდა. დავტოვეთ ოფისი და გავემართეთ ლიფტისკენ. ყველას მივასწარი და თითიც მე მივაჭირე ღილაკს.

– მადლობა, პანკ.

მოვიდა ლიფტიც, გაიღო კარი. შიგნით – სიცარიელე. მკრეს ხელი, შემაგდეს. დავეშვით პირველზე, მერე – ფოიე და ბოლოს – ქუჩა. უამრავი ხალხი ირეოდა ირგვლივ, ვიფიქრე, ვიყვირებ, ეს ტიპები მოკვლას მიპირებენ-მეთქი, მაგრამ მეშინოდა, ვიყვირო და ვაიდა, რასაც დამპირდნენ, მართლა შემისრულონ, მერე? მივაბიჯებდი მათ მხარდამხარ. გადასარევი ამინდი იდგა. მივაღწიეთ, როგორც იქნა, მანქანას. მაიმუნები უკანა სავარძელზე დასხდნენ ჩემთან ერთად, მე შუაში ჩამაკვეხეს, ჯონი ტემპლი კი საჭეს მიუჯდა. გამოვედით ქუჩაში.

– ერთ უაზრო სიზმარს გავს ყველაფერი, – ვთქვი მე.

– ეს სიზმარი არ არის, ბილეინ.

– სად მიგყავართ?

– გრიფინის პარკში, ბილეინ, პატარა პიკნიკს მოგიწყობთ. შორეულ ბილიკებზე მოვაწყობთ პატარა პიკნიკს. განცალკევებით, ინტიმურ გარემოში.

– აუ, როგორ ხართ ეგრე სირულად გულქვები რა? – ამოვიღე ხმა.

– მშვენივრად, – მომიბრუნდა ჯონი, – ეგეთები დავიბადეთ.

– მართალია,– გაუხარდათ მაიმუნებს.

მივდიოდით და მივდიოდით. მე ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი, ეს ამბავი სინამდვილეში თუ ხდებოდა. იქნებ არც ხდებოდა, ვინ იცის. იქნებ სწორედ უკანასკნელ წუთს ეთქვათ, გეხუმრეთ, ჭკუა გვინდოდა გვესწავლებინა, მეორედ რომ ვეღარ გაგებედაო და რამე ეგეთები.

მივაღწიეთ პარკს, როგორც იქნა. ჯონიმ გაიჩერა მანქანა.

– გადმოიყვანეთ, ბიჭებო, ფეხით გავიაროთ ცოტა.

ეგრევე ერთმა მიბიძგა და გადმომაგდო მანქანიდან, მერე ორივემ აქეთ-იქიდან მკლავებში ჩამავლო ხელები. წავედით. ჯონი ისევ უკან მოგვყვებოდა. მალე ცხენების გაუქმებულ ბილიკზე გავედით, ბუჩქნარს და ტოტებს დაეფარა იქაურობა, მზეც არ აღწევდა კარგად.

– მისმინეთ, ბიჭებო, კმარა, – აღვშფოთდი მე, – თქვით, რომ ხუმრობაა ეს ყველაფერი და წავიდეთ სადმე დასალევად.

– ჩვენ არ ვხუმრობთ, ბილეინ, აგაორთქლებთ უბარლოდ, – გამეპასუხა ჯონი.

– 600 დოლარის გულისთვის, არ მჯერა, არ მჯერა, რომ სამყაროში ეგეთი რამე შეიძლება მოხდეს.

– მოგიწევს. ჩვენ ხო გაგაცანით ჩვენი პოზიცია, ჰოდა გამოადგი ეხლა ფეხი.

ვიარეთ კიდევ ცოტა ხანს და გავჩერდით. ჯონიმ თქვა:

– კარგი ადგილი ჩანს, შეტრიალდი, ბილეინ.

შევტრიალდი და თვალი მოვკარი რევოლვერის ლულას. ჯონიმ მესროლა. ოთხჯერ ზედიზედ, ოთხივეჯერ – მუცელში. პირქვე დავეცი, მაგრამ როგორღაც გადმოტრიალება მაინც მოვახერხე.

– დიდი მადლობა, ტემპლ, – ამის თქმაღა შევძელი.

ისინი წავიდნენ.

არ ვიცი, მგონი, ერთხანს გული წამივიდა. მერე ისევ მოვფხიზლდი. ვგრძნობდი, დიდი დღე აღარ მეწერა. ბევრი სისხლი დავკარგე, ძალიან ბევრი. ჯერ მუსიკა ჩამესმა თითქოს, იქამდე გაუგონარი მუსიკა. მერე კი დაიწყო, რაც დაიწყო. ბუნდოვანმა მოხაზულობამ გარკვეული ფორმები შეიძინა და წინ გამომესახა. ის იყო წითელი, უწითლესი და მუსიკას გავდა. ამსიწითლე არსად არასდროს არაფერი მინახავს. იგი წითელი ბეღურა იყო.

ვებერთელა, მხურვალე, ულამაზესი. ამხელა, ასეთი ნამდვილი, ასეთი ჯადოსნური ბეღურა სხვა არც არსებობდა ალბათ. წინ გამიჩერდა. და უცებ ქალბატონი სიკვდილი არ დავინახე?! გვერდით ამოუდგა ბეღურას. არც ის ყოფილა არასოდეს ასე მშვენიერი

– ბილეინ, – მითხრა, – ნაღდად ცუდ ამბავში გაეხვიე.

– ბევრს ვერ ვილაპარაკებ, მიჭირს, ქალბატონო... ამიხსენით, რა ხდება ჩემს თავს.

– შენი ჯონ ბარტონი დიდი დაკვირვებული კაცია, როგორღაც მიხვდა, წითელი ბღურა ნამდვილად არსებობსო, იმას მიხვდა, შენ უნდა გეპოვა. ჰოდა, იპოვე კიდეც. სხვები, უმრავლესობა მაინც, – დეჟა ფაუნტენი, სანდერსონი, ჯონი ტემპლი, – აფერისტები იყვნენ, უნდოდათ მოეტყუებინე, ფული დაეცინცლათ. რადგანაც შენ და მუსო უკანასკნელი მოჰიკანები ხართ ძველი, დიდებული ჰოლივუდის, ნამდვილი ჰოლივუდის, იფიქრეს, ბევრი ფული ექნებაო.

გამეღიმა.

– გასაბერ ქალზე რაღას იტყვით, ქალბატონო, რა უნდოდა ჩემს ოთახში?

– ა, ეგა? ეგ ფოსტალიონმა ქნა. გაიგო, წითელი ბეღურას საძებნელადაა წასულიო და უნდოდა, კიდევ ერთხელ გადაეხადა სამაგიერო გალახვისთვის. შემოგიმტვრია კარი და თოჯინა მოგიგდო.

– აწი რაღა მოხდება, ქალბატონო?

– წითელ ბეღურასთან გტოვებ. საიმედო ხელში იქნები. კარგად, ბილეინ, მიხარია, რომ გაგიცანი.

– ჰო.

და დავრჩი ასე უზარმაზარ მოელვარე ჩიტთან პირისპირ. იდგა, არ ინძრეოდა. მეთქი, გამორიცხულია ეს სინამდვილე იყოს. ასეთი რამე არ ემართებათ ხოლმე ადამიანებს. ასეთი რამე შეუძლებელია დაემართოთ.

მერე ბეღურამ, ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, ნელა გააღო ნისკარტი. უშველებელი სიცარიელე გამოჩნდა. შიგნით კი თვალუწვდენელი, მზეზე მეტად დაუდგრომელი, დაუჯერებელი, ყვითელი მორევი ამოიზარდა.

მეთქი არ არსებობს, ასე არ ხდება.

ბეღურამ ნისკარტი ბოლომდე გააღო, გადმოიხარა ჩემკენ, გადმოიხარა და ისე ახლოს მოვიდა, რომ ალმოდებულმა მგრგვინავმა მორევმა მეც გამიტაცა და ჩამიხვია.

ინგლისურიდან თარგმნა
ზაალ ჩხეიძემ

ჰეტერბურგი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული პალიტრა“, №№1-3, 2014 წ.



ანდრეი ბელი

გეგმა

შეუგდოს სასარდინე; ამოუდოს ბალიშქვეშ, ან არადა – ლეიბქვეშ და – ...

– ღამე მშვიდობისა, მამილო!

და პასუხი:

– ღამე მშვიდობისა, კოლენკა!

მერე გაემართება თავის ოთახში.

რომ სწრაფად გაიხადოს; კარი გასაღებით ჩაკეტოს; საბანში ჩაეფლოს.

ბუმბულის ლოგინში გულის ძგერით იძაგძაგოს; იდარდოს და უსმინოს: იქ როდის... დაიგრგვინებს... და გაგლეჯს რა სიჩუმეს, რა თქმა უნდა, გაგლეჯს ლოგინს, მაგიდას და კედელსაც; გაგლეჯს აგრეთვე... იქნებ კიდეც...

გაიგონოს ფეხსაცმელების ნაცნობი ფლატუნი იმ შეუდარებელი ადგილისაკენ.

ფრანგული წიგნის კითხვის შემდეგ გადაიხაროს ბამბისკენ, რომ ყურებში ჩაიჩაროს და თავი ბალიშის ქვეშ შერგოს; დარწმუნდეს, რომ არაფერი ეშველება. და თავი უძირო შიშს შეუშვიროს.

ელოდოს, ელოდოს.

ნახევარ საათს: აისის მომწვანო გამონათებას; გალურჯებას, განაცრისფერებას, სანთლის ნათების ამაოებას; თხუთმეტი წუთის შემდეგ სანთლის ჩაქრობისას გაიფიქრებს, თუ როგორ მდორედ მიედინება არა წუთები, არამედ მარადისობა; გაჰკრავს ასანთს და თურმე ხუთი წუთი გასულა... დაამშვიდებს საკუთარ თავს, რომ ჯერ ადრეა; საათის მდორე შემობრუნების შემდეგ კი თავს მოიტყუებს:

რომ განუმეორებელი, ერთადერთი, სანუკვარი ბგერა მაინც.

– დაიგრგვინებს!..

აი, მაშინ:

შიშველ ფეხებს კალსონებში (რის კალსონებში!) იქნებ შიდა პერანგშიც ჩასჩრის და დაღმეჭილი თეთრი სიფათით –

– დიახ, დიახ!

გადმოხტება გამთბარი ლოგინიდან; შიშველი ფეხით გატოპავს ჩაშავებული დერეფნისაკენ; გაქანდება განუმეორებელი ხმებისკენ, შეისუნთქავს განსაკუთრებულ სუნს გაზისა და ნატისუსალისა და კიდევ რაღაცისას, გაზისა და ნატისუსალზე უარესისას და...

თუმცა სუნი ალბათ არ იქნება.

შემოვარდება ძლიერი ხველით სუნთქვაშეკრული, რათა კედელში იმ ბგერებისგან წარმოქმნილ შავ ხვრელში გაჰყოს თავი.

იქ კი – ხვრელს მიღმა...

დანგრეული საძინებლის ადგილიდან მკაცრი ალი გაანათებს ნივთებს, ბოლქვებად რომ დასდინდება ბოლი.

და მაინც...

იმ საფარს მიღმიდან გამოიკვეთება კედლის წითელი მხარე; და გადმოიღვრება, დასველდება კედლები; და ყოველივე იქნება წებოვანი, წებოვანი. ეს პირველი და უკანასკნელი შთაბეჭდილება გახლავთ; გონებაში კი აღიბეჭდება: ბათქაში, დამტვრეულ პარკეტთა ნამსხვრევები და ძონძადქცეული დამწვარი ხალიჩები; და დაიფერფლება, დაიფერფლება; წვივის ძვალი?

როგორ გადარჩა? – სხვა ნაწილები?

ზურგს უკან, დერეფანში კი – გახმიანდება იდიოტური გუგუნი; ჭურჭლის მრეცხავის ქვითინი; და ტელეფონის ტკაცატკუცი (პოლიციაში რეკავენ).

მერე გაუვარდება შანდალი... ჩაიმუხლებს და ღამის პერანგს დაუწყებს წიწკნას, სანამ გულჩვილი ლაქია –

– რომელსაც ყოველთვის იოლად გადააბრალებ, –

მეზობელ ოთახში არ გაათრევს და პირში ცივ წყალს არ ჩაასხამს...

ხვრელიდან წამოსული გრგვინვის შემდეგ

იატაკიდან წამომდგარი დაინახავს იმ მწებარე სითხეს, აქეთ რომ გადმოიღვარა: და კიდევ ახეული ტყავის ნაფლეთებს (ოღონდ რომელი ადგილიდან ახეულს?), კედელს რომ მიჰკვრია.

და გრძნობას დაჰკარგავს.

ბოლომდე გაითამაშებს.

დღე-ღამის შემდეგ აკაფისტი სანთლით ხელში დაადგება თავს.

ორიოდ დღის შემდეგ კი ნიკოლაევკის ბეწვში თავჩარგული ანგელოზისებრი გამომეტყველებით კატაფალკას გაჰყვება ქუჩაში; და მაღალჩინოსანი ამალის გარემოცვაში თეთრი ტყავის ხელთათმანიანი თითებით ქუდს დაუწყებს წვალებას; ოქრომკედიანი და თეთრშარვლიანი მოხუცები იმ გროვას კიბეზე ჩამოაკონწიალებენ.

რვა მელოტი მოხუცი!

დიახ, დიახ, მერე!

გამოძიებას ისეთ ხალხზე მისცემს ჩვენებას, რომელნიც... რა თქმა უნდა, წინასწარგანზრახვით კი არა... მაგრამ მაინც ჩრდილს მიაყენებს.

ცეკვავს ბიჭი კოლენკა,
სულელი და გულღია,
ცხენს აგელვებს, აჭენებს,
ხელთ აღვირი უპყრია.

როცა ნიკოლაი აპოლონოვიჩი იდეის გამო თავის თავს სასჯელის აღსრულებისათვის სწირავდა; ნაცრისფერი პროსპექტი კი არა, რომელზეც ის ვიდოდა, არამედ ის წამი გახლდათ ამ გეგმის შემდგენი; დიახ, იდეისთვის ქმედება თვალთმაქცობასთან იყო გადაჯაჭვული და იქნებ უდანაშაულო პირებზე (კამერდინერზე) გადაბრალებასთანაც.

მამის მკვლელობას ტყუილიც წაება; და რაც მთავარია, არამზადობაც.

აზნი, აღნაგი, უფერო,
ვარაყად სელის თმანია,
უმწეო, აზრით უებრო –
ვინ არს – „ნარი“ და „ანია“?
ის არამზადაა...

ყველაფერი გარდასული უკვე ფაქტად ქცეულიყო: ფაქტი კი შემზარავი იყო, ურჩხულისებრი! დიახ, ნიკოლაი აპოლონივიჩს ეძინა, ჭამდა, სვამდა და სოფია პეტროვნასაც ეთაყვანებოდა.

მაგრამ, მაგრამ!..

ის არც ისე ჭამდა, როგორც ყველა, არც ისე უყვარდა, როგორც ყველას; სიზმრებიც უაზრო ჰქონდა; და საკვებიც უგემური ეჩვენებოდა; რაღაც იყო, რაც ამძიმებდა, უკან სდევდა; და განსაკუთრებულ ნათელს ჰფენდა მის ფუნქციათა მიმართულებას.

მაგრამ საით?

პარტიისთვის მიცემული სიტყვისკენ? თუმცა პირობა არ მიუცია; მაგრამ ზოგი ასე ფიქრობდა (მაგალითად, ლიპპანჩენკო).

და ამ პირობაში, რომელიც იქ, ხიდთან, ნევისპირა გამჭოლ ქარში მაშინ მისცა, როცა ზურგს უკან ცილინდრი, ხელჯოხი და ულვაშები შენიშნა (პეტერბურგის მკვიდრნი ხომ გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევიან!..)

დიახ, ხიდთან დგომა შედეგი გახლავთ; მას ხომ ჟინი სდევდა; როგორღაც სხვაგვარად შეიგრძნობდა ვნებათაღელვას.

როცა კოლენკას მამის ჭეშმარიტ ნაშიერს უწოდებდნენ, რცხვენოდა; „ნაშიერობა“ მან ცხოველთა ცხოვრებაზე დაკვირვებით ახსნა; და მერე ტიროდა ხოლმე; თავისი ნაშიერობის სირცხვილი მამაზე გადაიტანა.

და მიხვდა, რომ ყოველივე, რაც არსებობს, ვიღაცის „ნაშიერია“, ადამიანები კი არსად არიან; ისინი გახლავან „ნაყოფნი“; აპოლონ აპოლონოვიჩიც „ნაყოფია“, სისხლის და კანის არასასიამოვნო ჯამია: ხორცი კი იოფლება და ზეზეურად ყროლდება.

სული არ არსებობს.

სხეულს ვერ იტანდა; თუმცა სხვისი სხეულის მიმართ ჟინი კი ჰქონდა; ასე გამოატარა ბავშვობაში ურჩხულობის ნამცეცები; და როცა ისინი მომწიფდნენ, ოცდაოთხ საათში გამოძვრნენ საფარიდან!

ეს ძველთაძველი მიწიერი არსება უნდა აფეთქებულიყო და აფეთქდა კიდეც.

დაწესებულება

დაწესებულება...

თხისფეხას ტორსის კარიატიდა... ორ ცხენს გამობმული ეტლი წინკართან მიფრინდა; სამკუთხა ქუდიანმა ლაქიამ გააჩხაკუნა და გვირგვინებით დამშვენებული ღერბიანი (რაინდის მგმირავი მარტორქა) ეტლის კარი გაიღო; მისალმების ნიშნად თავი დაიქნია და ტყავის ხელთათმანიანი ხელი ცილინდრის კიდეს შეახო.

აღსდგნენ პარაგრაფები.

პარაგრაფის მოხაზულობა მაოცებს: ორი გადაბმული კაუჭი ერთმანეთს ეცემა; დიახ, პარაგრაფი ჭეშმარიტად ქაღალდის მჭამელი ფილოქსერა გახლავთ! მასში რაღაც არის მისტიკური: ის ზოდიაქოს მეცამეტე ნიშანია.

რუსეთის თავზე პარაგრაფები მრავლდებოდა: დარბაზებსა და წითელმაუდიან კიბეზე იწყებოდა პარაგრაფთა ცირკულაცია, რომელსაც აპოლონ აპოლონოვიჩი ხელმძღვანელობდა.

რუსეთში უპოპულარულესი ჩინოვნიკი, რა თქმა უნდა, კონშინს (რომლის ავტოგრაფებსაც თქვენ საკრედიტო ნივთებზე ატარებთ) თუ არ ჩავთვლით, აპოლონ აპოლონოვიჩია.

დაწესებულებაში კი აპოლონ აპოლონოვიჩი გახლავთ, უფრო სწორად, გახლდათ, რადგან ის მოკვდა:

– ცოტა ხნის წინ საფლავზე ვიყავი: შავი მარმარილოს ლოდზე ჯვარი აღმართულა; ჯვრის ქვეშ გორელიეფია – თავი, რომელიც მზერით გბურღავთ: დემონური, მეფისტოფელური ბაგეები! ქვემოთ კი: აპოლონ აპოლონოვიჩ აბლეუხოვი – სენატორი... დაბადების და გარდაცვალების წლები... მიყრუებული საფლავია!..

დაწესებულებაში კაბინეტებია...

არის უბრალო ოთახებიც; ყველა დარბაზში მაგიდებია მწერლებითურთ; ყოველი მათგანის წინ კი – კალამი და სამელნე; და ქაღალდების საპატიო შეკვრა; ყველა კალამს აწრიპინებს,

აბრუნებს ფურცლებს, ფათურობს (მე კი მგონია, რომ ავის მომასწავებელი მცენარე ფათალა ფათურისაგან წარმოიშვა);

არყის ხეთა ასეთი შარიშური იყო საფლავზეც; მათი საყურეები ძირს, შავი მარმარილოს ჯვარზე ცვიოდა;

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი! –

აბლეუხოვი ყოველდღე, კისერზე ძარღვდაჭიმული, ფეხიფეხზეგადადებული და სერთუკის საყელოში ხელამოდებული, იჯდა თავის კაბინეტში; სამოცდარვა წლის მოხუცი თითქოს ერთმანეთზე გადაბმული კაუჭებით, ანუ ჯაჭვით, სუნთქავდა; და

ეს სუნთქვა რუსეთის მთელ სივრცეს ედებოდა; დიახ, დიახ, ბრწყინვალე აზრით გაბრწყინებულმა აპოლონ აპოლონოვიჩმა ფეხი ფეხზე გადაიდო და ლოყები ბუშტივით დაბერა; და შეუბერა (ჩვევა ჰქონდა ასეთი); და სუსხმა უკვე გასართობ დარბაზებშიც შეაღწია; და ქარი ამოვარდა; გარეუბნებში კი ქარიშხალმა დაჰქროლა.

აპოლონ აპოლონოვიჩი უბერავდა!

დიახ, დიახ, აპოლონ აპოლონოვიჩი, ქალაქელი, კეთილად აღზრდილი ბატონი ზის თავის კაბინეტში; მისი აჩრდილი კი გამვლელებს ეცემა: სამარის, სარატოვის სივრცეებში – ღრანტეებზე, ქვიშრობებზე, ნარშავებსა და ეკალბარდებზე დანავარდობს, ქვიშოვან სიმელოტეს აშიშვლებს, სახლის კალოზე ცეცხლს აღვივებს.

ხუმარები კი ამბობენ: ეს აპოლონ აპოლონოვიჩი კი არა, აკვილონ აპოლონოვიჩიაო.

მან წრებრუნვა შეწყვიტა

აპოლონ აპოლონოვიჩი მარტოსულია.

ცირკულარის ისარი ვერ ასწრებს, ვერ ესობა მაზრებში; ტყდება; ზოგან – ივანჩევსკები და კოზლორადოვები თუ ჩამოფრინდებიან თანამდებობიდან; აპოლონ აპოლონოვიჩი სანკტ-პეტერბურგიდან დაახლის ხოლმე ქაღალდის კონონადას; – და (ბოლო წამს) სეირს უჩვენებს მათ.

ისრის მტყორცნელი ჭეშმარიტ ელვად იქცა; შეიცვალა ისტორია; ძველი მითების აღარ სწამთ; და აპოლონ აპოლონოვიჩიც ღმერთი აპოლონი როდია, ის მხოლოდ ჩინოვნიკია.

ქაღალდთა ორომტრიალი, ცოტა არ იყოს, მინელდა; და ტიპოგრაფიული შრიფტით აქოთებული ბოროტი ფურცლები უკვე ძირს უთხრიდა დაწესებულებას თავისი თხოვნებით, წარდგინებებით, მუქარითა და ჩივილით.

მერე როგორი საზიზღარი ქცევა გამეფდა უფროსობასთან დამოკიდებულებაში? ობივატელთა შორის საპროკლამაციო კილო იკრებდა ძალას.

რას ნიშნავს ეს?

ბევრ რამეს; მიუწვდომელი კოზლორადოვი – ასესორი – გათავხედდა; და პროვინციიდან ივანჩი-ივანჩევსკისკენ დაიძრა.

აპოლონ აპოლონოვიჩისგან პროექტები, რჩევები და ბრძანებები წამოვიდა; კაბინეტში იჯდა და საფეთქელზე ძარღვი ამობურცვოდა; პროვინციულ წყვდიადში ბრძანებას ბრძანებაზე აგზავნიდა.

პეტერბურგში, ნევის პროსპექტზეც გამოჩნდა წყვდიადი მანჯურიული ქუდის სახით; მრავალმილიან ქარხანათა რკალიდან შეწყდა კვამლის ფრქვევა.

მექანიზმის საჭე-ბორბალი აპოლონ აპოლონოვიჩს ეპყრა ხელთ; და ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ აგორებდა მას.

ის თავის თავს იმ ჩონჩხად შეიგრძნობდა, რუსეთი რომ ჩამოსცილებოდა.

დიახ, მრავალათეული კატასტროფის ფლეგენტონისეული ქაღალდის ტალღები იმ ვეება მანქანის ბორბალს ეხეთქებოდა, რომელსაც სენატორი მართავდა, დაწესებულებას რღვეული გაუჩნდა. –

ატყდა სკანდალი: ბრილიანტის ნიშნის მატარებელი სხეულიდან გენია აორთქლდა (ის შეიშალა) და სამსახურებრივი კარიერის საფეხურიდან დაეშვა.

მრავალთა თვალშიც დაეცა.

ცუკატოვებთან საღამოზე ის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პიროვნების მედიდურობით მიბრძანდა; მაგრამ როცა გაირკვა, რომ მისი ვაჟი გაიქცა, სენატორის ნაკლოვანებებიც გამჟღავნდა: და ეს უკვე უეჭველი გახლდათ.

აპოლონ აპოლონოვიჩ აბლეუხოვი განსაკუთრებული პოსტის კანდიდატთა სიიდან ამოიშალა.

და დაიწყო მისი დაისი.

ნახშირის კვერები

დილის მომწვანო გამონათება... სემიონიჩი თავის ბუდრუგანაში ოხრავდა, გვერდს იცვლიდა, ბორგავდა; მისძალებოდა მთქნარება, ქავილი და ცემინება.

და ისევ ამთქნარებდა.

ტეტურინი (ტეტურინის ფაბრიკის საყვირი) ახმიანდა; დაიკივლეს გემებმა; ელექტროდენი – ფუკ: და გაქრა!.. სემიონიჩმა წამოიწია.

აჩურჩულდა.

თქვენო კეთილშობილებაო, ბატონო, – ასე და ისეო...

– არავითარი ყურადღება...

– პატარა ბატონი რაღაც... მეუფეო, მომიტევე ჩემი ცოდვანი!

– ბატონი კი არა – ხამლეტია...

– ბატონი კი არა, ხიმიკსია...

დერეფნის კარმა გაიჭრიალა: ვაჭარი ავდიევი გაძარცვეს; ვაჭარი ანგიევი გაქურდეს.

მოლდოველ ხახუს კლავდნენ.

წამოსწია თავი, ფეხები კალსონებში გაჰყო და გამთბარი ლოგინიდან ღეჭვა-ღეჭვით გადმოხტა; შიშველი ფეხით გატოპა ჩაშავებული დერეფნისაკენ.

ვატერკლოზეტთან რაზამ გაიჩხაკუნა: ეს მისი მაღალკეთილშობილება, ბატონი აპოლონ აპოლონოვიჩი გახლდათ!

– ვაჭარი ავდიევი გაძარცვეს!.. ვაჭარი ანგიევი გაქურდეს!.. პროვიზორი ხახუ მოჰკლეს!..

დალიანდაგებულ ნახევრად გახეხილ თაგვისფერ ხალათში გახვეული აპოლონ აპოლონოვიჩი ჟოლოსფერ ფუნჯებში ტომარასავით გაიხლართა და ჟოლოსფერივე საყელოდან გაუპარსავი, ხაოიანი ნიკაპი გამოჩარა (ჯერ კიდევ გუშინ გლუვი რომ იყო), ნიკაპი ნემსისებრი თეთრი წვერით იყო დაჩვრეტილი და გეგონებოდათ, თრთვილი დასდებიაო.

პირდაღებული იჯდა, თმიანი მკერდით ჰაერს ისუნთქავდა და მაჯას ისინჯავდა.

მოუთავებელი სლოკინით იტანჯებოდა.

არც დეპეშების სერიაზე ფიქრობდა, არც იმაზე, თუ სამუდამოდ როგორ ეცლებოდა ხელიდან პასუხსაგები თანამდებობა, არც ანა პეტროვნაზე. მისი აზრი დასტრიალებდა იმას, რაზედაც ფიქრობენ ხოლმე მოშავო კვერებით სავსე ყუთთან.

ფიქრობდა – სლოკინი, ბიძგები, წყვეტილობები სუნთქვაში, ჭვალსა და ხელისგულების ღიტინს რომ იწვევს, გულის გამო კი არა, გაზების წარმოქმნის გამო ხდებაო.

– ეს უბრალოდ კუჭის ბრალია!

ერთხელ კამერგერი საპოჟკოვი, რომელიც გულის ანგინით გარდაიცვალა, ცდილობდა აეხსნა მისთვის:

– იცით, გაზები კუჭს ხეთქავს; გულმკერდის ძგიდე იკუმშება და ამიტომ წარმოიქმნება ბიძგები და სლოკინი... წარმოიქმნება გაზებისგან...

ცოტა ხნის წინ სენატში აპოლონ აპოლონოვიჩი, რომელიც მოხსენებას იხილავდა, გალურჯდა, ახროტინდა; და იქიდან გამოიყვანეს:

– იცით, ეს გაზების ბრალია...

ხანდახან კვერი შველოდა, რა თქმა უნდა, გაზების შთანთქმის გზით.

დიახ, გაზების – და დაიძრა ის კ...-სკენ: ცხრის ნახევარზე.

სწორედ ეს ხმა შემოესმა სემიონიჩს.

აპოლონ აპოლონოვიჩმა პლედი მოიხადა, იქით გაემართა, გამოაღო კარი, რომ მას შესჯახებოდა:

– თქვენ? – დიახ, მე გახლავართ...

– აა: დიახ, დიახ...

– ?

– ხმა იყო რაღაც...

– მერე რა?

– რაღაც დაჯახუნდა...

საქმე ის გახლდათ, რომ ათი წუთით ადრე სემიონიჩმა გაკვირვებით შენიშნა, თუ როგორ გამოძვრა ახალგაზრდა ბატონის ოთახიდან სელისფერი თავი: მიმოიხედა და შეიმალა.

ახალგაზრდა ბატონი ცქმუტასავით გასხლტა.

იდგა, სუნთქავდა, თავს აქიცინებდა, შემობრუნდა და ამ დროს შენიშნა სემიონიჩი, რომელიც დერეფნის ჩრდილოვან კუთხეში მიყუჟულიყო; ნიკოლაი აპოლონოვიჩი კი ბატონისთვის შეუფერებლად ერთ ადგილს მისწვდებოდა, კარს ვერ სცილდებოდა!

მოთვალთვალე?

ის ხომ ვიღაც ლაქია კი არა, გენერლის ფრანგულ ყაიდაზე აღზრდილი ვაჟი გახლდათ:

– ოჰ, ღმერთო, ეს ვიღაც ხამლეტები... ჭუჭრუტანიდანაც რომ უთვალთვალებს!

– ?

– ნიკოლაი აპოლონოვიჩმა...

– ა?

– წასვლისას კარი გაიჯახუნა.

აპოლონ აპოლონოვიჩი თან პირს აცმაცუნებდა, თან სემიონიჩისთვის უნდოდა ეკითხა:

– მართლა ნახა მოხუცმა, თუ არა ანა პეტროვნა...

– შეიცვალა, თუ არა; გაჭაღარავდა: ნაოჭები გაუჩნდა. ნეტა შევკითხებოდი?

სამოცდარვა წლის ბატონს სახე არაბუნებრივად დაიღმიჭა, ცხვირი კი ნაოჭებში ჩაიმალა.

და სამოცი წლისა ვიღაც ათასწლოვნად იქცა; ჭაღარა ნანგრევი კალამბურის წარმოთქმას შეეცადა, მაგრამ ხმა დაძაბულ ყვირილში გადაეზარდა:

– ო, მე-მე-მე... ფეხშიშველი... ხართ?

– თქვენო მაღალკეთილშობილ...

– არა, არა... ეს კი არა –

კალამბური ვერ ააწყო:

– ჰო... მითხარით...

– ?

– თქვენ, ალბათ, ყვითელი ქუსლები გაქვთ?

სემიონიჩს ეწყინა:

– ყვითელი ქუსლები, ბატონო, მე კი არა, ჩინელებს აქვთ...

– ხი-ხი... იქნებ... ვარდისფერებია?

– ჩვეულებრივია, ბატონო...

– არა, ყვითელია!

აპოლონ აპოლონოვიჩმა ფეხი დააბაკუნა.

– რა ქუსლები, რის ქუსლები? ... ქუსლებში ხომ არაა საქმე? ... ბებერი მელა ღამით... აქვეა ახლოს... თითქოს ელოდებაო რაღაცას... ვაჟი ხამლეტისტია... ეს კი ქუსლებიო... დახეთ, ყვითელიაო... თვითონ აქვს ყვითელი ქუსლები...

როგორც ყოველთვის, აპოლონ აპოლონოვიჩი კალამბურში ჟინიანობას იჩენდა: დაუდგრომელი, გამომჯავრებელი, გამკენწლავი ხდებოდა და იმ ბუზს წააგავდა, თვალში რომ გიძვრება ჩახუთულ ამინდში, წვიმის წინ, როცა ნაცრისფერი ღრუბელი ცაცხვებს ვნებით ჩამოეფხატება; ასეთ ბუზებს ხოცავენ ხოლმე.

– ქალბატონს კი – ხი-ხი...

– რა სჭირს ქალბატონს?

– სჭირს...

– რა?

– ვარდისფერი ... ქუსლი აქვს...

– არ ვიცი...

– ჰოდა, შეხედეთ...

და ფრაზა არ დაუმთავრებია, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, პროფესორი აპოლონ აპოლონოვიჩი ისე წაფრატუნდა თავის ოთახში დასაძინებლად.

და უმწეოდ შეჩერდა... ეჰ, როგორ დაჩიავდა! ეჰ, მხრებშიც მოიხარა! თითქოს

მხრებიც არათანაბარი გაუხდა.

საგანგაშო ცნობები პროვინციებიდან... და იცით, ვაჟი, ვაჟი! იცით, საზარელი ვითარება შეიქმნა...

არაფერია!.. არაფერია! როგორმე!..

გაფიცვა რუსეთის დაღუპვაა... აი, უკვე იკრიბებიან: ბედავენ... ვიღაც აბიტურიენტიც კი...

მერე – გაზები!..

და კვერი გადაყლაპა...

გირებით გადატვირთულმა ზამბარამ დრეკადობა დაჰკარგა; სიბერეში ადამიანის ტვინი წუნწუხს ემსგავსება.

ბავშვობაში აპოლონ აპოლონოვიჩი ითოშებოდა ხოლმე: ბრწყინვალე ბიუსტი კი უფრო მაგარი და მყიფე ხდებოდა; და ჩრდილოეთის ღამეში მნათობივით ანათებდა იმ ნოტიო ნიავის ამოვარდნამდე, მისი მეგობარი რომ იმსხვერპლა.

ეულად და ამაყად იდგა ქარიშხლის პირას გაყინული და მტკიცე; მაგრამ პლატინაც ხომ ლღვება.

აპოლონ აპოლონოვიჩი ერთ ღამეში მოიხარა; ერთ ღამეში დაიშალა, დაყვინთა.

აალებული რუსეთის იმპერიის ცეცხლოვან ფონზე ოქროსმუნდირიანი ძლიერი ვაჟკაცის ნაცვლად, ილაოთი ილაჯგაწყვეტილი, გაუპარსავი, დაუვარცხნელი, გაოფლილი მოხუცი იდგა ფუნჯებიანი ხალათით!

გინახავთ ბავშვობას მიცემულნი, თუმც ჯერ კიდევ ცნობილი ვაჟკაცნი, ნახევარი საუკუნის განმავლობაში დარტყმებს თავიდან რომ იცილებდნენ?

მე მინახავს.

კრებებზე, კონგრესებზე... ყბაჩამოვარდნილნი, უკბილონი, ფრაკებში გამოწყობილნი თუ როგორ ძვრებოდნენ კათედრებზე –

მე მინახავს

– ჩვეულებისამებრ, ისინი მკერდს უშვერდნენ დარტყმებს!

მე ისინი სახლშიც მინახავს.

გონებასუსტის ფუსფუსით ავადმყოფურ, უაზრო ხუმრობებს რომ აბნევდნენ, კაბინეტისკენ ფეხებს მიათრევდნენ და დორბლმორეულნი ტრაბახობდნენ ტარსიკონისყდიანი კრებულებით სავსე თაროთი.

მე ვიცი, რასაც ვიძმ

აპოლონ აპოლონოვიჩი ზუსტად ათ საათზე სვამდა ყავას.

სასადილოში გაყინული, მკაცრი, გაპარსული სახით შემორბოდა და ირგვლივ ოდეკოლონის სურნელს აფრქვევდა; დღეს კი სუნამოს გარეშე, გაუპარსავი, ხალათითა და ფეხსაცმლის წვერით იატაკის ჩხაპნით გამოფრატუნდა ყავის დასალევად.

კორესპონდენციისთვის არც შეუხედავს, არც მოსამსახურეთა სალამზე უპასუხია:

მეძახის ჩემი სათნო დელვიგი, –

მხიარულ სიყრმის მეგობარი,

მეგობარი სევდიან სიყრმის... –

– მომაცილეთ ეს ძაღლი...

თერთმეტის ნახევარზე აპოლონ აპოლონოვიჩს თითქოს რაღაც გაახსენდაო, ნაცრისფერი თაგვივით აწრიალდა; და რადგან თავისი კალთაგახსნილი ხალათიდან კალსონები შენიშნა, ჩამძივული მოკლე ნაბიჯებით ოთახისკენ გაქანდა.

იქ მიაკითხა ლაქიამაც, რათა შეეხსენებინა, ცხენები მზად გახლავანო.

და გაკვირვებით მიაჩერდა, თაროდან თაროსკენ როგორ მიაჩოჩებდა აპოლონ აპოლონოვიჩი პაწია კიბეს ხავერდით მოფენილ იატაკზე; ზემოთ აფორთხებული თითით როგორ სინჯავდა მტვერს ტომებზე.

მერე ტილო მოითხოვა.

ლაქიებმა სტეარინის სანთლები მოიმარჯვეს და კიბეს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ.

– ასწიეთ სინათლე...არა, ასე არა... არც ასე... ეჰ, უფრო ზემოთ,ზემოთ!

მტვრის ღრუბლიდან თაგვისფერი ხალათის კალთები და ჟოლოსფერი ფუნჯები ფართხუნობდა.

– თავს რატომ იწუხებთ...

ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი – აპოლონ აპოლონოვიჩ აბლეუხოვი – მტვრის ღრუბლიდან – საკვირველია! .. ყველაფერი დავიწყებოდა, ტილოთი წიგნის ძგიდეებს წმენდდა და აცემინებდა:

– მტვერი, მტვერი...

– უყურე, ერთი უყურე!..

– აბა... ტილოთი, აი, ასე!

– კარგია!

საგანგაშოდ რეკავდა ტელეფონი: დაწესებულებიდან რეკავდნენ; ყვითელი სახლიდან უპასუხეს:

– დიახ, ყავას მიირთმევს... მოვახსენებთ... დიახ... ცხენები მზად გახლავთ...

კვლავ აჟღრიალდა ტელეფონი; მეორედ დარეკვისას უპასუხეს:

– დიახ, უკვე მოვახსენეთ... დიახ... ვეტყვით...

მესამედ კი უპასუხეს:

– წიგნებს არჩევს...

– აი, ამასაც გავწმენდ!..

– ოჰ, ოჰ, ოჰ!.. ერთი დამიხედეთ...

აჟღრიალდნენ ზარები, რაღაც გარდასულზე ალაპარაკდა სიჩუმეც.

მან თავი მოაბრუნა:

– გესმით?.. ყური მიუგდეთ...

ეს შეიძლება ყოფილიყო: არამზადა ნიკოლაი აპოლონოვიჩი; ან გერმან გერმანოვიჩს მოეტანა საბუთები; მობრძანებულიყვნენ: კოტოში-კოტოშინსკი; გრაფი ნილდენი, ან – ან – ანა პეტროვნა... – როგორ არ გვესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ: გააღებენ ალბათ...

ზარის ჟღრიალს გაეპასუხნენ ლაქიები:

– გავბედავ შევნიშნო, რომ რეკავენ!..

სანთლები ორივემ ზემოთ მიმართა; ზედ ჭერთან, მტვრის ფთილებიდან უცებ თავი გამოჩნდა.

– დიახ, დიახ...

– იცით...

– ზარი... რეკავს...

თითქოს რაღაც უჩვეულო შეიგრძნესო, შეხტნენ: იჩქარეთ, გაიქეცით – იჩქარეთ!..

– ეს ქალბატონია...

– ანა პეტროვნა!

თითქოს თაგვის ხროვაა, აპოლონ აპოლონოვიჩმა თვალები აათამაშა; და კიბის ხარიხაზე

ბანჯგვლიანმკერდმიყრდნობით ნელ-ნელა იწყო ჩამოხოხება; ჩამოძვრა და ხელში მტვრის ტილოთი მეორე სართულის კიბის მიმართულებით წაფრატუნდა, თან ქშინავდა და მაჯას ისინჯავდა.

კიბეზე უკვე ამოდიოდა ბაკენბარდიანი, ტანზე შემოტკეცილვიცმუნდირიანი, თეთრმანჟეტებიანი და მკერდვარსკვლავიანი ბატონი, რომელსაც სემიონიჩი მოაცილებდა.

აპოლონ აპოლონოვიჩმა ხალათის კალთები შემოიკეცა და ნიობეას ქანდაკის მხრიდან გახედა მოსულს.

და შეშლილივით იქნები

პეტერბურგში თუ ყოფილხართ, მუხის ხისკარიანი და სარკისებრმინებიანი სადარბაზოც გეცოდინებათ.

ჰოდა, იმ მინებში გოგუთი აციაგდა.

გამვლელებს ეზმანებათ დაქანებული მხრები ოთხმოცი წლის მამაკაცისა, რომლისთვისაც ყველაფერი სიზმარია; მოხუცის მხრებზე სამკუთხა ქუდი ჩამოცურებულა; შვეიცარი ისევ ისე აელვარებს ვერცხლისფერ სირმებს და დამკრძალავი სააგენტოს მოხელეს ჩამოჰგავს.

გოგუთი მშვიდობიანად მისვენებია მხარს; ბირჟის მოხელის თავზე წლებსაც დასძინებიათ; და კარს თუ ჩაუვლი დილით, შუადღისას ან საღამოს, შეამჩნევ: სირმებს, გოგუთსა და სამკუთხას.

და შეჩერდები ამის ხილვისას. უკვე გავიდა ხუთი წელიწადი: მღელვარებენ მოვლენები; დაეცა პორტ-არტური; ყვითელ სიფათებიანი მოედვნენ მთელ მხარეს; გამოახიზლეს თქმულებანი ჩინგიზ-ხანის მხედრებზე.

აქ კი წლებია, რაც სახილველი უცვლელია: მხარი, სამკუთხა ქუდი, სირმები, წვერი.

და თუკი შეირხევა თეთრფაფუკი წვერი, გადაქანდება გოგუთი და გაიბრწყინებენ სირმები, შეშლილივით აბორიალდები პეტერბურგის პროსპექტებზე.

მოუსმინე, მიაყურადე – ურალის სტეპებიდან ბრაგუნი ისმის.

ეს მხედრებია.

მრავალსვეტიანი შენობის სადარბაზოს თავზე გაყინულან საუკუნენი, გადმოხრილა კოლოსი.

ძველთუძველესი ქვის წვეროსანი!

მრავალი წელია ორნამენტული, ნაძერწი ხვეულებით დაჰღიმის ქუჩის ხმაურს, ზაფხულებს, ზამთრებსა და გაზაფხულებს!

და უდროობიდან, ვითარც დროის მიღმიდან, გადმოხრილა და მის წვერზე ყვავიც მოკალათებულა; სველ პროსპექტს ბრწყინვა მოსდებია; და უნდილად განათებული ფილაქანი გამვლელთა მომწვანო სახეებს ირეკლავს.

ო, რა დღეა!

თითქოს აჭრიჭინ-აჩურჩულდნენ წვიმის წვეთები; ნისლოვანი ნაბადი წამოიფაფრა: მიმოდიოდნენ მწერლები და შვეიცარი კარს უღებდა მათ; ისინი საკიდზე ჰკიდებდნენ შლაპებს და თეთრი მარმარილოს ვესტიბიულის გავლით წითელ კიბეზე არბოდნენ; გაუთბობელ დარბაზებში გაყინულ მაგიდებთან მიდიოდნენ; საწერი კალამი არაფერი ჰქონდათ; დირექტორის კაბინეტიდან ფურცლები არავის მოჰქონდა; იქ არავინ იყო.

აპოლონ აპოლონოვიჩს არ ჩაუვლია.

მოლოდინი მობეზრდათ; მიმოქროდა გაოცების ჩურჩული; არეულ-დარეულობა ელანდებოდათ; ყურიალებდა ტელეფონი:

– ნეტა გამოემგზავრა? .. შეუძლებელია?..

– მოახსენეს?.. მაგიდასთან ზის?..

ხავერდის კიბეზე ვიცე-დირექტორი ჩამობრძანდა თავისი მაღალი ცილინდრით.

ოცი წუთის შემდეგ კი ყვითელი სახლის საფეხურებს მიუყვებოდა; და სწორედ მან დაინახა ხალათის კალთაშემოტკეცილი უფროსი – აპოლონ აპოლონოვიჩ აბლეუხოვი – თუ როგორ იმზირებოდა ქანდაკის მიღმიდან:

– აპოლონ აპოლონოვიჩ, აი, სად ყოფილხართ? ჩვენ კი თქვენ... თქვენთან; გირეკავდით, გელოდით...

– ჰო-ჰო, მე... – ტუჩები ააცმაცუნა მან,– ჩემს ბიბლიოთეკას ვალაგებ, – აი, ასე შინაურულად ვარ გამოწყობილი.

და ხელით შელახულ ხალათზე მიუთითა.

– ოჰ, ოჰ, – თქვენ თვითონ შეშუპებულხართ!..

სენატორს მტვრის ტილო პარკეტზე დაუვარდა.

– მოგილოცავთ: საყოველთაო გაფიცვა...

– საიდან მოიტანეთ?.. მე, ჰო-ჰო... – და უკმაყოფილო მოხუცის სახე ნაოჭებად დაიღარა.

– მტვერი?

– მე მას ტილოთი მოვუვლი.

და ვიცედირექტორმა ქედი მოუხარა დაფეხვილ მოხუცს; და შეეცადა...

მაგრამ აპოლონ აპოლონოვიჩმა კვლავ შეაწყვეტინა:

– იცით, მტვერი ავადმყოფობათა მიკროორგანიზმებს შეიცავს.

მერე ამპირის სავარძელში ჩამჯდარი ბებრუხანა შეხტა და სახელურზე ხელდაყრდნობით ჩაყვინთა ქაღალდებში:

– რა?

– მე თქვენ მოგახსენეთ...

– არა, მომიტევეთ... – და გამალებით ჩააჩერდა საბუთს.

– დაამზადეთ!..ხომ არ შეიშალნენ?

– აპოლონ აპოლონოვიჩ...

– როგორ იფიქრეს? ერთია ადმინისტრაციული უფლებები და მეორე – კანონიერი განაწესის უხეში დარღვევა.

– კი მაგრამ – აპოლონ აპოლონოვიჩ!

ყბაკანკალებულმა აპოლონ აპოლონოვიჩმა ხალათის ფოჩები გაინასკვა და ფანქარი ხელში შეათამაშა.

– მე პლევეს სკოლის წარმომადგენელი გახლავართ... და ვიცი, რასაც ვიქმ!

– ჰო-ო-ჰო... ჰო-ო...

და ლოყები ბუშტივით დაბერა...

სენატორ აბლეუხოვის წლობით ნაგები კარიერა იფერფლებოდა. დაწესებულების ვი-

ცე-დირექტორის წასვლის შემდეგ აპოლონ აპოლონოვიჩი ამპირის სავარძლებს შორის დაბორიალებდა; მალე ის ოთახიდან გავიდა და ისევ დაბრუნდა: მძიმე წონის საქაღალდეს სადაფის პატარა მაგიდისკენ მოათრევდა.

ნოტაბენებიდან, კითხვის ნიშნებიდან, პარაგრაფებიდან, ტირეებიდან მიცვალებულის თავი წამომართულიყო.

– არა უშავს რა...

სიცილით გაღმეჭილი პირით ბუხრისკენ თავდახრილმა წარმოიდგინა, თუ როგორ მიფრინავდა წუნწუხისკენ კარიერისტი, რომელმაც მას, აბლეუხოვს, გარიგება შესთავაზა.

– მე, ბატონებო, პლევეს სკოლის წარმომადგენელი გახლავართ!..

წვერწამახული ფანქარი კითხვის ნიშნების ვეება გუნდად დაეცა ქაღალდს – მის უკანასკნელ საქმეს.

არ შერხეულა კარიატიდა – ქვის ძველთუძველესი წვეროსანი!

ათას რვაას თორმეტმა წელმა გაათავისუფლა ის ხარაჩოებისაგან; ოცდაოთხმა წელმა აღმაშფოთებელი დეკემბრის დღეებით გადიგრიალა მის თავზე; გადაიბობოქრა ცხრაას ხუთის იანვრის დღეებმაც!

ო, ქვის წვეროსანი!

რაც უნახავს – ვერასდროს მოგვითხრობს.

უეცრად შეჩერდება მეეტლე და შეძახილით „ვაშა“ სამკუთხაქუდიანი გენერალი გადმოხტება ეტლიდან.

წვეროსანმა მისი სახელიც მიჩქმალა.

წვეროსანი მასაც იცნობს და ახსოვს; მაგრამ მოყოლით ვერაფერს გვიყვება!

ახლა კი დროა! შვებას გვთხოვს გული,
დღეს დღე მისდევს და ცხოვრება მიაქვს,
მერე კი წავალთ, გავქრებით სრულად,
განზე დაგვრჩება ეს რია-რია.

„ბირჟაზე“ ჩაძინებულმა გოგუთიანმა შვეიცარმა კი კარგად იცოდა, რომ დაწესებულებაში ჯერ კიდევ ახსოვთ ვიაჩესლავ კონსტანტინოვიჩი, ხოლო იმპერატორ ნიკოლაზის ნეტარი ხსოვნა აღარ დარჩენილა!

ბედნიერება არ არის ქვეყნად,
მხოლოდ სიმშვიდე და ნება სუფევს:
მსურს შევეფარო სავანეს შრომის,
გავექცე მონის მომქანცველ უღელს.

მელოტი თავს აღერებს, მკრთალი ბაგით უღიმის ფეთქებად ნათებას; ანთებულან ქვადქცეული ლურჯი თვალები მწვანე ჯურღმულებში. ეს ცხოვრება – მხოლოდ ჯადოქრობაა:

– მე, ბატონებო, პლევეს სკოლის წარმომადგენელი გახლავართ... მე, ჩემო ბატონებო...

დაწესებულებაში გაოცებული ჩურჩული მიმოქროდა; უცებ კარი გაიღო:

– აპოლონ აპოლონოვიჩი... გადადგა...

მაგიდის უფროსი ლეგონინი აცრემლდა; ვიცე-დირექტორის ოთახიდან დამაჯერებელი ხმა გაისმა; და ტელეფონის ზრიალიც; ვიცე-დირექტორს ყბა აუთრთოლდა; აპოლონ აპოლონოვიჩი დაწესებულების ხელმძღვანელი აღარ გახლდათ.

საზიზღარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ადგილს აგვირგვინებდა დიდებული სასახლე; ზემოთ კოშკით მოწითალო-ვარდისფერი ქვის საოცარ ციხე-დარბაზს რომ მოგაგონებდათ! მაგრამ ეს უკვე იყო და ჯიღოსანი აღარ არსებობდა.

ვარდისფერ-წითელი სასახლე თავისი ქონგურებით უფოთლო ტოტებიდან გამოჩრილიყო; ზეცისკენ მიმართული ეს უფოთლო ტოტები ნაწყვეტ-ნაწყვეტად ირხეოდნენ და გაქცეულ ღრუბლებს ეტანებოდნენ; ჩხავილ-ჩხავილით ცისკენ აიჭრა ყვავი; აფრინდა და თავზე მოექცა ღრუბლის ფთილებს; შემდეგ კვლავ თავქვე გამოქანდა.

ეტლმა სწორედ ეს ადგილი გადაკვეთა.

ცხენოსანი ქანდაკი მოედანზე გაურკვევლად გამოკრთა; პეტერბურგის სტუმრები ამ დიდებულ ქანდაკს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ!

თვითმპყრობელმა თავის პაპის პაპას აღუმართა ეს ქანდაკი; ის ვარდისფერქვიან სასახლეში ცხოვრობდა; და არცთუ ისე დიდხანს.

ალბათ არაერთხელ გამოჩენილა ფანჯრის ამბრაზურაში ცხვირპაჭუა თეთრი თავი. ის ცხვირპაჭუა დალალებიანი თავი სარკმლებს მიღმა სივრცეს გაჰყურებდა ხოლმე; თვალები ან ზეცის ვარდისფერ გამკრთალებას, ან მთვარის ათინათების ხშირფოთლიან ხეებში მღელვარე ვერცხლისფერ თამაშს უმზერდნენ; სადარბაზოსთან სამკუთხაქუდიანი გუშაგი აღმართულიყო და ოქრომკედიანი, ანდრეევსკის ბაფთიანი გენერლის აკვარელით აჭრელებული ეტლის გავლისას იჯგიმებოდა; წითლად ელვარე მეეტლეც ღირსების შეგრძნებით იცქირებოდა კოფოდან; ხოლო უკანა სატერფულზე სქელტუჩიანი ზანგები გაყუჩებულიყვნენ.

და ყველაფერ ამას თვალს შეავლებდა რა პაველ პეტროვიჩი, კოხტაპრუწა ფრეილენასთან სენტიმენტალურ საუბარს უბრუნდებოდა; ფრეილენაც იღიმებოდა; და სახეზე ნაჩხვლეტები და ხალი აღებეჭდებოდა.

იმ ღამეს მთვარის შუქის ვერცხლი ძალუმად იღვრებოდა, იმპერატორის საძინებლის ავეჯს ედებოდა და ცბიერ ამურს ოქროსფრად აელვარებდა; ბალიშზე მწოლიარის პროფილი იკვეთებოდა; სადღაც კურანტები რეკდნენ; ნაბიჯთა ხმა ახლოვდებოდა... სამ წამსაც არ გაევლო – ლოგინი დასრესილი ჩანდა, ხოლო ზეწრებს ჯერ კიდევ შერჩენოდა სითბო; მწოლიარე აღარ იყო; თეთრხუჭუჭა ოფიცრების ჯგუფმა თავი მოიშიშვლა და დაცარიელებული საწოლისკენ დახარა; გვერდით კარს აწვებოდნენ; ქალი მოსთქვამდა; ვარდისფერბაგიანი ოფიცრის ხელმა სარკმელზე ფარად წამოსწია; ჩამოფარებულ მაქმანთა მიღმა ვიღაცის ლანდი გაკრთა ვერცხლისფერში.

სადღაც კურანტები რეკდნენ; იქ, შორს კი – ნაბიჯების ხმა ისმოდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი უაზროდ შესცქეროდა ამ პირქუშ ადგილს და ვერ ამჩნევდა, რომ პოდპორუჩიკის გაპარსული ფიზიონომია

წარამარა მისკენ ბრუნდებოდა; მზერა, რომლითაც პოდპორუჩიკი ლიხუტინი თავის მსხვერპლს ათვალიერებდა, ცნობისმოყვარეობად შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ; ხანდახან გვერდულადაც უბიძგებდა ხოლმე.

ამ დროს ქარმა აბლეუხოვს მოსტაცა ფარფლებიანი იტალიური შლაპა, რომელიც ლიხუტინის მუხლებთან დაიჭირა; წამიერად პოდპორუჩიკის თითებს შეეხო; ამ უკანასკნელს თითები შიშისაგან ამაზრზენად შეუთრთოლდა: ლიხუტინი იმ აუხსნელის შეხებას განიცდიდა, რომელსაც... ადგილზე... ანადგურებენ...

და აბლეუხოვი ჩამოჭკნა.

– სერგეი სერგეევიჩ, გირჩევთ, საყელო წამოიწიოთ: თქვენ ხომ ყელი... ამ ამინდში კი იოლია...

– რა, რა ბრძანეთ?

– ანგინით დაავადება.

– თქვენ გამო, – უცებ წაიბურტყუნა ლიხუტინმა.

– ?

– ყელის შესახებ კი არ მოგახსენებთ... მე სამსახური მივატოვე თქვენ გამო; როგორც თქვენ გგონიათ ისე კი არა, თქვენ გამო მივატოვე.

– ნართაული ნათქვამია, – კინაღამ არ შეჰყვირა ნიკოლაი აპოლონოვიჩმა და კვლავ მის მზერას წააწყდა.

ამ მზერაში რაღაც სიბილწე იყო: მცოცავი ასპიტი რისხვას როდი იწვევს – მას ადგილზე ანადგურებენ იმით, რაც ხელში მოხვდებათ...

ასეც მოხდება – ...ნიკოლაი აპოლონოვიჩი არცთუ სახუმაროდ შეშინდა; ადგილზე ცქმუტავდა და ათი აკანკალებული, გაყინული თითით პოდპორუჩიკის სახელოს ჩაფრენოდა.

– ა?.. რა მოხდა?.. რა შეგიჯდათ?

აქ როკოკოს ხვეულებით შემკულმა კისელისფერმა სახლმა გაიელვა.

– სერგეი სერგეევიჩ... უნდა ვაღიარო... ვწუხვარ... სამწუხაროა ჩემი საქციელიც... სერგეი სერგეევიჩიც... საზიზღრად... ვწუხვარ... ვიქცეოდი, მაგრამ გამართლებაც მაქვს, მაქვს! ვიღაც ვიგინდარა ხომ არ ხართ, სერგეი სერგეევიჩ, თქვენ შესძლებთ ჩემს გაგებას... ამ ღამეს არ მძინებია... უძილობით ვიტანჯები... ექიმებმა დამიდგინეს... – სიცრუეც იკისრა,– ტვინის გადაღლა ფსევდოჰალუცინაციებით.

მაგრამ სერგეი სერგეევიჩს ხმა არ ამოუღია, აღუშფოთებლად შეხვდა; მცურავები რისხვას კი არ იწვევენ... მათ... ადგილზე... სრესენ...

– ფსევდოჰალუცინაციები... – ვედრებით ალაპარაკდა შეშინებული, დაჩიავებული, მოუხეშავი აბლეუხოვი და თვალი თვალში გაუყარა.

– მე... მე... მე...

– ჩამოდით: მოვედით...

პოდპორუჩიკი ლიხუტინი ეტლის წინ დამდგარიყო და სენატორის ვაჟს ელოდა; ის კი ზოზინობდა.

– სერგეი სერგეევიჩ, ჯოხი მეკავა... ნეტა, გამივარდა?“ ნიკოლაი აპოლონოვიჩი დაუხამხამებლად კალისებრი თვალებით ნისლს გასცქეროდა და ადგილიდან არ იძვროდა!

სერგეი სერგეევიჩი ბრაზით, მოუთმენლობის ნიშნად, ქშინავდა; მერე აბლეუხოვის სახელოს ჩაავლო ხელი; და მისი, როგორც ნივთებით სავსე ტომრის, ეტლიდან ჩამოსმას შეეცადა.

ეტლიდან ჩამოსმული ნიკოლაი აპოლონოვიჩიც, თავის მხრივ, ლიხუტინის ხელს ჩააფრინდა; მაგრამ ხელსაც ხომ შეეძლო მიეღო უხამსი პოზა და სხეულის მოძრაობა დაეთრგუნა; მაშინ აბლეუხოვების გვარს თავი მოეჭრებოდა.

პოდპორუჩიკმა ლიხუტინმა (აი, ცოფიანიც ამას ჰქვია!) თავისუფალი ხელი მისი მოსასხამის საყელოს ჩაავლო.

– სერგეი სერგეევიჩ, მე წავალ, წავალ...

მაგრამ ინსტინქტურად სადარბაზოს წინა საფეხურის კიდეს დააბიჯა ქუსლი, თუმცა წამსვე გონს მოეგო.

სადარბაზოს კარი გაჯახუნდა.

უკუნეთი

– მე... აი, აქ ვიდექი... აი, აქ... ჩემთვის ვიდექი, იცით...

– ასე, ნიკოლაი აპოლონოვიჩ? ასე, არა?..

– ჭეშმარიტად, ნერვული შეტევისას ასოციაციურ წარმოდგენებს ვემორჩილებოდი... – ასოციაციებს?

– ექიმმა მითხრა... ო, რას მექაჩებით: სიარული ჯერ კიდევ შემიძლია...

– თქვენ რაღას მეკიდებით ხელზე? ... ნუ მეჭიდებით, თუ შეიძლება!

– ექიმმა მითხრა... ექიმმა მითხრა, რომ რაღაც იშვიათი აშლილობაა: დომინო და სხვა მსგავსნი... ტვინის აშლილობის ბრალიაო... – ზემოდან წიკვინებდა რაღაც.

უფრო ზემოთ კი დაგუდული ხმა გაისმა:

– გამარჯობა!

– ვინ არის აქ? – იკითხა ნიკოლაი აპოლონოვიჩმა და შვებით ამოისუნთქა; იგრძნო, როგორ შეეშვა მის სახელოს ჩაფრენილი ხელი.

– ვდგავარ ჩემთვის... ვრეკავ, ვრეკავ და კარს არ მიღებენ... აი, ესეც: ნაცნობი ხმები...

როდესაც ასანთს გაჰკრა, მშვენიერ ქრიზანთემათა თაიგული გამოჩნდა; მათ მიღმა კი – ვერგეფდენის ფიგურა.

– სერგეი სერგეევიჩ?

– გაიპარსეთ?..

– როგორ!.. სამოქალაქო ტანსაცმლით ბრძანდებით...

– ნიკოლაი აპოლონოვიჩიც აქ არის?.. როგორ ბრძანდებით?

– მართალი გითხრათ, გუშინდელი საღამოს შემდეგ... კარგად ვერ იყავით?

ვერგეფდენი აჩქარდა.

– ხელს ხომ არ გიშლით?.. მე მხოლოდ ერთი წუთით... არ მცალია...ყელამდე საქმე მაქვს... მამათქვენი, აპოლონ აპოლონოვიჩი მელის... საყოველთაო გაფიცვაა მოსალოდნელი.

კარში მეტისმეტად გახამებული პეპელა გამოჩნდა.

– მობრძანდით, ქალბატონი შინ არი...

– არა, მავრუშკა... ეს ყვავილები გადაეცით

ქალბატონს... ვალად მედო, – გაუღიმა სერგეი სერგეევიჩს და მხრები აიჩეჩა, როგორც ქალის ხსენებისას იჩეჩენ ხოლმე მხრებს მამაკაცები.

– სოფია პეტროვნას ვალი მაქვს რაღაც სასულელისთვის...

მერე უცებ გონს მოეგო:

– მშვიდობით, მეგობარო, ნიკოლაი აპოლონოვიჩ, გადაღლილი და დაძაბული სახე გაქვთ...

და ქვემოთ ნაბიჯების რაკარუკი გაისმა; და მერე იქიდან ისევ ამოსძახა:

– სულ წიგნებთან ხომ არ უნდა იჯდეთ...

ნიკოლაი აპოლონოვიჩმა კინაღამ დაიყვირა:

"გერმან გერმანოვიჩ, მეც თქვენთან... დროა, მეც წამოვიდე... ერთი გზა ხომ არა გვაქვს?

მაგრამ ბაც: და კარი დაჯახუნდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩმა თავისი თავი პატიმრად იგრძნო: და თან მავრუშკას თვალწინ... სახეზე შიში აღებეჭდა; პოდპორუჩიკის ბაგეზე კი ჭეშმარიტად სატანისებურმა ღიმილმა გაიელვა; ოფლით დაცვარულმა უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სტუდენტს ხელით კედლისკენ უბიძგა.

ის კი გველხოკერასავით მოქნილი აღმოჩნდა და კარიდან გასხლტომას ლამობდა; გრძნობდა რა ბიძგს, თვითონაც უბიძგებდა, ხელიდან უძვრებოდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი მაინც შეჩურთეს კარში, მაგრამ ის ჯერ კიდევ ცდილობდა თავისი დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნამცეცები დაეცვა და შენიშნა:

– მე... ცოტა ხნით... გეახელით...

და სერგეი სერგეევიჩმა ყოველგვარი თავაზიანობის გარეშე ფართოფარფლებიანი ქუდი ფუძი-იამებით სავსე ოთახში შეაგდო; და აღარც დავამატებთ, რომ შლაპასა და ლაბადასთან ერთად მათი მფლობელიც შეფრინდა იქ.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი ისე გასრიალდა ფუძი-იამებიან ოთახში, ზოლებიან ხალიჩაზე ბათქაშის კვალიც კი არსად შეუმჩნევია (ის ალბათ ფეხით დაისრისა ზედ, თუმცა ხალიჩა უკვე გაეწმინდათ).

აქ კარი უცებ გაიღო და ნიკოლაი აპოლონოვიჩმა თმათა ნაკადში ორი თვალი შენიშნა.

შეძახილიც გაისმა:

– ოი!

– ტრრრ, – ხალიჩაზე ქუსლებმა გაიჭრიალეს.

ნიკოლაი აპოლონოვიჩმა თავი შეაბრუნა, დაინახა სოფია პეტროვნა და შესძახა:

– დაგვტოვეთ, სოფია პეტროვნა: ასეთი რამ ხდება ხოლმე მამაკაცებს შორის, – ლაბადა ჩამოუცურდა და ტახტზე ორფრთიანი არსებასავით გაიშალა.

– ტრრ, – ხალიჩაზე ქუსლებმა გაიჭრიალეს.

სივრცეში ძლიერი რყევა შეიგრძნო, ფეხები ჰაერში გაასავსავა... თავიდან ფართოფარფლიანი ქუდი ჩამოუფრინდა და მსუბუქად დაეცა. თვითონ კი ასავსავებული ფეხებით ჰაერში რკალი მოხაზა და კაბინეტის კარს დაეტაკა; კარი გაიღო და ისიც გაურკვევლობაში გაუჩინარდა.

აპოლონ აპოლონოვიჩი წამოდგა.

თავი ანება გვერდით დაწყობილ საქმეებს, კითხვითსა და ძახილის ნიშნებს; სადაფის მაგიდას დაჰკანკალებდა ფანქრიანი ხელი.

მიხვდა.

რომ ღერბიანი ხელი აღარ მიფრინდებოდა კარიატიდასთან; მის შესახვედრად აღარ შეირხეოდა ოთხმოცი წლის მოხუცის მხარი, სამკუთხა ქუდი და კვერთხი: პორტ-არტურს ვერ დააბრუნებ; აღსდგება მღელვარე ჩინეთი; და ჩინგიზ-ხანის მხედრობა.

აპოლონ აპოლონოვიჩმა ყური მიუგდო შორეულ ბრაგუნს; ბრაგუნს კი არა – სემოინიჩმა თუ გაიარა; ის შედის და გადის ხოლმე.

აპოლონ □აპოლონოვიჩს არ უყვარდა ნევის პერსპექტივა – მომწვანო ნაყარივით მქროლავი ღრუბლები, ზღვის ნაპირთან მიახლოებისას შედედებულ კვამლად რომ იქცეოდნენ; იქ ნევის სიღრმე ფოლადივით ეხეთქებოდა გრანიტს; მომწვანო ნისლში მიჰქროდა შპიცი... აპოლონ აპოლონოვიჩმა შეშფოთებით მიმოიხედა: აი, კედლები – ოჯახური კერა; დასრულდა მისი მოღვაწეობა.□

მერე რა?

კედლები კი არა, თოვლი! ცოტათი ცივი... მერე რა მოხდა? ოჯახური ყოფა – დაე, იყოს ოჯახური ყოფა; ნიკოლაი აპოლონოვიჩი, ასე ვთქვათ, საშინელებაა; და – ანა პეტროვნაც, სიბერის ჟამს რომ...

– მე-ემე...

ტვინის თამაში!

ცნობიერების ზღვარს რომ სცილდებოდა; და აგონდებოდა: პაწია ნიკოლაი აპოლონოვიჩი გამომცდელი მზერით, ტვინარეული (სიმართლე უნდა ითქვას), მრავალფეროვანი გონებრივი ინტერესით.

გაახსენდა ქალიშვილიც (ოცდაათი წლის წინათ); თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული; და მისი მოტრფიალე შედარებით უფროსი კაცი – სახელმწიფო მრჩეველი.

და პირველი ღამე: მორჩილი ღიმილით დაფარული ზიზღი; იმ ღამით აპოლონ აპოლონოვიჩმა, სახელმწიფო მრჩეველმა, საზიზღარი, თუმც ფორმალურად გამართლებული აქტი განახორციელა – ქალიშვილი გააუპატიურა; ეს ძალადობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ავხორცობასა და მორჩილების ღიმილთა შორის ჩაისახა ნიკოლაი აპოლონოვიჩი; და განა გასაკვირია, რომ ის სიძულვილის, შიშისა და ავხორცობის ერთობლიობად იქცა? საჭირო გახდა მათ მიერ წარმოშობილი საშინელების აღზრდა – საშინელების გაადამიანება.

მათ კი გააღვივეს...

ბოლომდე გააღვივეს რა საშინელება, აქეთ-იქით დაიფანტნენ; აპოლონ აპოლონოვიჩი დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა; ანა პეტროვნა მონტალინისთან (მსახიობთან) სქესობრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა; ნიკოლაი აპოლონოვიჩი კი – ფილოსოფიას, კრებებსა და

ულვაშიანებს მიეკედლა. მათი კერა სისაძაგლის მორევად იქცა.

სწორედ ამ სისაძაგლეს უბრუნდებოდა ახლა; მაგრამ ანა პეტროვნას ნაცვლად ის მხოლოდ დაკეტილ კარს შეეჯახა; კარს, რომელსაც ქალის აპარტამენტებისკენ მიჰყავდა; გასაღები კი მას ჰქონდა (სახლის იმ მხარეს მხოლოდ ორჯერ გაევლო და იქ სურდოც აიკიდა).

ვაჟის ნაცვლად კი მხოლოდ მოხამხამე თვალს ხედავდა, გასხლტომას რომ ლამობდა; არ ვიცი, ქურდულად, თუ არ ვიცი, შიშისგან; ეს საშინელება უთუოდ დაიმალება.

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

სახელმწიფო სამსახურის მიტოვების შემდეგ სადარბაზო ოთახები დაიგმანება, დარჩება მხოლოდ დერეფანი, პაწია ოთახები მისთვის და მისი ვაჟისთვის; და ცხოვრება დერეფნით შემოისაზღვრება და იფრატუნებს და იფრატუნებს; და იქნება: გაზეთების კითხვა, ორგანულ ფუნქციათა მიმოქცევა, საჭიროების ადგილი და კარი, რომელიც შვილის ოთახებისკენ მიემართება.

ჭუჭრუტანიდან შეჭყეტა და განზე გახტომა; ანდა უკეთეს შემთხვევაში, სადგისით ნახვრეტის გაბურღვა; ვაჟის კედლის მიღმა ცხოვრება საათის მექანიზმის სიზუსტით გადაიშლება მის თვალწინ; იმ საობსერვაციო პუნქტიდან ახალ ინტერესებს შეეგებება:

– მამილო!

– დილა მშვიდობისა, კოლენკა!

და თავიანთ ოთახებში წავლენ.

და მერე: გასაღებით გადაკეტავს კარს, ნახვრეტს მიაცივდება, რათა დაინახოს და აღმოჩენილი საიდუმლოსგან იკანკალოს; ყური მიუგდოს, თუ როგორ გულახდილობენ ერთმანეთთან ნიკოლაი

აპოლონოვიჩი და ის უცნობი; ღამით კი საბანგადახდილი წამოსწევს გაოფლილ თავს, რათა იმსჯელოს გაგონილზე და გულის ფრიალით შეღონებულმა აქეთ-იქით ირბინოს... ფეხსაცმელების ფრატუნით საჭიროების ადგილისაკენ.

ობივატელის ცხოვრება!

მოძალებულმა სწრაფვამ ვაჟის ოთახისკენ წაიყვანა; კარმა გაიჭრიალა; და აი, მისაღები ოთახიც; პარმაღზე შედგა; ჩია და მოხუცი; ხალათის ჟოლოსფერ ფუნჯებს აწვალებდა და იქაურ არეულ-დარეულობას უმზერდა; უმზერდა მწვანე თუთიყუშებიან გალიას, ბრინჯაოსა და სპილოს ძვლისაგან დამზადებულ არაბულ ტაბურეტს; ხედავდა სრულ უაზრობას: ტაბურეტიდან კოპლებიანი ლეოპარდის თავისკენ გადმოდინებულ დომინოს, თითქოს ამ დაღმეჭილი დრუნჩიდან რომ იღვრებოდა; ის კი იდგა, ტუჩებს აცმაცუნებდა და შევერცხლილ ნიკაპს იფხანდა; შემდეგ ზიზღით გადააპურჭყა (დომინოს შესახებ კარგად გახლდათ გათვითცნობიერებული); მასხარის უთავო დომინო უხელებო სახელოებითა და ატლასის კალთებით განრთხმულიყო; ჟანგიან სუდანურ ისარზე კი ნიღაბი კონწიალებდა.

აპოლონ აპოლონოვიჩს მოეჩვენა, რომ ჰაერი შეხუთულიყო; ატმოსფეროში ჰაერის ნაცვლად ტყვია დაღვრილიყო; თითქოს აქ საშინელი, აუტანელი აზრები მოიაზრებოდა... არასასიამოვნო ოთახია!.. და მძიმე ატმოსფერო!

აი, ტანჯვით გაღიმებული ბაგები, აი – ღიღილოსფერი თვალები, აი – სინათლეჩამდგარი თმა: ტანწვრილი, მუნდირში გამოწყობილი, წვერგაპარსული (იქნებ სუნამოშესხურებულიც) დაშნიანი ნიკოლაი აპოლონოვიჩი, ხელში თათმანი რომ ჩაებღუჯა, ჩარჩოში მარტვილობდა; აპოლონ აპოლონოვიჩი ყურადღებით დააკვირდა პორტრეტს, გასულ გაზაფხულზე რომ დაეხატათ და მეზობელ ოთახში გავიდა.

კარგამოღებულმა საწერმა მაგიდამ აპოლონ აპოლონოვიჩის ყურადღება მიიპყრო; უჯრაც გამოწეული იყო; და ინსტინქტური ცნობისმოყვარეობა დაეუფლა; მიირბინა მაგიდასთან და ზემოდან შერჩენილ პორტრეტს დაავლო ხელი, ღრმად ჩაფიქრებულმა შეატრიალ-შემოატრიალა (დაბნეულობამ უჯრის შიგთავსის აღქმაში ხელი შეუშალა); პორტრეტზე ვიღაც შავგვრემანი ქალი იყო გამოსახული...

დაიბნა ერთი უცნობი მატერიის დანახვისას, რომელიც აზრობრივ წიაღში განივრცო და, რომელსაც სენატორი მიჰყვა; მერე უნებურად დახარა თვალები და შენიშნა, რომ მისი ხელი უკვე პორტრეტს კი არა, რაღაც მძიმე საგანს ატრიალებდა; ხოლო მისი აზრი იმ სახელმწიფო მოღვაწის ტიპს მოიაზრებდა, უბრალო ხალხი კარიერისტებს რომ უწოდებს.

სენატორმა საკუთარი ხელით გამოიღო ეს საგანი; უნებურად წაეტანა საკაბინეტო პორტრეტსაც, ხოლო როცა გამოერკვა, მრავალწახნაგა ნივთი უკვე ხელთ ეპყრა: იქ რაღაცამ გაიწკარუნა; ამ დროს ყველაზე ნაკლებ იმაზე ფიქრობდა სენატორი, თუ როგორ მივირთმევთ ხშირად ნაღებიან ყავას უფსკრულის პირას მდგარნი; უდიდესი ყურადღებით დაჰყურებდა მრავალწახნაგა ნივთს და ისმენდა საათის, უფრო სწორად, საათის მექანიზმის წიკწიკს! სასარდინეში კი?..

ნივთი არ მოეწონა...

და დეტალური განჩხრეკისათვის სასტუმრო ოთახში გაიტანა; დახარა თავი, თაგვის კონტლს რომ წააგავდა; და ისევ იმ ტიპის მოღვაწეებზე ფიქრობდა; ასეთი ტიპის ადამიანები თავს ყოველთვის იმ ფრაზებით იცავენ, როგორიცაა:

„როგორც ცნობილია“. როცა არაფერი არ არის ცნობილი, ანდა: „მეცნიერება გვასწავლის“, როცა მეცნიერება არაფერს არ ასწავლის.

აპოლონ აპოლონოვიჩი სასტუმრო ოთახში იქითკენ გაიქცა, სადაც ლომის თათებზე გრძელკანჭება ბრინჯაო წამომართულიყო; მძიმე ნივთი ჩინურ ლანგარზე მოათავსა, დახარა მელოტი თავი, რომლის ზემოთაც იასამნისფრად და მსუბუქად მოხატული ლამპის აბაჟური ფართოვდებოდა.

მინა დროს ჩაემუქებინა და მსუბუქ მოხატულობასაც ჟამი ამუქებდა.

ბოლოვდე ვერ ახსნა

ლიხუტინის კაბინეტში შევარდნილი ნიკოლაი აპოლონოვიჩი გაქანებული დაასკდა ქუს-

ლებით იატაკს; ნჯღრევა კეფას გადაეცა და უნებურად მუხლებზე დაემხო.

დაემხო და... –

– წამოხტა ქოშინითა და კოჭლობით; შეშინებული მუხის იმ სავარძელს მიეჭრა, რომელიც ხახადაღებულ ტომარას უფრო წააგავდა; ათრთოლებული ხელებით ინსტინქტურად სავარძელს ჩაეჭიდა, რათა თავდასხმის შემთხვევაში, მის გარშემო ერბინა – აქედან იქით გადაფრენილიყო ასევე აქეთ-იქით მარბენალი დაუნდობელი მოწინააღმდეგისაგან.

ანდა სავარძელი გადაებრუნებინა და ფანჯრისკენ გავარდნილიყო (მ... მასთან პირისპირ დარჩენას სჯობდა ქუჩის ფილაქანს დასკდომოდა)...

ამიტომ გაფრინდა სავარძლისკენ.

მაგრამ სანამ იქამდე მიაღწევდა, ცეცხლოვანმა სუნთქვამ კისერი დაუმდუღრა: შურისმაძიებლის დაძარღვული, აელვარებული სახისა და იმ ხუთთითა ხელის დანახვაღა მოასწრო, მას რომ უნდა შეხებოდა. ეს ხუთთითა ხელი მის მხარს დასწვდებოდა, სავარძელს დროზე რომ არ გადავლებოდა თავს.

და თათი სავარძელს დაეცა.

სავარძელმა ჯახანი გაიღო; რაღაც განუმეორებელი, არაადამიანური ხმა გახმიანდა:

– იმიტომ, რომ... მე... ჩავერიე... გესმით კი?.. ამ საქმეში საქმეში... გესმით?.. მე რა... მესაქმება... თუმცა როგორ არ არის ჩემი საქმე... თქვენ გესმით?..

და მოკრუნჩხულ სხეულზე, რომელსაც სილის გაწვნის მოლოდინში სახეზე ხელები აეფარებინა, პოდპორუჩიკი აღმართულიყო; გაღმეჭილ-პირიანი სხეული იკუზებოდა, თავს ხრიდა და ლოყას ხელებით იფარავდა:

– მე მესმის, მესმის... სერგეი სერგეევიჩ, წყნარად, გახვეწებით; მშვიდად – გემუდარებით...

უკვე თვალზე ხელის აფარებას, ყურების დაცობას აპირებდა, რომ არც ეს სახე დაენახა და არც ეს მამლისებრი ამოძახილი გაეგონა:

– საქმე... სადაც ყოველი წესიერი კაცი... ჰო, რა ვთქვი? წესიერი-მეთქი.

მუშტი აბლეუხოვის თავს ზემოთ კედელს მოხვდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი მხოლოდ ორ ფეხს ხედავდა (გაფარჩხულ ფეხებს; ის ხომ მუხლებზე იდგა); მერე აზრმა გაუელვა და შედეგების გაუთვლისწინებლად ფეხებს შორის გაუძვრა თავდამსხმელს; წამოხტა და უაზროდ გავარდა კარისკენ; მაგრამ... ხუთთითა თათმა, მისდა სამარცხვინოდ, სერთუკის კალთას ჩაავლო: ძვირფასმა ქსოვილმა გაიპრიწინა.

ჩამოხეული კალთის ნაჭერი სადღაც გვერდით გაფრინდა:

– მოიცადეთ... მოიცადეთ... მე... არ მოგკლავთ...

ნიკოლაი აპოლონოვიჩი გვერდით მოისროლა; ის კი კუთხეს დაეჯახა; და ამ სისაძაგლისაგან თითქმის ტიროდა; ჩვეულებრივ, მუქი ღიღილოსფერი თვალები ძლიერი შიშისაგან ჩაშავებოდა; მიხვდა, რომ მას ლიხუტინი – შურისძიების სიგიჟით სუნთქვაშეკრული მტერი – კი არ აწვალებდა, არამედ... ბორგვნეული შეშლილი კუნთების კოლოსალურ ძალას რომ ფლობდა.

ბორგვნეული შეშლილი შებრუნდა, მშვიდად მივიდა კართან; რაზამ გაიჩხაკუნა; კარს მიღმა რაღაც ხმები – ტირილი, ფეხსაცმელების ფლატუნი – გაისმა; და ყველაფერი მიწყნარდა.

ქალი ჭუჭრუტანას მიეპარა და დაინახა: ორი წყვილი ფეხი და პანტალონის კიდეები; ფეხებმა კუთხისკენ გაიბრაგუნეს და აღარსაით ჩანდნენ; ქშენით აღმოხდა ხრიალი და აბუყბუყდა ყელი; და გაისმა დაკეტილი კარის მეტალის ჩქამი.

სოფია პეტროვნა ატირდა, კარს მოსცილდა; დაინახა მტირალი მავრუშკა:

– ეს რა ხდება, ჩემო ქალბატონო?..

– ჰო, რა ხდება ეს?.. რას სჩადიან, მავრუშკა? ნახევრად შეშლილი დიაგონალზე ბოლთას სცემდა, კედელს აკრული ნიკოლაი აპოლონოვიჩი კი კუთხიდან ზვერავდა მის მოძრაობას.

ნახევრად შეშლილი აღარ აწუხებდა, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა და ოხრავდა; ფიქრებში ჩაფლულიყო.

უცებ აღმოხდა:

– ღმერთო ჩემო!

ამოიკვნესა:

– მიხსენ და მომიტევე!

ნიკოლაი აპოლონოვიჩმა სიმშვიდით ისარგებლა.

სიგიჟის პაროქსიზმამ გადაიარა; ახლა თანდათან ნელდებოდა; და ნიკოლაი აპოლონოვიჩი მეტად სასაცილო მუნდირიანი სხეულით – ჩამოხეული კალთით, კალოშებითა და მოუშორებელი კაშნეთი – კოჭლობით გახანხალდა კუთხიდან.

მაგიდასთან შედგა, გულისცემას მიუგდო ყური და ფრთხილი მოძრაობით პრესპაპიეს დაავლო ხელი.

მაგრამ გაისმა მოღალატური ჩქამი; ქაღალდები მიმოიბნა; მინავლული პაროქსიზმა კვლავ აფეთქდა; თავი მობრუნდა და დაინახა, პრესპაპიეთი უკან გადახტა.

სერგეი სერგეევიჩმა კი კვლავინდებურად განაგრძო:

– ოღონდ ნუ შეშინდებით... რას კანკალებთ?.. მგონი, გაშინებთ? მე... მე... მე... კალთა შემოგახიეთ, მაგრამ... ეს უნებურად მოხდა.

– გჯერათ, რომ დომინოს ამბის ახსნა მხოლოდ ნერვული დაძაბულობით შეიძლება; და ეს ღალატი სულაც არ გახლავთ: ჩემი ნებით როდი ვიდექი სადარბაზოში...

– კალთის გამო მაპატიეთ, – კვლავ შეაწყვეტინა პოდპორუჩიკმა, – კალთას მიგიკერებენ; მე თვითონაც შემიძლია; ნემსიც მაქვს და ძაფიც...

– სერგეი სერგეევიჩ, ეს ხომ... სისულელეა...

– დიახ, დიახ – სისულელე...

– სისულელეა – ეს რაღაც სადარბაზოში დგომა...

– რა შუაშია სადარბაზოში დგომა! – წყენით აიქნია ხელი პოდპორუჩიკმა და კვლავ ბოლთის ცემას მოჰყვა.

– აბა, სოფია პეტროვნა?

– აბა, სხვა რა?

– საქმე ისაა, რომ, – და პოდპორუჩიკმა თავისი ჩასისხლიანებული თვალები ახლოს მიუტანა...– საქმე ისაა, როგორც ხედავთ, თქვენ ჩაკეტილი მყავხართ...

– გაგიჟდა: ყველაფერი დაავიწყდა; მისი ტვინი მხოლოდ ასოციაციებს ემორჩილება და ისევ აპირებს... – მაგრამ სერგეი სერგეევიჩმა სწრაფად დაამატა:

– თქვენ აქ უსაფრთხოდ ხართ... აი, თქვენი კალთის ნახევი...

– დამცინის, – გაიფიქრა ნიკოლაი აპოლონოვიჩმა.

– თქვენ აქედან ვერ გახვალთ, გესმით... მე კი აქედან გავალ თქვენ მიერ ხელმოწერილი ჩემი ნაკარნახევი წერილით...მივალ თქვენთან, თქვენს ოთახში... ყველაფერს გადავაბრუნებ; და თუ ჩემი ძიება უნაყოფოდ დასრულდება, მამათქვენს გავაფრთხილებ... მიტომ, რომ... – შუბლი მოისრისა,– ძალა მამათქვენში კი არა, თქვენშია; დიახ, დიახ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენში.

გახევებული თითი მკერდს მიაყრდნო და ასე – ცალწარბაწეული შედგა.

– ეს არასოდეს არ მოხდება!

აწითლებულ სიფათზე ნერვი აუთამაშდა:

– ?

– !

– ?!

გადარეული!

უცნაური ის გახლდათ, რომ ნიკოლაი აპოლონოვიჩმა ამ ბოდვას ყური მიუგდო; მასში რაღაც შეიძრა, – ბოდავს კია? მისი საუბარი უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ ნართაულად ნათქვამს წააგავს – მაინც რისი თქმა უნდა?

– სერგეი სერგეევიჩ, რაზე მელაპარაკებით? – როგორ თუ რაზე?.. ბომბზე...

აქ მას პრესპაპიე ხელიდან გაუვარდა: საშინელება ზღვარს გასცდა: პენტალიონთა სიმძიმე გაზებად იქცა.

სიმძიმეს ცეცხლი მოედო; რიყის ქვებით დატენილი სხეულიც გაზებად იქცა და ყველა პორიდან იფეთქა, კვლავ იხვეოდა მოვლენათა სპირალი, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით; სხეულიც სპირალებად ჩაეხვა; შეგრძნებები ნულს გაუტოლდა; გამოიკვეთნენ, აზრი შეისხეს ზედაპირულმა კონტურებმა, ახალგაზრდა კაცში სამოცი წლის მოსუცს რომ ამჟღავნებდნენ.

– სერგეი სერგეევიჩ, მიკვირს თქვენი... როგორ ირწმუნეთ, რომ მე... რომ მე... ამ საძაგლობაზე დავთანხმდებოდი... თაღლითი როდი ვარ... მე, სერგეი სერგეევიჩ, არც ასე უიმედო გაიძვერა გახლავართ...

და ნიკოლაი აპოლონოვიჩმა აზრი ვეღარ დაასრულა,

ჩრდილოვანი კუთხიდან, ერთი შეხედვით, აღნაგი, მაგრამ სინამდვილეში, მხრებში მოხრილი სხეული იკვეთებოდა – ტანჯულად გაღმეჭილი პირითა და ღიღილოსფერი თვალებით, ხოლო თეთრი სელისფერი თმა მის ბრწყინვალე, მაღალ შუბლს შარავანდედად ადგა; ის ზემოთ აღმართული ხელისგულებით, შეურაცხყოფილი, სასოწარკვეთილი, მეწამული შპალერის ფონზე წამომართულიყო.

პოდპორუჩიკმა ლიხუტინმა მთელი თავისი ჯანსაღი (ეგონა, რომ ჯანმრთელი იყო) ძალმოსილებითა და კეთილშობილებით მხოლოდ უსაშველო წყვდიადი შეიგრძნო და შესამჩნევად დაიხია უკან:

– მე თქვენი მჯერა, – დაბნეულად აასავსავა ხელები.

– იცით, – უხერხულად იგრძნო თავი, – არ მეეჭვებოდა... მართალი გითხრათ, ცოლმა გამანდო... წერილი მას მიუგდეს. მან კი შეცდომით გახსნა და წაიკითხა, – იცრუა და გაწითლდა, თვალი გაუშტერდა.

– რაკი წერილი გახსნა, – სიტყვას ბოროტად გამოედევნა სენატორის ვაჟი,– მაშინ... – მხრები აიჩეჩა, – სოფია პეტროვნას ქმრისთვის უნდა გაენდო კიდეც მისი შინაარსი, – გამოცრა მან და თავდასხმა განაგრძო.

– მე... მე... ზედმეტად ავფორიაქდი, – თავს იცავდა ლიხუტინი: მზერა კვლავ ავბედით მოხეულ კალთაზე გადაიტანა და მას გამოედევნა.

– ნუ იღელვებთ, კალთას მე მიგიკერებთ...

მაგრამ ნიკოლაი აპოლონოვიჩი ხელისგულებს ჰაერში საყვედურით ასავსავებდა:

– არ იცოდით, რას სჩადიოდით.

და მის მუქ ლურჯ თვალებში მშვენიერი სევდა აისახა:

– დამასმინეთ: არ მენდეთ!..

და შებრუნდა... ნიკოლაი აპოლონოვიჩი გულამოსკვნით ტიროდა; უხეში შიშისგან გათავისუფლებული, უშიშრად გადაიქცა; ტანჯვა მოსურვებოდა; გრძნობები კი ისე დაფლეთოდა, როგორც მისი „მე“; დაფლეთილი „მესგან“ ის ბრწყინვალე ნათლის ფრქვევას მოელოდა; მოელოდა, რომ იქიდან მშობლიური ხმა გამოსძახებდა, რომ როგორც ყოველთვის, მასში მისივე „მე“ მის გასაგონადვე დაიძახებდა:

– შენ ჩემ მაგიერ იტანჯებოდი: მე კი შენ გძლიე.

მაგრამ ხმა არსად იყო. არც ნათელი ჩანდა, იყო მხოლოდ წყვდიადი. რატომ არ ისმოდა შემთანხმებლური კილო: „შენ ჩემ მაგიერ იტანჯებოდი?“ იმიტომ, რომ ის არავის მაგიერ არ იტანჯებოდა, მას საკუთარი სტანჯავდა მხოლოდ...

ასე ვთქვათ, ის საზარელი მოვლენების სახით თავისსავე დათესილს იმკიდა. ამიტომაც არ ისმოდა მისი ხმა. ხოლო უწინდელი „მეს“ ნაცვლად წყვდიადი გამეფებულიყო.

მან მოსაუბრეს ზურგი აქცია და ატირდა.

– გეყოთ, – გაისმა ზურგს უკან წყნარად და თავშეკავებით, – შევცდი, ვერ გავიგე...

– თქვენ ისარგებლეთ თქვენი უპირატესობით და ქალის თანდასწრებით მიმათრევდით, როგორც...

ხელგამოწვდილმა სერგეი სერგეევიჩმა გადაჭრა კაბინეტი; მაგრამ ნიკოლაი აპოლონოვიჩმა, მისი გაცოფებით დათრგუნულმა და თავმოყვარეობაშელახულმა, რამაც გვიან იჩინა თავი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოსცრა:

– როგორც... როგორც... ტიკინას...

და მას ახლა ხელი რომ გაეწოდებინა სერგეი სერგეევიჩისთვის, ის თავს ბედნიერად იგრძნობდა; სახეზე სრული ნეტარება დაეფინებოდა; მაგრამ კეთილშობილ სწრაფვასაც, ისევე როგორც სიგიჟეს, მალე მოეკუპრა პირი.

– სერგეი სერგეევიჩ, თქვენ გინდოდათ დარწმუნებულიყავით?.. რომ მე მამის მკვლელი არა ვარ?.. არა, სერგეი სერგეევიჩ, არა! თქვენ კი, როგორც ტიკინას,ისე მომექეცით, კალთაც შემომახიეთ.

– კალთის მიკერება შეიძლება!

და სანამ აბლეუხოვი გონს მოეგებოდა, სერგეი სერგეევიჩი კარს მივარდა:

– მავრუშკა! შავი ძაფი! ნემსი!

კარის გაღებისას კინაღამ არ დაეჯახა სოფია პეტროვნას, რომელიც კარს მიყურადებოდა.

– ა?.. სონეჩკა!..

– სოფია პეტროვნა!..

– შემოდი... აი, ნიკოლაი აპოლონოვიჩს... იცი, კალთა ჩამოეხა... უნდა...

– ნუ შეწუხდებით, სერგეი სერგეევიჩ, სოფია პეტროვნა...

და სულელური მდგომარეობისაგან პირგაღმეჭილი ნიკოლაი აპოლონოვიჩი წამწამებს სახელოთი იმშრალებდა; მერე კი კოჭლობ-კოჭლობით ფუძი-იამებით სავსე ოთახში აღმოჩნდა... ჩამოჩაჩული სერთუკითა და ჩამოკონწიალებული კალთის ნახევით... თავი ასწია და დაღადრული ჭერის დანახვისას გაღმეჭილი პირი ლიხუტინისკენ მიმართა...

– ნიკოლაი აპოლონოვიჩ, ეს... ჭერს ვაკეთებდი და...

ნიკოლაი აპოლონოვიჩი კი მდუმარედ, კოჭლობით ჰკვეთდა დარბაზს; და მხრებიდან ჩამოცურებულ ფანტასტურ ლაბადას მიაფრიალებდა...

მცირე პასიანსი

ეტაჟერიდან სარკისებრი კრიალი გაჰქონდა პაწია სამოვარს; ხოლო მაგიდაზე მდუღარი – არცკი გაეწმინდათ; ახალს სტუმრების მოსვლისას დგამდნენ; უსტუმრებოდ კი დაჭეჭყილი სიმახინჯე შემოჰქონდათ; იქვე თეთრი პურის ნასმურტლები ეყარა; სუფრა ლაქებით მოფენილიყო; ბოლომდე შეუსმელი ამჟავებული (ლიმონისაგან) ჩაის ჭიქის ქვეშ სისველის ლაქა მოჩანდა; იდგა ნასმურევით სავსე თეფში.

სადღა იყო მშვენიერი თმა? მხოლოდ წნულიღა უჩანდა.

ზოია ზახაროვნა სტუმრებთან, რა თქმა უნდა, პარიკს ატარებდა; როგორც ჩანს, მოურიდებლადაც იღებებოდა (ჩვენ გვახსოვს მშვენიერთმიანი, შავგვრემანი ქალი ემალივით გლუვი კანით; ახლა კი ჩვენ წინაშე მხოლოდ შეოფლილცხვირიანი მოხუცი იდგა); მას ჭუჭყიანი (როგორც ჩანს, საღამური) კოფთა ეცვა.

ლიპპანჩენკოს მაგიდაზე მდგარი ჭუჭყიანი სამოვრისთვის ოთხკუთხა ზურგი შეექცია და ასე, ოდნავ მოხრილიყო დამჯდარიყო. ვახშმის შემდეგ მის წინ გაწყობილი მცირე პასიანსი გვაფიქრებინებდა, რომ ეს ჩვეული გასართობი გახლდათ მისთვის; ის შეაწუხეს, ბანქოს მოსწყვიტეს; ისეთი საუბარი გაუბეს, რომ პასიანსიცა და სხვა დანარჩენიც დაავიწყეს.

ამგვარი საუბრის შემდეგ ლიპპანჩენკომ ზურგი აქცია ლაქლაქს.

პიჯაკი გაეხადა; შეეხსნა ქამარი, ღიპს რომ ებჯინებოდა, რის გამოც ჟილეტსა და ჩაჩაჩულ შარვალს შორის მოღალატურად ენასავით გამოჩრილიყო პერანგის კალთა.

ლიპპანჩენკო დაფიქრებით მისჩერებოდა, თუ როგორი შარიშურით მოცოცავდა ტარაკანი – უზარმაზარი შავი ლაქა; ისინი აქ მრავლად იყვნენ.

– მერე?.. რა მოხდა?.. რატომ მოხდა?

– რა?

– ნუთუ ერთგულ ცოლს, ორმოცი წლის ქალს, ისეთისას, მე რომ ვარ...

იდაყვი გამოხეოდა და იქიდან მომჩვარული კანი მოუჩანდა, მასზე კი – ალბათ, რწყილის ნაკბენი.

– რას ბუტბუტებ, გეთაყვა: გარკვევით მითხარი...

– ნუთუ არ მაქვს უფლება, გკითხოთ?

ლიპპანჩენკო სავარძელზე შემოტრიალდა.

როგორც ჩანს, ამ სიტყვებმა გაჰკენწლა; წუთიერად მის სახეზე დამთრგუნველი სინდისის ქენჯნა აისახა და პაწია თვალები აახამხამა; როგორც ჩანს, გულის ნადების ამოთქმა სურდა; და თქმისა კი ეშინოდა: მდორედ აზროვნებდა.

მაგრამ მართლის თქმის სურვილი უცებ მოეკვეცა.

– ჰმ: დიახ, დიახ... ექვსიანს ხუთიანი... დამა სადღაა?.. აი, ქალიც... ვალეტიც აქვეა...

უცებ მან ზოია ზახაროვნას გამომცდელი მზერა ესროლა, და ოქროსფერი ღინღლით დაფარული მოკლე თითებით ბანქოს ქაღალდის ერთი წყება მეორეს დაადო.

– აი, ესეც ჩახლართული პასიანსი...

– რაღაა აქ გასაბრაზებელი?

და ქალმა ქუსლების ფლარტუნით იწყო ოთახში სიარული (ტარაკნის ულვაში ხვრელში შეიმალა).

და კორსეტით შეუზღუდავი გადრექილი მუცელი სიარულისას ჩამოფოფხილი ღაბაბივით ქანაობდა:

– უმჯობესია, ის მკითხოთ, რატომ გეკითხებით?.. იმიტომ, რომ ყველა მეკითხება... მხრებს იჩეჩენ... ჰოდა, მეც ვფიქრობ, – და მუცლითა და მკერდით მისი სავარძლის საზურგეს დააწყდა.– უმჯობესია, ვიცოდე...

მაგრამ ტუჩებმოკვნეტილი ლიპპანჩენკო ბანქოს ქაღალდის მწკრივს მწკრივზე აწყობდა.

მას კარგად ახსოვდა, რომ მალე ხვალინდელი დღე დადგებოდა და თუ ის თავს დამტყდარი დოკუმენტების დამთრგუნველ ტვირთს ვერ ჩამოიცილებდა, შამათი და ქიში ელოდა:

– ჰმ!.. თავისუფალი ადგილი... თავისუფალ ადგილას მეფე გადავსვათ...

– მიპასუხეთ, გეკითხებით და...

– აბა, თქვენ რას ფიქრობდით?..

ლიპპანჩენკომ ბანქოს ქაღალდი დაყარა.

– არ გამოდის: წყვილები წაეწყო...

ლიპპანჩენკოს საწოლ ოთახში რაღაცამ გაიწკრიალა, თითქოს სარკმელი გამოაღესო: ნეტავ, ვინ უნდა იყოს?

ალბათ ტომია – სენბერნარი.

– გამიგეთ, რომ თქვენი შეკითხვები, – ოხვრით წამოდგა ლიპპანჩენკო,– არღვევს პარტიულ... – აშმორებული ჩაი გადაყლურწა,– როგორ ვთქვა, დისციპლინას...

ზმორვა-ზმორვით გავიდა ღია კარში – წყვდიადისკენ...

– ჩემთან რა დისციპლინა მოგინდა, კოლენკა, – ზოია ზახაროვნამ თავი დახარა და უკვე ცარიელ სავარძელს დააცქერდა... – წარმოგიდგენიათ...

შემდეგ დადუმდა; სავარძელი დაცარიელებულიყო; ლიპპანჩენკო საწოლი ოთახისკენ მიალაჯუნებდა.

– ადრე ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით... – ჩაილაპარაკა ქალმა.

მაშინვე კარისკენ მიაბრუნა თავი და გასძახა:

– ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ არ გაგიფრთხილებივართ (ლიპპანჩენკო კარში გამოჩნდა), რომ რაღაც საიდუმლოს ფარავთ.

– ესეც ასე; საწოლ ოთახში არავინ არი, – გააწყვეტინა მან.

პირი მოწყენილად მთქნარებით გაეპო; და ჟილეტის გახსნისას ცხვირში უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

– რა საჭიროა ეს სცენები?

– ასეთი რა გავაკეთე, კოლენკა?.. განა არ მიყვარხართ?.. განა არ მეშინია?..

და კისერზე მკლავები შემოაჭდო.

და თავის სახესთან ქალის პორებიანი ცხვირი დაინახა; პორებს ოფლი გადასდიოდა: მომჩვარულიყო კანი! თვალები უფართოვდებოდა, მომაბეზრებლად ეკარკლებოდა, შავი და უსიცოცხლო ჩანდა.

– კარგი... კარგი... ზოია ზახაროვნა... თავი დამანებეთ... ნუ დამახრჩობთ... „

ხელი დაავლო მის მკლავებს და კისრიდან მოიცილა:

– ხომ იცით, რა სენტიმენტალური ვარ, რა სუსტი ნერვები მაქვს... მე...

ორივე დადუმდა.

დიდი ხნის არასასიამოვნო საუბრის შემდეგ, მძიმე საჩუმეში, როცა ყველაფერი ნათქვამია, ქალი ჭიქებს, ფინჯნებსა და ჩაის კოვზებს რეცხავდა.

მამაკაცს კი კვადრატული ზურგი ზოია ზახაროვნასა და სამოვრისათვის მიეშვირა.

აღელვებულმა მზერამ აღელვებით გადაუარა სუფრას და მსუქან მკერდს დააცოცდა; როცა მამაკაცი მობრუნდა, მის ახამხამებულ თვალებს მაშინ შეეფეთა ეს ყველაფერი; დრომ თავისი გაიტანა?

ღია ყავისფერი პაწია თვალები, ოცდახუთი წლის ასაკში იუმორითა და ცბიერი მხიარულებით რომ უციმციმებდა, ახლა გახუნდა, ჩაღრმავდა, შემაშფოთებელი საბურველით დაიფარა; ატმოსფერო მუქ-ყვითელი და მოყვითალო-შაფრანისფერი კვამლით დაიბურა; ოცდახუთი წელი მცირე დრო როდია, მაგრამ ასეთი გაუფერულება, ასეთი მოკუნტვა! ოცდახუთწლეულმა თვალთა უპეები შეუშუპა; სახის ფერი ჩაუყვითლა, კანი დაუზეთიანა, დააჭკნო – გვამისათვის დამახასიათებელი სიფერმკრთალით თავზარდამცემი გახადა; შუბლი თმით დაეფარა; ყურები გაეზარდა; ხომ გინახავთ სანდომიანი მოხუცებიც? მაგრამ ის ჯერ ხომ არ იყო მოხუცი?

ქერათმიანი ოცი წლის პარიზელი სტუდენტი – სტუდენტი ლიპანსკი – უაზროდ გასივდა; და ოცი წლის შემდეგ ორმოცდახუთი წლის ღიპიან ლიპპანჩენკოდ გარდაისახა.

აუწერელი აზრები

ქვიშრობზე მლაშეწყლიანი ტბა ნაოჭდებოდა.

ყურიდან მისკენ თეთრფაფრიანი ზოლები მოჰქროდა; მთვარე ანათებდა; და შორს ზოლზე ზოლი დუღდა და გუგუნებდა; მერე დაძენძილ ქაფად ეშვებოდა ნაპირთან; და ეფინებოდა გლუვ სანაპიროს, ლოკავდა ქვიშას; იტაცებდა, პირს ულესავდა; წამახულ საჭრეთლად უვლიდა ქვიშიანს და მიაჭყუმპალავებდა მლაშეწყლიან ტბამდე; და მასაც მლაშე ნაზავით აზავებდა.

შემდეგ კი უკან მიხტოდა.

ზღვიდან მოშორებით ბუჩქთა გამხმარი მკლავები ტოტებად განფენილიყო; და სივრცეში მსტვენავ ნაკადად მაღლდებოდა; უქუდო და მოშავო ჩია სხეული მათ შორის იკვლევდა გზას; ამ ადგილიდან ღრჭიალი და კვნესა მიემართებოდა ზემოთ; კორძიანი ხეები ნისლიდან და ნესტიდან მოიზლაძნებოდნენ; იქიდან

მატყლისებური ლატანგამოსხმული დაკორძილი ხელიც გამოიჩარა.

მუქი ნესტის ტყვეობაში მყოფი სხეულიც ფუღუროსკენ დაიხარა.

– შენ, სულო ჩემო, განვედ ჩემგან... ცოდვა ვარ მეტად...

და გულმაც ამოიძახა:

– მომიგონებდე მე, საცოდავს...

ზღვის ჰორიზონტთან ნათელი წერტილი ციმციმებდა; სავაჭრო ნავი პეტერბურგს უახლოვდებოდა; და იქიდან სავსე თავთავივით გამოკრთოდა ნათლით აღვსილი დისკო.

აი, ის ფართო ზოლად იქცა და უკან, ნავის ბნელი საბარგული გაანათა; მასზე კი – ბადეთა ტყეც.

მთვარის ქვეშ ხის დაფარჩხულტოტებიანი ხელები აფრინდნენ; ბუჩქების შავ პაწია ტოტთა აბლაბუდიანი თავი სივრცისკენ გადაიზნიქა; მთვარეც ბადეში გაიბლანდა; და უფრო თვალისმომჭრელად აციმციმდა: როკებს შორის დარჩენილი ჰაერიც ფოსფორული ნათებით ამოივსო; ყოველივე ამისგან უზარმაზარი სხეული წარმოიქმნა, ნისლიან კვამლში

ფოსფორის აჯასპისფერი მანტიით რომ ფრიალებდა და იწვოდა; უფლებამოსილი ხელი, მომავლისკენ რომ მიუთითებდა, იმ სააგარაკო ბაღის მოკიაფე სინათლეებისკენ მიმართულიყო, სადაც ბუჩქთა მკვრივი როკები ღობეს სცემდნენ.

ჩია სხეული შეჩერდა და ვედრებით გადაიხარა იქით, სადაც როკებს შორის დარჩენილი ფოსფორული ნათებით ამოვსებული ჰაერი ვეება სხეულს წარმოქმნიდა:

– მხოლოდ ეჭვით, განმარტებათა გარეშე ხომ არ შეიძლება.

ხელი კვლავ განათებული სარკმლისკენ მიმართულიყო.

ჩია სხეული სივრცეში გაქანდა და მკერდით ღობეს შეასკდა, გადაძვრა და უხმაუროდ დაცურდა ნაცრისფერი აგარაკისკენ, თან დანამულ მცენარეებს ედებოდა.

ტერასას მიეპარა და ორიოდ ნახტომით კართან აღმოჩნდა; სარკმელს აეკრა; ნათელი უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

იქ ისხდნენ...

ლიპპანჩენკო მაგიდას იდაყვით დაყრდნობოდა; მეორე ხელი მოეხარა და ხელისგული გაეშალა; ფრჩხილები შეღებილი, დუდკოიანი, თითები კი განსაცვიფრებლად მოკლე ჰქონდა, თითქოს ნაჯახით ჩამოუკვეთიათო... –

ჩია სხეული კარს მოსცილდა და ბუჩქებშიღა მოვიდა გონს; შეცოდების გრძნობამ დარია ხელი.

– ასე უბრალოდ ხომ არ შეიძლება...

გედის სიმღერა

უცებ მთელი კორპუსით შემობრუნებულმა ლიპპანჩენკომ, წარმოიდგინეთ, ხელი გაიშვირა კედლისკენ, რომელზეც ვიოლინო ეკიდა:

– ბრუნდები შინ, რომ დაისვენო, აქ კი – დახეთ...

მან კანიფოლი ამოიღო; ხარბად დააცხრა მას; და დამნაშავის გრიმასით, პარტიაში მის მდგომარეობას რომ შეეფერებოდა, კანიფოლის ხემზე წასმას შეუდგა.

– ცრემლით მხვდებიან...

ვიოლინო ფაშვს მიაბჯინა და ისე დაიხარა, რომ ფართო ბოლოთი მუხლებს დააყრდნო; ვიწრო კი – ღაბაბში ჩაეფლო; ცალი ხელით სიმებს ჭიმავდა, მეორეთი – ხმას ამოწმებდა:

– დონ!

თავი დააღერა და გვერდით გადაიხარა; აბუჩად ამგდები კითხვისა, თუ სიბრალულის გამომხატველი გამომეტყველებით ზოია ზახაროვნას მიაჩერდა, თითქოს ეკითხებოდა:

– გესმით?

ქალი გულის ამაჩუყებელი სახით სკამზე მოკალათდა; ლიპპანჩენკოს თითს შეხედა; თითი სიმებს სინჯავდა; სიმები წიწინებდნენ.

– აი, ასე ჯობს!

ერთმანეთს თავი დაუქნიეს; მამაკაცმა – ახალგაზრდული ხალისით; ქალმა კი – მორიდებით.

– ოჰ, რა უცნაური ხართ...

– ძინ-ძინ...

– გამოუსწორებელი ბავშვი!

მიუხედავად იმისა, რომ ლიპპანჩენკო მარტორქას წააგავდა, ვიოლინო ხელის მოხერხებული მოძრაობით ამოატრიალა; და ქვედა ნაწილი მხარსა და დახრილ თავს შორის შეაცურა; ინსტრუმენტის ვიწრო მხარე კი ათამაშებულ თითებს შერჩა:

– აბა!

ხემიანი ხელი ვიოლინოს მიაფრინდა და გაყუჩდა; შემდეგ ნაზი მოძრაობით შეეხო სიმს; ამოძრავდა ხემი; ხემს ხელიც მოჰყვა; ხელს – თავი და სქელი სხეულიც: და ყოველივე გვერდით გადაქანდა:

– ო, ნუ მააცდუნეებ... – მღეროდა ლიპპანჩენკო.

– ნუ მაცდუუნეებ, ნუუ-უუ... – აჰყვნენ ვიოლინოს სიმებიც.

– უსასწაულოდ... – როგორღაც გვერდულად მღეროდა ლიპპანჩენკო.

ახალგაზრდობაში ხშირად ასრულებდა ხოლმე ამ ძველებურ რომანსს.

– ჩუ-ჩუ!

– ყური დაუგდე!

– ფანჯარა?..

– უნდა ვნახოთ.

ღრუბლებზე მთვარე წამოიმართა; ის, რაც მკრთალად გაყუჩებულიყო – გამჟღავნდა; ბუჩქთა ჩონჩხები ამოშავდა; მათი ჩრდილები ბუწუწეების ბღუჯად დაეცა მიწას; ჰაეროვანი ლაქებით შეკოწიწდა სხეული, ფოსფორის ნათებით რომ იწვოდა და ხელს ფანჯრისკენ იშვერდა; ჩია კაცი სარკმელს მიაწყდა;

სარკმელი დაკეტილი არ აღმოჩნდა; გაღებისას ოდნავ გაიჭრიალა.

სარკმლებს მიღმა ჩრდილები ამოძრავდნენ; ფარდებს მიღმა ვიღაც ანთებული სანთლით დაიარებოდა; გადაიწია ფარდაც;

სქელი სხეული იდგა და უყურებდა: გეგონებოდათ ღაბებით იმზირებაო (თვალები არ უჩანდა); ორი ორბიტა დაბინდულიყო; უწარბოდ ამობურცული საწარბე რკალი მთვარის შუქზე გაკრთა. ფარდა კვლავ გასწიეს; ვიღაც მსხვილმა კვლავ გაიარა ფარდაჩამოფარებულ სარკმლებს მიღმა; მალე სიმშვიდემ დაისადგურა. ვიოლინოს თრთოლა და ხმები მოისმოდა აგარაკიდან.

ჩია კაცი დაფუღუროებულ ხეს მოსწყდა; და ხელმეორედ მიუახლოვდა სარკმელს.

– განხიბლუ...ულს ძნელად თუ...უ...აგონდებოდა გარდასულ დღეთა მშვე... ნიე...რება, და აღარ სჯერა უუკვე ნა...ათქვამი...

– აღარ მწამს უუკვე სიყვარულიო...

თვითონ იცოდა კია რას მღეროდა? არა, შუბლის ძვალს ეს არ ესმოდა: შუბლი ვიწრო ჰქონდა გარდიგარდმონაოჭიანი, გაგონებოდათ, ტირისო.

ასე იმღერა ლიპპანჩენკომ გედის სიმღერა.

დაბოლოს, აიღო სანთელი, საძინებლისკენ გაემართა, მაგრამ ზღურბლზე გაუბედავად შემობრუნდა, ამოიოხრა და რაღაცაზე დაფიქ-

რდა; ლიპპანჩენკოს სხეული აუხსნელ სევდას გამოხატავდა.

სანთელი ოთახში შეიჭრა; წყდიადი შეინგრა; ელვარებით ათრთოლებული ცენტრის პერიფერიებში სიბნელის ნაფლეთები დაბორიალდნენ; ხოლო მუქ ზოლებს, საგანთა გამუდმებულ აჩრდილებს მიღმა – ლანდი, ასევე ზორბა და სქელი, ლიპპანჩენკოს ფეხქვეშიდან რომ გამოძვრა და ფორიაქა წრეებზე მოჰყვა სირბილს.

კედელსა და მაგიდას შორის უშნო, უჩუმარი სქელი კაცი დაენარცხა, მრუდედ გადატყდა და დაიფშვნა.

ამგვარად: გამოუსადეგარ ბალასტივით გადაგდებულ საკუთარ სხეულს ხშირად ქარიშხლისებრ აფორიაქებული სული აიტაცებს ხოლმე; და დანავარდობს სულიერ სივრცეებში; და სხეული – პაწია ნავი – სულთა ოკეანეში რომელიღაც მატერიისკენ მიცურავს.

ამგვარად... –

წარმოიდგინეთ: წელზე შემოგახვევენ თოკს და მერე აუწერელი სისწრაფით აატოკებენ; და თქვენც წრიულად თავდაყირა დაიწყებთ ქროლას; გადაფრინდებით სამყაროს უსაზღვრობაში და სივრცის დაძლევით სივრცედ იქცევით თვითონაც.

თქვენ ამგვარი ქარიშხლით იქნებით შეპყრობილი, როცა სხეული ამოიტყორცნება, როგორც გამოუსადეგარი ბალასტი.

წარმოიდგინეთ: სხეული განიცდის უსაზღვროდ განვრცობის სწრაფვას (რათა განივ კვეთში სატურნის ორბიტის დარი ადგილი დაიკავოს); წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გონებით შეიგრძნობთ არა მხოლოდ ერთ პუნქტს, არამედ ყველა პუნქტს ერთად; თითქოს ისინი გაფართოვდნენ და გაზისებურად გაიშვიათდნენ; ცენტრისკენ სწრაფვის შეგრძნება დაჰკარგეს; და ჩვენ ნაწილ-ნაწილ დავიფლითეთ; სრული და მთლიანი მხოლოდ დაფლეთილ შეგრძნებათა შემეცნებაღა შეგვრჩა.

რას შევიგრძნობდით ასეთ დროს?

შევიგრძნობდით, რომ ჩვენივე გადახსნილი ორგანოები ერთმანეთს მილიარდი საშინელი ვერსით დაშორდნენ; მაგრამ ცნობიერებას შეუძლია შეაკავშიროს ეს სისაძაგლე ერთ უმიზნო დროში; ხერხემალში სატურნის მასის დუღილს აღვიქვამთ; ტვინს – თანავარსკვლავედთა ვარსკვლავები ესობა; ხოლო მდუღარე გულის ცენტრში მთელი მზიანეთის მტკივნეულ ბიძგებს შევიგრძნობთ; მზისგან მომდინარე ცეცხლის მზიური ნაკადები ჩვენი გულის კიდეს ვერ მიაღწევდნენ, მზე რომ გადაწეულიყო იმ ცეცხლოვან, უაზროდ მფეთქავ ცენტრში.

რომ შეგვეძლოს ამის წარმოდგენა, თვალწინ ლიპპანჩენკოს წანათგრძნობათა საწყისი სტადიები დაგვიდგებოდა; იმ ლიპპანჩენკოსი, ორი ოთახის ზღურბლზე რომ შემდგარიყო.

ტარაკნები

ლიპპანჩენკოს ხელში სანთელი ეჭირა, შეჩერდა: ჩრდილთა მრუდები მასთან ერთად შედგნენ; უზარმაზარი სქელ-სქელი ჩრდილი (ლიპპანჩენკოს სული) თავით ჭერზე ეკიდა; თუმცა ის არავითარ ინტერესს არ ავლენდა თავისი აჩრდილის მიმართ; მას უფრო, არცთუ გამოუცნობი, შარიშური აინტერესებდა. ეზიზღებოდა ტარაკნები; და აი, ახლაც სანთლის შუქზე კუთხეებისკენ ტკრციალით გაცვივდნენ ისინი.

ბრაზობდა ლიპპანჩენკო:

და იატაკის საწმენდი ჯაგრისისკენ მიფრატუნებდა.

მერე სანთელი იატაკზე დადგა; იატაკის საწმენდით სკამზე აფორთხდა და მძიმე სხეული ზემოთ მოექცა; ძალისხმევისაგან სისხლძარღვები უსკდებოდა, თმებიც აეჯაგრა; მოფუთფუთე ტარაკნებს იატაკის საწმენდის ხაოიანი ბოლო მიადევნა; ერთი, ორი, სამი! ტკაცუნებდნენ ჯოხქვეშ: ჭერზე და კედლებზე.

– რვა... ათი... თერთმეტი... – და მოტკრციალე ლაქები ძირს ცვიოდა.

ძილის წინ ტარაკნებს ულეტდა ხოლმე. ბლომად რომ დაულეტდა, დასაძინებლად მიემართებოდა.

აი, შევარდა ის პაწია საძინებელში, კარი გასაღებით გამოიკეტა, საწოლს დახედა (გარკვეული დროიდან ასე დასჩემდა); წინ ჩამომდნარი სანთელი დაიდგა.

გაიხადა.

ახლა ის შიშველი, ბალნიანი და ფეხებგაფარჩხული იჯდა საწოლზე; ბანჯგვლიან მკერდზე მომრგვალებული ქალური ფორმები მოუჩანდა.

ლიპპანჩენკოს შიშველს ეძინა ხოლმე.

სარკმლის სიგლუვესა და კარადას შორის, ბნელ ჩრდილოვან ნიშში ნიფხვის უცნაურ მოხაზულობას სანთლის ნათება გეზად არხევდა; ლიპპანჩენკომ არაერთხელ შეუცვალა ნიფხავს ადგილი; მაგრამ მუდამ ისე გამოდიოდა, თითქოს ერთი და იმავე კუთხიდან შესცქეროდა.

და როცა სანთელი ჩააქრო, შარვლის კონტურები შეირხა და უფრო გამკვეთრდა; ლიპპანჩენკომ ხელი ფარდისკენ გასწია; გამოქანებული კოლენკორი გაფაჩუნდა და ოთახი ბრინჯაოს ნათებით აბრჭყვიალდა: ღრუბელთა კალისებრი თეთრი დისკო შემოიჭრა და... მომწვანო, აჯპისფერი კედლის ფონზე გამოჩნდა პალტოიანი ჩია ფიგურა; თეთრი ტუჩებით მასხარასავით იღიმიჭებოდა. მკერდ და ფაშვგადმოგდებული ლიპპანჩენკო გაქანებული მიაწყდა კარს (დაავიწყდა, კარი რომ ჩაკეტა); შიშველ ზურგზე – ფრთისძირიდან უკანალამდე – მდუღარე ნაკადმა დაუარა; დაცემისას მიხვდა, რომ ზურგი გაუჭრეს (ასე იჭრება ხოლმე პირშუშხამისატანებელი გოჭის ცივი კანი); და როგორც კი ამას მიხვდა, მდუღარე ნაკადი ახლა ჭიპთან იგრძნო.

იქიდანაც რაღაც შიშინებდა; უნდოდა ეფიქრა – ეს გაზების ბრალიაო (მაგრამ მუცელი ჰქონდა გადაბალთული); მოფუთფუთე ფაშვისკენ თავი დახარა და ჩაჯდა, თან ხელით ისინჯავდა მუცელზე და ზეწარზე მომდინარე წებოვან მასას.

ეს ყოველდღიური ყოფის უკანასკნელი გაცნობიერებული შთაბეჭდილება გახლდათ; ცნო-

ბიერება ფართოვდებოდა; მისი საზარელი პერიფერია თავის თავში პლანეტებს ისრუტავდა; და ერთმანეთისგან განცალკევებული ორგანოებით შეიგრძნობდა მათ, გაფართოებულ გულში მზე დაცურავდა; და ხერხემალიც სატურნის მასის შეხებით იმდუღრებოდა; მუცელში ვულკანმა იფეთქა.

სხეული კი იჯდა უაზროდ თავჩაქინდრული და გაფატრულ მუცელს დასცქეროდა; უცებ მუცლით ზეწარს დაემხო; ხელი ჩამოუვარდა სისხლიანი ხალიჩისკენ, მთვარის შუქზე ჟღალი ბეწვით რომ ელვარებდა; ჩამოვარდნილყბიანი თავი კი კარის მიმართულებით გადაქანდა; უძრავი თვალის კაკალი კარს მიაჩერდა; თეთრქათქათა ზეწარზე ხუთი სისხლიანი თითის კვალი აღიბეჭდა; და კოტიტა ქუსლიც გამოიჩარა.

დილით შემოვიდნენ: მაგრამ ლიპპანჩენკო უკვე აღარ იყო; სისხლის გუბე იდგა; იდო ცხედარი; იყო გაღმეჭილი თეთრსახიანი ჩია სხეულიც; დამშვენებული პაწია ულვაშებით, ზემოთ რომ აპრეხოდა; უცნაურია, მაგრამ ეს კაცი მიცვალებულს ცხენივით გადასჯდომოდა; და ხელში მაკრატელი ჩაებღუჯა; მერე მკლავები გაშალა, ხოლო მის სახეზე – ცხვირთან, ტუჩებზე – ტარაკნის ლაქები მიხოხავდა.

თავი მერვე

და უკანასკნელი

წარსული თვალწინ გამირბენს აშრად...
დიდხანს თუ რბოდა, ასე რომ დაშვრა
და მღელვარებდა. ვითარცა ზღვები?
ახლა დადუმდა, დამშვიდდა, დაცხრა,
ან ვინღა მახსოვს და რაღა დამრჩა,
არამცთუ სიტყვა, ხილვაც კი დაშრა...

ა. პუშკინი

თუმცა უპირველესად...

– ეს ოცდაოთხი საათი! –

– ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში თხრობა გაფართოვდა და სულიერ სივრცეებში განიბნა:

სულიერ სივრცეებში გაიხლართა ავტორის ხედვაც.

ტვინის ტყვიისებრი თამაშობანი დახშული თვალთახედვის არეში იმ წრეზე მიზოზინებდა, ჩვენ თვითონ გულდაგულ რომ მოვხაზეთ, –

ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში!..

ცნობა ანა პეტროვნას შესახებ საიდანღაც შემოფრთხიალდა. და სულ □აგვავიწყდა, რომ ის დაბრუნდა.

ეს ოცდაოთხი საათი!

ესე იგი, დღე-ღამე – შედარებითი ცნება, სადაც წამი – თუ რაც არის, სულიერ მოვლენათა სისავსით განისაზღვრება; და საათს უდრის, ან თუნდაც ნულს, რომლის დროსაც განცდები იზრდება, ანდა არც არსებობს...

ანა პეტროვნას დაბრუნება ფაქტია; და ამასთან – უდიდესი;

ჩვენ, ავტორმა დავივიწყეთ მისი არსებობა; ჩვენ შემდეგ ანა პეტროვნას არსებობის შესახებ ნაწარმოების გმირებმაც დაივიწყეს.

და მაინც... –

ანა პეტროვნა დაბრუნდა, მაგრამ ამ მოვლენათა შესახებ არაფერი იცოდა და ერთი რამ აღელვებდა მხოლოდ: რომ არავის მოუტანია მასთან ბარათი; მომხდარისათვის ყურადღება არც ნიკოლაი აპოლონოვიჩს და არც აპოლონ აპოლონოვიჩს მიუქცევია.

დიდებული სახელის მქონე სასტუმროს პატარა ნომრის პატიმარი გახლდათ; ანა პეტროვნა საათობით იჯდა სკამზე და შეჰყურებდა შპალერის წინწკლებს, თვალში რომ ესობოდა; მერე მზერა სარკმელზე გადაჰქონდა; სარკმელი კი ზეთისხილისფერ ჩრდილებს გაჰყურებდა, ხოლო ცის ნაცვლად კვამლი მოჩანდა; სარკმლის რაფაზე კი გაურეცხავი ჯამ-ჭურჭელი ახონხლილიყო გეზად.

შემდეგ ზარს რეკავდა და ვიღაც ქერქეტა შემობზრიალდებოდა ხოლმე.

ანა პეტროვნა მოიკითხავდა:

– თჰე ცომპლეტ![1]

გამოჩნდებოდა გახამებული, მბრწყინავ ჰალსტუხიანი, შავფრაკიანი ლაქია. მხარზე მიყრდნობილ უზარმაზარ ლანგარს ხელისგულზე ჩამოინაცვლებდა, მოიცილებდა იქვე დაყრილ თუნუქის ნომერს, უგერგილოდ ნაკერ კაბას, ორკაციან საწოლზე გადაშლილ ფანციფუნცს, გაცვეთილ ჩემოდანს, ჩამოდგამდა უზარმაზარ ლანგარს და თჰე ცომპლეტ-ს აწყობდა. შემდეგ მიდიოდა.

და მეტი არავინ, არაფერი: გარდა ხარხარისა და ფაციფუცისა მეზობელ ნომერში; ორი მოახლის საუბრისა დერეფანში; მზერა სარკმელზე გადაჰქონდა; სარკმელი კი ზეთისხილისფერ ჩრდილებს გადაჰყურებდა, ხოლო ცის ნაცვლად კვამლი მოჩანდა –

(უცებ კარზე კაკუნი გაისმა; და ანა პეტროვნას დაბნეულობისაგან ლანგარზე დაფენილ ხელსახოცზე ჩაი გადაესხა) –

– რაფაზე გაურეცხავი ჯამ-ჭურჭლის გროვა ახონხლილიყო გეზად.

მოახლემ მას სავიზიტო ბარათი მიაწოდა; მაგიდასთან მჯდარი ანა პეტროვნა წამოდგა; ხელის ჩვეული მოძრაობით თმა გადაისწორა:

– სად ბრძანდებიან?

– დერეფანში.

– სთხოვეთ.

მეზობელი ოთახიდან ფაციფუცი, ხოლო დერეფანში ორი მოახლის საუბარი და როიალის ხმა ისმოდა; შემდეგ კართან სწრაფი ნაბიჯებიც გახმიანდა; აპოლონ აპოლონოვიჩ აბლეუხოვი ცდილობდა რაღაც გაერჩია ბინდბუნდში; პირველი, რაც მან დაინახა, ზეთისხილისფერ ჩრდილთა კედელი, ხოლო ცის ნაცვლად კვამლი გახლდათ; რაფაზე კი გაურეცხავი ჯამ-ჭურჭელი ახონხლილიყო გეზად.

უპირველესი, რაც მას თვალში ეცა, პატარა ნომრის ღარიბული მოწყობილობა გახლდათ;

[1] *The complet - ჩაი, შაქარი და ნაღები (ფრანგ.)*

ასეთი პაწია ნომერი პირველხარისხოვან ოტელში?

მერე რა? რა არის აქ გასაკვირი; ასეთი პაწია ნომრები ყველა პირველხარისხოვან სასტუმროში, ყველა საუკეთესო ქვეყნის ყველა დედაქალაქში გვხვდება. დიახ, დიახ: Premier ordre – depuis 3 francs[1] – ღმერთმა დაგიფაროთ ასეთი ცხოვრებისგან!

საწოლი, მაგიდა და სკამი; საწოლზე – რედიკიული, ქამრები, მაქმანიანი შავი მარაო, ვენეციური თლილი ლარნაკი, წარმოიდგინეთ, წინდისებრ ამობრუნებული (წმიდა აბრეშუმის) ლიმონისფერ ქსოვილთა ფუთა; ეს ყოველივე გრენადული, ტოლედოური სუვენირები გახლდათ; – გრენადაში სულ ახლახან გაგზავნილი ვერცხლის სამი ათასი მანეთი, ალბათ, ჯერ არ ჰქონდა მიღებული – თორემ მისი მდგომარეობის ქალბატონს არ შეეფერებოდა ამგვარი ძონძების ტარება.

გული შეეკუმშა; სკამზე მჯდარი სილუეტი შენიშნა.

– არა, სკამზე მჯდარი კი არა! – მოშვებული, ჩასუქებული, შეჭაღარავებული ანა პეტროვნა;

პირველი, რასაც ის მიხვდა, ფაქტი გახლდათ: ქალს ღაბაბი გამოჩროდა, მუცელი მომრგვალებოდა

და ორი ლაჟვარდისფერი თვალი ოდესღაც მშვენიერ პირისახეზე ძველებურად უბრწყინავდა.

აპოლონ აპოლონოვიჩი ხელში შლაპას აცოდვილებდა, თვალს ავლებდა ოთახს, სადაც უწესრიგოდ ეყარა: ქამრები, მაქმანიანი შავი მარაო, ესპანური ლიმონისფერი ძონძების ფუთა.

მამაკაცი ორწელიწადნახევრის განმავლობაში შეცვლილიყო;

ქალს თვალწინ ედგა (უკანასკნელი საუბრისას) თითქოს ქვისგან გამოთლილი სადაფის მაგიდაზე დახრილი მისი სახე; ახლა კი სახეზე ნაკვთებიც არ აღენიშნებოდა.

ორ-ნახევარი წლის წინ აპოლონ აპოლონოვიჩი მოხუცი იყო, მაგრამ...წლები არ ეტყობოდა; ვაჟკაცურად გამოიყურებოდა; ახლა კი? სადღა იყო მისი რკინისებრი ნებისყოფა, ან ქვადქცეული მზერა? არა, მოხუცი ყველაფერს სწონიდა; დამთრგუნველი გახლდათ მისი სიგამხდრეც; აოცებდა მხრებში მოხრილი სხეული, ყბისა და თითების კანკალი; და პალტოს ფერიც: მასთან ყოფნისას ამ ფერის პალტო არასდროს დაუკვეთავს.

ბოლოს და ბოლოს, აპოლონ აპოლონოვიჩმა თავი ასწია და ბორძიკით წარმოსთქვა:

– ანა პეტროვნა!

სახე გაუნათდა; მასში ყველაფერი ქმრის შესახვედრად დაიძრა, მაგრამ მაინც არ განძრეულა.

აპოლონ აპოლონოვიჩი კი – პალტოთი და შლაპით ხელში – მისკენ გაქანდა; ვეება, მუხლივით შიშველმა თავის ქალამ და განზე გადგმულმა ყურებმა რაღაც მოაგონა; ტუჩები ქალის ხელს შეეხო.

როცა წელში გასწორდა, მისი ჩია სხეული პაწია შარვლით, პალტოთი და ნაოჭებით ცოლის წინ უცნაურად გამოიყურებოდა;

ორი გადმოკარკლული თვალიც გაქვავებული აღარ ჩანდა.

აპოლონ აპოლონოვიჩი სიტყვებს ვერ პოულობდა.

– მე თქვენთან... – დაფიქრდა და განაგრძო: – იცით...

– ?

– მოვედი, რომ პატივისცემა გამოგიცხადოთ...

აქ ანა პეტროვნამ მისი დაბნეული, რბილი, თანაგრძნობის გამომხატველი, ღიღილოსფერი გამოხედვა დაიჭირა.

– ჩვენთან...

– გაფიცვა იწყება...

დასჩერებოდა საგანთა გროვას...

აქ კარი გაიღო.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი იმ წინკარში აღმოჩნდა, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინ ასე სასწრაფოდ გაუჩინარდა; კედლებზე ძველებურ იარაღთა ორნამენტები ბრწყინავდა, იჟანგებოდა ხმლები; აფთებიც დაშვებულიყო; ნიკოლაი აპოლონოვიჩი თავის თავს არ ჰგავდა; ხელის მკვეთრი მოძრაობით თავიდან ფარფლებიანი იტალიური შლაპა მოიგლიჯა; და როცა წუთიერად ჩაფიქრდა, მზერა მიაპყრო იქით, სადაც მუზარადიანი ლიტვური ქუდი ბრწყინავდა, მკვეთრად გამოჩნდა თეთრყირმიზი სახის ნაკვეთები, ხატწერის მანერით შესრულებულს რომ მოგაგონებდათ.

და აი, აფეთქდა; დასრესილი მოსასხამითა და კოჭლობით შეფრინდა მოფარდაგულ კიბეზე; ქოშინებდა; ციებ-ცხელებისგან კანკალებდა: ის ხომ წვიმაში იდგა; ცნობისმოყვარეობას ისიც იწვევდა, რომ მუხლთან, ფეხზე, რომლითაც კოჭლობდა, მაუდი ამოჰგლეჯოდა; ნახევი აქეთ-იქით ირხეოდა; მთელ და ამოგლეჯილ ნახევს შორის ზონარი გამოჩრილიყო; ამრიგად, ნიკოლაი აპოლონოვიჩი კოჭლს, კუზიანს და კუდიანს წააგავდა, როცა მთელი ძალით შეხტა რბილ კიბეზე, სელისფერ თმათა ფრიალით ჩაუფრინა კედლებს, სადაც დიდი პისტოლი ეკიდა.

შევარდა თავის ჭრელაჭრულა ოთახში: გალიაში თავგანწირვით დასძახეს და ფრთები ააფათქუნეს მწვანე თუთიყუშებმა; ჭყივილმა მისი რბოლა შეაჩერა. ხახადაფჩენილი, ფეხქვეშგადებული ჭრელი ლეოპარდი შენიშნა; ჯიბეები მოიქექა (საწერი მაგიდის გასაღებს ეძებდა).

– ?

– ეშმაკმა დალახვროს...

– დავკარგე?

ოთახში უილაჯოდ დაიწყო ბოლთის ცემა, თან გასაღებს ეძებდა, ნივთებს აქეთ-იქით ალაგებდა; ხელი სამფეხა სათამბაქოეს წამოავლო და

[1] *Premier ordre – depuis 3 francs – პირველი ხარისხი – 3 ფრანკზე მეტი ღირებულების (ფრანგ.)*

ბუტბუტი დაიწყო: აპოლონ აპოლონოვიჩივით ისიც თავის თავს ელაპარაკებოდა.

მეორე ოთახში საწერი მაგიდისკენ გავარდა, არაბულ ტაბურეტს წამოედო და იატაკზე გაიშხლართა; გაუკვირდა, მაგიდა დაკეტილი რომ არ დახვდა; მოღალატურად იკვეთებოდა ის უჯრაც; სანახევროდ გამოწეული; გულმა რეჩხი უყო, როგორ დარჩა დაუკეტავი? გამოსწია ის... და – და... არა, წარმოუდგენელია!

უჯრაში უწესრიგოდ ეყარა ნივთები, საკაბინეტო ზომის პორტრეტები; სასარდინე არსად ჩანდა; უჯრის ზემოთ აღბეჭდილიყო ვიღაცის გუგების სიფართოვისაგან ჩაშავებული თვალები; და იდგა ის საძინებელსა და ბიუსტს შორის; ბიუსტი, რა თქმა უნდა, კანტისა გახლდათ.

მერე კვლავ გამოსწია უჯრა; იქ ეწყო წერილებისა და სხვა ქაღალდთა შეკვრები; ყველაფერი ამოალაგა; მაგრამ... სასარდინე არ ჩანდა... ფეხიდან მოიცელა; იტალიური მოსასხამითა და კალოშებით მუხლებზე დაემხო და თავი გაოფლილ ხელებში ჩამალა; ერთხანს ასე გაყუჩდა: ბინდბუნდში უცნაურად მკვდრისფრად მოჩანდა თმათა ჩაჩი.

უცებ წამოხტა! კარადისკენ გაქანდა! გამოაღო კარი და ხალიჩაზე ათასგვარი ნივთი გადმოცვივდა; სასარდინე კი არ იყო; ქარიშხალივით აბორგდა ოთახში; ვაჟის მიზანსწრაფული მოძრაობა მისი უდიდებულესობის – მამამისისას – მოგაგონებდათ. ბედი აბუჩად იგდებდა; საწოლიდან (იქ ბალიშებქვეშ იქექებოდა) ბუხრისკენ წაბორიალდა; ხელები დაისვარა; მტევნებს წიგნებს შორის ყოფდა ქვედა თაროებზე; ტომები შარიშურით გადმოცვივდა.

სასარდინე კი არ ჩანდა.

მურითა და მტვრით დათხუპნილი ცხვირპირი უშედეგოდ დასჩერებოდა მთად დამდგარ საგანთა გროვას და ობობასებრი გრძელი თითებით, ხელის მტევნებიდან აქეთ-იქით რომ გარბი-გამორბოდნენ, იქექებოდა; იტალიური მოსასხამიდან გამოჩრილი ხელები ცქმუტავდნენ; ოფლიანი და მთრთოლვარე უთუოდ ბუზების შთანმთქმელ გაბერილ ობობას მოგაგონებდათ; ამგვარად, მოთვალთვალე გაჰკვეთს ხოლმე ნაზ ქსელს და აღმოაჩენს სახილველს: შეწუხებული ვეება მწერი კანკალით ეშვება ჭერიდან იატაკისკენ და იქ დაიწყებს ხოხიალს.

ამ დროს მოულოდნელად წაადგნენ თავს:

– ნიკოლაი აპოლონოვიჩ!..

ჩაჩოქილი ნიკოლაი აპოლონოვიჩი შემობრუნდა; დაინახა რა სემიონიჩი, იატაკზე გაშანშლულ ნივთებს მოსასხამი გადააფარა და ამით კვერცხებზე მჯდარ კრუხს დაემგვანა:

– მინდა მოგახსენოთ...

– როგორც ხედავთ, დაკავებული ვარ!

ყურებამდე გაღმეჭილი პირით იატაკზე დაფენილ კბილებდაკრეჭილ ლეოპარდს წააგავდა:

– წიგნებს ვალაგებ.

და ნიკოლაი აპოლონოვიჩი უნებურად წამოდგა: სახე გამურულ-გამჭვარტლული ჰქონდა; ელვისებურმა სიწითლემ გადაურბინა; სტუდენტური სერთუკის ნახევრად ჩამოხეული კალთისა და ზონარის გამო სასაცილოდ გამოიყურებოდა.

– დედა? ანა პეტროვნა?

– იქ არი... სასტუმრო ოთახში აპოლონ აპოლონოვიჩთან ერთად... ეს წუთია მობრძანდნენ...

ამ ოთახში სულ ცოტა ხნის წინ ის კიდევ იზრდებოდა თავის თავს მინდობილ ცენტრად – ცენტრიდან გამომდინარე ლოგიკურ წინაპირობად, ყველაფერს რომ განსაზღვრავს: სულაც, აზრსაც და თუნდაც – ამ სავარძელს; სულ ცოტა ხნის წინ ის სამყაროს ერთადერთ ცენტრად წარმოგვიდგებოდა; მაგრამ გავიდა ათი დღე; და მისი თვითშემეცნება სამარცხვინოდ ჩაეფლო ჩამოყრილ საგანთა ხუხულაში; ასე თეფშის კიდეზე თავის ექვს თათზე მორბენალი ბუზი თათებითა და ფრთებით მოუხელთებლად გაებმება ხოლმე წებოვან თაფლში.

– ჩჩ! სემიონიჩ, მისმინეთ, – ნიკოლაი აპოლონოვიჩი სემიონიჩის დასაწევად უცებ კარიდან გამოხტა, გადაახტა წაქცეულ ტაბურეტს და მოხუცის სახელოს ჩააფრინდა (ო, ეს მარწუხივით თითები!).

– საქმე ისაა... ხომ არ გინახავთ აქ... – დაიბნა, ჩაიკუზა და მოხუცის დარეფნიდან კარისკენ დაქაჩვას ლამობდა, – დამავიწყდა... აქ ასეთი რამ ხომ არ გინახავთ? აქ, კაბინეტში... საგანი – სათამაშო...

– სათამაშო?

– ბავშვის სათამაშო... სასარდინე...

– სასარდინე?

– ჰო, სათამაშო (სასარდინისმაგვარი) – მძიმე და დასაქოქი, საათივით რომ წიკწიკებს... აქ დავდე...

სემიონიჩი ნელა შებრუნდა, სახელო მისი თითებისგან გაითავისუფლა, წამიერად კედელს შეავლო თვალი (კედელზე მარტორქის ტყავის ზანგური ფარი ეკიდა); დაფიქრდა და ყოველგვარი პატივისცემის გარეშე მოუჭრა:

– არა!

– მე კი მეგონა...

დამიხედეთ: ოჯახში სიკეთეა, სიხარული; თვით ბატონი მინისტრიც კი გაცისკროვნებულია ასეთი შემთხვევის გამო... ეს კი... სასარდინეო... მძიმეო... დასაქოქიო... სათამაშოო; კალთაც ჩამოჰხევია!..

– ხომ არ მოვახსენო?

– ახლავე, ახლავე...

და კარი დაიხურა; ნიკოლაი აპოლონოვიჩი გახევდა, ვერ გაარკვია – სად იყო – მუქ ყავისფერ დაყირავებულ ტაბურეტთან, ნარგილეს მოწყობილობასთან; მის წინ კედელზე მარტორქის მონაცრისფრო-მოშავო ტყავისგან გაკეთებული ზანგური ფარი ეკიდა, გვერდით კი სუდანური ჟანგიანი ისარი მიეჭედებინათ.

არ იცოდა, რას სჩადიოდა; დასვრილი სერთუკის ახალთახლით გამოცვლას დაეჩქარა; მანამდე კი ხელებიდან და სახიდან ჭვარტლი მოიცილა; პირის ბანისას და ჩაცმისას იმეორებდა:

– ეს რა მოხდა, როგორ მოხდა... მართლაც და, სად გადავმალე...

ნიკოლაი აპოლონოვიჩს ბოლომდე ვერ გა-

ეცნობიერებინა თავს დამტყდარი საშინელება, სასარდინეს მოულოდნელი დაკარგვით რომ იყო გამოწვეული; კიდევ კარგი, მას ჯერ თავშიც არ მოსდიოდა, რომ მისი არყოფნისას ვიღაც შემოვიდა, საშინელი შიგთავსის მქონე სასარდინე გახსნა და წინასწარი განზრახვით გაარიდა.

ლაქიებს გაუკვირდათ

სახლები ისევ ისე მაღლდებოდა, ისევ ისე დიოდა ხალხის ნაცრისფერი ნაკადი, ისევ ისეთი მომწვანო-მოყვითალო ნისლი ჩამომდგარიყო; გაფაციცებული სახეები მიმოქროდა; ქვის ბუმბერაზთა – ჩამწკრივებულ სახლთა – ფერხთით ჩურჩულებდნენ და შარიშურობდნენ გამვლელები; მათ შესახვედრად კი პროსპექტს პროსპექტი მისდევდა; სფერული პლანეტის ზედაპირი თითქოს უხსენებელთა სალტეებით – მოშავო-მონაცრისფრო კვამლის ფთილებით – იყო შემოსაზღვრული; და პარალელურ პროსპექტთა ბადე მსოფლიო უსაზღვრობაში ფართოვდებოდა კვადრატებისა და კუბების ზედაპირით: თითო კვადრატი – თითო ობივატელს.

მაგრამ აპოლონ აპოლონოვიჩი თავის საყვარელ ფიგურა კვადრატს არ უმზერდა; ქვის პარალელეპიპედებისა და კუბების უაზრო თამაშს არ ეძლეოდა; დაქირავებული ეტლის რბილ ბალიშებზე მოქანავე მღელვარებით გადახედავდა ხოლმე ანა პეტროვნას, რომელიც თვითონვე მიჰყავდა თავის გალაქულ სახლში; მათი საუბარი ნომერში ჩაის სმისას სამუდამო საიდუმლოდ დარჩა სხვათათვის; ამ საუბრის შემდეგ მათ გადაწყვიტეს: ანა პეტროვნა ხვალ სანაპიროზე გადაბარგდებოდა; დღეს კი აპოლონ აპოლონოვიჩს ქალი შვილთან შესახვედრად მიჰყავდა.

და ანა პეტროვნა თავს უხერხულად გრძნობდა.

ეტლში ისინი არ ლაპარაკობდნენ; ქალბატონი სარკმლიდან თვალს ადევნებდა ნაცრისფერ პროსპექტებს, ორწელიწად-ნახევარი რომ არ ენახა: იქ სარკმელს მიღმა სახლების ნუმერაცია მოჩანდა; და ყოველივე წრეში ბრუნავდა; იქ – იქიდან, შორიდან შორს უღრუბლო დღეს თვალისმომჭრელად ბზინავდნენ: ოქროს შპილი, ღრუბლები, მეწამული დაისის სხივი; იქიდან – იქ ნისლისას – არავინ, არაფერი.

აპოლონ აპოლონოვიჩი, კუბში ყოფნით უსაზღვროდ კმაყოფილი, მიყრდნობოდა ეტლის კედელს: თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა; ანა პეტროვნა მხოლოდ ხანდახან თუ იჭერდა მის დაბნეულ, შეცბუნებულ, და თქვენ წარმოიდგინეთ, რბილ, სილურჯეში ჩაძირულ, გულუბრყვილო, გაუცნობიერებელ მზერას (ბავშვობას ხომ არ უბრუნდება?)

– აპოლონ აპოლონოვიჩ, ყური მოვკარი, მინისტრად გადაჰყავხართ.

მაგრამ აპოლონ აპოლონოვიჩმა შეაწყვეტინა:

– ანა პეტროვნა, ახლა საიდან ჩამობრძანდით?

– მე... გრენადიდან...

– დიახ, დიახ, დიახ... – ცხვირი მოიხოცა და დაამატა... – გეცოდინებათ ალბათ, სამსახურებრივი საქმეები, უსიამოვნებები.

და რა მოხდა? ხელზე თბილი ხელი შეეხო: მას ხელზე ხელი გადაუსვეს...ჰმ-ჰმ-ჰმ: აპოლონ აპოლონოვიჩი დაიბნა; თავი უხერხულად იგრძნო და თითქოს შეშინდა კიდეც; არც ესიამოვნა ჰმ-ჰმ: თხუთმეტი წელი მაინც იქნებოდა, ასე არავინ მოქცევია.

ხელიც გადაუსვა... უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ საქციელს ამ პიროვნებისაგან არ მოელოდა... ჰმ-ჰმ...(გასული ორწელ-ნახევრის განმავლობაში აპოლონ აპოლონოვიჩი ამ ქალბატონს მსუბუქი ყოფაქცევის... ქალად... თვლიდა!)

– აი, უნდა გადავდგე კიდეც...

მერე: მთრთოლვარე ეტლთა ფრენა-გრუხუნი! საავტომობილო რულადის მელოდიური ხმები! და – პოლიციელთა განაწესი!..

იქ, სადაც მქრქალი ნაცრისფერი სინოტივე გაკიდულიყო, ჯერ სადაფისფრად გამოჩნდა, ხოლო შემდეგ სრულიად გამოიკვეთა ჭუჭყისფერი, მოშავო-მონაცრისფრო ისაკის ტაძარი... მერე კვლავ ნისლში ჩაიძირა. და გადაიხსნა სივრცე: სიღრმე, მომწვანო მორევი, საითაც ბინდისფერი ხიდი მიიჩქაროდა, სადაც ნისლს დაეფარა მრავალმილიანი შორეთი და, საიდანაც ღრუბელთა ტალღა მოჰქროდა.

და მართლაც, ლაქიებს მეტად გაუკვირდათ!

მერე წინკარში მორიგე ბიჭი – გრიშკა ყველას მოუთხრობდა:

– ვზივარ და ვითვლი დღეებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის დღიდან ღვთისმშობლის შობამდე... ესე იგი, გამოდის, რომ... ღვთისმშობლის შობიდან – წმიდა ნიკოლოზობამდე.

– ეი, ღვთისმშობლის შობავ, მოგვიყევი!

– კარგი; ვითვლი და მობრძანდნენ; კარს მივვარდი, გავაღე და ოი, ღმერთო! იქ თვითონ ბატონი ბრძანდება დაქირავებული ეტლით; და ასაკოვანი ქალბატონი ვატერპრუფით.

– რა ვატერპრუფი, სულელო, ვატერპრუფს ვინ ატარებს.

– ერთი სიტყვით – კაბით... ბატონი ჩამოხტა და ქალბატონს ხელი მიაწოდა: კავალერისებურად დაეხმარა.

– უყურე შენ...

– ერთი შენც...

– მგონი, ორი წელია, ერთმანეთი არ უნახავთ, – გაისმა ხმები აქეთ-იქიდან.

– რა თქმა უნდა, ქალბატონი ეტლიდან გადმობრძანდა; მაგრამ თავის თავს არ ჰგავდა; ხელით ნიკაპს შეეხო; ხელთათმანი დაუკემსავი ეცვა; იქნებ, ესპანეთში არც კემსავდნენ მათ.

– კარგი!..

– ჩვენმა ბატონმა, აპოლონ აპოლონოვიჩმა, კი მედიდურობა ჩამოიცილა: ეტლთან, წუმპეში, წვიმაში იდგა; – ღმერთო ჩემო! ქალბატონი ისე ჩამოემხო მის ხელს, რომ ბატონმა თითქმის ჩაიჩოქა; სად შეუძლია ამგვარი სიმძიმის შეკავება-მეთქი, გავიფიქრე!

– ნუ ბეუტურობ!

– მე ეს დავინახე და... თუმცა სათქმელიც არაფერია... აი, მიტრი სემიონიჩიც მოგიყვებათ!

– მერე რა მოხდა?

– დაბერდა... პირველად ვერც კი ვიცანი; მერე კი მივხვდი, ვინც იყო, რადგან ჯერ ისევ მახსოვს, ძღვენს რომ მიგზავნიდა.

მართლაც და!

ანა პეტროვნა და აპოლონ აპოლონოვიჩი ერთმანეთთან საუბრით აღელვებულნი ჩანდნენ; და გალაქულ სახლში ფეხის შედგმისას გრძნობები არ გადმოუფრქვევიათ; აპოლონ აპოლონოვიჩმა ცხვირი მოიხოცა და ჟანგიანი აფთის ქვეშ ქილვაშებში აფრუტუნდა. ანა პეტროვნა თავის დაკვრაზე პასუხობდა ლაქიებს; სემიონიჩს კი გადაეხვია და კინაღამ აზლუქუნდა, მაგრამ... მაგრამ ცხვირსახოცი ვერ მონახა.

აპოლონ აპოლონოვიჩს გულგრილად ეჭირა თავი: მერე რა მოხდა! ძალიანაც კარგი!

თუმცა აქ იყო ერთი ლაქია, რომელსაც ახსოვდა, თუ როგორ გაემგზავრა ქალბატონი საზღვარგარეთ – მას ხელში საკვოიაჟი ეჭირა; წინა ღამეს კი მან ბატონს კარი ჩაუკეტა: მაშინ სწორედ ის ულვაშიანი გახლდათ მასთან; რა ერქვა? მინდალინი „ტრა-ლა-ლას" რომ მღეროდა... და ხურდასაც რომ არ იმეტებდა.

აი, ისინი დარბაზში ბრძანდებიან; აქ იშვიათად ათბობდნენ; აპოლონ აპოლონოვიჩი უფრო ხშირად თავის კაბინეტში იჯდა; ახლა კი გაიფიქრა, რომ მარტო აღარ არის და აქ... გალაქულ კვადრატებზე ანა პეტროვნასთან ერთად უნდა იაროს.

ნიკოლენკასთან ერთად ამ კვადრატებზე იშვიათად დადიოდა, უფრო სწორად, არც უვლია.

ხელის რკალისებური მოძრაობით ქალი დარბაზში გაატარა; მერე ანა პეტროვნამ შეაჩერა და მქრქალ ფერწერაზე მიუთითა:

– აპოლონ აპოლონოვიჩ, გახსოვთ ეს ფრესკა?

– რა თქმა უნდა!..

– სად?

ოცდაათი წლის წინანდელმა მოგონებამ ნისლოვან ლაგუნაზე, შორიდან მკვნესარმა არიამ ერთიანად შეიპყრო. ქალსაც გაახსენდა; ყველაფერთან ერთად – ის ოცდაათი წლის წინანდელი გაორებაც; და – კოლენკა...

– კოლენკა...

ამ დროს სასტუმრო ოთახში შეაბიჯეს; და თვალში ეცათ ფაიფურის ნაკეთობები, სადაფისა და ბრინჯაოს ინკრუსტაციები.

– კოლენკას არა უშავს რა... არა უშავს... ცხოვრობს... – თქვა და გვერდით გადგა.

– მაშ, რატომ არ მოვიდა ჩემთან?

– ანა პეტროვნა, ის... მე-ემე... თავის მხრივ, ძალიან, ძალიან, – სენატორს ენა უცნაურად დაება, ცხვირსახოცი ამოიღო და დიდხანს იწმენდდა ცხვირს.

– მოხარული გახლდათ.

სიჩუმე ჩამოვარდა, და გრძელფეხება ბრინჯაოს ქანდაკების ძირას მელოტი თავი ათრთოლდა.

ზარის ხმაზე სემიონიჩი გამოჩნდა:

– ნიკოლაი აპოლონოვიჩი შინ არის?

– დიახ...

– მისმინეთ... გადაეცით, რომ ანა პეტროვნა ჩვენთანაა!

– იქნებ ჩვენ მივიდეთ მასთან, – ამოელდა ქალი, მაგრამ აპოლონ აპოლონოვიჩი სემიონიჩისკენ შებრუნდა და ანა პეტროვნას გააწყვეტინა:

– მე-ემე... სემიონიჩ მინდა გათხრათ...

– დიახ, გისმენთ!..

– ქალდეველის შვილი – მგონი – იქნება?..

– ქალდეველი...

– არა, ქალდუნა!..

– ჰე-ჰე-ჰე...

– ნუ ღელავთ, კოლენკა ცოტა უცნაურად... – ხომ გითხარით, ნუ ღელავთ-მეთქი – იქცევა...

– ?

ოქროსფერი ტრიუმოები თავისი სარკისებრი ზედაპირით იაქთაღებიდან მთელ სასტუმრო ოთახს ნთქავდნენ.

– კოლენკა გულჩათხრობილი გახდა... თხ-თხე, – აპოლონ აპოლონოვიჩმა ჩაახველა, თითები მაგიდაზე აათამაშა, რაღაც გაახსენდა, წარბები შეჰყარა და ცხვირი მოისრისა; თუმცა უცებ მოეგო გონს და გადაჭარბებული ხალისით ამოიძახა:

– თუმცა – არა, არაფერია ისეთი...

სრული უაზრობა გახლდათ

ნიკოლაი აპოლონოვიჩი ძლივს ერეოდა ძლიერ ტკივილს მუხლის სახსარში (ისე დაეზიანებინა), კოჭლობით მირბოდა დერეფანში.

აზრთა და მოსაზრებათა გრიგალმა დაბინდა; უფრო სწორად, აზრთა კი არა – უაზრობათა გრიგალმა; აბლეუხოვის თავში თუნდაც წამით რომ შეეჩერებინათ ატეხილი ქარიშხალი, იქნებ უაზრობა აზრად გადაქცეულიყო.

აი, ასიც:

აზრი მისი მდგომარეობის შესახებ; ახლა (სასარდინეს დაკარგვის გამო) უფრო საშიში მდგომარეობა შეიქმნა; სასარდინე, ესე იგი, ბომბი დაიკარგა; შეიძლება დავასკვნათ, რომ ვიღაცამ გაიტანა; და მას დააპატიმრებენ; თუმცა ეს როდია მთავარი; ბომბი თვითონ აპოლონ აპოლონოვიჩმა წაიღო; და წაიღო მაშინ, როცა ბომბის საქმე უკვე მოთავებული იყო; და მან ყველაფერი იცის.

რას ნიშნავს ყველაფერი? არც არაფერი ყოფილა. არც მკვლელობის გეგმა ყოფილა; ნიკოლაი აპოლონოვიჩი ყოველივეს უარყოფს: ის გეგმა ცილისწამებაა.

რჩება ფაქტი – ბომბი.

რადგან მამა უხმობს და დედაც იქ არის – არა, მან არ შეიძლება იცოდეს ეს. – ბომბი მას არ გაუტანია ოთახიდან. არც ლაქიებს წაუღიათ... ლაქიები დიდი ხნის წინ გააცხადებდნენ ამას. არავინ არაფერი იცის. ბომბის შესახებ არაფერი იციან. აბა, მაშ, რა იქნა? ნამდვილად უჯრაში შეტენა, თუ უნებურად, მექანიკურად, სადმე ხალიჩის ქვეშ ამოდო:

ასეთი რამ არასოდეს დამართნია.

ერთი კვირის შემდეგ ბომბი თვითონ გამოჩნდება... თუმცა არა: დღესვე საშინელი გრგვინვით

დაადასტურებს თავის არსებობას (გრგვინვას კი აბლეუხოვები ვერ იტანდნენ).

იქნებ ხალიჩის ან ბალიშის ქვეშ, ანდა თაროზე დაიგრგვინებს და გასკდება; ბომბის პოვნაა საჭირო; მის მოსაძებნად დრო აღარ რჩება – ანა პეტროვნაა აქ.

ოჰ, ყველაფერი აიხლართა: არაადამიანური სისწრაფით ქარბორბალასავით ტრიალებდნენ აზრები და თან ყურები ისე წიოდა, თითქოს ეს აზრები არც არსებობდა.

თავში უაზრობა თუხთუხებდა და ნიკოლაი აპოლონოვიჩი მირბოდა, თან კოჭლობდა – მარჯვენა მუხლის სახსარი სტკიოდა.

დედა

პირველი, რაც მან შენიშნა, იყო... იყო... არ ვიცი, როგორ ვთქვა და – დედის სახე; სახე მობერებული, ხელები (ახლახანს სარკმლებს მიღმა დანთებული ფარნების ოქროსფერ მაქმანებში) აკანკალებული.

– კოლენკა, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო!

ვერ მოითმინა და მისკენ გაქანდა:

– ეს შენ ხარ, ჩემო ბიჭუნა...

ვერ მოითმინა, მის წინ ჩაიჩოქა და ხელები შემოხვია; მუხლებთან მიეკრა; და კრუნჩხვის მაგვარი ქვითინი აღმოხდა; არავინ იცოდა, რატომ ტიროდა; მხრები უთრთოდა (ბოლო წლების განმავლობაში მას ალერსი არ უგრძვნია).

– დედიკო...

და ტიროდა.

აპოლონ აპოლონოვიჩიც იქვე იდგა ნიშის ბინდბუნდში; ხელით ჩინელს – ფაიფურის თოჯინას – ეხებოდა, ის კი თავს აქიცინებდა; ამ დროს აპოლონ აპოლონოვიჩი ბინდბუნდიდან გამოვიდა; ჩუმად აკიკინდა; პაწია ნაბიჯებით მათკენ გაემართა; და უცებ აგუგუნდა:

– დამშვიდდით, მეგობრებო!

მართალი გითხრათ, გრძნობათა ასეთ ფრქვევას გულჩათხრობილი ვაჟისგან არ მოელოდა; ორი წლის განმავლობაში მხოლოდ მის მანჭვას უყურებდა; ყურებამდე გახეულ პირსა და დახრილ თვალებს; და აპოლონ აპოლონოვიჩი დაქიჩმაჩებული გაიქცა რაღაცის მოსატანად.

– დედიკო...

– ჩემო ბიჭუნა, საყვარელო.

ხელზე თითების შეხებამ გონს მოიყვანა:

– აი, კოლენკა, წყალი მოსვი.

და როცა მან დედის მუხლებს ნამტირალევი სახე მოაცილა, სამოცდარვა წლის მოხუცის ბავშვურ მზერას წააწყდა – პაწიაპიჯაკიანი აპოლონ აპოლონოვიჩი იდგა და ხელში წყლიანი ჭიქა ეჭირა; თითები უცეკვავდა; ცდილობდა ხელი მოეთათუნებინა ბეჭებზე, ლოყებზე; უცებ თეთრ-სელისფერ თმაზეც გადაუსვა ხელი. ანა პეტროვნა იცინოდა; და საყელოს უაზროდ აწვალებდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი წამოიმართა:

– მაპატიე, დედილო: ეს ისე. რა...

– მე ახლავე მოვალ...

წყალი მოსვა.

აპოლონ აპოლონოვიჩმა სადაფის პატარა მაგიდაზე ჩამოდგა ჭიქა; უცებ ბებრულად გადაიხარხარა; ასე პატარა ბიჭები იცინიან ხოლმე ხუმარა ბიძის მასხრობისას:

– ასე...

– ასე...

ნიკოლაი აპოლონოვიჩი იდგა ტრიუმოსთან, რომელსაც ოქროს ლოყება ამური თავისი ფრთებით აგვირგვინებდა; ამურის ქვეშ კი დაფნასა და ვარდებს ჩირაღდნების მძიმე ალი ასხივოსნებდა; ხსოვნაში მაინც წამოტივტივდა: სასარდინე! აღფრთოვანება გადატყდა მასში:

– მე – ახლავე... მოვალ...

– რა დაგემართა, ჩემო ძვირფასო?

– თავი დაანებეთ, ანნა პეტროვნა... კოლენკა, გირჩევ განმარტოვდე... ხუთი წუთით... მერე კი... მერე მოდი...

და ცოტა ხნის წინანდელი აღმაფრენის სიმულაციის მიზნით, ნიკოლაი აპოლონოვიჩი გადაქანდა და როგორღაც თეატრალურად ჩარგო სახე თავის თითებში; თმის ჩაჩი უცნაურად გადამკვდრისფერდა.

და ბარბაცით გავიდა ოთახიდან.

– დიახ, დიახ... მართალი გითხარათ, ვერც კი ვიცანი... ეს... ასე ვთქვათ, გრძნობები... – სარკესთან მდგარმა აპოლონ აპოლონოვიჩმა ფანჯრის რაფისკენ გადაინაცვლა... – ეს... ეს აღმაფრენა, – და ქილვაშები ხელით აიშალა.

– ეს მიგვითითებს, – მკვეთრად შებრუნდა, ცერებზე აიწია და მთელი სხეულით დაეშვა ქუსლებზე, – მიგვითითებს, – ხელები ზურგზე დაიწყო (უფრო სწორად, პიჯაკის ქვეშ ამოიწყო) და აათამაშა (რის გამოც პაწია პიჯაკმა რხევა დაიწყო); გეგონებოდათ, აპოლონ აპოლონოვიჩი სასტუმრო ოთახში კუდის ქიცინით დარბისო:

– მიგვითითებს გრძნობათა ბუნებრიობასა და, ასე ვთქვათ, – აქ მან მხრები აიჩეჩა, – მისი ბუნების კეთილ თვისებებზე...

– არაფრით არ ველოდი...

უეცრად ქმრის ყურადღება მაგიდაზე დადებულმა სათუთუნემ მიიპყრო, და მოესურვა რა შეეცვალა მისი მდებარეობა, გადაეწია ლანგრისკენ, მივიდა იმ მაგიდასთან; ხელი დაავლო... ლანგარზე დაგდებულ სავიზიტო ბარათს და თითებში შეათამაშა; ამ დროს მიეძალა ფიქრი, რომელიც უცხო აღმოჩენათა ლაბირინთში გაიშალა. სავარძელზე ჩამომჯდარმა ანა პეტროვნამ კი შენიშნა:

– მე მუდამ ვამბობდი...

– დიახ, და იცი...

აპოლონ აპოლონოვიჩი წამოდგა და მაგიდიდან სარკისკენ გავარდა:

– იცით...

სარკიდან – კუთხისკენ:

– მართალი გითხრათ, კოლენკამ გამაკვირვა: და ვაღიარებ, დამამშვიდა კიდეც, – შუბლი შეჭმუხნა, – ყველაფერი შედარებითია... შედარებითი, – ხელები ზურგიდან ჩამოიღო და მაგიდაზე აათამაშა:

– მდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაწყვეტინა:
– არა უშავს, რა.
და შეფიქრიანდა.

და გუგუნებდა რულადა

ნიკოლაი აპოლონოვიჩი თავის ოთახში შევიდა; არაბულ ტაბურეტს შეაჩერდა – ძვლისა და სადაფის ინკრუსტაციას აკვირდებოდა; ნელა მიუახლოვდა სივრცისკენ მიმართულ სარკმელს: იქ მდინარე მიედინებოდა; ნავი ქანაობდა და წყლის ჭავლი ირხეოდა; სადღაც შორიდან – სასტუმრო ოთახიდან – სწრაფმა რულადამ აახმიანა სიჩუმე; ასე უკრავდნენ წინათაც: ხშირად ამ ბგერათა მოსმენისას ჩასძინებია.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი საგანთა გროვას თავს დასდგომოდა, ძლივს აზროვნებდა.

– სად არის... რა მოხდა... მართლა და მართლა, სად უნდა წასულიყო?

ვერ გაეხსენებინა.

და ჩრდილები, ჩრდილები: ბინდბუნდში სავარძლები მწვანედ ხასხასებდა; იქ ბიუსტიც გამოკრთა, რა თქმა უნდა, კანტისა.

ამ დროს მან ოთხად გაკეცილი ფურცელი შენიშნა; პატრონის იქ არყოფნისას მომსვლელები მაგიდაზე ფურცლებს ტოვებენ ხოლმე; მექანიკურად დაავლო ხელი ქაღალდს; და დაინახა ნაცნობი, ლიხუტინისეული ხელწერა. ჰო, სულ გადაავიწყდა, რომ მისი არყოფნისას აქ ლიხუტინი ბრძანდებოდა, იჩხრიკებოდა და იქექებოდა.

ოთახს ჩხრეკდა.

შვების ოხვრა აღმოხდა. ყველაფერი გაირკვა – ლიხუტინი! რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, აქ იქექებოდა; ეძებდა და იპოვა; იპოვა და თან წაიღო; დასაკეტი უჯრა დაინახა და მერე შიგაც ჩაიხედა; სასარდინემ აღაშფოთა თავისი შესახედაობით, წონითა და საათის მექანიზმით; ჰოდა, სასარდინე პოდპორუჩიკმა წაიღო. ეჭვი აღარ რჩებოდა.

სავარძელზე შვებით დაეშვა; სიჩუმე სწრაფმა რულადამ გაჰკვეთა; ადრეც ასე იყო – ასე, ცხრა წლის წინ – იქიდან რულადა მოჰქროდა; დიახ, ცხრა წლის წინ ანა პეტროვნა ასევე უკრავდა შოპენს (და არა შუმანს). და მოეჩვენა, რომ არც არაფერი მომხდარა: უცებ გაირკვა ყველაფერი – სასარდინე პოდპორუჩიკმა ლიხუტინმა წაიღო (აბა, მაშ ვინ; სხვა რაღა უნდა ვიფიქროთ, ან... რატომ უნდა ვიფიქროთ!); დანარჩენს ალექსანდრ ივანოვიჩი მოაგვარებს (ჩვენ გვახსოვს, თუ აგარაკზე ამ დროს რა საუბარი გაიმართა ალექსანდრ ივანოვიჩ დუდკინსა და აწგარდაცვლილ ლიპპანჩენკოს შორის); დიახ, არაფერი მომხდარა.

სარკმლებს მიღმა კი ელვარე პეტერბურგი თავისი მტირალი სივრცით თან სდევდა ტვინის თამაშს; ცივი, ნესტიანი ქარი უტევდა იქიდან; ხიდქვეშ ნისლში იძირებოდა ვეება ბრილიანტთა ბუდეები.

მიედინებოდა მდინარე; წყლის ჭავლი ირხეოდა; და ნავი ქანაობდა და გუგუნებდა რულადა.

ორწელიწად-ნახევრის შემდეგ ერთად სადილობდნენ.

გუგული გუგულებდა; ლაქიამ ორთქლიანი საწვნე შემოიტანა; ანა პეტროვნა კმაყოფილებით ბრწყინავდა; აპოლონ აპოლონოვიჩი კი... უნდა ითქვას, ჯერ კიდევ დილით მომჩვარულ მოხუცს რომ წააგავდა, წლები ჩამოეცილებინა; ვერ იცნობდით – გაძლიერებულიყო, გაჯგიმულიყო; და ზამბარისებრი მოძრაობით ხელსახოცს იღებდა; ისინი წვნიანს შეექცეოდნენ; ამ დროს გვერდითა კარმა გაიჭრიალა: ოდნავ პუდრშეფრქვეული, გაპარსული, სუფთად გამოწყობილი ნიკოლაი აპოლონოვიჩი შემოცანცალდა და თავისი ვეება საყელოიანი (ალექსანდრეს დროინდელ – ძველებურ საყელოს რომ მოგაგონებდათ) სერთუკით ოჯახს შეუერთდა.

– Mon cher, – ანა პეტროვნამ ცხვირზე პენსნე აიწია და აფექტაციურად წამოიძახა, – რატომ კოჭლობ?

– ა?.. – აპოლონ აპოლონოვიჩმა მზერა კოლენკაზე გადაიტანა და ხელი საპილპილეს დაავლო.– მართლაც... – და წვნიანზე პილპილის დაყრას მოჰყვა.

– ოჰ, მამან; წავიფორხილე და... მუხლი მტეხს...

– ტყვიის საფენი ხომ არ გჭირდება?

– ა, კოლენკა, – აპოლონ აპოლონოვიჩმა წვნიანით სავსე კოვზი პირთან მიიტანა და შუბლის ქვეშიდან გახედა, – მუხლქვეშა სახსრის დაზიანებას ნუ ეხუმრები; გამიზეზება იცის...

და ერთი კოვზი წვნიანი გადაყლაპა.

– დედობრივი გრძნობა, – ანა პეტროვნამ თავისი ბავშვური, დიდი თვალები გადმოკარკლა და თავი კისერს ჩამოაყრდნო, – ისე კი გასაკვირია, ბიჭი გაიზარდა, მაგრამ მე მაინც ვწუხვარ მის გამო...

რა თქმა უნდა, უკვე დავიწყებოდა, რომ ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში კოლენკაზე არ უფიქრია; კოლენკა გრძელულვაშა, ქლიავივით შავთვალება ადამიანმა დაჩრდილა, უცხო მამაკაცმა, რომელსაც იქ, ესპანეთში, ყოველდღიურად ყელზე აბრეშუმის იასამნისფერ ჰალსტუხს უფსკვნიდა, და გუნიადი-იანოს სასაქმებელს ასმევდა.

– დედობრივი გრძნობა... გახსოვს, დეზინტერიის დროს...

– სწორედ, სწორედ...

– დიზენტერიის შედეგები, – თეფშიდან თავაუღებლად ჩაიდუდუნა აპოლონ აპოლონოვიჩმა, – როგორც ჩანს, ახლაც არ გასვენებს?

– და მსურს მოგახსენოთ, რომ... ხილი... დღემდე სწყენს, – გაისმა სემიონიჩის ხმა; ის კარიდან უმზერდა მათ.

– ხილი! – აბუბუნდა აპოლონ აპოლონოვიჩი და მოულოდნელად მთელი კორპუსით სემიონიჩისკენ შებრუნდა:

– ხილი! – ტუჩები ააცმაცუნა მან.

ლაქიამ, რომელიც ემსახურებოდა (და არა სემიონიჩმა) მიხვედრილივით გაუღიმა, თითქოს რაღაცის გამხელა სურდა:

– ახლა – ეს მითხარით!

– მიბრძანეთ ერთი, სემიონიჩ: საზამთრო ხილია?“

– საზამთრო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ხილი კი არა, ბოსტნეულია.

მაგრამ მთელი კორპუსით შებრუნებულმა აპოლონ აპოლონოვიჩმა – აი, აი, აი! – თავისი ექსპრომტი ამოთქვა:

სემიონიჩ, ჩემო ძველო,
გამხმარი ხარ ნაზუქი
და მელოტი თავის სფერო
გახლავთ ამის თამასუქი.

სადილის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ოდნავ განათებული დარბაზის კიბეზე სცემდა ხოლმე ბოლთას; ისიც მთვარითა და ფარნის მაქმანით ოდნავ, სულ ოდნავ, იყო განათებული; აპოლონ აპოლონოვიჩი დღესაც ასე დაიარებოდა იატაკის კვადრატებზე; მასთან ერთად კი ნიკოლაი აპოლონოვიჩიც დასეირნობდა; ისინი ჯერ ჩრდილიდან მაქმანისებრი ნათებისკენ, შემდეგ კი ფარნის მაქმანისებრი ნათებიდან ჩრდილისკენ მიაბიჯებდნენ. მძიმედ დახრილი თავითა და უჩვეულოდ მიმნდობი სილბოთი ეუბნებოდა აპოლონ აპოლონოვიჩი – არ ვიცი – შვილს, არ ვიცი – საკუთარ თავს:

– იცი... იცი, რა ძნელია სახელმწიფოებრივი ჩინის ტარება.

მერე ერთად შემოტრიალდნენ.

– ყველას ვაფრთხილებდი, ამერიკული ძნასაკონი მანქანების შემოტანის ხელშეწყობა არც ისე მარტივი ამბავია-მეთქი; ამაში უფრო მეტ ჰუმანურობას ვხედავდი, ვიდრე გაუთავებელ ლაყბობაში... სახელმწიფო სამართალი გვასწავლის, რომ...

ისინი პარკეტის კვადრატთა მობუბუნე იატაკზე უკან ბრუნდებოდნენ; ჩრდილიდან მთვარის ათინათისკენ მიაბიჯებდნენ.

– ჰუმანური საწყისები ჩვენ მაინც გვჭირდება; და საერთოდ, ჰუმანიზმი დიდებული რამაა, თან ისეთ დიდმოღვაწეთა გონებაში გამოტანჯული, როგორიც ბრუნო, ან...

კიდევ დიდხანს დაბორიალებდნენ ასე.

აპოლონ აპოლონოვიჩი მეტად გაბზარული ხმით საუბრობდა; ხანდახან ორი თითით ებღაუჭებოდა ვაჟის სერთუკის ღილს და ტუჩებით მისი ყურისკენ მიიწევდა.

– კოლენკა, ისინი მხოლოდ ლაქლაქებენ: ჰუმანურობა, ჰუმანურობაა!.. ძნასაკონ მანქანებში უფრო მეტი ჰუმანიზმია, ძნასაკონი მანქანები უფრო საჭიროა!..

თავისუფალი ხელი შვილის თხელ წელს შემოხვია და სარკმლისკენ, კუთხეში გაიზიდა; ბურტყუნებდა და თავს აქნევდა; ისინი მას ანგარიშს არ უწევენ, უბრალოდ, არ სჭირდებათ:

– იცი, გადამაბიჯეს!

ნიკოლაი აპოლონოვიჩს არ სჯეროდა; კი მაგრამ, როგორ – ახსნა-განმარტებების, ქარიშხლისა და აღსარების გარეშე; – ეს ჩურჩული კუთხეში, ეს ალერსი.

ამდენი წლის განმავლობაში რატომ...

– აი, ასე, კოლენკა, ჩემო მეგობარო, გულახდილნი ვიყოთ ერთმანეთთან...

– რა? არ მესმის...

სარკმლებს მიღმა პატარა გემის გიჟურმა სტვენამ გაინავარდა; გემბანის აელვებული ფანრანი გეზად მიჰქროდა ნისლში; ძოწისფერი რკალები ფართოვდებოდა. მძიმედ დახრილი თავითა და უჩვეულოდ მიმნდობი სილბოთი ესაუბრებოდა აპოლონ აპოლონოვიჩი –არ ვიცი – შვილს, არ ვიცი – საკუთარ თავს. ისინი ჯერ ჩრდილიდან ფარნის მაქმანისებრი ნათებისაკენ, შემდეგ კი ფარნის მაქმანისებრი ნათებიდან ჩრდილისკენ მიაბიჯებდნენ.

ჩია მელოტმა, მოხუცმა აპოლონ აპოლონოვიჩმა, ოდნავ რომ ანათებდა ჩამწვარი ქვანახშირის მფეთქავი ნათება, სადაფის მაგიდაზე პასიანსის გაშლა დაიწყო. ორწელიწად-ნახევარია, რაც მას პასიანსი არ გაეშალა; ანა პეტროვნას ის ასეთად აღბეჭდოდა მეხსიერებაში; ყოველივე ეს ორ წელიწად-ნახევრის წინ მოხდა, იმ ავბედით საუბრამდე; მელოტი, ჩია სხეული ამავე მაგიდასთან იჯდა და პასიანსს შლიდა.

– ათიანი...

– არა, ჩემო კარგო, უკვე გადავდე... ანა პეტროვნა, გაზაფხულზე პროლიოტნოეში ხომ არ გავმგზავრებულიყავით (პროლიოტნოე აბლეუხოვების მამული გახლდათ. ოცი წელი იქნებოდა, რაც აპოლონ აპოლონოვიჩი იქ არ ყოფილა).

ორმოცდაათი წლის წინათ ტყის დაკბილულ თხემზე, თოვლისა და ყინვის ჟამს ვიღაცის ცივმა თითებმა მკერდზე მიუალერსა; ხელი თავისკენ იხმობდა; მის უკან უსაზღვრობაში მიჰქროდნენ საუკუნენი; წინ – ყინულის მარჯვენა ფარდას ხდიდა უსასრულობას; მერე უსაზღვრობანი ერთმანეთის შესახვედრად დაიძრნენ; დიახ, მათთან ერთად ყინულის ხელიც!

და აი, მან დნობა იწყო.

აპოლონ აპოლონოვიჩმა სამსახურის მიტოვების შემდეგღა გაიხსენა მაზრის დაობლებული სივრცეები, სოფლების კვამლი; და – ჭილყვავი; და მიეძალა სურვილი, მოენახულებინა ეს სოფლის კვამლიც... და – ჭილყვავიც.

– წავიდეთ პროლიოტნოეში: იქ ბევრი ყვავილია.

ანა პეტროვნა კი კვლავ გაიტაცა ალგამბრიის სასახლეთა მშვენიერებაზე თხრობამ; მაგრამ თხრობის დროს, აღფრთოვანებისას თავს კარგავდა და „მეს“ ნაცვლად „ჩვენს“ ხმარობდა; „ჩვენ“ ესე იგი „მე“ და მინდალინი (ან უფრო სწორად, მანტალინი).

– დილით, სახედრებშებმული მშვენიერი ეტლით ჩავედით; ეტლს, კოლეჩკა, აი, ასეთი პომპონები ჰქონდა ჩამოკონწიალებული; და იცით, აპოლონ აპოლონოვიჩ, ბოლოს მივეჩვიეთ კიდეც...

აპოლონ აპოლონოვიჩი უსმენდა და თან ბანქოს ქაღალდს აწყობდა; შემდეგ მიატოვა – პასიანსი არც კი დაუსრულებია; ღია წითელი მუგუზალით განათებული, მოიკუზა; რამდენჯერმე ხელით შეეხო ამპირის სავარძლის სახელურებს, წამოხტომას აპირებდა, მაგრამ დროზე ხვდებოდა, რომ უტაქტოდ იქცეოდა – სიტყვათა ნაკადს აბრკოლებდა, სავარძელზე ეცემოდა და ამთქნარებდა.

ბოლოს ალერსიანად შენიშნა:

– უნდა ვაღიარო, რომ დავიღალე...

და სავარძლიდან სარწეველაზე გადაჯდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩმა დედის სასტუმრომდე გაცილება მოისურვა; ოთახიდან გასვლისას მთელი კორპუსით მამისკენ შებრუნდა; და სარწეველაზე ქანაობისას შენიშნა (ან იქნებ მოეჩვენა) მისკენ მიპყრობილი სევდიანი მზერა; აპოლონ აპოლონოვიჩი თავის ქიცინითა და ფეხის მოძრაობით აქეთ-იქით ქანაობდა; ეს მისი უკანასკნელი გაცნობიერებული აღქმა გახლდათ; მართალი გითხრათ, მამა აღარც უნახავს; ეს გამოხედვა თან სდევდა ზღვაზე, მთაში, ქალაქებში, ევროპის მნიშვნელოვან მუზეუმთა თვალისმომჭრელ დარბაზებში; და ეჩვენებოდა, რომ აპოლონ აპოლონოვიჩი განზრახ ემშვიდობებოდა ასე – თავის ქიცინითა და ფეხის მოძრაობით; ელანდებოდა: მოხუცის სახე და სარწეველას უჩუმარი ჭრიალი; და – გამოხედვა, გამოხედვა!

საათი

დედა სასტუმრომდე მიაცილა; მერე მოიკაზე გადაუხვია; სახლის სარკმლებში წყდიადი ჩამოწოლილიყო: ლიხუტინები შინ არ იყვნენ; რაღა დარჩენოდა, სახლისაკენ გასწია.

ძლივს მილასლასდა საწოლ ოთახამდე; კარგა ხანს ბინდში იდგა; ირეოდნენ ლანდები, ლანდები და ფარნის ნათელი მაქმანები; ჩვეულებისამებრ, მოიხსნა მაჯიდან საათი და დახედა – სამი იყო.

ყველა ფიქრი აეშალა.

მიხვდა, რომ შიში ვერ დაეძლია; ამ საღამოს დაუფლებული რწმენაც სადღაც გამქრალიყო; ყოველივე მყიფე შეიქნა; ბრომის მიღება სურდა, მაგრამ აღარ აღმოაჩნდა; „გამოცხადების“ წაკითხვა უნდოდა, აღარც „გამოცხადება“ იყო სადმე; ამ დროს ყურთასმენას შემაშფოთებელი ხმა მისწვდა: ტიკი-ტაკ, ტიკ-ტაკ – მოისმოდა ყრუდ: სასარდინე!

აზრი თანდათან განმტკიცდა.

მაგრამ ეს როდი ტანჯავდა; ტანჯავდა სხვა რამ – ძველი და მთელი დღის განმავლობაში მივიწყებული; ღამით კი კვლავ აღმოცენებული:

– პეპპ პეპპოვიჩ... პეპპი...

მეოთხე განზომილებიდან თუ გამოჩნდა უზარმაზარ სიდიდემდე დაჟიებული ყვითელი სახლი; ის კი დაბორიალებდა ოთახებში, სული ეკვროდა; და სულიც უზარმაზარ სწრაფად მზარდ სატურნის ორბიტად გარდაქმნილ ბუშტის ზედაპირად იქცეოდა... – ოჰ-ოჰ-ოჰ: ნიკოლაი აპოლონოვიჩი იყინებოდა; შუბლში ქარი სცემდა; სკდებოდა ყოველივე.

ყმაწვილი თავისი გამაწამებელი ბგერებისაკენ იხრებოდა: ეძებდა, საიდან მოისმოდა ეს ხმა; ჩექმების ჭრიალით მაგიდისკენ მიიპარებოდა; მიიპარებოდა იქით, სადაც მომაბეზრებელი ჩქამი უფრო ცხადი ხდებოდა; მაგიდასთან კი – სულაც იკარგებოდა.

საათი წიკწიკებდა.

– წიკ-წიკ, – ხმადაბლა გამოვარდა ჩრდილოვანი კუთხიდან; შემდეგ უკან გაიპარა: მაგიდიდან კუთხისკენ; ყველგან – ჩრდილი და ჩრდილი; და სამარისებური სიჩუმე სუფევდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ მიმართული სანთლით ხელში, ჩრდილთა თარეშში მობორიალე ნიკოლაი აპოლონოვიჩი ქოშინებდა; მისდევდა მოფარფატე ბგერას (ბავშვები ასე ყვითელ ფარვანებს დასდევენ ხოლმე).

აი, ზუსტ მიმართულებას მიაგნო; გაიხსნა უცნაური ბგერა; და მკვეთრად გაისმა წიკწიკი: წამიც და წამოეწევა (ვერ გაუფრინდება ფარვანა).

სად, სად, სად?

და როცა შეუპოვრად შეუდგა ბგერის გავრცელების წყაროს ძიებას, მაშინვე იპოვა: ის მისივე მუცელში მდებარეობდა; და მართლაც, საშინელი ძალით ქაჩავდა კუჭს.

შენიშნა, რომ ღამის მაგიდასთან იდგა; ხოლო მაგიდის ზედაპირზე მუცლის გასწვრივ წიკწიკებდა... მისივე მაჯიდან მოხსნილი საათი; დაბნეულად დახედა – ოთხი იყო.

მერე თავის თავს დაუბრუნდა (დიახ, დიახ –პოდპორუჩიკმა ლიხუტინმა წაიღო დაწყევლილი ბომბი); გაიძრო ფეხსაცმელები; შეიხსნა გახამებული საყელო და პერანგი; ჩაიძრო კალსონები ფეხიდან, მუხლთან რომ შეშუპებოდა; და კიდურებით ქათქათა ზეწარში ჩაეფლო; თუმცა ხელზე დაყრდნობისას – ჩაფიქრდა.

სანთელი ჩაქრა.

საათი წიკწიკებდა; სულს ბინდი შემოგზნებოდა; სიბნელეში ისევ აფარფატდა წიკწიკი, როგორც ყვავილს მოწყვეტილი პეპელა; ხან აქ, ხან იქ წიკწიკებდა; ანთებით შეპყრობილი სხეულის სხვადასხვა ადგილას პულსირებდნენ აზრები: კისერზე, ხელში, თავში; მზის წნულშიც კი.

ჩამორჩნენ რა სხეულს, ისინი უსხეულოდ დარჩნენ; სხეულიდან ნახევარი არშინის მანძილზე ცნობიერების კონტური წარმოქმნეს; და მიხვდა, რომ თვითონ არ აზროვნებდა; უფრო სწორად, აზროვნებდა ცნობიერების ის კონტური, ტვინის გარეშე რომ წარმოიქმნა; კონტურში კი ფეთქვა, ფეთქვათა პროექცია – ყველაფერი – თვითმოაზრებულ აზრად იქცა; დიახ, დიახ, თვალის კაკალში მშფოთვარე ცხოვრება მიმდინარეობდა; აქ ჩვეულებრივმა წერტილებმა ნაპერწკლებად იფეთქეს; ორბიტიდან სივრცეში გადახტნენ; და გარშემო აცეკვდნენ – მომაბეზრებელ ფერხულში ჩაებნენ და ნახევარი არშინის მანძილზე სინათლის მოფუთფუთე პარკუჭები შექმნეს. სწორედ ეს გახლდათ პულსაცია; და მან იფეთქა.

– ხომ წიკწიკებს, წიკწიკებს...

ახლა მეორემ გაინავარდა...

იმ მდგომარეობის დადასტურებას მოიაზრებდა, რასაც ტვინი უარყოფდა და, რასაც ასე შეუპოვრად ებრძოდა – სასარდინე აქ არის; დიახ, სასარდინე აქ წიკწიკებს; მასზე პაწია ისარი მირბი-მორბის; ისარიც დაიღალა: და აი, მიირბენს საბედისწერო პუნქტამდე (ის პუნქტი უკვე ახლოსაა)... სინათლის მოფარფატე ბიძგები გიჟურად დაიფანტება, თითქოს კოცონს კეტს მაგრად ურტყამენო... – და გაშიშვლდება მასში რაღაც ცისფერი უსაგნობა; მბრწყინავი ცენტრი

წამში გაარღვევს მწოლიარე ადამიანის გაოფლილ თავს თავისი ნემსისებრი და მთრთოლვარე სინათლეებით, სხვა სამყაროდან გადმოსულსა და ტვინში არეკლილ გიგანტურ ობობას რომ წააგავს: –

– და გახმიანდება აუწერელი გრგვინვა, რომლის გაგონება შეიძლება ვერც კი მოასწრო, რადგან სანამ ყურის ძგიდეს მიეხლება, მანამდე ყურის ძგიდე (და კიდევ რაღაც-რაღაცები) აღარ იარსებებს –

– ცისფერი უსაგნობა გაქრა; და მასთან ერთად სინათლის ფერხულიანი მბრწყინავი რაღაცაც... წამოფრინდა საწოლიდან:

ფეთქვა გრძელდებოდა საფეთქლებთან, ყელთან, კისერთან, ხელებში... და არა მის ორგანოთა მიღმა.

შიშველი ფეხით გაშლაპუნდა; და კუთხეში აღმოჩნდა.

თენდებოდა.

ამოიცვა კალსონები და ჩაბნელებულ დერეფანში გაფრატუნდა; რატომ, რატომ? საკუთარი სიცოცხლის გამო ცხოველური გრძნობა დაეუფლა... დიახ, უბრალოდ, შეშინდა; დერეფნიდან მობრუნება არ უნდოდა. ძალა არ შესწევდა თავის ოთახებში შეეხედა; ბომბის ძიების თავი აღარ ჰქონდა; ყველაფერი აერია; აღარც წუთი ახსოვდა და აღარც საათი; ყოველი წამი, შეიძლება, საბედისწერო ყოფილიყო.

კუთხეში განაპირდა და ჩაიჩოქა.

წამები მასში მდორედ მიედინებოდნენ; წუთები საათებად ეჩვენებოდა; დერეფანში ლურჯმა ფერმა იმძლავრა: თეთრად თენდებოდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი თანდათან რწმუნდებოდა თვითმოაზრებულ აზრთა უაზრობაში; ტვინი დაჰყვა; და როცა გადაწყვიტა, რომ დრო უკვე გავიდა, – ვერსია პოდპორუჩიკის მიერ სასარდინეს წაღების შესახებ, ნეტარ ხატებად წარმოჩნდა; დერეფანში ჩამუხლულმა ნიკოლაი აპოლონოვიჩმა, უსაფრთხოება შეიგრძნო; და ის-ის იყო ჩათვლიმა.

შუბლზე რაღაც გლუვის შეხებისაგან გამოერკვა; თვალი რომ გაახილა, ბულდოგის ნერწყვიანი სიფათი დაინახა; – ის ქსუტუნებდა და კუდს აქიცინებდა; ძაღლი ხელით გასწია, უნდოდა, ძველ საფიქრალს დაბრუნებოდა და ისევ ისე გაეგრძელებინა; სურდა, მოშვებული ჭანჭიკები მოეჭირა, აღმოსაჩენი რომ აღმოეჩინა. და უცებ მიხვდა: რატომ ვარ იატაკზე?

რატომ ვარ დერეფანში?

ფეხათრევით გაემართა თავისი ოთახისაკენ: საწოლს რომ მიუახლოვდა, ძილმა თავის მორევში ჩაითრია...

– დაიგრგვინა: ყველაფერს მიხვდა.

ზამთრის ხანგრძლივზე ხანგრძლივ საღამოობით ნიკოლაი აპოლონოვიჩი არაერთხელ უბრუნდებოდა ამ საშინელ გრგვინვას; – ეს გახლდათ რაღაც განსხვავებული, შეუდარებელი გრგვინვა;

ყრუ და გამაყრუებელი; მეტალის ბანისებრი ჭარბხმოვანებით; და მერე ყველაფერი მიყუჩდა.

მალე შიშველი ფეხების შლაპუნი და ბულდოგის ყმუილი გაისმა; ტელეფონმა დარეკა: მან კარი გამოაღო; ცივი ქარის ნაკადი შემოიჭრა; მოყვითალო-ლიმონისფერმა კვამლმა ოთახი აავსო; ქარის ნაკადში მოულოდნელად წამოედო რაღაცის ნამტვრევს – გახეთქილი კარის ნაფოტს.

აი, ცივი აგურის გროვა; აი, კვამლში მირბიმორბიან ლანდები; ხოლო დამწვარი ხალიჩების ნაგლეჯები – აქ საიდან გაჩნდა? ერთმა აჩრდილთაგანმა უხეშად შეჰყვირა:

– ეი, რას დამდგარხარ, ვერ ხედავ, სახლში უბედურებაა!

მოისმოდა:

– ოჰ, იმ ნაძირალებს!

– ეს – მე, – შეეცადა ის.

მაგრამ შეაწყვეტინეს:

– ბომბი...

– ოჰ!

– ის... აფეთქდა...

– ?

– აპოლონ აპოლონოვიჩთან... კაბინეტში...

– ?

– მადლობა ღმერთს!

მკითხველს შევახსენებთ, რომ აპოლონ აპოლონოვიჩმა დაბნეულობისაგან კაბინეტში თვითონ შეიტანა სასარდინე; მერე გადაავიწყდა მისი არსებობა; რა თქმა უნდა, მან არ იცოდა, თუ რა იყო მასში.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი იქითკენ გაიქცა, სადაც სულ ცოტა ხნის წინ კარი იყო; კარი აღარ არსებობდა და ვეებერთელა ნაპრალიდან ბოლქვებად სცემდა კვამლი; ქუჩაში რომ გაგეხედათ, მოჯარულ ხალხს დაინახავდით; პოლიციელი მათ ტროტუარიდან ერეკებოდა; დოყლაპიები კი თავაწეულნი შეჰყურებდნენ, გაპობილი შენობიდან როგორ ფეთქავდა ავბედითი მოყვითალო-ლიმონისფერი კვამლი ბოლქვებად.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი, თვითონაც არ იცოდა რატომ, უკან გავარდა და აღმოჩნდა იქ, თვითონაც არ იცოდა, სად... – – საწოლზე (უფრო ბალიშზე) აპოლონ აპოლონოვიჩი ჩამომჯდარიყო და მოყვითალო შიშველი ფეხები მკერდთან აეზიდა; საცვალი ეცვა; მუხლებზე ხელები შემოეხვია და ბღაოდა; საერთო გრუხუნში ის ყველას დაავიწყდა; მისი დამამშვიდებელი არავინ ჩანდა; ეულად იჯდა და ხმის ჩახლეჩამდე ბღაოდა...

– ნიკოლაი აპოლონოვიჩი დაუძლურებული სხეულისკენ გაქანდა: ასე მისთვის მინდობილ წაქცეულ სამი წლის პატარას მივარდება ხოლმე დედა; მაგრამ დაუძლურებული ჩია სხეული მისი დანახვისას ბალიშიდან წამოხტა, აუწერელი შიშითა და არაბავშვური სიანცით დაიწყო ხელების ქნევა.

მერე უცებ დერეფნის გავლით ოთახიდან გაქანდა!

ნიკოლაი აპოლონოვიჩი კი ყვირილით „დაიჭით!“ დაედევნა სხეულს; ორივენი დერეფნის სიღრმეში შეცვივდნენ (იქ რაღაცას აქრობდნენ); საშინელი იყო ამ ორი მსრბოლი და მყვირალი ადამიანის დანახვა; სირბილისას მოხუცს პერანგი უფრიალებდა; და ტყაპუნობდა ქუსლე-

ბი; ნიკოლაი აპოლონოვიჩი ხტუნვა-ხტუნვით – მარჯვენა ფეხზე კოჭლობით – მისდევდა მას; ცალი ხელით ჩასრიალებულ კალსონს ეჭიდებოდა, მეორეთი კი – მამის მოფრიალე პერანგის ჩაბღუჯვას ლამობდა.

მირბოდა და ყვიროდა:

– შეიცადეთ...

– სად მირბიხართ?

– შეჩერდით.

აპოლონ აპოლონოვიჩმა მიირბინა რა კართან, რომელსაც შეუდარებელ ადგილამდე მიჰყავდა, აუწერელი ეშმაკობით ჩააფრინდა მას; შეაღწია და გაუჩინარდა.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი წამიერად მოსცილდა კარს; მერე გამლღვალ ქვასავით შეასკდა: მობრუნებული თავით, გაოფლილი შუბლით, ტუჩებით, ბაკებით, თვალებით; კარი დაჯახუნდა; ყველაფერი დაიღუპა; მან შეაღწია და გაუჩინარდა.

მერე ნიკოლაი აპოლონოვიჩი თავგანწირვით უბრახუნებდა; და მთელი ძალით, ხმის ჩახლეჩამდე სთხოვდა:

– შემომიშვით...

და –

– ა�ა... ააა... ააა...

და კარის წინ დაეცა.

თავი ხელებში ჩარგო და გონი დაჰკარგა: ფეხთა ტყაპატყუპით მისცვივდნენ ლაქიები. შემდეგ ოთახში შეათრიეს.

და ჩვენც აქ დავსვათ წერტილი.

აღარ აღვწერთ, თუ როგორ აქრობდნენ ხანძარს, სენატორმა ძლიერი გულყრისას რა ახსნა-განმარტება მისცა პოლიციას; ამას ექიმთა კონსილიუმი მოჰყვა; ექიმებმა მას აორტის გაგანიერება აღმოუჩინეს. უძლური და გამხდარი აპოლონ აპოლონოვიჩი მთელი საგაფიცვო დროის განმავლობაში მაინც დაიარებოდა კანცელარიაში, სხვადასხვა კაბინეტებსა და მინისტრთა ბინებზე;

დამაჯერებლად ხმიანებდა ყრუ, და დაძაბული მისი ბანი; ამავე კანცელარიებში, კაბინეტებსა და მინისტრთა ბინებზე. ვიტყვით იმასაც, რომ მან რაღაც-რაღაცების დამტკიცება მოახერხა, ვიღაც-ვიღაცები დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს; ამოქმედდა მეგობარ-ნათესავთა წრე და საქმე გააუქმეს, ხელი არავის ახლეს. ამ დღეთა განმავლობაში მისი ვაჟი ლოგინად ჩავარდნილიყო – ნერვული ცხელების შეტევას შეეპყრო – და გონი არ უბრუნდებოდა; როცა გონს მოეგო, დაინახა, რომ მის გვერდით დედა იყო; გალაქულ სახლში სხვა არავინ ჩანდა. აპოლონ აპოლონოვიჩი სოფელში გადაბარგებულიყო; და აეღო რა უვადო შვებულება – მთელი ზამთარი – თოვლსა და ყინვაში – იქ, განმარტოებით გაატარა; შვებულების შემდეგ კი თანამდებობიდან გადადგა; ვაჟს საზღვარგარეთის პასპორტი და ფული გაუმზადა. ანა პეტროვნა აბლეუხოვა შვილთან ერთად გაემგზავრა. მხოლოდ ერთხელ ზაფხულში ჩამოვიდა ის; ნიკოლაი აპოლონოვიჩი კი მშობლის გარდაცვალებამდე არ დაბრუნებულა რუსეთში.

ეპილოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის მზე გადაწურულიყო. ბანჯგვლიანი კაქტუსები აქეთ-იქით გაფარჩხულიყვნენ. მალე, სულ მალე ყურეში აფრები მოფრინდებოდნენ; მოფრინდნენ კიდეც და აფარფატდნენ; კაქტუსები თაღებად შეიკრნენ.

ნიკოლაი აპოლონიოვიჩი ცისფერი ჰონდურითა და ღაჟღაჟა წითელი არაბული ჩეჩიით მუხლმოყრილი გარინდულიყო; უგრძესი ფუნჯი დასთრევდა ჩეჩიას და გლუვი სახურავიდან მშვენივრად იკვეთებოდა მისი სილუეტი; გვერდით სოფლის მოედანი გადაშლილიყო და „ტამტამის“ ხმები ყრუდ და მძიმედ მოისმოდა.

ირგვლივ სახლთა თეთრი კუბები დაყუდებულიყო; ბერბერები ყვირილით მიერეკებოდნენ სახედრებს; ტოტთა ზვინი ვერცხლისფრად ელვარებდა მათზე; თვითონ ბერბერებსაც ზეთისხილის ტოტები აესხათ.

ნიკოლაი აპოლონოვიჩი არც ტამტამის ხმებს უსმენდა და არც ბერბერს ხედავდა; მას თვალწინ აპოლონ აპოლონოვიჩი ედგა – მელოტი, ჩია, მოხუცი, სარწეველაში ჩამჯდარი, თავის ქიცინითა და ფეხის ქნევით რომ ატოკებდა მას.

შორს ვარდისფრად ღუოდა ნუში; ზემოდან კი დაკბილული ღია ლილისფერ-ქარვისფერი ცა დაჰყურებდა; ეს ზახუანის ცა გახლდათ; ყურე კი – კართაგენისა. ნიკოლაი აპოლონოვიჩმა ტუნისის მახლობელი სოფლის სანაპიროზე ვიღაც არაბის სახლი იქირავა.

თოვლით დამძიმებული ნაძვის ბანჯგვლიანი ტოტები მოხრილიყო; წინ ხის ხუთსვეტიანი შენობა აღმართულიყო; მოაჯირს მიღმა ტერასები გორაკებად გადანამქრულიყო; მასზე კი თებერვლის ალიონის პირისფერი ათინათი ლიცლიცებდა.

მხრებში მოხრილმა ჯოხზე დაყრდნობილმა და საყელოწამოწეულმა ჩია სხეულმა თექურებითა და თათმანებით სახლის წინ გაიარა; ქუდი ყურებამდე ჩამოეფხატა; გაწმენდილ ბილიკზე მიიკვლევდა გზას; მიჰყავდათ ხელკავით; მიმყოლს ხელში თბილი პლედი ეჭირა.

სოფელში აპოლონ აპოლონოვიჩმა უზარმაზარი სათვალის ხმარება დაიწყო; ყინვაში მისი მინები იორთქლებოდა და იქიდან არც ტყის მონაცრისფრო დაკბილული შორეთი, არც სოფლის კვამლი, არც ჭკები აღარ ჩანდა; მხოლოდ მათში გარდატეხილ მთვარის მბრწყინავ ზოლებსა და პარკეტის კვადრატებს ხედავდა ხოლმე, ნაზი, ყურადღებიანი, გულისხმიერი თავდახრილი ნიკოლაი აპოლონოვიჩი რომ მიაბიჯებდა ჩრდილიდან ფარნის სხივთა მაქმანებისკენ; და შემდეგ – სინათლის მაქმანებიდან – ჩრდილისკენ.

საღამოს მოხუცი თავის მაგიდასთან მრგვალ ჩარჩოთა გარემოცვაში იჯდა; ამ მრგვალი ჩარჩოებიდან მელოტი ოფიცრისა და თავდახრილი მოხუცი ქალის პორტრეტები იმზირებოდა; ოფიცერი მამამისი გახლდათ, ხოლო თავდახრილი ქალი – აწ გარდაცვლილი დედილო, წარმოშობით სვარგინის ქალი. აპოლონ აპოლონოვიჩი

მემუარებს აშანშალებდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გამოექვეყნებინათ.

და – გამოქვეყნდა კიდეც.

ამ გონებამახვილ მემუარებს კარგად იცნობს რუსეთი.

მზის ალი მიზანსწრაფულია – თვალებში ელვარებს; ხოლო შებრუნდები და კეფას გისუსხავს; უდაბნო ამიტომ გეჩვენება მომწვანოდ და სიკვდილისფრად; თუმცა აქ თვითონ ცხოვრებაა მკვდარი; კარგი იქნებოდა სამუდამოდ აქ დარჩენა!

ქვიშის გროვაზე კორპის სქელი ჩაფხუტითა და პირბადით ნიკოლაი აპოლონოვიჩი იჯდა; მის წინ ვეება თავი ათასწლოვან ქვიშრობად ჩამოშვავებულიყო; ნიკოლაი აპოლონოვიჩი სფინქსის პირდაპირ იმყოფებოდა.

ორი წელი იყო, რაც აქ ცხოვრობდა, ბულაკის მუზეუმში მეცადინეობდა. დიახ, დიახ, „მიცვალებულთა წიგნსა“ და მანეფონის ჩანაწერებს დამახინჯებულად განმარტავენ; ჰოდა, ნიკოალაი აპოლონოვიჩი ეგვიპტეში ჩაინთქა; მეოცე ათასწლეულში ის ეგვიპტეს ჭვრეტდა; კულტურა თავცარიელია, მასში ყველაფერი მკვდარია; მოსალოდნელია აფეთქება და ყოველივე დაინთქმება.

ოჰ, რა კარგია, რომ ის დაკავებულია: ხანდახან, როცა სქემებს თავს ანებებს, საკუთარ თავს უღრმავდება; და ეჩვენება, რომ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა; შემოესმება რაღაც ხმები; ქაიროში გრუხუნებენ; განსაკუთრებული გრუხუნია; იმ ხმას აგონებს: გამაყრუებელსა და ყრუს, მეტალისებრი ბანის ჭარბი ელფერით; და ნიკოლაი აპოლონოვიჩი მუმიებისკენ ისწრაფვის; ის მუმიებთან „შემთხვევამ“ მიიყვანა. კანტი? კანტი დავიწყებულია.

მოსაღამოვდა: ბინდბუნდში გიზეტის კლდეები გოროზად განფენილიყო; დიახ, დიახ, ამ დროს ყველაფერი ფართოვდებოდა; მუქი ყავისფერი სინათლეები ინთებოდა მტვრით გაჯერებულ ჰაერში და სული ეხუთებოდა.

ის დაფიქრებით მიყრდნობოდა პირამიდის მკვდარ წახნაგს; და თვითონ გახლდათ პირამიდა, კულტურის მწვერვალი, რომელიც უცილობლად ჩამოიქცევა.

რბილ სავარძელზე მზის გულზე გაუნძრევლად იჯდა ჩია მოხუცი; ძალიან დიდი ღიღილოსფერი თვალებით შეჰყურებდა ასევე მოხუც ქალს; ფეხები (რომლებიც წართმეოდა) პლედით დაეთბილა; მის კალთაზე იასამნის სურნელოვანი მტევნები დაეყარა ვიღაცას; ჩია მოხუცი კი ქალისკენ მთელი კორპუსით იწევდა, ლამის სავარძლიდან გადმოვარდნილიყო.

– ამბობთ, რომ დაამთავრა?.. ჩამოვა?

– საბუთებს აწესრიგებს...

ნიკოლაი აპოლონოვიჩს სადღაც ეგვიპტეში დაესრულებინა მონოგრაფია:

– რა ჰქვია?

მოხუცს სახე გაუბრწყინდა:

– მონოგრაფიას... მე-ემე... დაუფსექრუთის წერილთა გამო, – აპოლონ აპოლონოვიჩს თითქმის ყველაფერი ავიწყდებოდა, ჩვეულებრივ საგანთა სახელებიც კი; მაგრამ სიტყვა „დაუფსექრუთი“ მტკიცედ ახსოვდა; კოლენკა ხომ „დაუფსექრუთის“ შესახებ წერდა. თავს ასწევდა და გადამწვანებულ ფოთოლთა ოქრო შრიალებს იქ; და კიდევ ლაჟვარდი და ცხვრებია; და გზაზეც ბოლოქანქარა მირბის...

– ამბობ, ნაზარეთშიო?

ოჰ, მაჩიტების მოზღვავებაა! მაჩიტები ლილისფრად ამთქნარებენ; და ამ ზღვაში დგას მძიმე გადასატანი სავარძელი; დანაოჭებული, გაუპარსავი აპოლონ აპოლონოვიჩი, წვერი ლოყებს რომ უვერცხლისფერებს, ზის სავარძელზე „ქერელის“ ტილოს ქოლგის ქვეშ.

1913 წელს ნიკოლაი აპოლონოვიჩი ჯერ კიდევ დადიოდა მინდორ-ველად, ტყეებში მძიმედ, ზანტად უმზერდა მინდვრად მომუშავეებს; ეცვა კარტუზი, აქლემისფერ ხიფთანს ატარებდა და ჩექმებს აჭრიალებდა; ოქროსფერმა, ბარივით მომრგვალებულმა წვერმა ის მეტად შეცვალა, ხოლო თმის ჩაჩი ვერცხლისფერი ბღუჯით ელავდა; ეს ბღუჯა მოულოდნელად გაუჩნდა; ეგვიპტეში თვალები ასტკივდა და ლურჯი სათვალის ტარება დაიწყო. ხმა დაუბოხდა და სახე გაერუჯა; სისხარტე დაკარგა; ცხოვრობდა მარტოდმარტო; არავის არ იწვევდა და არც თვითონ დადიოდა ვინმესთან; მხოლოდ ეკლესიაში თუ ხედავდნენ; ბოლო ხანს ის სკოვოროდას ფილოსოფიით იყო გატაცებული.

მშობლები კი დაეხოცნენ.

დასასრული

თარგმნა
ნინო ქუთათელაძემ

მაგსად ნური

რომანიდან „ქალაქის მერი"

„...ზოგი კაცი უჩუმრად დაატარებს დანაშაულს..."
(პოეტს შეეძლო, ეს უფრო ემოციურად ეთქვა)

კინოთეატრის მეშვიდე სართულზე, ანძას მიტმასნილ მრგვალ აივანზე ძილი სიმაღლეებისადმი ჩემი განსაკუთრებული ლტოლვის გამო მიყვარდა. ძილის წინ, როგორც წესი, აივანზე გამოვდიოდი, ბაქოს ხედებს, გაშლილ ფერდობებს და ჩახლართულ ქუჩებს თვალს გადავავლებდი, ერთი ღრმად ჩავისუნთქავდი და საწოლს მივაშურებდი ხოლმე. იმ ღამეს ჩემი ბოლო მორიგეობა და, შესაბამისად, შუშაბანდიან აივანზე ბოლო ძილი იყო. ის, რაც მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში მოხდა, არეულ სიზმარს ჰგავს...

განრიდება

1986 წლის აპრილის იდუმალი დილა თენდებოდა. გარიჟრაჟზე შიდა ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა:

დაუყოვნებლივ ჩამოდი ქვემოთ! – კინოთეატრის კარისკაცი მირეკავდა. აუჩქარებლად ჩავიცვი, თმა დავივარცხნე, სიგარეტს მოვუკიდე; მერე მეშვიდე სართულიდან მეხუთე სართულზე ჩავედი, ღილაკზე თითი მივაჭირე და ასე დაველოდე ლიფტის ამოსვლას. ღილაკზე, ჩვეულებისამებრ, სიგარეტიანი ხელის თითი მქონდა მიბჯენილი. ლიფტი ზანტად დაიძრა და ზემოთ წამოვიდა.

კარისკაცი ადგილზე არ დამხვდა. ამიტომაც შენობის ძვირადღირებული ხისგან დამზადებული ორფრთიანი კარის ერთი ფრთა მთელი ძალით მოვზიდე ჩემკენ. კარი ბულბულის პროსპექტზე გადიოდა. როგორც ყოველთვის, ჩემ წინაშე მაღალი ხეები აშოლტილიყვნენ. ნელი სიო ფიჭვის წიწვებს განთიადის სხივებში ათამაშებდა. ჩიტების ჭიკჭიკი შიგადაშიგ მანქანების სიგნალსა და ძრავის ხმაში იკარგებოდა, თუმცა დილის საათებში ეს პროსპექტი მანქანების სიჭარბით არასოდეს გამოირჩეოდა.

კიბეების ბოლოს, ტროტუარის პირას შავი ავტომობილი იდგა, რომელსაც უკანა კარი ნახევრად ღია ჰქონდა. ჩვენი კარისკაცი ნახევრად მანქანაში იყო შემძვრალი და ასე იდგა. უცებ კარისკაცმა თავი გამოყო, გასწორდა, გამოიხედა და ჩემკენ გამოიქცა. გამოღებულ კარში მანქანის უკანა, ზურმუხტისფერი სავარძლის ნაწილი, მამაკაცის შავი პრიალა ფეხსაცმელების ცხვირები და საგულდაგულოდ დაუთოებული შარვლის ქვედა ტოტები გამოჩნდა. კარისკაცმა თვალებით მანიშნა, მიდიო. მეც უნებურად მანქანისაკენ გავემართე და თავი ანგარიშმიუცემლად შევყავი ღია კარში.

* * *

პირში სიმჟავეს ვგრძნობდი. არაფერი მეჭამა. ჩაის დალევაც კი ვერ მოვასწარი. სიგარეტის სიმწარეს ნაწლავებამდე ჩაეღწია. იმ ადამიანთან სიახლოვეს, რომლის პირისპირაც აღმოვჩნდი, ყოველთვის ვერიდებოდი, მაგრამ ახლა უნებლიეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

– დაჯექი! - სიღრმიდან ცივი და დამთრგუნველი ხმა გაისმა.

ცალი ფეხი მანქანის სალონში შევყავი და მაშინვე უკან გამოხედვა მომინდა. უკან თეატრის კარისკაცი ატუზულიყო. იგი უცნაურად გაღიმებული იდგა თეატრის კიბეებთან და მგონი ჩვენ, მანქანაში მყოფთ ხელს გვიქნევდა. კი, აღელვებულ კარისკაცს მარცხენა ხელი აეწია, მარჯვენა კი მორჩილად მიედო მკერდზე და თაყვანისცემის ნიშნად შიგადაშიგ წინ იხრებოდა. კაცს ეგონებოდა, ან მე მემშვიდობება ერთხელ და სამუდამოდ, ანდა სიამაყის გრძნობით ივსებაო იმის გამო, რომ მე პატივი დამდეს და ამ მანქანაში შემიპატიჟეს.

* * *

...როგორც კი მეორე ფეხიც შევდგი სალონში, კარი გარედან შემოიხურა. მძღოლი იყო. ჩაკეტილ სივრცეში მოვხვდი თუ არა, იქაურობას თვალი მოვავლე. მზერით ვიგრძენი, რომ ყველაფერი ცისფერში იყო გახვეული. ჩემ გვერდით მჯდომ კაცს, მარჯვენა ხელი სახელურზე, მარცხენა ხელის იდაყვი კი სავარძლის ჩვენ შორის გადებულ კიდეზე ჩამოედო და ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მომჩერებოდა.

თავი დამიკრა. მართალია, ხელი არ ჩამოურთმევია, მაგრამ უცებ მე წავიღე მისკენ ხელი, თუმცა მაშინვე მივხვდი, რომ შეუფერებლად მოვიქეცი და იქვე გავქვავდი. მან წინ გაიხედა. სწორედ ამ დროს გარეთ გახედვა მომინდა და მე მომეჩვენა, რომ კამკამა ტბის ძირას ზურმუხტის ქვაზე ვზივარ. ფანჯრის მიღმა ცხოვრება მსუბუქ ცისფერში გახვეულიყო. მერეღა მივხვდი, შუშები მზის სხივისაგან დასაცავად ლურჯად დაეფერათ. შიგნით კი საოცარი სიმყუდროვის ატმოსფეროს ქმნიდა ზურმუხტისფერი ტყავი და მასზე გადაჭიმული ბაცი ზოლები. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს გამჭვირვალე ტბის ფსკერზე ზურმუხტისფერ ქვაზე მოკალათებული ირგვლივ მიმობნეულ ქვებსაც ვჭვრეტდი. გული შემიწუხა ავტომობილის ფანჯრის მიღმა ცისფერში გახვეულმა სამყარომ, ამიტომაც ხელის ოდნავ შესამჩნევი ფათურით შუშის დამწევს დავუწყე ძებნა. თითისწვერით ვიგრძენი ღილაკი და დავაჭირე. ფანჯრის შუშამ ოდნავ დაიწია და გაჩერდა. და განახევრებულ სივრცეში ცხოვრებამ თავისი ბუნებრივი ფერი დაიბრუნა.

როგორც კი სავარძელზე მოვკალათდი, გვერდზე გავიხედე. ტანმაღალთ ტანადობა მჯდომარეთაც ემჩნევათ. აი, ასეთი, შუახნის, ჩასკვნილი კაცი მეჯდა გვერდით. დიდ მომწვანო თვალებში მკაცრი გამომეტყველება ჩაჰბუდებოდა.

ეს ის გახლდათ – ქალაქის მერი !

ჩემდაუნებურად პირი დავაღე, ყელი გამიშრა და ფეხები ამიკანკალდა. იგი არც ცდილა ჩემს დამშვიდებას. ღიმილიც კი არ შემიმჩნევია მის სახეზე, რომ შიში გამქრალიყო. პირიქით, პირი იბრუნა და მანქანის ფანჯრიდან გარემო შეათვალიერა. გვერდულად გავხედე. მერის სახეზე აღბეჭდილმა მკაცრმა გამომეტყველებამ კიდევ უფრო მეტად დამთრგუნა. ინსტიქტურად შევეცადე, დავუფლებოდი საკუთარ სხეულს და გამეკონტროლებინა სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდი; თან ჩემი ადგილ-სამყოფლის გარკვევაც მსურდა.

– სადაა ეს ქალი?.. ფანჯრისაკენ პირშებრუნებულმა იკითხა და ამ შეკითხვას თვითონვე გასცა პასუხი – პროსტიტუტკამ დრო გამონახა ესენდუკში წასასვლელად?!

თითქოს, დიდი ხანია მიცნობს და ეს ნათქვამიც ჩვეულებრივი ამბავია, უფრო ახლობლური ნათქვამი და სჯა–ბაასია. მე მხრები ავიჩეჩე და გავჩერდი. მართალია, ის ჩემკენ არ იყურებოდა, თუმცა მოუხედავადაც ამჩნევდა, რომ მხრებაჩეჩილი ვიყავი.

– შენ არ იცი, მან არ იცის – აბა, ვინ იცის?! – თავისთვის ჩაილაპარაკა.

ავტომობილი დაიძრა. სიჩქარის მომატებასთან ერთად ირგვლივ სიცარიელემაც იმატა: მანქანები და ადამიანთა ჩრდილები თვალსა და ხელს შუა ქრებიან, მეჩხერდებიან. თითქოს ყველა და ყველაფერი შორდება ამ ავტომობილს და შეგნებულად გზას უთმობს მას. შიგადაშიგ პოლიციის ციმციმები და ჩვენი თანმხლები შავი მანქანები გამოჩნდებოდა და შემდეგ ისევ მიიკარგებოდა ხოლმე. ჩვენი მანქანა შუქნიშნების ფერს არაფრად დაგიდევდათ, დაუბრკოლებლად მიჰქროდა, მოსახვევებშიც სწრაფად უხვევდა. დროგამოშვებით ვხედავდი პოლიციელებს, რომლებიც მორიგი შუქნიშნის სიახლოვეს გაჯგიმულნი იდგნენ და მხედრულად ესალმებოდნენ მერის ავტომობილს. ქუჩაში მიმავალ ადამიანთა ჩრდილებიც წუთიერად შედგებოდნენ და თავიანთი პატრონების მიბაძვით ცნობისმოყვარედ შესცქეროდნენ მერის ავტოს. მათი სახეები ძველ ტაბლოებზე ასახულ ფერმკრთალ, ფერარეულ სურათებს წააგავდა...

ქალაქის მერმა ოდნავ დაწია მის მხარეს მოქცეული ფანჯრის შუშა. მარცხნივ მზე ამოწურულიყო. წუთით მომეჩვენა, რომ მზეც მისთვის ამოსულიყო და იგი თავის თავში მალავდა უნარს, რომლითაც მზის მართვაც კი შეეძლო. ალბათ, ამის გამო იყო, რომ შიგნით შემოჭრილი მზის ცელქი სხივები ლურჯი მინების წინაშე მორჩილად იდრიკებოდნენ და ჩვენამდე ვეღარ აღწევდნენ. იგი დარწმუნებული იყო, რომ მზის ენერგიის უსასრულობა მასზე იყო დამოკიდებული.

მან ოდნავ ჩამოწეული მინა ბოლომდე აწია. მზის სხივები, რომლებიც გარეთ აშოლტილი ხეების ფოთლებს ეთამაშებოდნენ და ლურჯად დაგმანული ფანჯრებიდან შიგნით ვეღარ აღწევდნენ, მის თავდაჯერებულ სახეს მორჩილად გამოემშვიდობნენ...მერე კი უმწეო მნათობი მაღალსართულიან სახლებს უკან მიიმალა. მეც უნებურად მოვარიდე მზერა მის ცივ და ფიქრიან სახეს. ვიჯექი ასე გაყურსული და თავჩაქინდრული, თანაც აქამდე ჩემთვის უცნობ მუცლის ტკივილს და კუნთების შეკუმშვას განვიცდიდი. ხელ–ფეხის თითებშიც ტკივილი და ჩხვლეტა ვიგრძენი. მორჩილად თავჩაქინდრული ჩემდაუნებურად თანდათან მთელი ტანით წინ წავიხარე. ქალაქის მერის ფეხსაცმლებისაკენ წავხოხდი, რომლებიც მოჩრდილულშიც კი ასე პრიალებდნენ. მათთვის კუდის ქიცინი, მათი ალოკვა მომინდა და ენა გამოვყავი...

– ჯეირნად ქცეული ძაღლის ლეკვი გინახავს? – მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერის ოდნავ შეძრწუნებულმა და ცოტა გაოცებულმა ხმამ გამომაფხიზლა, მისი პრიალა და წვეტიანი ფეხსაცმელები ჩემი თვალთახედვის არეში ჯერაც ირეკლებოდა.

– მე სულს არ ვიშურებ, რათა უყურადღებოდ მიყრილი კინო–ფირები წესრიგში მოვიყვანო; იქ თქვენი ... დაძაბული მოღვაწეობის ამსახველი წინა წლების ფირებია. ვცდილობ, ის კინოფირები დავიცვა ნესტგაუმტარ კარადებში, რომლებიც ჩემივე სახლში პირადი სახსრებით მოვაწყე. ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოს ფული აქვს დახარჯული ამ კადრების გადაღებისათვის... კინოთეატრის არქივში ნესტი ჭამს მათ... ცუდი პირობებია...

როცა ამ სიტყვებს ვამბობდი, მოხრილი ვიდექი

და ვცდილობდი, ხელები და პირი მისი საგულდაგულოდ გაპრიალებული ფეხსაცმლებისაკენ გამეშვირა. როცა თითებს ვამოძრავებდი, ვხედავდი, როგორ მეზრდებოდა ბრჭყალები და ამ პროცესის პარალელურად ტკივილის მომატებას ვგრძნობდი.

გვერდულად ვამჩნევდი,რომ იგი მე არ მიყურებდა, კვლავ ქუჩისაკენ იმზირებოდა. უცებ დედაჩემის სახელი ახსენა და მოიკითხა:

– ...როგორ არის?

თავბრუ მეხვევა და გული მერევა. მინდა, წამოვიწიო, თუმცა რა მდგომარეობაშიც ვარ, იმავე მდგომარეობაში ვრჩები, ძალა არ მყოფნის, წელში გავიმართო. არ ვიცი, რა მოვიმოქმედო, ვის მივმართო, ვის შევევედრო, რომ ბრჭყალების შეკვეცაში, თავბრუხვევისა და გულისრევის შეჩერებაში, ან თუნდაც პირში ჩამდგარი მწარე გემოს გაქრობაში დამეხმაროს. უცებ მივხვდი, რომ ქალაქის მერის მხარეს ფანჯრის მინამ მოულოდნელად დაიწია და ფანჯარაში დაღებული პირის ღრუსოდენა სიცარიელე გაჩნდა. შიგნით შემოპარული მზე დავინახე, წელში გავიმართე, ბრჭყალები უკვალოდ გაქრა, ჩემს უწინდელ მდგომარეობას დავუბრუნდი და ტყავის ზურმუხტისფერი სავარძლის საზურგეზე შეძლებისდაგვარად უზრუნველად გადაწოლა ვცადე.

– დედაჩემი? კარგად გახლავთ... მუშაობს.

ის, რომ დედა მუშაობს, ჩემთვის აუცილებელი პირობაა: თუ მუშაობს, ესე იგი განწყობაც გვარიანი აქვს.

ორჭოფობა

როცა დედაჩემი რაიონიდან ქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად, ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. მხოლოდ ეს ვიცოდი, რომ გულჩათხრობილი მეცნიერი იყო, ქიმიკოსი. დღის უმეტეს ნაწილს ინსტიტუტის ლაბორატორიაში ატარებდა, საღამოხანს შინ მობრუნებული კი მიმოწმებდა გაკვეთილებსა და ყოფაქცევის ჩვენთვის ორივესთვის წინასწარ ცნობილ წესებს. მას შემდეგაც კი, რაც საოჯახო საქმეებს მოათავებდა, დროს, ძირითადად, წიგნის კითხვაში ატარებდა...

ჩვენ გაგარინის ქუჩაზე ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე ვცხოვრობდით. სახლი ზღვას გადასცქეროდა, მაგრამ მასა და ზღვას შორის რაღაც გაურკვეველი საწარმოები და ხუთსართულიანი სახლები აეშენებინათ. მე ჩვენი სახლის სიახლოვეს მდებარე საშუალო სკოლის რუსულ განყოფილებაში ვსწავლობდი. ყოველ დილით სანამ სკოლაში წავიდოდი, ფანჯარასთან საგანგებოდ მიდგმულ ტაბურეტზე შევდგებოდი და ნობელის პროსპექტზე მიმავალ მანქანებს გავცქეროდი. ასე ვიდექი და ველოდებოდი შავი ფერის „ვოლგის" გამოჩენას, შუქნიშანთან მოახლოებული რომ შეჩერდებოდა და მწვანე შუქის ანთებას ელოდებოდა. ამ დროს მანქანის სალონში მე ვხედავდი პატარა ბიჭუნას, რომელსაც, უკანა სავარძელზე მუხლებზე მდგარს, ნიკაპი ფუნთუშა ხელებზე ჩამოეყრდნო და უკან იყურებოდა. იგი ისეთი თავდაჯერებული და განებივრებული მზერით იცქირებოდა, რომ მე მშურდა კიდეც მისი. ბიჭუნას გვერდით მამაკაცი ეჯდა, ჩემი ფანჯრიდან მისი შავი პიჯაკის მარცხენა მხარე მკლავი. შარვლის მარცხენა ტოტი და სათვალის მარცხენა ნახევარი მოსჩანდა (მე არ ვიცოდი, იგი ბავშვის მამა იყო, თუ პაპა). როგორც წესი, იქიდან დილის გაზეთის მარცხენა ნაწილიც მოჩანდა ხოლმე, საიდანაც ვასკვნიდი, რომ მაშინ, როცა ბიჭუნა უკან იყურებოდა, მამაკაცი გაზეთს კითხულობდა. მაშინ ვფიქრობდი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ერთ მანქანაში სხედან, თითოეულ მათგანს თავისი სამყარო აქვს-მეთქი. როგორც ჩანს, ამ ბიჭუნასთვის საინტერესო იყო ნაცნობი სურათების ყოველ დილით ხელახლა ხილვა. მეც ასე ვიყავი. არც ჩემთვის იყო დამღლელი ყოველ დილა–საღამოს ერთი და იმავე სურათების ნახვა და როცა დედასთან ერთად სასეირნოდ სადმე წავიდოდი, ან თუ კინოთეატრს ვეწვეოდით ახალი ფილმის სანახავად, სადღაც გულში პატარა სიხარულთან ერთად გაურკვეველ ურჟოლასა და უცნაურ ძრწოლას განვიცდიდი. მერე ეს ძრწოლა გამივლიდა ხოლმე. ვფიქრობდი, რომ ჩემი სახლისა და სკოლის მიღმა მრავალი საინტერესო რამ არსებობდა და მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, ვხვდებოდი, ყველაფრის ნახვას ვერასდროს მოვასწრებდი. როგორც კი ამ აზრს მივადგებოდი, უწინდელი ძრწოლა მეუფლებოდა და მერჩია, შინ გავქცეულიყავი და ფანჯარასთან მიყუჟულს ყველასათვის შეუმჩნევლად მედევნებინა თვალყური ამქვეყნიური ორომტრიალისთვის. ამ დროს, სადაც უნდა ვყოფილიყავი, ძლიერ მენატრებოდა ჩემი ფანჯარა, ნაცნობი სურათები და ჩვეული ხმები. ფანჯარასთან ჩემი თბილი ბუდე მეგულებოდა. საითაც უნდა გავფრენილიყავი, ბოლოს იქ ვბრუნდებოდი, იქ ვპოულობდი სულის სიმშვიდეს...

მე არც ის ვიცოდი, ვინ იყო მამაჩემი, არც სანათესაოს ვიცნობდი. ისინი დედასა და ჩემს ცხოვრებაში უბრალოდ არ არსებობდნენ. დედა მარიგებდა, ამგვარ ხალხთან, განსაკუთრებით, რაიონიდან ჩამოსულ ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობას მოვრიდებოდი და თუ ვინმე ჩემთან დაახლოებას შეეცდებოდა, უთუოდ უნდა შემეტყობინებინა მისთვის. თუმცა ამ წლების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ნათესავთაგან ვინმეს გამოჩენას მართლაც ველოდი, არავინ გამოჩენილა და, საერთოდ, ჩემით არავინ დაინტერესებულა. როცა ცოტათი წამოვიზარდე, მივხვდი, რომ დედაჩემი წელიწადში ერთხელ – ნოვრუზ ბაირამობაზე - მატარებელში ჯდებოდა და სადღაც რაიონში მიემგზავრებოდა. წასვლიდან ორიოდე დღის შემდეგ კი ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ. მგზავრობისას მას მხარზე ქოლგიანი ხელჩანთა ჰქონდა ხოლმე გადაკიდებული. იმ დღეების განმავლობაში, როცა დედა შინ არ იყო, მე დეიდა ანიასთან ვრჩებოდი. ანია რუსი იყო და ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. სწორედ ის იყო დედას ერთადერთი დაქალი და ჩვენი ბინის ერთადერთი სტუმარი. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არაფერს მეუბნებოდა, მას არასოდეს ვეკითხებოდი, დედა სად და რატომ წავიდა. ამის თაობაზე არც ის მეუბნებოდა რამეს. ამ რუსი ქალისთვის დედის მგზავრობის

შესახებ რომ მეკითხა, იქნებ, მიმელო კიდეც პასუხი, მაგრამ, ვაითუ, ისეთი სიმართლე გამეგო, რაც გულში ჩამრჩებოდა და ანიასადმი მიცემულ შეკითხვას სანანებელს გამიხდიდა. თუმცა ვგრძნობდი და დანამდვილებით ვიცოდი, რომც მეკითხა, ეს ქალი არაფერს მეტყოდა, უკეთეს შემთხვევაში მირჩევდა, უფროსების საქმეში არ ჩავრეულიყავი. ეს ქალი ხომ ის ადამიანი იყო, ვისაც დედაჩემი ენდობოდა. და მე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მჯეროდა, რომ სადაც უნდა ვიყო და ვისთან ერთადაც უნდა ვიყო, დედაჩემის მიერ დადგენილ წესებს ვერც მე და ვერც სხვა ვერ დაარღვევს, თუნდაც ეს სხვა მისი ახლობელი ან დაქალი იყოს. მე დეიდა ანიას ხანგამოშვებით გაკვეთილებთან დაკავშირებით თუ ვკითხავდი რამეს, ზოგჯერ კი დივანზე მოკალათებული თავს მუხლებზე ჩამოვუდებდი და ტკბილად ჩამეძინებოდა ხოლმე.

რაც თავი მახსოვს, დედას საძინებელ ოთახში (მე სასტუმრო ოთახში გასაშლელ დივანზე მეძინა, დედიკო თუ არ დამიძახებდა, მის საძინებელ ოთახში შესვლის უფლება არ მქონდა) საწოლის წინ, კედელზე მოხუცებული ქალისა და კაცის პორტრეტი ეკიდა, ქალს თავზე თეთრი თავსაფარი ებურა, კაცს კი დიდი მრგვალი ფაფახი დაეხურებინა. ერთხელ, მაშინ პირველ კლასში ვსწავლობდი, დედამ თავის ოთახში მიმიხმო, იმ სურათზე მიმითითა და რუსულად მითხრა: „ესენი შენი პაპა და ბებია არიან". მე სურათს მივაჩერდი. მართალია, „პაპა–ბებიის" მნიშვნელობა ბოლომდე ვერ გავიაზრე, მაგრამ მივხვდი, რომ სურათზე გამოსახული მოხუცები დედას მშობლები იყვნენ. ყოველთვის, როცა დედა მატარებლით მიემგზავრებოდა, გუმანით ვგრძნობდი,რომ იგი მოხუცებთან მიდიოდა და იმ ადგილს რაიონი ეწოდებოდა. მეჩვენებოდა, რომ დედას მოხუცები უღრანი ტყის პირას, რკინის მაღალი გისოსებით შემოღობილ საფლავებში იწვნენ და დედაც წელიწადში ერთი–ორჯერ იქ ჩადიოდა, მდუმარედ შესცქეროდა მათს ნეშტზე აღმართულ ბორცვებს და ასევე მდუმარედ ბრუნდებოდა შინ. გულის სიღრმეში უცნაური შეკითხვა მიჩნდებოდა: რატომ სჩადიოდა დედა ამას? ჩემთვის გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ამხელა გზაზე ჩასვლა, საფლავის ქვებთან შეხება და მდუმარედ დგომა მარტოდ–მარტო, მერე კი კვლავ შინ დაბრუნება... მართლაც, რას ნიშნავდა ყოველივე ეს? წელიწადში ორჯერ, ერთსა და იმავე დროს, დედას იქ გამგზავრება ჩემთვის აუხსნელი რჩებოდა. იმ დროს უკვე ყველა შეკითხვას ვუძებნიდი პასუხს, მაგრამ ამ შეკითხვის პასუხი ჯერ კიდევ არ მქონდა.

* * *

უკვე მეათეკლასელი ვიყავი, 1978 წლის ნოვრუზობაზე დედამ დილაადრიან მომიკაკუნა და ჩემი ოთახის კარი შემოაღო. იგი ჩემს საწოლთან მოვიდა და ხელი გადამისვა თმაზე (არ მახსოვდა, უკანასკნელად როდის მომეფერა), მითხრა, ადექი, ჩაიცვი, ახალ ბაზარს ვეწვიოთო. ხელში დიდი კალათა მეჭირა, რომელიც დედამ ბაზარში შესვლისთანავე მომაჩეჩა. თვითონ წინ მიმიძღოდა, ნაყიდ–ნავაჭრს აუჩქარებლად აწყობდა კალათაში. თითქოსდა დედას გადაეწყვიტა ჩემი მკლავის ძალის გამოცდა, ხელში რაც მოხვდებოდა, კალათაში ყრიდა, სასეირნოდ გამოსული უფლისწულივით იქცეოდა, რომელიც თვალსაც არ შეავლებს სანოვაგით დატვირთულ მოსამსახურეს. დედა ლამაზად მორთულიყო და საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ახლა მე შემეძლო, მასთან ერთად რამდენიც უნდოდა, იმდენ ხანს მევლო და ქვეყნიერების ყველაზე მძიმე ტვირთი მეზიდა... ხილის ჩირით, თევზეულობით, ახალი ხორცით, კარაქით, ყველით, ფერადი სანთლებითა და კიდევ ათასი წვრილმანით დატვირთული კალათა საკმაოდ მჩატე მეჩვენებოდა. მგონი, დედაჩემს აღარც ახსოვდა , რომ მეც ვახლდი. მომეჩვენა, თითქოს ხალხის წინაშე კეკლუცობდა, მათ მოხიბლულ თვალებში ჯერაც ნამშეუმშრალ თმას ისწორებდა, ინაშეუმშრალ თითებს სახეზე, დალალებზე ისვამდა. ისე იქცეოდა, თითქოს ბაზარში კი არა, სარკის წინ იყო და ლაღი ღიღინ–ღიღინით სადღაც წასასვლელად ემზადებოდა...

უცბად ჩვენ ირგვლივ სიცარიელე გაჩნდა. მე და დედა ტანმაღალი , შავსამოსიანი მამაკაცების გარემოცვაში აღმოვჩნდით. ამ დროს მაღალი, სიმპათიური მამაკაცი მოგვიახლოვდა, მიესალმა დედაჩემს და გადაეხვია, დედამ მკლავები შემოაჭდო მას. ერთხანს ასე იდგნენ, შემდეგ შემოჭდობილი ხელები დაუშვეს, ახლა ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ. მერე კაცმა დედაჩემს ხელკავი გამოსდო, ეს ისე გააკეთა,რომ დედას ხელი, თითქოს დამალვას ცდილობდაო,მუჭაში მოიქცია. შემაჟრჟოლა, მერე სიმხურვალე ვიგრძენი, სწორედ ამ დროს დედაჩემი შემოტრიალდა და ჩემი თავი წარუდგინა. მაგრამ არც ერთმა - არც დედამ და არც მან - თავისთან არ მიმიხმო. მე, ჩემი მხრივ, კალათი ძირს დავდე და შევეცადე, გვერდზე გამეხედა... ამ კაცს თითქმის ყოველდღე ტელევიზორში ვხედავდი და სახეზე ვიცნობდი. იგი ჩვენი სახელოვანი, დიდების შარავანდედით მოსილი, საოცრად გავლენიანი ქალაქის მერი გახლდათ... ის იყო ამ ქალაქის ბატონ–პატრონი. ამ ქალაქის ბინადარნი სხვა არავის ისე არ ერიდებოდნენ და არავისი ისე არ ეშინოდათ, როგორც ქალაქის მერის. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მისი ყოველი ქმედება არა საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ ქალაქისა და ქალაქის მცხოვრებთა საკეთილდღეოდ იყო წარმართული. სწორედ ამიტომ ყველაფერი, რაც ამ ქალაქს ეხებოდა, ქალაქის მერს ჰქონდა მინდობილი.

თვალის დახამხამებაში დამთავრდა ეს მოულოდნელი შეხვედრა. შემდეგ კვლავ ხალხს შევერიეთ. მე, კალათამომარჯვებული, კვლავ დედას გვერდით მივაბიჯებდი, შიგადაშიგ მოხიბლული შევავლებდი თვალს და კალათას მონდომებით ვამატებდი სადღესასწაულო სანოვაგეს. როცა კალათი პირამდე აივსო, სახლში დავბრუნდით. დედამ მითხრა, რომ ის კაცი მისი თანაკლასელი იყო და ჩვენ მეტად აღარ შევხებივართ ამ თემას...

მოჯადოებული წრე

მაგსად ნურის რომანი „ქალაქის მერი" მოცულობით თანამედროვე ფრანგულ რომანს მიესადაგება და არა მხოლოდ მოცულობით, არამედ ფორმალისტურადაც. რომანი დაყოფილია ცალკე თავებად, საერთო კონტექსტს რომ ქმნის, ამავედროს იგრძნობა ქვეთავების თავისებური ავტონომიურობა, რაც ტოვებს შესრულების მოზაიკურობის შთაბეჭდილებას და ქმნის წასაკითხი ტექსტის დროდადრო განახლების თუ გადახალისების მოულოდნელობის ეფექტს. ის, ვინც პირველ პირში გვიამბობს ტექსტს, ავტორი კი არა, პერსონაჟია ან უბრალოდ, ავტორის ალტერ ეგოა, რომელიც გაორებულია და არსებული რეალობის მსხვერპლია, რასაც არამხოლოდ მისი უნებისყოფობა აყალიბებს, არამედ ქალაქის მერზე დამოკიდებული ცხოვრება ასაზრდოებს და ვერ წარმოუდგენია მისი ავტორიტეტის გარეშე, მისი თანადგომის გარეშე ნორმალური არსებობა. თუმცა, მიუხედავად იმ სარფისა, კონფორმისტული კეთილდღეობისა, მას ამავე დროს სძულს ქალაქის მერი და სიძულვილის მიზეზი გახლავთ მთავარი პერსონაჟის, ახალგაზრდა კაცის ეჭვი თუ დადასტურებული ფაქტი, რომ დედამისი ახალგაზრდა ლამაზი ქალბატონი ქალაქის მერის ხარჭაა და ეს გარემოება განსაზღვრავს ახალგაზრდა კაცის და დედამისის კეთილდღეობას. ამ ქალბატონის შვილი შეპყრობილია მძლავრი რესენტიმენტით, რომლის გაუქმება არ შეუძლია და მისი სუსტი ნებისყოფა მაინც მერის მონობას ირჩევს, თუმცა ფარულად გამუდმებით იტანჯება.

რომანში წამოტივტივდება ჩერნობილის ტრაგედია, როგორც მინიშნება იმ რეალობაზე, რომანში მიმდინარე პროცესები რომ იკვეთება, ჩნდება საბჭოთა "ვოლგა", აგრეთვე საბჭოურობის გარკვეული რეკვიზიტები და ამით ავტორი მიგვანიშნებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებზე, სადაც ეს პერსონაჟები ცხოვრობენ ან უბრალოდ დრო გაჰყავთ, ან პირიქით საიდანაც ისინი დროს გაჰყავს.

ქალაქის მერის მანქანა, საიდანაც უცნაური ხილვები ჩნდება, მთავარ პერსონაჟს რომ ეზმანება თუ ელანდება, ერთგვარი სიმბოლოა იმ მოჯადოებული წრისა, საიდანაც მხოლოდ მაშინ აღწევს თავს სუბიექტი, როდესაც მერის მანქანას ტოვებს, საიდანაც ხედავს ცხოველებად ქცეულ ადამიანებს, მტაცებელი ცხოველების თავებიან არსებებს, ნახევრად ადამიანებს და ეს ხილვები უკავშირდება მერის მანქანის ჯადოსნურობას, მაგრამ სინამდვილეში გაორებული, მუდამ ორჭოფული პერსონაჟის, საგრძნობლად გადახრილი ბუნების და ამ გადახრის გამომწვევი მიზეზების ჩვენებაა. თავისთვის განაბული ტრაგედია ღრმად ფსიქიკაში ჩასახლებულა და ცნობიერების ნაკადი გამორიყავს რომანის ტექსტში და ჩვენ განვაგრძობთ კითხვას და ვხედავთ ეთიკურად და ზოგადადამიანურად დაცემულ და მლიქვნელობით გაჯერებულ სინამდვილეს, რომელიც ქმნის თავის მსგავს ადამიანებს. პერსონაჟებად რომ მწერლის ნიჭმა აქცია და მკითხველის ყურადღება სწორედ იმაზე გაამახვილა, რასაც ჰქვია ზნეობრივი დევალვაცია ან იქნებ სულიერი დეფორმაცია.

პატარა „ბიჭუნა დამუშტული ხელებით სავარძელს დაყრდნობია და უკან იყურება. ჩემს ბავშვობას ვიხსენებ. მაგონდება ბავშვი, რომელიც ყოველ დილით ასევე უკანა სავარძელზე შესკუპებული ჩვენი სახლის წინ ჩაივლიდა ხოლმე. და ეს ბიჭუნაც იმ ბიჭს მაგონებს. მინდა დავეწიო... არ გავრბივარ, მაგრამ ადგილზე ვბორგავ". მეხსიერებაში პატარა ბიჭუნას ამოტივტივება რომანის ფინალში, ღიად მიანიშნებს, რომ სიწმინდე, სიმართლე, უშუალობა და ბუნებრიობა გაქრა ბავშვობასთან ერთად.

და იქვე, ისევ დეფორმირებული სინამდვილე, მოურჩენელი რესენტიმენტის ბოლო ილუსტრაცია: – ფინია ძაღლი... რქიანი ფინია ძაღლი.. – ქხხ! იგი ყელგამოჭრილივით მანიშნებს, –კისერზე ხელით... – ამის თქმას ახერხებს და თვალებს ხუჭავს.

მაგსად ნურის რომანზე „ქალაქის მერი" მინდა გავიხსენო პროფესორ ჯავანშირ იუსიფლის სიტყვები, რაც ჩემი აზრით ზუსტად მიესადაგება რომანის მთლიანობას და მის ავტორს. „ქალაქის მერის" კითხვისას მე ვიხსენებდი ერთ პასაჟს ოლივიე როლინის რომანიდან „პორტ-სუდანი": „ამ სტრიქონებს მე ვწერდი, რათა ცოცხალი გადავრჩენილიყავ. წარმოდგინეთ, საიმისოდ, რომ მეწერა, სხვა საბაბი არ მქონდა." ტიპურად მაგსადის აზროვნება იმდაგვარია, რომ იგი წარმოიშობა არა ანტიუტოპიიდან, არამედ რეალურის განვითარებიდან უტოპიისა და ირეალური ვიზუალობისკენ – დინამიკის დამუხრუჭებამდე, რათა ამის შემდეგ მდუმარედ გაგვიმხილოს სათქმელი" (პროფესორი ჯავანშირ იუსიფლი).

დარწმუნებული ვარ, მკითხველი დიდი ინტერესით წაიკითხავს მაგსად ნურის ფრიად საყურადღებო და უაღრესად მნიშვნელოვან რომანს „ქალაქის მერი".

ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი ჩვენს მერს ჩამოჰგავს არაერთი თვისებით და მე ვრწმუნდები, რომ მერის თანამდებობა ქმნის მსგავს ბუტაფორიულ ტიპებს და მათი ქალაქში გამოჩენა, კარნავალური მსვლელობა თანმხლებ პირებთან ერთად, ისეთივე ხელოვნურია, როგორც გაზეპირებული მოძრაობები, ნასწავლი ღიმილი და ყალბი რევერანსები – იმ რიგით ადამიანთა წინაშე, რომელთა ბედიც არასოდეს ახსენდებათ, რადგან მათთვის თავს მხოლოდ მაშინ იწუხებენ, როცა პუბლიკისთვის ამის ჩვენება აუცილებელია.

თარგმნა
გივი ალხაზიშვილი

ანა ახმატოვა

ბოლო სადღეგრძელო

ეს სადღეგრძელოა დაქცეული სახლის
და კიდევ – ბედის ავის,
და მარტოობის ორთა
და შენი სადღეგრძელოც მოვა.
ეს გაუმარჯოს ბაგეებს გამყიდველთ
და თვალებს, მკვდზარი სიცივით რომ გამყინეს
და სოფელს მუხთალს და მწარეს
და ღმერთს, რომელიც არ შემიწყალებს!

სიკვდილი

I

ვიდექი კიდეზე რაღაცის,
რომელსაც არა აქვს სახელი არაფრის...
არის შემპარავი თვლემა
და საკუთარი თავიდან წრეტა...

II

ახლა კი ვდგევარ უკვე ფერხთით რაღაცის
ყველას რომ ერგება,
ოღონდ ფასად სხვადასხვის...
იმ გემზე ჩემთვისაც ყოფილა სადგომი,
აფრაში ქარი და საზარი ჟამი გამყოფის
– მშობლიურ მხარესთან
ნათქვამით – ნახვამდის.

* * *

მე შევწყვიტე გაღიმება,
ზამთრის ქარი ბაგეს ყინავს,
ერთით იკლეს იმედებმა
მოიმატეს სიმღერებმა.
ეს სიმღერაც უნებურად,
გამიწირავს დასაცინად,
იმიტომ რომ
სულში მტკივა გაუძლისად
სიყვარულის გარინდება.

* * *

დამშვიდობება არ ვიცით
უკვე დაეშვა მზეც
დავბორიალობთ მხარდამხარ
დუმხარ და ვჩუმდები მეც.

წესის აგებას, ნათლობას, ქორწილს,
– საყდარში შევალთ და ვჭვრეტთ,
თვალს ვერ ვუსწორებთ ერთმანეთს
ყველაფერი სხვაგვარად გვაქვს ჩვენ.

ამოვისუნთქავთ შვებით,
თოვლიან საფლავთან ვსხდებით
და შენი ჯოხიანი ხელით
დაიხატება სასახლე ჩვენთვის.

განშორება

მიმწუხრი და დამრეცი
ჩემ წინაა გზა,
გუშინ კიდევ მიჯნური
მადევნებდი ხმას:
გვედრი, არ დამივიწყო,
მანაცვალო სხვას.
ახლა მარტო ქარების
და მწყემსთემოჯარების
ისმის მიმოთქმა.
ხე კი შენაზარები
სუფთა წყლებთან დგას.

თარგმნა **ეკა ჯიქიამ**

ჯეზმი ერსოზი

მენაცრები

ჩემი სიცოცხლე სტამბოლის გულცივ, წვიმიან ღამეს ჰგავდა... და ღამეული წვიმა ყოველთვის შიშს მგვრიდა. ფანჯრებს თითქოს წვიმა კი არა, მარტოობა, უშენობით სავსე წლები ასველებდა წვეთ-წვეთად... ერთი მხარე ყოველთვის ნაკლული მქონდა შენ გამო, ცხოვრებაში ერთადერთი ახლობელი ადამიანისგან შორს ყოფნა უკვე უთვისტომობა, უპატრონობა იყო. შეხვედრის სასწაულის მოლოდინში გახარჯული სიცოცხლის დასასრულის მოულოდნელ აღმოჩენას, წუთისოფლიდან ამ სასწაულის უნახავად წასვლას და მარტოობაში სიკვდილს ნიშნავდა ჩემთვის წვიმა...

ისევ წვიმს, ისევ ღამეა... ისევ სტამბოლი... შენ ჩემი მკლავებიდან თავს იხსნი და საწოლიდან დგები.

– სად მიდიხარ, ჩემო სიყვარულო?

მხოლოდ შენთან ჩახუტებულს შემეძლო სუნთქვა. როდესაც, შენს მკლავებში მოქცეული, ვაკვირდებოდი მაგ უმანკო გამომეტყველებას, მხარზე გეკვროდი და შენს სუნს გულამდე ვისუნთქავდი, ძილი სამოთხე იყო ჩემთვის. იმიტომ რომ ჩემთვის სამოთხე იქ იყო, სადაც მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით. სხვა არავინ და არაფერი – არც შენზე შეყვარებული ქალები, არც შენთვის ძვირფასი ადამიანები, არც წარსული, არც მომავალი... ძილში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით. ამ დროს არ ვეძებდი სიტყვებს, რომლებიც მაინც არ იყო საკმარისი ჩემი სიყვარულის გამოსახატავად. მაშინ სიყვარულის ახსნა, სასიყვარულო სიტყვები უკვე აღარ მჭირდებოდა. ჩვენი სიყვარულის სურნელი გვიყვებოდა ჩემზე, შენზე... სინამდვილის ცივი, ადიდებული ტალღებიდან გასაქცევი ერთადერთი გზა იყო შენთან ერთად ძილი. სხვა დროს ხომ ცხოვრება მაშორებდა შენს თავს, შორს მივყავდი შენგან.

ჯერ მკლავს გამომაცლიდი თავს ქვემოდან, მერე ზურგს მაქცევდი. ზურგიდან გეხვეოდი წყნარად, წლების განმავლობაში – შენთან ერთად თუ უშენოდ – დაგროვილი მონატრებით... მერე ნელ-ნელა მისხლტებოდი მკლავებიდან... სხეულიდან გამოსული მხურვალება და დროის მიერ გაუნელებელი მონატრება, რომლის ტარებითაც წლობით არ ვიღლებოდი, მძიმედ განვებოდა...

– ვეღარ ვიძინებ... ვეღარ ვსუნთქავ, გთხოვ, ნუ მეხვევი, – მეუბნებოდი. საწოლის ერთ კუთხეში მიყუჟული სხეულიდან გაძევება შენი ცხოვრებიდან გაძევების ტოლფასი იყო ჩემთვის. იმ სამოთხიდან გაგდებას ნიშნავდა, სად შეხიზნულსაც შემეძლო მხოლოდ სუნთქვა. ძილის დროს ჩემი მიტოვება რეალურ ცხოვრებაში მიტოვებაზე უფრო მემძიმებოდა. თავიდან ბოლომდე შენით გაჯერებულ ჩემს ნესტიან სახლში უშენობა დავიწყებაზე უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა.

დაკარგვის შიში უჯრედებში ისე მქონდა გამჯდარი, საწოლში შენი წამოჯდომისთანავე უნებურად ვახელდი თვალებს. მაშინვე ქვეცნობიერად ვიწყებდი აზროვნებას... აზრად არ მომივიდოდა, რომ შესაძლო იყო, წყლის დასალევად ან ტუალეტში გასასვლელად ამდგარიყავი. მეგონა, ჩემგან მიდიოდი...

განა სად უნდა წასულიყავი იმ დროს შინიდან, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი, მხოლოდ იმისა მეშინოდა, უსასრულო არარაობაში, ყველაზე უმანკო სიზმრის დროს, ჩვენს სამოთხეში ყოფნისას არ მიგეტოვებინე და არ გადაკარგულიყავი. სწორედ ეს საუკუნოვანი შიში მაიძულებდა, სულ მუდამ ერთი და იგივე კითხვა დამესვა შენთვის:

– სად მიდიხარ, ჩემო სიყვარულო?

თურმე შინაგანი ანგარიშსწორების ხანძარი იყო შენი უძილობის მიზეზი. დაღამებისას საყვარლები, სახეები, სხეულები, მოგონებები ქრებოდნენ; მხოლოდ ჩვენ ორნი ვრჩებოდით. და შენ ძილში ჩემს სიყვარულს უსწორებდი ანგარიშს. სამოთხეში ჯოჯოხეთს აცოცხლებდი.

უკან რომ ვიხედები, თითქოს წლებს კი არა, ასეულობით წელს ჩაუვლია ჩვენ შორის... განშორება, ღალატი, გადაკარგვა, მიტოვება, ხელახლა პოვნა, შიში, მარტოობა, ხეტიალი... –

თურმე რამდენი სახეცვლილება განუცდია ამ ურთიერთობას...

გზების, ქალაქების მანძილიდან მიყვარდი. სიტყვებით, ლექსებით მიყვარდი, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ ჩემი სიყვარულისთვის აეღოთ კალამი ხელში. იმ შენი გამოგზავნილი წერილებით მიყვარდი. უიმედოდ, ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, შორიდან მიყვარდი ოცნებებში. ყველაფერი ისე მივიღე, როგორც იყო, შენს ქალაქში ჩამოვედი, მიყვარდი, თუმცა შენს გულში ვერ შემოვაღწიე. დაფიქრებულხარ კი, ვინ ვიყავით ერთმანეთისთვის იმ წლებში? ვინ ვიყავით – შეყვარებულები?

ჩამოვედი. სიყვარული, რომელიც ხელს გამიმართავდა და ზურგს გამიმაგრებდა, ვერ ვპოვე. ტყუილი, რომ ახალ ცხოვრებას ვიწყებდი, ჯერ საკუთარ თავს, მერე კი ყველას, მათ შორის შენც გითხარი. თუმცა ერთადერთი, რაც მინდოდა, შენთან ერთად სიცოცხლე იყო. მე გაუბედავი ვიყავი, შენ კი ისეთი თამამი და პირში მთქმელი, რომ მხოლოდ უიდეო ხიზნობას მივაღწიე მთელი სიცოცხლე. ვინ ვარ? შენს ცხოვრებაში თავშესაფრის მაძიებელი, გულის ხიზანი? სიყვარულისგან შეშლილი მხოლოდ...

ჩემო სიყვარულო, სიმართლე ზოგჯერ ტყუილზე მტკივნეული ყოფილა... სინამდვილის ყინულოვან მხარეში ეულად დარჩენილ გულს გადარჩენისთვის ზოგჯერ სიცრუეც მონატრებია... იმ წლებში, როდესაც ჯიუტად მიმტკიცებდი საწინააღმდეგოს, ყინულოვან მხარეში ოდნავ მაინც რომ გავმთბარიყავი, ჩემდამი შენი სიყვარულის ტყუილში ვარწმუნებდი საკუთარ თავს...

ჩემი სიყვარულით ჩარაზული კარის ზღურბლზე მიტოვებულ დაჭრილ ჩიტს ვგავდი. ერთადერთი, რისიც მწამდა, შენდამი სიყვარული იყო და მე მისი მონა ვიყავი. მორჩილება მსურდა ცალმხრივი, უმწეო, უხმაურო ტრფობის... როგორ მეუხეშებოდი... მართლა არ გყავდი გულში? მითხარი, ვინ ვიყავით ერთმანეთისთვის? სიყვარულო, იმ წლებში ვინ ვიყავი შენთვის? ცხოვრების თანამგზავრი? უბრალო თანამგზავრი? მეგობარი? საყვარელი?

მერე, ერთ დღესაც, დამივიწყე. ყველა ეს კითხვა სათითაოდ დანასავით ჩამერჭო გულში და იქვე პოვა კიდეც პასუხი. დავიწყება აღმოჩნდა ყველაზე მწარე პასუხი. მერე – უძირო უკუნეთი, უსასოო გადარევა.

შენი სიყვარული ფარი იყო ჩემთვის, ერთადერთი თავშესაფარი ცხოვრებისგან თავის დასაცავად. თავდაცვის ეს ერთადერთი საშუალება გამიქრა და ცხოვრებას მივენდე. მოვიდა და გამიტაცა სხვა სხეულებისკენ, უაზრო თავგადასავლებისკენ, რომელთა ნაწილიც ვერ გავხდი...

ჩემმა გულგატეხილობამ სახე იცვალა და გადაჩვევად იქცა. დავიწყების ყველაზე დიდი სიმწარე ჯერ კიდევ ხსოვნაში მყოფის დავიწყებამ განმაცდევინა. შენმა სამუდამოდ დაკარგვამ მაიძულა, დამევიწყებინე, მაგრამ როდესაც ამ სიცრუეში თავის დაჯერებას ვცდილობდი, ცხოვრებამ ყველაზე მწარე სილა გამაწნა... მერე – უსასრულო სიბნელე... გახსენებაც რომ მიჭირს, ოცნებათა ისეთი მსხვრევა... მღვრიე, ბნელი და ნესტიანი ჭა... უზარმაზარი სიცარიელე... ბოლოს კი ისეთი ღრმა მარტოობა, სიტყვა „მარტოობაც“ რომ ვერ დაიტევს...

არ მახსოვს, რამდენი ხნის შემდეგ – ერთი დღეც დადგა და ისევ გამიხსენე. ჩემს არყოფნაში მოწყობილმა ცხოვრებამ აკრძალულ კავშირად მაქცია ამჯერად... და ამ ჩვენმა ურთიერთობამ კიდევ ერთხელ განიცადა სახეცვლილება. ვისწავლე როგორ მეცქირა შორიდან სხვასთან მოწყობილი შენი ცხოვრებისთვის, როგორ ჩამებარებინა გული დაწყევლილი ეჭვიანობისთვის, როგორ შეგხვედროდი განსაზღვრულ დროს, მესწავლა მიჩქმალული და დაუკმაყოფილებელი სიყვარული... მაშინ, როცა შენი მონატრებით სუნთქვა მიცახცახებდა, მარტო დაძინებაც ვისწავლე. წვიმიან სტამბოლურ ღამეებში, თავიდან ბოლომდე შენით გაჟღენთილ სახლში, შეუბრალებელ ბედთან შეგუებაც ვისწავლე, სიყვარულო...

იმ უდროო დავიწყების შემდეგ თავიდან გახსენების სიხარული შენი სხვასთან გაყოფის, მუდამ იდუმალების ჩრდილში ყოფნის სიმწარემ გადაფარა. იმ მრავალ უძილო ღამეს, როდესაც კარგად ვიცოდი, შენი სუნთქვა სხვის სუნთქვას უერთდებოდა, ჩემი სიამაყე ნაფლეთებად დავშალე და ჩვენს სიყვარულს მსხვერპლად შევწირე. ენით აუწერელი ტკივილის გასაყუჩებლად იძულებული გავხდი, უარი მეთქვა სულიერებაზე, მეობაზე, ქალურ თავმოყვარეობაზე. ყველაფრის გათვალისწინებით, წინააღმდეგობის გასაწევად საკუთარ თავზე ვთქვი უარი. ამრიგად, ბოლომდე ჩავირაზე უკან დასაბრუნებელი კარი. სულიდან საკუთარი თავი გამოვაძევე და ყველა უჯრედი შენი სიყვარულით გავაჯერე. სწორედ იმ წამიდან უშენობა უჩემობად მექცა, ჩემო სიყვარულო...

როგორი აფორიაქებულები, სუნთქვაგახშირებულები ვიყავით იმ მოპარულ წუთებში... ჩვენი სიყვარულის ყველაზე ბნელი, ყველაზე ნამდვილი, თანაც ყველაზე დატვირთული მოგონებები... უშენოდ გატარებული ღამეების დროს გულში დაგროვილი ეჭვიანობა, ბრაზი, გულგატეხილობა და მონატრების ციებიანი უკუნეთი შენთან შეხვედრის წამებიდან სიხარულისგან ჭკუიდან გადასვლის ენით აუწერელი ნეტარებით იცვლებოდა. ალმოდებული სიყვარულით ვეფერებოდით ერთმანეთს... შენი ხელახალი შეხება ღრუბლებთან ამბორის ტოლფასი იყო... სიმშვიდე და მღელვარება, მონატრება და შეხვედრა, სიყვარული და ბრაზი, შებრალება და შეუბრალებლობა, გულგატეხილობა და პატიება – ყველა ეს გრძნობა ჩვენი სიყვარულის ადიდებულ ტალღებში ერთმანეთში ირეოდა. ორი გულისთვის მთელი სიცოცხლე სამყოფ გრძნობებს იმ ხანმოკლე წუთებში სუნთქვაშეგუებულები განვიცდიდით...

შემდეგ ცხოვრება შეიცვალე. გათავისუფლდი, და ჩვენმა ურთიერთობამ ერთხელ კიდევ

იცვალა სახე. წლების განმავლობაში აქეთ-იქით გაბნეულმა გრძნობამ, როგორც იქნა, წყნარი, უზრუნველი და სანდო ნავთსაყუდელი პოვა. რაკი იმ ქარტეხილებს გაუძლო, ახლა ვეღარაფერი წააქცევდა ამ გრძნობას. ღალატს, დავიწყებას, ცხოვრების კიდევ მრავალ გამოცდას გაუძლო ჩვენმა სიყვარულმა. უკვე ვიჯერებდი, რომ არაბუნებრივად, სულ სხვა, ჯერ ხელშეუხებელ განზომილებაში გვიყვარდა ერთმანეთი, როცა ის დაწყევლილი წინადადება მოსწყდა შენს ტუჩებს. თავიდან გაიღვიძა შიშმა, წარსული გარდასულს მოწყვიტა და ისევ ჩვენ შორის ჩააყენა:

– შენი არსებობა უკვე აღარ მაყენებს ტკივილს...

ოჰ, ჩემო სიყვარულო! განა კარგა ხნის წინ არ ჩაგვიარა განშორების მატარებელმა?! დაკარგვისა და ხელახლა პოვნის თამაშობანი კარგა ხნის წინ არ მოვიბეზრეთ განა?! ამქვეყნიური სასიყვარულო ურთიერთობები, ეჭვიანობები, საიდუმლო შეხვედრები ხომ უკვე უკან მოვიტოვეთ? ერთმანეთი ხომ გამოვცადეთ ყველაზე მწარე ღალატის გამოცდებით? აქამდე ვერ მიხვდი, რომ შენთვის ტკივილის მოსატანად არ ვარსებობ... მე ვარსებობ მხოლოდ შენი სიყვარულისთვის!

შენ გამო განა ურთიერთობის ყველა ნაირსახეობა არ მოვირგე? ჯერ უსიყვარულოდ, გულის სიცარიელის ამომვსები ცხოვრების თანამგზავრი ვიყავი შენთვის... როდესაც გულის კარი სულ სხვას გაუღე, ცხოვრებიდან გამრიყე და მიმატოვე, ვცადე, სხვა ადამიანებით, სხვა ურთიერთობებით დამევიწყებინე, მაგრამ გაგიჟებას აღარაფერი მაკლდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ყველა მათგანში შენ გეძებდი... როდესაც შენს გულში ჩემი დაბრუნება მოინდომე, სიამაყის იალქნები გადავწვი და შენი საყვარელი გავხდი... ხან სინდისი ვიყავი შენი... ხან – შეწყალება... ხან – სინანული... ზოგჯერ – სიამოვნების ყველაზე უჩვეულო ნაირსახეობათა გამზიარებელი მეძავი... ვიყავი შენი ამხანაგი... და შეყვარებული... მითხარი, რამდენჯერ იცვალა სახე ამ ურთიერთობამ? რამდენჯერ შევიცვალე მდგომარეობა შენი სიყვარულის გამო?

აქამდე ვერ მიხვდი, რომ ტკივილის მოსაყენებლად კი არა, მხოლოდ შენი სიყვარულისთვის ვიცოცხლე... ახლაც შენთან ერთად გასატარებელი წუთების ფორიაქში ვცდილობ გავაქრო უშენოდ გატარებული დღეები. წლები მიდის, ჩემი გული კი ისევ შენი ნახვის მოლოდინში იწყებს ღელვას, მხოლოდ შენთვის ვიცვამ ყველაზე ლამაზ სამოსს. შენ რომ მოგეწონო, ვტრიალებ სარკის წინ.

შენთან გატარებული დრო განუმეორებელ მუსიკალურ იმპროვიზაციასავითაა ჩემთვის. თითქოსდა ბედის ჩვენთვის განსაზღვრულ დროს წუთებს ვპარავ. სრულიად უმიზეზოდ შენი ყურება, შენთვის სადილის მომზადება, შენთან საუბარი, შენი მეგობრების გამასპინძლება,შენთან ერთად დაძინება, ანუ ყველაფერი, რის გაკეთებაც მხოლოდ შენ გამო შეიძლება, იმ ლექსის სტროფებივითაა, ხელმეორედ რომ ვეღარ წავიკითხავ და გულმოდგინედ, სულმოუთქმელად, მძაფრად უნდა განვიცადო... ისე ვარ გაჯერებული შენით, რომ შეუძლებელია დამეხარჯო და გამიუბრალოვდე. რაც უფრო შეგიგრძნობ, მით უფრო ბევრდები...

ახლა ჩემი არსებობა ყოველ წუთს უფრო და უფრო მჭიდრო რკალად გერტყმის გარს. ყოველ ახალ დღეს ცოტა უფრო მეტად მიბეზრებ და მშორდები. შენი ტკივილიანი წარსული თავს არ განებებს და შიშის კედლად აღმართულა ჩვენ შორის. როდესაც შენს ცხოვრებას მთელი გულით ვიკრავ მკერდში, ვხედავ, როგორ გადაგივლის სახეზე ნაცნობი შფოთვა და მიჰყავხარ ჩემგან ძალიან შორს, ღრმა და უსასრულო მარტოობის ლაბირინთებში. ახალ სახელებთან, ახალ-ახალ სასიყვარულო ისტორიებთან, ახალ სახეებთან, ახალ სხეულებთან გაქცევის გეგმებს აწყობ შენთვის... განა ეგ ფიქრები არ არიან, ღამით უეცრად რომ გაღვიძებენ, მკლავს რომ გარიდებინებენ ჩემ თავქვეშიდან, საწოლის კუთხეში რომ გკუნჭავენ, ძილს რომ გიფრთხობენ და საწოლიდან გაყენებენ და მთავარი – მუდამ ერთსა და იმავე კითხვას მასმევინებენ შენთვის:

– სად მიდიხარ, ჩემო სიყვარულო?

სიყვარულო, სად მიდიხარ? რა არის იქ? რა არის მეობამომწყვდეულ კედლებს იქით ცივი და უსასრულო მარტოობის მეტი? რატომ გარბიხარ? ამ სიყვარულს რატომ ვერ აღიქვამ უსასრულობისკენ, თავისუფლებისკენ, ჯერ განუცდელი საზღვრებისკენ გამავალ კარად? მე ხომ შენგან წასვლა არასოდეს დამიშვია? ჩემი სიყვარული შენი ტანჯვისთვის კი არა, ბედნიერებისთვის არსებობს... ჩემი სიყვარული იმისთვის არსებობდა, რომ დაგეჯერებინა... დაგეჯერებინა – დედამიწაზე ცხოვრება ჯერ კიდევ შესაძლებელია... გულის სიღრმეში ჩამალული ორი უმანკო ბავშვის არსებობისთვის, მათი სუნთქვის საჭიროებისთვის არსებული ცის კაბადონი იყო ჩემი სიყვარული... მე ხომ შენთვის არასოდეს მომიპარავს ფრთები...

იმდენჯერ უარმყავი და დამივიწყე, რომ უშენოდ დარჩენა ერთადერთი შიშია, რომელიც გულს მიკლავს. იმდენად, რომ ჩემი სიცოცხლე ახლა მხოლოდ ეს შიშია... როგორც კი ეს შიში ამიცხადდება, მე ვეღარ შევძლებ სიცოცხლის გაგრძელებას. მე უკვე ყველაფერი ვცადე. ხელი ვკარი ყველაფერს, რითაც კი შეიძლებოდა, ამ ცხოვრებას მოვჭიდებოდი – ხელი ვკარი, რათა მყვარებოდი... მთელი ჩემი მოთმინების უნარი, საკუთარი თავისა თუ სხვა ადამიანების რწმენა, რწმენა იმისა, რომ სიყვარული ამ ცხოვრებაში ერთადერთი ფასეული რამ არის... უკვე აღარ შემწევს სხვისი შეყვარების ძალა, ცხოვრებასთან ბრძოლისთვის საჭირო მეობა დავკარგე...

ახლა მეუბნები, რომ ჩემი არსებობა ტკივილს აღარ გაყენებს. გინდა, წავიდე შენგან, მერე ხელახლა მოვიდე... და მერე ისევ წავიდე... ჯერ უშენობის უკიდეგანო უფსკრულში მაგდებ, მერე ხელახლა ამოგყავარ მზის სინათლეზე. გსურს, მაშინ იპოვო ჩემი სიყვარული თუ უჩემობა, როცა მოგესურვება. იქნებ ეს ერთგვარი

თამაშია, გამოწვეული შიშით, რასაც შენდამი ჩემი სიყვარულის მიმართ გრძნობ, შიშობ, რომ ეს სიყვარული ხელში ჩაიგდებს შენს მეობას და სიცოცხლეს. იქნებ ეს ყველაფერი ამ უსაფუძვლო შიშის დასამარცხებლადაა მოგონილი; მაშინ როდესაც ჩემთვის შენთან გატარებული დრო განუმეორებელ პოემას ჰგავს, შენთვის ის მონოტონური და მოსაბეზრებელია და ამ გაბეზრებული გამომეტყველების გასაქრობადაა მოგონილი ეს თამაში: ჯერ სიგიჟის ზღვრამდე მიყვანა და მერე ისევ გულთან მოხმობა.

განა არ იცი, რომ შიშის მოლოდინი თავად შიშზე შემაძრწუნებელია? სწორედ ამიტომ უშენობის უკუნ უფსკრულში საკუთარი ნებით ვაგდებ ჩემს ბედს. მე მხოლოდ შიშის მოლოდინზე ვამბობ უარს და არავითარ შემთხვევაში – შენს სიყვარულზე, ჩემო ერთადერთო... სწორედ ამის გამოა, შენთან გამოუმშვიდობებლად რომ გავქრი.

რაკი ჩემი არსებობა ტკივილს აღარ გაყენებს, რაკი მხოლოდ ჩემი არყოფნისას გრძნობ ჩემდამი სიყვარულს, მაშინ უჩემოდ დარჩი, ჩემო სიყვარულო... რაკი ჩემს არყოფნაში უფრო ბედნიერი ხარ, დაე, ჩემი არარსებობა ამ სიყვარულის გამო მორგებულ უკანასკნელ მდგომარეობად დარჩეს.

ნდობა

თითქოს მხოლოდ ჩემთან ჩახუტებულს შეეძლო სუნთქვა... ძილი მორჩილებაა... მძინარეს ყველა დანაშაული ეპატიება... ძილი უმანკოებაა... ჩემს მორჩილებას და უმანკოებას თითქოს მხოლოდ ძილის დროს გრძნობდა და ამიტომაც მძაფრ მონატრებას მხოლოდ ამგვარად იკმაყოფილებდა... წლების განმავლობაში ისე მეხუტებოდა, კარგა ხანს უწყლოდ დარჩენილი რომ მივარდება წყალს დასარწყულებლად... უნდოდა, მალე დავრჩენილიყავით მარტონი, დაღამებულიყო, დაგვეძინა და მხოლოდ ძილის დროს არსებული იმ უსაზღვრო სიახლოვის სურნელი ეყნოსა... მთლიანად შეეგრძნო ჩემი არსებობა...

რადგან სხვაგვარად ცხოვრება არ აძლევდა უფლებას აეხსნა, რას გრძნობდა, როგორ ძლიერ სიყვარულს განიცდიდა... სიყვარულისგან ყველაზე მეტ სიამოვნებას, ჩემთან ჩახუტებული, ძილის დროს იღებდა... ამიტომაც იყო, რომ სხვა ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობებზე მეტად მათთან ერთად ძილზე ეჭვიანობდა.

ვგრძნობდი, ყოველ ჩახუტებაზე როგორ ისრუტავდა ჩემს არსებას და მწვავდა, თითქოს საკუთარ ბედისწერას მაღვრიდა სხეულში... ჩვენი სიზმრები ერთმანეთში ირეოდა... მესმოდა: წლობით უპატრონოდ დარჩენილი სიყვარულისთვის ჩემში, თავის თავში, დაცულ და ნდობით სავსე ადგილს ეძებდა...

ზოგჯერ ჩემივე სულის შემაძრწუნებელი ყვირილი მაღვიძებდა... როგორც კი თვალებს გავახელდი, ისიც იღვიძებდა... რადგან ჩემი სულის თითოეულ მოძრაობას უსასრულო ყურადღებით აკვირდებოდა. ნაღვლიანი მუქი თვალებით და თითქოს ჭის ფსკერიდან ამომავალი ხმით მკითხავდა:

– რა მოხდა, სად მიდიხარ ჩემო სიყვარულო?

სკოლიდან გაპარული და გამოჭერილი ბავშვივით, დაფარული შიშით ვპასუხობდი:

– არსად, დაწექი, ერთ სიგარეტს მოვწევ და მოვალ...

სასტუმრო ოთახში გავიდოდი, ფანჯარასთან მდგომ სავარძელში ჩავჯდებოდი, სიგარეტს მოვუკიდებდი და ღამის სიჩუმეში მის თითქმის ავადმყოფურ სიყვარულზე ვფიქრობდი...

ბოლო ხანს მუდამ დაღლილს მეღვიძებოდა... ალყაში მოქცეულივით ვგრძნობდი თავს... მთელი სიცოცხლე რომ მისთვის შემეწირა, მეშინოდა, მის სიყვარულს არ გავეთელე... მთელი ჩემი არსება მისი უსაზღვრო შიშით, მოლოდინით და მზარდი მონატრებით იყო სავსე... მასთან ვიყავი, მაგრამ მაინც ვენატრებდი... თითქოს თავის თავს ეჯიბრებოდა ჩემს სიყვარულში... რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა და რასაც საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელდი, ჩემი მეობის მის მეობაში არევის შიში იყო... ამის ალბათობა კი უსასრულო პატიმრობისა და უზარმაზარი დანაკარგის ტოლფასი იქნებოდა ჩემთვის... თითქოს ამიერიდან ვეღარავის შევიყვარებდი, ჩემს გულს აღარ ააფორიაქებდა სხვა... წლების განმავლობაში სხვადასხვანაირი იყო ჩვენი ურთიერთობა. როდესაც ის გამირბოდა, მე ვეძებდი; როდესაც მე გავრბოდი, ის მომდევდა... ორივეს ბევრ სხვასთანაც გვქონდა ურთიერთობა... ერთხანს სულ მივატოვე... რომ დავეკვიწყებინე, შეუფერებელ კავშირებს ამყარებდა... ბევრჯერ განიცადა ოცნებათა მსხვრევა... ბევრჯერ შევრიგდით და ისევ დავცილდით... ერთმანეთზე არანორმალურად ვეჭვიანობდით...

ერთხანს ჩვენ შორის არავინ ჩამდგარა და ერთად ვიყავით... იმხანად მის ხელახლა მოსაპოვებლად თითქოს არაფერი იყო საჭირო... იმისთვის, რომ ვყვარებოდი, ჩემი არსებობაც ჰყოფნიდა... დაძაბულობა, მისი დაკარგვის და ხელახალი პოვნის შიში, ჩემთვის უცნაურმა სიწყნარემ და ერთფეროვნებამ შეცვალა. იქნებ უფრო ამიტომ იყო, რომ მასთან დაკავშირებული ამბავი დასრულებულად მეჩვენებოდა... თითქოს რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო ვშორდებოდი... მისი სიყვარულის მონატრება უკვე სინდისის ქენჯნით გაჯერებულ მადლიერებას შეეცვალა... მაშინ, როდესაც ჩემგან შორს მყოფი სიგიჟემდე მენატრებოდა და ეს მონატრება ტკივილიან სიხარულს მგვრიდა... ეს ტკივილი დროის შეუბრალებელი და შხამიანი წარმავლობისგან მიცავდა... მაგრამ კარგა ხანია, მისი არსებობა ტკივილს აღარ მაყენებდა... და თავიდან დავიწყე იმის შეგრძნება, როგორ ანაწევრებდა დრო ჩემს სხეულსა და სულს...

ის უფრო ნამდვილი ცხოვრება იყო, როდესაც

მენატრებოდა... მისი გადარეული და მშფოთვარე თვალების სინამდვილე... ახლა ისევ თავიდან დავიწყე მისი მობეზრება და კიდევ ერთხელ გავირიყე ყალბ რეალობაში... ისევ დავიწყევლე გაჩენის დღე და კვლავ გამიჭირდა საკუთარი თავის ატანა... თითქოს ძალა დაეკარგა ჯადოსნობას... სიტყვების პირველად მნიშვნელობებს დავუბრუნდი... და ამ დაბრუნებას, უკან დაბრუნებას, წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი... თითქოს ჩემში, ჩემგან დამოუკიდებლად, განსხვავებული ფიქრი და ჭკუა არსებობდა... ჩემთვის უცნობ საზღვრებში... ეს საზღვრები მაშფოთებდა, მაგრამ თავს ვერაფრით ვშველოდი...

ადრე შეუსვენებლად და მონდომებით ვუყვებოდი საკუთარ თავზე... ახლა ხშირად ვჩუმდებოდი... თანდათან ჩემი თავის, ლექსების, ზმანებების, ჩემში დაგროვილი სასიყვარულო სიტყვების ჯერ კიდევ უცნობი სიყვარულისთვის გადანახვა დავიწყე...

ყოველი ჩემი გაჩუმება, ყოველი ჩემი საკუთარ თავში ჩაკეტვა მისთვის სიკვდილზე უარეს მუქარას წარმოადგენდა... ზოგჯერ, ღამით, ძილის დროს, მცირე ხანს საკუთარ თავთან დასარჩენად და მძლავრად შემოჭდობილი მისი მკლავებიდან თუნდაც ცოტა ხნით თავის დასაღწევად საწოლის კუთხეში მიკუნჭვა, დარწმუნებული ვიყავი, განშორების ტკივილზე უარესი იყო მისთვის... ურთიერთობისას ყველაზე ხშირად სიტყვა „დაშორებას" ვხმარობდით... მაგრამ კარგა ხანი იყო, ამ სიტყვასაც დაეკარგა მნიშვნელობა ჩვენთვის... რადგან სიტყვათა მნიშვნელობებზე უფრო ძლიერად ვყვარობდით ერთმანეთს და სიტყვათა მნიშვნელობებზე მეტჯერ მივატოვეთ ერთმანეთი... ხშირად ამბობდა, რომ ყოველგვარი შეტყობინების, დაშორებაზე ლაპარაკის გარეშე, უცაბედად მიმატოვებდა და აღარასოდეს მომძებნიდა. რატომღაც არ მჯეროდა...

დროს მივანდე ყველაფერი, ერთ დროს ფრიად საძულველ დროს... წინათ დრო ჩემთვის შემაწუხებელ, მოშურნე და ამოწურვის შეგრძნებას წარმოადგენდა... ახლა კი შინაგანმა უკმარისობამ, წესიერად სახელიც რომ ვერ დამერქმია, იმგვარმა, უსაზღვრო ძიების სურვილით ისევ დროის კალათაში გადამისროლა... უკვე კარგა ხანი იყო, მისგან ახალ ტკივილს, ახალი ჭრილობის გახსნას ველოდებოდი...

მის ისტორიას ჩემსას ვაგლეჯდი და საკუთარ მეს ვუბრუნდებოდი, ის კი ამ რეალობის შუაგულში რჩებოდა, კიდევ უფრო მარტოსული, სუნთქვაშეკრული, და ამ მდგომარეობაში კიდევ უფრო დიდი ტკივილით მეჯაჭვებოდა...

ეს ტანჯვა ხშირად კონტროლს აკარგვინებდა... ტელემოპასუხის შეტყობინებებს მიმოწმებდა, ჩემს არყოფნაში ელექტრონული ფოსტით მოსულ წერილებს კითხულობდა, ავტორი ქალების მისამართებს იზეპირებდა, აინტერესებდა, ვის რას ვეუბნებოდი... უსაფუძვლო სასიყვარულო ისტორიებს მიგონებდა და თვითონვე იჯერებდა – ისეთი უსაზღვრო შიში იპყრობდა, თითქოს უკვე სხვისი გულისთვის ვტოვებდი...

თუმცა მე არ შემეძლო სხვისი გულისთვის მისი მიტოვება... სხვა ვინმე კი არა, ჩემი ხასიათი, ავადობა, არსება მაცილებდა მას ნელ-ნელა... ეს ყველაფერი კი ჩვენს სიყვარულს შორის უსაშველო უფსკრულად წვებოდა...

იქნებ ეგოისტი და დაუკმაყოფილებელი ტიპი ვარ-მეთქი, – ვეკითხებოდი საკუთარ თავს... ან იქნებ პიროვნულად ვიყავი სხვებისთვის მუდამ დახურული... თუ ასე არ არის, მაშ, როდის და რატომ ჩავიკეტე ჩემს არსებაში?.. ან გასაღები ვისთან დამრჩა?.. თუ მხოლოდ რამის დაწერის იმედით ვეხვეოდი ათეულობით ურთიერთობაში? იქნებ მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში არსებულ წრეზე ვტრიალებდი...

არაერთხელ მიკითხავს ეს საკუთარი თავისთვის... და არასასურველი პასუხების გამო კიდევ უფრო მძულდა თავი. მძულდა იმიტომ, რომ გრძნობებთან დაკავშირებით ვერაფრით ვიჩენდი თავმდაბლობას... სიღრმისეულად მინდოდა ყველაფრის განცდა, მჯეროდა კიდეც, რომ ამას ვაღწევდი, მაგრამ საბოლოოდ სათითაოდ ვკარგავდი საკუთარ ლაბირინთებში ნაპოვნ სიღრმეებს.

მან კი, ჩემი ანუ საკუთარი არსებობის მთავარი მიზეზის შენარჩუნების მიზნით, თავისი მთავარი თვისება – სიამაყე დაივიწყა უპირველესად...

ცდილობდა, ჩემთვის განსაკუთრებული და შეუცვლელი ყოფილიყო, მაგრამ მცირე წარუმატებლობას იგრძნობდა თუ არა, მაშინვე უსაშველო შიში იპყრობდა და ამ შიშის გამო სიამაყეს ფეხით თელავდა...

ყველაზე მეტად ჩემს თვალში გაუბრალოების ეშინოდა და ამის გამო გამუდმებით თავს იმცირებდა, ჩემი სამუდამო მოპოვებისთვის, ცხოვრებისთვის საჭირო ძალას, მოჭიდების უნარს, არსებობისთვის საჭირო ყველა დაფარულ თუ გამოსაჩენ თვისებას ჩუმ-ჩუმად კარგავდა...

კარგა ხანი იყო, რაც ჩემი თავი კი არა, მისი ეს შიში და წუხილი მაფიქრებდა.

ქვეყნიერების ჭიპად ვექეცი. ხშირად სამსახურსაც კი აცდენდა, რათა უფრო მეტი დრო გაეტარებინა ჩემთან ერთად. არავისთან არ უნდოდა ურთიერთობა, თუ იქ მე არ ვიყავი, არანაირი საზოგადოება არ აინტერესებდა, უჩემოდ გატარებულ ყოველ წამს არარეალურად და ფუჭად აღიქვამდა.

ასეთი მდგომარეობა ამქვეყნად ყველაზე მძიმე ტვირთი იყო ჩემთვის... რამდენჯერაც უჩემოდ ვტოვებდი, სინამდვილეში იმდენჯერ ვიმეტებდი სიკვდილისთვის...

– შენთან ერთად წამოვიდეო? – მკითხავდა.

– არა, ამ საღამოს მარტო დარჩენა მინდა, ნუ წამოხვალ-მეთქი, – ვუპასუხებდი, თუმცა კარგად ვიცოდი – ასეთი პასუხით უკიბოდ, მარტოს ვუშვებდი ბნელ ჭაში...

როცა კი საკუთარ თავთან დარჩენას მოვინდომებდი, ის ამას უსასრულო განშორებად აღიქვამდა და ერთხელ კიდევ მარცხდებოდა იმ დიდ სიყვარულთან, რომელსაც მთლიანად მოეცვა მისი გული...

უჩემო ყოველ წუთს ჩემთან ხელახალი

შეხვედრის მოლოდინში ატარებდა და ყველაზე მეტად საკუთარ თავს, საკუთარ სიცოცხლეს ხარჯავდა. ამიტომ იყო, რომ ჩემთან შეხვედრის იმ წმინდა წუთებისთვის მზადებაში თავის ცხოვრებას უსასრულო მოლოდინისთვის იმეტებდა...

მისი სიამაყიდან ამოჩქეფებული უპატრონო სისხლი სიცარიელეში მიედინებოდა... განუწყვეტლივ კარგავდა მას და, ამის საპირისპიროდ, უფრო და უფრო უძლიერდებოდა სიყვარულის გრძნობა. ცხოვრებასთან კავშირს თანდათან წყვეტდა, ხოლო სიყვარული არნახულად უბევრდებოდა... უჩემოდ დარჩენის უიმედობა მას კიდევ უფრო გაუგონარი ბრძოლის ინსტინქტებისკენ ექაჩებოდა... ამიტომაც იყო, რომ ჩვენი ურთიერთობის ბოლო პერიოდში სიბერის და მომხიბვლელობის დაკარგვის შიშები დასჩემდა... იმდენად, რომ ადამიანს, რომელსაც შეეძლო, ჩემთან ერთად სიკვდილისთვისაც კი თამამად ჩაეხედა თვალებში, ჰქონდა წუთები, როდესაც მარტოობაში გარდაცვალების სხვებისგან განსხვავებული, უფრო მძაფრი შიშით ეშინოდა... როდესაც ეს შიში სუნთქვას უკრავდა, გადამეტებულ მაკიაჟს იკეთებდა, გამომწვევად იცვამდა და ქუჩაში გადიოდა, რათა სხვებს მოსწონებოდათ და მოსურვებოდათ... ან ინტერნეტში შედიოდა და უცნობ ადამიანებს საკუთარ ფოტოებს უჩვენებდა, ეფლირტავებოდა. რეალობაში დამარცხებული სულის განებივრებას ცდილობდა ამგვარად...

თუმცა რაც არ უნდა გაეკეთებინა, ყოველ ჯერზე კიდევ უფრო განადგურებული, კიდევ უფრო გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, იძულებით უბრუნდებოდა საკუთარი თავიდან გაღწევის სურვილით მიტოვებულ სახლს... რადგან სახლი მისთვის უსაზღვრო წარუმატებლობისა და მარცხის ბუდეს წარმოადგენდა... რადგან იქ თავიდან ბოლომდე მე ვიყავი მხოლოდ...

ერთად ვიყავით, მაგრამ მარტონი და ეს მარტოობა თავისთავად, უიმედოდ მრავლდებოდა სიცარიელეში, რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნოდა... მრავალი ქმედება, მრავალი ზმანება, მრავალი ოცნება თავისთავად მიშტერებოდა უპატრონო უფსკრულს და იქვე უფრო მეტად მრავლდებოდა... მე ჩემს ხასიათს ვემტერებოდი, რომელმაც მის სიყვარულს დამაშორა... ის ჩემზე უიმედოდ შეყვარებულ გულს გადამტერებოდა... გადამტერებოდა სიყვარულს, სიცოცხლეს, მე. სიყვარულს, რომელსაც ხშირად საკუთარ თავსაც კი ვერ უმტკიცებდა... მე კი, მეობას, ჩაკეტილი რომ მეგონა... თითქოსდა ორივენი უენოდ დავრჩენილიყავით...

რას არ გააკეთებინებს ადამიანს უიმედობა... ჩვენ შორის არსებული უფსკრულის ამოვსება ერთხანს ვნებიანი კავშირებით და უკუღმართობებით ვცადეთ.

ჩემი დაკარგვის შიშით და განსაკუთრებულობის შესანარჩუნებლად ჩემს ამ სურვილებსაც მოუხარა ქედი... უცხო ქალები და უცხო კაცები ჩავრთეთ სექსუალურ ურთიერთობებში... ჩვენ შორის არსებულ უფსკრულში ვნებით შეპყრობილ უსახო ქალებსა და კაცებს ვითრევდით, მათთან ერთად ვეძლეოდით განცხრომის მორევს და ვცდილობდით, ამით გამოგვეცადა ერთმანეთის სიყვარული...

ჩემი მოპოვებისკენ მიმავალ ამ გზაზე თავისი უარყოფითი მხარეების აღმოჩენისას მასში არსებულ უიმედო სიყვარულს კიდევ უფრო უიმედო მოქმედებებით დაუწყო გამოცდა... მე კი კარგად ვხედავდი – ყოველი მცდელობა, ჩვენ შორის არსებული უფსკრული ამოგვევსო, უფრო მეტად გვაშორებდა ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც. თუმცა ამას ხელსაც არ ვუშლიდი, კუთხეში მიყუჟული ვუცქერდი ჩვენს თრევას...

ჩვენი უცოდველობა ამ გამოგონილი გამოცდიდან კიდევ უფრო შებღალული გამოდიოდა... შიში იმ ფრიად სანდო ღირსებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა და იმარჯვებდა...

და ერთ დღესაც მოულოდნელად გაქრა... ტელეფონები გათიშული ჰქონდა... სამსახურში დავრეკე, სადაც მიპასუხეს, რომ რამდენიმე დღის წინ მიეტოვებინა საქმე... ბინაზე მივედი. კარი ვიღაც უცნობმა გამიღო... უკვე სხვა გადმოსულიყო მდგმურად... სათითაოდ ჩამოვურეკე მის მეგობრებს... არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ... ველოდი, რომ დამირეკავდა... არ დაურეკავს... როგორც დამპირდა, ისეც მოიქცა, ყოველგვარი გაფრთხილებისა და კვალის დატოვების გარეშე გაუჩინარდა...

უსაზღვროდ გაუკაცრიელდა ჩემთვის სამყარო... წასულიყო და თან გაეყოლებინა ადამიანები, იმედები, წელიწადის დროები, ოცნებები, ტკივილებიც კი... თითქოს მხოლოდ ის მიცნობდა... ჩემი რაობაც წაეღო...

მივხვდი, ჩემი გულის ყველაზე მიუვალ ადგილებშიც კი მხოლოდ მის ხელს შეეღწია... რაც კი დამალული და შენახული მქონდა, ყველაფერი თან წაეღო...

ახლა, რასაც არ უნდა შევხებოდი, მეობა მტკიოდა, ამ ტკივილის გასაყუჩებლად კი ჩემი მეობის სხვა მეობაში შერევა მეწადა...

მაგრამ წასვლისას ჩემი მეობაც თან წაეღო...

ისე სციოდა ჩემს გულს, რომ ამ სიცივის გასაყუჩებლად მსურდა, ისეთივე უიმედო სიყვარულით შემეყვარებინა ვინმე, როგორც მას ვუყვარდი...

ზოგჯერ ღამით უეცრად მეღვიძება... ისევ მუქი სევდისფრად მიყურებენ მისი თვალები... საწოლიდან ნელა ვდგები – მინდა, მკითხოს: „სად მიდიხარ, ჩემო სიყვარულო?“ მაგრამ არაფერს ამბობს... თითქოს სიცარიელეს შესცქერისო, ისე მიყურებს...

გვიან მივხვდი – თურმე მხოლოდ მასთან ერთად მიცხოვრია...

წასვლისას ჩემი სამყაროც თან წაუღია...

თურქულიდან თარგმნა
ლანა მანველმა

ილზე აიხინგერი

ავსტრიელი მწერალი ილზე აიხინგერი 1921 წლის 1 ნოემბერს ებრაელი ექიმის ოჯახში დაიბადა. აიხინგერი ომის შემდგომი გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. 1988 წლიდან დღემდე ცხოვრობს ვენაში.

მოთხრობა „სარკის ამბავი“ 1949 წელს დაიწერა. მთხრობელი ვინმე მესამე პირია, რომელსაც მკითხველთა ერთი ნაწილი – ღვთის, ხოლო მეორე – თვით ადამიანის შინაგან ხმად აღიქვამს. ავტორი ნოველაში ქალის ცხოვრების ისტორიას აღწერს. თხრობის სტილი განსაკუთრებულია. ტექსტი იწყება და მთავრდება ქალის გარდაცვალებით. ადამიანის ცხოვრების თითოეული ეტაპი უკუმიმართულებითაა მოცემული.

მწერალმა 1952 წელს „სარკის ამბისთვის“ ლიტერატურული პრემია „ჯგუფი №47“ მიიღო.

სარკის ამბავი

თუ შენი საწოლი ოთახიდან გააქვთ, თუ ხედავ, რომ ცა მწვანდება და თუ გინდა, რომ მღვდელს პარაკლისი შეუმოკლო, მაშინ დროა, ადგე. უჩუმრად, ისე როგორც ბავშვები აეპარებიან ხოლმე უფროს დას, როდესაც დილის სინათლე მაღაზიებზე აკიაფდება და, აბა, სწრაფად!

მაგრამ, აი, უკვე დაიწყო. სწორედ რომ მღვდლის ხმა ჩაგესმის. ახალგაზრდული, მონდომებული, უწყვეტი ხმის ტემბრი. აცადე, ჩაამთავროს, აცადე, მისი კეთილი სიტყვები ბგერებად დაიღვაროს ბრმა წვიმაში. შენი საფლავი გათხრილია. ფიქრობს, ვიღაც წაეშველება, აცადე, ეს იმედიც გაუცრუვდეს. თუ მოიცდი, მალე თავსა და ბოლოს ვეღარ გაიგებს, ისე დაიბნევა. აი, კუბოს ამწევებს უკვე ნიშანს აძლევს. ესენიც შენს კუბოს მაშინვე სწევენ უკან, გვირგვინს ხსნიან და იმ ახალგაზრდა კაცს აძლევენ, თავი რომ დაუხრია და იქვე, საფლავთან ჩამომდგარა. ესეც გამოართმევს და, ჩაფიქრებული, იწყებს ყვავილებზე ლენტის სრესას. სულ ერთი წუთით სწევს თავს მაღლა და წვიმაც რამდენიმე წვეთს ცრემლებად ადენს ლოყებზე. შემდეგ პროცესია გალავნის გასწვრივ ისევ უკან ბრუნდება. სანთლებს კიდევ ერთხელ ანთებენ პატარა, მოუწესრიგებელ სამლოცველოში და მღვდელიც კიდევ ერთხელ კითხულობს მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელ ლოცვას, იმისთვის, რომ შენ სიცოცხლეს დაუბრუნდე. ბოლოს მაგრად ართმევს იმ ახალგაზრდა კაცს ხელს და, ცოტა შეფიქრიანებული, საუკეთესო სურვილებით ემშვიდობება. ამ მღვდლისთვის ეს პირველი პარაკლისია და ყელამდე გაწითლებულა. რამდენიმე სიტყვის თქმა კიდევ დააპირა, მაგრამ რომ მოიხედა, ის ახალგაზრდა აღარ დაუხვდა. გამქრალა. რაღა დარჩენია? მიცვალებული უკანვე, შინ უნდა დააბრუნოს.

მანქანა შენივე კუბოთი უკან აუყვა გრძელ ქუჩას. მარჯვნივ და მარცხნივ მაღალი სახლები დგას და ყველა ფანჯარაში ყვითელი ნარცისებია, აი, ისეთები, როგორებსაც ყველა გვირგვინში ნახავ. ჰო, ზუსტად ისეთები და ვერც ვერაფერს შეცვლის კაცი ამ მხრივ. ბავშვები სახით ფანჯრებს აჰკვრიან. წვიმს. ერთ-ერთი მოულოდნელად გარეთ გამორბის და კატაფალკას უკან ეკიდება. მერე თავს ვეღარ იმაგრებს და მალევე ეცემა ძირს. ორივე ხელი თვალებთან მიაქვს, მოიჩრდილავს და უკმაყოფილო სახით გამოგცქერით. სადღა იპოვის ასეთ გასართობს, ის ხომ სასაფლაოს ქუჩაზე ცხოვრობს.

კატაფალკა გზაჯვარედინზე მწვანე შუქს ელოდება. სუსტად წვიმს. წვეთები წკაპუნებენ მანქანის სახურავზე. შორიდან თივის სუნი მოდის. ქუჩები სველია და ცა, აგერ, სახურავებამდე ჩამოსულა. კატაფალკამ უბრალო, თითქოს მოწიწების გამომხატველი მანევრით ფრთხილად აუარა კუნძს. ქუჩის განაპირას ჩამომჯდარი ორი ბიჭი სანაძლეოს დებდა. აი, ის, კუნძზე რომ ზის, წააგებს, შენ იცი, რომ წააგებს. შეგეძლო გაგეფ-

რთხილებინდა, მაგრამ ამ მიზეზით ჯერ არავინ წამომდგარა კუბოდან.

მოითმინე, ადრეული ზაფხულია. დილა იმდენად გრძელია, ღამეშიც კი გაუდგამს ფესვები. ყველაფერი გამოვა. ღამდება. ქუჩიდან ყველა ბავშვი გაიკრიფა. მანქანა ჰოსპიტლის ეზოში უხვევს. მთვარის შუქი ეცემა ბალდახინს და ვიღაც კაცებიც მაშინვე გამორბიან, შენს კუბოს მანქანიდან იღებენ და კატაფალკაც თითქოს ბედნიერი მიქრის სახლისკენ.

შენი კუბო ეზოს გავლით მეორე შესავლელიდან შეაქვთ მორგში. იქ ცარიელი, შავი, ცალ მხარეს ოდნავ დახრილი, მაღალი ქვის მაგიდა გელის. კუბოს ზედ დებენ და ხუფს ხდიან. აგერ, ვიღაც ბუზღუნებს კიდეც, ღრმად დაუჭედებიათ ლურსმნებიო. ოჰ, ეს წყეული რუდუნება.

ის ახალგაზრდა კაციც მოდის და გვირგვინიც მოაქვს. სწორედ რომ დროულია. ლენტა შეუსწორეს და წინ დადეს. არ იდარდო, გვირგვინი კარგად დევს. შემჭკნარი ყვავილები დილამდე მოცოცხლდებიან. მთელ ღამეს ასე მარტო იქნები. ხელებში ჯვარი ჩაგიბღუჯავს. არც მომდევნო დღეს შეგაწუხებს ვინმე. დაეშურე, თორემ მერე სადღა გეღირსება ასეთი სიმშვიდე.

მეორე დღეს ის ახალგაზრდა კაცი ისევ მოდის და რაკი წვიმამ წვეთები ცრემლებად ვეღარ მიაშველა, დგას ასე ჩუმად, სიცარიელეში თვალი გაშტერებია და თითებს შუა ქუდს ატრიალებს. მხოლოდ მაშინ აიფარა სახეზე ხელები, როდესაც კუბო წამოსწიეს. ცრემლები. დიდხანს არ მოგიწევს მორგში დარჩენა. რა ატირებს? კუბოს ხუფი იქვე დევს. კარგად ინათლა. ტროროლები მხიარულად გალობენ. აბა, რა იციან, რომ მკვდრის გაღვიძება არ შეიძლება. ახალგაზრდა კაცმა ფეხის წვერებზე ჩაუარა შენს კუბოს, თითქოს შუშაზე შემდგარა. ცივი ქარი უბერავს, მოუსვენარი ბავშვივით ხტის.

სახლში აგიტანეს და, აი, კუბოდანაც ამოგასვენეს. საწოლი ეს-ესაა გაუსწორებიათ. ფანჯარაში რაღაცას მიშტერებია ის ახალგაზრდა. ეზოში ორი მტრედი დამჯდარა და ღუღუნებს. რაღაც უკმაყოფილო სახით შემობრუნდა.

საწოლში დაგაწვინეს. პირი ისევ ნაჭრით აგიკრეს. შენს თავს სულ აღარ ჰგავხარ. ის ახალგაზრდა ყვირილით ემხობა. მაშინვე გაჰყავთ. „სიმშვიდე!“ – წერია ყველა კედელზე. საავადმყოფოში ადგილები არ არის. მიცვალებულებმა დროზე ადრე არ უნდა გაიღვიძონ.

პორტიდან გემების ყვირილი ისმის. ნეტავი გადიან თუ შემოდიან? ვინ იცის? ჩუმად! სიმშვიდე! დროზე ადრე ნუ გააღვიძებთ. მიცვალებულებს ფრთხილი ძილი აქვთ. არა, გემები მაინც გაჰკივიან. იმ ნაჭერს გხსნიან, გბანენ და პერანგსაც გიცვლიან. მკერდზეც გადებენ ყურს, მოგისმენენ, ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად, სანამ მკვდარი ხარ. ბევრი დრო აღარ დარჩა და ეს სულ გემების ბრალია. დილას ბინდი შეერია. თვალები გაგიხსნეს. უსიცოცხლო, თეთრი თვალის ცილა. „მშვიდობაა, მშვიდობა, მადლობა ღმერთს“, – ჩაილუღლუღეს. აცადე! უკვე წავიდ-წამოვიდნენ კიდეც. არავინ არ უნდა დაესწროს გამოღვიძებას, თორემ ამისთვის კოცონზე წვავენ დღესაც.

მარტო დაგტოვეს. ასე მიტოვებული თვალს ახელ და მწვანე ცას ხედავ. ასე მიტოვებული სუნთქვას იწყებ, მძიმედ, ღრმად. ისე ხრიალებ, როგორც ჯაჭვი ღუზის ამოწევისას. წამოიწიე და გაჰყვირი დედას. როგორი მწვანეა ცა.

„აღარ ბოდავს, სიკვდილთან ბრძოლა იწყება“, – ჩაილაპარაკა ვიღაცამ შენს უკან.

„ეჰ, ამათ რა იციან“.

ჰე, წადი ახლა, დროა! სანამ დაბრუნებულან, ჩაუყევი კიბეს, ჩაუარე მეეზოვეს, ჩქარა, სანამ დაღამებულა. ჩიტები ისე ჭიკჭიკებენ ამ ბინდბუნდში, თითქოს შენს ტკივილს ზეიმობენ. წადი სახლში და შენს ლოგინში დაწექი! მერე რა, რომ არეულ-დარეულია და თან ჭრიალებს. ის გერჩივნოს. იქ მალე გამოკეთდები. სამი დღეა, თავს უძალიანდები და არ ჭამ იმ წვნიანს, მეზობელი რომ გაწვდის. აი, მეოთხე დღეს კი ნებდები. მეშვიდე, უქმე დღეს მიდიხარ, ტკივილებმა აღარ მოგასვენეს. გზას კი გაიგნებ. აი, ასე, ჯერ – მარცხნივ, მერე – მარჯვნივ, მერე – ისევ მარცხნივ. სადგურის ქუჩას კვეთ. ისეთი გაჭირვებაა, ამ ქუჩებს ზღვის იქით გზა არც დარჩენიათ. ის ახალგაზრდა კაცი ახლა შენთან რომ იყოს... მაგრამ, აბა... კუბოში უფრო ლამაზი იყავი. შენი სახე ტკივილს დაუღარავს. შუბლზე ოფილი წამოგივიდა. ტკივილი კი დაგიამდა. არა, კუბოში უფრო ლამაზი იყავი.

გზაზე ბავშვები ბურთულებით თამაშობენ. მათში გაერიე. თითქოსდა ზურგით მიდიხარ წინ. არც ერთი ბავშვი არ არის შენი. რა დროს შვილია, როდესაც შენ თვითონ მოხუცთან მიდიხარ. აი, იმასთან, სასადილოში რომ ცხოვრობს. მთელმა პორტმა იცის, რით შოულობს მოხუცი არყის ფულს.

ღია კარში ჩამდგარა და თავის ჭუჭყიან ხელს გიწვდის. გარშემო ყველაფერი ჭუჭყს მიაქვს. ბუხარზე ყვითელი ყვავილები აწყვია. ეს ის ყვავილებია, გვირგვინში რომ აწნავენ ხოლმე. დიახ, სწორედ ის. მოხუცი რაღაც უფრო თავაზიანი ჩანს. კიბეები აქაც ჭრიალებენ. გემები გაჰკივიან. სადაც არ უნდა წახვიდე, ამ ხმას ვერსად დაემალები. ტკივილმა ისევ შემოგიტია, მაგრამ არ იყვირო. გემებმა იკივლონ, რამდენიც უნდათ, შენ ხმა არ გაიღო. მიეცი ახლა არყის ფული. როგორც კი გადაუხდი, მოხუცი მაშინვე აგაფარებს პირზე ხელებს. მეტისმეტი სმისგან მთლად უკანკალებს ორივე ხელი. ახალშობილების აქ მოსვლაზე ვერც კი იოცნებებს. ვერც ცოდვილებს ან უცოდველებს ნახავთ აქ. შენ აქ ხარ!

„გამაცოცხლე!“

ვერც ერთი ვერ გაუბედავდა მოხუცს ამის თქმას. აი, შენ კი ბედავ. სარკე გაძლევს ამის ძალას. დაბურული სარკე, მიჭყლეტილი ბუზების ლაქებით რომ გავსებულა, გაბედვინებს მოითხოვო ის, რაც აქამდე არავის მოუთხოვია.

„გამაცოცხლე, თორემ ეს შენი ყვავილები ვერ გიშველიან, თვალებსაც ამოგთხრი, ფანჯრებსაც დავლეწავ და მთელ პორტს გავაგებინებ იმას, რაც ისედაც ყველამ იცის...“

შეშინებული მოხუციც დაბურულ სარკეში აღასრულებს შენს თხოვნას. არც კი იცის, რას

აკეთებს, მაგრამ ამ დაბურულ სარკეში ყველაფერი გამოსდის. შიში თავისას შვრება. ტკივილები ისევ განგიახლდა. რაც უფრო ხმამაღლა ყვირი, მით უფრო გახსენდება იავნანა: „დაიძინე, გენაცვალე, შენ, პაწაწინაო". და რაც უფრო ხმამაღლა ყვირი, მით უფრო გიადვილებს სარკე საქმეს. ჩაბნელებული კიბისკენ გზას გიხსნის და შენც გარბიხარ, რაც ძალი და ღონე გაქვს. ასე სწრაფად არ გინდა, არ ვარგა.

ქვემოთ, მოედანზე, ვიღაც ახალგაზრდას მიშტერებიხარ, ფიცრებს შორის რომ ჩამდგარა და თითებს შუა ქუდს ატრიალებს. გენიშნა. აქ დგას, თითქოს არსად წასულაო, და იმ ფიცრებს მიყრდნობია. ხელებში უვარდები. ცრემლები დაშრობია, შენი ცრემლები მიაშველე. წასვლისას გამოემშვიდობე! შენ ხომ მაინც კარგად იცი: თავიდანვე უნდა გამოემშვიდობო, თუ გინდა, რომ მერე ისევ ნახო. ახლა, აი, აქ, ამ ფიცრებს შორის, ამ მოედანზე უნდა გამოემშვიდობო.

გზას მიუყვებით. სულ ერთი გზა მიდის ნახშირის საწყობებისკენ და მერე ზედ ზღვასთან გადის. სიჩუმე. ელოდები, როდის იტყვის პირველ სიტყვას, ბოლო შენ რომ არ დაგრჩეს სათქმელი. ნეტავი რას იტყვის? ნეტავი მალე თქვას, სანამ ნაპირთან მიხვალთ, თორემ ზღვა, ხომ იცი, რა წინდაუხედავს ხდის კაცს. ნეტავი რა იქნება პირველი სიტყვა? ნუთუ ასეთი რთულია, რომ ყოყმანობს და კრინტს ვერ ძრავს? რა აიძულებს ასე თავდახრილმა იაროს და ერთი არ შემოგხედოს? იქნებ ამ ნახშირის მთების ბრალიცაა, ასე რომ აღმართულან და სიშავით თვალს ჭრიან. პირველი სიტყვა ქუჩის სახელი იყო, იმ ქუჩისა, მოხუცი რომ ცხოვრობს. წარმოუდგენელია. სანამ გაიგებდეს, რომ ბავშვს ელოდები, იმ მოხუცს ახსენებს; სანამ გეტყოდეს, როგორ უყვარხარ, იმ მოხუცს ახსენებს. მშვიდად! არ იცის, რომ იმ მოხუცთან იყავი. აბა, საიდან ეცოდინება იმ სარკის ამბავი. ნათქვამი არ ჰქონდა, უკვე დაავიწყდა, რასაც ამბობდა. დააპირე, გეთქვა, ბავშვს ველოდებიო – ისევ გაჩუმდი. სარკე ირეკლავს ყველაფერს. ზღვაც და თეთრი ნავებიც იმ კითხვის ნიშნებს წააგვანან, თქვენს მზერაში რომ მოჩანს. ჩუმად! ზღვა მაინც შთანთქავს ყველა თქმულსა თუ ართქმულ სიტყვას.

ამ სანაპიროზე კიდევ ბევრჯერ გამოხვალთ და აუყვებით გზას, თითქოს უკან მოდიხართ, სახლში მიდიხართ, თითქოს შინიდან გარბიხართ და შინიდან გარბიხართ, თითქოს ისევ უკან, შინ, ბრუნდებით.

ერთ დღესაც ცა ისე გაფერმკრთალდება, ისე, რომ მისი სითეთრე თვალსაც კი მოგჭრის. გინახავს უფრო დიდი სიკაშკაშე, ვიდრე ეს არის?

სწორედ ამ დღეს დაბურული სარკე ერთ დაწყევლილ სახლს აირეკლავს. ადამიანებს თუ ჰკითხავ, ყველა გაპარტახებული სახლი დაწყევლილია. უბრალოდ, ასე ეძახიან, მეტი ვერაფერი მოიფიქრეს და იმიტომ, არ შეშინდე! და როგორც ცა, ისე ეს გაპარტახებული სახლი ელის ვინმე სულიერს. ბევრი სიცილისგან ცრემლი მოგდის. საკმარისად იტირე. აჰა, აიღე შენი გვირგვინი. ნაწნავებს იშლი. ყველაფერი აქაა, სარკეში, და იმ ყველაფრის უკან, რასაც თქვენ აკეთებთ, ის ზღვა დგას, სახლიდან გამოსვლისთანავე რომ გეგებება. როგორც კი ამ ჩამოქცეული ფანჯრიდან გადახვალთ, ყველაფერს დაივიწყებთ. ცდილობთ, იქაურობას მოშორდეთ. რაღაც ისევ უკან, სახლში გაბრუნებთ. არ მობრუნდეთ! დაწყევლილი სახლი უკან მოიტოვეთ. მდინარეს აუყევით. რაღაც გაწვებათ, უკან გაბრუნებთ. მალევე მოგეშვებათ. გრძნობ, ველარ გაუძლებ კიდევ ერთ შემოტევას. მიქცევაა. მდინარეები იწევენ ამ დროს და ხეები ითავისუფლებენ კენწეროებს. თეთრკრამიტიან სახურავებს ჩასძინებიათ კენწეროებს შორის.

ახლა მომავალზე იწყებს ლაპარაკს. ბევრ შვილსა და ხანგრძლივ სიცოცხლეზე. სიმორცხვისგან ლოყებიც კი აუწითლდა და მისი სიწითლე შენც გადმოგედო. მალე კამათსაც იწყებთ: შენ გოგო გირჩევნია, იმას – ბიჭი; იმას – კრამიტით გადახურული სახლი, შენ... მდინარეს კარგა მანძილზე აჰყოლილხართ... შიშმა შეგიპყროთ. კრამიტიანი სახლები სადღაც გამქრალა და გარშემო გადახრუკული მინდვრებია. მომავალმა უკვე ჩაიარა. მომავალი, აი, ის გზაა, მდინარეს რომ მიუყვება და მინდორზე რომ გადის. ბრუნდებით. შემდეგ? სამი დღის შემდეგ იმასაც ველარ ბედავს, ხელი მხარზე დაგადოს. კიდევ სამი დღის შემდეგ გეკითხება, რა გქვიაო და შენც იმავეს ჰკითხავ. ასეა. მალე შეკითხვებსაც აღარ დაუსვამთ ერთმანეთს. გაუცხოვდით?

უხმოდ მიდიხართ გვერდიგვერდ. თუ მოხდა და რამე გკითხა, ალბათ მხოლოდ იმას, იწვიმებს თუ არა. მომავალზე კარგა ხანია აღარ ლაპარაკობთ. იშვიათადღა ხედავთ ერთმანეთს. მოითმინეთ, ერთ დღესაც ყველაფერი დამთავრდება. ერთ დღესაც ისეთი უცხო გახდება შენთვის, რომ მოჰკრავ თუ არა ქუჩაში თვალს, იმწამსვე შეგიყვარდება. ყველაფერს თავისი დრო აქვს და აი, სწორედ ახლა დგება ეს დრო.

„დიდხანს ველარ გაატანს", – ამბობენ, – „ეს აღსასრულია". ამათ რა იციან, ახლაღა იწყება ყველაფერი.

დადგება ის დღე, როცა შენ მას პირველად ნახავ და ის შენ პირველად დაგინახავს. „პირველად ნახავ" ნიშნავს იმას, რომ პირველად და უკანასკნელად ნახავ. ეს ნუ შეგაშინებს!. ერთმანეთსაც ნუ გამოემშვიდობებით. დიდი ხნის წინ გამოეთხოვეთ თქვენ ერთმანეთს. კარგია, რომ ეს უკვე გააკეთეთ.

ეს შემოდგომის ერთ დღეს მოხდება. იმედი ჩაგსახვია, რომ ხეხილი ისევ აყვავდება. რა ლამაზია შემოდგომა, ამ თავისი სურნელებით და ჩრდილებით, ნამსხვრევებივით რომ გართხმულან შენს ნაბიჯებს შორის. რაღაც შეუცნობლის მოლოდინში ეცემი ამ ჩრდილებზე. ვიღაც ახალგაზრდა კაცი შეგეშველა, პიჯაკი შეუხსნია, იღიმის, ქუდს ხელში ატრიალებს და სიტყვას არ ძრავს. აი, ამ ბოლო გაელვებისას ხართ ძალიან ბედნიერები. მადლობის ნიშნად თავს ოდნავ უკრავ და ამ დროს ნაწნავებიც ჩამოგეშლება. „აჰ", – ამბობს, – „სკოლაში ჯერ არ დადიხარ?" მიბრუნდება და სიმღერ-სიმღერით მიუყვება ქუჩას. აი, ასე

შორდებით ერთმანეთს. უმტკივნეულოდ და ისე, წარმოდგენაც არ გაქვთ, რომ ეს განშორებაა, ერთმანეთს დაშორდით.

ძმებთან თამაშობ. მდინარესთან გადიხართ, მურყნის კენწეროების უკან თეთრკრამიტიანი სახურავები მოჩანს, რა მოგიტანა მომავალმა? შვილები – ნამდვილად არა... ძმები, ძმები მოგიტანა. კიდევ – ნაწნავები, რომ იცეკვო, ბურთები, რომ ითამაშო. ნუ გაუწყრები, ეს საუკეთესოა, რაც შეეძლო მოეცა.

სკოლის დროც მოვიდა.

ის დროა, დიდ შესვენებაზე სკოლის ეზოში იარო, გაწითლდე, მაცდურად იჩურჩულო და პირზე ხელაფარებულმა იცინო. ერთი წელიც და ლახტით თამაშის დროც მოვა. იმ ტოტებითაც გაერთობი, აგერ, გალავანზე რომ გადმოკიდებულა. უცხო ენები რა ხანია ისწავლე. მშობლიური ენის ათვისება გიჭირს. წერა-კითხვის სწავლა უფრო რთული იქნება, მაგრამ ყველაზე რთული მაინც ყველაფრის დავიწყებაა. თუ პირველ გამოცდაზე ყველაფერი უნდა გცოდნოდა, ბოლოზე აღარაფერი უნდა იცოდე. აიტან ამდენს? გეყოფა გამძლეობა? თუ იმარჯვებს შიში შენში და პირს არ გააღებ, ყველაფერი კარგად იქნება.

ლურჯ ქუდს იხდი, რომელსაც ყველა მოსწავლე ატარებს და საკიდზე კიდებ. სკოლაც დაამთავრე. ისევ შემოდგომაა. ყვავილები კვირტებად ქცეულან, კვირტები – არაფრად და არაფრისგან ისევ ხილი გამოსულა. ბავშვებმა გამოცდები ჩააბარეს და სახლებში მიდიან. არაფერი იცით. მამაშენი გელოდება, პატარა ძმები ხმამაღლა გაჰყვირიან და მთელი ძალით თმაში გაფრინდებიან. მათაც ამშვიდებ და მამაშენსაც.

მალე ზაფხულიც მოდის თავისი გრძელ-გრძელი დღეებით. დედა გიკვდება. შენ და მამაშენს მოგაქვთ სასაფლაოდან მიცვალებული. სამი დღე წევს ასე მოციმციმე სანთლებში, როგორც მაშინ – შენ. ჩააქრეთ ყველა სანთელი! ცვილის სუნი მაინც თავისას შვრება, დედაშენი წამოჯდა და ხმადაბლა დაიწუწუნა, სად ვიყავი ამდენ ხანსო. წამოდგა და ტანსაცმელი გამოიცვალა.

კიდევ კარგი, დედაშენი მოკვდა, თორემ შენს პატარა ძმებს დიდხანს ვერ გაუძლებდი. ახლა დედაშენი აქაა. ახლა ის იზრუნებს ყველაფერზე და თამაშსაც უფრო კარგად გასწავლის. თამაში მთლად ადვილი ხელოვნება როდია, ბოლომდე ვერც ვერასოდეს ისწავლის კაცი.

ყველაზე რთული ლაპარაკისა და სიარულის დავიწყებაა. უმწეოდ ლუღლუღებ რაღაცას და იატაკზე ფორთხავ. სახვევებშიც გახვევენ. ნაზად, ფრთხილად გექცევიან. ძნელი ასატანი და საყურებელია ეს ყველაფერი. მოთმინება იქონიე! მალე ყველაფერი დამთავრდება. მხოლოდ ღმერთმა იცის ის დღე, როდესაც საბოლოოდ დაუძლურდები. ეს შენი დაბადების დღეა. შენ მოევლინე ამ ქვეყანას. ახელ თვალს და სინათლე ისე გჭრის, მალევე ხუჭავ. სინათლე სახსრებს გითბობს. მზეს ეფიცხები. შენ აქ ხარ, შენ ცოცხალი ხარ. მამაშენი შენზე დაემხო.

„ეს აღსასრულია", – გაისმა უკნიდან, – „მოკვდა".

ჩუმად! აცალე, ილაპარაკონ!

გერმანულიდან თარგმნა
ლინდა ციცილაშვილმა

მარიო ვარგას ლიოსას ინტერვიუ ჟურნალ „BOCAS“-თან



მარიო ვარგას ლიოსა

პერუელმა მწერალმა მარიო ვარგას ლიოსამ 2013 წლის 15 სექტემბერს ინტერვიუ მისცა ჟურნალისტ სერხიო ვილეილას.

მას არ მოსწონს დროის უქმედ კარგვა, უწესრიგობა, უძილო, მშფოთვარე ღამეები, საქმის შეწყვეტა. არც უხარისხო ლიტერატურა მოსწონს და საერთოდ არაფერი, რაც ხელს უშლის მას მუშაობაში. ლიოსას მოსაწყენად მიაჩნია არასერიოზული, ზედაპირული საქმიანობა. არ მოსწონს „Kindle“ და თითქმის არ სარგებლოს ინტერნეტით. არ იყენებს ელექტრონულ ფოსტას, არც ერთ მწერალთან არა აქვს მიმოწერა და თითქმის არ უყურებს ტელევიზორს. ამას დროის უქმად კარგვად მიიჩნევს. დაჯილდოების ცერემონიალებს არასოდეს ესწრება, მკითხველების წერილებს არ პასუხობს, საკუთარ წიგნებს წინასიტყვაობებს არ ურთავს და არ წარუდგენს მათ არც მეგობრებს და არც კრიტიკოსებს. მისი სახლის კარზე ბევრჯერ დაუკაკუნებიათ კრიტიკოსებს თხოვნით, გასაუბრებოდნენ მას, მაგრამ ამაოდ. თუმცა ამ ერთი შეხედვით სერიოზულ კაცს საოცრად გადამდები სიცილი აქვს. ლიოსას სხვისი მოსმენაც უყვარს და ლაპარაკიც. მეგობრების წრეში საკუთარი თავგადასავლების მოყოლის დროს შეუძლია აუდიტორია სიცილით დახოცოს. ერთხელ გუადალახარაში, ვახშმობისას იგი საკუთარი ბედის ირონიაზე მოჰყვა ამბავს, თუ სამუდამოდ როგორ დაემშვიდობა კინორეჟისორობას. როგორც აღმოჩნდა, „პარამაუნტ კორპორეიშენს“, ლიოსასთვის შეუთავაზებია, მისივე ნაწარმოების „პანტალეონი და დამხმარე რაზმის“ მიხედვით თავად გადაეღო სასინჯი კადრები, მაგრამ კომპანიამ მას მხოლოდ წინა დღეს გაუგზავნა სცენარი, ამიტომ ლიოსამ ვერაფრის გადაღება ვერ მოასწრო. სუფრაზე კარგი თანამეინახეა, მაგრამ ცუდი მსმელი. ცნობისმოყვარეოით გამოირჩევა, რაც მის ნიჭს უფრო სრულყოფილს ხდის. დაინტერესებულია გაფიცვებით, სტუდენტების მდგომარეობით და მინისტრების საქმიანობით, ამასთან დასმულ შეკითხვებზეც დაუყონებლივ პასუხობს. კარგი მეხსიერება და სმენა აქვს. მისალმებას თავს არიდებს ხოლმე, რაც უფრო მისი თავმდაბლობით აისხნება. დიდ მოთმინებას იჩენს, როცა მკითხველები წიგნებზე წარწერის გაკეთებას სთხოვენ, რაც ყველგან შეიძლება მოხდეს, ვარჯიშის დროსაც კი.

ლიოსა 1936 წელს პერუში, ქალაქ არეკიპაში დაიბადა. ზოდიაქოს ნიშნით ვერძია, თუმცა პრაგმატიკოსობა ახასიათებს. ათი წლის ასაკში შემთხვევით შეიტყო, რომ მამამისი ცოცხალი ყოფილა. ამ ფაქტმა ის ჭრილობა გაუხსნა, რომლის მოშუშებასაც იგი მოგვიანებით თავის შემოქმედებაში ცდილობდა, თუმცა მამა მას არასოდეს ჰყოლია წარმოდგენილი რაღაც აბსტრაქტულ ადამიანად. ის მისთვის ყოველთვის რეალური და საკმაოდ მკაცრი პიროვნება იყო. ლიოსა სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით ლეონსიო პრადოს სახელობის სამხედრო სასწავლებელში შეიყვანეს. მას იქ ცხოვრებას სასიყვარულო წერილების და ეროტიკული მოთხრობების წერა უადვილებდა, რომლებსაც იგი თავის სამხედრო ნაწილის მეგობრებს სიგარებში უცვლიდა ხოლმე. აქ მას პოეტს ეძახდნენ. ლიოსა სწორედ სასწავლებელში ყოფნამ გამოაწრთო და ბიძგი მისცა, დაეწერა თავისი პირველი რომანი „ქალაქი და ძაღლები“. ცხრამეტი წლის ასაკში ცოლად შეირთო თავისი დეიდაშვილი ხულია, ათი წლის შემდეგ კი ბიძაშვილ პატრისიაზე იქორწინა. მათ სამი შვილი შეეძინათ: ალვარო, გონსალო და მორგანა.

ლიოსას 18 რომანი 12.000 მეტ გვერდს ითვლის. გამოაქვეყნა ესეების 19 ტომი, 9 თეატრალური პიესა და მემუარები. გაზეთში აქვს საკუთარი სვეტი „სასინჯი ქვა“, რომელსაც იგი ორმოცი წელია უძღვება. „ქალაქი და ძაღლების“ გარდა, ლიოსამ კიდევ სამი რომანი დაწერა. ესენია: „საუბარი ტაძარში“, „თხის ზეიმი“ და „ომი, რომელიც სამყაროს დასასრულს მოასწავებს“-ეს უკანასკნელი მის საყვარელ ნაწარმოებს წარმოადგენს. ახლა კი იმედი აქვს, რომ მისი ახალი რომანი „თავმდაბალი გმირი“ დიდ ხანს დააინტერესებს მკითხველს, ამასთან აღნიშნავს, რომ კიდევ ძალიან ბევრი გეგმის განხორციელებას აპირებს. 1966 წელს ლიოსა რომულო გალიეგოს პრემიით დააჯილდოვეს, 1986 წელს ასტურიელი პრინცის,

1994 წელს სერვანტესის პრემია მიიღო, ხოლო 2010 წელს ნობელიანტი გახდა. ლიოსა 1990 წლის პერუს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა და თავის მეტოქე ფეხიმორთან დამარცხდა. მას სძულს დიქტატორები, რადგან თავად ლიბერალი და დემოკრატია. ამასთან საკმაოდ ოპტიმისტი ადამიანია, თუმცა თავისებური კრიტიკული თვალთახედვა გააჩნია. ფიქრობს, რომ მის იდეებს შეუძლიათ სამყარო შეცვალონ და იმავდროულად არ სჩვევია დინების საწინააღმდეგოდ სვლა.

ძილის დიდი მოყვარული არ არის, ამიტომ მას ცოტა დროს უთმობს. დილაობით სეირნობს, ვარჯიშობს და თან დღიურ სამუშაოს გეგმავს. სისტემატიურად კითხულობს პრესას, არ ლოცულობს, რადგან კათოლიკე არ არის. საუზმის შემდეგ, შხაპს იღებს და დილაობით მთელი დატვირთვით წერს. ამბობს, რომ როგორც ყველა ადამიანი, ისიც ხშირად განიცდის იმედგაცრუებას. დღის მეორე ნახევარში ნამუშევარს ასწორებს, ხელახლა კითხულობს და ისევ ასწორებს. მოგვიანებით წიგნებს მიუჯდება, რათა გონება დაასვენოს. საღამოს მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად ვახშმობს, დადის კინოში, თეატრში, ოპერაში. შინ დაბრუნების შემდეგ, დაძინებამდე ისევ კითხულობს.

ყველა ჯიშის და ფერის ჰიპოპოტამის კოლექციას აგროვებს. საკუთარ წიგნებს კომენტარებს ურთავს. ნაწარმოების პირველ ვარიანტს ავტოკალმით წერს და მხოლოდ მერე შეაქვს ტექსტი კომპიუტერში. ხელნაწერებს საკუთარ ბიბილიოთეკაში ინახავს. ხელნაწერებში ჩასწორება დიდად არ უყვარს, და, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს წერის დროს მას ტექსტს ვიღაც კარნახობდა. სწორედ ასეთია ხორხე პედრო მარიო ვარგას ლიოსა. თითქმის სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მას ზამთარში, ნობელის პრემიის მინიჭების მეორე დღეს სტოკჰოლმში შევხვდი. თუმცა ამ ახალ სტატუსს მისთვის ხელი არ შეუშლია, საზეიმო ვახშამი შეეწყვიტა და რადიოს პირდაპირ ეთერში ჟურნალისტის შეკითხვებზე ეპასუხა. დაღლილი ჩანდა და აღნიშნა, სტოკჰოლმში წასვლამდე უკვე ორი კვირით ადრე ძალიან ვღელავდიო. ხმა ჩახლეჩოდა და მარცხენა ფეხი ჩალურჯებული ჰქონდა, რადგან ვიდრე აკადემიაში სიტყვით გამოვიდოდა, ცოტა ხნით ადრე სკამიდან გადმოვარდნილიყო. სიტყვით გამოსვლის დროს, მეუღლის პატრისია ლიოსას ხსენებაზე თვალები ცრემლით ავსებია და ეს ჩვენც ვიხილეთ მისი ფოტოგრაფის წყალობით.

და აი, დღეს ვარგას ლიოსა მადრიდში საკუთარი ბინის ლიფტის კარს გამოცდილი სპორტსმენის სიმკვირცხლით გამოაღებს. ესპანეთში ახლა საღამოს ექვსი საათია და თერმომეტრი პლუს ოცდაათ გრადუსს აჩვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საცაა აგრილდება. ლიოსა ფოტოგრაფის თანხლებით მოდის, რომელმაც ინტერვიუს აღებამდე მას სურათები უნდა გადაუღოს, თუმცა ფოტოგრაფი პირველ სართულზე დატოვებული რეფლექტორების ამოსატანად ისევ უკან ბრუნდება. ვარგას ლიოსას ცისფერი პერანგი და უზადოდ გაუთოვებული შარვალი აცვია. დაღლილი ჩანს, რადგან მთელი საღამო მუშაობდა.

იგი ჩვეული ხალისითა და შეუპოვრობით შეიჭრება სასტუმრო ოთახში. სწორედ ეს შეუპოვრობა ეხმარება მას წერაში და მისი წყალობით დადის ხშირად სამოგზაუროდ. ვარგას ლიოსას ბინა მადრიდის დასავლეთით, ,,სამეფო თეატრის" შორიახლოს მდებარეობს. დღის ამ მონაკვეთში მზე სასტუმრო ოთახს ყველა მხრიდან ადგება და ეს გემოვნებით მოწყობილი ოთახიც მზის სხივებითაა განათებული. აქვე დგას მისი სამუშაო მაგიდა, კითხვისთვის განკუთვნილი სავარძელი, თაროებზე უამრავი წიგნი მოჩანს, ირგვლივ წესრიგი და სისუფთავეა. ასეთივე ბიბლიოთეკა აქვს მას ლიმაშიც, სადაც უფრო ძველი წიგნები ინახება და ლიოსა ძალიან უფრთხილდება მათ.

ლიოსა მიყვება, რომ რამდენიმე კვირის წინ, მისმა ერთმა კოლუმბიელმა გამომცემელმა გამოუგზავნა წიგნად დაბეჭდილი სცენარი სერიალისა ,,ესკობარი-ბოროტების მოციქული". წიგნი შესანიშნავად იყო გაფორმებული; თხრობის განსაკუთრებულმა მანერამ კი ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მასში დამაჯერებლად იყო აღწერილი ლათინოამერიკელი ნარკობარონის -ესკობარის სასტიკი, ქარიზმატული ხასიათი. ლიოსა ამბობს, რომ სცენარში აღწერილი თითქმის დაუჯერებელი ამბავი სრული რეალობაა, და რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა. ლიოსა კმაყოფილია, როცა ამაში ვეთანხმები. მერე აღნიშნავს, რომ ზუსტად იგივე განცდა დაეუფლა, როცა სერიალის ,,ჯეკ ბაუერი-24"-ის გმირი აღმოაჩინა.ლიოსა ამბობს, რომ ნაწარმოების შესაქმნელად ესკობარის ტიპაჟი არაჩვეულებრივ მასალას იძლევა, ამიტომ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება და კითხვას რომ დაამთავრებ, მას ტელევიზორშიც უნდა უყურო. მერე ლიოსა მამცნობს, რომ რამდენიმე კვირის წინ დაამთავრა მუშაობა რომანზე ,,თავმდაბალი გმირი", სადაც მთავარ გმირებად ფელისიტო იანაკე და ისმაელ კარერა გამოჰყავს. ისინი იმპრესარიოები არიან, მაგრამ ორივეს განსხვავებული ხასიათი აქვს, თუმცა ორივე გარესამყაროს უპირისპირდება. მოქმედება კვლავ პერუში ხდება და ლიოსას ამ რომანშიც თითქმის ყველა ის პერსონაჟი გამოჰყავს, რომლებსაც იგი თავის ნაწარმოებში ,,დონ რიგობერტოს რვეულებში" აღწერდა. ესენი არიან რიგობერტო, ლუკრესია, ფონჩიტო და ცნობილი სერჟანტი ლიტუმაც კი.

ამ თემაზე საუბარს ვასრულებთ, და, ვარგას ლიოსა თანახმაა ახლა სიცოცხლეზე, სიკვდილზე, რწმენაზე, სამყაროს აღქმაზე ვისაუბროთ. ის გამოთქვამს ასევე საკუთარ აზრს წარსულზე, მომავალზე, კოლუმბიაში მშვიდობის დამყარებაზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, საკუთარ შიშებზე და ჭირვეულ ხასიათზე.

– ძნელია, იყო მამა?

– მოგახსენებ. მამაჩემთან ყოველთვის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა მქონდა ყოველთვის და არასოდეს მყვარებია იგი. ამიტომ მიზნად დავისახე, ჩემი შვილებისთვის სხვაგვარი მამობა გამეწია. თუმცა, რატომღაც მგონია, მათთვის ამ მხრივ დიდ ავტორიტეტს არ წარმოვადგენ. ავტორიტეტით ოჯახში ჩემი მეუღლე, პატრისია სარგებლობს. ჩემს შვილებთან ამ ავტორიტეტის გარეშეც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს.

– რა არის თქვენთვის ყველაზე ღირებული და ყველაზე მეტად რას აფასებთ შვილებთან ურთიერთობაში?

— ყოველთვის ვცდილობდი, მათთვის შთამენერგა, რომ ცხოვრებაში საკუთარ გულის ძახილს მიჰყოლოდნენ. იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა შეგიძლია საკუთარი თავი მთლიანად საყვარელ საქმეს მიუძღვნა. არსებობენ ნაკლებად იღბლიანი, ან საერთოდ უიღბლო ადამიანები და ბევრ მათგანს პირადადაც ვიცნობ. ეს კი სწორედ იმის გამო ხდება, რომ ისინი იმ საქმით არ არიან დაკავებულები, რაც მათ ნამდვილ სიამოვნებას მიანიჭებდა. ეს თრგუნავს, იმედგაცრუებას იწვევს და ცხოვრებაზე გულდაწყვეტილებს, თავი ხელმოცარულ ადამიანებად მიაჩნიათ. ისეთ ადამიანებსაც ვიცნობ, საკუთარ ცხოვრებას იმ საქმეს რომ უძღვნიან, რომელიც უყვართ, სიამოვნებთ და ცხოვრების ხალისს მატებთ. ასეთმა ადამიანებმა უკეთ იციან სიცოცხლის ფასი. ეს ნამდვილად პრობლემური და დამაფიქრებელი საკითხია. რაც შეეხებათ ჩემს შვილებს, ძალიან მინდა, იმ საქმეს მოკიდონ ხელი, რასაც გულს დაუდებენ, და, რაც მომავალში მათი მოწოდება გახდება.

— იმაზე თუ გიფიქრიათ, როგორ აღიქვამენ ისინი თქვენეულ ხედვას, რამდენად შესწევთ ამ სამყაროში წვდომის უნარი?

— უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ისინი კარგი მკითხველები იყვნენ და ჩემსავით სიამოვნებდეთ წიგნების კითხვა. ამას ჩემთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ ვცდილობდი ისინი კითხვას ბავშვობიდან მიჩვეოდნენ, რადგან კითხვა ჩემს ცხოვრებას საოცრად ამდიდრებდა. ეს საკითხი უპირველეს ყოვლისა მაღელვებს როგორც მამას, და, რადგან თანამედროვე ახალგაზრდობას ჩემი თაობის ადამიანის გაგება უჭირს, და ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენს შორის უზარმაზარი უფსკრულია გაწოლილი.

— თქვენი აზრით, როგორია თანამედროვე სამყარო?

— ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ სამყარო ასე რადიკალურად შეიცვლებოდა. დღესდღეობით სამუშაო თუ გაქვს, ეს უკვე დიდი მიღწევაა. ჩემს ახალგაზრდობაში სამუშაოთი ყველა უზრუნველყოფილი იყო და ამის პრობლემა არ არსებობდა. ამას გარდა, დღეს სულ სხვა ფასეულობებს, უნარ-ჩვევებს და წარმოდგენებს ენიჭება მნიშვნელობა. ერთის მხრივ ძნელია შვილს სრული თავისუფლება მისცე, მეორეს მხრივ, ისიც ძნელია მას საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება მოახვიო თავს, რომელსაც უკვე ყავლი გაუვიდა და მას აღარაფერში წაადგება. ამასთან ძნელია ადამიანს აზრები შეაცვლევინო, რადგან მას საკუთარ გამოცდილებას ვერ გადასცემ. თუმცა არსებობს საკითხები, რომელთა გამოც მამებსა და შვილებს შორის დაპირისპირება გარდაუვალია.

— ასეთი თავდაუზოგავი და დაუცხრომელი რომ ხართ თქვენს მოწოდებაში, ხომ არ ფიქრობთ, რომ საქმისადმი ასეთი გულმხურვალე დამოკიდებულება თქვენდამი შვილების გაუცხოებას გამოიწვევს? ამასთან დაკავშირებით ხომ არ გამოუთქვამთ მათ თავიანთი უკმაყოფილება?

— რა თქმა უნდა, გამოუთქვამთ. საკუთარი საქმიანობით იმდენად ვიყავი გატაცებული, რომ ოჯახს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი, მაგარამ საბედნიეროდ ამ ხარვეზს ჩემი ხალხმრავალი ოჯახი ავსებდა; ჩემი სიდედრის, ბიძებისა და ბიძაშვილების წყალობით ოჯახში მყუდროება სუფევდა, მაგრამ მე მასში ნაკლებად ვმონაწილეობდი და მთელი ცხოვრება მხოლოდ ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული. ახალგაზრდობის წლებში თავი როგორმე უნდა მერჩინა და ამიტომ ვმუშაობდი, მოგვიანებით კი მთელი ჩემი დრო ლიტერატურულმა საქმიანობამ შთანთქა.

— თქვენს შვილიშვილებზე რას იტყვით? როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან? რა აზრისანი არიან ისინი ნობელიანტ ბაბუაზე?

— უნდა გითხრათ, რომ დიდად აღფრთოვანებულები არ არიან. ისინი ჩემში უბრალოდ პიჟამაში და საშინაო ჩუსტებში გამოწყობილ ბაბუას ხედავენ. ამიტომაც მათგან ნობელიანტი ბაბუას მიმართ ვერანაირ პატივისცემას ვერ ვგრძნობ. ალბათ უბრალოდ სიამოვნებთ, რომ მათი ბაბუა ცნობილი ადამიანია. ამასთან ისინი ხომ სწორედ იმ თაობას მიეკუთვნებიან, რომელსაც მიაჩნია, რომ მწერალისა უნდა ეშინოდეთ. შვილიშვილებთან ჯანსაღი და სასიამოვნო ურთერთობა მაქვს. თუ მბრძანებლის როლს არ ასრულებ, და მორჩილებას არ მოითხოვ, მაშინ ეს ურთიერთობა შენის მხრიდან მამობრივ მზრუნველობაში გადადის.

— თქვენზე ამბობენ ძალიან ცნობისმოყვარეაო. ყველაზე მეტად რა გაოცებთ თქვენი შვილიშვილების ცხოვრებაში?

— ყველაზე მეტად ის მარტივი დამოკიდებულება მაოცებს, რომლითაც დღევანდელი ბავშვები აუდიო-ვიდეო ტექნიკის მიმართ იჩენენ, ამასთან ისინი უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ტრანსფორმაციებსაც განიცდიან. როცა ჩემი ქალიშვილი მორგანას ხუთი-ექვსი წლის ქალიშვილებს უყურებ, რა ოსტატურად უღებენ ალღოს თანამედროვე ტექნიკას, ეს ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ამ დროს გარკვეული შიშიც მიპყრობს. ვშიშობ, რომ დროთა განმავლობაში, ეს ყველაფერი წიგნს ან საერთოდ გააქრობს, ან უსარგებლო ნივთად აქცევს. ვიმედოვნებ, რომ ეს არა მხოლოდ ჩემი შვილიშვილების შემთხვევაში, არამედ საერთოდ არ მოხდება, რადგან ეს კაცობრიობისთვის უდიდესი დანაკარგი იქნებოდა.

— რაიმე ზომებს თუ მიმართავთ იმისათვის, რომ თქვენმა შვილიშვილებმა იცოდნენ წიგნის ფასი და მის მიმართ ინტერესი სათამაშო აპარატებმა არ ჩაანაცვლოს?

— არა. ეს მათი მშობლების პრობლემაა. მაგალითად გამართლებულად არ მიმაჩნია, როცა ბავშვს ტელევიზორის ყურებას უკრძალავენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მის ფსიქიკაზე ნარკოტიკზე საშიშ ზემოქმედებას ახდენს. ამგვარი აკრძალვა ბავშვს ასოციალურ და მარგინალურ ადამიანად აქცევს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ტელევიზორის ყურების ხანგრძლივობა შეგვიძლია შევზღუდოთ, მეტს ვერაფერს გავაწყობთ.

— თქვენ აგნოსტიკოსი ბრძანდებით და შესაბამისად, ობიექტური სამყაროს შემეცნებას უარჰყოფთ. რას ფიქრობთ რელიგიისა და რწმენის საკითხებზე საკუთარ ოჯახთან მიმართებაში?

— მე და პატრისიამ გადავწყვიტეთ, მანამდე არ მოგვენათლა შვილები, ვიდრე ისინი თავად არ მივიდოდნენ ამ შეგნებამდე და არ მოინდომებდნენ

მორწმუნეები გამხდარიყვნენ. მაგრამ ბუნებრივია, ჩვენ კათოლიკურ ოჯახში ეს არ გასჭრიდა, რადგან დედამ და დეიდებმა მაინც ვერ მოისვენეს და ბავშვები ჩვენგან მალულად მოანათლინეს.

ჩემი ერთ-ერთი შვილი მორწმუნეა, თუმცა ვერ ვიტყოდი დიდად ეკლესიურია-მეთქი; მეორე შვილი, ბავშვობაში კოლეჯში სწავლის დროს ძალიან რელიგიური იყო და საკმაოდ გამაოცა იმან, რომ მოგვიანებით იგი დეიზმის მიმდევარი გახდა. მესამე შვილი კი აგნოსტიკოსია. აი, ასეთი განსხვავებული რწმენის მიმდევრები არიან ჩემი შვილები.

— ბევრი ცნობილი ადამიანის ცხოვრებაში ყოფილა შემთხვევები, როცა მათი სახელი და რეპუტაცია საკუთარ შვილებს შეულახავთ. როგორ ფიქრობთ, თქვენც ხომ არ გელით ასეთი საშიშროება?

— ცნობილი ადამიანის შეურაცხყოფა და განადგურება ძალიან ადვილი საქმეა; ამიტომ მათ შვილებს მხრებზე უფრო დიდი და მძიმე პასუხისმგებლობა აწევთ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ ჩვენი შვილები საზღვარგარეთ გაგვეგზავნა სასწავლებლად, სადაც მათ მამას არავინ იცნობდა და ამიტომ იქ იგი არანაირ ავტორიტეტს არ წარმოადგენდა. ინგლისსა, თუ ესპანეთში მათ საკუთარი ღირსეული ცხოვრებით უნდა ეცხოვრათ, თავად მიეღწიათ დასახული მიზნისთვის და მამის სახელს არ ამოფარებოდნენ. იმედი მაქვს, რომ ჩემი არსებობით მეც არ მივაყენებ ჩემი შვილების ცხოვრებას რაიმე უსიამოვნო ჩრდილს. ისე კი უნდა ვაღიარო, რომ ჩემი შვილებით ძალიან ვამაყობ, რადგან ისინი საკუთარი მოწოდების ერთგულები დარჩნენ და ასე მოიწყეს ცხოვრება. ბევრი ცნობილი ადამიანის შვილებს ვიცნობ, რომლებსაც მშობლების პოპულარობის გამო ცხოვრება დაენგრათ. საბედნიეროდ, ჩემს ოჯახში ასეთი რამე არ მომხდარა და იმედია არც არასოდეს მოხდება.

ერთხელ თურმე ლიოსასთვის მომავლის გეგმების და პროექტების შესახებ ჰკითხეს, მას კი პასუხად ასეთი რამ უთქვამს: ,,დიდი იმედი მაქვს, რომ სიკვდილი წერის დროს მომაკითხავს".

— ნამდვილად ასეა, იმედი მაქვს, რომ სიცოცხლის ბოლომდე შემომრჩება საღი გონება, რომ ვწერო და ვიკითხო. ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ყოველთვის აღფრთოვანებაში მოვყევარ იმ ადამიანებს, რომლებმაც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს საღი გონება. ორი ან სამი წლის წინ პარიზში, პატარა მაღაზიაში ვიყიდე წიგნი, რომელშიც კლოდ ლევი-სტროსის ტექსტი იყო გამოქვეყნებული. ეს შესანიშნავი ტექსტი მან ასი წლის ასაკში დაწერა, და, როდესაც ის წავიკითხე, საკუთარ თავს უთხარი: ,,მართლაც რომ შესაშური და არაჩვეულებრივია, როდესაც ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ასეთ საღ აზროვნებას ინარჩუნებს-მეთქი". ტექსტი ლევი-სტროსის ახალგაზრდობის წლებს ეხება. იგი იხსენებს, როგორ ჩააბარა უნივერსიტეტში, მერე ლიტერატურიდან ანტროპოლოგიაზე იმ დროს გადაერთო, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ჰუმანიტარული მეცნიერებები. ეს დახვეწილი დისკურსი საღი აზროვნების მართლაც რომ უჩვეულო და საოცარ ნიმუშს წარმოადგენს. მახსოვს ისიც გავიფიქრე: რა საოცარია, რომ საყოველთაო დეკადანსმა ამ ბრწყინვალე გონებას ვერაფერი დააკლო და ამ ადამიანმა შესძლო, იგი ბოლომდე შემოენახა-მეთქი. ამ დისკურსის გამოქვეყნების შემდეგ, ლევი-სტროსმა ორი წელი კიდევ იცოცხლა. იგი 102 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ამბობენ, რომ ნობელის პრემიის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, ნობელიანტს სამადლობელო სიტყვით გამოსვლისას, ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს მან ეს ჯილდო სიკვდილის შემდეგ მიიღო. ალბათ ასეთი შეგრძნება იმ ლაურეატებს აქვთ, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ ჯილდოს მიღებით, მათი კარიერა დასრულდა. ეს ადამიანები მართლაც არასოდეს მიუბრუნდებიან წერას, მათ უკვე თავი დაისამარეს და საკუთარ ძეგლებად გადაიქცნენ. მახსოვს პრემიის გადმოცემის დროს სწორედ ეს სიტყვები წარმოვთქვი: ,,ძეგლად არ გადავიქცევი"-მეთქი. ჰოდა ვფიქრობ, ამით საკუთარი თავი ღირსეულად წარმოვაჩინე.

— თქვენ აგნოსტიკოსი ბრძანდებით, ამიტომ საინტერესოა, რას ნიშნავს თქვენთვის სიკვდილი?

— სიკვდილისა არასოდეს მშინებია, ყოველთვის უფრო ავადმყოფობა მაშინებდა.

— ახალგაზრდობაშიც არ გქონიათ სიკვდილის შიში?

— არა. მახსოვს კოლეჯში სწავლისას ჩემს ერთ მეგობარს სიკვდილის ხსენებაზე ენითაუწერელი შიში შეიპყრობდა ხოლმე და სიცოცხლეს უწამლავდა. მართალი გითხრათ, სიკვდილზე არ ვფიქრობ და ამაში გარკვეულწილად ჩემი სამუშაო მეხმარება. საქმეში მთლიანად ვეფლობი და ეს ამ ფიქრებისგან მიცავს. იმედი მაქვს, არ მომიწევს იმ მტანჯველი დეკადენტური გზის გავლა, რომელიც გონებრივად და ფიზიკურად გამცრობს; აი მაშინ სიკვდილი მოულოდნელად და უმტკივნეულოდ მოვა.

— არსებობს კიდევ რაიმე, რაც გაწუხებთ...

— მოდი ასე ვთქვათ. უკვე 78 წლისა ვარ და უბრალოდ შეუძლებელია, რომ ამაზე არ ვიფიქრო, რადგან ვიცი, რომ სიკვდილი ნელ-ნელა ახლოვდება. მე აგნოსტიკოსი ვარ, და არა ათეისტი. ამიტომ ნამდვილად არ შემიძლია იმის თქმა, არსებობს თუ არა იმქვეყნიური ცხოვრება, თუ როგორია ის სხვა ცხოვრება, ამის წარმოდგენის საშუალებას არც ჩემი განათლება მაძლევს და არც ამასთან დაკავშირებული დამაჯერებელი ახსნა-განმარტებები. თუმცა არც ათეისტების თვალსაზრისებს ვიზიარებ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არავითარი იმქვეყნიური ცხოვრება არ არსებობს და ჩვენი ცხოვრება მხოლოდ აქ, მიწიერ სამყაროში მიედინება. დიახ, ჩემი განათლება იმის უფლებასაც კი არ მაძლევს, ათეისტური კატეგორიული ფანატიზმით ვამტკიცო ეს. მოკლედ, რაცა ვარ, ესა ვარ, და მუდმივ ეჭვებს ვერ დავაღწიე თავი.

— რა ეჭვებს გულისხმობთ?

— აგნოსტიკოსს ებადება კითხვა, თუ საით მიჰყავს სიკვდილს ადამიანი. აი, სწორედ აქ წამოიჭრება უამრავი კითხვა, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარი და ძნელად მისაღებია. ამ დროს ხედავ, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რაც ნორმალურ პირობებში ისევ აგრძელებს არსებობას; მაგრამ იმავდროულად ჩვენს ცნობიერებას არ ემორჩილება რაღაც, რაც მის ბოლომდე გაგე-

ბას შესაძლებელს ხდის და მხოლოდ რწმენაზეა დამოკიდებული. ჰოდა, რაკი ეს რწმენა არ გამაჩნია, ამიტომ ვერც ვერაფრის მტკიცებას და ვერც უარყოფას ვერ ვახერხებ. მაგრამ თუ შევძლებ და ვაღიარებ რწმენას, როგორც ვარაუდს და ჰიპოთეზას, ალბათ მივალ მასთან. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი პირადი მოსაზრებაა. საზოგადოებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ვფიქრობ, შეუძლებელია, რელიგიას გვერდი აუარო, რადგან ამით ისტორიულად არსებულ ყველა ქმედებას ხაზი უნდა გადაუსვათ. ადამიანების უმრავლესობას სჭირდება რწმენა იმისა, რომ სხვა ცხოვრებაც არსებობს და ყველაფერი ამქვეყნიური ყოფით არ მთავრდება. ამ აუცილებელი რწმენის შთაგონება იმ რელიგიებს ევალებათ, რომლებიც ადამიანს მცირეოდენ შვებას აგრძნობინებენ და საზოგადოებას ქმედებისკენ უბიძგებენ. რწმენის გარეშე ირგვლივ საშინელი ქაოსი, ამნეზიური აფაზია და პესიმიზმი დაისადგურებდა. სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით რელიგია ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოში არ არსებობს დემოკრატია და სამართლიანობა. მე-19 საუკუნის მსოფლმხედველობიდან გამომდინაე, თითქოსდა პროგრესი და მეცნიერება ბოლოს მოუღებდა რელიგიას, აბსოლუტურად უსუსური აღმოჩნდა, რადგან ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის.

— ოდესმე ყოფილხართ ისეთ სიტუაციაში, როდესაც თქვენი ჩვეული პრაგმატიზმის წყალობით რაიმე გამოცდილება მიგიღიათ?

— ვფიქრობ, რაციონალურ აზროვნებას არ ძალუძს იმის შეცნობა თუ რა არის ადამიანური გამოცდილება. არსებობს სფეროები, გარემოებები, როცა რაციონალურ აზროვნებას ზუსტად და დამაჯერებლად ვერ მივყავართ ამა თუ იმ ფაქტის შეცნობამდე, მერე კი აღმოაჩენ, რომ ცხოვრებაში უამრავი მოულოდნელი წუთი არსებობს, რომელთა წყალობითაც იგი ჩვენს წიაღში უფრო მომაჯადოებელი, ღირებული და საოცარი სახით წარმოჩინდება. თუ ცოდნას ყოველი მხრიდან წვენს გამოადენ, ალბათ სიცოცხლე მოსაწყენი გახდებოდა. სიცოცხლე სტატიკა არ არის, იგი მუდმივად განახლებადია და ჩვენს გონებაში ავანსად არსებული საშუალებებით, ყოველთვის ვახერხებთ ამა თუ იმ მოვლენის ახლებურად შეცნობას. ეს კუპერისთვის იყო ,,ძიება დასასრულის გარეშე". მეც მიმაჩნია, რომ ცხოვრება მართლაც ძიებაა, რომელსაც დასასრული არა აქვს.

— არსებობს ისეთი რამ, რის გამოც ახალგაზრდები თქვენს კრიტიკას ან გაკიცხვას იმსახურებენ?

— ახალგაზრდობა ხომ იმას ნიშნავს, რომ ყველა კარი ღიაა შენთვის. მას ყოველთვის ახლავს თავდაჯერებულობა იმისა, რომ მსოფლიოს ბატონ-პატრონია. არაფერს ვნანობ, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება ჩემს საყვარელ საქმეს მივუძღვენი, ეს კი ამ ქვეყნად ყველაზე კარგი რამ არის. თუმცა ახლა ნოსტალგიას განვიცდი, რადგან საუკეთესო წლები, სიცოცხლის ხალისი და ენერგია უკან მოვიტოვე.

— მიუხედავად ამისა, მაინც სიცოცხლით სავსე, ხალისიანი და დაუცხრომელი ხართ...

— გეთანხმებით, ასეთი ვარ და იმედი მაქვს ბოლომდე ასეთად დავრჩები, მაგრამ თან იმასაც ვხვდები, რომ ბევრ რამეში ჩემი შესაძლებლობები უკვე შეზღუდულია. არსებობს რაღაცეები — რისი კეთებაც უკვე ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, მაგრამ შევეცდები, სიცოცხლის ბოლომდე ყველა ჩემი ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანო და ბოლომდე ქმედით ადამიანად დავრჩე.

— ახლა კი, თქვენს ახალ რომანზე ,,თავმდაბალ გმირზე" ვისაუბროთ. ეს ამბავი ორ იმპრესარიოს ეხება. ერთი მათგანი პერუდან ჩამოსული პროვინციელია, მეორე კი ლიმას მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი. ისინი არსებულ ყოფას და იმ სამყაროს უპირისპირდებიან, რომელშიც მათ ცხოვრება უხდებათ. მაინც რა გახდა ამ ისტორიის შექმნის მოტივი?

— როდესაც პერუში დავბრუნდი, ქვეყანა, და, მათ შორის ქალაქი პიურა, სრულიად შეცვლილი და განახლებული დამხვდა. (ამ ქალაქში ლიოსამ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა) მოგონებად დარჩა ერთ დროს დანგრეული და განადგურებულ პიურა, რომელიც ახლა თანამედროვე ქალაქად ქცეულიყო. ეს გახდა ამ რომანის შექმნის მიზეზი და ბიძგი მომცა, რათა ამ ახალი ქალაქის ცხოვრება ამეწერა. ამ დროს უეცრად, ძველმა გამოცდილებამ მიშველა, ახალი ფანტაზიები წარმოშვა და მთელი ეს რომანიც ასე დაიბადა. ნაწარმოებში აღწერილი ამბავი სინამდვილეში ქალაქ-ტრუხილიოში მოხდა. ვიცოდი, რომ იქ არსებობდა მაფია, რომელიც აშანტაჟებდა და წილებს სთხოვდა ახალ იმპრესარიოებს. ასევე გაგონილი მქონდა, რომ მაფია ცდილობდა ერთი პატარა სატრანსპორტო ფირმის იმპრესარიოსთვის ფული გამოეძალა; მან კი გაზეთში გამოაქვეყნა პასუხი და მაფიას აცნობა, რომ არავითარი ფულის გადახდას მათთვის არ აპირებდა. ამის შემდეგ მათ შორის სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლა დაიწყო. ვიფიქრე, ამ ისტორიას განვავრცობ და საკუთარი ფანტაზიით გავამდიდრებ-მეთქი. მალე თავში აზრად მომივიდა, შემექმნა პერსონაჟი, რომელიც ძალიან, თვინიერი და უბრალო ადამიანი იქნებოდა; ის ხედავს, რომ ქვეყანა განვითარების გზაზე დგას, ამიტომ დროულად გადაწყვეტს, რაიმე სარფიანი საქმე წამოიწყოს და საკუთარ ფირმას აარსებს, მაგრამ მოულოდნელად წინააღმდეგობას აწყდება, რომელსაც იგი საკმაოდ მამაცურად და თამამად აღუდგება წინ. ეს გმირის მხრიდან მორალური და არა ფიზიკური ანგარიშსწორება უნდა ყოფილიყო. მერე უცებ გადავწყვიტე, ტრუხილიოში მომხდარი ამბავი პიურაში გადამეტანა, რადგან ამ ქალაქს უკეთ ვიცნობდი.

— ისევე, როგორც ბევრ თქვენს რომანში, აქაც საკუთარ გამოცდილებას იშველიებთ და იმ ცოდნას იყენებთ, რომელსაც თავად საწყისს მასალას უწოდებთ?

— ყველა ჩემს რომანს თუ მოთხრობას კავშირი აქვს ერთმანეთთან. ისინი ასევე ჩემს თეატრალურ ნაწარმოებებთანაც არიან დაკავშირებულები, რადგან მთელი ჩემი შემოქმედება საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მოდის. ჩემს ნაწარმოებებში მოგონებები ის ღერძია, რომელზეც სიტუაციებს და მოვლენებს ვაგებ. ამით იმის თქმა სულაც არ მსურს, რომ წარმოსახვას არ მოვუხმობ ხოლმე. რა თქმა უნდა, ასეც ხდება, მაგრამ ჩემთ-

ვის ნაწარმოების საფუძველს მაინც მოგონებები წარმოადგენენ.

– ამ რომანის ორი მთავარი პერსონაჟი ფელიციტო იანაკე და ისმაელ კარერა ისევე უჯანყდებიან არსებულ რეალობას, როგორც ეს რომანში „ომი, რომელიც სამყაროს დასასრულს მოასწავებს“ და „კელტის სიზმარში“ გაქვთ აღწერილი. ამით ალბათ გინდოდათ კიდევ ერთხელ მიგვანიშნებინათ ამ ნაწარმოებებზე. რატომ გიყვართ თქვენი პერსონაჟების ასეთებად დახასიათება?

– მე იმ ადამიანის ზოგადად დახასიათება მიყვარს, რომელიც ძალიან მომწონს და ჩემს პერსონაჟებში მუდმივად სწორედ ეს სიყვარული იჩენს ხოლმე თავს. ისინი დინების საწინააღმდეგოდ მიემართებიან და არასოდეს ეშინიათ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ან თუნდაც ყოფით სიძნელეებთან დაპირისპირება. ჩემი პერსონაჟები მტრულ, ან არაკეთილგანწყობილ სიტუაციებში ყოველთვის შეუპოვრები და ძლიერები არიან. ეს პერსონაჟის ის ტიპია, რომელსაც ჩემს ნაწარმოებებში ხშირად აღმოაჩენთ, თუმცა თავიდან სულაც არ ვფიქრობ ხოლმე, რომ იგი ასეთად გამოვიყვანო.

– გამოდის, რომ ეს პერსონაჟები თავად ხართ?

– გეთანხმებით. ისინი რაღაცით მგვანან, რადგან წინააღმდეგობებისა ჩემსავით არ ეშინიათ და არც დინების საწინააღმდეგოდ ცურვას ერიდებიან. ერთი სიტყვით, ისინი ყველანაირ რისკზე მიდიან, თუ წინ ვინმე გადაეღობება.

– ყურმოკვრით ვიცი, რომ წერის დროს საკმაოდ იყენებთ ჭორებს. როგორ მუშაობს თქვენი გონება, როცა ასეთ ჭორებს გაიხსენებთ ხოლმე?

– ჭორები მწერლისთვის უდაოდ მდიდარი წყაროა; წერის დროს იმ ღრუბელს ვგავარ, რომელიც ყველაფერს იწოვს. ჰოდა, მაშინ მახსენდება ყველაფერი, რაც ოდესმე მინახავს, მსმენია, გადამხდენია, ან წამიკითხავს. მერე ამაში ერთვება, სიტყვა, წარმოსახვა, ფრაზა, ამბავი და ტიპაჟი; ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე ადამიანის უცნაური ჩვევაც კი გამხსნებია და გამომიყენებია. ჩემი მეხსიერება თითქმის იმ ავტომატურ მექანიზმად გადაიქცა, ყველაფერს რომ აკვირდება. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ, მაგრამ აქ, ჩემს შიგნით ვიღაც ფხიზლობს, რომელიც იმას ხედავს და გონებაში ჩაიბეჭდავს, რაც მომავალში აუცილებლად გამომადგება. ეს განსაკუთრებით მაშინ მემართება, როცა ნაწარმოები უკვე დამთავრებულია და ჩასწორებას ვიწყებ. ამ დროს ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ მხოლოდ ამ ნაწარმოების წერა მაცოცხლებს და ყველაფერი წარსულში დანახული თუ მოსმენილი ამ პროცესში ძალიან მეხმარება.

– ცნობილია, რომ თქვენ რკინის დისციპლინას იცავთ და მუდმივად იმ თვალსაზრისზე დგახართ, რომ ნაწარმოებზე განუწყვეტელი მუშაობაა საჭირო. ნუთუ არასოდეს გრძნობთ დაღლილობას? არ გაქვთ ხოლმე სურვილი, რომ მოდუნდეთ და ცოტა დაისვენოთ?

– არა, ასეთი სურვილი არ მაქვს, რადგან ეს ჯერ არ დამიმსახურებია. ასეთი ცხოვრება არ მხიბლავს და არც იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთნები, თავყრილობები და დღესასწაულები რომ უყვართ. ღამე-დროის ეს მონაკვეთი აუცილებელად ნაყოფიერი უნდა იყოს ჩემთვის. ახალგაზრდობაში ჟურნალისტი ვიყავი, მოგვიანებით კი ფრანგულ რადიო და ტელემაუწყებლობაში ვმოღვაწეობდი; აი, იმ წლებში მუდამ ღამით მიწდებოდა მუშაობა. ერთხელ ფართო აუდიტორიის წინაშე გულუბრყვილოდ ვაღიარე, დისკოთეკაზე არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი. ამან მსმენელებში ხარხარი გამოიწვია, რადგან ეგონათ, რომ ვიხუმრე. არა და ეს სიმართლე იყო. დისკოთეკის გამო ღამეს ნამდვილად ვერ გავიღებდი მსხვერპლად. ხუთი წელი ბარსელონაში ვცხოვრობდი. ჩვენი სახლის შორიახლოს ცნობილი დისკოთეკა “Ocaccio” იყო. ერთხელაც პატრისიას უთხარი, ბარსელონიდან ისე როგორ უნდა წავიდეთ, რომ ამ დისკოთეკაზე ერთხელ მაინც არ შევიაროთ-მეთქი. მერე წავედით და მხოლოდ შევიხედეთ, რა ხდებოდა იქ. სულ ეს იყო. ასეთ ადგილებს ყოველთვის გვერს ვუვლიდი, რადგან მძულს ბოჰემა. სამაგიეროდ კაფეში მიყვარს ჯდომა. იქ წერა და კითხვა მომწონს. რაც ხანში შევედი, მეგობრებთან შემიყვარდა დროის გატარება; ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩემთან სულიერად ახლოს დგანან და მათთან ყოფნა ნამდვილად სიამოვნებას მანიჭებს. თუმცა არჩევანის წინაშე თუ დავდექი, უპირატესობას ყოველთვის ჩემს სამუშაოს მივცემ. ეს სწორედ ის საქმეა, რისი კეთებაც ძალიან მსიამოვნებს. ამიტომ ჩემს დროს ძირითადად მას ვუძღვნი და ეს მსხვერპლთშეწირვა კი არა, უდიდესი სიამოვნებაა ჩემთვის. მაგრამ არის წუთები, როცა დაღლილობისგან მზად ვარ, პირდაპირ მაგიდის ქვეშ შევძვრე და დავისვენო.

– ნობელიანტების სიაში მოხვედრა მოულოდნელი იყო თქვენთვის?

– დიახ, როგორც ყველა ჩვეულებრივ ადამიანს მეც მქონდა წუთები, როცა დიდ იმედგაცრუებას განვიცდიდი და სრული უუნარობის შეგრძნება მეუფლებოდა. მაგრამ გამოცდილებამ მაჩვენა, რომ თუ დაჟინებით მოვეკიდებოდი საქმეს, ყველაფერი კარგად იქნებოდა, ახალი იდეები გამიჩნდებოდა და წონასწორობას აღვიდგენდი. ამ წონასწორობას კი ჩემი სამუშაო მინარჩუნებს. თუ საქმე კარგად მიდის, ხალისიანი და ყველაფრით კმაყოფილი ვარ, მაგრამ თუ წერას ვერ ვახერხებ, ან იძულებული ვარ, რაიმე მიზეზით შევწყვიყო იგი, ამ დროს თითქოს მთელი სამყარო თავზე მემხობა. დისციპლინა და წონასწორობის შენარჩუნება: აი, ამ ორი პრინციპით ვხელმძღვანელობ მუდამ. ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ თავს მხოლოდ შრომით გავიტანდი. ეს ერთ-ერთი უნარ-ჩვევაა, რომელიც მამაჩემმა თავისდაუნებურად, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, კოლეჯში სწავლის დროს ჩამინერგა. დანარჩენი ხასიათის თვისებები თავდაპირველად ჟურნალისტიკის სფეროში მუშაობით და სტატიების წერით, მოგვიანებით კი უნივერსიტეტში სწავლისა და მუშაობის დროს თავად გამოვიმუშავე. რაკი წერა დავიწყე, იძულებული გავხდი უფრო დისციპლინირებული ვყოფილიყავი. ამისათვის კი მკაცრად დადგენილი ცხოვრების წესით უნდა მეცხოვრა. მკაცრი დისციპლინის გარეშე ვერაფრის დაწერას ვერ შევძლებდი. ახლა კიდევ ერთი რამ უნდა გაგანდოთ. მას შემდეგ, რაც პატრისიაზე დავქორწინდი, ოჯახური პრობლემები სრულიად მომეხსნა და ისინი აღარ

მანაღვლებდა, რადგან ეს საქმე ჩემმა მეუღლემ აიღო თავის თავზე და ამით ძალიან შემიწყო ხელი. პატრისიამ არსებობა გამიიოლა და მეტი სიმშვიდე შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში, რადგან ახლა უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობდი წერას და შემეძლო მთლიანად მისთვის მიმეძღვნა ჩემი თავი; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

— მაშასადამე, იპოვეთ თქვენი ჭეშმარიტი მოწოდება, რომელსაც არაფერზე გაცვლით?

— უძლური ვარ ამის წინაშე და ვაღიარებ ამას.

— ცოტა ხნის წინ ერთ ჟურნალისტს გამოუტყდით, რომ ძალიან ხშირად ყოფილხართ გამიჯნურებული. ეს მართალია?

— დიახ, ბუნებით რომანტიკოსი ვარ. ამიტომ ადვილად ვებმებოდი სიყვარულის მახეში. განვიცდიდი, გულისამაჩუყებელ სასიყვარულო წერილებს ვწერდი, ვტიროდი კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ ახალგაზრდობისთვის გაღებული ხარკი იყო. მაშ როგორ გინდათ? მე ხომ სამხრეთ ამერიკელი ვარ!

— ბოლეროზე რას იტყვით, გიყვართ მისი მოსმენა?

— რა თქმა უნდა, მიყვარს.

— ასეთი მკაცრი დისციპლინის დაცვის დროს, ალბათ ძალიან ცოტა დრო გრჩებათ ძილისთვის?

— დიახ, ჩემი ყოფა მეტისმეტად მკაცრი და გამოწონილია და საერთოდ ცოტა დროს ვუთმობ ძილს. ,,ლა სალიეს" უნივერსიტეტში როცა ვსწავლობდი, მახსოვს ჩემი მეგობრები რა მოუთმენლად ელოდნენ შაბათ-კვირის დადგომას, რომ შუადღემდე კარგად გამოეძინათ. ყოველთვის მიკვირდა მათი, რადგან მათგან განსხვავებით, ადრე მიყვარდა ადგომა. ეს ძალიან ნაყოფიერი დრო იყო ჩემთვის. დილაობით მეცადინეობაც მიყვარდა და მუშაობაც. ხუთ საათზე მეტ ხანს არასოდეს მძინებია, ექვსი საათი ძილი კი ჩემთვის დიდი იშვიათობაა. ისე რომ, დილის ექვს საათზე ყოველთვის უკვე ფეხზე ვარ.

— ესე იგი, მხოლოდ ნახევარი ღამე გძინავთ..., როგორია თქვენი ცხოვრების ჩვეულებრივი დღე?

— ძილის წინ თორმეტის ნახევრამდე ან პირველ საათამდე ვკითხულობ და დილით გაღვიძებისთანავე ისევ კითხვას ვიწყებ. მერე ნახევარ საათს ვვარჯიშობ, მხრების და ზურგის ვარჯიშებს ვასრულებ. მოგვიანებით, ერთი საათით პატრისიასთან ერთად სასეირნოდ მივდივარ და ეს დრო ძალიან ნაყოფიერია ჩემთვის, რადგან სწორედ სეირნობისას ვაწყობ იმ დღის გეგმებს. გონებაში მოვხაზავ სქემას, დღის განმავლობაში სად უნდა წავიდე, რაზე უნდა ვიმუშაო, ამასთან სხვა ათას წვრილმან საქმესაც ვგეგმავ. მერე სახლში ვბრუნდები და გაზეთებს ვკითხულობ. ეს ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცესია, მაგრამ თუ პრესა დროულად არ მოაქვთ, იძულებული ვარ ახალი ამბები ინტერნეტით შევიტყო, თუმცა გაზეთების კითხვა ბევრად მირჩევნია. შხაპის მიღების შემდეგ, ჩემს მაგიდას მივუჯდები და ორი-სამი საათის განმავლობაში ფეხს არ ვიცვლი. დღის ეს მონაკვეთი ყველაზე შემოქმედებითი და ნაყოფიერია ჩემთვის. მოგვიანებით ვსადილობთ და ცოტას ვისვენებ. ადრე ამას მიჩვეული არ ვიყავი, მაგრამ ბოლო ხანებში შუადღისას ცოტას წაუძინებ ხოლმე. მერე ისევ სამუშაოს ვუბრუნდები. ამ დროს უმთავრესად ტექსტების ჩასწორებას და წაკითხულის ანალიზს ვანდომებ. წინათ საღამოობით ბიბლიოთეკაში მერჩივნა მუშაობა. საფრანგეთში და ესპანეთში რომ ვცხოვრობდი, ძირითადად ბიბლიოთეკაში ან კაფეში მივდიოდი ხოლმე სამუშაოდ.

— როგორ ფიქრობთ, ახლა ადამიანებს გული აქვთ აცრუებული მუშაობაზე?

— საბედნიეროდ ჯერ კიდევ არა. ახალ ისე ხშირად აღარ შევდივარ კაფეებში, რადგან იქაური სიტუაცია ხელს მიშლის მუშაობაში. საღამოობით ვცდილობ დრო მეგობრებთან ერთად გავატარო. მიყვარს კინოში, თეატრში და კონცერტებზე სიარული. ამასთან ვცდილობ დრო უქმად არ დავკარგო. ამაში პატრისია და ჩემი თანაშემწეები ძალიან მეხმარებიან და ხმალამოღებულები მიცავენ, რომ არავინ შემაწუხოს და მუშაობაში ხელი არ შემიშალოს.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ინტერნეტთან? ალბათ თქვენისთანა თავდადებული მკითხველისთვის ინტერნეტი აუცილებელი საინფორმაციო წყაროა არა?

— იცით, ინტერნეტს არ ვიყენებ. ძალიან იშვიათ შემთხვევებში თუ...

— არ სარგებლობთ ელექტრონული ფოსტით? რატომ?

— არ ვსარგებლობ, რადგან წერილებზე არავის ვპასუხობ. ჩემი პირველი რომანი რომ დაიბეჭდა, მახსოვს, უამრავი წერილი მივიღე და ყველას რომ ვუპასუხე, მაშინ კი მივხვდი, რომ, თუ ასე გავაგრძელებდი, წერისთვის კი არა, კითხვისთვისაც აღარ დამრჩებოდა დრო. მართლა არ ვაჭარბებ, ყოველ კვირა ასამდე წერილი მოდის და უბრალოდ შეუძლებელია, რომ მთელი ჩემი დრო მათ კითხვას მოვანდომო. ამიტომ ამ წერილებს პატრისია და ჩემი თანაშემწეები კითხულობენ, ზოგ წერილს მეც ვკითხულობ, მაგრამ იშვიათად ვპასუხობ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საჩქარო პასუხია გასაცემი. მაშინ ამ პასუხს ჩემს თანაშემწეებს ვკარნახობ; ისინი მას სწრაფად ბეჭდავენ და აგზავნიან. ამიტომ ჩემი ლიტერატურული კორესპონდენცია მისი არარსებობის გამო არასოდეს გამოქვეყნდება.

— საკუთარი პერსონალური კომპიუტერი თუ გაქვთ, რომელზეც მუშაობთ?

— კომპიუტერს მხოლოდ საბეჭდ მანქანად ვიყენებ. იშვიათად ვსარგებლობ ინტერნეტით. მაგალითად, ნიუ-იორკში რომ გავემგზავრე, იქ პრესის გაცნობის მიზნით, "Ноогле"-ით ვსარგებლობდი, რადგან მაინტერესებდა რა ხდებოდა ესპანეთში, პერუში, და, საერთოდ, მსოფლიოში. მაგრამ კომპიუტერი არ არის ჩემი მოწოდება და, კატეგორიულად ვამბობ, რომ ის ჩემს ბუნებას ეწინააღმდეგება. მზარავს იმ ადამიანების ყურება, მთელი დღე კომპიუტერის ეკრანს რომ მისჩერებიან და ცხოვრებაში სხვა ინტერესი არ გააჩნიათ. ერთ კვირა დღეს ნიუ-იორკში ყოფნისას მსგავსი საზიზღარი გრძნობა დამეუფლა. იმხანად ,,პრინსტონის უნივერსიტეტში" ვკითხულობდი ლექციებს და მანჰეტენზე ვცხოვრობდი. ერთხელ როცა კაფეში ვიჯექი და ვსაუზმობდი, იქვე ჩემს მოპირდაპირე მაგიდასთან ახალგაზრდა წყვილი იჯდა, რომელიც ალბათ არასოდეს დამავიწყდება.

ორივეს კომპიუტერი ედგა წინ და ეკრანს მისჩერებოდა, არ ვიცი, თამაშობდნენ თუ კომპიუტერის საშუალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეკრანისთვის თვალი არ მოუცილებიათ, თან თავაუღებლად ჭამდნენ. ბოლოს კომპიუტერები დახურეს, ადგნენ და ისე წავიდნენ, რომ ერთმანეთისთვის სიტყვაც კი არ უთქვამთ. შემზარავი იყო კომპიუტერით მონუსხული და ეკრანს ჩაშტერებული ამ წყვილის ყურება. ეს ჩემთვის მართლაც გამაოგნებელი იყო. ამ ორ ადამიანს შორის ცოცხალი კომუნიკაცია არ შედგა, რადგან მათ იგი კომპიუტერებით ჩაანაცვლეს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა: ადამიანებს ელაპარაკები, ისინი კი კომპიუტერების ეკრანებს ჩაშტერებიან. მერე კი ხვდები, რომ ეს უსულო აპარატები შენთან საუბარზე უფრო მნიშვნელოვანია მათთვის. ჰოდა, ეს ყველაფერი ჩემში განგაშს იწვევს, რადგან იმ საფრთხის მოახლოებას ვგრძნობ, რომ მალე ადამიანები ერთმანეთს სრულიად დაშორდებიან, გაქრება ცოცხალი ურთიერთობები, ხელოვნება და მასთან ერთად კი ღირებულებები გაქრება.

– თქვენი აზრით როგორი იქნება სამყარო 50 წლის შემდეგ?

– ამის წარმოდგენა რთული სულაც არ არის, რადგან ამ სამყაროს დამკვიდრება აუდიო-ვიდეოტექნიკის საშუალებით ხდება. ეს იქნება სამყარო, სადაც ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ საშუალებებს უმთავრესი მნიშვნელობა მიენიჭება. მე კი ძალიან მაინტერესებს, რა ბედი ეწევათ მომავალში წიგნებს; გადარჩებიან ისინი ამ სამყაროში, თუ უკვალოდ გაქრებიან. თუ წიგნები გადარჩა, მათ ალბათ მიწისქვეშა კატაკომბებში რომელიმე საიდუმლო საძმოს წევრები წაიკითხავენ, რომლებსაც ჯერ ისევ შენარჩუნებული ექნებათ წიგნის სიყვარული. თუ ტექნიკური რევოლუცია კომპიუტერის ეკრანების მნიშვნელობას წინა პლანზე წამოსწევს და წიგნები აღარ იარსებებენ, სრულიად განსხვავებული, ახალი ლიტერატურა შეიქმნება. ვფიქრობ, ეს უფრო გასართობი, თეატრალური ტიპის ლიტერატურა იქნება, რომელიც არაფრით აღარ მოგვაგონებს ღრმა საზრისის მქონე, ტრადიციულ ლიტერატურას. ახლა ხომ აშკარაა, რომ მეცნიერებების და ტექნოლოგიების მზარდ განვითარებას ტერორიზმი მოსდევს, რომელიც, თუ მანამდე მარგინალურ ქმედებად ითვლებოდა, დღეს აბსოლუტურად დამანგრეველ ძალას წარმოადგენს. ტექნოლოგიების ასეთმა მასშტაბურმა განვითარებამ ტერორიზმის გარდა ხელი შეუწყო ფანატიზმს და ნგრევას. ამიტომ, ისმის კითხვა, სადამდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი და რამ უნდა შეუშალოს ხელი კაცობრიობის ჩათრევას ყოვლისმომცველ კატასტროფაში? მაგრამ ძალიან ძნელი, და, ალბათ შეუძლებელი იქნება, მისგან თავის დაღწევა, რადგან ტექნიკური პროგრესი მხოლოდ შესაძლებლობაა უკეთური მიზნების განსახორციელებლად. უიმედობით ვარ შეპყრობილი.

– ახლა უკვე, როდესაც მსოფლიოში მოსალოდნელ ძალადობაზე და ტერორიზმზე ვისაუბრეთ, მინდა კოლუმბიის აწმყოზეც გკითხოთ. როგორ ფიქრობთ კოლუმბიაში მშვიდობა დამყარდება?

– მეგობარო, ეჭვი არ მეპარება, რომ კოლუმბიაში მშვიდობა დამყარდება. ხედავ, რა მოხდა ცენტრალურ ამერიკაში? იგი სამოქალაქო ომების ეპიცენტრად გადაიქცა, მაგრამ მოგვიანებით მოლაპარაკებების წყალობით, იქ მშვიდობა დამყარდა. კოლუმბიასთან დაკავშირებითაც ამის თქმა მინდა. მსოფლიოს ხალხებს მშვიდობა სურთ და ღმერთმა ქნას, ნაჩქარევად არ იქნეს მიღებული დამღუპველი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს გადაწყვეტილებები პოლიტიკურ კონიუნქტურაზე არ იყოს დამოკიდებული, არ გადაიქცეს ამომრჩეველთა სატყუარად და მშვიდობის დამყარება, მყარ და რეალურად საიმედო საფუძველზე მოხდეს. რა თქმა უნდა, ასეთ გადაწყვეტილებებს მივესალმები და განხორციელების შემთხვევაში მათ ტაშსაც დავუკრავ. მაგრამ მეორეს მხრივ ვფიქრობ, რომ ქვეყანაში ასეთი ვითარების არსებობას სხვა მიზეზიც უწყობს ხელს. კოლუმბიაში პარტიზანული ომი სრული ანაქრონიზმია და არ შეესაბამება არც ჩვენს დღევანდელობას და არც ქვეყანაში არსებულ რეალობას. კოლუმბია დემოკრატიული ქვეყნაა, მაგრამ იქ ცუდად ფუნქციონირებენ სახელმწიფო ინსტიტუციები, თუმცა ქვეყანა მაინც სწრაფად ვითარდება და თანამედროვე სახელმწიფოდ ყალიბდება. აქედან, გამომდინარე იქ წარმოებული პარტიზანული ომი ნამდვილად სრული ანაქრონიზმია, რომელიც მხოლოდ ძალადობას წარმოშობს. ეს ქვეყნის განვითარებისთვის საშინელი შეფერხებაა. პარტიზანული ომის გაგრძელების შემთხვევაში არ შეიძლება ქვეყანაში რაიმე წინსვლის იმედი გაჩნდეს, რადგან ქვეყნის წინაშე ჯერ ისევ ნარკოტიკებით ვაჭრობის პრობლემა დგას; ეს კი შესაძლოა, იმ მოსახლეობის ცხოვრების წესად გადაიქცეს, რომელიც ამ ომშია ჩათრეული. ეს ანაქრონიზმი განსაკუთრებით იმითაა საშიში, რომ იგი რეალობას წარმოადგენს და თუ შეთანხმება არ მოხდა „ფარკები“*[1] კვლავაც გააგრძელებენ ბრძოლას. ვფიქრობ, მშვიდობიანი შეთანხმება პარტიზანების ინტერესებშიც უნდა იყოს. უბრალოდ ამ შეთანხმებას კეთილი ნება სჭირდება.

– რას ფიქრობთ ჰაგას გადაწყვეტილებაზე კოლუმბიის და ნიკარაგუას უთანხმოების თაობაზე?

– ეს ქვეყნები უნდა დაემორჩილონ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ახლა ალბათ პერუსთან და ჩილესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზეც გვამცნობენ, რომლებიც ასევე უნდა შესრულდეს, რათა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდეს და ამ ქვეყნებმა ნორმალურად განვითარება შეძლონ. ეს კი მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია.

ესპანურიდან თარგმნა
მაკა გოგოლაშვილმა

[1] *ფარკები-კოლუმბიაში ამბოხებულთა მემარცხენე ძალების რადიკალური დაჯგუფება.*



ავტორი:
მიშელ როსტენი
სათაური:
„შვილი“



ავტორი:
მერილინ
რობინსონი
სათაური:
„მშობლიური
კერა“

„შვილი“ – ესაა რომანი დანაკარგზე, შვილის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილზე, მაგრამ, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ის სიცოცხლეზეცაა, სიცოცხლის აზრსა და სიყვარულზე. ალბათ,

არ არსებობს ადამიანი, ვისაც არ აწუხებს კითხვა: არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ? და ისიც, როგორ ხდება, რომ ზოგჯერ ენით გამოუთქმელი ტკივილი, ენით გამოუთქმელ

შვებად, ხსნად, იმედად იქცევა, ხოლმე? ავტორის კითხვები მრავალი შვილდაკარგული მშობლის კითხვების მსგავსია, ანუ ჩვეულებრივი და გულწრფელი, უბრალოდ პასუხებია განსხვავებული – მიშელ როსტენმა „სიცოცხლის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების“ ალბათობა სრულიად განსხვავებულად – ღმერთის დაუხმარებლად „აღმოაჩინა“.

...რა შეიძლება აინტერესებდეს გარდაცვლილს? მისმა სიკვდილმა, რა ჩაკლა და რა სასიცოცხლო იმპულსები დატოვა მშობელში – მასში, ვინც მას სიცოცხლე აჩუქა და ახლა მის

სიკვდილს გლოვობს? ავტორმა ამ კითხვებს გარდაცვლილი შვილის პირით უპასუხა,

ეს პასუხები აქ არის და თქვენი ნებაა დაეთანხმებით, გაიზიარებთ, თანაუგრძნობთ, განავრცობთ და სხვათა სანუგეშებლად გამოიყენებთ თუ არა, მაგრამ ერთი რამ უდავოა:

აუცილებლად დაფიქრდებით, ოღონდ ეს აქამდე ნაფიქრისა და განცდილისგან სრულიად განსხვავებული იქნება. და აღარ მოგეჩვენებათ უცნაურად, თუ შვილმკვდარი მამა ისევ სიცო-

ცხლის სადიდებელს იტყვის – სიცოცხლეს გაუმარჯოსო! ეს მხოლოდ დიდი იმედისა და სიყვარულის უნარის მქონე ადამიანებს შეუძლიათ. ეს წიგნი სწორედ ასეთ ადამიანებზე, ან

ასეთი ადამიანებისთვისაა, ხოლო ვისაც ენით გამოუთქმელი სასწაულების ჯერაც არ გჯერათ, უბრალოდ, ეს წიგნი წაიკითხეთ!

მერილინ რობინსონი თანამედროვე ამერიკული პროზისა და ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. დაიბადა 1943 წლის 26 ნოემბერს, სენდპოინტში (აშშ). 1977 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტში მას ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა.

წერა დაიწყო გვიან, დაახლოებით 40 წლისამ, თუმცა გამოქვეყნებულმა ოთხიოდე რომანმა და რამდენიმე ესეისტურმა კრებულმა მას არაერთი ლიტერატურული პრემია და საქვეყნო აღიარება მოუტანა.

„მშობლიური კერა“ რობინსონის პირველი მხატვრული ნაწარმოებია, გამოცემული 1980 წელს. ავტორი გვიყვება ამერიკულ ოჯახზე, რომლის სევდასა და იმედში თანამედროვე მსოფლიოს სევდა და სასოება ირეკლება. რუთისა და მისი დის, ლუსილის ისტორია სცილდება პატარა, მიყრუებული ამერიკული დაბის საზღვრებს, კონტინენტის საზღვრებსაც კი და უაღრესად მგრძნობიარე, ზოგადსაკაცობრიო ნიშნულამდე აღწევს. მწერალი, სათქმელის უკეთ გადმოსაცემად, ბიბლიურ ხატებსაც მოიხმობს. და მკითხველისთვის გასაგები ხდება, რომ მშობლიური კერა, მისი მიტოვება თუ მისი დაკარგვა და უცხოობაში ხეტიალი ბიბლიური ედემის დაკარგვას ჰგავს და ადამისეულ ტკივილს უკავშირდება. თუმცა „მშობლიური კერა“, „ედემი“ შეიძლება ადამიანმა თავის თავში ატაროს და გზა შინისაკენ საკუთარ თავთან, შინაგან ედემთან მიბრუნებად აქციოს. ამ გზას, პირად გზას, ნებისმიერი ადამიანი ადრე თუ გვიან გაივლის. ამიტომ, ეს წიგნი ყველაზეა და ყველასთვისაა.



ავტორი: კონსტანტინე გამსახურდია

სათაური: „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“

ავტორი: კარენ ბლუმენტალი

სათაური: „სტივ ჯობსი – სხვაგვარად მოაზროვნე“

ესაა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნითი დოკუმენტი, რომელიც 2011 წლის 24 თებერვალს მოიწონა საქართველოს პარლამენტმა და გადაუგზავნა მთავარ პროკურატურას.

წიგნში შესულია საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში არსებული ცხრა ტომიდან ამოკრეფილი მასალები (1994-2004 წწ.), რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტს ეხება. ასევე დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებული მოსმენა-გამოკითხვები. გამოკითხვაში ნებაყოფლობით მიიღეს მონაწილეობა როგორც პრეზიდენტის დაცვის წევრებმა, ასევე მაშინდელმა თანამდებობის პირებმა, იმ ადამიანებმა, ვის გარემოცვაშიც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა.

მნიშვნელოვანია ზუგდიდის ყოფილი კომანდანტის ბადრი ზარანდიას პირადი ჩანაწერები.

წიგნში ცალკე თავადაა მოცემული პროკურატისთვის მიცემულ ჩვენებებსა და დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში გამოვლენილი შეუსაბამობები და უზუსტობები.

წიგნს ერთვის კრიმინალისტებისა და კომისიის შემაჯამებელი დასკვნები.

დანართის სახითაა მოცემული რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-16 სასამართლო სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტების სახელმწიფო ცენტრის ექსპერტთა კომისიის დასკვნა (როსტოვის დასკვნა).

წიგნს ერთვის საინტერესო ფოტომასალა, პირთა და გეოგრაფიული საძიებელი.

ოციოდე წლის ჯობსმა მთელ მსოფლიოს წარუდგინა მის მიერ შექმნილი პირველი კომპიუტერი, რომელიც სხვადასხვა ოპერაციის შესრულების საშუალებას იძლეოდა. მოგვიანებით მის მიერ შექმნილი პატარა მუსიკალური ხელსაწყოთი, რომელსაც iPod-ი ერქვა და სიმღერების დიდ არჩევანს გვთავაზობდა, მუსიკალური რევოლუცია მოხდა. მანვე დააარსა და ფეხზე დააყენა კომპანია Pixar-ი, რომელიც აცოცხლებდა კომპიუტერულ ანიმაციებს – „სათამაშოების ისტორია“, „მანქანები“, „ნემოს ძიებაში“.

არც ინჟინერი იყო და არც კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი, სამაგიეროდ, მუდამ მომხმარებელზე იყო ორიენტირებული, ერთმანეთის მიყოლებით ყველასთვის სასურველ, ყველასთვის მისაღები დიზაინის მქონე პროდუქტს ქმნიდა.

არაორდინარულიც იყო, უხეშად მიმართავდა თანამოაზრეებს, კონკურენტებს და რეპორტიორებს. ყვიროდა მაშინ, როდესაც საქმე ცუდად მიდიოდა. სხვების იდეების მითვისებასაც აბრალებდნენ. ამ დროს მომხიბვლელიც იყო, დახვეწილიც, მგრძნობიარეც, ძუნწიც.

მისი ცხოვრების მხოლოდ ზოგიერთი ფრაგმენტი წააგავდა ზღაპარს: დაპირებები, რომანტიზმი, სიმდიდრე... სხვა მხრივ კი, საძაგელი, არეული და ტკბილი ოჯახური გარემოსაგან მეტად დაშორებული ყოველდღიური ყოფა ჰქონდა. უყვარდათ და სძულდათ, ეთაყვანებოდნენ და უგულვებელყოფდნენ. შოუმენი, ხელოვანი, ტირანი, გენიოსი, ეგოისტი – ამ შეუსაბამო სიტყვებით ახასიათებდნენ.

ინგლისურიდან თარგმნა ივანე ჩხიკვაძემ.

მკერდშებოლილი მერცხალი

ბასილ მელიქიშვილი

I

ჩადის ციხე

თურმე კავკასიონის მწვერვალებსღა შერჩათ თოვლი, ქედებს ცოტა ხნით მოსწყდა ნისლი და ჩადის ციხის მთას გამოეფინა ხალხი.

დაბლა მიბორგავს არაგვი და ჩამონარეგვ გოხებს მიაგორებს. ჩადის ციხის მთიდან ჩემორევია ფშაური სიმღერა დაღლილ მთიბავისა და არაგვს უფრო აფორიაქებს – არაგვს თავგზას აკარგვინებს. თითქოს ცელის ცელქი შრიალი ისმის ბალახში მოსისინე გველივითა და ფერზე გადმომდგარა ჯანდამჯდარი მთა კაცი ხვედიაი.

ხვედიამ ლიტრა რცხილის ჯაგს მიაბა ჩამოქნილ წნელითა – წყლით სავსე ლიტრა რომ არ დაჰგორებოდა, და მისი თვალი მოიტაცა ძირს გაწოლილმა სოფელმა. მის თვალთა წინ წამოტუზულიყო სოფლის კოშკი. მგონია, კოშკის ამბავიც გადაითვალა:

იყო სოფელი, დოლიხორბალივით ფერდას გაშლილი, ტყე შემოხვევიყო – ხვედიაის თვალის წამწამებივით ხშირი და გაუვალი. სოფლისათვის სახელი არავის მიეცა, სოფელი განმატოებით დაუყდებულიყო. კოშკი ხომ აუცილებელი იყო იმ ხანს, ოდეს ლეკები აწიოკებდნენ ქვეყანასა, ოდეს ლეკთა ბრბო ბალღებსაც აღარ ინდობდა. ლეკებმა ვერ მიაგნეს სოფელს, ლეკებს გადაურჩა სოფელი. უთუოდ უსახელობა შველოდა, უთუოდ!..

ერთ დღეს სოფელი შეიხიზნა კოშკში ცხვარძროხით, ავლა-დავლათითა. სოფელს მოეკალიავნენ ლეკნი, სოფელს ცეცხლი წაუკიდეს, შეხიზნებულებთან იყო ხვედაია, თავის პელაითა და პირმშო თორელითა, ეხლა წყალით სავსე ლიტრას რომ მიისჯდომია, ხოლო მაშინ ძუძუს ებრძოდა, ძუძუს ეძალებოდა.

ხელთ ჩაერთვნენ სოფლად გადმობუნაგებული მთიულები და ლეკები. გაჩნდა კვნესა და ცეცხლი. ხვედიამ ამოიმიზა ბელადი მტრისა და მისმა ყირიმულმა იგი შავეთს დაამსგავსა.

მოიღუნნენ ლეკები, განახევრდნენ, დაფრთხნენ.

ქოსა და მოხრილი ლეკი აეტუზა ბეჭსა და კარგად,

ძალიან კარგად გამოზომა ხვედაიას მხარ-ბეჭი, დაიხსომა ყველაფერი, გულს დაიკერა. ქოსალებს აუცახცახდა დახლეჩილი ტუჩები და ზედა ტუჩს აქა-იქ ამოგინგლილი ბალანი, ულვაშის მაგივრობას რომ უწევდა.

და ვიდრე მის საფარსაც არ მიაგნო მთიულთა ტყვიამ, ადგილიდან არ დაიძრა. შეევიწროვდა და შეწუხდა ქოსალები, აიგუდანაბადავა თოფიარაღი.

– რას სჩადის ციხე! – დაიღრიალა და კუდამოძუებული გაჰყვა ბრბოს ნამცვრევსა.

კვლავ თვალწინ გიდგას ქოსალები, ხვედიავ, წინ გიდგას და ჰფიქრობ:

– კი არ აიღოს მაგიერი?! იქნებ აიღოს, იქნება! მაშ, ლეკი რის ლეკია, თუ არ აისრულა დანამუქრი!

– ხვედიავ! ბალღი სად არის? – გითხრა პელამა. შეკრთი, მთაკაცო, გული მოგეწურა ცეცხლწაკიდებული ხოკერივითა.

– თორელი დაბმული ლიტრისაკენ წავიდა, თორელი აღარსადა სჩანს, – ბუზღუნებს პელაი.

– ბალღი სად არის?! – იმეორებ, ხვედიავ, და გარბიხარ ლელისაკენ. იქ არის ლიტრა, იქვე იქნება ბალღიცა. თითქოს ქოსა ლეკი თან დაგდევს. აღარ გასვენებს, აღარ გასვენებს!

– თორელო!.. თორელო... ო!.. – ჰყვირის ხვედია. პასუხი არ არის. სიჩუმეა.

დედამ ქვითინი თივის ბულულებთან დასტოვა და სოფლისაკენ დაეშო. ჩამოარეკინა ზარებს

და მდევარი ვიწრო ბილიკებით თეთრი არაგვის ხევში გაიბანდა.

კვალი არსადა სჩანდა.

– ვინლა დაანთებს კერას?! – ღმუის ხვედიაი და ფეხშიშველა ფეხებს ღელეებში დაახეტებს.

თორელი ჩაიყლაპა. გეში არსადა სჩანს, მანდილოსნები სათიბებთან მოსთქვამენ. თორელს ეძებენ. თორელს – დედისერთას, ცამეტი წლისას.

დედამ პირი დაიმიწა და თივის ბულულები ზენაქარს გაატანა – დაცრემლილი და დამძიმებული.

ბალღი უგეშოთ დაიკარგა.

II

თორელი

და გარბოდი ლიტრისაკენ, თორელო, გაგისხლტა ფეხი და ხევში ჩაიჩეხე. თავს ნაბადი დაგეცა. პირი ხარის გინგლის ბურთით ამოგივსეს და ოდეს გონს მოხვედი, ორი ლეკი მიგაქროლებდა თოვლიან-ყინულიან მთისაკენ. ჰხედავ: გარბის მიწა შენს ფეხთა ქვეშ.

ჰხედავ: გარბის მიწა შენს ფეხთა ქვეშ. ჰხედავ: გასცდით მლეთსაც. ქედიდან კვლავ გაჰხედე არაგვს, არაგვიპირულ ჯაგებსა, ერთხელ მწყერებს რომ დაუნგრიე ბუდე.

შეჰხედე ლეკსა. თითქოს გეცნო. ხვედიამ გიამბო ჩადის ციხის ამბავი. დაგახსოვდა ქოსა ლეკი, ის არის! ის არის!

მიჰქრიან ლეკები და თავს ესხმით ძანძახი.

ტყე რომ ჩამოიზნიქა კავკასიონიდან, წამოვიდა ზავი და დაიტანა ია – ბნელ ხევში ამოტყორცნილი, დიდი ჭანდარი რომ ჰფარავდა! მაშინ დაიძრა ლაშარიდან გველისმჭამელი მინდიაი, მაშინ გადმოდგა ლომისის წვერიდან ვარდანიანთ გოგიაცა. ალბათ, გული აუტოკდათ, ალბათ!

გაგიტაცეს ლეკებმა და წინ აგიდარაბეს თოვლდანაბარდი მთაგრეხილი. გამოგამწყვდიეს, ბალღო თორელო, შუა ლეკეთს, ყრუ ანდიასა.

დინჯმა ბელადმა აბულმა გადმოგხვია ხელი, კეთილმა მამობილმა აბულმა ქოსას გაულალა საფასე – ცხვარ-ძროხა, და შეჰხვდი ლეკურ სიტყვასა და შორს გასტყორცნე, ვითა კლდემ. კლდემ, რომელსაც მდინარე დაეჯახა გზის ძებნაში. ჰკვნესოდი, თორელო, უღვთოდა ჰკვნესოდი! არსად იყო საშველი, არსად სითბო!

თანატოლი მუსა დაიახლოვე, თანატოლი ლეკი შეითვისე – გულკეთილი, ნათელთვალებიანი. სხვა არავინ, სხვა არავინ!

ერთხელ აბულმა ჩამოგიტკბილა სიტყვა!

– ისწავლე, შვილო, ლეკური სიტყვა, ისწავლე. ხომ იცნობ მოხუც ახუნდის. შენსავით ბალღი გამოიტაცეს გურჯისტანიდან ჰხედავ, სოფლის ბოლოს მოხუცი ლეკი რომ მიიკაკვება? რა იცი, რომ იმასაც ქართული სისხლი არ უდუღს? ნუ დაერიდები, ბალღო.

დიახ, რა იცი, რომ ყველა ლეკს ქართული ჯანი არა აქვს? ეგებ თვით აბულიც ქართული თვალებით უმზერს ქვეყანასა? მაგ, რადა აქვს ხანდოველის იერი, რად?!

დიახ, რა იცი, რომ კეთილ მუსას დედაც ტყვე ქალი იყო შილდიდან?

ალბათ, შეეგუები ლეკეთს, თორელო, ალბათ!

დღეს კვლავ გასცქერ კავკასიონს და მინდა დაგითვალო ხვედიაის და პელაის ამბავი, ცეცხლწაუკიდებლივ რომ ჩაიფერფლენ ჩადის ციხეს.

ხალხი დაგროვილიყო ჩადის ციხეს:

– ეგებ ავმა ქარმა გაიტაცა?..

– ხევში სადმე იქნება ჩამღრჩვალი.

– თუ ლეკებმა გაიტაცეს, მდევარს რამ დაუბა თვალები, რით ვერ მიაგნეს გზა-კვალსა?

– უჩვეულო ამბავია, საკვირველი! – გაიძახოდნენ.

ქვეყანა შეაჯერა მოხრილმა ხვედიამ. არ ასვენებდა ქოსა ლეკის ყბები და დაღესტანსაც რამდენჯერმე ესტუმრა.

მაგრამ გამოიტირა ოჯახი და ჩასაქრობად ამტყდარი სისხლი. დარბაზში ღმუოდა პელაი და დარბაზისავე დედაბოძი. ყოველდღე პელაის ღრიალი იკლებდა კოშკის კედლებს. ადვილია, ცამეტი წლის ნაამაგარის დაფუშვა?!

გაიარეს დღეებმა, ტაჯვამ თვეები დაიკონა და თითქოს მინელდა თორელის დაკარგვის ამბავიც. სოფლად კი მინელდა, მაგრამ დედის ძუძუ დაჭიმული იყო. დედის თვალი კი არაგვივით ჩამომდინარე. ხანდახან პელაის კვნესას ასდევდა ჩადის ციხეცა და არაგვი ცრემლებად იღვრებოდა, სურამის ციხიდან გამომდინარ წყაროსავითა.

ჩამოხმა ხვედიაი. უწილოდ რჩებოდა, დაკარგა იმედი და საფლავში ჩაიყოლა ბოღმა და ქვითინი. ეგებ გადარჩეს თორელი? და თუ გადარჩეს, ჩამოიტიროს მამის საფლავი; მაშინ დამშვიდდება ხვედიაის სული, ხანდახან სამარის მიწას რომ შეატოკებს ხოლმე.

ტრიალებენ დღეები შენი დაკარგვის შემდეგ, თორელო, და ანდიიდან გასცქერი კავკასიონს, გასცქერი კავკასიონს და აგითვალე ხვედიაის ამბავიცა.

ბნელ ხევში მოსული ია ზვავებმა დახარეს შენი წარბივით. ეგებ წელში გაიშალოს ია. გაზაფხულის მზეს რომ იხილავს, ეგებ შენც გაიხარო.

III

ალექსანდრე ბატონიშვილი

ერთხელ ლეკები შეიყარნენ აბულის კარს. დერეფანში იჯდა შუატანის კაცი – არწივისთვალება, ცხვირკეხიანი. მის თვალებს მოლეშვა ეკვროდა, მის თვალებს ხანძარი დაენთო. შეიყარნენ ანდიელნი და კაცმა დაიწყო:

– ხალხო და ჯამაათნო! ტყეები დაიზნიქნენ გურჯისტანისა. მიწას თითქო ფერი გადაეცალა. გურჯისტანს გიაურთა ურდოები დაეცნენ. გურჯისტანი დაინებიეს. ლეკეთს უკეთესი ტყეები აქვს, გურჯისტანის ახლოა, მალე, ალბათ, აქაც მოვლენ და აბულის წვერს შემუსრავენ, აბულს დოლბანდს ჩამოაცლიან, სპეტაკი აბრეშუმის დოლბანდს. თქვენ შემორკალული ხართ გიაურებისაგან, გაუხედნავ კვიცივითა, ველად რომ

გავარდა და ხალხი გარს მოერტყა ქამანდებით. საჭიროა სიფხიზლე და რაშივით ყალყზე დგომა, რათა გარს შემოხვეულმა მტერმა ქამანდით არ დაგინებიოს. მალე ქართველები შეჰმუსრავენ გიაურებს და თქვენი სილაღე, თქვენი სიამე უნდა გადმოაჩინოთ გერგეტიდან. თვალი გააგუშაგეთ, თვალი დაგეშეთ, რომ ტყე არ წაიბილწოს, რომ მიწას ცეცხლი არ გაუჩნდეს უდროოდ.

– მართალს ამბობს ალექსანდრე, მართალსა! – იგრიალეს ლეკებმა.

– დღეს მთიულეთში აჯანყება აფორიაქებს ხეობებს, დღეს ხევებს მოსდევს და მალე ხანძარი გარეჯის უდაბნოდანაც დაიწყება. გულს დაუნთეთ სანთლები. გული ხანჯლებით დაისერეთ: ეგებ იხილოთ მზე და ზენაქარი, – დაასრულა კაცმა და მიყუჩებული გული აუფორიაქა ლეკებს.

დერეფანშია თორელი აქვეა კეთილი მუსაც.

– ვინ არის, მუსავ?! – ჰკითხა თანატოლსა.

– ალექსანდრე ბატონიშვილი! – დიახ, საბრალო თორელო, მოღრუბლული ადამიანი ალექსანდრეა. ეხლა კი გეშველა, ალბათ, გურჯისტანში წაგიყვანს! შეეხვეწე, ბალღო, შეეხვეწე!

უცებ ალექსნადრე წამოდგა, გაარღვია ხალხი და ღობესთან რომ იდგა, გულხელდაკრეფილი, მიმინოს მსგავსი და დაფიქრებული, მაღლა აიტაცა და გულში ჩაიკრა.

– ბალღის დედამ პირბადე აიფარა და ღობეს გასცდა.

– შამილსა ჰკოცნის, მეგოდრის შვილსა!

– მეგოდრის კი არა, მისი შვილია...

– ვერ ატყობ, როგორ დამსგავსებია?!

– მეგოდრე ხომ ცვედანი იყო, იმთავითვე უშნო და უგვანი.

– ჩამოაჭკნო მშვენიერი ქალი, ქალს სიცოცხლე უნდოდა და...

– ამ ხუთი წლის წინათ გადმოხვეწილი ალექსანდრე შეიყვარა და შეიჩვია.

– ჯან-ღონით სავსე ალექსანდრემ აჩუქა სისხლდაწმენდილი ვაჟი, თავისავით დაუდეგარი...

– დედა იძახის: გურჯის სისხლი არ ასვენებს, გურჯის სისხლი ყოველთვის სულს უტოკებსო...

– იმ დღეს შამილმა ცეცხლი წაუკიდა მეგოდრის თივის ზვინებსა და ალეწილს ხანძარს გულდამშვიდად უმზერდა ბანიდან...

„ხნიან ადამიანივით შუბლდანაოჭებული და გულხელდაწყობილია“, – ჩურჩულებდნენ ლეკები.

ალექსანდრემ მოიხსნა შანა და შამილს დაჰკიდა. რაღა მიეკარება ნეტა?! არაფერი, არავინ!

მაშინ კი გაბედე მისვლა, თორელო, ალექსანდრესთან!

– წამიყვანე ჩადის ციხეს, დამიხსენი გადაგვარებიდან. შემარჩინე სახე, – შეჰღაღადე.

– ვინა ხარ, ბალღო?!

– ქართველი... მთიული... ჩადის ციხიდან... – ალექსანდრე მიუბრუნდა ლეკებსა და დაიძახა...

– ვისთან არის ბალღი?

წინ წამოდგა დინჯი აბული, ქედი დაჰხარა.

– თორელი ჩემთან არის! – უპასუხა.

– თორელმა მოგაგონოს ჩემი სახე, თორელი შენი თვალისჩინი იყვეს.

– თორელი შვილია ჩემი. ჩემი სახელი მაგია. ჩემი სახლ-კარი თორელმა გაახაროს, ავლა-დავლათი თორელმა ზიდოს.

საღამოთი ხალხი დაიშალა და ალექსანდრემ გადალახა აბულის კარიბჭე. კერას შემოუსხდნენ ხნიანი ლეკები. დერეფანში ააბღავლეს ცხვარი და საკიდელიდან ჩამოიზიდა სახინკლე ქვაბი. ფანდურმა ჩამოიარა ხნიან ლეკთა ხელში და ანდიას გაიშალა ქება-დიდება ძველ გმირთა.

ალექსანდრემ მოგიხმო, თორელო, და წაგჩურჩულა:

– საქართველოში წაგიყვან, სახე შეგრჩება. შენ გარეთ გავარდი. იქ მუსა გელის.

– მუსა წამიყვანს, მუსა! კვლავ დავეწაფები არაგვს. პელაი ჩამიკრავს გულში, – ეჭიკჭიკებოდი მუსასა. იგი სდუმდა და ფიქრობდა.

მეორე დღეს ლეკებმა ალექსანდრე სპარსეთისაკენ გაისტუმრეს. ეგებ შეასრულეს დანაპირები.

IV

მერცხალი ერდოდან

და ცხრა წელიწადი შესრულდა, რაც ლეკეთსა ხარ, თორელო, წელში ქოფაკი ლეკივით მოჰხრილხარ. სახეს გიმშვენებენ ხვედიასებური ცხვირი და ამონავარდებული ულვაშები.

მუსა ყვავილმა მოგიკლა, ძვირფასო ჭაბუკო. და კვლავ მარტო ხარ, კვლავ ჰკვნესი. მუსა სიკვდილმა შეითვისა.

გაზაფხულით მოხუც ახუნდის მიჰყიდეს ტყვე თათარი, ბეჭებგამდგარი, სახედაღრეჯილი, ცალთვალა.

ტყეში ხართ შენა და თათარი, ავდარი და წვიმა ადნობს თოვლს. ნისლი ჩამობუნაგდა ხევში და ცას აწვდილ წიფლებს ებრძვით. წიფლებსა სჭრით.

შენ აებღატე ქედს ამოზიდულს წიფელსა, ობოლსა და განცალკევებულმა და ჩამოაჩეხე წვერი. ეგებ წმიდა ხე იყო, ეგებ ხატის ნიში!

მაშ, რად მოგისხლტა ფეხი! მაშ, რად გაიშალე თათრის წინ, ცოცხალ-მკვდარი!

თათარი დაგეცა ძერასავით, საბრალო თორელო! თათარმა ჩაგიტანა აბულთან. შეშფოთდა მამობილი, მოლა აყვირდა ჯამედან და მოხუცმა ახუნდიმ ლოცვა გადაგითვალა შუბლთან. მაშინ კი გაახილე თვალი, თორელო. თავს გედგა თათარი, ჩამომდნარი, შემკრთალი. ეგებ შენ უფრო ახლო იყავი იმის გულთან, ეგებ შენ უფრო შეგითვისა ამ თოვლიან-ყინულიან მთებში, ვიდრე სხვა ვინმე?!

– ვინა ხარ? – ჰკითხე თათარსა.

– შენსავით ტყვე...

– სახელი?..

– თუმბოლ.

– შენ ძმა იქნები ჩემი, თუმბოლ, ჩემი ძმადნაფიცი!

ახუნდიმ ლოცვა დაიწყო და ორი ტყვე დაეცა მუხლთ. ძმად გაიფიცნენ. ფიცვერცხლი ჭამეს.

ახუნდიმ ნება მოგცა გარეთ გასვლისა, ბანს გადასჯექი და დააცქერდი ანდიის მოედანს.

ჰხედავ! გამოგოგმანდა დერეფნიდან თულუხიანი ქალი. წყლისათვის თუ მიდის? რათ შესცქერ გაკვირვებული? ქალი მოგიახლოვდა. თვალთ ხელი დაიჩრდილა.

– თორელო! ჩვენ ბაკთან ჩამოხვიდოდე მთვარის ამოსვლამდის, – გითხრა და გაჰქრა დილის ცისკარივითა.

შეხვედი შინ. უმზერ ერდოს. თითქოს იქ არის მაჰმუდის ქალი. ცხვრის თვალებს ანათებს. მკერდს ლეკური ყველი დაულაგებია. ხტის ყველი მკერდიდან და შენც სცახცახებ. ქალი იცინის და ბაგეთა იქით ფერდას აკრეფილ ღრიანჭველებს აჭრიალებს. წარბებად ხუთი წლის ბალღის შოლტი გადაუჭიმავს და უღვთოდ იცინის, გკოდავს.

უცებ მოფრინდა მერცხალი, თქვეს ერდოს რომ შემოეჩვია. მერცხალი მხარს დაგაჯდება და ჟღურტულებს.

დაუყარე ქერის მარცვალი და მაინც ჟღურტულებს.

აბული ეწვია დარბაზსა – მოხუცი და მოხრილი. მერცხალი ერდოდან ასრიალდა.

– რამ დაგაფიქრა? – კითხულობს აბული. მხრები აიჩეჩე, თორელო, პასუხის თავი აღარა გქონდა.

მერცხალი ერდოდან გაფრინდა.

V

დეი

ბარის ლეკეთს მოაწყდნენ გიაურები, ბარის ლეკეთს ყაზახებმა გადაირბინეს. განა ედგომებოდა ლეკს ბარად? და დაიძრა ურმები შუა ლეკეთსა, ანდიისა მიყრუებულ ხეობებისაკენ.

ლეკს უნდოდა სილაღე და იალაღებს მიატანა... აბუნაგდნენ მთაში და ხმალი ალესეს ლეკური ჯიხვის ქონითა და რისხვად მოევლინნენ მოსულ გიაურებს. ლეკთა განავარდება ელვა იყო, მათი ბრძოლა – ჭექა-ქუხილი.

და დაატოვებინეს თემირხანშური მაჰმუდსაც. ეწვია ანდიასა, უკვე მეორე წელიწადია, ეწვია თავის მშვენიერი ქალითა და სოფელს თვალი დაუყენა. სოფლის ბოლოს გაიჭიმა ციხე-დარბაზი მაჰმუდისა. ღელიპირას გადადგა დიდი ფარეხი და მოტვლეპილ მთას გადაიჭიმა მისი ნახირი და ცხვრის ფარა.

ერთ საღამოთი მის ფარეხთან აიჩრდილნენ თორელი და მაჰმუდისავე ქალი. ქვევით ნაკადული ხმაურობს. ღელის ბოლოს ცხვარი იცოხნის. ფარეხი სდუმს. სდუმს თორელიც, როდემდის გასტანს დუმილი, როდემდის? არ არის სიტყვა საკმარისი, არც ძალა შესწევს.

– რა გქვიან, ქალო?! – უცებ მიახალა ვაჟმა.

– დეი! – უპასუხა ქალმა: – ხიდან ჩამოვარდნილხარ გული გტკიებია. მოგიკვდეს ჩემი თავი, მომვლელი არა გყოლია.

...რას დაგიჭყეტია თვალები? აბა, დახუჭე... ჰო, ეგრე, ეგრე, ხა-ხა-ხა! – კისკასებს დეი.

– დეი! დეი!.. – იძახის ვაჟი და გულში ჩაიკრავს დეის, თვალებს ცხელი ტუჩებით უკოცნის.

ქალიც ეკვრის, ქალიც ეხვევა.

– დეი! მარტო ვარ, კერადაბნელებული, წამოდი ჩემთან. აბული ელის ჩემს ბედს, ვითა შვილისასა. დეი, წამოდი ჩემთან. აბული გაგვიღებს კერასა. დეი, დედობა გასწიე.

ღელედან გამოჩნდა ქეჩი ცხვრისა. ღელედან ძაღლები იყეფებიან.

– კმარა... ცხვარი მოუდის ჩემ ძმასა. გესმის, ძაღლები იყეფებიან? – სთქვა ქალმა, არაგვულ კალმახივით გასხლტა და სიბნელეს ჩაეკრა.

სახლში მისულ თორელს თუმბოლი დახვდა.

– აბული სად არის, თუმბოლ?!

– მაჰმუდს ეწვია. გიაურებს ჟლეტას უპირებენ, ბარში სალაშქროდ მიდიან.

– თუმბოლ! უნდა იცოდე ყველაფერი, თუმბოლ, ძმადნაფიცო!..

– მითხარი...

– მაჰმუდის ქალი მიყვარს. დეი ჩემთვის ფიქრობს, დეი ჩემი უნდა გახდეს. უნდა მიშველო რამ. აბულს დაყოლიება უნდა, თუმბოლ! აბულს მოლბობა უნდა.

– თორელო, რათ დაგეკარგა ზომა და მანძილი?! ქართველი ხარ და...

– მოვიტაცებ... აბული მთაში გაგვისტუმრებს, ცხვართან. ქალი თანახმა არის.

თუმბოლი მოიღუშა და ჩაილაპარაკა:

– ნუთუ დაგავიწყდა ხვედიანი, ნუთუ არ გესმის საღამოობით პელაის კვნესა? მაშ, დაიხიე უკან, დაიხიე ჭაბუკო! გადაჰხედე შენს არაგვის ხეობას...

– ჩემ თვალთა წინ ყინულიანი მთა არის, ჩემი გული დათოვლილი, სახე გადაგვარებული.

გავიდა ადამიანი აბეზარი, თორელის აბეზარი

ძმადნაფიცი.

თუმბოლი ფიქრობს:

– თორელი ჰხედავს, მაგრამ ბრმა არის. შველა ადრევე უნდა შემოვახვიო თავს; თორელი ჰხედავს, მაგრამ ბრმა არის.

VI

თუმბოლი

თუმბოლი შორეულ სამხრეთიდან არის. ლეკებს ცხვირდახრილმა კაცმა მიჰყიდა – კი არ მიჰყიდა, ხელში შეაჩეჩა ნახევარ ფასად. ეგებ თავი მოაბეზრა ცალთვალა თუმბოლმა?.. ცალი თვალი რომ უფრო გაჰშავებია? სიშავეს ნათელი მოუსპია შენთვის, ძვირფასო თუმბოლ! ხოლო გული დათვალიანებული გაქვს! გული – შორს მზირალი.

ერთხელ კერიპირას გამოეხმაურა აბულსა:

– აბულ! ოჯახს მოვლა უნდა, ოჯახს სიცოცხლე უნდა.

– დიდი ხანია ჩემ კერას გაუწყდა პატრონი. დიდი ხანია ჩემ სტუმარს აღარა ჰყავს დამხვედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი. სად არის საშველი? სად არის? – უპასუხა აბულმა.

– თორელი შვილობილია შენი, თორელი შვილობას გაგიწევს, იმას თანატოლი უნდა, შენს კერას კი გაღვიება.

– თორელის ბედი მეც მაფიქრებს!.. თორელი მართლაც შვილია ჩემი, – განაგრძობს აბული.

– აბულ! სიცოცხლით მოვა დეი შენს ოჯახში. აბულ, თორელის მკერდი დეისათვისაა.

– მაჰმუდის დეი მშვენიერია, მაჰმუდის დეი დედა იქნება ძვირფასი.

– მაჰმუდი შენს წვერს არ შეურაცხყოფს. მაჰმუდი გამოგეგებება.

მეორე დღიდან გააჩაღეს მითქმა-მოთქმა. გადაილალა საურვადე – ცხვარ-ძროხა და აბულის ბუხრიდან კვამლმა იმატა. დეი დაუტრიალდა ოჯახს, დეიმ თორელს მოუტნა მკერდს ჩალაგებული ლეკური ყველი და უბიწო ტანი.

და გაიხმო თორელი ღელისაკენ თუმბოლმა.

– დეი სად არის? აბული ახუნდისთან დავტოვე.

– მამის სახლში, – უპასუხებს თორელი.

– უნდა წავიდეთ აქედან. უნდა გავიპაროთ. უკვე შეგეშალა სახე და სხვა ლეკივით, ალბათ, მალე ჟღურტულსაც დაიწყებ. წავიდეთ თოვლსა და ყინულს იქთ, ჩადის ციხეს, ხვედიაის მზესთან პელაის ცრემლებთან.

ჩუმათ არის თორელი, დაღვრემილია. გაორებული აქვს გული.

ჰხედავს: გაიჩეჩა მიწა და თითქოს დეი ამოძვრა. ჯადოსავით გადაეხვია და დეის ნასახმა უთხრა თორელს:

– შვილი მიიღე, თორელო! შვილი...

გამოერკვია თორელი და ამბობს...

– დეის რაღა ვუყო, შვილს რა ვუწამლო?..

– დასტოვე დეი.

– მემრე?..

– წინ უფსკრული გაქვს, ჩაიჩეხები, დაიღუპები.

– თუმბოლ, დეის ვეტყვი ყველაფერს. დეი გამომყვება საქართველოში.

და სდუმს თუმბოლ, ბრმა თვალი დაუხუჭავს. ჰზომავს რაღაცასა.

შემდეგ გადასჭრა:

– ჩვენ ვერსა წავალთ.

– არსად წავალთ? – ჰკითხა თორელმა.

– დიახ, დავრჩებით ლეკეთში. დღევანდელი ამბავი არავინ არ უნდა იცოდეს. გულს დაიმარხე. დეი ქალია, დეისთან კრინტი არ დასძრა. დიახ, დავრჩებით ლეკეთში. ფიცი, თორელო, ფიცი დასდევი.

– ვფიცავ ხვედიაის სისხლსა. ხმა ჩამიწყდება, – გითხრა და სამარადისოთ დაიმარხა გულს ყველაფერი, სამუდამოთ.

ღამეა. სწუხს, თუმბოლ, შენი სული, სწუხს. ვერ დასტოვებ ძმადნაფიცს. თორელი გინდა ლეკეთს გააცილო, ეგებ ფიცი გაქვს?!

სწუხხარ და სწუხს დავით გურამიშვილის სულიც – ღამე ლეკეთის ხევებს რომ ჩამოუვლის ხოლმე. ჩამოუვლის ქარიშხალსავით და კვნესის. კვნესის გურამიშვილის სული და კვნესის მერცხალიც, ერდოს რომ შეეჩვია, თორელის მეგობარი მერცხალიც.

VII

მკერდშეგოლილი მერცხალი

სუსხი ჩამოვიდა მთებიდან. ზამთარია. ყინვამ ხალხი სახლებში შელალა და გაატკბო უკბილო ბუხარი და ზღაპრები. ლეკები ბარში არიან. მუსრს ავლებენ გიაურებს. ბარშია თუმბოლიც. მარტო არიან თორელი და დეი.

პატარა ბალღი ახმაურებს დარბაზს. ვაჟია პირმშო – ხვედიაის დანაფერები. თუმბოლმა ბიწალაი დაარქვა. ხმაურობს ბიწალაი და კვნესის მერცხალი. „ის“ მერცხალი ამ ზამთარს ანდიას დარჩა. თოვლმა და სუსხმა ერდოს ჩააცილა და ეხლა ხარიხას აზის კერისთავს როს ჩამოუკიდიათ სველი ტანსაცმლის გასაშრობათ.

ხარიხასთან თბილა. ძირს კერა ღვივის, ძირს კერა ბოლავს. კერა ბოლავს და ჰბოლავს ხარიხას, ჰბოლავს მერცხალსაც.

– ჩუღ! – ჟღურტულებს მერცხალი.

– ნეტა რად დარჩა? – ამბობს თორელი. – რატომ არ უნდა ჰინდუსტანის ხილვა?

ბოლავს კერა და უშავდება თეთრი გული მერცხალსა. ბოლავს კერა და რძისფერ მკერდს, გულს ეკარგება სახე.

გადაფერდა მერცხალი. მკერდშებოლილი დასჭიკჭიკებს ხან თორელს, ხან ბიწალასა.

ძვირფასო მერცხალო! შეგებოლა გულ-მკერდი და ჰკვნესი. იწიწკნი გულს, არა ეშველა რა, მაინც იმჭვარტლება. ეხლა თორელთან მიჰფრინდი, მარცვალსა ჰკენკავ.

– ჩიტო პატარავ! რად აირჩიენ ბინად ქვეყანა თოვლისა და ყინულისა?! ნუთუ თვალმილულული იყავი და ჩამორჩი მეგობრებს? ეგებ მეგობრებმა თვითონ დაგტოვეს? მაშ რად დარჩი აქ! მაშ რად გებოლება გულმკერდი? – ჩაგძახის თუმბოლი.

– ალაჰ, ალაჰ! – იძახის დეი და ატატიავებს ბიწალასა.

– ტაატი! ტაატი! – ისმის დარბაზში დეის ხმა. შენ დააფრინდები ხოლმე დეისა და ჰკორტნი. სახეს აწიწკნი.

სდუმს თორელი. თორელი გივლის, ძვირფასო მერცხალო! მკერდშებოლილო, გაყორნებულო ჩიტო პატარავ!

VIII

როგორ ჩამოაცალა სისხლმა მერცხლის გულ-მკერდს მჭვარტლი

ანდიასაც ეღირსა გაზაფხული. ანდიიდან თოვლი ჩამოიხვეტა.

თორელი ბანს ჩამომჯდარა, ქალამნებს ასხამს. ზვავებმა ღელე ამოავსეს, ზვავებმა აიკლეს ანდია. გამოტირება არის თოვლისა.

უცებ იგრიალეს მერცხლებმა და ასკილს დაესივნენ, ასკილს, ბანის გვერდით რომ ამოუხეთქია.

ულურტულებენ მერცხლები და შესცქერს თორელი. იქვე არის მკერდშებოლილი მერცხალიც, საბრალო და ბეჩავი.

გამოუცალკევებიათ. მგონია, სდევნიან.

– გული მჭვარტლმა შემიმჭვარტლა, – ულურტულებს მკერდშებოლილი მერცხალი.

დასჭყივიან თეთრგულა მერცხლები, ჰინდუსტანიდან ეხლახან მოსულები: არა სჯერათ, რომ ისიც მერცხალია. იქნება სჯერათ, მაგრამ სძულს მკერდშებოლილი მერცხალი.

რა ვიცით?!

თავი დაჰკიდა მკერდშებოლილმა მერცხალმა. კვნესის მერცხალი და კვნესის ასკილიცა.

კვლავ იგრიალეს ზვავებმა და ჩახერგეს ღელე. დეიმ წყაროსკენ ჩაირბინა თულუხითა. თორელის წინ დაეცა მკერდშებოლილი მერცხალი – ყელგამოღადრული.

ღვარად წავიდა სისხლი. გადადიოდა შებოლილ მკერდზე, გადადიოდა სისხლი და თან მიჰქონდა მჭვარტლი და სისხლმა, უბინო სისხლმა მკერდი გადაუთეთრა.

უმზერ, თორელო! უმზერ და გული გიტირის. დასწვდი მერცხალსა და შევარდი დარბაზში. მერცხალმა თავი მოიკლა და ზვავებმა მოუმატეს ჭექასა. ღრუბლები გადაიკრიფრენ კავკასიონიდან. თუმბოლ, თუმბოლ, რად დაეკარგე თორელს?! მერცხალმა თავი მოიკლა, ეხლა უნდა შველა, ეხლა, ოდეს სული აუფორიაქდა.

ტახტზე იწვა აბული. გულს დაესვა ბიწალაი, ემასხარავებოდა, ართობდა.

– ეგრე ნუ!.. ბალღო, ეგრე ნუ! – ეუბნებოდა ბიწალასა. თორელო, შენ კი კარებთან იდექი მერცხალითა – მკვდარ მერცხლითა.

ჰხედავ ბალღი წვერს აწიწკნის. ბალღა სახა დააგაზა აბულსა.

– დალახვროს ალაჰმა, გიაურის თვალები უსხედს! – ამბობს აბული.

– გიაურ!.. გიაურ! – იკივლა, ოდეს ბალღმა მთელი მუჭა წვერი გამოაბდღვნა. – წყეულიმც იყავ, წყეულიმც, გურჯო მოუსვენარო!.. ჩაიბურტყუნა აბულმა, დაახეთქა ტახტზე ბიწალაი და კარიბჭეს გასცდა.

დეი მოვიდა წყაროდან. მიაგებე მკვდარი მერცხალი.

– დეი, ძვირფასო დეი! მერცხალმა თავი მოიკლა, – შეჰკვნესე. დეის ქვითინი წასკდა, არასოდეს ასე არ ამოსჯდომია გული. იქნება მისმა გულმაც იგრძნო რამ?

– დეი, უნდა წავიდეთ აქედან. მეც მერცხალი მიღრღნის გულს, დეი, აქედან უნდა წავიდეთ. მთებს იქით არაგვია. აქ კი – სიკვდილი ან სახის დაკარგვა. ბიწალას ჩაიკრავს პელაი, დეი, ჩვენ წავალთ აქედან.

– გონს მოდი, თორელო! დაგვიწყებია, რომ დეი ლეკია, – გიპასუხა დეიმ.

– დეი, სახე დამეკარგება, ძვირფასო, დამტანჯავს მკერდშებოლილი მერცხლის სისხლი, გულს რომ დამეცა.

– ჯერ ისევ ტყვეთა ხარ. ჯერ ისევ მონა, – გეუბნება დეი. დეი ჯიქურ პასუხს გაძლევს.

– გავიპაროთ, ქალო! აბული ღრძოა. აბულმა წყევლა და გესლი დაალოცა ჩემს შვილს.

– გურჯისტანში გიაურები აღრჩობენ აჯანყებას. გურჯისტანმა თვითონ დაჰკარგა სახე. იქ რაღას ეძებ! – ამბობს დეი.

– მართალს ამბობ, დეი. გურჯისტანში გიაურები არიან, – უთხარი და მიეგებე ძმადნაფიცს, გულხელდაკრეფილი რომ მოსდევდა დარბაზს.

– თუმბოლ, თუმბოლ! მიშველე. სახე დავკარგე. სული წამერთო. მერცხლის სისხლით გადარეცხილი გული აღარ მომასვენებს.

თუმბოლი დაიხარა. ბიწალაი ჩაჰკოცნა. ბრმა თვალით გაზომა დეი, დაიძახა:

– შენ ვერსად წახვალ.

ორივე დადუმდით.

IX

თმეგგაშლილი დედა

და იმ ღამესვე, ოდეს ღრუბლებს იქით გატყდა მთვარე, აბულის კარს აჭიხვინდნენ ცხენები.

– დეი მამის სახლშია.

– თორელო! – დაიძახა თუმბოლმა. მერმე დადუმდა და ძლივსღა გაბედა:

– ბალღი დასტოვე, თორელო, – უთხრა თუმბოლმა და წამოუდგა: თმეგგაშლილ დეი, გაუბედურებული დედა; ლომი, უდაბნოდან მოტაცებულ ლეკს რომ მისდევს გადასარჩენათ, – ბალღის წაყვანა სახიფათოა. შემდეგ დაუმატა:

– მაგრამ არა, ბალღს უნდა სახე, ბალღი უნდა წავიყვანოთ.

თორელმა ცხვრის ტყავში გახვია ბალღი და ცხენები უკვე უღრან ტყეში მიაგელვებდნენ ტყვეებს. ძირს დამპალ ტოტებს ძლივს უქცევდნენ და მაღლა ჩამოწოლილ ხეებს.

– თუმბოლ! – შესძახა თორელმა.

– სთქვი! – უპასუხა თუმბოლმა.

– დეი იქ დარჩა... დეი საბრალო დედა არის, – თითქოს დაიკარგა თორელის ნათქვამი. ტუჩებთანვე ჩაწყდა.

მიჰქრიან ტყვეები ტყეში. ბიწალაი მამას ეხვევა.

ჰხედავენ, თითქოს ანდიას ცეცხლი წაეკიდა. ძაღლების ღმუილმა ღელეები გამოაყრუეს.

იმ დროს დეი მამასთან იყო.

– ეგებ შენცა გსურს გურჯისტანს წასვლა? – უთხრა მაჰმუდმა საბრალო დეის და დაუმატა:

– მაშ, წადი, შვილო. – ალბათა სცდიდა მაჰმუდი! იმიტომ თუ ურჩია წასვლა.

– ჩუმად, მამი, ჩუმად! ლეკეთს იქით ჩემი ფეხი გახმება, თვალი დაბრმავდება, გულს ჭია ამოსჭამს, – უპასუხა დეიმ. მაჰმუდი ჩუმად იყო. ნეტარი ღიმილი დასდევდა მის თვალებს.

– დეს გიაურები და ქართველები ერთნი არიან. ჩვენთვის ორივე მტერია. გიაურივით უნდა გვძულდეს ქართველიც. დეი, შვილო, შენ გაუბედურდი, მაგრამ გვიანღა არის, თორელმა დაგვასწრო და შეგიუღლდა, აბულმა დამახათრა.

– თორელი რომ გაიპაროს? – უცებ შეეკითხა ქალი.

– ვერ გაიპარება, შვილო, ვიდრე ანდიის მდინარეებს გასცდებოდეს, უმალ მოსპობენ შენი ძმები.

– ოჰ! – გული აუკვნესდა დეის.

– ეგებ გეძნელება თორელის დათმობა! ან ბალღისა, რომელსაც გურჯის სისხლი არ ასვენებს.

მაშინ გავარდა გარეთ გულდაკოდილ ძუ ლომივითა და ხალხს მიაშურა.

– ეგებ გაიტაცოს ბალღი? ან როგორ დასთმობს, თორელო ტკბილი მამა არის, ჩუმი უფროსი ოჯახისა, – ჰფიქრობს და მიჰქრის.

– ეგებ შეიცვალა თორელი. ეგებ მკერდშებოლილმა მერცხალმა გადატეხა. მაშ, რად შეშფოთდა ისე ძალიან? რად?!

ღამე წამოსწოლია ანდიას. ღრუბლებს იქით მთვარე მაინც წვალობს, ხანდახან იელვებს! გვალვის ელვა თუ არის. დეი გარბის და შფოთავს.

თუ ბალღი გაიტაცა. მაშინ გააფთრდება, აედევნება დეი და დაჰგლეჯს თორელის საყვარელ ღაწვებს.

სახლში ბნელა, აბულიც არ არის.

– თორელო!.. ბიწალავ!.. – ჰკივის ქალი. სიჩუმეა. გადაატრიალე დარბაზი. ბალღი არ არის, თორელი გაჰქრა.

– თორელო, ჰაი, თორელო! სად დაიკარგე! ჰა! სად დაიკარგე?!

სიჩუმეა. გარეთ მაინცა ელავს. მთვარე მაინცა წვალობს ღრუბლებს იქით, ქარი ამოგრიალებულა და, უბედურო დედავ, გარეთ გაიტანე გაშლილი თმები.

– ბიწალო, შვილო! – არემარე თითქოს უდაბნოდ გადაქცეულა.

და შუაღამისას გაისმა სოფლად თმებგაშლილი დედის წივილი. სოფელი შეშფოთდა. მოედანს მაშხალები დაანთეს და მდევარი აედევნა დაკარგულებს.

დაგრეხილ ბილიკებს გამოჩნდა თმებგაშლილი დედა თავაწყვეტილ რაშითა.

დეი სდევნიდა თორელს. დედა მდევრით მისდევდა შვილის გამტაცებლებს.

ოდეს ღრუბლებს იქით ატყდა მთვარე, აბულის კარს აჭიხვინდა ცხენები.

ძაღლების ღმუილმა, თითქოს, ღელეები გამოაყრუა.

X

თუმბოლის თითები

და კავკასიონი აიწოდა ძმადნაფიც ტყვეთა წინ. კავკასიონი – თოვლიან-ყინულიანი. არსად არ არის გზა, გადასავალი დახშულია. ერთადერთი უღელტეხილი იზიდავს ტყვეებს. გადასასვლელია კლდე – უძირო უფსკრული. ძირს სიკვდილია, წინ – გადასაჩეხი. კლდეს ნაბილიკარის მსგავსი ზოლი მისდევს. ზოლი დიდრონ ლოდებისა – ალბათ ჯიხვთა სანავარდო.

უკან თმებგაშლილი დედა და მდევარი მიჰქრის. უკან – ღრძო ლეკის ქალი დეია.

არ არის ხსნა. არ არის საშველი.

– უნდა გავხოხდეთ კლდეზე. იქით ხსნა არის, იქით არაგვის სათავეებია, – ეუბნება თუმბოლი. – თორელი გარინდებულია, თორელი ბალღს დასცქერის.

– ჩავიჩეხებით ხევში. ბალღიანათ ჩავიჩეხებით.

– დავბრუნდეთ ანდიას, – უპასუხა თორელმა, ენანება შვილი. თვითონაც ვერ გაბედავს კლდის გადასვლასა. დაშინებული არის. ტყეში, ხიდან რომ ჩამოვარდა, მაშინ თუ დაშინდა? დიახ, მაშინ დაშინდა! თუმბოლმა დაგანახვა ბილიკი თორელო – ბილიკი, სადაც შავ ზოლად მისდევდა მდევარი და თმებგაშლილი დეი.

– უკან სიკვდილი მოგდევს, თორელო! – გითხრა თუმბოლმა.

– შვილი დაიღუპება.

– ლაჩარი ყოფილხარ, უშნო და უნებო. მერცხალმა თვით მოიკლა თავი და სახე შერჩა. შენ საიმისო ძალაც არა გაქვს. დეი მოგკლავს უსახურსა და ბეჩავსა. წადი წინ, თუ გინდა სახე, – გითხრა თუმბოლმა. შენ დაეცი მიწას და დიდხანს ჩაჰღმუოდი. ოდეს მაღლა აიხედე, თავს დაგდგომოდა თუმბოლი. ბალღი და ბარგი უკვე გაეტანა სამშვიდობოს.

– აიხვიე თვალები! – გითხრა და შენც აიხვიე თვალები, შემკრთალი და შეშინებული თვალები.

მაშინ აგზიდა თუმბოლს მარჯვენამა და ზურგს წამოგიკიდა. მიბორძიკობს ძმადნაფიცი და ზურგსა ჰკიდია ადამიანი, მხდალი და უნებო. ბორძიკობს უფსკრულის პირას თუმბოლი, კინაღამ ჩაიჩეხა ხევში, ქუჩმა ბენტერამ უშველა, ქუჩმა ბენტერამ ტოტი გაუწოდა.

და ოდეს სამშვიდობოს გახვედით, შენ წინ იდგა სახემკრთალი ხელებდასისხლიანებული თუმბოლი. თითებს წვერები წაჰგლეჯოდა, თითებიდან ფრჩხილები დასძრომიყო, ოდეს თუმბოლი დაოთხილი მიხოხავდა კლდის პირას, ოდეს თუმბოლს ძმადნაფიცი ეკიდა ზურგს.

თუმბოლმა გახედა გამოვლილ გზას და დაინახა სისხლის წვეთები და თითებიდან წაგლეჯილი ხორცის ნაგლეჯები გაზოლიანებულ გზასავითაა.

– დეე, გზად დარჩეს ჩვენნაირ ტყვეთათვის. – ჩაილაპარაკა. განა მიეკარებაღა წვიმა და ავდარი თუმბოლის სისხლსა? ალბათ, საუკუნოდ დარჩება, დიახ, საუკუნოდ.

კლდესთან დარჩა დედა, უბედური და თმებგაწეწილი. შვიდი დღე იდგა კლდისპირასა და მეშვიდე დღეს გადაიჩეხა უფსკრულში. თმები დაახვია ბენტერა ქერჩსა და გული ქვალოდსა, ქუჩთანვე რომ დაყუდებულა.

ტყვეები დაეშვნენ პირთავქე. ქვევით სითბოა, ქვევით არაგვია.

XI

საღამოთი შემოჯდა ყორანი

ერთ ალიონისას, განაწამებ ალიონისას, თუმბოლმა გაიწოდა საჩვენებელი თითი:

იქით მოსჩანდა არაგვი. გაღმა მთის წვერს

წამომდგარიყო ლომისის ძლევამოსილი ტაძარი. ძირს – მლეთა, ქვეშეთი, ნაღვარევი.

– ჰხედავ?! თორელო, ჩადის ციხე ძლივს მოსჩანს. – და აღსდგნენ ბალღობის დღეები შენ თვალთა წინ. მიხვალთ პირთავქვე და გული საგულეს აღარ არის.

ეხლა უფრო უფრთხილდები ბიწალასა. გულში იხუტებ მკერდშებოლილ მერცხალსაც – ანდიიდან რომ წამოიღე.

ნაღმიდან ფშაურ ღრეობა ისმოდა და არაგვის პირას შეგეჩეხათ წელმოქნილი და სახედაღარული მოხუცი.

– ვინ არის, თუმბოლ?! მოხუცი ვინ არის? – ჰკითხე თუმბოლსა.

– ხევისბერია, ვარდანიანთ გოგიაი – მთიულთ სიამაყე.

მაშინ გადაეღობე წინ, თორელო, და აუძრახე:

– თუმბოლს დაგლეჯილი აქვს თითები. თუმბოლს მოვლა უნდა. მაღლა, მთის ფერდაზე, შავი ბალახი დაიდო და დაუსივდა. ეგებ შენი ჩამომჭკნარი ხელი მალამოთ ექცეს. – გოგიამ მალამო ამოიღო და შენ დაჰკუწე აბრეშუმის ახალუხი – დეის ნაოსტატარი – ძვირფასი სახსოვარი და შეუხვიეთ ჭრილობები თუმბოლს. თუმბოლი ამეტყველდა:

– მოხუცო მთიულო! ჩაიბარე თორელი. ჩაიბარე და აჩვენე ხედიაი, ჩაიბარე და აჩვენე პელაი, თორელი ჩადის ციხიდან არის. მე კი ვეწვევი ჩემს კერასა და ადამიანს, რომელმაც ლეკებს მიმაჩეჩა იმისათვის, რომ თორელი დამეხსნა ტყვეობიდან, რომ თორელს სახე შერჩენოდა. ვეწვევი იმ კაცსა, რათა დავუმშვიდო სინდისი.

– უჩვეულო ადამიანო! მითხარი, ვინ გამოგგზავნა?! – ეკითხები, თორელო, და სიტყვა ამოუშო მისმა ბაგემ და სიტყვა იგი ასრულებულ არს.

– ალექსანდრე ბატონიშვილმა სიტყვა შეასრულა. ალექსანდრე ელის ჩემ დაგლეჯილ ხელებს, – გიპასუხა თუმბოლმა და დააცხრი მის ხელებს და ბაგენი სისხლით შეიღებე.

– თუმბოლ! ხვედიაის კერა შენც მიგიღებს. დარჩი ძმადნაფიცთან! დარჩი ჩადის ციხეს.

– კერა მელის, მელის ფიცხი და ალექსნადრეს დავალიანებული სინდისი. – სთქვა თუმბოლმა და გასცდა მთიულებს.

მიხვალ ფიცისაკენ და მკლავი მაინც გისივდება. მგონი ცალი მხარეც დასივდა. თვალებს ბინდი ერევა, ბრმა თვალსაცა და საღსაც. ნისლებში ეხვევი, თუმბოლ! მოკაკულხარ ვარდანიანთ გოგიასავით: ეხლა კი ვეღარ მიხვალ, არამედ მიხოხავ.

წყალი გინდა. წყალიც გაწყდა ამ ქედობას. ქვევით არაგვი მაინც გოხებს მირეგვავს, ამ ქედობას კი წყალიც გაწყდა.

ჩოხა ჯაგს გამოედო და რომ გაიზიდე – ფლატემ ჩაიფინა შენი განატანჯი სხეული. ალბათ, სისხლი მოგეშხამა უთუოდ, უთუოდ შავმა ბალახმა მოგიწამლა სხეული; თითქოს გაშავდა შენი სახეც. ყურში შორეულ ზარებსა რეკავენ. მაგრამ რა კლდის საკაჟე გადმოსახლებულა შენთან? ეხლა შენ ებრძვი სულსაცა და თვალამომშრალ სიკვდილსაც.

და ოდეს მზე ჩაესვენა, ლომისის მთის იქით განუტევე სული, ძვირფასო ადამიანო!

თავით იდგა ობოლო რცხილა, თითქმის ჩამომხმარი. საღამოთი შემოჯდა ყორანი და მისმა ყრანტალმა აიკლო მიდამო.

ჩადის ციხის მთიდან წამოვიდა ჩურჩული:

– ვინ არის პატრონი?! ვისია მკვდარი?..

ამბობენ: ჯაგებში ჩაიშლებოდა თუმბოლის მძორი, შეშლილ პელაის რომ არ მიეგნო. თორელმა ჩამოასვენა, დაიტირაო.

XII

ნაბოლარად

თორელმა დედადს ბიწალაი ჩაუგორა, ჩადის ციხის კოშკთან დაასვენა მკერდშებოლილი მერცხალი და კალთა გაშალა ოჯახისათვის. მამის საფლავიც დაიტირა და ოდეს ქართველთა ჯარი შეიყარა, რათა დაღესტანს ელაშქრათ გიაურებთან ერთად, ერთ-ერთ ჯგუფს შეუერთდა.

– თორელს რაღა უნდა, ლეკეთს რას დაეძებს? – იკითხა ვიღაცამ.

– დეი მინდა ვნახო! – უპასუხა.

– დიახ, დეი გინდა ნახო, თორელო! ხანდოს ხევთან პელაი დაგახვედრებს მკერდშებოლილ მერცხალსა და უთუოდ დაგიბრუნებს უკან.

დეის ვეღარა ნახავ, ვეღარა ნახავ!

1927 წელი, მთიულეთი





წინა ნომერში გამოქვეყნებული „ლიტერატურული სკანვორდის“ პასუხები: სურ.: ნეკრასოვი. 1. „აჩრდილი“; 2. „ამირანი“; 3. კილიმანჯაროს; 4. ან; 5. როიტერი; 6. ვან; 7. რაინდი; 8. მელამ; 9. ლონდონი; 10. დონი; 11. ლევან; 12. მითი; 13. უორდროპი; 14. სტენდალი; 15. „ნათლია“; 16. ოდა; 17. ოსტინი; 18. ეგე; 19. როდარი; 20. „ლილ“; 21. კირში; 22. არამისი; 23. სიმენონი; 24. ლესია; 25. მანი; 26. მოტივი; 27. ეს; 28. ვაიზე; 29. ტერანგი; 30. ვინ; 31. ნადი; 32. „გზა“; 33. ოვიდიუსი; 34. უტა; 35. მაინ; 36. არდენი; 37. ენას; 38. მაიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ



ენტონი ბერჯესი
მექანიკური ფორთოხალი

31 მარტიდან
7 აპრილამდე



ჯეინ ოსტინი
სიამაყე და ცრურწმენა

14-დან
21 აპრილამდე

ELVA.GE

პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე
ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი რჩეული მსოფლიო

ავტორები, რომლებიც მსოფლიოს დაამახსოვრდა

ჩემი რჩეული მსოფლიო

ჟურნალ გზასთან ერთად ახალი პროექტი ყოველ ხუთშაბათს
საუკეთესო მწერლების დაუვიწყარი ნაწარმოებები

გუსტავ ფლობერის 4 ტომეული

- საღამბო
- გრძნობათა აღზრდა
- მადამ ბოვარი
- ბუვარი და პეკუშე

წიგნის ფასი: 5 ლარი
ჟურნალთან ერთად 6 ლარი

აირჩიე შენი ავტორი!

პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით ფასნამატის გარეშე. ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ელვა.GE